

ამირან ბერძენიშვილი

# პოლიტიკური სოციოლოგია

მეორე შეესაბუთი გამოცემა

თბილისი – 2011

პოლიტიკა და სოციუმი, პოლიტიკა და ძალაუფლება, პოლიტიკური სისტემის ფუნქციები, პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია, დემოკრატია და იდეოლოგია, ძალაუფლების ლეგიტიმურობა – აი, ძირითადი საკითხები, რომელსაც ეხება პოლიტიკური სოციოლოგია. მასში გათვალისწინებულია XX საუკუნის დასასრულსა და XXI საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნებული ფილოსოფიური, სოციოლოგიური და პოლიტოლოგიური ნააზრევები. ამ მხრივ აღსანიშნავია რ. არონის, პ. ბურდიეს, ე. გიდენსის, მ. დოგანის, მ. დიუვერჟეს, ს. ლიპსეტის, ტ. პარსონსის, რ. მერტონის, ნ. სმელზერის, ი. შაბერმასის, პ. შარანის, რ. შვარცენბერგისა და სხვათა შრომები. დასახელებულ ავტორთა შეხედულებების საფუძველზე ზოგიერთი საკითხი ახლებურად არის გაშუქებული, თუმცა მრავალი პრობლემა უფრო საფუძვლიან გამოკვლევას მოითხოვს. ასევე საჭიროა ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების გამოცდილებისა და თანამედროვე პოლიტიკური თეორიების შედარებითი ანალიზი.

პოლიტიკური სოციოლოგია გათვალისწინებულია სოციოლოგიის და პოლიტიკურ მეცნიერებათა სპეციალობის სტუდენტებისთვის. იგი ასევე დაეხმარება პოლიტიკის პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველს.

## სამეცნიერო რედაქტორი

ვალერიან რამიშვილი, პროფესორი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი

## რეცენზენტები:

რევაზ ჯორბენაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი  
სალომე დუნდუა, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი

## სარჩევი

მეორე გამოცემის წინასიტყვაობა .....	7
პირველი გამოცემის შესავალი .....	11

### თავი I

პოლიტიკური სოციოლოგიის საბანი და განვითარების ეტაპები .....	15
1. პოლიტიკური სოციოლოგიის განვითარების ეტაპები	
2. პოლიტიკური სოციოლოგიის ობიექტი და საგანი	
3. პოლიტიკური სოციოლოგიის მეთოდები	
4. კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობები	

### თავი II

პოლიტიკა, როგორც სოციალური მოვლენა. პოლიტიკურის ცნება .....	48
1. პოლიტიკის ცნების განსაზღვრების სირთულე: მოკლე ისტორიული მიმოხილვა.	
2. პოლიტიკა, როგორც „მეგობარი – მტერი“ ურთიერთობა( კ.შმიტი).	
3. პოლიტიკა, როგორც რისკი, პოლიტიკის ფუნქციები.	

### თავი III

ძალაუფლების რაობა ძალაუფლება, როგორც სოციალური .....	61
ფენომენი	
1. „ძალაუფლების ნება“ და ძალაუფლება ფ.ნიცშესთან.	
2. ძალაუფლება, როგორც ადამიანთა საქმიანობის მთავარი სტიმული	
3. ძალაუფლების რაობის ანალიზი: ძირითადი მიდგომები	
4. ძალაუფლება, გავლენა, ავტორიტეტი და ძალა	
5. ძალაუფლების წყაროები	
6. ძალაუფლება და მორალი: აღმოჩენები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.	

### თავი IV

პოლიტიკური სისტემა და სოციალიზმი .....	120
1. პოლიტიკური სისტემისა (ცნება) და სისტემური მიდგომის დახასიათება	
2. ტ. პარსონსი: სოციალური (პოლიტიკური) მოქმედების ცნება და სოციალური სისტემის ოთხი ფუნქციური წანამძღვარი	
3. „პოლიტიკური სისტემა – გარემოს“ მოდელი	
4. პოლიტიკური სისტემის კომპონენტები	

### თავი V

პოლიტიკური სისტემის ფუნქციები .....	140
1. ფუნქციის ცნება	
2. პოლიტიკური სისტემის კონვერსიული(გარდამქმნელი) ფუნქციები	
3. პოლიტიკური სისტემის შესაძლებლობები	
4. პოლიტიკური სისტემის ადაპტაციისა და არსებობის შენარჩუნების უნარები	

## **თავი VI**

პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება ..... 155

1. პოლიტიკური კომუნიკაციის ცნება
2. პოლიტიკური კომუნიკაციის სამი წესი და სამი საშუალება
3. პოლიტიკური კომუნიკაციის მოდელები (პ. ლასუელი, პ. ლაზარსფელდი)
4. რეციპიენტი და რეფერენტული ჯგუფები
5. კომუნიკაცია და პოლიტიკური სისტემები
6. პოლიტიკური კომუნიკაცია ინფორმაციულ საზოგადოებაში

## **თავი VII**

პოლიტიკურ სისტემათა ტიპები ..... 175

1. ტოტალიტარიზმი
2. ავტორიტარიზმი
3. დემოკრატია
4. დემოკრატიზაციის ნანამძღვრები და გზები
5. დემოკრატიზაციის დამაბრკოლებელი ფაქტორები

## **თავი VIII**

ღია – ინფორმაციული საზოგადოება, დემოკრატია, გიუროკრატია ..... 201

1. „ღია“ და „დახურული“ საზოგადოების დამახასიათებელი ნიშნები
2. ბიუროკრატის ცნება – პოლიტიკა და მართვა
3. ბიუროკრატია და პოლიტიკოსი – იდეალური ტიპები
4. ბიუროკრატია და ბიუროკრატიზმი

## **თავი IX**

ლეგიტიმური ბატონობის წმინდა ფორმების მ. ვეპერისეული გაგება და მისი თანამედროვე მნიშვნელობა ..... 215

1. ბატონობის (ხელისუფლების) და ლეგიტიმურობის ცნებების დახასიათება
2. ხარიზმული, ტრადიციული და ლეგალური ბატონობის მახასიათებლები
3. ლეგიტიმური ბატონობის ვებერისეული ტიპოლოგიის დამცველები (ს. ლიპსეტი) და კრიტიკოსები (მ. დოგანი)
4. ლეგიტიმური ბატონობის ვებერისეული ტიპოლოგიის თანამედროვე (ევრისტიკული) მნიშვნელობა

## **თავი X**

პოლიტიკურ რეჟიმთა ლეგიტიმურობა და ეფექტურობა ..... 236

1. ლეგიტიმაცია, ლეგიტიმურობა და ლეგალობა
2. ლეგიტიმურობა და ეფექტურობა
3. ლეგიტიმურობის კრიზისი
4. ლეგიტიმურობის გაძლიერების პოლიტიკური საშუალებები

**თავი XI**

პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია .....255

- 1. პოლიტიკური კულტურა და პოლიტიკური ორიენტაცია
- 2. პოლიტიკური კულტურის ტიპები
- 3. პოლიტიკურ სუბკულტურათა ტიპები
- 4. პოლიტიკური სოციალიზაცია

**თავი XII**

პოლიტიკური ელიტა და დემოკრატია .....268

- 1. ელიტის ცნება.ელიტა და საზოგადოება
- 2. ელიტის აქსიოლოგიური, ფუნქციონალური და ინსტიტუციური გაგება
- 3. პოლიტიკური ელიტა და დემოკრატია
- 4. ინტელექტუალური ელიტა და ხელისუფლება

**თავი XIII**

პოლიტიკური ლიდერი: რამა და ფუნქციები ..... 282

- 1. ლიდერი და ძალაუფლება
- 2. პოლიტიკური ლიდერობის თეორიების ანალიზი და შეფასება
- 3. პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია
- 4. პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები

**თავი XIV**

სოციალური ცვლილების ცნება და სოციალური მოძრაობები ..... 293

- 1. სოციალური ცვლილება და მისი დამახასიათებელი ნიშნები
- 2. პოლიტიკური ცვლილება და რევოლუცია
- 3. სოციალური რევოლუციის მიზეზები

**თავი XV**

სოციალური მოძრაობა, სახეები და განვითარების სტადიები..... 304

- 1. სოციალური მოძრაობის ცნება
- 2. სოციალური მოძრაობის ტიპების კლასიფიკაცია
- 3. სოციალურ მოძრაობათა განვითარებისა და ორგანიზების მექანიზმები

**თავი XVI**

პოლიტიკური პარტიები: ფუნქციები და ტიპოლოგია .....315

- 1. პარტიების წარმოშობა და რაობა
- 2. პარტიის ფუნქციები
- 3. პარტიათა ტიპოლოგია და ორგანიზაციული სტრუქტურა
- 4. პარტიათა განვითარების ძირითადი ძირითადი ტენდენციები

**თავი XVII**

პოლიტიკური სისტემა და არჩევნები .....328

1. არჩევნების ფუნქციები

2. საარჩევნო სისტემის ძირითადი ტიპები

3. საარჩევნო პროცესის სტადიები

4. საარჩევნო კამპანიის ინფორმაციული თანხლების საფუძვლები

დასკვნის მაგიერ

თავისუფლება, დემოკრატია, ფედერალიზმი .....338

გამოყენებული ლიტერატურა .....344

*Резюме – Бердзенишвили А. - Политическая социология ..... 353*

**Summary – Berdzenishvili A. - Political Sociology ..... 357**

## წინასიტყვაობა

**„არ არსებობს დემოკრატია თავისუფალი ინფორმაციის გარეშე, არ არსებობს თავისუფალი ინფორმაცია დემოკრატიის გარეშე. მათი განვითარება იმდენადაა ურთიერთდაკავშირებული, რომ ერთი მოუაზრებელია მეორეს გარეშე.“**

(მიშელ როკარი)

ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს დემოკრატიზაციის პროცესი მიზანდასახულობას მოკლებულია, მას დემოკრატიულობასთან ერთად ავტორიტარულობაც ახასიათებს. ხშირად დემოკრატიულობის ფასადს მიღმა ავტორიტარული რეჟიმი იმალება, რასაც მრავალი ობიექტური სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურულ-მენტალური ფაქტორი განაპირობებს. ამ სიძნელეების გაცნობიერებასა და დაძლევაში პოლიტიკურ ნებასთან ერთად დასავლური დემოკრატიული ქვეყნების თეორიული მიღწევებისა და პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება დაგვეხმარება. ღია საზოგადოებისა და მმართველობის დემოკრატიული რეჟიმის იდეალური ტიპების და შესაბამისი მახასიათებლების დადგენა დაგვეხმარება ქართული საზოგადოებისა და სახელმწიფოს რეალური მდგომარეობის განსაზღვრასა და არსებული პრობლემების გადანყვევების ეფექტური გზების ძიებაში.

დღეს მსოფლიოში ადგილი აქვს დიდი მნიშვნელობის გლობალურ ტრანსფორმაციულ პროცესებს. ადამიანთა სულ უფრო დიდი რაოდენობის ცხოვრება შედარებით სიმყარისა და წინასწარგანსაზღვრულობის, სტაბილურობის ხასიათს კარგავს. ავტორიტარული მმართველობა აღარ შეესაბამება, ცხოვრების ახალ პირობებს, მათ შორის ყველაზე მეტად მოქნილობას და დინამიზმს, რომელიც ასე აუცილებელია გლობალური ელექტრონული ეკონომიკის პირობებში მაღალი ნაყოფიერებისა და კონკურენტუნარიანობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ავტორიტარულ სისტემაზე დამყარებულ პოლიტიკურ ხელისუფლებას უკვე აღარ ძალუძს მორჩილებისა და პატივისცემის ტრადიციულ ფაქტორს დაეყრდნოს. „ინფორმაციების აქტიურ გაცვლაზე დამყარებულ მსოფლიოში, ხისტი ხელისუფლება – მხოლოდ „ზემოდან“ მოქმედი ხელისუფლება თავის ძალას კარგავს“ (ე. გიდენსი). ეს, უპირველეს ყოვლისა, ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებსა და რეჟიმებს ეხება. ამის კლასიკური მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირი, რომელმაც ფეხი ვერ აუწყო მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ ეკონომიკურ პროცესებს, რაც პოლიტიკურ სფეროშიც აისახა. საბჭოთა კავშირის ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის საფუძველში მდებარე ინფორმაციული მონოპოლია განწირული იყო გლობალური კომუნიკაციების ღია სტრუქტურების პირობებში.

ინფორმაციულ-კომუნიკაციურმა რევოლუციამ ახალი, უფრო აქტიური, მოაზროვნე მოქალაქე წარმოიშვა. დღეს, შეიძლება ითქვას, პოლიტიკური ტრადიციები ძალას კარგავს, და პოლიტიკოსებს თავიანთი საქმიანობის გასამართლებლად უკვე

აღარ ძალუძთ ადრინდელ ფორმებს – პომპეზურ და საზეიმო ცერემონიებს მიმართონ. ტრადიციული პოლიტიკური პროცესები ცხადყოფს, თუ რამდენად არიან პოლიტიკოსები დაშორებული იმ ცვლილებებს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაში მიმდინარეობს. სწორედ ინფორმაციულ-კომუნიკაციური რევოლუცია იწვევს იმას, რომ დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში არა მხოლოდ ავტორიტარულ პოლიტიკურ სისტემებს თუ რეჟიმებს აღარ შესწევთ ეფექტურად მოქმედების უნარი, არამედ თვით ტრადიციულ დემოკრატიულ რეჟიმებს, რომლებიც მუდმივად და უწყვეტად არ მუშაობენ დემოკრატიული პროცესების გაღრმავებაზე. დემოკრატიის გაღრმავება კი იმიტომ არის აუცილებელი, რომ „მმართველობის ადრინდელი მექანიზმები უბრალოდ არ მუშაობენ საზოგადოებაში, რომლის მოქალაქენი იმავე ინფორმაციულ გარემოში ცხოვრობენ, რომელშიც ისინიც, ვინც მათ მართავენ“ (ე. გიდენსი). დღევანდელი მოქალაქენი, არა მხოლოდ განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, არამედ ნებისმიერ თვით ყველაზე ჩაკეტილ და დახურულ საზოგადოებაშიც კი უფრო ინფორმირებულნი არიან, სწორედ ამ კომუნიკაციური რევოლუციების შედეგად, და საკმაოდ დიდ ინტერესს ავლენენ პოლიტიკის მიმართ. ამის კარგი მაგალითია ჩვენს ქვეყანაში 2007 წლის ნოემბერისა და 2008 წლის იანვრის მოვლენები, რომლებმაც აჩვენეს, თუ როგორი მაღალი პოლიტიკური დაინტერესებითა და ინფორმირებულობით გამოირჩევა ქართული საზოგადოება, რომელმაც ხელისუფლებას არ აპატია სწორედ პოლიტიკური მართვის ტრადიციულ-ავტორიტარული მეთოდების გამოყენება, ხალხის ფართო მასების ყოველდღიური ცხოვრებისეული პრობლემებისგან მოწყვეტა. ღია ინფორმაციული საზოგადოების პირობებში მრავალი მოვლენა თუ პრობლემა უფრო შესამჩნევი და გამჭვირვალე, ხოლო ადამიანები უფრო აქტიურნი, რეფლექსური გახდნენ, ვიდრე ეს ადრე იყო. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ჯგუფისა და გაერთიანების საქმიანობაში. ასევე იზრდება ნებაყოფლობით ორგანიზაციათა მონაწილეების რაოდენობა.

დემოკრატიის დემოკრატიზაცია ესაჭიროება არა მხოლოდ განვითარებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს. მას შეუძლია ხელი შეუწყოს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებას იქ, სადაც ისინი სუსტია და დისტროფიას განიცდიან. მაგალითად, საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ავტორიტარული ობერტონები. როგორც დასავლური გამოცდილება გვასწავლის, შეუძლებელია „ზემოდან“ ავაგოთ ღია და დემოკრატიული საზოგადოება, აუცილებელია იგი შევქმნათ ქვემოდან, „მოქალაქეობრივი კულტურის“ გაძლიერებისა და აღორძინების მეშვეობით.

ბუნებრივია, ინფორმაციულ ეპოქაში, მასმედიას უფრო სწორად მულტიმედიას, განსაკუთრებით ტელევიზიასა და ინტერნეტს (სოციალურ ქსელებს) დემოკრატიის განვითარებასთან უშუალო კავშირი აქვს.

უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე სწორედ ტელევიზიის საშუალებით მსოფლიოში მოხდა კომუნიკაციური აფეთქება, რომლის არსს ყველაზე უკეთ მ. მაკლუენის ხატოვანი გამოთქმა გამოხატავს: „შეტყობინება (ინფორმაცია) არის საშუალება (მედიუმი)“. მანუელ კასტელის აზრით: „განვითარების რამდენიმე წელიწადში ტელევიზია ჩვენი საზოგადოებების კულტურულ ეპიცენტრად იქცა; კომუნიკაციის სატელევიზიო უნარი სრულიად ახალი უნარია, რომელიც თავისი მაცდუნებელი თვისებებით: – რეალობის სენსორული იმიტაციით – მინიმალური ფსიქოლოგიური ძალისხმევითა და აღქმის სიმსუბუქით ხასიათდება“



ტელევიზიის რეალური ძლიერება და ძალაუფლება ის არის, რომ იგი ამზადებს სცენას ყოველი პროცესისათვის, რომლის შესახებაც ინფორმაცია საზოგადოებას დაწყებული პოლიტიკიდან ბიზნესამდე და სპორტიდან ხელოვნებამდე უნდა მიენოდოს. შესაბამისად, ტელევიზია არის სწორედ ის საშუალება, რომელიც „სოციალური კომუნიკაციის ენის სტრუქტურირებას ახდენს.“

დღეს ტელევიზიას იმდენად დიდი გავლენა აქვს დემოკრატიულ პროცესებზე, განსაკუთრებით არჩევნების პროცესებზე, რომ თამამად შეგვიძლია მ. კასტელსთან ერთად ვთქვათ: პოლიტიკოსებსა და პოლიტიკას, რომელთაც განვითარებულ საზოგადოებაში – და არა მხოლოდ განვითარებულ საზოგადოებაში – ხელი არ მიუწვდებათ ტელევიზიაზე, ძალიან მცირე შანსი აქვთ მოსახლეობის მხარდაჭერა მიიღონ, რამდენადაც ადამიანები ინფორმაციებს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით იღებენ, სადაც ტელევიზიას წამყვანი პოზიცია უჭირავს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, ჩვენი კულტურის, ჩვენი მენტალიტეტის გამოხატვაა, ჩვენი კულტურა კი ძირითადად იმ მასალებით მუშაობს, რომლებსაც მასმედია აწვდის. ამიტომ „მოქალაქეობრივი კულტურის“ ჩამოყალიბება, რომელიც დემოკრატიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია, მასმედიის მუშაობაზე, მის დამოუკიდებლობასა და ობიექტურობაზეა დამოკიდებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისუფალი ინფორმაცია და დემოკრატია ერთმანეთს განაპირობებენ და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. მათ გარეშე კი ნამდვილი მოქალაქეობრივი კულტურის მატარებელ სუბიექტთა ფართო ფენების არსებობა წარმოუდგენელია, რაც თავის მხრივ დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავებას, ნებისმიერ საზოგადოებაში, წარმოუდგენელ მოვლენად აქცევს.

მაგრამ ტელევიზიას დღეს ორმაგი დამოკიდებულება აქვს დემოკრატიულ პროცესებთან, ერთი მხრივ, იგი ხელს უწყობს თავისუფალი აზრისა და დისკუსიების განვითარებას, მეორე მხრივ კი, სპობს დიალოგისათვის აუცილებელ საჯარო სივრცეს. „გლობალური ინფორმაციული საზოგადოების არსებობა უკვე ძლიერ მადემოკრატიზირებულ ძალას წარმოადგენს. მეორე მხრივ, ტელევიზია და მასმედიის სხვა საშუალებები თვითონვე სპობენ დიალოგისათვის აუცილებელ მის მიერ შექმნილ საჯარო სივრცეს პოლიტიკური საკითხების განუწყვეტელი გამარტივებისა და პერსონალიზაციის მეშვეობით“ (ე. გიდენსი).

უფრო მეტიც, გიგანტური ტრანსნაციონალური მედია – კორპორაციების არსებობა ნიშნავს, რომ საქმიან სამყაროში ნებისმიერ შეძლებულ ადამიანს, ძალუძს უზარმაზარი ძალაუფლებისა თუ ძლიერების მოპოვება, რაც თავის დაღს ასვამს მასმედიისა და დემოკრატიის ურთიერთობებზე. მაგრამ ამგვარი სიტუაციიდან გამოსავალი გლობალურ ეპოქაში გლობალური უნდა იყოს. ესაა ტრანსნაციონალური სტრუქტურები (მაგალითად, ევროკავშირი), რომლებსაც გლობალიზაციის პირობებში აქტიურად შეუძლია ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებას როგორც სახელმწიფოს შიგნით, ისე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში. სწორედ ასეთი ტრანსნაციონალური სტრუქტურები იქნება იმის გარანტი, რომ მასმედიამ არ ჩაახშოს ის საჯარო სივრცე, რომელსაც თვითონვე უწყობს ხელს და იქცეს ღია ინფორმაციული საზოგადოებისა და დემოკრატიის არსებობის ერთ-ერთ ფუნდამენტად.

თუ XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედამდე არსებულ პოლიტიკურ და სოციალურ სიტუაციებს გავიაზრებთ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დემოკრატია და თავისუფალი მედია არსებობს მხოლოდ იქ, სადაც ამისათვის განსაკუთრებით ნაყო-

ფიერი და გულდასმით დამუშავებული ნიადაგია. მსგავსად იმისა, რომ საზოგადოებაში, სადაც არ არსებობს ძველი, დიდი ხნის დემოკრატიული ტრადიციები, იგი ღრმად ვერ იდგამს ფესვებს და მისი აღმოფხვრა ადვილია. ასე იყო ადრე, ახლა კი ყველაფერი იცვლება, დგება ახალი ინფორმაციული ერა, სადაც სწორედ ინფორმაციის ღიაობას, გამჭვირვალობას, გენერირებას, გამოყენებასა და დამუშავებას, „ცოდნით ახალი ცოდნის“ მოპოვებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს; დემოკრატიას მწირ ნიადაგშიც შეუძლია ფესვები გაიდგას. უპრიანი იქნება ე. გიდენსის სიტყვების მოშველიება: „ყველა დონეზე დემოკრატიის განმტკიცებისათვის ბრძოლა ღირს და ეს მიზანი სავსებით მიღწევადია. ჩვენს მსოფლიოს მეტი მართვა ესაჭიროება – ამის უზრუნველყოფა მხოლოდ დემოკრატიულ ინსტიტუტებს ძალუძთ“. დემოკრატიულობის ყველაზე კარგი მაჩვენებელი საზოგადოების კანონებით მართვა და ყოველდღიურ ცხოვრებაში კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვაა. აღმასრულებელი ხელისუფლების ზედამხედველობისაგან თავისუფალი და, დამოუკიდებელი სამართალწარმოება დემოკრატიულ რეჟიმს გულისხმობს და პირიქით.

თუ ქართული ხელისუფლების გადადგომულ ნაბიჯებსა და საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის (განსაკუთრებით სტუდენტების) მიერ გამოვლენილ აქტივობებს დავაკვირდებით, მაშინ არ გაგვიჭირდება იმის დანახვა, რომ დემოკრატიზაციის პროცესი ნელა, მაგრამ მაინც აღმავალი გზით მიდის საქართველოში; უბრალოდ, თვალი უნდა გადავავლოთ დამოუკიდებლობის ორი ათწლეულის მანძილზე მომხდარ ცვლილებებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში, რათა ნათლად დავინახოთ, რომ საქართველოში დემოკრატიზაციის პროცესი ვითარდება და ალტერნატივა არ აქვს. ასე რომ, დღეს, საფუძველი ეყრება დამოუკიდებელ სასამართლოებს, ძნელად, მაგრამ მაინც მკვიდრდება ცხოვრებაში კანონის უზენაესობის პრინციპი, იცვლება ქართველი მოქალაქის მენტალიტეტი, ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურა ადგილს უთმობს აქტივისტურ, პარტისიპატიულ – მონაწილეობით კულტურას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ღია – ინფორმაციული საზოგადოების პრინციპები და მართვის დემოკრატიული რეჟიმი, მართალია მძიმედ, მაგრამ მაინც მკვიდრდება ქართულ საზოგადოებაში.

დაბოლოს, კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ პოლიტიკოსების იმედით ვერ ვიქნებით, დემოკრატია, ბოლოს და ბოლოს, სწორედ თვითმმართველობამდე დაიყვანება და თუ ადამიანებს შესწევთ უნარი ქალაქებში, კორპორაციებში, პროფესიულ გაერთიანებებში თუ უნივერსიტეტებში „მიხედონ თავს“, საფიქრებელია, სახელმწიფო დონეზეც წარმატებით მოახერხებენ იმავეს.

*თბილისი, 14 მაისი, 2011 წელი.*

## პირველი გამოცემის შესავალი

ყოფილ საბჭოთა კავშირში, 90-იანი წლების დასაწყისში, მომხდარმა ეკონომიკურმა, სოციალურ-პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა ძვრებმა დაანგრია ძველი კომუნისტური იმპერია და მის ნანგრევებზე საფუძველი ჩაეყარა ახალი დამოუკიდებელი და ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესს. ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელიც პარტოკრატთა და ოფიციალურ იდეოლოგთა თქმით, „რეალური დემოკრატიის“ ქვეყანა იყო, სინამდვილეში მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებს უგულვებელყოფდა და უბრალოდ „არჩევნებში“ რომელიმე წინასწარშერჩეულ კომუნისტურ ლიდერსა თუ ოფიციალისათვის საიმედო პირს ანიჭებდა უპირატესობას. ეს იყო დრო, როდესაც ხალხის ფართო მასები გავლენას ვერ ახდენდა პოლიტიკურ ცხოვრებასა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ასეთი სიტუაცია კი განაპირობებდა ამომრჩეველთა მასობრივ აპათიას პოლიტიკური პროცესების მიმართ; მაგრამ როგორც კი ეკონომიკური სისტემის არაეფექტურობამ დაანგრია კომუნისტური იმპერიის საფუძვლები და ელექტორატს ნებსით თუ უნებლიეთ თავისი უფლებები დაუბრუნდა, საყოველთაო აპათია მასობრივ აქტივობაში გადაიზარდა, რამაც თავის მხრივ, უკვე ახლად ჩამოყალიბებულ ეროვნულ-დამოუკიდებელ სახელმწიფოებში შეცვალა პოლიტიკისადმი დამოკიდებულება. პოლიტიკური აქტივობის მაღალი დონე განსაკუთრებით 1989-1993 წლებში შეიმჩნეოდა და ჯერ კიდევ უცნობია პოლიტიკური დაძაბულობის პიკი გამოვიარეთ თუ არა. მიუხედავად ამისა, დღის წესრიგში დადგა დემოკრატიული რეფორმების გატარების აუცილებლობა. მაგრამ არადემოკრატიულ, ტოტალიტარულ, ჩაკეტილ საზოგადოებაში ათეული წლების განმავლობაში მცხოვრები ადამიანებისთვის, სადაც დემოკრატიისა და პიროვნების თავისუფლების თითქმის არც ერთი კეთილი ტრადიცია და დამცავი ინსტიტუტი არ არსებობდა, დემოკრატიული რეფორმების გატარება ძნელი აღმოჩნდა. ახლად გამომცხვარი „დემოკრატები“ ვერ ახორციელებდნენ რეფორმებს ისე, რომ ხალხთა ფართო მასების გაღატაკება და სოციალურ ფენათა პოლარიზაცია არ გამოიწვიონ. შეიძლება ითქვას, რომ დღეს რეფორმები ხალხისათვის კი არ არსებობს, არამედ – ხალხი რეფორმებისათვის. არც ძველი რეჟიმის მომხრეები ყრიან ფარ-ხმალს. თანაც, თუ ამ რეფორმების გატარების საქმეს ხშირად ძველი პარტოკრატები უდგანან სათავეში, მაშინ ხალხს სრული უფლება აქვს ეჭვი შეიტანოს როგორც მათ კომპეტენტურობაში, ისე დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში. ყოველივე ეს ზრდის მასების პოლიტიკური ცნობიერების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართალია, ზოგჯერ ხდება პოლიტიკური აქტივობის შენელება, აპათიაც კი, მაგრამ თუ დემოკრატიული რეფორმები სწორად და დროულად არ გატარდება, მაშინ შეიძლება მას უარესი სოციალური აფეთქება მოჰყვეს, საიდანაც გამარჯვებული ვერავინ გამოვა; უფრო მეტიც, არა მხოლოდ საბოლოოდ დაანგრევს საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სისტემებს, არამედ გაანადგურებს თვით საზოგადოებას, ადამიანის სოციალ-

ურობის საფუძვლებს და ჰობსისეულ „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ მდგომარეობაში დაგვაბრუნებს.

ერთ-ერთი გარანტია, ასე ტრაგიკულად რომ არ წარიმართოს მიმდინარე რთული სოციალურ-პოლიტიკური პროცესები, არის პოლიტიკური ცხოვრების კანონზომიერებისა და თავისებურებათა ობიექტური და მეცნიერული შესწავლა. საქმე ისაა, რომ საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილ ეროვნულ სახელმწიფოებში მრავალ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ პრობლემასთან ერთად არსებობს ამ სფეროთა ობიექტური კანონზომიერებების მეცნიერული შესწავლის პრობლემა და დეფიციტი. ეს განსაკუთრებით ეხება საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთ-ერთ ისეთ უმნიშვნელოვანეს და ავტონომიურ სფეროს, როგორცაა პოლიტიკა. პოლიტიკულ სახელმწიფოებში ყველაზე ნაკლებად სწორედ პოლიტიკა აღმოჩნდა შესწავლილი. დღეს პოლიტიკური ცხოვრების, პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე ხალხთან ერთად მრავალი პოლიტიკური პარტია გამოდის, პოლიტიკურ ვნებებსა და მისწრაფებებს მრავალი ადამიანის ბედნიერება და სიცოცხლეც კი ეწირება. მართალია, საზოგადოება ცდილობს დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტებისა და სტრუქტურების დამკვიდრებას, მაგრამ პოლიტიკის თეორიულ წვდომას, რასაც ასეთ სიტუაციაში უაღრესად პრაქტიკული ღირებულება აქვს და წარმატებით შეუძლია შეასრულოს მეგზურის როლი მწვავე პოლიტიკურ კონფლიქტთა ლაბირინთებიდან მშვიდობიანად გამოსვლაში, ყველაზე ნაკლები ძალისხმევა ეთმობა. პოლიტიკოსები უფრო „ხელისცეცებით“ მოქმედებენ, ვიდრე გონებითა და მეცნიერული პროგნოზების გათვალისწინებით. პოლიტიკური ცოდნის დეფიციტს ახალი სახელებისა და ტერმინების შემოტანით ავსებენ.

გუშინდელი პოლიტიკური მიმოხილვები, მეცნიერული კომუნიზმის „თეორეტიკოსები“, იდეოლოგიის სხვადასხვა დარგის ყოფილი მუშაკები დღეს „პოლიტოლოგებად“ მოგვევლინნენ. რა თქმა უნდა, ახალი სახელებისა და ტერმინების შემოტანა ან ათვისება ჯერ კიდევ არ ნიშნავს პოლიტიკისა და პოლიტიკურ ურთიერთობებთან დაკავშირებული ურთულესი პრობლემების მეცნიერული გადაჭრისათვის მზადყოფნას. საზოგადოებრივ და განსაკუთრებით პოლიტიკურ პროცესთა კანონზომიერების მეცნიერული წვდომისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა არა უბრალოდ სახელებისა და ტერმინების შეცვლა, არამედ მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დოგმებისაგან გათავისუფლება და რეალური სინამდვილისათვის თვალის გასწორება. აუცილებელია საზოგადოების შემსწავლელ მეცნიერებებში „პალიატურობისა“ და „კონიუნქტურულობის“ სენის დაძლევა, გადალახვა იმ სიტუაციისა, როდესაც მეცნიერი იძულებულია ნახევრად სიმართლე ილაპარაკოს.

არსებული სიტუაციის მიზეზების კვლევას თუ დავინყებთ, დავინახავთ, რომ პოლიტიკის შემსწავლელ მეცნიერებათა „პალიატური“ ხასიათი ძირითადად გამოწვეული იყო იდეოლოგიური მოსაზრებებით, რამეთუ ყოფილ საბჭოთა კავშირში პოლიტოლოგიური ხასიათის გამოკვლევები როგორც ცოდნის დამოუკიდებელი დარგი, ფაქტობრივად აკრძალული იყო. პოლიტიკის შესწავ-

ლა ისტორიულ განვითარების „კანონთა“ დაზუსტებაზე დაიყვანებოდა, ხოლო ამ კანონთა გამოყენება კომუნისტური პარტიის მიერ ყველასათვის, ტაქტიკურ ნიშნულად ითვლებოდა. პოლიტიკა ძირითადად გაგებული იყო, როგორც ძალაუფლებისათვის ბრძოლის ტექნოლოგია, რომელიც თავის თავში მოიცავდა კომუნისტების მიერ აპრობირებულ მეთოდთა და საშუალებათა სისტემას. პოლიტიკური ხელოვნება კი უმაღლესი პოლიტიკური ინსტანციების შესაბამისი მითითებებისას ამა თუ იმ პოლიტიკური საშუალებებისა და მეთოდების დროულად გამოყენებაზე დაიყვანებოდა. სწორად შენიშნავს ნ. ზაგლადინი: „პოლიტიკისა და პოლიტიკური ცხოვრების, როგორც ადამიანთა საქმიანობის საკმაოდ დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც მნიშვნელოვნად დამოუკიდებელია ეკონომიკისაგან და რომელსაც, უფრო მეტიც, უნარიც კი შესწევს განსაზღვროს მისი განვითარება – აღქმაზე გადასვლა იდეოლოგიურად შეუძლებელი, ხოლო მმართველი პარტიულ-სახელმწიფოებრივი ზედაფენის თვალსაზრისით გამოუსადეგარიც კი იყო“ (84, გვ. 5).

„ძლიერნი ამა სოფლისანი“ კარგად ხედავდნენ, რომ პოლიტიკის, როგორც დამოუკიდებელი სფეროს ობიექტური და თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით კვლევას მოჰყვებოდა საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ტოტალიტარული ხასიათის აღიარება, რისი დაშვებაც იდეოლოგიურად გამორიცხული იყო. ოფიციალურად საბჭოთა კავშირი ხომ ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც სუფევდა ჭეშმარიტი დემოკრატია და „თავისუფლად სუნთქავდა ადამიანი“. თუკი სერიოზულად და მეცნიერული ობიექტურობით შეისწავლიდნენ პოლიტიკურ სისტემას საბჭოთა კავშირში, მაშინ გარდუვალად აღმოჩნდებოდა, რომ მისი ფუნქციონის რეალური მექანიზმები ძალიან შორს იდგა კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული და დაკანონებული ნორმებისაგან. მაშინაც კი, როდესაც მმართველი ზედაფენის ზოგიერთმა წარმომადგენელმა გააცნობიერა, რომ „ყველაფერი დალპა“, რომ „ასე ცხოვრება შეუძლებელია“ და აუცილებელია საზოგადოების როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური სისტემის კარდინალური რეფორმა, აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკური სფერო, არამედ ისიც კი არ იცოდნენ, თუ როგორი ტიპის საზოგადოებაში ცვხოვრობდით. ამ მხრივ ძალზე სიმპტომატურია 80-იანი წლების დასაწყისში მ. ანდროპოვის აღიარება.

დღესაც კი, როდესაც ეროვნულმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს „სოციალისტურ არჩევანზე“ და ცდილობენ საზოგადოების საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადაყვანას, თავისუფალი მენარმეობისათვის უპირველეს ხელის შეწყობას, ტოტალიტარიზმიდან ღია, დემოკრატიულ საზოგადოებაზე გადასვლას, ძალაუფლების ფარულ-ლატენტური სტრუქტურები და მექანიზმები უცვლელი რჩება და ინერციით აგრძელებს არსებობას. თავს იჩენს ისეთი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები, რომელთა ანალიზისათვის გამოუსადეგარია ძველი „მეცნიერული“ ინსტრუმენტების მოდერნიზაცია მათი მსოფლმხედველობრივი საფუძვლის რადიკალური შეცვლისა და თანამედროვე დასავლური პოლიტიკური მეცნიერებისა და კულტურის როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული

ათვისების გარეშე. დღეს, როდესაც ასე საჭირო გახდა ახალი ორიენტირების დაძებნა და მათ მიხედვით მოქმედების საშუალებების გამონახვა – დასაბუთება, აღმოჩნდა, რომ არც რუსეთსა და არც საქართველოში არ გვაქვს შესაძლებლობა, რათა პოლიტიკურ ვნებებს ცივილიზებული და ჰუმანური სახე მივცეთ. ამისათვის კი, ჩემი აზრით, აუცილებელია დასავლეთის ქვეყნებში აპრობირებული პოლიტიკის ფილოსოფიის, პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის მიღწევების ათვისება და ჩვენი ისტემბლიშმენტის, გნებავთ, ელიტის ამ მიღწევებით აღჭურვა. ამ მხრივ ჩვენ ყურადღებას იპყრობს: პ. ბურდიეს, ე. გიდენსის, ს. ლიპსეტის, ნ. სმელზერის, რ. შვარცენბერგის, პ. შარანისა და სხვათა შრომები, სადაც გასაგებადაა გადმოცემული თანამედროვე პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ისეთ ნარმომადგენელთა შეხედულებები პოლიტიკის რაობის შესახებ, როგორებიც არიან: მ. ვებერი, ტ. პარსონსი, დ. ისტონი, რ. დალი, ჩ.რ. მილსი, კ. დოიჩი, გ. ალმონდი, მ. დიუვერჟე, რ. არონი, კ. ლოვენშტაინი, დ. აპტერი, პაუელი და სხვები. დამთავრდა ის დრო, როდესაც მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და მსოფლმხედველობა ერთადერთ ჭეშმარიტ და მეცნიერულ იდეოლოგიად ითვლებოდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს მარქსისტული სოციოლოგიური თუ პოლიტოლოგიური აზრის მთლიან ნეგაციას. კ. მარქსი მ. ვებერთან ერთად სამართლიანად ითვლება პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. შესაბამისად, ის, რაც ღირებულია მასში, უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ, მაგრამ პოლიტიკური პროცესებისა და ურთიერთობების კვლევისას მისი, როგორც ერთადერთ სწორ მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად მიჩნევა, უბრალოდ რომ ვთქვათ, შეცდომაა. გარდა ამისა, დღეს უკვე მარქსიზმზე დაყრდნობით შეუძლებელია თვით მისთვის ასე „ახლობელი და ნაცნობი“ ბურჟუაზიული საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობის მეცნიერული გამოკვლევა ისე, თუ არ იქნა გათვალისწინებული მთელი ის სპექტრი, რასაც ქმნის თანამედროვე დასავლური პოლიტიკური აზროვნება პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტური მეცნიერების სახით. ჩვენ უბრალოდ ვახსენებთ და გამოვიყოფთ პოლიტიკურ სოციოლოგიასა და პოლიტიკურ მეცნიერებას, რამეთუ სწორედ ისინი აცხადებენ პრეტენზიას პოლიტიკური პროცესებისა და ურთიერთობების, ძალაუფლების განაწილებისა და ფუნქციონირების მეთოდებისა და მექანიზმების მეცნიერულ ანალიზზე. მათი შესწავლის საგანთა სიახლოვე, რაც ხშირად ამ მეცნიერებათა გაიგივების მიზეზი ხდება, არ ნიშნავს მათ სრულ ერთიანობასა და იგივეობას, რამეთუ არსებობს განსხვავება მათი ნარმომოშობის, შესასწავლი საგნის, ამოცანებისა და ფუნქციების მხრივაც. ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ პოლიტოლოგიისაგან განსხვავებით პოლიტიკური სოციოლოგიის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების სპეციფიკა და თავისებურება.

**პოლიტიკური სოციოლოგიის საგანი და  
ბანკითარების ეტაპები**

პოლიტიკური სოციოლოგია, როგორც სოციალური მეცნიერებების სპეციფიკური დარგი, XX საუკუნის 30-იან, 50-იან წლებში ყალიბდება, მაგრამ მისი საგნობრივი სფერო და პოლიტიკის სოციალური ხედვა ჯერ კიდევ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლების: კონფუციის, ხან ფეის, კაუტილისა და განსაკუთრებით ძველი ბერძენი მოაზროვნეების: პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევშია აღნიშნული და მითითებული. არისტოტელემ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მხოლოდ სახელმწიფოს სოციოლოგიური თეორიის საფუძვლების შექმნაში, არამედ ჩამოაყალიბა პოლიტიკურ მეცნიერებასთან ყველაზე ახლოს მდგომი და მონათესავე დისციპლინის პოლიტიკის სოციოლოგიის იდეა და პრინციპები. შეიძლება ითქვას, რომ არისტოტელე სავსებით სამართლიანად ითვლება პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. რამდენადაც XVIII საუკუნემდე მოაზროვნეები თითქმის ერთმანეთისაგან არ ასხვავებდნენ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სოციოლოგიური ცოდნის ისტორიული ჩამოყალიბება და პოლიტიკის მეცნიერულ-სოციოლოგიური ხედვაც სწორედ სახელმწიფოს, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ნყოფის ანალიზითა და მმართველობის ფორმების შესწავლით დაიწყო. ჯერ კიდევ პლატონი განიხილავდა სახელმწიფოს, როგორც ადამიანთა ასოციაციის, გაერთიანების სპეციფიკურ ფორმას, რომლის არსებობაც განპირობებულია შრომის დანაწილებითა და სოციალური დიფერენციაციით. სახელმწიფო – ესაა სოციალური ორგანიზაცია, რომელიც აღმოცენდა ტომობრივი გაერთიანებიდან მეჯოგეობის, მინათმოქმედების, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების შედეგად. სწორედ შრომის დანაწილებაში ხედავდა პლატონი მისი თანამედროვე სახელმწიფოების საფუძველთა საფუძველს, ხოლო რეალურად არსებული სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმების – არისტოკრატიის, ოლიგარქიის, დემოკრატიისა და ტირანიის ანალიზისას კარგად აცნობიერებდა სოციალური ფაქტორების როლს საზოგადოებაში არსებული უთანასწორობის დაკანონებაში, როდესაც კანონები გამოხატავს ძლიერთა ინტერესებს, ხოლო ეს ინტერესები კი საყოველთაო სიკეთედ და კეთილდღეობის გამოხატულებად ცხადდება. არისტოტელემ არა მხოლოდ განსაზღვრა სახელმწიფო, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა ბუნებრივი და უმაღლესი ფორმა, არამედ მოგვცა მის შემადგენელ სტრუქტურულ ელემენტთა მთელი ჩამონათვალიც: ღარიბები და მდიდრები, უაზონი, დღიური მუშები, სამხედროები, მოსამართლეები, კანონმდებლები. ამ ელემენტებს შორის ძალაუფლების პოზიციათა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში როლთა განაწილება არის კიდევ არისტოტელეს მიხედვით სახელმწიფოს ნყოფა – აგებულება, მისი კონსტიტუცია. იმისდა მიხედვით, თუ

რომელი სოციალური ელემენტი სჭარბობს სახელმწიფოს სისტემაში და როგორ ინტერესებს მისდევენ და იცავენ მმართველნი, არისტოტელე იძლევა მმართველობის ფორმათა კლასიფიკაციასა და ტიპოლოგიას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ძირითად ფაქტორად, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოებრივი წყობის ფორმებს, არისტოტელე თვლის არა პროფესიონალურ, არმედ ქონებრივ განსხვავებას. ოლიგარქიასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სახელმწიფოს მართავენ მდიდრები, ხოლო დემოკრატიის დროს ღარიბები განაგებენ სახელმწიფოს. ამგვარად, არისტოტელე აცნობიერებს, რომ სახელმწიფო – ეს არის სოციალურად დანაწევრებული საზოგადოება, ადამიანთა გაერთიანება, რომლის წყობაც მმართველობის სისტემაში განისაზღვრება სოციალური დიფერენციაციით განპირობებულ ინტერესთა სიჭარბით.

მომდევნო პერიოდებში პოლიტიკისა და სახელმწიფოს სოციოლოგიური გაგების სხვადასხვა ასპექტი დაამუშავეს ჯერ პოლიბიოსმა, ხოლო შემდეგ ახალი დროის ისეთმა გამოჩენილმა თეორეტიკოსებმა, როგორებიც იყვნენ: ნ. მაკიაველი, ჟ. ბოდენი, ჯ. ჰარინგტონი, შ. მონტესკიე, დ. იუმი, თ. ჰობსი, ა. ტოკვილი და სხვ. მათ შემდგომ განავითარეს და საფუძვლიანად გაამდიდრეს პოლიტიკური მეცნიერება, რომლის საძირკველიც ჩაყრილი იყო არისტოტელეს მიერ „პოლიტიკაში“. სახელმწიფოსა და პოლიტიკის სოციოლოგიური გაგება განავრცო ნ. მაკიაველმა ხალხსა და დიდებულებს შორის უთანხმოებათა ფუნქციონალურობის იდეით, მედისონმა – პოლიტიკური ფრაქციულობის თეორიით, შ. მონტესკიემ – ზნეობის, როგორც პოლიტიკურ ფორმათა ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მნიშვნელოვანი ფაქტორის ანალიზით, ა. ტოკვილმა – „სოციალური დემოკრატიის“ ცნებით, იდეით იმის შესახებ, რომ მმართველობის ფორმა განისაზღვრება საკუთრების განაწილებით და რომ ქონების დაგროვებისა და ძალაუფლების მოპოვების ადამიანთა დაუოკებელი, ეგოისტური მისწრაფება გარდუვალად ბადებს ოლიგარქიას, რომელიც თავის ბატონობას ამყარებს.

შეიძლება ითქვას, რომ XVIII საუკუნის ბოლომდე სოციოლოგია, სახელმწიფოთმცოდნეობა, პოლიტოლოგია, პოლიტიკის ფილოსოფია ერთადაა შერწყმული და მათი გამიჯვნა, თითოეულის სპეციფიკის ჩვენებით, საკმაოდ ძნელი საქმეა. ამ სიძნელის ძირითადი მიზეზები სახელმწიფოსა და „სამოქალაქო“ საზოგადოებას შორის არსებული სხვაობის გაუცნობიერებლობა იყო. სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების პირველმა თეორიულმა განსხვავებამ ჯერ ჯ. ლოკის, ა. ფერგიუსონის, ფრანგი ენციკლოპედისტებისა და შემდგომ სენ-სიმონისა და გ. ჰეგელის მიერ, გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციოლოგიასა და საკუთრივ პოლიტიკის სოციოლოგიის წარმოშობასა და განვითარებაში. სწორედ აღნიშნულმა განსხვავებამ შექმნა წინამძღვრები პოლიტიკის გამოცალკევებისა და მისი, როგორც ცხოვრებისა და მეცნიერების შედარებით ავტონომიური სფეროს მეთოდოლოგიური განაზრებებისათვის. და რაც ყველაზე არსებითია, პოლიტიკური სოციოლოგიის ყოფნა-არყოფნის თვალსაზრისით, მოგვცა წინამძღვრები სოციალურ სფეროსთან ურთიერთობის ფონზე პოლიტიკის შესასწავლად. პოლიტიკის სოციოლოგიის ფუძემდებლად სამართლიანად



თვლიან: მ. ვებერს, ვ. პარეტოს, გ. მოსკას, მ. ოსტროგორსკის, რ. მიხელსს, ა. ბენტლის, ჩ. მერიამს, ე. ლასუელსა და სხვებს. სწორად მათ შემოქმედებაშია რეალიზებული პოლიტიკური სოციოლოგიის ეს წინამძღვრები. პოლიტიკური სოციოლოგიის განვითარებაში მთელ ეპოქას ქმნის მ. ვებერის მოძღვრება, რომლის კონცეფცია ბატონობისა და ძალაუფლების თანაფარდობის, სახელმწიფოთა ტიპოლოგიის, „ბიუროკრატიისა“ და „პლებისციტური დემოკრატიის შესახებ“ დღესაც საფუძვლად უდევს პოლიტიკის აქტუალური პრობლემების სოციოლოგიურ შესწავლას, პოლიტიკის სოციოლოგიაში ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას.

პოლიტიკური სოციოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა გ. მოსკას „პოლიტიკური კლასის“ კონცეფციამ, რომლის მიხედვითაც ყოველ ეპოქაში ძალაუფლების განხორციელება მუდამ განსაკუთრებული კლასის კომპეტენციაა, რომლის ელემენტები შეიძლება იცვლებოდეს ყველაზე განსაკუთრებული ვარიანტებითაც კი, საუკუნისა და ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკის გათვალისწინებით, მაგრამ როგორი ფორმითაც უნდა ყალიბდებოდეს ეს კლასი, მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის გვევლინება როგორც უმნიშვნელო უმცირესობა მის მიერ დაქვემდებარებულ მართულთა, ქვეშევრდომთა მთელი მასის წინააღმდეგ. გ. მოსკას აზრით, საზოგადოების დაყოფა მმართველებად და მართულებად მარადიულია და მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია განვითარების ნებისმიერ დონეზე მდგარი საზოგადოებისათვის, დაწყებული ცივილიზაციის ჩანასახიდან და დამთავრებული მაღალგანვითარებული ცივილიზაციის მქონე საზოგადოებით. ეს კლასებია მმართველთა და მართულთა (მორჩილთა) კლასი. ამასთან, პირველი, რომელიც მუდამ მცირერიცხოვანია, ახორციელებს ყველა პოლიტიკურ ფუნქციას, ახდენს ძალაუფლების მონოპოლიზაციასა და სარგებლობს მისთვის დამახასიათებელი უპირატესობით. მაშინ, როდესაც მეორე, რომელიც რიცხოვნობით მეტია, იმართება პირველთა მიერ მეტ-ნაკლები კანონიერებით ან თვითნებობითა და ძალადობით და აძლევთ მათ, თუნდაც მოჩვენებითად, არსებობის საშუალებას, რომელიც აუცილებელია პოლიტიკური ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად. მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით: „ყველა იმ საზოგადოებაში, რომელმაც მიაღწია განვითარებისა და კულტურის გარკვეულ დონეს, პოლიტიკური ხელმძღვანელობა, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით, რომელიც შეიცავს ...ადმინისტრაციულ, სამხედრო, ეკონომიკურ და მორალურ ხელმძღვანელობას, მუდამ ხორციელდება განსაკუთრებული, ე.ი. ორგანიზებული უმცირესობის მიერ“ (143, გვ. 24)

პოლიტიკური სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის ვ. პარეტოს მოძღვრებას ელიტათა ცირკულაციის შესახებ. მან დიდი ყურადღება დაუთმო მმართველი კლასის განახლების პრობლემას. იგი აღნიშნავდა, რომ კლასთა ცირკულაციის წყალობით, მმართველი ელიტა ყოველთვის იმყოფება ნელი და მუდმივი ტრანსფორმაციის მდგომარეობაში. ელიტარული თეორიის ერთ-ერთ ძირითად დასკვნას წარმოადგენდა შეხედულება,

რომ პოლიტიკურ რეჟიმთა როგორც არისტოკრატიული, ისე დემოკრატიული ტენდენციები არსებითად ოლიგარქიული ხასიათისაა; რომ ტენდენციისა და პრინციპების ყოველგვარი კომბინაციის საბოლოო შედეგია ძალაუფლების მუდამ ოლიგარქიის ხელში ყოფნა. გ. მოსკასა და ვ. პარეტოს ნაშრომებში დაისვა პოლიტიკური ძალაუფლების სტრუქტურის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა, ყურადღება მიექცა ძალაუფლების ყოველგვარი ფორმის რეალიზაციის ჯგუფობრივ ხასიათს, მისი ფუნქციონირების პირობების მექანიზმის ანალიზს; მათი უდავო დამსახურებაა ძალაუფლების სამართლებრივი კატეგორიის გვერდით ძალაუფლების პოლიტიკურ-სოციოლოგიური კატეგორიის გამოვლენა.

თანამედროვე პოლიტიკური სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რ. მიხელსის ნაშრომმა „პოლიტიკური პარტიების სოციოლოგია დემოკრატიის პირობებში. ლაიფციგი 1911წ.“ და მისმა დასკვნამ „ოლიგარქიის რკინის კანონის შესახებ“. რ. მიხელსის თეორიულ შეხედულებებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საპარლამენტო დემოკრატიის იდეოლოგიისა და ინსტიტუტების კრიზისი. ამ თეორიის მთავარი მიზანია – დემოკრატიის პრინციპთა პრაქტიკული განხორციელების შეუძლებლობის დასაბუთება, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციების იმანენტური მახასიათებლებისა და მასობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებში – პარტიებში, პროფკავშირებში, ჯგუფებში და ა.შ. „ოლიგარქიული ტენდენციების“ არსებობის გათვალისწინებით. პოლიტიკის სოციოლოგიის განვითარების თვალსაზრისით საინტერესოა მიხელსის ცდა – დაადგინოს მასობრივ დემოკრატიულ ორგანიზაციებში ძალაუფლების სტრუქტურათა სტრატეგიკაციის მიზეზობრივი ფაქტორები. მისი აზრით, „დემოკრატიის განხორციელების ხელის შემშლელ – დამაბრკოლებელ ტენდენციათა კომპლექსი ძნელად ექვემდებარება სისტემატიზაციას. ეს ტენდენციები ძევს: 1. ადამიანური ბუნების არსებაში; 2. პოლიტიკური ბრძოლის არსებასა და 3. ორგანიზაციათა არსებაში. დემოკრატია მიდის ოლიგარქიამდე, იქცევა ოლიგარქიად. ამ თეორიის წამოყენებისას ჩვენ შორს ვართ იმისაგან, რომ მსჯავრი დავდოთ ან მორალურად გავკიცხოთ რომელიმე პარტია ან რეჟიმი. ყოველი სოციოლოგიური კანონის მსგავსად, კანონი, რომელიც გამოხატავს ყოველგვარი ადამიანური გაერთიანების მისწრაფებას იერარქიის ფორმისაკენ, დგას სიკეთისა და ბოროტების მიღმა მხარეს“ (143, გვ 19).

პოლიტიკის, საკუთრივ სოციოლოგიურ ანალიზს, მიხელსთან წინ უსწრებს პოლიტიკური ისტორიის მეტაფიზიკური კონცეფცია, რომელიც დაფუძნებულია გაბატონებულ კლასთა ცვლის პროცესში, დამოუკიდებლად ამ კლასთა წარმოშობისა და განვითარებისაგან, „არისტოკრატიის პრინციპის“ შენარჩუნებისა და მოდიფიკაციის იდეაზე. რ. მიხელსს მიაჩნდა, რომ დემოკრატიის პირობებში „გაბატონებული კლასის“ მოქმედება განისაზღვრება პოლიტიკურ პროცესებზე „მასების“ ზემოქმედებით. „მასების“ კატეგორიას მის კონცეფციაში უპირატესად ფსიქოლოგიური შინაარსი აქვს, რამდენადაც აღწერს არა ბურჟუაზიული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას, არამედ იმ ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია „მასო-

ბრივი ადამიანის“ გვარეობითი ტიპისათვის. ამ თვისებებს მიხედს აკუთვნებს პოლიტიკურ ინდიფერენტულობას – არაკომპეტენტურობას, ხელმძღვანელობის მოთხოვნილებას, ბელადების მიმართ მოწინების გრძობას, ლიდერთა თაყვანისცემის მოთხოვნილებას, ჯოგურობას, ანუ პიროვნების ნიველირებას და ა.შ. რ. მიხედს ავტორიტეტი თანამედროვე სოციოლოგიაში განპირობებული იმით, რომ პოლიტიკის ის ძირითადი პრობლემები, რომელთა ამოხსნასაც ცდილობდა იგი (პოლიტიკური ელიტა, პარტიები, ბიუროკრატია და სხვა), დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა შორის და მიხედს ისეული სოციოლოგიური ანალიზი შემდგომ სტიმულს აძლევს მათ ამ რთული პრობლემის კვლევის საქმეში.

პოლიტიკური სოციოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა ისეთი რეალური პოლიტიკური მოვლენების კონკრეტულმა ანალიზმა, როგორცაა სახელმწიფოს მართვის სისტემის სხვადასხვა განშტოებას შორის შეჯიბრი-პაექრობა, საზოგადოებრივი აზრი და მისი გავლენა პოლიტიკაზე, პოლიტიკურ პროცესზე დაინტერესებულ ჯგუფთა ზემოქმედება და ა.შ. აქ უკვე საჭირო იყო იმ დისციპლინაზე დაყრდნობა, რომელიც რეალურ სოციალურ პროცესებსა და სტრუქტურებს სწავლობდა. ეს კი სოციოლოგიური მიდგომის გარეშე შეუძლებელი იყო. სახელმწიფოებრივი მართვისა და მის საქმიანობაზე მოქმედი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების ანალიზისადმი ახალი მიდგომა, პოლიტიკისა და პოლიტიკური ქცევის ემპირიული კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგიისა და თეორიის შემუშავების მცდელობა ყველაზე ნათლად და ნაყოფიერად გამოვლინდა ა. ბენტლის შემოქმედებაში.

სახელმწიფოებრივი მართვის პროცესის შესწავლის ბენტლისეული მიდგომისა და თეორიის საფუძველში დევს ადამიანთა საქმიანობის ცნება, რომელიც განსაზღვრულია მათი ინტერესებით და მიმართულია ამ ინტერესთა უზრუნველყოფაზე. საქმიანობის ცნება ბენტლისათვის ინტეგრალური კატეგორიაა, „ნედლეულია“ სახელმწიფოებრივი მმართველობის საქმეში, რომლის ქვეშაც მას ესმის თანამედროვე საზოგადოების მთელი პოლიტიკურ-მმართველობითი სისტემა, ინსტიტუტებისა და ელემენტების ურთიერთქმედება. მიზნების მისაღწევად მებრძოლ ადამიანთა საქმიანობა ხორციელდება არა ინდივიდუალურად, არამედ ჯგუფთა მეშვეობით, რომლებშიც ისინი გაერთიანებული არიან ინტერესთა საფუძველზე და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათი საქმიანობის ხასიათით. ამიტომ ჯგუფს ბენტლი განიხილავს როგორც მასობრივ ადამიანურ საქმიანობას. ინდივიდუალურ იდეებს, შეხედულებებს, იდეოლოგიას მთლიანად, პიროვნებასა და მის შემოქმედებას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ჯგუფის საქმიანობის კონტექსტში და მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ ზომით, რა ზომითაც ისინი გვეხმარებიან ჯგუფური ქცევის ნიმუშთა განსაზღვრაში. ბენტლის მიხედვით, ინტერესების გარეშე შეუძლებელია ჯგუფის არსებობა. ჯგუფის ინტერესი, რომელიც აუცილებელია მისი იდენტიფიკაციისათვის, განისაზღვრება არა ზეპირი რიტორიკით, პროგრამებითა და განცხადებებით მისი მიზნების

თაობაზე, არამედ ჯგუფის ფაქტობრივად დაკვირვებადი საქმიანობით, ნევრთა მოქმედებითა და ქცევით.

დაინტერესებულ ჯგუფთა საქმიანობა ერთმანეთთან მიმართებაში ბენტლის მიერ განიხილება როგორც მუდმივად ცვალებადი პროცესი, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება მათ მიერ განსახიერებელი საზოგადოებრივ ძალთა ზემოქმედება მთავრობაზე ერთადერთი მიზნით – აიძულონ იგი დაემორჩილოს ამ ძალთა ნებას. ამ პროცესში ძლიერი ჯგუფები დომინირებენ, იქვემდებარებენ და აიძულებენ მორჩილებას უფრო სუსტებს, ხოლო თვით სახელმწიფოებრივი მმართველობა თავის თავში მოიცავს კონფლიქტთა ადაპტაციას, მონესრიგებას, მოპაექრე ჯგუფებს შორის წონასწორობის მიღწევას. „სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა მოვლენა, – წერდა იგი, – არის ჯგუფების მოვლენა, რომლებიც ცდილობენ ერთმანეთის დაქვემდებარებას, ერთმანეთის წარმოქმნას და ახალი ჯგუფებისა და ჯგუფის წარმომადგენელთა გამოყოფას საზოგადოებრივ შეთანხმებებში შუამავლობისათვის“ (143, გვ. 67). აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი მმართველობის ანალიზი უნდა დაეფუძნოს ურთიერთზემოქმედების რეზულტატთა ემპირიულ დაკვირვებებს და შეფასებებს შესაბამის სოციოლოგიურ კონტექსტში. „და მხოლოდ მაშინ, – წერდა ბენტლი, – როდესაც ჩვენ... გამოვხატავთ მთელ პროცესს საზოგადოებრივ ჯგუფურ ურთიერთობებში მხოლოდ მაშინ, მივუახლოვდებით სახელმწიფოებრივი მმართველობის დამაკმაყოფილებელ გაგებას“ (იქვე).

ასევე დიდი ზეგავლენა იქონია პოლიტიკის სოციოლოგიის განვითარებაზე ა. ბენტლის მოწოდებამ დაეთმოთ პირველხარისხოვანი ყურადღება სახელმწიფოებრივი მმართველობის იმ ინსტიტუტთა და რგოლთა ემპირიული შესწავლისათვის, რომლებსაც საქმე აქვს გადანყვეტილების ფორმალურ მიღებასა და იძულებასთან – უწინარეს ყოვლისა, ეს ორგანოებია: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო-ადმინისტრაციული, რადგან ისინი ყველაზე უფრო მისადაგომია დაკვირვებისათვის. იგივეს მოითხოვს იგი პოლიტიკური პროცესებისა და ზენოლის სხვა ორგანიზაციულ ჯგუფთა მიმართაც. მაგრამ, რადგან ბენტლის სამართლიანი შენიშვნით, სახელმწიფოს მმართველობა არ არის მხოლოდ ინსტიტუციონალურ სტრუქტურათა ნაკრები, არამედ უფრო რთული პროცესია, მაშინ ასევე აუცილებელია ემპირიულად ვიკვლიოთ უფრო ნაკლებად ფორმალური, ნაკლებშესამჩნევი ჯგუფები და ფარული გარემოებანი, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ პროცესებზე. იგი სწორად ფიქრობდა, რომ ჯგუფობრივ კონფლიქტთა უმრავლესობა წყდება არა დაკვირვებადი ოფიციალური მართვის დონეზე, არამედ მრავალრიცხოვან ჯგუფებსა და ქვეჯგუფებს შორის მეტოქეობის, ადაპტაციისა და რეგულირების ფარულ პროცესში. ამრიგად, ა. ბენტლი ის მოაზროვნეა, რომელიც მოითხოვს პოლიტიკის სოციოლოგიური ანალიზისას არა მხოლოდ არაფორმალურ ორგანიზაციათა და ჯგუფთა მოქმედების ემპირიულ შესწავლას, არამედ ფორმალური პოლიტიკური ორგანიზაციებისა და მმართველობის ოფიციალური ორგანოებისაც, რამეთუ მთლიან პოლიტიკას მხოლოდ მათი თანაარსებობა და მეტოქეობა

განაპირობებს. ჯგუფური ზენოლის, პოლიტიკური პარტიის ლიდერობისა და საზოგადოებრივი აზრის ბენტლისეულმა სოციოლოგიურმა ანალიზმა და განსაკუთრებით მისმა შეხედულებამ მართვაზე, როგორც პროცესზე, სამართლიანად დაუმკვიდრეს მას პოლიტიკის სოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი.

ზემოთ მოტანილი ანალიზი იმის ნათელი დადასტურებაა, რომ პოლიტიკის სოციოლოგიაში გადამწყვეტი როლი სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებამ შეასრულა. მაგრამ, რამდენადაც პოლიტიკას სწავლობდა არა მხოლოდ სოციოლოგია, არამედ პოლიტიკის მეცნიერება, ანუ პოლიტოლოგია, რომელიც არანაკლებ ითვისებს პოლიტიკის კვლევის ემპირიულ და სოციოლოგიურ მეთოდებსა და მიდგომას, ამდენად, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ამ ორი დისციპლინის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას, მით უფრო, რომ მათ აიგივებენ კიდევ. ასეთი გაიგივება კი გამონეუულია იმით, რომ პოლიტიკის სოციოლოგია ყალიბდება სოციოლოგიის განვითარებასთან მჭიდრო კავშირში და პოლიტიკურ მეცნიერებასთან მეტოქეობასა და ურთიერთგავლენაში. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურ სოციოლოგიას ორი წინამორბედი ჰყავს: საკუთრივ სოციოლოგია და პოლიტიკური მეცნიერება. სწორედ ამის გამო დასაწყისში, პოლიტიკის სოციოლოგია გამოვიდა როგორც მეცნიერული ცოდნის დარგი, რომელიც ერთმანეთს უკავშირებდა ამ ორი დისციპლინის პრობლემათიკასა და მიდგომის წესებს.

პოლიტიკური სოციოლოგიის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა პოლიტიკური სოციოლოგებისა და სოციოლოგიურად ორიენტირებული პოლიტოლოგების პოზიციათა დაახლოებამ. ამ დაახლოების მიუხედავად, მათი კამათი პოლიტიკური სოციოლოგიის საგნის შესახებ და პოლიტიკურ სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიას შორის გამიჯვნის თაობაზე დღესაც არ შეწყვეტილა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „ინსტიტუციონალურად“ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებული მეცნიერული სისტემებია. პოლიტიკური სოციოლოგიის საგნის შესახებ კამათის დაუსრულებლობას მონიშნავს ის ფაქტი, რომ სოციოლოგებმა წამოაყენეს რა ეს ტერმინი ახალი დისციპლინის აღსანიშნავად, რომელიც თავის თავში აერთიანებდა პოლიტიკის შესახებ სოციოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ და პოლიტოლოგიურ ცნებებსა და კვლევის მეთოდებს, საბოლოოდ მაინც ვერ გადაწყვიტეს მისი გამოყენების მართლზომიერების საკითხი. მის აღსანიშნავად იყენებენ მრავალ ტერმინს, როგორცაა: „პოლიტიკური სოციოლოგია“, „პოლიტიკური ფილოსოფია“, „პოლიტიკური მეცნიერება“, „ძალაუფლების სოციოლოგია“ და სხვა. ზოგი სოციოლოგი კი საერთოდ თავს იკავებს ამ ტერმინების გამოყენებისაგან, რომლებიც პოლიტიკას მეცნიერებასთან აკავშირებს, რამეთუ პოლიტიკის მეცნიერებად ქცევის შესაძლებლობას ნიჰილისტურად უყურებენ. მაგრამ მოაზროვნეთა უმრავლესობა შესაძლებლად მიიჩნევს პოლიტიკური მოვლენების, როგორც მეცნიერული შესწავლის ობიექტის განხილვასა და პოლიტიკური ძალაუფლების შემსწავლელი დისციპლინის მეცნიერებად ქცევას. გარდა ამისა,

უთანხმოება შეიმჩნევა იმ საკითხის გადაჭრაშიც, თუ რომელი საზოგადოებრივი დისციპლინა უნდა ასრულებდეს პოლიტიკის კვლევის სპეციალურ ფუნქციას. ეს საკითხი საინტერესოა იმიტომაც, რომ მასში ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ იმას, თუ რომელ საზოგადოებრივ დისციპლინას დავაკისროთ პოლიტიკის შესწავლა, არამედ პოლიტიკური სოციოლოგიის თვით საგანსაც კი. შეუძლებელია არ ვაღიაროთ, რომ პოლიტიკა მრავალი მეცნიერების ინტერესის საგანია. მათ შორის ისეთისა, როგორიცაა: ისტორია, სამართალმცოდნეობა, პოლიტიკური ეკონომია, ზოგადი სოციოლოგია და ა.შ. ამიტომ მკვლევართა ერთ ნაწილს პოლიტიკური სოციოლოგია მიაჩნია მთავარ და წამყვან დისციპლინად პოლიტიკურ მეცნიერებათა სისტემაში, მაგრამ ავტორთა უმრავლესობა ცდილობს იპოვოს პოლიტიკური სოციოლოგიისათვის კვლევის საკუთარი, სპეციფიკური სფერო, რაც, მათი აზრით, სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დისციპლინებიდან მისი გამიჯვნის საშუალებას მოგვცემდა.

თანამედროვე დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებასა და სოციოლოგიაში ყველაზე ძნელი პრობლემაა პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტიკური ფილოსოფიის გამიჯვნა. ამის შესახებ კარგად მიუთითა ა. დიმიტრიევმა ნაშრომში „აშშ-ს პოლიტიკური სოციოლოგია“, იგი შენიშნავს, რომ პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სპეციალისტი, რომელიც ყველაზე ხშირად იყენებს ამ ტერმინს, საიმურ ლიპსეტიც კი თავის ნაშრომებში აანალიზებს პოლიტიკის ფილოსოფიურ პრობლემებს. ცხადი ხდება, რომ „თუმცა დასავლურ ფილოსოფიაში კი არსებობს რუბრიკა „პოლიტიკური ფილოსოფია“, მაგრამ ნათელი განსხვავების წარმოჩენა მოცემული გვარის გამოკვლევებსა და საკუთრივ პოლიტიკურ-სოციოლოგიური ხასიათის შრომებს შორის საკმაოდ ძნელია“ (61, გვ. 15). ყოველივე ეს არა მხოლოდ მათ შორის განსხვავების დადგენის სიძნელეზე მიუთითებს, არამედ იმაზეც, რომ ყოველი სოციოლოგიურ-პოლიტიკური კონცეფცია, თვით ფილოსოფიური ნიჰილიზმის პირობებშიც კი, დაკავშირებულია ამა თუ იმ ფილოსოფიურ მიმდინარეობასთან – პოზიტივიზმთან, ნეოპოზიტივიზმთან, ეგზისტენციალიზმთან, სტრუქტურალიზმთან და სხვა.

პოლიტიკური სოციოლოგიისა და ე.წ. პოლიტიკური მეცნიერების, ანუ პოლიტოლოგიის გამიჯვნის საკითხიც ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაჭრაში პოლიტიკური სოციოლოგიის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრები გამოყოფენ ორ ძირითად მიმართულებას. ა. დიმიტრიევის თქმით, მკვლევართა ერთი ჯგუფი ამტკიცებს, რომ არსებობს მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერება, რომელიც თავის განვითარების შესაბამისად უახლოვდება სოციოლოგიას და, ამდენად, გვევლინება როგორც „სოციოლოგიზებული“ პოლიტიკური მეცნიერება. მკვლევართა მეორე ჯგუფი კი თვლის, რომ პოლიტიკური სოციოლოგია დამოუკიდებელი დისციპლინაა, რომელიც არსებობს პოლიტიკური მეცნიერების გვერდით.

პოლიტიკური მეცნიერების პირველი ინტერპრეტაციის მომხრენი: ა. გრაცია, კ. დოიჩი, დ. ისტონი, გ. მორგენტაუ, ვ. ვან დაიკი, მ. დიუვერჟე, მ. ბიურდო,

ო. შტამერი და სხვები ცდილობენ განსაზღვრონ ამ მეცნიერების საგანი, როგორც წესი, რომელიმე კერძო პოლიტიკური მეცნიერების განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე. ყველაზე ზოგადი სახით სოციოლოგიისადმი დაახლოებული პოლიტიკური მეცნიერების საგნის განსაზღვრებას იძლევა ვერნონ ვან დაიკი, რომელიც პოლიტიკის არსის ფართო გაგებისა და შესაბამისად პოლიტიკური მეცნიერების ფართო დიაპაზონის მომხრეა. რაც შეეხება პოლიტიკური მეცნიერების საგნის გაგებას, ყველაფერი, მისი აზრით, დამოკიდებულია მიდგომაზე. არსებობს პოლიტიკის შესწავლის „გეოგრაფიული“, „ინსტიტუციური“, „ფილოსოფიური“, „ეკონომიკური“ მიდგომების გვერდით სოციოლოგიური მიდგომა, რომლის თავისებურებაც იმაში გამოიხატება, რომ სოციოლოგები „სწავლობენ ადამიანურ მოქმედებას, მათ შორის, პოლიტიკურ მოქმედებასაც, სოციალურ გარემოცვასთან მიმართებაში“ (61, გვ. 17). პოლიტიკური მოქმედება, პოლიტიკური ურთიერთობანი და პოლიტიკური დანესებულებანი ასევე შედის სოციოლოგიის სფეროში მოქმედების, ურთიერთობებისა და პოლიტიკური დანესებულებების სხვა სახეთა გვერდით. ამიტომ, დაასკვნის ვან დაიკი, პოლიტიკური მეცნიერება ისევე გადაკვეთს სოციოლოგიას, როგორც ისტორიასა და პოლიტეკონომიას. არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური მეცნიერება სწავლობს პოლიტიკას და მაშასადამე, შესწავლის საგანი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შინაარსია ჩადებული ტერმინში „პოლიტიკა“. თვით ვან დაიკი თავს თვლის ედვარდ ბენფილდის მომხრედ, რომელმაც წამოაყენა იდეა „მოქმედების სუბიექტთა“ შესახებ. მისი ძირითადი არსი ისაა, რომ პოლიტიკა გაგებულია როგორც მოქმედების სუბიექტთა ბრძოლა. რა თქმა უნდა, ამ განსაზღვრებას საერთო არაფერი აქვს პოლიტიკის, როგორც საზოგადოებაში ძალაუფლებისათვის კლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული ფორმის მარქსისტულ გაგებასთან. ვან დაიკს არ სურს გაიგოს პოლიტიკა, როგორც კონფლიქტთა სფერო: „თუ გავამახვილებთ ყურადღებას პოლიტიკაზე, როგორც უთანხმოებათა და კამათთა სფეროზე, მაშინ მივიღებთ, რომ მთავრობის აქტივობის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება პოლიტიკის მეცნიერების შესწავლის საზღვრებს მიღმა“ (იქვე). აქ სიძნელე ისაა, რომ შეიძლება თუ არა, პატარა ქალაქის მუნიციპალიტეტის საქმიანობა განისაზღვროს როგორც პოლიტიკური, რამეთუ არჩევნები მუნიციპალიტეტში მშვიდად, ყოველგვარი კონფლიქტების გარეშე მიმდინარეობს, ხოლო საბჭოს გადანყვეტილებები ერთსულოვნად მიიღება.

მეორე იდეოლოგიურ სიძნელეს იმათთვის, ვინც მიიჩნევს, რომ პოლიტიკა უპირატესად უთანხმოებათა სფეროა, პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ უთანხმოებათა გამიჯვნა წარმოადგენს. მაგალითად, თუ არსებობს უთანხმოება მართლმსაჯულებასა და დამნაშავეს შორის, მაშინ შეიძლება არსებობდეს საფუძველი ამ უთანხმოებას პოლიტიკური ენოდოს, თუ იგი სამართალმცოდნეობას უნდა მიეკუთვნოს? როგორც ა. დიმიტრიევი აღნიშნავს, ვან დაიკი და ამ მიმართულების სხვა წარმომადგენლები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პასუხს არ იძლევიან, თუმცა კი თვლიან, რომ სოციოლოგიზებულმა

პოლიტიკურმა მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს „ზოგადი“, „პერსპექტიული“ და „აქტუალური“ უთანხმოებანი. ამგვარ უთანხმოებათა რიგს ისინი ჩვეულებრივ მიაკუთვნებენ ომს, რამეთუ, მათი აზრით, აქ აშკარაა ბრძოლა „მოქმედების სუბიექტებს“ შორის, რომლებიც კონფლიქტური მიზნებით ხელმძღვანელობენ. ამასთან დაკავშირებით, ისინი მოითხოვენ პოლიტიკის მეცნიერების საგნის გაფართოებას სამხედრო პოლიტიკისა და სამხედრო სტრატეგიის ზოგადი პრობლემების ჩართვით. გარდა ამისა, ამ მიმართულებაში გაჩნდა აზრი იმის შესახებ, რომ პოლიტოლოგიამ უნდა შეისწავლოს რევოლუციები და ამბოხებებიც. ძირითადი არგუმენტი, რომელიც მას მოჰყავს პოლიტოლოგიის საგნის გაფართოების სასარგებლოდ, შემდეგში მდგომარეობს: „ზოგიერთი აჯანყება, – წერს იგი, – წარმოადგენს ბრძოლაში „მოქმედების სუბიექტთა“ საქმიანობას და ყველა სამოქალაქო ომი და რევოლუცია ამ კატეგორიას ეხება. ვფიქრობ, რომ ჩვენს მიერ ამ საგნის ათვალწუნება უნდა განვიხილოთ როგორც დაუდევრობა. ისინი, ვინც სწავლობენ ჩვენი კონსტიტუციის დებულებებს ან ჩვენს სამთავრობო ღონისძიებებს, გამოკვლევების გარეშე ტოვებენ აჯანყებებსა და რევოლუციებს. მე კი მსურს შევნიშნო, რომ აჯანყებებსა და ამბოხებებთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება დავსვათ ისე, რომ გამოვინვიოთ სტაბილური და ეფექტური მთავრობის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების ხელშემწყობი პირობების გამოკვლევის აუცილებლობა“ (61, გვ. 19).

გარდა ამისა, ვან დაიკი ცდილობს პოლიტიკური მეცნიერების საგანში ჩართოს სახელმწიფოებრივი და სამოქალაქო სამართლის, საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის მთელი რიგი საკითხები. ვან დაიკი მართალია, შენიშნავს ა. დიმიტრიევი, როდესაც წერს, რომ პოლიტიკური მეცნიერების საგანი დამოკიდებულია იმ განსაზღვრებაზე, რომელსაც აძლევენ პოლიტიკას. მაგრამ რამდენადაც პოლიტიკის განსაზღვრება მეტისმეტად მრავალრიცხოვანი და მრავალპლანიანია, ამდენად, შეუძლებელია ვილაპარაკოთ პოლიტიკური სოციოლოგიის რაღაც მკაცრად განსაზღვრულ საგანზე და ამას მრავალი პოლიტოლოგი და სოციოლოგი აღიარებს.

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც სოციოლოგიზებული პოლიტიკური მეცნიერების ინტერესის საგანია მთავრობა და მისი საქმიანობა. პოლიტიკური მეცნიერების ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოებრივი საქმიანობის ის სფეროზე, რომელიც ხორციელდება მთავრობის მიერ და მთავრობის სწორედ იმ ნაწილის მიერ, რომელიც ამ საქმიანობას მისდევს კანონის მეშვეობით. ამიტომ ისინი გვთავაზობენ შევზღუდოთ პოლიტიკური მეცნიერების საგანი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრებით. სახელმწიფოს ფენომენტან პოლიტიკური მეცნიერების დამაკავშირებელი თეორიტიკოსები თვლიან, რომ მისი შესწავლის ობიექტს წარმოადგენს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება. ამიტომ ორივე დოქტრინის – სახელმწიფოებრივის, ერთი მხრივ, და პოლიტიკური სოციოლოგიის, მეორე მხრივ – მომხრეთა უთანხობა დაიყვანება ძალაუფლების, როგორც პოლიტიკური მეცნიერების ობიექტისა და თვით ძალაუფლების ობიექტის შესახებ საკითხებზე.



პოლიტოლოგიზებულად წარმართული პოლიტიკური სოციოლოგიის თავისებურ და საინტერესო კონცეფციას ამუშავებს გერმანელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი ოტო შტამერი. მისი აზრით, „პოლიტიკური სოციოლოგია კვლევის საგნად აქცევს სახელმწიფოს, როგორც ბატონობის ორგანიზებულ კავშირს სოციალურ წესრიგთან მიმართებაში“. შტამერის აზრით, პოლიტიკურ სოციოლოგიას თავის საფუძველში საქმე აქვს საკითხთა ორ განსხვავებულ კომპლექსთან: „1. სახელმწიფოსთან, როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ კავშირთან განსაზღვრულ ისტორიული საზოგადოების პირობების ფარგლებში (ამ მიმართულებით მას შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოს სოციოლოგია. დღეს სახელმწიფოს სოციოლოგია ერთდროულად წარმოადგენს როგორც პოლიტიკური სოციოლოგიის, ისე პოლიტიკური მეცნიერების შემადგენელ ნაწილს); 2. მეორე მხრივ, პოლიტიკური სოციოლოგია უნდა გავიგოთ როგორც თვით პოლიტიკა, როგორც სახელმწიფოზე საზოგადოების გავლენის ხელოვნება, ტექნიკა და თვით სახელმწიფოს სოციალური გადაწყვეტილებების სფერო. ამავე დროს, ნათელია, რომ სახელმწიფო და პოლიტიკა უშუალო კავშირურთიერთობებსა და ზემოქმედებაში იმყოფებიან“ (ციტ. 143, გვ. 303).

ოტო შტამერი აღნიშნავს დღევანდელ პირობებში საზოგადოებისაგან სახელმწიფოს გამოყოფის სიძნელებს. თანამედროვე სახელმწიფო, – წერს იგი, – მის ისტორიულ ინდივიდუალურ ფორმაში, როგორც ბატონობის სუვერენული, ორგანიზებული, პოლიტიკური კავშირი უნდა გავიგოთ ყველა ნორმათა, მოქმედების სახეთა პოლიტიკურ ნებელობასა და გადაწყვეტილებებზე გავლენის მომხდენ ინსტიტუტთა, ჯგუფთა მხოლოდ და მხოლოდ სტრუქტურულ და მოქმედ კავშირში. სახელმწიფო უშუალო მიმართებაშია ერთობლივი არსებობის პოლიტიკურ წესრიგთან, შეადგენს ბატონობის პოლიტიკური ორგანიზაციის ბირთვის და თავის უმაღლეს ორგანოებში უზენაესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების ფორუმი და არენაა. საზოგადოებასთან მიმართებაში ოტო შტამერი გამოყოფს სახელმწიფოს სამ ფუნქციას: 1. წესრიგის უზრუნველყოფა; 2. ბატონობის განხორციელება, 3. საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების წარმართვა, სახელმწიფოს ბატონობის სპეციფიკური სტრუქტურა და მისი პოლიტიკური ფუნქციები ურთიერთზემოქმედების ორგანიზმის სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონე გარე – სახელმწიფოებრივ ელემენტებთან. ამგვარად, ოტო შტამერის მიერ პოლიტიკური სოციოლოგია გაგებულია ვიწრო და ფართო აზრით. ესაა სახელმწიფოებამცოდნეობად ორიენტირებული პოლიტიკური სოციოლოგია, რომელიც მ. ვებერის სოციოლოგიის დიდ გავლენას განიცდის.

ო. შტამერი ზომიერებას იჩენს სახელმწიფოს სოციალური როლის საკითხში. მისი აზრით, სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია ისაა, რომ მის მიერ შექმნილი სამართლებრივი წესრიგისა და ბატონობის აპარატის დახმარებით უზრუნველყოს არსებული საზოგადოებრივი წესრიგი. მეორე მხრივ, – ამტკიცებს იგი, – საზოგადოებრივ სოციალურ ძალებს შეუძლია ზემოქმედება სახელმწიფოზე და მთელი საზოგადოებრივი წესრიგის შეცვლა თვით სახელმწიფოებრივი ძა-

ლაუფლების დახმარებით ან ძალაუფლების სტრუქტურებში მონაწილეობით, ან მათზე გარედან ორგანიზებული მოქმედების გზით. შესაბამისად, პოლიტიკური სოციოლოგია, ერთი მხრივ, უნდა ისწავოდეს, რათა შეისწავლოს საზოგადოების ეკონომიკურ-სოციალური სტრუქტურა, ხოლო, მეორე მხრივ – სახელმწიფოს ორგანიზებული სტრუქტურა განვითარებული დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპთა თვალსაზრისით. ეს პრინციპები შეიცავს ხალხის ნების წარმომადგენლობას, რომელიც შედგება ჯგუფურ ნებათა ერთობლიობისაგან და პიროვნული თავისუფლების სფეროში სახელმწიფოს არამართლზომიერი ჩარევის წინააღმდეგ ინდივიდის უფლებათა გარანტიების დაცვას ემსგავსება. ამგვარად, დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკურ-სოციალურ კონცეფციას წინ უსწრებს დემოკრატიული საზოგადოების კონცეფცია. სწორედ აქ ჩანს სოციოლოგიის მადომინირებელი როლი სხვა პოლიტიკურ მეცნიერებებთან მიმართებაში. მაგალითად, ოტო შტამერი თვლის, რომ პოლიტიკურმა სოციოლოგიამ უნდა შეასრულოს „კრიტიკული ფუნქცია“. მან უნდა მიუთითოს, რომ ბიუროკრატიული დარღვევები და დამახინჯებები სახელმწიფოებრივ მმართველობაში საჭიროა აღმოიფხვრას საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით, პარლამენტისა და მთავრობის აქტიური კონტროლით, სახელმწიფო მოხელეთა და მოსამსახურეთა სწორი აღზრდით.

ამგვარად, პოლიტიკური სოციოლოგიის სპეციფიკური ინტერესი მიმართული ყოფილა დემოკრატიის პრობლემის სოციოლოგიურ საფუძველზე. დემოკრატია კი, – ამტკიცებდა იგი, – შეუძლებელია გავიგოთ უმრავლესობის ნების წარმოქმნისა და არჩევითი აქტის მეშვეობით ამორფული საყოველთაო სახალხო ნების სახელმწიფოებრივ ნებაზე გადატანის აზრით. დემოკრატიაში პოლიტიკური ნების გამოვლენა ხორციელდება საზოგადოებასა და სახელმწიფოში არსებულ მრავალხარისხოვან შეთანხმებულ ფილტრთა მეშვეობით. დემოკრატიულ სახელმწიფოში, – აღნიშნავს იგი, – ხალხის საერთო ნება გამომდინარეობს იმ მრავალრიცხოვანი ურთიერთობიდან, რომლებიც არსებობს სახელმწიფოს მოქალაქეთა და სახელმწიფოს წარმომადგენლებს შორის, თანაც ისე, რომ ეს ურთიერთობანი მუდამ ახლდება. ჯგუფები, ფენები, კლასები და პარტიები, მმართველობითი ორგანოები ასევე წარმოადგენენ პოლიტიკური ნების წარმოქმნისა და გამოხატვის მამოძრავებლებს საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ამიტომ პოლიტიკური სოციოლოგიის საგანს ოტო შტამერი ხედავს იმის კვლევაში, თუ როგორ გამოიყურება სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურა სოციოლოგიურად და აგრეთვე საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის კვლევაში, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოებრივ ძალაუფლებაზე. მისი აზრით, დემოკრატიული სახელმწიფო ცდილობს უმრავლეს შემთხვევაში თვით მის მიერ ფორმულირებული მიზნების მეშვეობით კლასობრივი განხეთქილებიდან გამომდინარე, ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ნებათა განვითარებასა და გატოლებას. ამიტომ აუცილებელია, ვიკვლიოთ, თუ რამდენად ძალუძს ეს დემოკრატიულ სახელმწიფოს კონკრეტულ შემთხვევაში და როგორ ძალაუფლებაზე შეუძლია მას დაყრდნობა. მართალია, შეიძლება

ითქვას, ოტო შტამერი პოლიტიკური სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიასთან მიმართებაში, უფრო ამ უკანასკნელისაკენ იხრება, მაგრამ იგი კარგად ხედავს მათ შორის როგორც საგნობრივ, ისე ფუნქციურ განსხვავებას, შესაბამისად, საინტერესოა მისი მოსაზრება პოლიტიკური სოციოლოგიის საგნის შესახებ: „პოლიტიკური სოციოლოგია შეისწავლის პოლიტიკური მოქმედების საზოგადოებრივ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ წანამძღვრებსა და შედეგებს, სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემათა სტრუქტურებსა და ურთიერთკავშირს უპირატესად თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში. მისი ინტერესები განსაკუთრებით მიმართულია ეკონომიკური წყობისადმი, სოციალურ სტრუქტურასა და საზოგადოებრივ ჯგუფთა მოქმედების წესებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლაზე, ერთ მხრივ, და პოლიტიკური წესრიგის სტრუქტურასა და პოლიტიკურ ხდომილებებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესწავლაზე, მეორე მხრივ“ (ციტ. 61, გვ. 302).

ზემოაღნიშნული კონცეფციების გარდა, არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც პოლიტიკური სოციოლოგია დამოუკიდებელი მეცნიერებაა როგორც შესწავლის საგნის, ისე კვლევის მეთოდებისა და მიზნების მხრივაც. ის, ვინც ცდილობს დაასაბუთოს პოლიტიკური სოციოლოგიის თავისთავადობა, მისი კვლევის საგნად აცხადებს ძალაუფლებას, ავტორიტეტს, პოლიტიკურ კონფლიქტს ან თანხმობას, პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკურ რეალიზაციას და ა.შ. ე.ი. კვლევის იმ სფეროებს, რომლებიც ადრე არ შეისწავლებოდა პოლიტიკური მეცნიერების მიერ. ასე, მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგის ლ. კოზერის აზრით, პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები ძირითად ყურადღებას ამახვილებენ „სახელმწიფოზე, როგორც ინსტიტუტზე, რომელიც ახორციელებს მოცემულ ტერიტორიაზე ძალის კანონზომიერი გამოყენების მონოპოლიას“. მაშინ, როდესაც პოლიტიკური სოციოლოგები იკვლევენ სახელმწიფოებრივი მართვისა და სოციალური სტრუქტურის, პოლიტიკური და სოციალური პროცესების ურთიერთქმედების უფრო ფართო ასპექტებს. „პოლიტიკური სოციოლოგია“, კოზერის აზრით, ესაა სოციოლოგიის ის დარგი, რომელსაც საქმე აქვს საზოგადოების შიგნით და საზოგადოებებს შორის არსებული ძალაუფლების მოცემული დანაწილების სოციალურ მიზეზებსა და შედეგებთან, აგრეთვე სოციალურ და პოლიტიკურ კონფლიქტებთან, რომელთაც მივყავართ ცვლილებებთან ძალაუფლების განაწილებაში“ (143, გვ. 25).

მსგავს შეხედულებებს იცავენ რ. ბენდიქსი და ს. ლიპსეტიც, რომელთა აზრით, „როგორც პოლიტიკური მეცნიერება, ისე პოლიტიკური სოციოლოგია იკვლევს საზოგადოებაში ძალაუფლების განაწილებისა და განხორციელების პრობლემებს, მაგრამ პოლიტიკური მეცნიერებისგან განსხვავებით, იგი არ იკვლევს ამ განაწილებისა და განხორციელების ინსტიტუციონალურ პრობლემებს, მათ განიხილავს როგორც მოცემულს. ამგვარად, პოლიტიკური მეცნიერება იწყებს სახელმწიფოდან და იკვლევს იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი საზოგადოებაზე, მაშინ, როდესაც პოლიტიკური სოციოლოგია იწყებს საზოგადოებიდან და იკვლევს იმას, თუ როგორ გავლენას ახდენს იგი სახელმწიფოზე,

ე.ი. ძალაუფლების განაწილებისა და განხორციელების ფორმალურ ინსტიტუტებზე“ (143, გვ.26).

პოლიტიკურ მეცნიერებასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას შორის განსხვავებას ხედავენ აგრეთვე კვლევის მიზანდასახულობის სხვაობაშიც. მაგალითად, ს. ლიპსეტის აზრით, პოლიტოლოგია მუდამ ესწრაფოდა სახელმწიფოებრივი აპარატის ფუნქციონირების ეფექტურობის წესთა და საშუალებათა შესწავლას. მაშინ, როდესაც პოლიტიკური სოციოლოგია იყო „რადიკალური დისციპლინა“, რომელიც ხაზს უსვამს სოციალურ კონფლიქტს, სოციალურ ცვლილებას და თავისი ყურადღების კონცენტრაციას ახდენს პოლიტიკის არა-ფორმალურ და დისფუნქციურ ასპექტებზე.

აღნიშნულ შეხედულებას ზოგიერთი ავტორი არ ეთანხმება. ისინი თვლიან, რომ პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას შორის ამგვარი დაპირისპირება სამართლიანია მხოლოდ ნაწილობრივ და მისაღებია ძირითადად ამ დისციპლინათა განვითარების ადრეული პერიოდისათვის. ამ დაპირისპირების ძირითად წყაროდ ისინი მიიჩნევენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მეცნიერებათა დიფერენციაციის პროცესის გაძლიერების შედეგად წარმოქმნილ დისციპლინათა კამათსა და დავას. პოლიტიკური მეცნიერების განვითარება ომის შემდეგ დაკავშირებული იყო საზოგადოებრივ ცოდნეთა გარკვეული ჯგუფის მისწრაფებასთან – შეექმნათ იმდენადვე დამოუკიდებელი აკადემიური მეცნიერება, როგორც არის სოციოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია და სამართალმცოდნეობა. ამავე დროს, „თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერება, სახელმწიფოსა და დემოკრატიის პრობლემების“ ავტორთა აზრით, „პოლიტიკური სოციოლოგები შეშფოთებულან სოციოლოგიის ფარგლებში თავიანთი პოზიციების შენარჩუნებით, ხედავენ რა სოციოლოგიური ორიენტაციის პოლიტოლოგებში კონკურენტებს, რომლებიც თურმე სოციოლოგების ინტერესთა სფეროში იჭრებიან. ამ ავტორთა აზრით, ეს „შეჭრა“ ბუნებრივი და გარდუვალი იყო და ცალკეული პოლიტიკური სოციოლოგის მცდელობის მიუხედავად, წარმოეჩინა პოლიტოლოგია განსაკუთრებულ ინსტიტუციურ-იურიდიულ დისციპლინად, ეს უკანასკნელი სულ უფრო განიცდიდა სოციოლოგიზებას, უახლოვდებოდა პოლიტიკის სოციოლოგიას როგორც საგნის, ისე კვლევის მეთოდების მხრივაც“ (143, გვ. 11).

აღნიშნულ ავტორებს სურთ დაასაბუთონ, რომ არა მხოლოდ პოლიტოლოგია ისწრაფოდა სოციოლოგიისაკენ, არამედ არც პოლიტიკური სოციოლოგია რჩებოდა გულგრილი პოლიტიკური მეცნიერების მიღწევებისადმი. „თავის მხრივ, – წერდნენ ისინი, – პოლიტიკურმა სოციოლოგებმა აღმოაჩინეს თავიანთი „სუბ-დისციპლინის სოციოლოგიური შეზღუდულობა“, რომელიც გამოვლინდა პრობლემის ინსტიტუციონალური ასპექტის იზოლაციაში. აღიარეს ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ სფეროში სოციალური მოქმედების განხილვა შეუძლებელია ოფიციალური პოლიტიკური სტრუქტურებისა და ნორმების – მთავრობის აპარატის, მმართველი პოლიტიკური პარტიების, სამართლის სისტემისა და სხვა – სისტემათა აქტიური მარეგულირებელი ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე.

მათ გააცნობიერეს, რომ მთავრობისეული სტრუქტურებიც წარმოადგენდნენ განსაკუთრებულ სოციალურ გაერთიანებებს, რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა რა ინტერესთა ჯგუფებად, ურთიერთზემოქმედებაში იმყოფებიან როგორც ერთმანეთთან, ისე არასამთავრობო სოციალურ სტრუქტურებთანაც. უფრო მეტიც, ცალკეულმა პოლიტიკურმა სოციოლოგმა დიდი ინტერესი გამოავლინა სამთავრობო სტრუქტურების მმართველობის ფორმებისა და პოლიტიკური რეჟიმის სოციოლოგიური ანალიზისადმი. პოლიტიკის სოციოლოგიური თეორიების თავიანთი ვარიანტების ფორმულირებისას ისინი იძულებულნი გახდნენ სახელმწიფოებათმცოდნეობა ტრადიციული პრობლემების ანალიზის დონეზე განეხილათ, თანაც პირველ ადგილზე აღმოჩნდა სახელმწიფოს, როგორც პოლიტიკური წყობის, კლასობრივი საზოგადოების ორგანიზაციის ფორმის „კლასიკური პრობლემა“ (იქვე, 11).

შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ ავტორთა თვალსაზრისი ნაწილობრივადაა სწორი, რამდენადაც იგი ხაზს უსვამს პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის განვითარების მხოლოდ ერთი მონაკვეთის თავისებურებებს, რაც მათი კვლევის საგნებისა და პრობლემათა სფეროს ურთიერთდაახლოებაში გამოიხატა, მაგრამ ისინი შეზღუდულობას ინარჩუნებენ და არ ითვალისწინებენ პოლიტიკური სოციოლოგიის შემდგომი განვითარების პერიოდს, რომელმაც გამოკვეთა მისი საგანიცა და სპეციფიკაც. მართლაც, XX საუკუნის 60-იან წლებში პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის დაახლოების ტენდენცია შეიმჩნევა, რომლის გამოვლენასაც პოლიტიკური სოციოლოგიის თვით ისეთი მომხრეც კი ვერ გაექცა, როგორიცაა ჩვენთვის უკვე ცნობილი ს. ლიპსეტი. ზემოდასახელებული შრომების ავტორები თავიანთი პოზიციის განმტკიცებას სწორედ ლიპსეტის შეხედულებათა მეტამორფოზის ფონზე ცდილობდნენ. მაგალითად, თუ ლიპსეტი ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში დაბეჯითებით ამტკიცებდა პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას შორის განსხვავების არსებობას, უკვე 60-იანი წლების დასასრულს მისი თვალსაზრისი იცვლება. მან არა მხოლოდ აღიარა ამ დისციპლინათა დაახლოება, არამედ პოლიტიკური სოციოლოგიის პრობლემათა შორის პირველ ადგილზე საზოგადოების სახელმწიფოებრივი წყობის პრობლემა დააყენა. ლიპსეტის აღიარებით, მოყოლებული იმ დროიდან, როცა ტერმინი „სოციოლოგია“ პირველად იქნა შემოღებული ხმარებაში, პოლიტიკური პროცესებისა და ინსტიტუტების ანალიზი უცვლელად იდგა სოციოლოგიური მეცნიერების ცენტრში“ (88, გვ. 203), ამასთანავე, ეჭვქვეშ არ დგება სახელმწიფოსთან შედარებით საზოგადოების მიზეზობრივად განპირობებული პრიორიტეტი, ხოლო პოლიტიკური სოციოლოგია არ დაიყვანება სოციალური ფაქტორების შესწავლაზე, რამდენადაც „პოლიტიკური ინსტიტუტები თავისთავად წარმოადგენენ სოციალურ სტრუქტურებს და მუდამ არიან დამოკიდებული ფაქტორებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სოციალური სტრუქტურის სხვა არაპოლიტიკურ ასპექტებზე“ (იქვე).

უფრო მეტიც, ლიპსეტის აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის განმსაზღვრელ ფორმალურ დებულებას, სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულებს შორის უფლებამოსილების გაყოფის ხასიათს ან თანამდებობის პირთა არჩევის მეთოდთა და წესთა განსაზღვრელ კანონებს უბრალოდ არა მხოლოდ დიდი მნიშვნელობა აქვთ, არამედ ძლიერ განმსაზღვრელ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ ფორმას მიიღებს კლასობრივი სტრუქტურა, როგორ შეითვისებენ მოცემული ქვეყნები მნიშვნელოვან სუბკულტურებს და სხვა. ს. ლიპსეტი თავის შეხედულებებს შემდეგნაირად აჯამებს: „ძალაუფლების სფეროში სათანადო ურთიერთობების შესახებ სოციეტალურმა წარმოდგენებმა შეიძლება სათანადო გავლენა იქონიოს თანამდებობის პირთა უფლებამოსილებაზე, მაგრამ ამის ნაცვლად იმ წესებმა, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკური ინსტიტუტები ანაწილებენ პოლიტიკურ ძალაუფლებას, შეიძლება გავლენა იქონიოს სხვადასხვა სტრუქტურაში ძალაუფლებით აღჭურვილ პირთა ორიენტაციაზე. პოლიტიკა, ისევე, როგორც ეკონომიკა, არ არის ზოგადი სოციალური სტრუქტურიდან მომდინარე მეორეხარისხოვანი პროდუქტი და წარმოებული რამ“ (88, გვ. 204). სწორედ ამ შეხედულების ანალიზის საფუძველზე დაასკვნიან სოციოლოგიზებული პოლიტოლოგიის მომხრეები იმის შესახებ, რომ ლიპსეტმა არა მხოლოდ დაასაბუთა სამთავრობო და სხვა ოფიციალურ პოლიტიკურ სტრუქტურათა სოციოლოგიური ანალიზის აუცილებლობა, არამედ არაორაზროვნადაც აღიარა პოლიტიკური პროცესისა და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის იურიდიული ფორმის ანალიზის მნიშვნელობა და საჭიროება, აამაღლა მათი როლი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში. ასევე მათ თავიანთი თვალსაზრისის დამადასტურებლად მიაჩნიათ ლიპსეტის მოსაზრება საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაში პოლიტიკური სოციოლოგიის, როგორც „შვილობილი“ დისციპლინის ადგილის შესახებ, რომელიც მოიცავს სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის საერთო სფეროს – საზოგადოებისა და სახელმწიფოს, სოციალურ წყობასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის ურთიერთდამოკიდებულობის პრობლემას. ისინი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ლიპსეტის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XVIII საუკუნის დასასრულს დიდი სოციოლოგები, უმეტესწილად პოლიტიკური სოციოლოგები, სოციალურად მოაზროვნე პოლიტოლოგები იყვნენ. სწორედ პოლიტიკური სოციოლოგიის განმარტება როგორც დისციპლინის, რომელშიც სოციოლოგია ინტეგრირებულია სახელმწიფოებათმცოდნეობასთან, ხსენებული შრომის ავტორებს მიაჩნიათ პოლიტოლოგიის, პოლიტიკის მეცნიერების, როგორც სოციოლოგიის – მნიშვნელოვანი პრობლემური სფეროს შესახებ არსებული ტრადიციული წარმოდგენების აღორძინებად.

მართალია, ლიპსეტის თვალსაზრისმა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ევოლუცია განიცადა, მაგრამ არა იმდენად, რომ შესაძლებელი იყოს მისი როგორც პოლიტოლოგიური თვალსაზრისის ინტერპრეტაცია, რომელშიც დაძლეულია პოლიტიკური სოციოლოგიის ფუნდამენტური პოზიცია. უბრალოდ ლიპსეტის და არა მხოლოდ ლიპსეტის შეხედულებების ევოლუციაში აისახა

ორი მეცნიერების დაახლოების პროცესი, რომლის დროსაც ერთი და მეორეც ინარჩუნებს როგორც საკუთარ კვლევის საგანს, ისე კვლევის სპეციფიკას. მართალია, 60-იან წლებში პოლიტიკური მეცნიერება სწრაფად სოციოლოგიზდება პოზიტივისტურ-ბიჰევიორისტული მსოფლმხედველობისა და მეთოდოლოგიის გაბატონებისა და ანალიზის ემპირიული მეთოდების ფართო გამოყენების გამო. თავის მხრივ, პოლიტიკურად ორიენტირებულმა სოციოლოგებმა აღიარეს, თუმცა საკუთარი მეთოდებით, ოფიციალური ინსტიტუტებისა და ნორმების შესწავლის აუცილებლობა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა პროცესებმა კი არ ნაშალა მათ შორის შინაარსობრივი განსხვავება, არამედ, პირიქით, გამოკვეთა იგი. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკურმა სოციოლოგიამ საკუთარი მეთოდოლოგიის საფუძველზე გააერთიანა როგორც საკუთრივ სოციოლოგიის, ისე პოლიტოლოგიის პრობლემატიკა და მიდგომის წესები. ასე მაგალითად, ამ პერიოდის ყველაზე გავლენიანი სოციოლოგიური მიმდინარეობა – პარსონსისა და მისი მიმდევრების სოციალური სისტემის თეორია ზოგად სოციოლოგიაში პოლიტიკის სოციოლოგიას აიგივებს პოლიტიკური სისტემის თეორიასთან, ხოლო სოციოლოგიის ისეთი ცენტრალური კატეგორიები და ცნებები, როგორცაა ინსტიტუციონალიზაცია, სოციალიზაცია, დიფერენციაცია, სოციოლოგიური განვითარება პოლიტიზირდება და პოლიტიკურ ინსტიტუციონალიზაციად, პოლიტიკურ სოციალიზაციად და ა.შ. ყალიბდება, შესაბამისად, პოლიტიკის ანალიზის ელემენტებად გადაიქცევა.

პოლიტიკურმა სოციოლოგებმა და სოციოლოგიურად ორიენტირებულმა პოლიტოლოგებმა შემოგვთავაზეს „პოლიტიკის განხილვა სოციალური სტრუქტურისა და არაფორმალური სოციალური ინსტიტუტების, საზოგადოებრივი აზრისა და ქცევის სოციალურ-პოლიტიკური პროცესების, ნირმებისა და ურთიერთობათა მთელი კომპლექსის ანალიზის პერსპექტივაში, პიროვნებისა და მცირე ჯგუფთა ყველა ფსიქოლოგიური და სოციოკულტურული მახასიათებლების გამოკვეთის მეშვეობით“ (141, გვ. 167). სწორედ ამ მიმართულების სოციოლოგებმა და პოლიტოლოგებმა მიიჩნიეს, რომ აუცილებელია არა მხოლოდ თანხმობასა და სტაბილურობაზე ყურადღების გამახვილება, არამედ კონფლიქტებისა და ცვლილებების შესწავლაც; არა მხოლოდ მართვის ორგანოებისა და აპარატის, არამედ ბიუროკრატიისა და გადანყვეტილებათა მიღების პროცედურის დამუშავებაც; არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიათა და პროფკავშირთა, არამედ ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის, არაფორმალურ გაერთიანებათა გამოკვლევაც; არა მხოლოდ მოქალაქეთა არჩევნებში მონაწილეობის, არამედ პოლიტიკაში მოქალაქეთა ჩაბმის სხვადასხვა მეთოდისა და წესის გაანალიზებაც; არა მხოლოდ სახელმწიფოს ხელმძღვანელთა, არამედ სხვადასხვა დონის პოლიტიკურ ლიდერთა შესწავლაც; არა მხოლოდ პოლიტიკური იდეოლოგიის, არამედ პოლიტიკური სისტემისა და პოლიტიკური რეჟიმის დაუფლებაც; არა მხოლოდ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო სამართლის ფარგლებში მათი ურთიერთხემოქმედების შესწავლის

აუცილებლობა, არამედ ხალხთა ურთიერთობის, რეგიონალურ და გლობალურ პრობლემათა დამუშავებაც.

სწორედ სოციოლოგიურად ორიენტირებულმა პოლიტოლოგებმა შეიტანეს პოლიტიკის კვლევისას სოციოლოგიაში გამოყენებული ისეთი ცნებები, როგორცაა: აქტორი, როლი, სტატუსი, პოზიცია, ღირებულება, მოლოდინი, ორიენტაცია და ა.შ. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის შერწყმის მომხრეებს სრული უფლება აქვთ აღნიშნონ, რომ: „დღეს პოლიტიკის სოციოლოგია და პოლიტოლოგია თეორიულ-მეთოდოლოგიური და კატეგორიული ცნებების მხრივ მცირედაა განსხვავებული ერთმანეთისაგან“ (141, გვ. 266). მაგრამ თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ მცირე განსხვავებას, განსაკუთრებით, გამოიკვეთება XX საუკუნის 70-იანი და 80-იანი წლების პოლიტიკური ვითარება და პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული სიტუაცია, მაშინ ასე კატეგორიულად ვეღარ ვიმსჯელებთ პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერების შერწყმაზე, მით უმეტეს, საგნობრივ დამთხვევაზე. პოლიტიკური სოციოლოგიის შემდგომი განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოებაში კონფლიქტური და კრიზისული მოვლენების ბუნებისა და მიზეზების ადეკვატური ახსნის უუნარობამ. ამ გარემოებამ დღის წესრიგში დააყენა ახალი პოლიტიკური მეცნიერების განვითარების პრობლემა. უკვე 60-იანი წლებიდან იწყება პოლიტიკური სოციოლოგიის აღმავლობა, რომელსაც საფუძვლად დაედო ვებერის თეორიული მემკვიდრეობის ხელახალი გადასინჯვა და მისი პარსონსისეული ინტერპრეტაციისაგან გათავისუფლებული ვებერის ბატონობის სოციოლოგია ხდება ახალი პოლიტიკური სოციოლოგიის მძლავრი აღმავლობის საფუძველი, რომელიც უბრალოდ კი არ აცხადებს პრეტენზიას ახალი პოლიტიკური მეცნიერების წამყვანი მიმდინარეობის სტატუსზე, არამედ გამოყოფს კიდეც კვლევის უფრო დაზუსტებულ საგანს – **ძალაუფლების სტრატეგიკაციასა და ელიტათა მოქმედებას.**

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ პრობლემებს ასევე კარგად შეისწავლის პოლიტოლოგიაც, მაგრამ, თუ სოციოლოგიური მიდგომის თავისებურებებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ პოლიტოლოგიისაგან განსხვავებით, რომელსაც ძირითადად პოლიტიკური ძალაუფლება აინტერესებს, პოლიტიკური სოციოლოგია სწავლობს ძალაუფლებას, მისი ფუნქციონისა და განაწილების წესებს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერ ადამიანურ გაერთიანებებსა თუ ჯგუფებში. იგი ძალაუფლებას ინდივიდთა, სოციალურ ფენათა, ეთნიკურ ერთობათა და მათი ორგანიზაციების შესწავლასთან კორელაციაში განიხილავს. ამიტომ როგორი დაახლოებულიც არ უნდა იყოს ეს ორი დისციპლინა საგნობრივად ერთმანეთთან, პრობლემებისადმი სოციოლოგიური მიდგომის სპეციფიკის გამო, პოლიტიკური სოციოლოგია მაინც ინარჩუნებს თავისთავადობასა და ავტონომიურობას. როგორც ყველა სხვა სოციალურ მეცნიერებას, პოლიტიკურ სოციოლოგიასაც აინტერესებს პოლიტიკური საზოგადოების გაგება ისე, როგორც ის არის სინამდვილეში და არა ისე, როგორც საზოგადოების პოლიტიკური სფერო



ოფიციალურად თავს გვაჩვენებს. ამ მიზნით კი იგი იკვლევს იმ პოლიტიკურ ღირებულებებს, რომელსაც იზიარებს საზოგადოება და არკვევს პოლიტიკურ და სოციალურ ინსტიტუტთა მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. პოლიტიკური ინტერესებისა და ურთიერთობის შესწავლისას სოციოლოგს მუდამ აინტერესებს შემდეგ კითხვაზე პასუხი: რას აკეთებენ ადამიანები ერთმანეთთან პოლიტიკური ურთიერთობისას? როგორია მათი პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება? როგორ ორგანიზდება ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკურ ინსტიტუტებად? როგორია ის კოლექტიური იდეები, რომლებიც ამოძრავებს ადამიანებს და მათ პოლიტიკურ ინსტიტუტებს? და ა.შ.

სოციოლოგი იკვლევს ადამიანთა ყოველდღიურ სამყაროს. მის მიერ გამოყენებული ანალიზის კატეგორიები იმ ცნებათა დაზუსტებაა, რომლებსაც ადამიანები სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობის გასააზრებლად იყენებენ: „ძალაუფლება“, „სტატუსი“, „რასა“, „ერი“, „ეროვნულობა“ და სხვა. რა უნდა იყოს ასეთ ცნობილ ცნებებსა და ტერმინებში გასააზრებელი და დასაზუსტებელი, ასეთი რამ ხომ ტრუიზმია? მაგრამ, არა! სოციოლოგი სწორედ ამ კატეგორიებში პოულობს ისეთ პლასტებს, რომლებიც საზოგადოებისათვის ფარულია და ცნობილი არ არის. პოლიტიკური მოვლენების ემპირიული კვლევისას აღმოჩნდება, რომ სოციალური და პოლიტიკური რეალობა თავის თავში მალავს მრავალ პლასტსა და შრეს. ასეთი ფარული საზრისისეული შრის აღმოჩენა კი უმეტეს შემთხვევაში რადიკალურად ცვლის ჩვენს წარმოდგენებს სოციალური თუ პოლიტიკური მთელის შესახებ. პ. ბერგერის მართებული თქმით, **„სოციოლოგიის პირველი მცნება გვაუწყებს: ნივთი არ არის ის, რადაც თავის თავს გვაჩვენებს“ (28, გვ. 23).**

თავად საკითხის წამოჭრა სოციოლოგიაში წარმოშობს სურვილს, ეჭვქვეშ დავაყენოთ ადამიანურ ქმედებათა საზოგადოდ მიღებული თუ ოფიციალურად აღიარებული მიზნები. ასეთი სურვილი კი გულისხმობს იმის გარკვეულ ცოდნას, რომ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური თუ პოლიტიკური პროცესები ფლობს მნიშვნელობათა რამდენიმე დონეს, რომელთაგანაც ზოგიერთი დაფარულია ყოველდღიური ცხოვრების ჩვენიული ინტერპრეტაციისა თუ განსაზღვრებისაგან. ამიტომ სოციოლოგს ეჭვი შეაქვს იმ წესში, რომლის მიხედვითაც „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ოფიციალურ ინტერპრეტაციას აძლევენ ადამიანურ სიტუაციებს. სოციოლოგიური მიდგომა „მუდამ ცდილობს გააშიშვლოს განსაკუთრებული სამყარო, რომელიც არ ექვემდებარება ახსნას სოციალური რეალობის ოფიციალური ინტერპრეტაციის ფარგლებში“ (28, გვ. 34).

ამგვარად, სოციოლოგიური მიდგომის თავისებურება ისაა, რომ იგი ცდილობს ჩასწვდეს სოციალურ სტრუქტურათა ფასადს მიღმა არსებულ საზრისისეულ შრეებს, რომელიც მხედველობისათვის დაფარულია. პოლიტიკის სოციოლოგია არ კმაყოფილდება იმით, რადაც თავს გვაჩვენებს პოლიტიკური სტრუქტურები და ცდილობს განჭვრიტოს ფასადს მიღმა არსებული სინამდვილე, რომელიც განაპირობებს კიდევ სოციალურ თუ პოლიტიკური სტრუქ-

ტურათა რეალურ ფუნქციობას. იმის წარმოსაჩენად, რომ პოლიტიკურ სოციოლოგია არა მხოლოდ საგნობრივად განსხვავდება პოლიტოლოგიისაგან, არამედ პოლიტიკური სტრუქტურებისა და პროცესებისადმი მიდგომის წესითაც, საგულისხმოა პ. ბერგერისეული შედარების ანალიზი. თუ ვინმე მოისურვებს, რომ გამოარკვიოს, – წერს იგი, – როგორ იმართება თანამედროვე ამერიკული ქალაქი, მაშინ ის ძალიან ადვილად მიიღებს ამის თაობაზე ოფიციალურ ინფორმაციას: ქალაქს უსათუოდ აქვს წესდება, რომელიც შტატის კანონების შესატყვისია. მცოდნე ადამიანი კი მოგცემთ რჩევას ჩაიხედოთ სხვადასხვა სტატუსში, რომელიც დამატებული აქვს ქალაქის კონსტიტუციას. მითითებული დოკუმენტიდან შეიძლება გამოვარკვიოთ ის, თუ მმართველობის როგორი ფორმა აქვს რეგიონს, გაერთიანებას; გავიგოთ, რომ მუნიციპალურ არჩევნებში ხმას არ აძლევენ პარტიული სიებით. ქალაქის საინფორმაციო საშუალებების, სახელდობრ კი, გაზეთების მეშვეობით, შეგვიძლია წარმოდგენა შევიქმნათ ქალაქის ოფიციალურად აღიარებული პოლიტიკური პრობლემების შესახებ, შეიძლება გავიგოთ ის, რომ მუნიციპალიტეტს სურს ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის შემოერთება, ან იმის შესახებ, რომ ქალაქის საბჭოს ერთ-ერთ წევრს დაბრალდა თანამდებობის ანგარების მიზნით გამოყენება. ცხადია, ყოველივე ეს ხდება პოლიტიკური ცხოვრების ოფიციალურ დონეზე, მაგრამ როგორც პ. ბერგერი შენიშნავს, მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანს შეუძლია დაიჯეროს, რომ ასეთი ინფორმაციები მას გაერთიანების პოლიტიკური ცხოვრების სრულ სურათს მისცემს. სოციოლოგი აუცილებლად მოისურვებს გაიგოს „ძალაუფლების არაფორმალური სტრუქტურის“ საფუძველი, ე.ი. აქტორთა და მათ ძალაუფლებრივ შესაძლებლობათა ურთიერთგადახლართვისა და კავშირის სურათი, რომლის დანახვა ინსტიტუტთა და საინფორმაციო საშუალებათა მეშვეობით შეუძლებელია.

„პოლიტოლოგს ან იურისტ-ექსპერტს, – წერს პ. ბერგერი, – დიდი ინტერესით შეუძლია შეადაროს მოცემული ქალაქის წესდება სხვა მსგავსი გაერთიანებების წესდებებსა და კონსტიტუციებს. სოციოლოგი კი შეეცდება გამოარკვიოს თუ კანონით განმტკიცებული საკუთრების უფლებები როგორი წესითა და რამდენად ძლიერ გავლენას ახდენს და განსაზღვრავს კიდევ ამ წესდების მიხედვით არჩეულ ოფიციალურ პირთა მოქმედებას“ (იქვე, 38). რაც შეეხება ამ პირთა ქონებრივ მდგომარეობას, უფლებებსა თუ გავლენებს, მათ შესახებ უფრო მეტის გაგება შეიძლება კორპორაციათა პრეზიდენტების კაბინეტებში. ამ უფლებებსა და მათზე დამყარებულ ინტერესებს კი შეუძლია ამ გაერთიანებიდან მიგვიყვანონ ერთი მუჭა ძლევამოსილ ადამიანთა კერძო ბინებში, ზოგიერთი პროფკავშირის ოფისში ან დანაშაულებრივი ორგანიზაციების შტაბ-ბინებშიც კი.

როდესაც სოციოლოგი ინტერესდება პოლიტიკურ ინსტიტუტთა ფუნქციობით, იგი, უპირველეს ყოვლისა, იწყებს „ჭვრეტას“ ოფიციალურ მექანიზმებს მიღმა არსებულ შრეებში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ ფასადს მიღმა, რომლითაც თითქოსდა იმართება და რეგულირდება ძალაუფლებრივი ურთიერ-

თობა. ეს, ცხადია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ოფიციალურ მექანიზმებს სოციოლოგი აბსოლუტურად არაეფექტურად, ხოლო კანონით განმტკიცებულ განსაზღვრებებს კი წმინდა ილუზიად თვლის. სოციოლოგი უბრალოდ, იწყებს იმის მტკიცებას, რომ არსებობს რეალობის სხვა დონე, მნიშვნელობათა სხვა იერარქიული შრე, რომლის კვლევა-საჭიროა კონკრეტულ ძალაუფლებრივ სისტემაში. ზოგჯერ იგი კვლევა-ძიების შედეგად მიდის იმ დასკვნამდე, რომ რეალური ძალაუფლების ძიება იქ, სადაც ის საზოგადოების აზრით უნდა არსებობდეს, სავსებით უპერსპექტივოა.

ამგვარად, სოციოლოგიური პრობლემა მუდამ იმის გაგების მცდელობა-შია, თუ, რა და როგორ ხდება სოციალური ურთიერთმოქმედების ჩარჩოებში. ამიტომ სოციოლოგიური პრობლემა არის არა იმდენად ის, თუ რაღაც რატომ არ მიდის ასე სოციალურ სცენაზე მოქმედ ხელისუფალთა თუ რეჟისორთა თვალსაზრისით, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ის თუ როგორ მოქმედებს სისტემა მთლიანობაში, როგორია მისი არსებობის წანამძღვრები და როგორი საშუალებების ხარჯზე მიიღწევა ეს ერთიანობა. შესაბამისად, „ფუნდამენტური სოციოლოგიური პრობლემები არის არა დანაშაული, არამედ კანონი, არა განქორწინება, არამედ ქორწინება, არა რასობრივი დისკრიმინაცია, არამედ რასობრივად განპირობებული სტრატეგიკაცია, არა რევოლუცია, არამედ მმართველობის ფორმა“ (იქვე, 41). თუ სოციოლოგი მონდომებს მსგავსი „პრობლემების“ გადაჭრას, მაშინ მისთვის აუცილებელი იქნება გაიგოს ყველა სოციალური თუ პოლიტიკური სიტუაცია მთლიანობაში, ჩასწვდეს ორივე სისტემის ღირებულებებსა და მოქმედების წესებს, აგრეთვე დროსა და სივრცეში მათი თანაარსებობის ფორმებს. სწორედ უნარი იმისა, **„დაინახო ნებისმიერი სიტუაცია ორივე მოპაექრე სისტემის პოზიციიდან, წარმოადგენს სოციოლოგიური ცნობიერების განმასხვავებელ ნიშანს“** (იქვე, 42).

თუ ზემოთქმულს მთლიანობაში გავიზიარებთ, დავინახავთ, რომ სოციოლოგიური მიდგომის მთავარი დამახასიათებელი თვისება სოციალური სისტემებისაგან შარავანდედთა და ნიღაბთა მოხსნისადმი სწრაფვაა და ეს უბრალო ფსიქოლოგიური ფაქტორი კი არ არის, არამედ მეთოდოლოგიაა. ამგვარად, სოციოლოგია თავის თავში ატარებს ლოგიკურ იმპერატივს, რომელიც მკვლევარი სოციოლოგებისაგან მოითხოვს ფარდა ახადოს იმ პროპაგანდასა და სიცრუეს, რომლის საბურველშიც ხვევენ ადამიანები შეგნებულად თუ შეუგნებლად საკუთარ საქციელს ერთმანეთის მიმართ.

სოციოლოგიური მიდგომის ეს საერთო თავისებურება მთლიანად ვრცელდება პოლიტიკურ სოციოლოგიაზეც და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მეტად ეს მიდგომა სწორედ ამ ინსტიტუტების მკვლევარს უნდა ჰქონდეს გათავისებულებული. ამგვარად, პოლიტიკურ სოციოლოგიას აქვს როგორც კვლევის საკუთარი საგანი, ისე პოლიტიკურ ურთიერთობათა კვლევა-ძიების საკუთარი მიდგომა და მეთოდი. სწორედ ამ თავისებურების გამო იგი საკუთარ ადგილს იკავებს პოლიტიკურ ურთიერთობათა შემსწავლელ დისციპლინებს შორის. პოლიტიკური სოციოლოგიის თავისთავადობასა და ავტონომიურობას განაპირობებს:

– **პირველი ის**, რომ იგი პოლიტიკასა და პოლიტიკურ ურთიერთობებს შეისწავლის გლობალური საზოგადოების, მისი სოციალური წყობისა თუ სტრუქტურის კონტექსტში;

– **მეორე ის**, რომ ძალაუფლების ფენომენს შეისწავლის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში, არამედ ნებისმიერ ადამიანურ გაერთიანებაში, ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლების სტრატეგიკაციაზე;

– **მესამე ის**, რომ იგი შეისწავლის ელიტათა მოქმედებას, განსაკუთრებით პოლიტიკური კრიზისებისა და კატაკლიზმების პერიოდებში, ააშკარავებს იმ ფარულ მექანიზმებს, რომელიც განაპირობებს ელიტათა სწორედ ასეთ და არა სხვაგვარ მოქმედებას;

– **მეოთხე ის**, რომ იგი შეისწავლის პოლიტიკურ რეჟიმთა სტაბილურობისა და ეფექტურობის სოციალურ პირობებს, თანხმობისა (კონსენსუსის) და უთანხმოების (კონფლიქტის) წყაროებს;

– **მეხუთე ის**, რომ იგი იკვლევს რეფორმისტულ, ექსტრემისტულ თუ რევოლუციურ მოძრაობებს და მათ იდეოლოგიურ დოქტრინებს;

– **მეექვსე ის**, რომ იგი იკვლევს არ მხოლოდ იმ დაძაბულობებს, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის, არამედ – ნებისმიერ ორგანიზაციაში;

– **მეშვიდე ის**, რომ იგი იკვლევს ძალაუფლების ლეგიტიმურობასა და ეფექტურობას, არკვევს თუ რამდენად შეესატყვისება პოლიტიკურ სისტემათა იდეალები და ფასეულობები მოსახლეობის საკუთარ იდეალებსა და ფასეულობებს.

ამგვარად, პოლიტიკური სოციოლოგიის კვლევის ობიექტია ადამიანის, პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულებები. საგანი კი მოიცავს ძალაუფლების სტრატეგიკაციას, ელიტათა და ელექტორატის მოქმედებას, მის განწყობებსა და შეხედულებებს, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესს, პოლიტიკურ მოძრაობათა და ინტერესთა ჯგუფების იდეოლოგიებს, პოლიტიკურ პარტიებს, ნებაყოფლობით დაჯგუფებებს, ოლიგარქიის პრობლემას, პოლიტიკასა და მმართველობის ბიუროკრატიულ პროცედურებს, ძალაუფლების ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და სხვა.

ამგვარად, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მიუხედავად პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის დაახლოებისა, **ამ უკანასკნელს აქვს თავისი შესწავლის საგანი: ძალაუფლების სტრატეგიკაცია და ელიტათა მოქმედება, აგრეთვე კვლევის საკუთარი მიზანი: ლიდერობა, ანუ პოლიტიკის ნებელობითი ფაქტორი და მასობრივი ფსიქიკა მისი ინსტიტუტებითა და გულისწადილით.**

## პოლიტიკური სოციოლოგიის მეთოდები

პოლიტიკური სოციოლოგია, როგორც სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის გადაკვეთის შედეგი, წარმატებით იყენებს მათთვის დამახასიათებელი მეცნიერული კვლევის წესებსა და მეთოდებს. პოლიტიკური სოციოლოგია უშუალოდ დაკავშირებულია კონკრეტული პოლიტიკური რეალობის კვლევასთან, რომლის მონაცემთა ანალიზი ეხმარება მას შეიმუშაოს სოციუმისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების კონცეფცია და უფრო მეტიც – მოგვცეს ფასეული პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები მიმდინარე პოლიტიკური პროცესების დასარეგულირებლად. ამდენად, იგი თეორიულთან ერთად გამოყენებით ხასიათსაც ატარებს. შესაბამისად, იყენებს მთელ იმ მეთოდურ არსენალს, რასაც სოციოლოგია და პოლიტოლოგია – ერთად. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება იმ მიდგომებს, რომელთა საზრისიც ნათლად აქვს გადმოცემული ამერიკელ სოციოლოგს ნიელ სმელზერს. ამათგან აღსანიშნავია:

1. **დემოგრაფიული მიდგომა.** დემოგრაფია სწავლობს მოსახლეობის შობადობის, სიკვდილიანობის, მიგრაციის პრობლემებსა და მათთან დაკავშირებულ ადამიანურ მოქმედებათა თავისებურებებს. ჩვენ შემთხვევაში კი იმას, თუ რა გავლენას ახდენს დემოგრაფიულ ჯგუფთა პრობლემები ინდივიდთა და სოციალურ ჯგუფთა, პარტიათა და დაინტერესებულ ჯგუფთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

2. **ფსიქოლოგიური მიდგომა.** იგი გვიხსნის მოქმედების მნიშვნელობას ადამიანისათვის, როგორც პიროვნებისათვის; სწავლობს მოტივებს, აზრებს, სოციალურ განწყობებს, ადამიანთა წარმოდგენებს საკუთარ თავზე. იგი ორიენტირებულია პოლიტიკური მოქმედების სუბიექტური მექანიზმების, ინდივიდუალური თვისებების, ხასიათის ნიშნების, აგრეთვე ფსიქოლოგიური მოტივაციის ტიპობრივი მექანიზმების შესწავლაზე. ჯერ კიდევ უძველეს დროში აცნობიერებდნენ, რომ საჭირო იყო ქვეშევრდომთა ფსიქოლოგიური რეაქციის გათვალისწინება მათი ნდობისა და მორჩილების უზრუნველსაყოფად.

ფსიქოლოგიურ მიდგომაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფსიქოანალიზს, რომლის საფუძვლებიც ჩამოაყალიბა ზ. ფროიდმა. ფსიქოანალიზი კვლევის ცენტრში აყენებს არაცნობიერ ფსიქიკურ პროცესებსა და მოტივაციებს. იგი ამოდის იქიდან, რომ ადამიანის მწვავე აფექტური განცდები მისი ფსიქიკიდან უკვალოდ კი არ ქრება, არამედ იდევნება არაცნობიერის სფეროში და არაცნობიერად აგრძელებს ადამიანთა ქცევებსა და, კერძოდ, პოლიტიკურ მოქმედებებზე აქტიურ ზემოქმედებას. ფსიქოანალიზის საფუძველზე შეიძლება ავსხნათ პოლიტიკური მოქმედების მრავალი განსხვავებული ტიპი, კერძოდ, ავტორიტარული ტიპის პიროვნების მოქმედება, რომელიც სწორედ ძალაუფლების მოპოვების საშუალებით ესწრაფვის საკუთარი არასრულფასოვანი გრძნობების, მრავალგვარი კომპლექსისა და შინაგანი დაძაბულობის გადალახვასა და მოხსნას.

**3. კოლექტივისტური მიდგომა.** გამოიყენება მაშინ, როდესაც შევისწავლით ადამიანთა გაერთიანებას, რომელიც წარმოადგენს ჯგუფს ან ორგანიზაციას. ამ მეთოდით შეგვიძლია გამოვარკვიოთ, თუ როგორ ახდენს გავლენას ძალაუფლების განაწილება ჯგუფის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებათა მიღებაზე. მისი დახმარებით შეგვიძლია გავაანალიზოთ კონკურენცია პარტიებს შორის, კონფლიქტები რასობრივ საფუძველზე, ჯგუფებს შორის პაექრობა და შუღლი. ამავე მიდგომით შეგვიძლია გავიგოთ ის, თუ ადამიანები, რომლებიც მიეკუთვნებიან ერთსა და იმავე კლასს, რასას ან დაკავშირებული არიან ეთნიკური წარმოშობით, წლოვანებით, სქესით, – როგორი წესით ქმნიან ჯგუფებს თავიანთი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამ მეთოდის დახმარებით ასევე შეგვიძლია გავიგოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ინდივიდის პოლიტიკურ მოქმედებაზე მისი ამა თუ იმ ჯგუფის წევრობა.

**4. კულტუროლოგიური მიდგომა.** იგი გამოიყენება პოლიტიკური მოქმედების ანალიზის დროს კულტურის ისეთი ელემენტების გამოყენების საფუძველზე, როგორიცაა: საზოგადოებრივი წესები და საზოგადოებრივი ღირებულებები. კულტუროლოგიური მიდგომისას მოქმედებისა და ქცევის წესები ან ნორმები განიხილება როგორც ფაქტორები, რომელებიც არეგულირებენ ცალკეული ადამიანისა და ჯგუფთა მოქმედებებს. კულტუროლოგიური მიდგომა ორიენტირებულია იმის გამოვლენაზე, თუ რამდენადაა დამოკიდებული პოლიტიკური პროცესები პოლიტიკურ კულტურაზე.

**5. სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა.** იგი გვთავაზობს პოლიტიკის განხილვას რაღაც მთლიანობის, სისტემის სახით, რომელსაც რთული სტრუქტურა აქვს და ამასთან, ყოველ ელემენტს განსაზღვრული დანიშნულება გააჩნია. თითოეული ელემენტი სისტემის შიგნით ასრულებს სპეციფიკურ ფუნქციებს (როლებს) და მიმართულია სისტემის შესაბამისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. სისტემის ელემენტების მოქმედება თითქოსდა დაპროგრამებულია მისი სტრუქტურული ორგანიზაციით, მის მიერ უშუალოდ შესრულებული როლებითა და დაკავებული პოზიციებით. ამ მიდგომას ზოგჯერ **ურთიერთქმედებით მიდგომასაც** უწოდებენ. იგი ავლენს ურთიერთდამოკიდებულებას ადამიანური გაერთიანების წევრებს შორის. ამ დამოკიდებულებების საფუძველში კი დევს გაერთიანების წევრთა როლებით განპირობებული ურთიერთქმედება. როდესაც გამოვარკვევთ ჯგუფში არსებულ როლებს, შემდეგ თავისუფლად შეგვიძლია გამოვავლინოთ აგრეთვე დამოკიდებულება ჯგუფის წევრებს შორის, მაშასადამე, გავაანალიზოთ მისი სტრუქტურა.

**6. სისტემური მიდგომა.** ამ მეთოდის არსი ისაა, რომ იგი სოციალურ მოვლენებს, განსაკუთრებით კი, პოლიტიკურ პროცესებს განიხილავს როგორც მთლიან, რთულ ორგანიზმს, როგორც თვითრეგულირებად მექანიზმს (აუტოპოესისი), რომელიც მუდმივ ურთიერთქმედებაშია გარემომცველ სინამდვილესთან სისტემის შესასვლელთა (მოთხოვნები და მხარდაჭერა) და გასასვლელთა (პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება და მოქმედება) მეშვეობით (ამის შესახებ უფრო დანვრილებით შემდეგ თავებში ვისაუბრებთ).

**7. შედარებითი (კომპარატივისტული) მიდგომა.** იგი, შეიძლება ითქვას პოლიტიკური სოციოლოგიის თავიდათავია და პოლიტიკური პროცესებისადმი სოციოლოგიური მიდგომის თავისებურება ყველაზე მეტად ამ მეთოდის საშუალებით გამოიხატება. იგი გულისხმობს ერთი და იმავე ტიპის პოლიტიკურ მოვლენათა, ვთქვათ, პოლიტიკურ სისტემათა, პარტიების, ერთი და იმავე პოლიტიკური ფუნქციების რეალიზაციის სხვადასხვა წესთა შეპირისპირებას მათი საერთო და სპეციფიკური თვისებების გამოვლენის, პოლიტიკური ორგანიზაციის ყველაზე ეფექტური ფორმების ან ამოცანების გადაჭრის ოპტიმალური გზების მოპოვების მიზნით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პოლიტიკური სოციოლოგია თეორიულთან ერთად გამოყენებით ხასიათსაც ატარებს. ამ სპეციფიკიდან გამომდინარე, მას ყოველდღიური რეალობის ფაქტებთან აქვს საქმე. იგი სწავლობს კონკრეტულ სიტუაციებს მთელი თავისი სიმდიდრითა და სისრულით. იმისთვის კი, რათა შეიხედოს სოციალურ თუ პოლიტიკურ სტრუქტურათა ოფიციალურ ფასადს „მიღმა“, პოლიტიკურ სოციოლოგიას, ზემოაღწერილი მიდგომებისა და მეთოდების გარდა, ესაჭიროება კონკრეტულ ფაქტთა მოპოვებისა და ანალიზის ემპირიული მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ხდება მეცნიერულ თეორიათა შემოწმება ცდით, ანუ ვერიფიცირება და ექსპლიცირება. ეს უკანასკნელი ნიშნავს გამოყენებულ კატეგორიათა და კონცეფციათა სიცხადეს, მათ ოპერაციონალურობას, ე.ი. ემპირიულ ფაქტებზე დაყრდნობით ვერიფიცირებად გამონათქვამებზე დაყვანას. პოლიტიკური სოციოლოგია შეისწავლის უშუალოდ დაკვირვებად პოლიტიკურ მოვლენებს მკაცრი მეცნიერული ემპირიული ინდუქციური მეთოდის დახმარებით. ამ მეთოდთაგან ჩვენ მიმოვიხილავთ მხოლოდ ძირითადსა და უმთავრესს.

**დაკვირვება** ემპირიული გამოკვლევების მნიშვნელოვანი მეთოდია. იგი სოციალურ-პოლიტიკური ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა, რომლის მეშვეობითაც ხდება ობიექტების შესახებ არსებულ ფაქტთა უშუალო აღქმა და პირდაპირი რეგისტრირება. დაკვირვება გამოიყენება პროგრამის შედგენის ეტაპზე, როგორც შემეცნების საწყისი პუნქტი, სადაც სუსტია სტატისტიკა და ექსპერიმენტის დაყენება არ შეიძლება. იგი გამოიყენება ინდივიდთა და ჯგუფთა ურთიერთქმედების ფორმათა გამოსაკვლევად. დაკვირვება შეიძლება ფაქტთა „ღია“ კონსტატაციით ან „ჩართული დაკვირვების“ ფორმით, როდესაც მკვლევარი ფარულად იმყოფება შესასწავლ ჯგუფში ან ერთეულს რაღაც კონკრეტულ სიტუაციაში. ორივე ვარიანტის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია საიმედო უნდა იყოს; იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული დამკვირვებლის მიდრეკილებებსა და სურვილებზე, რისი მიღწევაც პრაქტიკულად ძალიან ძნელია, რამდენადაც არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ მის შესახებ არსებულ მეცნიერებებშიც მოქმედებენ ცოცხალი ადამიანები თავიანთი ინტერესებით, სიმპათიებითა თუ ანტიპათიებით. არც ერთ სხვა მეცნიერებაში არ უხდება მეცნიერს იმ ერთობლიობისა თუ სისტემის შესწავლა, რომელსაც თავად მკვლევარი მიეკუთვნება და რომელზეც უშუალოდაა დამოკიდებული.

სოციოლოგი აკვირდება საზოგადოებას, სოციალურ თუ პოლიტიკურ პროცესებს, ამავე დროს, ამ პროცესების აქტიური მონაწილეა. ამიტომ დამკვირვებლისათვის ასეთი კავშირი დაკვირვების ობიექტთან გავლენას ახდენს მის მიერ პოლიტიკური სინამდვილის აღქმაზე, პოლიტიკური პროცესების, სიტუაციების, ცალკეული ინდივიდის მოქმედების გაგებაზე.

**გამოკითხვის მეთოდი.** ეს მეთოდი, თუ იგი ემყარება გონივრულად დაგეგმილ შერჩევას, საშუალებას გვაძლევს გამოკითხულთა არცთუ დიდი რაოდენობის ბაზაზე ვიმსჯელოთ პოლიტიკურ პროცესთა მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესახებ. გამოკითხვა, თუ მას ატარებენ კვალიფიციური ანკეტიორები და ინტერვიუერები, საშუალებას გვაძლევს მაქსიმალურად მოკლე ვადებში (დროში) გამოვკითხოთ ადამიანთა დიდი ერთობლიობა და მივიღოთ ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია ოპერატიული გადაწყვეტილებების მისაღებად.

გამოკითხვის მეთოდის საფუძველში ძევს რესპონდენტისადმი მიმართულ კითხვათა ერთობლიობა, რომლებზეც პასუხები შეადგენს კიდეც აუცილებელ საკვლევ ინფორმაციას. გამოკითხვა ნებისმიერ ვარიანტში, რომელიც მკვლევარსა და რესპონდენტს შორის მიმდინარეობს, სოციალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების ერთ-ერთი ყველაზე რთული ნაირსახეობაა. ამ პროცესთან დაკავშირებულ სირთულეებს საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის პროცედურის ჩატარების თავისებურებების შესახებ მსჯელობისას შევხებით.

არსებობს გამოკითხვის შემდეგი სახეები: 1. ინტერვიუ; 2. ანკეტური გამოკითხვა; 3. საექსპერტო გამოკითხვა; 4. სოციომეტრიული გამოკითხვა. **ინტერვიუ** – ესაა გარკვეული გეგმით წარმართული საუბარი, რომელიც რესპონდენტებთან პირდაპირ კონტაქტს გულისხმობს, თანაც ინტერვიუს ჩაწერა ხდება ინტერვიუერის მიერ უშუალოდ ან დიქტოფონის საშუალებით. ინტერვიუს ალებისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ მოსმენის მანერა. როგორც წესი, რესპონდენტი ცდილობს გულწრფელად გამოხატოს რაიმესადმი თავისი დამოკიდებულება ან გამოთქვას თავისი თვალსაზრისი. ამიტომ ინტერვიუერმა დასაწყისში უნდა გამოიყენოს არარეფლექტორული მოსმენის ხერხი, რათა მისი საშუალებით რაც შეიძლება მეტი გავიგოთ რესპონდენტის შესახებ. არარეფლექტორული მოსმენა ნაყოფიერია მოსაუბრის თვალსაზრისის გასაგებად ან იმის გამოსარკვევად, თუ რა იმალება მის წინადადებისა თუ საჩივრის უკან. განსაკუთრებით ღირებულია მისი გამოყენება პოლიტიკური მოლაპარაკებების პროცესში.

კითხვებისა და შესაძლებელი პასუხების ჩამოყალიბებისას, საჭიროა შემდეგი წესების დაცვა: 1. კითხვები და პასუხები ლაკონიურად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული; 2. თავიდან უნდა იქნეს აცილებული მრავალი მნიშვნელობის მქონე სიტყვების გამოყენება; 3. სხვადასხვა გარემოება და სიტუაციები არ უნდა გაერთიანდეს ერთ საკითხად; 4. უმჯობესია გადმოცემის მარტივი ფორმების გამოყენება.



ანკეტური გამოკითხვის არსებითი თავისებურებაა რესპონდენტის მიერ შევსებული ანკეტის გამოყენება. ინტერვიუსაგან განსხვავებით, იგი თვითონ კითხულობს ანკეტას და აფიქსირებს პასუხებს. ასეთი გამოკითხვის ღირსებაა ის, რომ ინტერვიუერის გავლენა რესპონდენტზე მინიმუმამდეა დაყვანილი. ხოლო ნაკლოვანება კი ისაა, რომ ინტერვიუერს არ ძალუძს დაეხმაროს რესპონდენტს ანკეტაში მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, ამასთან ერთად, აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევარი ვერ აკონტროლებს რესპონდენტის პასუხებზე უახლოესი სოციალური გარემოცვის გავლენას. მაგალითად, სავსებით შესაძლებელია იმის დაშვება, რომ მას პასუხი უკარნახოს ოჯახის რომელიმე წევრმა, მეზობელმა ან მეგობარმა.

ანკეტაში კითხვათა ფორმულირება ხდება კვლევითი პროგრამების საფუძველზე. კვლევის მეცნიერული მიზნის გამომხატველი პროგრამული კითხვების ჩამოყალიბება და მათი ინდიკატორებად, ანუ ოპერაციონალურ ცნებებად გარდაქმნა, გამოკითხვის მთელი ტექნიკის ძირითადი პრობლემაა. კითხვები შეიძლება ოთხ ძირითად ჯგუფად დაიყოს:

1. **ფაქტის შესახებ კითხვები.** მათი მიზანია სოციალური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოპოვება. ეს ინფორმაცია განსაკუთრებით ეხება საკვლევ პირთა ერთობლიობის ან სფეროს სტრუქტურას. მაგალითად, კითხვები ასაკის, განათლების, პროფესიის, საზოგადოებრივი სამუშაოსა და ა.შ. ასეთი ფაქტობრივი კითხვები შეიტანება გამოკითხვებში მაშინ, როდესაც საკმარისად არ არის ცნობილი ინდივიდუალური მაკლასიფიცირებელი ნიშნები.

2. **ცოდნისეული კითხვები.** მათი მიზანია იმ გამოთქმების ან ცნობების მოპოვება, რომელიც მიგვანიშნებს რესპონდენტის ინფორმაციულობაზე. ამ ტიპს განეკუთვნება კითხვები ეკონომიკური მაჩვენებლების, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობათა შესახებ. ასეთ კითხვებზე პასუხები გვეხმარება ზუსტად გამოვავლინოთ პიროვნების განწყობათა და ინტერესთა სტრუქტურა, კოლექტივში ინტეგრირებულობის დონე და ხარისხი. ცოდნისეული კითხვები არ უნდა აგვერიოს ექსპერტებისადმი დასმულ კითხვებთან, როდესაც საქმე საქსპერტო გამოკითხვის ჩარჩოებში მიმდინარეობს. საქსპერტო გამოკითხვებში არ კეთდება დასკვნა იმ კავშირის შესახებ, რომელიც არსებობს ინდივიდის ცოდნის დონესა და ამ ინდივიდის ქცევებს შორის. ექსპერტიზის დროს კი ცოდნა გვევლინება, როგორც ინფორმაცია გარემომცველი სინამდვილის ვითარებათა და გარემოებათა შესახებ.

3. **კითხვები შეხედულებათა შესახებ.** ამ ტიპის კითხვებზე გაცემული პასუხები ყველაზე ხშირად შეიცავს შეფასებებს, ანუ ისინი შეფასებითი ხასიათისაა. შეხედულებები ცოდნასთან შედარებით ნაკლებ სტაბილურია. ძირითადად მათი განმაპირობებელია სიტუაცია და ამიტომ ხშირად დამოკიდებულია ინდივიდთა პირად განცდებსა და განწყობილებაზე. ასაკი, ხასიათი, მსოფლმხედველობა თუ იდეოლოგია, განათლების დონე და სხვა ინდივიდუალური თავისებურებანი არსებით გავლენას ახდენს შეხედულებათა სტაბილურობასა თუ ცვალებადობაზე. შეხედულებები, უპირველესად, ყალიბდება იმ წესის შესაბამისად, რა წესითაც

ინდივიდი ერთვება საზოგადოებრივი განვითარების პროცესში. ასევე შეხედულებების ფორმირებაზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური და პოლიტიკური გამოცდილება, ცრურწმენებიც კი.

**4. მოტივაციური კითხვები.** სოციალური მოქმედების მოტივთა კვლევა მაღალ მოთხოვნებს უყენებს გამოკითხვის ტექნიკისა და ინდიკატორთა შემუშავებას. რესპონდენტებს უფრო ეადვილებათ ისაუბრონ ფაქტების, სიტუაციების, ცოდნის, დამოკიდებულებების, ანუ შეხედულებების თაობაზე, ვიდრე იფიქრონ მოქმედების განმაპირობებელ მოტივებზე. ეს კი იმითაა განპირობებული, რომ წარსულში არსებულ მოქმედებათა შეფასება დღევანდელი პოზიციებიდან საკმაოდ რთულია, მით უფრო, რომ ისინი ცნობიერებაში ხშირად დამახინჯებულად აისახება. და, რაც მთავარია, როგორი არსებითიც არ უნდა იყოს, ერთ კითხვას არ შეუძლია გამოავლინოს სოციალური მოქმედების მოტივაცია ან მოტივთა სტრუქტურა. ამისათვის კითხვათა მთელი კომპლექსია აუცილებელი.

ამგვარად, ანკეტას, როგორც სოციოლოგიური გამოკითხვის ერთ-ერთ ინსტრუმენტს, ძალუძს ფასეული ინფორმაციების მოცემა შესასწავლ სფეროში ფაქტობრივი ვითარების, მისი შეფასებების, რესპონდენტთა შეხედულებების, ინტერესების, საქმიანობის მოტივთა შესახებ. ანკეტის კითხვები უნდა ჩამოყალიბდეს მაქსიმალური სიზუსტით, მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად, გასაგებად. ანკეტათა მეშვეობით მიღებული მონაცემების საიმედოობა ფასდება წინასწარი ცდების მეშვეობით, რომელშიც ირკვევა კითხვათა გაგების ერთმნიშვნელოვნობა, იმავე პირთა განმეორებით გამოკითხვებში პასუხთა კვლავნარმოება, შეთავაზებული ვარიანტების სისრულე, დასაბუთებულობა და სხვა. ანკეტური გამოკითხვის მასალების ანალიზისას აუცილებელია მათი დაშიფვრა, რათა შესაძლებელი გახდეს მისი ხელით ან კომპიუტერით დამუშავება.

რომელიმე სოციალური ჯგუფის დინამიკის, არაფორმალური სტრუქტურის, ლიდერობის პრობლემის, ჯგუფური დარაზმულობისა და სოლიდარობის პრობლემების შესწავლისას არსებითი მნიშვნელობა ანკეტასა და ანკეტურ გამოკითხვებს ენიჭება. მათი საშუალებით ტარდება სოციომეტრიული პროცედურები და დგინდება ჯგუფის შიგნით სიმპათია-ანტიპათიის რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე მოცემული სოციალური ჯგუფის არაფორმალური, ანუ რეალური სტრუქტურა. სოციომეტრიული გამოკვლევების პროცედურის შემუშავება დაკავშირებულია ჯ. მორენოს სახელთან.

რაც შეეხება სოციალურ ექსპერიმენტს – ესაა სოციალური ობიექტის საქმიანობისა და ქცევის მაჩვენებელთა რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიღების წესი, როდესაც ობიექტზე ზეგავლენას ახდენს მართული და კონტროლირებადი ფაქტორი. სოციალური ექსპერიმენტის ჩატარება საკმაოდ რთული და სპეციფიკურია. კონკრეტული სოციალური გამოკვლევების ობიექტები ხომ ადამიანები არიან, რომლებიც მრავალი სახის სოციალურ საქმიანობას ეწევიან და რომელთათვის დამახასიათებელია საკუთარი თავის შეცნობა, გარემომცველი სინამდვილის გაგება, გეგმებისა

და პროექტების შედგენა, რომლებიც მიმართულია რეალური სინამდვილის გარდაქმნისაკენ. ექსპერიმენტის დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური მოქმედების კონცეფციას, როგორც მეთოდოლოგიურ საფუძველს. ამ დროს მთავარია გამოყენებულ იქნეს ის მნიშვნელოვანი ცვლადები, რომლებიც სოციალურ მოვლენებს განაპირობებს. ამ ცვლადებზე ზემოქმედებითა და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების გამოკვლევით, შესაძლებელია გამოირკვეს ობიექტის განსაზღვრულობათა სტრუქტურა და ცალკეულ ცვლადთა როლიც. ექსპერიმენტის დროს უმთავრესია იმის დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს სოციუმის ამა თუ იმ სფეროში მომხდარი ცვლილებები ადამიანთა შეგნებასა თუ ცნობიერებაზე, მათი ინტერესების სტრუქტურის შეცვლაზე.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები აისახება ანგარიშში, რომელიც წერილობითი დოკუმენტია და სისტემატურად და თვალსაჩინოდ გადმოცემულია კვლევის რეზულტატები. ანგარიში შედგება სამი ნაწილისაგან: კვლევის რეზულტატების, დასკვნებისა და რეკომენდაციებისაგან.

## **კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევის შესაძლებლობები**

1. უწინარეს ყოვლისა, სოციოლოგიური გამოკვლევებით შესაძლებელია განისაზღვროს საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ნებისმიერი აქტუალური მნიშვნელობის მქონე პრობლემის მიმართ. უფრო კონკრეტულად – გამოვლინდეს, გაიზომოს და შეფასდეს სოციალური დაძაბულობის ხარისხი საზოგადოებაში, ასევე ეროვნულ ურთიერთობებში არსებული ფარული თუ აშკარა დაპირისპირებები და მათი მიზეზები. უფრო მეტიც, სოციოლოგიურ გამოკვლევას, ჯერ კიდევ საწყის, ანუ ლატენტურ (ფარულ) სტადიაზე შეუძლია აღმოაჩინოს და დააფიქსიროს სოციალური დაძაბულობებისა თუ ეროვნებათშორისი შუღლის გაძლიერების ტენდენციები;

2. დაადგინოს პოლიტიკურ პარტიათა, ლიდერთა, პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოძრაობათა რეიტინგი. გამოავლინოს და დააფიქსიროს მოსახლეობაში, მის ნებისმიერ დაჯგუფებაში დომინირებადი ღირებულებითი ორიენტაციები ჩვენი საზოგადოებისათვის ისეთ აქტუალურ პრობლემებთან მიმართებაში, როგორიცაა: რელიგიური, მსოფლმხედველობრივი თუ იდოლოგიური ტოლერანტობა, ანუ შემწყნარებლობა, ამა თუ იმ რელიგიურ კონცეფციათა მიმართ ნდობის გაძლიერება ან პირიქით, დაცემა. სხვადასხვა, ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო და საზიანო პოლიტიკური თუ კულტურული ღირებულებების გავრცელების არე და გავლენის სიძლიერე. ამ გამოკვლევების მეშვეობით შესაძლებელია არა მხოლოდ განისაზღვროს პოლი-

ტიკური თუ საზოგადოებრივ დაწესებულებათა ლეგიტიმურობის (აღიარების) დონე და ხარისხი მოსახლეობაში, არამედ – იმ სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების განსაზღვრაც, რომელიც ზეგავლენას ახდენს სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ავტორიტეტის, პოპულარობისა და მათდამი მოსახლეობის ნდობის ზრდასა და კლებაზე;

3. სოციოლოგიური გამოკვლევები არა მხოლოდ სწრაფად და ობიექტურად აფიქსირებს საზოგადოებრივი აზრის მდგომარეობას, არამედ უშუალოდ გამოკითხვის პროცესში შეუძლია მისი გარკვეული მიმართულებით წარმართვა ინტერვიუერისა და რესპონდენტის ურთიერთობის საფუძველზე, ხოლო გამოკვლევის შედეგების ანალიზს ძალუძს უკვე პრაქტიკული რეკომენდაციები მისცეს იმ პირებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებით. ფასდაუდებელია მისი როლი მასობრივი ინფორმაციის საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში. მის საფუძველზე შესაძლებელია ობიექტურად დადგინდეს ის, თუ რა ტიპის ინფორმაცია შეესატყვისება რეალურ სიტუაციას. მასმედიის ეფექტურობა დიდადა დამოკიდებული პროგრამირების პრინციპებისა და პრაქტიკის რეალურ სიტუაციაზე დამთხვევის, ანუ მაყურებელთა, მსმენელთა თუ მკითხველთა „ჩართულობის“ ხარისხზე. ეს „ჩართულობის“ დონე კი სწორედ რომ სოციოლოგიური გამოკვლევებით შეიძლება გამოვლინდეს. სოციოლოგიური გამოკვლევა ადგენს აუდიტორიის სტრუქტურას და თუ, დავუშვათ, სატელევიზიო გადაცემების წამყვანთ სურთ ჰყავდეთ თავისი მაყურებელი, მაშინ სატელევიზიო პროგრამათა სტრუქტურა, პირველ რიგში, აუდიტორიის სტრუქტურას უნდა ითვალისწინებდეს. ამ შემთხვევაში სოციოლოგიური გამოკითხვა საშუალებას იძლევა წინასწარ განისაზღვროს თუ რა გადაცემებს, სტატიებს ექნება საზოგადოებრივი რეზონანსი და ეყოლება თუ არა მაყურებელი, მსმენელი, მკითხველი;

4. სოციოლოგიური გამოკვლევები აუცილებელია საზოგადოების ნებისმიერ სფეროში ნებისმიერი რეფორმის გატარებისას. იგი საშუალებას იძლევა მინიმალური დანახარჯით მივალნიოთ წარმატებას რეფორმის ეფექტურად განხორციელებაში ან თავიდანვე ხელი ავიღოთ რომელიმე რეფორმის განხორციელებაზე, ვინაიდან გამოკვლევებმა შეიძლება კარგად დაგვანახოს, რომ მოცემული ტიპის რეფორმის განხორციელებას შეიძლება უკუეფექტი მოჰყვეს. მაგალითად, კულტურის ისეთ სფეროებში, როგორიცაა განათლება, რელიგია და სხვა, ნებისმიერი წამოწყების წარმატებით დასრულების საწინდარია რეალური სოციალური სიტუაციების, სხვადასხვა სოციალური დაჯგუფებისა თუ დაინტერესებულ ჯგუფთა ამ წამოწყებისადმი დამოკიდებულებების ობიექტური ანალიზი.

5. სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგად შესაძლებელია დადგინდეს დამნაშავეთა (დელიქვენტთა) და დევიანტთა სოციალური პორტრეტები. ისეთ სოციალურ ბოროტებათა გავრცელების არეალი, დონე და საზოგადოებისათვის ზიანი, როგორიცაა: ნარკომანია და პროსტიტუცია, ლოთობა, მათი გამომწვევი სოციალური მიზეზები და ამ ბოროტებისადმი საზოგადოების შემადგე-

ნელ სხვადასხვა ჯგუფთა დამოკიდებულება. ასევე შეიძლება გამოვლინდეს ამ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ გამოყენებულ სამართლებრივ მექანიზმთა და სხვა საზოგადოებრივ ღონისძიებათა ეფექტურობის დონე და ხარისხი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე სოციოლოგს შეუძლია ჩამოაყალიბოს ამ სოციალურ მანკიერებათა რეალური სურათი და შეიმუშაოს ფასეული რეკომენდაციები მათი აღმოფხვრის პერსპექტივებისა და შესაძლებლობების შესახებ;

6. სოციოლოგს შეუძლია აგრეთვე ფასეული რეკომენდაციების შემუშავება საზოგადოებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მოგვარების საქმეში. ამ გამოკვლევებს განსაკუთრებული როლი ეკისრება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების დამკვიდრებისა და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბების პროცესში, საქართველოს მოსახლეობის სახელმწიფოსადმი წაყენებული მოთხოვნების დარეგულირებაში, ასევე, მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური სისტემისადმი მხარდაჭერის ახალ-ახალი ფორმების ძიებაში. სოციოლოგიურ გამოკვლევებს პოლიტიკის სფეროში შეუძლია ხელი შეუწყოს დემოკრატიული წყობის დამკვიდრების ისეთ ფაქტორთა გაძლიერებას, როგორცაა ტრადიციული, ანუ ქვეშევრდომული პოლიტიკური კულტურის გადმონაშთების, მოქალაქეთა აპათიურობის დაძლევა და აქტიური, მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურის მასობრივი დანერგვა და გაძლიერება;

7. განსაკუთრებით ფასეული ინფორმაციები შეიძლება მოგვანოდოს სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა არჩევნების წინა პერიოდში ელექტორატის (ამომრჩევლების) განწყობილებებისა და შეხედულებების ცვალებადობისა და მიმართულების შესახებ; გამოარკვის მათი სიმპათიები და ანტიპათიები ამა თუ იმ პოლიტიკური მოძრაობის, ლიდერის, პარტიის თუ ორგანიზაციის მიმართ. ასევე, გავიგოთ მოსახლეობის იმედები და სოციალური მოლოდინები, რათა დაინტერესებულმა პირებმა თუ დაწესებულებებმა თავიანთი საქმიანობა მათ შესაბამისად წარმართონ. აშშ-ის სოციოლოგიური სამსახურები იმდენად ობიექტურად აფიქსირებდნენ ელექტორატის განწყობილებებსა და შეხედულებებს, რომ თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მომხდარა ის, რომ მათი გამოთქმული პროგნოზები არ გამართლებულიყო. ასეთი ობიექტური ინფორმაცია კი აადვილებს საზოგადოების რთული ორგანიზმის მართვასა და სასურველი მიმართულებით მის წარმართვას;

8. ასევე ფასეული ინფორმაციის მოწოდება ძალუძს სოციოლოგიურ გამოკითხვებს სახელმწიფოს მართვის, ანუ ბიუროკრატიული აპარატის ეფექტური თუ არაეფექტური საქმიანობის შესახებ. ამ გამოკვლევებს ძალუძს მოგვცეს ობიექტური ინფორმაცია მმართველობის აპარატის სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან მიმართების შესახებ, დაადგინოს თუ როგორი წესით ზემოქმედებს საზოგადოებრივი მოთხოვნები და მოთხოვნილებები სახელმწიფო მოხელეთა (ჩინოვნიკებს) შორის ურთიერთობებზე; სახელმწიფო მოხელეთა ქცევებისა და საქმიანობის რომელი ტიპები შეიძლება ჩაითვალოს დისფუნქციურად საზოგადოებრივი მოთხოვნების მიმართ. ასევე შეუძლია დაადგინოს თუ როგორ იჩენს

თავს ეს განსხვავება სხვადასხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ პირობებში. შეიძლება გაიზომოს მოხელეთა სიტყვასა და საქმეს შორის მანძილი;

9. სოციოლოგებს შეფასებითი გამოკვლევების მეშვეობით ძალუძთ წინასწარ განსაზღვრონ თუ როგორი წარმატება ექნება ამა თუ იმ სოციალურ-პოლიტიკური პროგრამის განხორციელებას რეალურ სინამდვილეში. დღეს კარგად უნდა ვაცნობიერებდეთ იმ ფაქტს, რომ ცხოვრებაში რომელიმე სოციალური პროგრამის გატარებისას შეიძლება არათუ სასურველ, არამედ, პირიქით, დამანგრეველ შედეგებამდეც კი მივიდეთ. ამიტომ აუცილებელია იმის მუდმივი კონტროლი, თუ როგორ ხორციელდება რეალური პროცესი, ვთქვათ, განათლების სისტემაში. აღსანიშნავია, რომ ასეთი შეფასებითი გამოკვლევები სოციალური პროგრამების განხორციელების აუცილებელ ატრიბუტად იქცა. სხვაგვარად წარმოუდგენელიც კია, რამეთუ დიდი სოციალური პროექტების განხორციელებისას აუცილებელია ბუნებრივსა თუ სოციალურ გარემოზე მისი ზემოქმედების შედეგების შეფასება.

შეფასებითი გამოკვლევების დასკვნები საშუალებას გვაძლევს გავუმარტივოთ დამკვეთს პროგრამის შემუშავების, მართვისა და შეფასების თაობაზე გადანყვეტილების მიღება. იგი აგროვებს სწორედ ისეთ ინფორმაციას, რომლის გათვალისწინება აადვილებს სწორი გადანყვეტილების მიღების პროცესს. მაგრამ შეფასებითი და არა მხოლოდ შეფასებითი გამოკვლევები შეიძლება აქტუალური და ღირებული იყოს მხოლოდ იმ სიტუაციაში, თუ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ძალუძს რაიმე სოციალური პროგრამის გატარება ცხოვრებაში, მაშინ იგი დაინტერესებული უნდა იყოს საზოგადოებრივი სიტუაციის, გადანყვეტილებათა მიღებისა და პროგრამათა მართვის პრობლემებით. ამ პრობლემების გადანყვეტისას კი შეფასებით გამოკვლევებს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. მაგალითად, საზოგადოებრივი სიტუაციის ანალიზისას შეფასებით გამოკვლევებს ძალუძს მოგვცეს ფრიად ფასეული ინფორმაცია ალტერნატიულ პროგრამათა ღირებულების, ღირსებისა თუ ნაკლოვანების შესახებ.

შეფასებითი გამოკვლევების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ცივილურ სახელმწიფოთა წარმატებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის გატარება. ისინი ასეთი გამოკვლევების შედეგებს ფართოდ იყენებენ საკანონმდებლო აქტების მიღებისა და ბიუჯეტიდან ასიგნებათა გამოყოფის დასაბუთების დროს.

სოციოლოგიას არამიზნობრივი შეფასებების დროსაც კი შეუძლია გამოავლინოს ამა თუ იმ სოციალური პროგრამის ცხადი და ლატენტური (ფარული) ეფექტების მთელი ერთობლიობა. ამის საფუძველზე მას ძალუძს დაადგინოს დადებით და უარყოფით ეფექტთა ბალანსი და შესაბამისი რეკომენდაციები წარუდგინოს დაინტერესებულ პირსა თუ ორგანიზაციას, მაგალითად, დამკვეთს.

ასეთია, მოკლედ ის, რისი გაკეთებაც სოციოლოგიური გამოკვლევების საფუძველზეა შესაძლებელი. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ერთი უმთავრესი პირობა, ამ გამოკვლევებით დაინტერესებული უნდა იყოს საზოგა-

დოება და სახელმწიფო. თუ საზოგადოებასა და მის პოლიტიკურ სისტემას არა აქვს საკუთარ თავზე ობიექტური ინფორმაციის მიღების მოთხოვნილება, მაშინ ყოველგვარი სოციოლოგიური კვლევა, საზოგადოებრივი აზრი ფუჭია, მას საზოგადოების გაჯანსაღებისა თუ განვითარების საქმეში უარყოფითი როლი შეუძლია შეასრულოს, რამეთუ სოციოლოგი დამკვეთის ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული და, რათა არსებობა შეინარჩუნოს, შეეცდება ფაქტების იმგვარად შელამაზებას, როგორც ეს დამკვეთს სურს. თუ საზოგადოებაში პოლიტიკური კლიმატი ისეთია, რომ მეცნიერს თავისი გამოკვლევების ობიექტური შედეგების გამოქვეყნება არ ძალუძს შესაძლო რეპრესიების გამო, მაშინ ასეთ საზოგადოებაში არა მხოლოდ სოციალური მეცნიერება და მის მიერ ჩატარებული გამოკვლევები იქნება „ზედმეტი“, ან უკეთეს შემთხვევაში არადანიშნულებისამებრ გამოყენებული, არამედ – ნებისმიერი ობიექტური მეცნიერული ინფორმაციაც. სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებსა და რეკომენდაციებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორი სოციალური თუ ეროვნული პოლიტიკის გატარების საქმეში. საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფერო ჩვენივე საზოგადოების საკეთილდღეოდ რომ წარმართოს, მაშინ სოციოლოგიურ ინფორმაციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. სოციოლოგიური გამოკვლევები, უწინარეს ყოვლისა, ავლენს იმ ფარულ მექანიზმებს, „წყალქვეშა დინებებსა თუ მეჩჩებს“, რომელთა გაუთვალისწინებლობას საზოგადოების დაღუპვა შეუძლია. ამიტომ სოციოლოგიურ გამოკითხვას მაშინ აქვს აზრი და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როდესაც თავად საზოგადოება და სახელმწიფო ერთნაირად არის დაინტერესებული საკუთარი თავისა და საქმიანობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე წარმართოს საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრება.

**პოლიტიკა, როგორც სოციალური მოვლენა.  
პოლიტიკურის ცნება**

პოლიტიკის რაობის გარკვევა ერთ-ერთი ურთულესი ანალიტიკური პრობლემაა. ეს ცნება არაჩვეულებრივად ფართოა და როგორც მ. ვებერი იტყოდა: „...მოღვაწეობის ყველა ნაირსახეობას მოიცავს“. ხშირად პოლიტიკური ცნებით მოიაზრებენ ნებისმიერ მიზანდასახულ საქმიანობას, მოქმედებას, იქნება ეს სახელმწიფოს მეთაურის, პარტიისა თუ ფირმის მოქმედება. უფრო მეტიც, მასში აიგივებენ ჭკვიანი ქალის პოლიტიკასაც კი, რომელიც ცდილობს მართოს თავისი ქმარი. ზოგჯერ პოლიტიკურის ქვეშ აგრეთვე მოიაზრებენ „შესაძლებლის ხელოვნებას“, ხშირად კი მას ახასიათებენ როგორც „ბინძურ საქმეს“. შეხედულებათა ასეთი სიმრავლე გამოწვეულია პოლიტიკური ფენომენის სირთულით, მრავალნახნაგოვნებითა და გამოვლენათა სიმრავლით. თითქმის არ დარჩენილა აზროვნების ისტორიაში მოღვაწე არც ერთი პირი, რომელიც არ ცდილა პოლიტიკურის ცნების დადგენას. ამ მხრივ აღსანიშნავია ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს მოსაზრებები. პლატონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიტიკა – ესაა ადამიანის მიერ ადამიანთა მართვის სფერო, რომლის საფუძველი ერთდროულად არის როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით რაციონალური და ინტუიციური ელემენტების ერთობლიობაა. პოლიტიკურის ცნებაში უმთავრესია ადამიანთა სახელმწიფოდ გაერთიანება, ცალკეული, სხვადასხვა ბუნებისა თუ მიდრეკილების მქონე ინდივიდებისგან ერთიანი და ჰარმონიულად მოქმედი საზოგადოების შექმნა. ამიტომ იგი პოლიტიკოსისა და ფეიქრის საქმიანობას ერთმანეთს ადარებს: როგორც ფეიქარი სხვადასხვა ფერის, სიდიდისა თუ სიმტკიცის ძაფებისაგან ქსოვს ერთიან ხალჩას, ისე პოლიტიკოსიც სხვადასხვა ნატურის ადამიანებისაგან ქმნის ერთიან ქსოვილს – საზოგადოება-სახელმწიფოს.

არისტოტელეს აზრით, პოლიტიკა, ეს არის ადამიანური საქმიანობის უმაღლესი ფორმა, რამდენადაც მისი მეშვეობით ადამიანურ ურთიერთობებში ყალიბდება სამართლიანობა და მიიღწევა საერთო სიკეთე. სამართლიანობა დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, **„რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე დიდი მნიშვნელოვანი სფეროს მიზანი იგივე იქნება. ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა. პოლიტიკაში კი, – შენიშნავს არისტოტელე, – სიკეთე სამართლიანობაა, ხოლო სამართლიანობა სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის“** (2, ნან. I, გვ. 84-85). ამგვარად, პოლიტიკა, არისტოტელეს აზრით, საერთო სიკეთის მოსაპოვებლად წარმართული საქმიანობაა. მისი უმაღლესი ფასეულობაა საზოგადო სიკეთე, რომელიც თავის თავში მოიცავს თავისუფლებას, სამართლიანობას, მშვიდობას და ა.შ. ფასეულობებს, მიზანი კი არის – საზოგადო სიკეთისადმი სამსახური.



პოლიტიკა და პოლიტიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია ძალაუფლების ფენომენის გარეშე. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკა – ეს არის სფერო, რომელშიც სწორედ ძალაუფლებრივი ურთიერთობები ხორციელდება. პოლიტიკა ქმედებაა, რომელიც მიმართულია ძალაუფლების მოპოვების, შენარჩუნებისა და გამოყენებისაკენ. ამ მხრივ აღსანიშნავია ნ. მაკიაველისა და მ. ვებერის შეხედულებები. ნ. მაკიაველი ყურადღებას ამახვილებს ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და გამოყენების ხელოვნებაზე, ტექნიკაზე, ხერხებსა და საშუალებებზე. იგი პოლიტიკას ახასიათებს, როგორც „საშუალებათა ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია იმისათვის, რათა მოხვიდე ხელისუფლებაში, განიმტკიცო ძალაუფლება და სასარგებლოდ გამოიყენო იგი... მაშასადამე, პოლიტიკა არის მიმართება გარემოებებით მოცემულ ძალაუფლებასთან, რომელიც დამოკიდებულია მბრძანებლის ან ხალხის ძლიერებასა და აგრეთვე მიმდინარე სიტუაციებზე“ (ციტ. 128, გვ. 11).

პოლიტიკის რაობის ფუნდამენტურ-არსობრივი ახსნა მაქს ვებერის სახელთანაა დაკავშირებული. პოლიტიკა, – ნერს იგი – „სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ; სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებსა თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით – ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის“ (4, გვ. 13). პოლიტიკის ამგვარი გაგება არსობრივ შესატყვისობაშია, – ფიქრობს იგი, – ჩვეულებრივ სიტყვათა ხმარებასთან. როცა რომელიმე საკითხზე ამბობენ „პოლიტიკური“ საკითხიაო, მინისტრსა თუ მოხელეზე – „პოლიტიკური“ მოხელეაო, გადანწყვეტილებაზე – „პოლიტიკურადაა“ განპირობებულიო, იგულისხმება, რომ „პოლიტიკური“ საკითხის გადაჭრას, გადანწყვეტილების მიღებას თუ დასახელებული მოხელის მოღვაწეობის სფეროს დადგენას იგივე ინტერესები განსაზღვრავს, რომელიც „ძალაუფლებაში მონაწილეობას, მის გადანაწილებასა თუ შენარჩუნებას წარმართავს. ის ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება – სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისთვის“, რათა დატკბეს პრესტიჟულობის იმ გრძნობით, რასაც ადამიანს იგი ანიჭებს“ (იქვე).

მ. ვებერი პოლიტიკის ისეთი ფართო გაგების წინააღმდეგია, რომელიც ადამიანთა შორის ნებისმიერი ურთიერთობისათვის იქნებოდა დამახასიათებელი. პოლიტიკის ფარგლებს იგი მხოლოდ სახელმწიფოთი საზღვრავს, რამეთუ მიაჩნია, რომ „პოლიტიკის მთავარი საშუალება ძალადობაა“ (4, გვ. 81). ძალადობაზე ლეგიტიმური თუ ალიარებული უფლება კი მხოლოდ სახელმწიფოს აქვს. მარტო ისეთი სოციალური წარმონაქმნები რომ არსებულებოდა, რომელთათვისაც უცნობია ძალადობა, ვითარცა ღონისძიება, მაშინ, ვებერის აზრით, უკუგდებულ იქნებოდა „სახელმწიფოს“ ცნება და დაისადგურებდა ისეთი რამ, რასაც „ანარქიას“ უწოდებდნენ“ (4, გვ. 12). ძალადობა კი მხოლოდ სახელმწიფოს სპეციფიკური ღონისძიებაა. თუ ადრე ნებისმიერი ადამიანური გაერ-

თიანებისათვის ფიზიკური ძალადობა სავსებით ნორმალურ ღონისძიებად ითვლებოდა – სადღეისოდ „სწორედ სახელმწიფოა ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელიც ერთი, მისთვის ნიშანდობლივი არის შიგნით თავის ხელში იღებს (და წარმატებითაც) მონოპოლიას ლეგიტიმურ ფიზიკურ ძალადობაზე“ (4, გვ. 12). ამიტომ მ. ვებერს მიაჩნია, რომ პოლიტიკაში უნდა გვესმოდე სპოლიტიკური კავშირის, ანუ სახელმწიფოს მართვა ან ამ მართვაზე ზეგავლენა. ნებისმიერ ადამიანურ ასოციაციას შეიძლება ეწოდოს პოლიტიკური, თუ მისი განკარგულებები მუდმივად ხორციელდება განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან იძულების გამოყენებით ან მუქარის ძალით. ამგვარად, პოლიტიკა დაკავშირებულია ძალაუფლებასთან, გარკვეულ ტერიტორიაზე მის გავრცელებასა და იძულების სპეციალური ორგანოების არსებობასთან.

**ჟან ბემლერი პოლიტიკის რაობის შესახებ.** ჟან ბემლერი რ. არონისა და კ. როჰეს მსგავსად ანალიზებს პოლიტიკის სამ განსხვავებულ საზრისსა და მნიშვნელობას. უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკა – ეს არის სინამდვილის განსაკუთრებული სფერო ან წესრიგის განსაკუთრებული სახესხვაობა, ეკონომიკის, რელიგიის, დემოგრაფიისა და ა.შ. გვერდით. პოლიტიკურის გამოვლენა განპირობებულია იმ პრობლემით, რომელსაც ადამიანს უყენებს მისი ბუნება – ყოფიერება და ამ პრობლემის გადაწყვეტილებებით. ზოგადი ფორმით ეს გადაწყვეტილებები აღინიშნება როგორც „მიზნები“. პოლიტიკას, როგორც წესრიგის სახესხვაობას, ფესვები გადგმული აქვს ადამიანის კონფლიქტურობის პრობლემაში, მისი მიზანია სამართლიანობაზე დაფუძნებული მშვიდობა. მეორე, უფრო ფართო მნიშვნელობით, პოლიტიკა – ეს არის ჩარჩოები, რომელშიც მიმდინარეობს ყოველგვარი ადამიანური საქმიანობა, ანუ გვევლინება ისეთი წესრიგად, რომელიც შესაძლებლად აქცევს წესრიგის ყველა სხვა სახის განვითარებას. პოლიტიკა ასეთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანური გაერთიანების (პოლითიის) წყალობით, ვინაიდან ისეთი საზოგადოებრივი სივრცის გარეშე, რომელშიც შესაძლებელია მშვიდობა, ნებისმიერი მიზნის მიღწევა შეუძლებელია. პოლიტიკური მდგომარეობა უპირისპირდება ბუნებრივ მდგომარეობას, რომელიც ნიშნავს „ომს ყველასი ყველას წინააღმდეგ“ და გვევლინება კულტურაში ადამიანური ვირტუალურობის აღმოჩენის ამოსავალ პირობად. ადამიანური ყოფიერება დასაწყისიდანვე, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური ყოფიერებაა, ვინაიდან ბუნებრივი მდგომარეობა უნდა გავიგოთ არა ქრონოლოგიურად, არამედ ონტოლოგიური აზრით. იგი მუდმივად ემუქრება პოლიტიკურ მდგომარეობას, როგორც მისი დამახინჯების ან გადაგვარების რეზულტატი. მესამე, ვინაიდან მნიშვნელობით, პოლიტიკა – ესაა ძალისხმევათა ერთობლიობა გამოყენებული ფართო აზრით გაგებულ პოლიტიკის მიზნების მისაღწევად. „პოლიტიკის“ უკანასკნელი მნიშვნელობა – ესაა ინგლისური policy, რომელიმე პარტიის, კლუბის, წარმოების და ა.შ. „პოლიტიკა“. ცნებათა აღრევის თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილი იქნება თუ ამ აზრით გამოვიყენებთ სიტყვას – „სტრატეგიას“.

ამგვარად, ჟ. ბეშლერის აზრით, „პოლიტიკა – ესაა ისეთი ნებსრიგი, რომლის დანიშნულებაა სახელმწიფოს (პოლიტიის) შიგნით სამართლიანი მშვიდობის უზრუნველყოფა და აუცილებლობის შემთხვევაში სხვა სახელმწიფოებთან ომის წარმოება“ (30, გვ. 27). სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკა მთლიანად მიპყრობილია მშვიდობის, სამართლიანობისა და გადანყვეტილებათა მართებულობის მიზნებზე. ბეშლერის აზრით, პოლიტიკის მიზნებია არა უბრალოდ მშვიდობა და სამართლიანობა, არამედ მშვიდობა სამართლიანობის გზით. ეს ცნებები არ არის ტოლი მნიშვნელობისა და ფასეულობის, რამეთუ მშვიდობა – ესაა პოლიტიკის საბოლოო მიზანი და პოლიტიკაში არ შეიძლება იყოს მიზანი, რომლისთვისაც მშვიდობა მხოლოდ საშუალება იქნებოდა. სამართლიანობა კი პირიქით, – ექვემდებარება მშვიდობას, ვინაიდან წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას ან შუალედურ მიზანს მისკენ მიმავალ გზაზე (30, გვ. 32-33).

**პოლიტიკა, როგორც ადამიანურ შესაძლებლობათა ორგანიზაციისათვის ბრძოლა.** ამ დებულების ავტორია ინგლისელი პოლიტოლოგი დ. ჰელდი. პოლიტიკის საგნად იგი ბატონობას, ძალაუფლებას მიიჩნევს, მაშასადამე, სოციალურ აგენტთა და ინსტიტუტთა უნარს, შეინარჩუნოს ან შეცვალოს თავისი სოციალური ან ფიზიკური გარემო. ესაა მეცნიერება იმ რესურსების შესახებ, რომელიც ასაზრდოებს, კვებავს მოცემულ უნარს, და იმ ძალთა შესახებაც, რომელიც მას განსაზღვრავს. ამგვარად, პოლიტიკა გამსჭვალავს მთელ საზოგადოებრივ და კერძო ცხოვრებას, ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების „წარმოებისა“ და „კვლავწარმოების“ პროცესებში მონაწილე ყველა კავშირსა და სტრუქტურაში. პოლიტიკის შესწავლა მოიცავს უფრო ფართო სფეროს, ვიდრე – სახელმწიფოს კვლევა. იგი აანალიზებს იმ არხებს, რომელთა საშუალებითაც სახელმწიფო ერევა საზოგადოების სტრუქტურებში – ჯგუფებს, კლასებს, ფორმალურ და არაფორმალურ ინსტიტუტებს, აგრეთვე იმას, თუ როგორი წესით ზემოქმედებენ თავად ეს სტრუქტურები სახელმწიფოზე. თავის მხრივ, სახელმწიფოც რთული ფენომენია, ვინაიდან იგი წარმოადგენს ძნელად გასაგებ დამოკიდებულებათა, კავშირთა და პროცესთა გადაჯაჭვას, მათი განხილვა კი აუცილებელია დინამიკაში. თითოეულ მათგანს კი სპეციფიკური (ზოგჯერ კონფლიქტური) თავისებურებანი და ამოცანები გააჩნია.

ასე რომ, პოლიტიკა, როგორც თეორიული დისციპლინა, მონოდებულია, ნათლად განსაზღვროს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტებს შორის არსებული რთული კავშირები და მიმართებები, ისეთები, როგორიცაა: სახელმწიფოებრივი აგებულება, ეკონომიკა და სოციალური სტრუქტურა. მისი ამოცანაა წარმოგვიდგინოს „მთელი კოლექტიური სულიერი ცხოვრების“ მთლიანობაში სოციუმის სურათის წარმომქმნელ სხვადასხვა ფაქტორთა ურთიერთქმედების ერთიანი და განზოგადებული სურათი.

დ. ჰელდის აზრით, „პოლიტიკა არის სოციალურ ჯგუფთა, ინსტიტუტთა და საზოგადოებათა საყოველთაო ურთიერთკავშირის (შინაგანისა და გარეგანის) ფენომენი, რომელიც მჭიდროდაა ასოცირებული ადამიანური საქმი-

ანობის ყველა სოციალურ და კერძო სფეროებთან. იგი გამოხატულებას პოულობს რესურსთა გამოყენების, წარმოებისა და განაწილების შესახებ არსებულ საკითხთა ირგვლივ ბრძოლაში, თანამშრომლობასა და მოლაპარაკებებში. შესაბამისად, პოლიტიკა დაინტერესებულია ძალაუფლებით, სწავლობს იმ ძალებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის განაწილებაზე და რომელიც გამოიყენება ხელისუფალთა მიერ. იგი წარმოადგენს მთელი ადამიანური ცხოვრების შემადგენელ ნაწილს, საზოგადოების წარმოების და კვლავწარმოების აუცილებელ ვექტორს, განზომილებას. პოლიტიკა – ესაა მეცნიერება სოციალურ აგენტთა და ინსტიტუტთა **„გარდამქმნელი შესაძლებლობების“ შესახებ. მისი საგანი სრულებით არაა მხოლოდ მთავრობის ან მთავრობების საქმიანობა“** (122, გვ. 146-147).

**პოლიტიკა, როგორც „მეგობარი-მტერი“ ურთიერთობა (კ. შმიტი).** კ. შმიტი მა მოგვცა პოლიტიკურის ცნების ორიგინალური გაგება, რომელიც ააშკარავებს პოლიტიკურის არსობრივი მომენტებიდან ერთ-ერთს. იგი ხაზს უსვამს პოლიტიკის კონფლიქტურ ბუნებას, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს მის კონსენსურ რაობას, რომელიც მდგომარეობს წესრიგისა და სამართლიანობის დამკვიდრებაში. კ. შმიტის აზრით, **„სახელმწიფოს ცნება გულისხმობს პოლიტიკურის ცნებას. დღევანდელი სიტყვათხმარების თანახმად, სახელმწიფო არის ტერიტორიულ საზღვრებში ორგანიზებული ხალხის პოლიტიკური სტატუსი“** (166, გვ. 37). ამ წარმოდგენაში შემავალი ორივე ნიშანი – სტატუსი და ხალხი, შმიტის მიხედვით, საზრისიანდება მხოლოდ უფრო ფართო ნიშნის, ანუ პოლიტიკურის ნყალობით – და თუ არასწორად გავიგებთ პოლიტიკურის არსს, მაშინ ისიც გაუგებარი დარჩება. კ. შმიტი, ერთი მხრივ, არ ეთანხმება იმ მოაზროვნეებს, რომლებსაც პოლიტიკური ესმით უარყოფითი აზრით, როგორც დაპირისპირებული მეურნეობისადმი, რელიგიისადმი, მორალისადმი, მეორე მხრივ, კი აკრიტიკებს სახელმწიფოსა და პოლიტიკურის გაიგივების მომხრეებს. ასეთი გზით მას შეუძლებლად მიაჩნია პოლიტიკურის ცნების დადგენა. პოლიტიკურის ცნების დეფინიცია შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიკური პოლიტიკური კატეგორიების აღმოჩენითა და დადგენით. პოლიტიკურსაც უნდა გააჩნდეს საკუთარი კრიტერიუმი, რომელიც თავისებურ მოქმედებას იწყებს მაშინ, როდესაც უპირისპირდება ადამიანური აზროვნებისა და მოქმედების შედარებით დამოუკიდებელ საგნობრივ სფეროებს, კერძოდ, მორალურს, ესთეტიკურსა და ეკონომიკურს. ამიტომ პოლიტიკურ სფეროშიც უნდა დაიძებნოს ის საბოლოო განსხვავება თუ კრიტერიუმი, რომლებზეც შეიძლება დავიყვანოთ ყველა სპეციფიკური აზრით პოლიტიკური მოქმედება. თუ მივიღებთ, რომ „მორალურის სფეროში საბოლოო განსხვავება არის „კეთილი“ და „ბოროტი“, ესთეტიკურში – „მშვენიერი და მახინჯი“, ეკონომიკურში – „სასარგებლო“ და „საზიანო“ ან „რენტაბელური“ და „არარენტაბელური“, მაშინ თავისუფლად შეიძლება ვიკითხოთ: შესაძლებელია თუ არა არსებობდეს ცხადი განსხვავება, როგორც პოლიტიკურის მარტივი, მაგრამ თავისთავადი კრიტერიუმი. უნინ-

არეს ყოვლისა, დასაძებნია, თუ რაში მდგომარეობს სპეციფიკურად პოლიტიკური განსხვავება.

კ. შმიტის აზრით, **„სპეციფიკური პოლიტიკური განსხვავება, რომელზეც შეიძლება დავიყვანოთ პოლიტიკური მოქმედება და მოტივები, – არის მეგობრისა და მტრის განსხვავება“** (166, გვ. 40). ეს განსხვავება დამოუკიდებელია სხვა განსხვავებებისაგან, ისევე როგორც მორალური დამოუკიდებელია ესთეტიკურისაგან და ორივე კი – ეკონომიკურისაგან. იგი დამოუკიდებელია არა იმით, რომ აქვს საკუთარი საგნობრივი სფერო, არამედ იმ აზრით, რომ მისი დასაბუთება ან დაყვანა სხვა ნახსენებ დაპირისპირებულობებზე შეუძლებელია. ისევე, როგორც შეუძლებელია ერთმანეთში აგვერიოს კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება მშვენიერისა და მახინჯის დაპირისპირებაში, ასევე შეუძლებელია ავურიოთ ისინი მეგობარი-მტრის დაპირისპირებას.

**„მეგობრისა და მტრის განსხვავების საზრისი ისაა, რომ აღნიშნოს შეერთებისა და დაშლის, ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსივობის უმაღლესი ხარისხი“** (166, გვ. 40). ამ განსხვავებას შეუძლია იარსებოს თეორიულად და პრაქტიკულად იმისგან დამოუკიდებლად გამოიყენება თუ არა ერთდროულად ყველა ეს მორალური, ესთეტიკური, ეკონომიკური თუ სხვა განსხვავებანი. არაა აუცილებელი, რომ პოლიტიკური მტერი მორალურად ბოროტი იყოს, ან ესთეტიკურად მახინჯი და ეკონომიკური თვალსაზრისით კონკურენტი აღმოჩნდეს, შეიძლება მასთან საქმისწარმოება სარფიანიც კი იყოს. მთავარი აქ ის კი არაა, მორალურად ბოროტია თუ კეთილი და ესთეტიკურად მშვენიერი თუ მახინჯი, ან ეკონომიკურად რენტაბელური ან არარენტაბელური, არამედ ის, რომ იგი არის – უცხო, სხვა, რომ ექსტრემალურ შემთხვევაში შესაძლებელია მასთან კონფლიქტი, რომლის გადაჭრა უკვე წარმოუდგენელია წინასწარ დადგენილი საყოველთაო ნორმებისა და „მიუდგომელი“ მესამის განაჩენით.

იმის სწორი შემეცნებისა და გაგების შესაძლებლობა, თუ ვინ არის მტერი და ვინ მეგობარი, მით უფრო სრულფასოვანი მონაწილეობა განხილვასა და მსჯავრის გამოტანაში გვეძლევა მხოლოდ ეგზისტენციალური მონაწილეობითა და თანაზიარობით. კ. შმიტის სწორი შენიშვნით, ექსტრემალური კონფლიქტური შემთხვევა შეუძლიათ ერთმანეთს შორის მოაგვარონ მხოლოდ თავად მონაწილეებმა. სახელდობრ, თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად შეუძლია გადანყვიტოს, ნიშნავს თუ არა მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში უცხოს ყოფნა მისი საკუთარი გვარის არსებობის უარყოფას, და ამიტომ იგი (უცხოს ყოფიერება) უნდა უარვეყოთ და დავამარცხოთ, რათა შევინარჩუნოთ საკუთარი ცხოვრების ყოფიერებითი გვარი.

ფსიქოლოგიურად ადვილი გასაგებია მტრის, როგორც ბოროტისა და მახინჯის განმარტება. ჯგუფებად ნებისმიერი დაყოფა, ყველაზე მეტად კი პოლიტიკური დაყოფა და განსხვავება მხარდასაჭერად იზიდავს ამ განსხვავებისათვის ყველა გამოსადეგ საშუალებას. მაგრამ რა ნიშნებიც არ უნდა მივანეროთ ამ დაპირისპირებას, იგი მაინც არაფერს არ ცვლის მის დამოუკიდებლობასა და თავისთავადობაში. მორალურად ბოროტი, ესთეტიკურად მახინჯი ან ეკონომი-

კურად საზიანო ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ მტრად ქცევას, ხოლო მორალურად კეთილი, ესთეტიკურად მშვენიერი და ეკონომიკურად სასარგებლო ჯერ კიდევ არ ნიშნავს მეგობრად ქცევას სპეციფიკური, ანუ პოლიტიკური აზრით. ამგვარად, – დაასკვნის შმიტი, – **„პოლიტიკურის ყოფიერებითი საგნობრიობა და დამოუკიდებლობა ვლინდება უკვე ისეთი სპეციფიკური დაპირისპირების, როგორცაა „მეგობარი-მტერი“ სხვა განსხვავებისაგან გამოყოფისა და მისი, როგორც რაღაც თავისთავადისა და დამოუკიდებლის გაგების შესაძლებლობაში“ (166, გვ. 41).**

კ. შმიტი გვაფრთხილებს, რომ „მეგობარი“, „მტერი“ წარმოდგენები არ უნდა ავურიოთ ეკონომიკურ, მორალურ ან სხვა წარმოდგენებში. ყველაზე ნაკლებ იგი უნდა გავიგოთ ფსიქოლოგიურად, ანუ კერძო – ინდივიდუალური აზრით, როგორც კერძო გრძნობებისა და ტენდენციების გამოთქმა. „მეგობარი“ - „მტერი“ დაპირისპირება, მისი აზრით, არც ნორმატიულია და არც „წმინდა გონითი“. ამიტომ „მეგობარი“ - „მტერი“ ცნებები უნდა ავიღოთ კონკრეტული და ეგზისტენციალური და არა გადატანითი აზრით, როგორც მეტაფორა ან სიმბოლო. იგი ამასთან დაკავშირებით აკრიტიკებს ლიბერალიზმს, რომელიც შეეცადა მისთვის ტიპიურ დილემაში „გონი-ეკონომიკა“ მტრის ცნება სამეურნეო მხრივ გაეიგივებინა კონკურენტისათვის, ხოლო სულიერ-გონით მხრივ კი დისკუსიაში მონაწილე ოპონენტისათვის. რასაკვირველია, შენიშნავს იგი, ეკონომიკის სფეროში არ არის მტერი, იქ მხოლოდ კონკურენტებია. მთლიანად მორალიზებულ სამყაროში ჯერ კიდევ შეიძლება დარჩნენ მოდისკუსიე ოპონენტები. შეიძლება ასევე ვინმემ თქვას, რომ ხალხთა „მტრებად“ და „მეგობრებად“ დაყოფა საძრახისია და ბარბაროსულ დროთა ატავისტურ ნარჩენს წარმოადგენს – ყოველივე ეს შმიტისთვის მნიშვნელობას მოკლებულია, ვინაიდან ამ განსხვავებაზე ბჭობისას საქმე ეხება არა ფუნქციებსა და ნორმატიულ მნიშვნელობებს, არამედ ამ განსხვავების ყოფიერებით სინამდვილესა და რეალურ შესაძლებლობას. ის, რომ **„ხალხები ჯგუფებიდან „მეგობარი-მტერი“ დაპირისპირებულობების მიხედვით, რომ ეს დაპირისპირება დღესაც ნამდვილია და როგორც რეალური შესაძლებლობა ეძლევა ყოველ პოლიტიკურად არსებულ ხალხს – ამის გონივრული წესით უარყოფა შეუძლებელია“ (166, გვ. 41).**

მტერი, საერთო აზრით, არც კონკურენტია და არც მონინალმდეგე. მტერი არც კერძო მონინალმდეგეა, რომელიც ანტიპათიის გრძნობის გამო გვძულს. მტერი არის მხოლოდ, სულ მცირე, ევენტუალურად (შესაძლებლად), ე.ი. რეალური შესაძლებლობის მიხედვით ადამიანთა მეზობლი ერთობლიობა, რომელიც უპირისპირდება ზუსტად ასეთივე ერთობლიობას. მტერი არის მხოლოდ საჯარო მტერი, ვინაიდან ყველაფერი, რაც მიმართებაშია ადამიანთა ასეთ ერთობლიობასთან, განსაკუთრებით კი მთელ ხალხთან, ამიტომ ხდება საჯარო. მტერი – ესაა **hostis**, და არა **inimicus** უფრო ფართო აზრით **πῖλοι** და არა **ἐχθροί** (იქვე).

კ. შმიტი შენიშნავს, რომ როგორც გერმანული, ისე სხვა ენებშიც ვერ განსხვავებენ ერთმანეთისაგან კერძო (private) და პოლიტიკურ „მტერს“. სახ-

არებისეული გამოთქმა: „გიყვარდეს მტერი შენი“ – ნიშნავს, გიყვარდეს უშუალოდ შენი, როგორც პიროვნების მტერი, ე.ი. პრივატული – კერძო მტერი. ამ გამოთქმაში ლაპარაკიც კი არაა პოლიტიკური მტერის შესახებ. ქრისტიანობასა და ისლამს შორის ათასწლოვან ომში არც ერთ ქრისტიანს თავში აზრადაც არ მოსვლია ის, რომ არ არის საჭირო ევროპის დაცვა, რომ უმჯობესი იქნება სარკინოზებისა და თურქებისადმი სიყვარულის გამო, ჩავაბაროთ იგი ისლამს. პოლიტიკური აზრით, მტერი არ მოითხოვს პირად სიძულვილს, ამიტომ მხოლოდ კერძო ურთიერთობებში აქვს აზრი გამოთქმას: „გიყვარდეს მტერი შენი“, ე.ი. შენი მონინალმდეგე. აქ ლაპარაკიც კი არაა იმაზე, რომ უნდა გიყვარდეს შენი ხალხის მტრები და რომ მხარი უნდა დაუჭირო მათ შენი ხალხის საწინააღმდეგოდ.

ამგვარად, **„პოლიტიკური დაპირისპირებულობა – ესაა ყველაზე ინტენსიური, ყველაზე უკიდურესი დაპირისპირებულობა, და ყველა კონკრეტული დაპირისპირება მით უფროა პოლიტიკური დაპირისპირება, რაც უფრო უახლოვდება იგი „მეგობარი-მტერი“ ჯგუფებად დაყოფის უკიდურეს წერტილს“ (166, გვ. 41).**

მსოფლიო, რომელშიც მთლიანად იქნებოდა აღმოფხვრილი და გამქრალი ბრძოლის შესაძლებლობა, დაისადგურებდა მშვიდობა, ასეთი მსოფლიო იქნებოდა „მეგობარი/მტერი“ განსხვავების გარეშე და, მაშასადამე, პოლიტიკის გარეშეც. ასეთ მსოფლიოში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფრიად საინტერესო დაპირისპირებულობებსა და კონტრასტებს, ყოველგვარ კონკურენციასა და ინტრიგას, მაგრამ მასში რაიმე დაპირისპირებულობას საზრისი არ ექნებოდა, რომლის საფუძველზეც ადამიანებისაგან შეიძლება მოგვეთხოვა თავგანწირვა და მიგვეცა მათთვის სისხლის დაღვრისა და სხვა ადამიანების მოკვლის უფლება.

ნებისმიერი რელიგიური, მორალური, ეკონომიკური, ეთნიკური ან სხვა დაპირისპირება გარდაიქმნება პოლიტიკურ დაპირისპირებად, თუ იგი საკმაოდ ძლიერია იმისათვის, რათა ეფექტურად დაეყოს ადამიანები მეგობრულ და მტრულ ჯგუფებად. პოლიტიკურის არსება მდგომარეობს არა ბრძოლაში, არამედ ომის რეალური შესაძლებლობით განსაზღვრულ ქცევებში, მის მიერ განსაზღვრული საკუთარი სიტუაციის ნათელ შემეცნებასა და მეგობრისა და მტრის სწორ განსხვავებაში.

ნებისმიერი რელიგიური ერთობა, როგორც ასეთი, თუკი აწარმოებს ომს სხვა რელიგიური ერთობის წევრთა წინააღმდეგ, არის, ამავე დროს, პოლიტიკური ერთობაც. იგი პოლიტიკური სიდიდეა მაშინაც კი, როდესაც მხოლოდ ნეგატიურად ძალუძს გავლენა მოახდინოს ამ გადამწყვეტ პროცესზე იმით, რომ თავის წევრებს უკრძალავს ბრძოლას, ე.ი. უარყოფს მონინალმდეგისათვის მტრის იარლიყის მიკერებას. იგივე შეიძლება ითქვას ეკონომიკურ საფუძველზე გაერთიანებულ ადამიანთა შესახებაც, მაგალითად, პროფკავშირების შესახებ. ასევე სოციალური „კლასიც“, მარქსისტული აზრით, წყვეტს წმინდა ეკონომიკურ კატეგორიად არსებობას და ხდება პოლიტიკური სიდიდე, როდეს-

საც აღწევს „მეგობარი/მტერი“ განსხვავების კრიტიკულ წერტილს, ე.ი. სერიოზულად ეკიდება კლასობრივ „ბრძოლას“, განიხილავს კლასობრივ მონინააღმდეგეს როგორც ნამდვილ მტერს და იბრძვის მის წინააღმდეგ როგორც სახელმწიფო სახელმწიფოს წინააღმდეგ ან სახელმწიფოს შიგნით სამოქალაქო ომში. მაშინ ნამდვილი ბრძოლა აუცილებლად გათამაშდება უკვე არა ეკონომიკური კანონებით, არამედ მას ექნება თავისი პოლიტიკური აუცილებლობა და ორიენტაცია, კოალიციები, კომპრომისები და ა.შ.

ამგვარად, **„პოლიტიკურს შეუძლია თავისი ძალა ამოიღოს ადამიანური ცხოვრების განსხვავებული სფეროებიდან, რელიგიური, ეკონომიკური, მორალური და სხვა დაპირისპირებულობიდან, პოლიტიკური ნიშნავს არა რაიმე საკუთარ საგნობრივ სფეროს, არამედ მხოლოდ ადამიანთა ასოციაციისა და დისოციაციის ინტენსიურობის ხარისხსა და დონეს, ადამიანებისა, რომელთა მოტივებიც შეიძლება იყოს რელიგიური, ეროვნული (ეთიკური ან კულტურული აზრით), ეკონომიკური ან სხვადასხვა პერიოდში თავს ავლენენ განსხვავებულ შეერთებებს და დაშლებში“** (166, გვ. 46). მეგობარ და მტერ დაჯგუფებებად რეალური დაყოფა ყოფიერებისეულად იმდენად ძლიერია და იმდენად განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, რომ, შმიტის აზრით, არაპოლიტიკური დაპირისპირება თვით იმ მომენტში, როდესაც იგი იწვევს ასეთ დაჯგუფებას, უკანა პლანზე სწევს თავის თავდაპირველ კრიტერიუმებსა და მოტივებს: „წმინდა“ რელიგიურს, „წმინდა“ ეკონომიკურს, „წმინდა“ კულტურულს და აღმოჩნდება სავსებით ახალი, თავისებური და ამ ამოსავალი პუნქტის, ე.ი. „წმინდა“ რელიგიურის, „წმინდა“ ეკონომიკურის და ა.შ. თვალსაზრისით – ხშირად ფრიად არათანმიმდევრული და „ირაციონალური“ პირობებისა და დასკვნების, დღეიდან უკვე პოლიტიკური სიტუაციის მორჩილებაში. ყველა შემთხვევაში, დაჯგუფება, რომელიც ორიენტირებულია საქმის სერიოზულ, საომარ ვითარებაზე, მუდამ პოლიტიკური დაჯგუფებაა.

ამგვარად, კ. შმიტი, პოლიტიკურის ძირითად კრიტერიუმად „მეგობრისა“ და „მტრის“ განსაზღვრასა და დაპირისპირებას მიიჩნევს. პოლიტიკური მტრისადმი არ გამოიყენება მორალის ცნება, იგი სხვაა, უცხოა და ეს საკმარისია მისი არსებობის დასადგენად, „მტერი“, უპირველეს ყოვლისა, არის ეგზისტენციალურად – ყოფიერების აზრით, სხვა და უცხო.

პოლიტიკა, როგორც „მტერსა“ და „მეგობარს“ შორის განსხვავება, მუდამ არის იმ კოლიზიის წყარო, რომლის გადაჭრა შეუძლებელია არსებული ნორმების კოდექსით, „ნეიტრალური“, ანუ „არაპარტიული“ მესამის წყლობით. „მტერი“, პოლიტიკური აზრით, არის საზოგადოებრივი მტერი, ვინაიდან ყველაფერი, რასაც მიმართება აქვს მთელ ხალხთან, ერთან, საზოგადოებრივი ხდება. მხოლოდ „მეგობარი – მტერი“ დაყოფა არის ხალხისა და სუვერენულობის მატარებელთა პოლიტიკური ერთიანობის შეცნობის საფუძველი. მხოლოდ ამგვარი დაყოფის საფუძველზე ხდება შესაძლებელი, რომელიმე ხალხის ერთიანობისა და სუვერენულობის განმტკიცება. ხალხი, ერი, რომელიც თვლის, რომ მას მტრები არ ჰყავს, არც არის პოლიტიკური ერთიანობა და არც სუვერენულია. სანამ ხალხი



არსებობს პოლიტიკურის სფეროში, მან უნდა – თუნდაც მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაგრამ ადგილი აქვს თუ არა უკიდურეს შემთხვევას თვითონვე წყვეტს – დამოუკიდებლად განსაზღვროს მტრისა და მეგობრის განსხვავება. ამაშია მისი პოლიტიკური ეგზისტენციის არსება. თუ მას მეტად აღარ აქვს ამ განსხვავების უნარი ან ნება, მაშინ იგი წყვეტს პოლიტიკურად არსებობას. თუ ერთი უფლებას აძლევს სხვას მიუთითოს მას თუ ვინაა მოყვარე, ვის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს და ვისთან უნდა იმეგობროს, მაშინ, რასაკვირველია, იგი მეტად აღარ არის პოლიტიკურად თავისუფალი ხალხი, დაქვემდებარებულია სხვა პოლიტიკურ სისტემას ანდა გაერთიანებულია მასთან.

ამგვარად, „მეგობარი-მტერის“ ცნება განუყოფელია ომის ცნებისაგან, ომი გამომდინარეობს მტრობისაგან, იგი არის სხვისი ყოფიერების კონკრეტული და რეალური უარყოფა. პოლიტიკა გულისხმობს ომს, შეიარაღებულ ბრძოლას შინაური თუ საგარეო „მტრის“ წინააღმდეგ, ე.ი. სხვა, უცხო ორიენტაციისა თუ განწყობის ადამიანთა განსაზღვრული ერთობლიობის წინააღმდეგ. პოლიტიკა ასევე გულისხმობს მეტრძოლ ადამიანთა შორის სიკვდილისათვის მზაობას, რომელსაც არ სჭირდება პროგრამების, ნორმებისა თუ იდეალების მეშვეობით ლეგიტიმირება-გამართლება, მას მხოლოდ და მხოლოდ ეგზისტენციალურ-ყოფიერებითი საზრისი აქვს, რომელიც ეხება ნამდვილი მტრის წინააღმდეგ ნამდვილი ბრძოლის რეალურ სიტუაციას.

რამდენადაც კ. შმიტის აზრით, პოლიტიკა გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივ და სახელმწიფოთაშორის ომის რეალურ შესაძლებლობას, ამდენად, მას უშუალო შეხება აქვს საქმის „უკიდურეს მდგომარეობასთან“. მხოლოდ ნამდვილ ბრძოლაში ვლინდება „მეგობარი“ და „მტრად“ პოლიტიკური დაჯგუფების უკიდურესი შედეგები, ამიტომ პოლიტიკურად ითვლება ის ჯგუფი, რომელიც ორიენტირდება უკიდურეს მდგომარეობაზე.

„მეგობარი-მტერი“ კატეგორია და მისი ქვემდებარე „რეალური საშიშროება“ – ომი არ არის იურიდიული, საზოგადოებრივ-მეცნიერული ცნება, იგი არ ემორჩილება ემპირიულ შემონიშნებას, ერთი მხრივ და ნორმატიულ ფიქსაციას, მეორე მხრივ, რამეთუ მათ ბირთვს კონკრეტულ სიტუაციასთან აქვს მიმართება. „რეალური საშიშროება“ საზღვრითი ცნებაა, რომელიც მიმართულია განსაკუთრებულ სიტუაციაზე. „რეალური საშიშროება“ არ უშვებს გრძელ დებატებს, კომპრომისებს, გაჭიანურებებს, იგი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს, ე.ი. ფაქტობრივი ძალაუფლებისა და ძალის რეალიზაციას. სხვაგვარად საქმე ეხება მყარი წესრიგის დადგენაზე მიმართულ ავტორიტარული (სავალდებულო) გადაწყვეტილებების მიღებას. წესრიგის დამრღვევი არის მტერი. მტრის განსაზღვრება კი სუვერენული აქტია, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება.

ამგვარად, კ. შმიტი „პოლიტიკურის“ ცნებას საგარეო პოლიტიკის მიმართებაში აყალიბებს. შიდასახელმწიფოებრივი დაპირისპირება მხოლოდ ძალიან ვიწრო გაგებით შეიძლება დახასიათდეს როგორც პოლიტიკური. საშინაო პოლიტიკა ამ სიტყვის მკაცრი მნიშვნელობით მოიაზრება მხოლოდ როგორც სამოქალაქო ომი. კ. შმიტის ნააზრევი მრავალ საყურადღებო ჭეშმარიტებას

მოიცავს, მაგრამ ის მაინც მიმართულია პოლიტიკურის ერთ ასპექტზე, რომელიც სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებაში იჩენს თავს. მაშინ, როდესაც პოლიტიკას, როგორც ადამიანთა ერთობლივი საქმიანობის უმთავრეს სფეროს, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის შიგნით ერთიანობის, სტაბილურობის, წესრიგისა და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად, ყურადღება თითქმის არ ექცევა. პოლიტიკურს ეს მხარეც აქვს და იგი არანაკლებ არსებითია, ვიდრე „მეგობარი-მტერი“ დაჯგუფების განსაზღვრება. ამ მხრივ საინტერესოა სტრუქტურული ფუნქციონალიზმის კლასიკოსის ტ. პარსონსის შეხედულებები, რომელსაც პოლიტიკა სწორედ მთელი საზოგადოებისათვის საერთო მიზნებზე წარმართულ საქმიანობად მიაჩნია. პარსონსის თვალსაზრისს უფრო დაწვრილებით მაშინ შევეხებით, როდესაც პოლიტიკურ სისტემასა და ძალაუფლებას დავახასიათებთ. აქ კი აღვნიშნავთ იმას, რომ პარსონსი რაიმე მოვლენას განიხილავს, როგორც პოლიტიკურს იმ ზომით, რა ზომითაც იგი დაკავშირებულია „**რომელიმე კოლექტივის მიერ მისი მიზნების მიღწევისათვის რესურსთა ორგანიზებასა და მობილიზაციასთან**“ (117, გვ. 30). პოლიტიკა – ესაა საერთო მიზანთა მიღწევა ეფექტური კოლექტიური საქმიანობის გზით. პოლიტიკა არის საზოგადოების ერთ-ერთი შედარებით დამოუკიდებელი ქვესისტემა, რთული სოციალური ორგანიზმი, რომელიც საზოგადოების სხვა ქვესისტემებისაგან – ეკონომიკა, კულტურა, სოციალური სისტემა – გამიჯნულია, მაგრამ, ამავე დროს, განუწყვეტელ ურთიერთქმედებაში იმყოფება მათთან, როგორც მის გარემოსთან.

ამგვარად, პარსონსი ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკური საქმიანობა კოლექტიური ბუნებისაა და ცნობიერი და მიზანმიმართული ხასიათი აქვს. იგი მოიცავს: პოლიტიკის მიზანთა განსაზღვრას, გადანყვეტილებათა მიღებას, ამ მიზანთა რეალიზაციისათვის მასების ორგანიზებასა და რესურსთა მობილიზაციას, პოლიტიკური საქმიანობის რეგულირებას, მის მიმდინარეობაზე კონტროლს და ახალ მიზანთა განსაზღვრას. პოლიტიკისათვის უმთავრეს დამახასიათებელ მომენტად გვევლინება მთელი საზოგადოებისათვის სავალდებულო გადანყვეტილებების შემუშავება და პოლიტიკური სისტემების მეშვეობით მათი ცხოვრებაში გატარება. ამგვარად, იგი ვერ შეძლებს მთელი რიგი საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ შორის უმთავრესის – საზოგადოების ერთიანობის მიღწევას. პოლიტიკის რაობის ამგვარი გაგებისაგან გამომდინარეობს, რომ იგი არ არის მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივა, პოლიტიკური ასპექტები არსებობენ კომპანიების, უნივერსიტეტების, ეკლესიების საქმიანობაშიც, რამდენადაც მსჯელობა ეხება ამ კოლექტივთა მიერ საკუთარი მიზნების მისაღწევად რესურსთა ორგანიზაციასა და მობილიზებას.

**პოლიტიკა, როგორც რისკი** (ა. პანარინი). ა. პანარინი სამართლიანად აკრიტიკებს პოლიტიკის მარქსისტულ გაგებას, რომლის მიხედვითაც პოლიტიკა ზედნაშენური ელემენტია, რომელსაც არა აქვს საკუთარი ყოფიერება. თუმცა, როგორც ცნობილია, ამას ბოლშევიკებისათვის არ შეუშლია ხელი პრაქტიკაში ელიარებინათ პოლიტიკის პრიმატი და თავდაყირა დაეყენებინათ ბაზისისა და

ზედნაშენის ურთიერთობა. სწორედ ამ მომენტში ავლენს პოლიტიკა თავის ნამდვილ ყოფიერებას. **„არსად ისეთი ხარისხით არ ბობოქრობს ვნებები, არ ეჯახება ხასიათები, არ ვლინდება მზაობა რისკზე წასასვლელად, როგორც პოლიტიკაში“** (115, გვ. 19). მაგრამ, თუ პოლიტიკას არ აქვს საკუთარი ყოფიერება, ანუ როგორც მარქსი იტყოდა, „არ აქვს ისტორია, არ აქვს განვითარება“, თუ პოლიტიკური პაექრობისა და დაპირისპირების შედეგი წინასწარ განსაზღვრულია ეკონომიკურ ურთიერთობათა ლოგიკით, მაშინ მთელი პოლიტიკური ვნებები გაუგებრობაზე ყოფილა დაფუძნებული, ანუ იმათ ილუზიებზე, ვისაც, პანარინის მოსწრებული შენიშვნით, არ გაუვლიათ ბაზის-ზედაშენური დეტერმინიზმის სკოლა. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში პოლიტიკა საზოგადოების ერთ-ერთი დამოუკიდებელ ქვესისტემად ვერ ჩამოყალიბდება, მას არ ექნება ყოფიერება, პოლიტიკური ისტორიის პანთეონი დასახლებული იქნება მხოლოდ მარიონეტებით, რომლებიც მოძრაობაში მოჰყავთ ფარულ ეკონომიკურ მექანიზმებს. **„პოლიტიკა – არის არა ზედნაშენი, არამედ ადამიანური პრაქტიკის სახე, რომლის მეშვეობითაც ადამიანები ზემოქმედებენ სოციალურ გარემოზე, ხელახლა ჭრიან თავიანთ ბედს, იცვლიან თავის სტატუსს საზოგადოებაში“** (იქვე).

„ნორმალურ“ პოლიტიკას იქ აქვს ადგილი, სადაც ჯგუფურ ინტერესთა ბუნებრივი (პრინციპულად გადაულახავი) მრავალსახეობა რეალიზდება პარტიულ-პოლიტიკური წარმომადგენლობითობის, პაექრობისა და შეჯიბრის სისტემაში. პოლიტიკა არ არის იქ, სადაც მოქმედებს „გარდუვალი კანონზომიერება“ და სწორხაზობრივი დამოკიდებულობა, სადაც ჯგუფური მეტოქეობის შედეგი წინასწარ არის გადანყვეტილი და განსაზღვრული, ხოლო ისტორიულ შემოქმედებაზე მონოპოლიით სარგებლობს ჰეგემონი კლასი, რომელმაც განუყოფლად მიითვისა ისტორიული მომავალი.

**„სტოქასტიკურ სამყაროში, სადაც განუსაზღვრელობა და არასწორხაზოვნება დაუყვანადი (არარედუცირებადი) აღმოჩნდა, პოლიტიკა გვევლინება როგორც რისკის მქონე (გარანტიების არმქონე) საქმიანობა“** (115, გვ.21). მაშასადამე, **„პოლიტიკა არის ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სფეროში (არაგარანტირებული) კოლექტიური საქმიანობა, რომლის მონაწილენი ცდილობენ თავისი სტატუსის შეცვლას საზოგადოებასა და ჩამოყალიბებული ისტორიული შესაძლებლობის კონტექსტში გავლენის სფეროთა გადანაწილებას“** (115, გვ. 7).

ამგვარად, პოლიტიკა – ესაა ინდივიდთა და სოციალურ ჯგუფთა არაგარანტირებული საქმიანობა, რომლითაც ისინი გამოთქვამენ თავიანთ კოლექტიურ ინტერესებსა და მიზნებს, შეიმუშავენ მთელი საზოგადოებისათვის სავალდებულო გადანყვეტილებებს, რომლებსაც ძალაუფლებრივი მექანიზმების მეშვეობით ახორციელებენ და ატარებენ რეალურ ცხოვრებაში.

ზემოთ მოყვანილი განმარტებები ვერ ამონურავს პოლიტიკურის მდიდარ და მრავალხარისხოვან შინაარსს, თუმცა წარმოდგენას აყალიბებს არსებითზე. განსაზღვრებათა და განმარტებათა სიმრავლე არ უნდა გაგვიკვირდეს,

პოლიტიკა ხომ ერთ-ერთი ურთულესი სოციალური მოვლენაა, რომელსაც მრავალი თვისება და ფუნქცია აქვს. ფუნქციებს ორ: „შემავალ“ და „გამომავალ“ ჯგუფებად ყოფენ. „შემავალი“ ფუნქციები გვიჩვენებს, თუ როგორ ზემოქმედებს საზოგადოება პოლიტიკაზე, ხოლო „გამომავალი“ ფუნქციები კი იმას, თუ რა გავლენას ახდენს პოლიტიკური სისტემა საზოგადოებაზე. ამ ფუნქციების დახასიათებას დაწვრილებით მომდევნო თავებში შევეცდებით, ახლა კი ჩამოვთვლით მის არსებით მომენტებს:

1. საზოგადოების, როგორც რთულად დეფერენცირებული სოციალური სისტემის მთლიანობისა და ერთიანობის განმტკიცება;
2. საზოგადოებრივი წესრიგისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფა;
3. მთელი საზოგადოებისა და მის შემადგენელ კოლექტიურ სუბიექტთა მიზნების შემუშავება, ამ მიზანთა განსახორციელებლად ადამიანთა ორგანიზება და რესურსთა მობილიზება;
4. დეფიციტურ მატერიალურ და სულიერ-გონით ფასეულობათა და დოვლათის ავტორიტარული, ყველასათვის სავალდებულო განაწილება;
5. ჯგუფურ კონფლიქტთა თავიდან აცილება და რეგულირება;
6. რთულ სოციალურ სუბიექტთა კონსტიტუირება (კომუნიკაციური ფუნქცია).

მე-6 ფუნქციის ამომწურავი აღწერა მოცემული აქვს ინგლისელ პოლიტოლოგს რ. ბერკს: **„პოლიტიკა გულისხმობს: ერთობის არსებობის საზრისის გამოვლენას, პოლიტიკის ყველა სუბიექტის, ე.ი. მოცემული ერთობის მონაწილეთა საერთო ინტერესების განსაზღვრას, ყველა სუბიექტისთვის მისაღები ქცევის წესების შემუშავებას; სუბიექტებს შორის ფუნქციებისა და როლების განაწილებას ან იმ წესების შემუშავებას, რომელთა მიხედვითაც დამოუკიდებლად გაანაწილებენ როლებსა და პოლიტიკურ ფუნქციებს. დაბოლოს, ყველა სუბიექტისათვის გასაგები ენების (ვერბალურისა და სიმბოლურის) შექმნას, რომლებსაც უნარი ექნებათ უზრუნველყონ მოცემული ერთობის ყველა მონაწილეთა შორის ეფექტური ურთიერთქმედება და ურთიერთგაგება“ (128, გვ. 18).**

ამგვარად, პოლიტიკის საზოგადოებაზე გავლენის სფეროები თითქმის შეუზღუდავია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არა აქვს საზღვრები. მართალია, „თითქმის ნებისმიერი საზოგადოებრივი პრობლემა შეიძლება იქცეს პოლიტიკურად იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკურ ლიდერთა აზრით, იგი ეხება მთელი საზოგადოების ინტერესებს და მოითხოვს ყველა მოქალაქისათვის სავალდებულო გადაწყვეტილებებს. პოლიტიკა – ესაა საზოგადოების ცნობიერი თვითრეგულირების ინსტრუმენტი“ (128, გვ. 20). მაგრამ თუ პოლიტიკის ყველგან შეღწევადობას არა აქვს საზღვრები, მაშინ ასეთი რამ ტოტალიტარიზმია და ამდენად, გაუმართლებელი. მართალია, პოლიტიკა მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელია, მაგრამ მას აქვს საზღვრები, რომლის იქითაც ვერ ჩაერევა. ასეთი სფეროები, უწინარეს ყოვლისა, არის სამოქალაქო საზოგადოება თავისი საბაზრო ეკონომიკით, კულტურული, ოჯახური, რელიგიური ცხოვრებით, ადამიანის უფლებებით და სხვა.

### თავი III

#### ქალაუფლების რაობა. ქალაუფლება, როგორც სოციალური ფენომენი

სოციალურ ურთიერთობათა უსასრულო მრავალსახეობაში არსებობს ისეთი ურთიერთობა-დამოკიდებულება ინდივიდებს, სოციალურ ჯგუფებს, ფენებსა და კლასებს შორის, რომელიც ძირითადი და არსებითია და ამა თუ იმ ფორმით არსებობს ყველა დანარჩენ ურთიერთობებში. უნინარეს ყოვლისა, ესენია: „სოციალური დამოკიდებულებისა და ქალაუფლების ურთიერთობები“ (152, გვ. 128). ქალაუფლება სოციალური თანაცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური საწყისია. იგი არსებობს ყველგან, სადაც არის ადამიანთა მყარი გაერთიანებები: ოჯახი, შრომითი კოლექტივები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, სახელმწიფო და სხვა. სოციალური მოქმედებისა და კავშირების სპეციფიკა განაპირობებს ინდივიდთა ურთიერთორიენტაციასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ორ ადამიანს შორის სოციალური ურთიერთობა უკვე გულისხმობს ორმხრივ ვალდებულებებს, ურთიერთორიენტაციასა და ურთიერთდამოკიდებულებას მეორის მოტივებსა და მოქმედებებზე. სოციალური ურთიერთქმედების კლასიკური გამოხატულებაა ქალაუფლებრივი დამოკიდებულება მმართველთა და მართულთა შორის. ყოველი პოლიტიკური კამპანია, ნებისმიერი ორგანიზებული სოციალური ჯგუფი თუ სოციალური პროცესი ვარჯიშია ქალაუფლების გამოყენებაში. სოციალური ქალაუფლება და ბრძოლა ქალაუფლების მოპოვებისათვის მრავალ დრამას წარმოშობს ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ მბრძანებელთა (მმართველთა) და მართულთა (მორჩილთა) დიქტომია – ესაა ადამიანის უდიდესი დრამა იმ დროიდან მოყოლებული, რაც ის არსებობს დედამიწაზე. ქალაუფლება ხშირად გვევლინება არა როგორც საშუალება, არამედ როგორც თვითმიზანი (ნიცშე), ამიტომ იგი გონის ერთ-ერთი უდიდესი გულისთქმათაგანია, თუ შეიძლება ითქვას ჟინია – მისწრაფება. ისტორიული გამოცდილება და თანამედროვე სოციალური თუ ანთროპოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ქალაუფლების წყურვილი – ადამიანის არანაკლები ვნებათაგანია, ვიდრე სიმდიდრის მოპოვების, გამდიდრების წყურვილი. ქალაუფლება წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც სოციალურ სტრუქტურათა საყოველთაო თვისება, არამედ ძნელად განსასაზღვრი და, შეიძლება ითქვას, გამოუცნობი სოციალური ფენომენი. იგი იმდენად არის იდუმალებით მოცული, რომ მ.დიუვერჟეს ათქმევინა: „პოლიტიკური მეცნიერების ეს ფუნდამენტური პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი პრობლემათაგანია: მისი მთელი სისრულით გაშუქება ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკურმა მეცნიერებამ მიაღწია თავის მთავარ მიზანს – ქალაუფლების ბუნების შემეცნებას. მაგრამ აქამდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა“ (65, გვ. 648). ამიტომ ქალაუფლების შესახებ გამოთქმულ დებულებებს უფრო მეტად ზოგადი და ჰიპოთეტური ხასიათი აქვს.

ასეთივე აზრისაა მ. კროზიე, რომელიც პათეტიკურად კითხულობს: „სად არის ხელისუფლება – ძალაუფლება? იგი ჰგავს ქრცვინს, რომელიც კი ვიცით, რომ გასრიალდა, მაგრამ არავის დაუნახავს“ (47, გვ. 78). ასეთი დახასიათება იმას კი არ ნიშნავს, რომ ძალაუფლებრივი დამოკიდებულებები ქრება. მართალია, იგი ისეთი აღარ არის, როგორც ძველად იყო, მაგრამ, კროზიეს აზრით, ფუნდამენტურად აღარ შეცვლილა. მთელი საქმე კი ისაა, რომ „დღემდე არ ახსნილა ძალაუფლების საიდუმლო, ხოლო ძალაუფლების პრობლემა თეთრ ლაქად რჩება მეცნიერულ გამოკვლევებში... მისი ანალიზი წინ არ წასულა მაკიაველისა და მარქსის შემდეგ“ (იქვე). მ. კროზიე მართალია, როდესაც ძალაუფლების ბუნების ახსნის სიძნელესა და სირთულეზე მსჯელობს, მაგრამ დაეთანხმო მას, რომ ძალაუფლების ანალიზი წინ არ წასულა მაკიაველისა და მარქსის შემდეგ, შეკამათების გარეშე შეუძლებელია. სხვა რომ არაფერი, უბრალოდ მ. ვებერის გახსენებაც კი საკმარისია, რათა დავინახოთ ის პროგრესი, რაც ძალაუფლებრივი ურთიერთობის ანალიზმა განიცადა. მანამდე კი აღსანიშნავია გ. ჰეგელისა და ფ. ნიცშეს კონცეფციები ძალაუფლების რაობისა და დანიშნულების შესახებ.

ძალაუფლებრივი ურთიერთობა ინდივიდებს შორის აფართოებს და აძლიერებს მათი მოქმედების მოწესრიგებასა და ურთიერთწინასწარმეტყველებას, სწორედ მისი მეშვეობით, იციან ადამიანებმა თუ რას უნდა მოელოდნენ ერთმანეთისაგან, ამიტომ ძალაუფლება არის განუსაზღვრელობასა და ქაოსთან ბრძოლის საშუალება, როგორც პანარინი ამბობს: „ქაოსის „კოსმიურ გამონვევაზე“ ადამიანის ერთ-ერთი პასუხი“ (115, გვ. 74). ამგვარი პასუხის ერთ-ერთი პირველი გააზრების მცდელობას ფ. ნიცშეს თვალსაზრისი წარმოადგენს.

## **„ძალაუფლების ნება“ და ძალაუფლება ფ. ნიცშესთან**

ის მოაზროვნე, რომელიც ძალაუფლებას, მისადმი სწრაფვასა და წყურვილს არა მხოლოდ სოციუმის, არამედ მთელი სამყაროს (განსაკუთრებით ორგანული სამყაროს) ფუნდამენტად და საწყისად აცხადებს, ფრიდრიხ ნიცშეა. საზოგადოდ, არსებულის ყოფიერება სიცოცხლეა, ოღონდ გაგებული როგორც ნება ძალაუფლებისა. სწორედ „ძალაუფლების ნება“ არის, ნიცშეს აზრით, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის მნიშვნელობის კრიტერიუმი. კითხვაზე – „რა არის კარგი? – იგი პასუხობს – ყველაფერი, რაც ამძლევს ძალაუფლების გრძნობას, ძალაუფლების ნებას, თავად მბრძანებლობას ადამიანში. რაა ცუდი? – ყველაფერი, რაც მომდინარეობს და წარმოიქმნება სისუსტისაგან“ (110, გვ. 19). შესაბამისად, ადამიანურ მისწრაფებათა საბოლოო მიზანია არა სარგებლიანობა, არა სიკეთე და ჭეშმარიტება, არამედ სი-

ცოცხლე როგორც ზრდა, ამაღლება, გაძლიერება, მბრძანებლობა და როგორც ყოველივე ამის შედეგი – ბრძოლა. ბრძოლა და „ძალაუფლების ნება“ მთელი სამყაროს საფუძველთა საფუძველია.

სამყარო მარადიული მოძრაობა და აბსოლუტური ქმნადობაა, რომელშიც არ არსებობს არც რაიმე მყარი ყოფიერი, თუნდაც ყოფიერება, არც ჩამოყალიბებადი სუბსტანციები, არც საბოლოო მიზანი, რომლისკენაც მიისწრაფის ევოლუცია; იგი ქაოსია, სადაც არ არის ერთიანობა და წესრიგი, არც ლოგიკა და მიზანშეწონილობა. სამყარო – ესაა რთულ კომბინაციათა თანმიმდევრობა, რომელიც გაბმულია უსასრულო ჯაჭვში და რომელსაც არსად არ მივყავართ. ესაა ძალთა უსასრულო თამაში, იგია ქმნადობა, მოძრაობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ საზრისს, იგი არ მისდევს მიზანს. თავად ქმნადობა კი, ნიცშეს აზრით, არის დაპირისპირებულ ნებელობებს, ენერგიებსა თუ ძალებს შორის პაექრობის შედეგი, იმ ნებელობებისა, რომელიც განუწყვეტლივ იბრძვის უპირატესობის, ანუ მბრძანებლობის მოსაპოვებლად. სწორედ „ძალაუფლების“, „მბრძანებლობის ნებას“ ვპოულობთ, ნიცშეს აზრით, სიცოცხლის ყოველ გამოვლინებაში, იგი ახასიათებს და მიეკუთვნება ნებისმიერ ქმნადობას და, ამდენად, წარმოადგენს სამყაროსეული ქაოსის მონესრიგებისა და ევოლუციის თავად საფუძველს; იგია ყველა ელემენტთა რთული ფაქტი, რომელიც დადგენილია, მაგრამ, რომლის შემდგომი ახსნა და გენეზისის დადგენა შეუძლებელია მითითებულ იქნეს. „ჩვენ არ უნდა ვესწრაფოდეთ გავიგოთ განვითარება როგორც რაღაც „წარმოშობადი“ და კიდევ უფრო ნაკლებ როგორც რაღაც წარმოშობილის... „ძალაუფლების ნება“ შეუძლებელია წარმოიქმნას“ (109, გვ. 339).

ამგვარად, „ძალაუფლების ნება“ არც ერთიანია და არც დანაწევრებული, რამეთუ ახასიათებს ქმნადობის ნებისმიერ გამოვლინებას როგორც ძლიერს, ისე სუსტსაც, მთელ სამყაროში მიმოზნეულია ამ „ძალაუფლების ნების“ იმავე ძალთა თუ ენერგიის ცენტრები, თუნდაც ატომები, რომლებიც სიმყარით გამოირჩევა. ამ მხრივ შესაძლებელია მსჯელობა ძალთა ატომების წესებზე, მაგრამ, როგორც ნიცშეს შემოქმედების ერთ-ერთი რუსი მკვლევარი გ. რაჩინსკი სწორად აღნიშნავდა, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ ის ვითარება, რომ ნებელობათა ეს ატომები თუ ელემენტარული ცენტრები, რომელთა ძლიერება განუწყვეტლად ხან იზრდება, ხან კი მცირდება, წარმოადგენენ მოძრავ-ცვალებად სიდიდეებს, რომლებიც დაძაბულ თუ დაპირისპირებულ ვითარებაში იმყოფებიან სხვა მსგავს დინამიკურ სიდიდეებთან. თითოეული ამ ცენტრთაგანი განუწყვეტლივ ავითარებს ენერგიის მთელ იმ ჯამს, რისი უნარიც მას აქვს და შესაბამისად განისაზღვრება, ერთი მხრივ, იმ მოქმედებით, რომელიც მას ძალუძს, მეორე მხრივ კი, იმ წინააღმდეგობით, რომლითაც მას შეუძლია დაუპირისპირდეს მის გარემომცველ ენერგიათა მთელი ერთობლიობის ზემოქმედებას, ამიტომ უზენაესი პრინციპი, რომელიც მართავს ამ სამყაროსეულ პროცესს, არის არა თვით შენახვა ან ენერგიის მუდმივობა, არამედ ზრდა. ძალა, ძლიერება (**Macht**) ისწრაფვის არა სამყაროსა და სიმტკიცისაკენ, არა-

მედ ზრდისაკენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სიტყვა „Macht“, რომელსაც ნიციშე იყენებს, ორაზროვანია, რამეთუ იგი ნიშნავს როგორც ძალაუფლებას, მბრძანებლობას, ისე ძალასაც. ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ სიტყვა „Macht“ ვთარგმნით როგორც „ძალაზე დამყარებულ ძალაუფლებად“ ან „**ძალისმიერ მბრძანებლობად**“. რაც შეეხება საკუთრივ „ძალის“ ცნებას ფიზიკური და ბიოლოგიური მნიშვნელობით, ნიციშეს მიერ გადმოცემულია სიტყვა „Kraft“-ით (ამის შესახებ იხ. (140, გვ. 124).

ძალთა თითოეულ ატომსა და ნებისმიერ განსაკუთრებულ სხეულსაც კი, ნიციშეს აზრით, „სურს“ განავრცოს მისი ძალაუფლება და მბრძანებლობა მთელ არეზე, მისი სივრცის მთელ მოცულობაზე. მაგრამ, ამავდროულად ისინი ეჯახებიან სხვადასხვა ატომს და სხეულთა მხრივ სხეულთა ძალისხმევას, რაც იწვევს ბოლოს და ბოლოს გარკვეული „შეთანხმების“ დადებას იმასთან, რომლებთანაც მათ აღმოაჩნდათ გარკვეული ნათესაობა და მსგავსება ამგვარი გაერთიანება-შეთანხმებისათვის, რის შემდეგაც ისინი უკვე ერთობლივად იბრძვიან ძალაუფლებისათვის, მბრძანებლობისათვის. მამასადამე, პროცესი უსასრულოდ გრძელდება. აქედან წარმოიქმნება ძალთა ცენტრები, რომლებიც მეტ-ნაკლები ხანგრძლივობით ინარჩუნებენ სიმყარესა და სიმტკიცეს, მაგალითად, ადამიანის სხეული, კაცობრიობა და თავად სამყარო, რომელიც არის თითოეული ამ ძალისა და ყველა დანარჩენ ძალთა და ძალთა სისტემის მთელზე ზემოქმედებათა ერთიანობა.

ასეთია, ნიციშეს აზრით, სამყაროსეული პროცესის ხასიათი. ყოველივე ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ თავად სიცოცხლე ძალაუფლების ნებაა. „**სიცოცხლეს არ აქვს არავითარი სხვა ფასეულობა გარდა ძალაუფლების, მბრძანებლობის ხარისხისა...**“ (109. გვ. 40). კერძოდ, მესაკუთრეთა რწმენა, რომ „საჭიროა გქონდეს რაღაცა, რათა იყო ვინმე ან წარმოადგენდე რაღაცას,“ ნიციშეს მიაჩნია ყველაზე ძველ და ყველაზე ჯანსაღ ინსტინქტად ყველა ინსტინქტთა შორის. და იქვე უმატებს: „**საჭიროა ისწრაფოდე გქონდეს მეტი... გქონდეს და გასურდეს მეტის ქონა, ერთი სიტყვით – ზრდა არის კიდევ თვით სიცოცხლე**“ (109, გვ. 78).

სიცოცხლის ამ ზრდას, ძლიერებასა და მბრძანებლობას ხელს უშლის მორალი, როგორც სიცოცხლის უარყოფის ინსტინქტი. ამიტომ, „**აუცილებელია მორალის განადგურება, რათა გავათავისუფლოთ სიცოცხლე**“ (იქვე, გვ. 137). მორალი სიცოცხლის, ზრდის, მძლავრობის „მანყევარია“, სუსტებისა და სასოწარკვეთილთა იმედი სასოებაა“, რომლებშიც „ძალაუფლების ნება“ მინავლებულია. ნაცვლად იმისა, რომ იზარდონ, გაძლიერდნენ, გაბატონდნენ, ისინი იშველიებენ თეორიებს, სისტემებს, სამყაროს „ფიქციურ“ გაგებებს, რათა თავიანთი სისუსტე და უძლურება გაამართლონ და თავი დაიცვან ძლიერთაგან: მაშინ, როდესაც ადამიანის საკუთარი „მე“ მუდამ იზრდება და წახალისდება სხვის ხარჯზე. ამას ნიციშე ასე გამოთქვამს: „**სიცოცხლე მუდამ ცოცხლობს სხვა სიცოცხლის საშუალებათა ხარჯზე**“ და „**ვისაც ეს არ ესმის, მას საკუთარ თავშიც კი, არ გადაუდგამს პატიოსნებისაკენ ერთი ნაბიჯი**“ (იქვე, გვ. 149).



სამყაროს გაადამიანურება კაცთმოყვარეობის იდეალებით მის მოწყობასა და არსებული წესრიგისა და ურთიერთობების ჰუმანიზაციას კი არ ნიშნავს, არამედ იმას, რომ „**მასში საკუთარ თავს გრძნობდე სულ უფრო და უფრო მბრძანებლად...**“ (იქვე, გვ.294). ნებისმიერი „**ამოცანა**“, „**საზრისი**“ მხოლოდ და მხოლოდ ყოველი პროცესის დამახასიათებელი ერთი და იმავე ნების გამოთქმა და მეტამორფოზაა, კერძოდ კი, ძალაუფლების ნებისა. გქონდეს მისწრაფებები, მიზნები, ჩანაფიქრები, ნება საზოგადოდ, ნიცშეს აზრით, ეს იგივეა, რაც, რომ გსურდეს გახდე ძლიერი, შეუზღუდველი, გნადია ზრდა – და, რასაკვირველია, ისწრაფვი ამ მიზნების მისაღწევად საშუალებებიც გაგაჩნდეს. რადგან ყოველ მოძრაობაში, ქმნადობაში მხოლოდ ძალაუფლების, მძლავრობის ეს ნება რჩება ყველაზე ძირითად და ყველაზე ნამდვილ ფაქტად. ამდენად, „**სიცოცხლე როგორც კერძო შემთხვევა... მიისწრაფვის ძალაუფლების გრძნობის მაქსიმუმისაკენ, თავისი არსით იგი არის ძალაუფლების დიდი რაოდენობით დაგროვებისაკენ მისწრაფება; სხვა არაფერია თუ არა მისწრაფება ძალაუფლებისაკენ, ძლიერებისაკენ**“ (იქვე, გვ. 339).

„ძალაუფლების ნების“ სიამოვნების წყარო უბრალოდ მისი დაკმაყოფილება კი არ არის, არამედ წინ სწრაფვაა და ახალ გამარჯვებათა მოპოვებაა მათზე, ვინც ან რაც მას გზაზე ელობება. ამიტომ დაბრკოლებათა, წინააღმდეგობათა გადალახვაა მისი სტიქია მბრძანებლობისაკენ მიმავალ გზაზე. ამიტომ სიამოვნების გრძნობა დევს სწორედ ნების დაუკმაყოფილებლობაში – იგი წინააღმდეგობებისა და მოწინააღმდეგის გარეშე ვერ იქნება, ვერ შეძლებს დანაყრებას, გნებავთ, გაძლომას, და საკუთარი თავის შევსებას. ამიტომ ნიცშე ბრძოლის გარეშე მოპოვებულ „ბედნიერებას“ და თავად „ბედნიერს“ – „ჯოგურ იდეალად“ ნათლავს. ადამიანი კი არ ეძებს სიამოვნებას და თავიდან იცილებს უსიამოვნებას, არამედ ორივე მხოლოდ თანმხლები მოვლენაა, შედეგებია იმისა, რაც ადამიანს ნებავეს, რაც სურს და ნებავეს ცოცხალი ორგანიზმის ნებისმიერ, თვით ყველაზე პატარა ნაწილსაც კი – ესაა ძალაუფლების მატება. სწორედ ძალაუფლების მატებისაკენ მისწრაფებისას წარმოიქმნება შედეგთა სახით სიამოვნება და უსიამოვნება. ამ ნებიდან ამოსვლისას ადამიანი ეძებს წინააღმდეგობას, ძალაუფლების ნების მქონე ადამიანს სჭირდება რაღაც ისეთი, რასაც იგი თავის თავს დაუპირისპირებდა. მაშასადამე, დაასკვნის ნიცშე, უსიამოვნება, ომი, ბრძოლა, როგორც ადამიანის ძალაუფლების ნების შევინროება, არის ნორმალური ფაქტი, ყოველი ორგანული პროცესის ნორმალური ინგრედიენტი. ადამიანი არ გაურბის მას, პირიქით, მას იგი მუდამ სჭირდება: ნებისმიერი გამარჯვება, სიამოვნების ყოველი გრძნობა, თვით ყოველი პროცესიც კი, გულისხმობს აღმოფხვრილ და გადალახულ წინააღმდეგობას. იმის საილუსტრაციოდ, რომ „ძალაუფლების ნება“ ნებისმიერი ცოცხალი არსების სუბსტანციაა, ნიცშეს მოჰყავს პრიმიტიული კვების მარტივი მაგალითი: პროტოპლაზმა წინ სწევს თავის „ფსევდო საცეცებს“, რათა მონახოს რაღაც ისეთი, რაც მას წინააღმდეგობას გაუწევს – არა შიმშილის გრძნობის, არამედ სწორედ ძალაუფლების ნების გამო. შემდეგ იგი ცდილობს გადალახოს ეს რაღაცა, აით-

ვისოს იგი, ჩართოს თავის თავში: – ის, რასაც უწოდებენ „კვებას“, ნიცშეს აზრით, არის მხოლოდ წარმოებული მოვლენა, ანუ კერძო შემთხვევისადმი ადრე ხსენებული თავდაპირველი ნების: გახდეს უფრო ძლიერი – გამოყენება.

ამგვარად, დაასკვნის ნიცშე, უსიამოვნებას აუცილებლად არ მოჰყვება არა მხოლოდ ძალაუფლების გრძნობის შემცირება, არამედ, პირიქით, მასზე მოქმედებს სწორედ როგორც გამაღიზიანებელი – „შევიწროება **Stimulusis**-ის როლს თამაშობს ძალაუფლების ამ ნებაში“ (იქვე, გვ. 345). მაშასადამე, „ძალაუფლების ნება“ დამახასიათებელია მთელი სამყაროსათვის, როგორც ძალთა ცენტრებს შორის თანამშრომლობისა და ბრძოლის არენისათვის, მასზე მხოლოდ მცირე მონაკვეთი უკავია გრძნობათა, ჩანაფიქრთა, მიზანდასახულობათა თუ შეფასებათა ცნობიერ სამყაროს. პირიქით, შენიშნავს ნიცშე, ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს გაცნობიერებულობისა და შეგნებულობის ეს ნაფლეთი თუ მტკაველი ჩავთვალოთ სიცოცხლის როგორც მთლიანი ფენომენის მიზნად, მის „რატომ“-ად, ანუ პასუხად კითხვაზე „რატომ“? მას სავსებით ცხადად ეჩვენება ის, რომ ცნობიერი და შეგნებული საქმიანობა არის სიცოცხლის განვითარებისა და მისი ძალაუფლების სფეროს გაფართოების მხოლოდ ერთი და ისიც ზედმეტი საშუალებათაგანი. ამიტომ, გვმოდვრავს ნიცშე, გულუბრყვილობა უმაღლესი რანგის ღირებულებებში ავიყვანოთ სიამოვნება ან გონითობა, ან ზნეობრიობა, ანდა ცნობიერების სფეროდან ავიყვანოთ სხვა კერძობანი, და უფრო მეტი გულუბრყვილობა იქნება თუ მათი დახმარებით შევეცდებით „სამყაროს“ გამართლებას. ტრადიციული აზროვნება, ნიცშეს აზრით, მიზნის ადგილზე საშუალებებს აყენებდა, მაშინ, როდესაც, სიცოცხლე და მისი ძალაუფლების ზრდა და მატება საშუალებების დონეზე დაიყვანება. სწორედ მიზნისა და საშუალებების აღრევა იყო იმის ძირითადი მიზეზი, რომ „ჩვენ ნაცვლად იმისა, რათა ცნობიერება – შეგნება გაგვეგო მხოლოდ როგორც იარაღი და სიცოცხლის საერთო სისტემაში მისი კერძო შემთხვევა – ვიღებთ მას სიცოცხლის მასშტაბის, უმაღლესი ღირებულების სახით. ეს მცდარი პერსპექტივა **a parte ad totum** არის იმის მიზეზი, თუ რატომ ცდილობენ ინსტინქტურად ფილოსოფოსები ააგონ ზოგადად ცნობიერების, შეგნებული სიცოცხლისა და სურვილის (ნების) კონსტრუქციები, რომლებიც ზოგადი და საერთო იქნებოდა ყველაფერ იმისათვის, რაც ხდება, მოახდინონ „გონის“, ღმერთის კონსტრუირება. მაგრამ მათ აუცილებელია ვუთხრათ, რომ სწორედ ამის წყალობით არსებობა გარდაიქმნება რალაცნაირ მონსტრად; რომ „ღმერთი“ და სხვა სენსორიები იყვნენ მარტივად რალაც ისეთი, რის გამოც ყველა არსებული განწირული იყო განკიცხვისა თუ განსჯისათვის“ (იქვე, გვ. 349).

სწორედ ის, რომ ელიმინაცია გაუკეთა მიზნისა და საშუალებების დამშვებ ცნობიერებას, ნიცშეს ადამიანებისათვის დიდ შემსუბუქებად თუ გაადვილებად, თავისუფალ ამოსუნთქვად მიაჩნია, რამეთუ ასეთი გზით თავისუფლდება თურმე კაცობრიობა იმ მტკიცებულებისაგან, რომელიც აუცილებლად აყენებდა მას პესიმისტურ პოზიციაზე.

სამყარო „ქმნადობა“ და ამაშია მისი ღირებულება. ნიცშეს აზრით, სამყაროსეულ მოძრაობას რაიმე მიზანი რომ ჰქონოდა, მაშინ იგი უკვე მოღწეული უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყოველივეს საფუძველში მდებარე ერთადერთი ფაქტი არის ის, რომ სამყაროს არავითარი მიზანი არ აქვს. ამიტომ ნებისმიერი ფილოსოფია თუ მეცნიერული ჰიპოთეზა, რომელიც ასეთი მიზნის აუცილებლობის დაშვებისაგან გამომდინარეობს, სწორედ ამ ფუნდამენტური ფაქტის მეშვეობით უნდა უარყვოდ.

ნიცშე ეძებს სამყაროს კონცეფციას, რომელიც არ იქნებოდა საქმის ასეთი ვითარებისადმი დაპირისპირებული. სხვაგვარად, მან უნდა ახსნას „ქმნადობა“ ისე, რომ არ მიმართოს რაიმე საბოლოო მიზნებს: ქმნადობა ყოველ მომენტში გამართლებულ უნდა იქნეს. ანმყო არ უნდა იქნეს გამართლებული მომავლის გულისთვის ან წარსული – ანმყოსათვის. ასევე შეუძლებელია გავამართლოთ „აუცილებლობა“ რაღაც პირველადი სამყაროსეული ძალების ან პირველი მოძრაობის მოშველიებით. ყველაზე ნაკლებად კი ქმნადობა უნდა აღვიქვათ ისეთ რაიმედ, რაც აუცილებელია უმაღლესი ღირებულებების გამართლებისა და დაფუძნებისათვის. ამისათვის კი, ნიცშეს აზრით, დაჟინებით უნდა უარყვოდ ქმნადობაში ზოგადი ცნობიერების – „ღმერთის“ არსებობა, რათა ყველაფერი ქმნადი და მოძრავი არ მოექცეს იმ არსების თვალსაზრისის ქვეშ, რომელიც შეიგრძნობს ადამიანის ნაცვლად, ყველაფერი იცის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არაფერი არ სურს და ნებავს. „ღმერთი“, შენიშნავს ნიცშე, თუ მას არაფერი სურს, უსარგებლო და არაფრის მაქნისია, ხოლო სხვა მხრივ, ასეთი გზით დგინდება ტანჯვისა და ულოგიკობის არსებობა, რაც დაამცრობდა „ქმნადობის“ ღირებულებას. საბედნიეროდ, დაასკვნის იგი, სწორედ ასეთი შემაჯამებელი ძალაუფლება არ არსებობს. სამყარო ქმნადობაა, რომლის საფუძველიც „ძალაუფლების ნებაა“. სწორედ, რომ ყოვლისმჭვრეტელი და ტანჯული თუ წამებული ღმერთი, „სამყაროს გონი“ არის უდიდესი საბაბი, რათა დავეჭვდეთ და უარყვოდ სამყაროს ყოფიერება. თუკი დავუშვებდით საზოგადოდ ყოფიერების არსებობას, მაშინ მკაცრად რომ ვთქვათ, ქმნადობა დაკარგავდა თავის ფასს, უსაზრისო და ზედმეტი გახდებოდა. საქმის ნამდვილი ვითარება კი ისაა, რომ სწორედ ქმნადობაა არსებული, ყოფიერება კი – ილუზია.

ამგვარად, ქმნადობა, ბრძოლა და „ძალაუფლების ნება“ სამყაროს საფუძველია. სამყაროში არ არსებობს რაიმე მყარი და უცვლელი ყოფიერება, ღირებულება თავად ღმერთი, რომელიც არსებულთა საზომი იქნებოდა. ერთადერთი „არსებული“ სწორედ ქმნადობაა, ზრდისა და მატებისაკენ სწრაფვაა, ძალაუფლების – მბრძანებლობის ნებაა, რომელიც ძალთა ცენტრების სახითაა წარმოდგენილი და რომელთა შორის დაუსრულებელი ბრძოლა მიმდინარეობს გაბატონებისა და მბრძანებლობის მიმართულებით. **„რა არის ბედნიერება? – მზარდი ძალაუფლებისა და გადალახული წინააღმდეგობის გრძნობა, არა დაკმაყოფილებულობა, არამედ მისწრაფება ძალაუფლებისადმი, არა საზოგადოდ მშვიდობა, არამედ ომი, არა სათნოება, არამედ უნართა სისრულე (სათნოება რენესანსის სტილში, virtu, მორალიდან თავისუფალი სათ-**

**ნობა)... რაა ყველა მანკიერებაზე მანკიერი და საზიანო? – ყველა სუსტისა და უიღბლოსადმი ქმედითი თანაგრძნობა – ქრისტიანობა“ (110 გვ. 19).**

ნიცშე ღრმად ჩასწვდა სამყაროსა და ადამიანის ბუნებას, იგი კარგად ერკვევა ადამიანის ზრახვებსა და გულისნადილში. მან გააშიშვლა ძალაუფლების საფუძველში არსებული ირაციონალური სანყისები, იცის, რომ ძალაუფლება არა მხოლოდ საშუალებაა, არამედ შეიძლება იგი იქცეს და გარკვეულ პირობებში უსათუოდ იქცევა თვითმიზნად, ადამიანის უმაღლეს ვნებად და მისი ზრახვების განმაპირობებელ და წარმართველ ძალად. მართალია, ნიცშე არ ცდილობს განასხვაოს ძალაუფლების გამოვლენის სპეციფიკა, არაცნობიერი და ცნობიერი სიცოცხლის გამოვლინებებში და „ძალაუფლების ნებას“ საზოგადოდ სიცოცხლის ფუნდამენტად თვლის, მაგრამ ის მთელი სიგრძე-სიგანით ხედავს იმ მისწრაფებას ზრდისაკენ, მატებისაკენ, დომინირებისა და მბრძანებლობისადმი, რომელიც განსაკუთრებით დამახასიათებელია სიცოცხლისადმი. მან ასევე კარგად დაინახა იმ კონცეფციათა, რწმენათა თუ ფილოსოფიურ მოძღვრებათა და კულტურულ ფასეულობათა უსუსურობა და უძლურება, რომლებიც მოწოდებული არიან შეზღუდონ ძალაუფლების, დომინირების, მბრძანებლობის დაუოკებელი სწრაფვა და მთელი საზოგადოებისათვის მისაღებ ჩარჩოებში მოაქციონ იგი. ადამიანები თხზავენ უამრავ თეორიებს, კონცეფციებს, რათა გაამართლონ, შეალამაზონ ძალაუფლება, ეძებენ მის შემზღუდავ მექანიზმს. ნიცშე განსაკუთრებით აკრიტიკებს მორალს, რომელიც ოდითგანვე მოწოდებული იყო იმისათვის, რათა შეეზღუდა ძალაუფლების აბსოლუტისტური მიდრეკილება. მაგრამ იგი კარგად ხედავს, რომ მორალი ხშირად თავად ექცეოდა სუსტთა ხელში „ძალაუფლების ნების“ გაუცნობიერებელ გამოვლენად, რამეთუ უსასოო და სუსტი სწორედ მისი მეშვეობით ცდილობს საკუთარი ნების განხორციელებისადმი ხელშეწყობას, ისე, რომ გზაზე არ გადაელობოს რაიმე წინააღმდეგობა. ნიცშე კი ყოველი სამკაულისაგან ათავისუფლებს და ფარდას ხდის „ძალაუფლების ნებას“, რათა ადამიანმა შეძლოს მისი აღქმა მთელი სიდიდითა და ტრაგიკულობით. ასეთი რამ კი არ ძალუძთ „ჯოგური ცნობიერების“ მქონე ინდივიდებს, იგი მხოლოდ „ზეკაცის“ ხვედრია, რომელიც გათავისუფლებულია ყოველი კულტურული, მორალური და ღირებულებითი „ბორკილებიდან“ და რომელსაც ძალუძს გაბატონდეს სამყაროში და დატკბეს სიცოცხლის მთელი მშვენიერებით.

შეიძლება ითქვას, რომ ნიცშემ მთელი საკაცობრიო გამოცდილების წინააღმდეგ გაილაშქრა. გამოცდილება კი გვასწავლის, რომ აუცილებელია „ძალაუფლების ნების“ მოთოკვა და მორჯულება, იმ მექანიზმების ძიება, რომელიც შეამცირობს მის დამანგრეველ ძალას და ხელს შეუწყობს მის აღმშენებლურ ძალად ქცევას. ნიცშე ერთ რამეში მართალია, მართლაც ძნელია მოინახოს ის ფასეულობა თუ ღირებულება, რომელიც ობიექტურად გაამართლებდა მის შეზღუდვას, ის კონცეფცია თუ იდეოლოგია, რომელიც შეასუსტებდა მის დამანგრეველ ძალას. მაგრამ თუ ვერ მოიძებნა ასეთი შემზღუდავი ფასეულობა და ქმედითი მექანიზმები, მაშინ კაცობრიობას გარდუვალი დაღუპვა მოეწიას. XX

საუკუნემ ნათლად გვიჩვენა, თუ რა შეიძლება მოჰყვეს „ღმერთის სიკვდილს“, „ღირებულობათა გადაფასებას“, „ყველაფრის ნების დართვას“ და საზოგადოდ შეუზღუდველ „ძალაუფლების ნებას“ – ნგრევა, საკონცენტრაციო ბანაკები, კრემატორიუმები და სიკვდილი.

ძალაუფლების სოციალური ბუნება ნიციშეს ნაკლებ აინტერესებს და შესაბამის თეორიებს დამამცირებელ ეპითეტებსა და კრიტიკას არ აკლებს. ძალაუფლების, როგორც მმართველსა და მართულს შორის ცნობიერი, შეგნებულია, ნებაყოფლობითი ურთიერთობების ფორმით გამოხატვა, მისთვის მიუღებელია. მისთვის ძალაუფლება ორ ან მეტ ინდივიდსა თუ ჯგუფს შორის ნებელობითი დამოკიდებულება კი არაა, რომელიც ორმხრივ აღიარებას მოითხოვს, არამედ – მეორე მხრიდან აღიარების გარეშე გაბატონებისაკენ მისწრაფება; შესაბამისად, ძალაუფლების ზრდის ფაქტორია არა მართულთა მხრივ ნებაყოფლობითი თანხმობა და მხარდაჭერა, კონსენსუსი, არამედ, პირიქით, დაპირისპირება და წინააღმდეგობა ანუ ბრძოლა. „მბრძანებლობის ნება“ – ესაა ირაციონალური ძალა, რომელიც სამყაროსა და სიცოცხლის არსებას შეადგენს. ნიციშემ კარგად დაინახა, რომ თუ არა „ძალაუფლების ნება“, დომინირებისაკენ მისწრაფება, ისე შეუძლებელია ქმნადობის ქაოსის მოწესრიგება, მაგრამ მისი შეუზღუდაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომწესრიგებლიდან უარეს დამანგრეველ ძალად გადააქცევს მას. კაცობრიობამ მრავალი ძიებისა თუ მცდელობის შედეგად მიაგნო ძალაუფლების მოთოკვის რეალურ სამართლებრივ და საკუთრივ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ მექანიზმებსა და საშუალებებს. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბ. რასელის თვალსაზრისი ძალაუფლების სოციალური ბუნებისა და მისი მოთვინიერების მექანიზმთა შესახებ, რომელსაც ქვემოთ უფრო დანვრილებით შევხებით, აქ კი მხოლოდ რამდენიმე მოსაზრებით დაგვამაყოფილდებით. იმის სილუსტრაციოდ, თუ რამდენად აუტანელია შეუზღუდავი და მჩაგვრელი ხელისუფლება, ბ. რასელს მოჰყავს პასაჟები კონფუციანელთა ძველი თხზულებებიდან. ერთხელ მოგზაურობისას კონფუცუს შეუნიშნავს მოთქმით მტირალი ქალი. მოძღვარი აჩქარებით გაეშურა წინ და სწრაფად მივიდა მასთან. შემდეგ კი თავის მოსწავლეს ძე იუ-ს სთხოვა გამოეკითხა ამ ქალის ამბავი. „თქვენი გულამოსკვნილი ტირილი ისეთია – უთხრა მან ქალს, – მაიძულებს ვიფიქრო, რომ თქვენ გატირებთ მწარე განცდებიდან ყველაზე მწარე განცდა“. ქალმა უპასუხა: – „ეს ასეა, ჩემი ქმრის მამა ვეფხვმა მოკლა, ჩემი ქმარიც ასევე იქნა მოკლული და ჩემი შვილიც ასეთნაირად დაიღუპა“... მოძღვარმა ჰკითხა: – „რატომ არ მიატოვებთ ამ ადგილს“? პასუხად კი მან მოისმინა: „აქ არ არის მჩაგვრელი ხელისუფლება“. მაშინ მოძღვარმა თქვა: „დაიმახსოვრეთ ეს, შვილნო ჩემო, მჩაგვრელი და მტანჯველი ხელისუფლება ვეფხვებზე უფრო საშინელია“.

ამ სიბრძნის ანალიზისას, ბ. რასელი კარგად აჩვენებს იმას, თუ როგორი აუტანელი, საშიში და დამანგრეველი ძალაა ძალაუფლება – მბრძანებლობა ნებისმიერი ადამიანისა და მთლიანად საზოგადოებისათვის თუ არ არის შეუზღუდული, გარკვეულ ფორმებში მოქცეული და მოთვინიერებული. ამის ნათელი

ილუსტრაცია XX საუკუნის ტოტალიტარული რეჟიმების სიმრავლე და მათი საქმიანობა. ასეთი ძალაუფლება ადამიანთა შორის ურთიერთობების მომწესრიგებელი და წარმართველი ძალისაგან, მათი ჩაგვრისა და უბედურებების გამომწვევ ძალად იქცევა, რომელიც კი არ აშენებს, მართავს საზოგადოებას და ხელს კი არ უწყობს ადამიანისა და სოციალური გაჭიმანურობას, არამედ შიშის მეშვეობით ცხოველის დონეზე დაჰყავს იგი და ფაქტობრივად საზოგადოებას აბრუნებს „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“ მდგომარეობაში. საბედნიეროდ, კაცობრიობამ შეიმუშავა ძალაუფლების მომთვინიერებელი და შემაჩერებელი საშუალებები, რომელთაგან დღეს ყველაზე ეფექტურია – მმართველობის დემოკრატიული რეჟიმი და, საზოგადოდ, ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობათა გადემოკრატიულება, როგორც ყველაზე მისაღები ფორმა.

## **ძალაუფლება, როგორც ადამიანთა საქმიანობის მთავარი სტიმული**

შესაძლებელია ზოგიერთ საკითხში ფ. ნიცშეს არ დავეთანხმოთ, მაგრამ მისი მოსაზრება, რომ ძალაუფლება ადამიანთა საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი და უმთავრესი სტიმულია, სრული ჭეშმარიტებაა და მასში ეჭვს ვერავინ შეიტანს. სწორედ „ძალაუფლების ნება“, მისი სიყვარული და რწმენა ამოძრავებს და წარმართავს ადამიანებს სასიცოცხლო ურთიერთქმედების პროცესში. ურთიერთქმედების პროცესი, მთლიანად ადამიანთა კულტურული, სულიერ-გონითი ცხოვრება შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ინდივიდუალურ და ჯგუფურ ინტერესთა მუდმივად განახლებადი დაპირისპირება და ბრძოლა. მაქს ვებერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „...კულტურული ცხოვრებიდან შეუძლებელია ბრძოლის აღმოფხვრა. შეიძლება შევცვალოთ მისი საშუალებები, მისი ობიექტი, თვით მისი ძირითადი მიმართულება და მატარებელნიც კი, მაგრამ შეუძლებელია შევცვალოთ ბრძოლა როგორც ასეთი. იგი შეიძლება იყოს არა მხოლოდ გარეგანი ბრძოლა დოვლათის მოპოვებისათვის მებრძოლ (მტრულად განწყობილ) ადამიანთა შორის, არამედ შინაგანი ბრძოლაც იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მისდევენ სულიერ-გონებრივ ღირებულებებს, სადაც გარეგანი იძულება იცვლება შინაგანი იძულებით (ეროტიკული მორჩილების თუ თავგანწირულობის ფორმით), დაბოლოს, ადამიანის სულში საკუთარ თავთან ბრძოლაც; ასე თუ სხვაგვარად ბრძოლა არასდროს არ წყდება და მისი შედეგები ზოგჯერ ყველაზე სერიოზულია იქ, სადაც იგი ყველაზე ნაკლებ შესამჩნევია და უმაღლესი ხარისხით უახლოვდება ყრუ – უსიტყვო გულგრილობას, ილუზორული თავის მოტყუებას ან ხდება „შერჩევის“ ფორმით. „მშვიდობა“ ბრძოლის ფორმების ან მებრძოლი მხარეების, ან ბრძოლის ობიექტების შეცვლასა

და ადგილმონაცვლეობას, ან საბოლოოდ „შერჩევს“ შანსთა შეცვლა – ცვლილებას ნიშნავს და სხვას არაფერს. გაუძლებს თუ არა ეს გადაადგილება ეთიკურ ან სხვა შეფასებითი მსჯელობების გამოცდას და თუ გაუძლებს, მაშინ როგორ პირობებში, ჩვენთვის სავსებით უცნობია. მხოლოდ ერთი რამაა უეჭველი: ნებისმიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის – დამოუკიდებლად მისი ხასიათისა და სტრუქტურისაგან – შეფასებისას აუცილებელია დავადგინოთ (მოტივთა) შინაგანი ან გარეგანი არჩევის (შერჩევის) პროცესში თუ როგორი ტიპის ადამიანებს აძლევენ ბატონობის შანსს“ (44, გვ. 575-576). თუ კულტურული ცხოვრებისათვის ბრძოლა, დაპირისპირება აღმოუფხვრელია მაშინ იგი ყველაზე რელიგიურად სწორედ სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში იჩენს თავს, რამეთუ პოლიტიკაში ყველაზე არსებითი ხომ ძალაუფლებისათვის, ანუ ბატონობისათვის ბრძოლაა. თუ ისევ მ. ვებერს დავესესხებით, პოლიტიკა ხომ სხვა არაფერია, „თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისათვის; სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოებსა, თუ ერთ რომელიმე სახელმწიფოს შიგნით – ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფს შორის.

... ის, ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისაკენ მიისწრაფის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება – სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისათვის, რათა დატკბეს პრესტიჟულობისათვის იმ გრძნობით, რასაც ადამიანს იგი ანიჭებს“ (4, გვ. 13).

პოლიტიკა, პოლიტიკური ხდომილებანი კი ისტორიული განვითარების ნამდვილი ღერძია, თვითონ პოლიტიკაში კი ძალაუფლებისათვის ბრძოლაა უმთავრესი. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოება მთლიანობაში ძალაუფლებრივ ურთიერთობათა სისტემაა, რომელიც მოიცავს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, რელიგიურ, მორალურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობებს. მთელ სისტემას გამსჭვალავს სწორედ ძალაუფლებრივი ურთიერთობა, მაგრამ რა არის ძალაუფლება და ძალაუფლებრივი ურთიერთობა?

უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლება – ესაა ადამიანთა შორის სოციალური დამოკიდებულება, რომელიც გულისხმობს ორმხრივ ვალდებულებას იმათ შორის, ვინც ძალაუფლებას ფლობს და ახორციელებს და ვისზეც ეს ძალაუფლება ვრცელდება (მათ ხშირად ძალაუფლების ადრესატებსაც უწოდებენ). ამგვარად, ძალაუფლება, რომელიც ყველაზე უკეთ ბატონობის, ანუ გარკვეული ბრძანებისადმი შანსში გამოიხატება, გულისხმობს ურთიერთმოლოდინს ძალაუფლების მქონეთა და ძალაუფლების ადრესატთა შორის. ერთი მხრივ, ძალაუფლების მქონე მოელის, რომ მის მიერ გაცემულ ბრძანებებს დაემორჩილებიან, ხოლო ადრესატი კი თვლის, ანუ ელოდება იმას, რომ ბრძანებას ექნება ისეთი ხასიათი, რასაც ის მოელის, ანუ აღიარებს.

რამდენადაც საზოგადოებრივ ფარგლებში სახელმწიფო წარმოადგენს გაბატონებულ – უკიდურეს შემთხვევაში გარკვეულ ისტორიულ სიტუაციებში – განსაკუთრებულ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ამდენად, სახელმწიფოებრივად

ორგანიზებულ საზოგადოებაში „პოლიტიკური ძალაუფლება – ძალაუფლების მფლობელთა მხრივ მის ადრესატებზე სოციალური კონტროლის ტოლია“ (164, ნაწ. I, გვ. 81).

### ძალაუფლების ანალიზის ძირითადი მიდგომები

უზოგადესი გაგებით ძალაუფლება – ესაა ერთი ინდივიდის (ინდივიდების) უნარი გააკონტროლოს მეორე ინდივიდის (ინდივიდების) მოქმედება. მაგრამ სხვადასხვა მიმართულების ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა შორის არაა თანხმობა იმის თაობაზე, თუ როგორ და რა წესით ხორციელდება ძალაუფლებრივი ურთიერთობა. ძალაუფლების რაობის კვლევის მრავალ გაგებათა და თვალსაზრისთა შორის გამოყოფენ ორ: ვებერიანულ და სისტემურ მიდგომებს.

პირველი მიდგომა დაკავშირებულია მ. ვებერის სახელთან, რომელიც ძალაუფლების რაობის კვლევისას ამოდის გ. ჰეგელიდან და ბევრ რამეში ფ. ნიცშეს თვალსაზრისსაც იზიარებს. ყველაზე კონცენტრირებული სახით ეს მიდგომა გამოხატულია მ. ვებერის მიერ მოცემულ შემდეგ განსაზღვრებაში: „ძალაუფლება (Macht) ნიშნავს სოციალური ურთიერთობებით განმტკიცებულ ნებისმიერ შესაძლებლობას დაიჭინო და გაიტანო საკუთარი თვით წინააღმდეგობების არსებობისასაც კი, დამოუკიდებლად იმისაგან, რაშიც ეს შესაძლებლობა გამოიხატება“. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მ. ვებერის აზრით, ადამიანი შეიძლება არც კი ესწრაფოდეს ძალაუფლებას მხოლოდ ერთი – ეკონომიკური გამდიდრების მიზნით. ვინაიდან, ძალაუფლება, ეკონომიკური ძალაუფლების ჩათვლით, შეიძლება შეფასდეს „მხოლოდ ძალაუფლების გულისათვის“. ძალიან ხშირად ძალაუფლებისაკენ მისწრაფებას, შენიშნავს ვებერი, განაპირობებს სოციალური „პატივი“, რომელიც თან სდევს და მოჰყვება ძალაუფლებისაკენ სწრაფვას. მიუხედავად ამისა, არა ნებისმიერ ძალაუფლებას მივყავართ სოციალურ „პატივისცემასთან“. არც მხოლოდ „ეკონომიკური ძალაუფლება“ – უფრო ნათლად – ფულის ძალაუფლება არ გვევლინება სოციალურ პატივთა თუ პრესტიჟთა საყოველთაოდ მიღებულ საფუძვლად. არც ძალაუფლება, როგორც ასეთი არ წარმოადგენს, მ. ვებერის აზრით, სოციალურ პატივთა ერთადერთ საფუძველს, რამეთუ, სინამდვილეში, სოციალური პატივი, ანუ პრესტიჟი, თვითონ შეიძლება იყოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური ძალაუფლების ბაზისი, რაც ხშირად სწორედ რომ ასეც ხდება. ძალაუფლება, ისევე როგორც პატივისცემა, შეიძლება გარანტირებული იყოს ლეგალური წესრიგის მეშვეობით, მაგრამ ყველაზე ხშირად იგი პატივისცემათა და პრესტიჟთა პირველადი წყაროა. ლეგალური წესრიგი – უფრო დამატებითი ფაქტორია, რო-



მელიც ხელს უწყობს – აძლიერებს ძალაუფლების ან პრესტიჟის მოპოვების შანსს, მაგრამ იგი არასოდეს არ აძლევს მათ ამის გარანტიას. ამიტომ, რაც არ უნდა არსებითი იყოს ლეგალური თუ კანონიერი წესრიგი, მაინც უმთავრესი პრესტიჟისა თუ პატივისცემის მოპოვებაში, ძალაუფლებაა. **„საერთოდ და მთლიანად „ძალაუფლების“ ქვეშ ჩვენ გვესმის, – ნერს მ. ვებერი, – ერთი ადამიანის ან ადამიანთა შესაძლებლობა – რეალიზება გაუკეთოს საკუთარ ნებას ერთობლივ საქმიანობაში, იმ ადამიანთა მხრივ წინააღმდეგობების მიუხედავად, რომლებიც მონაწილეობენ მითითებულ მოქმედებაში“ (46, გვ. 162).** ასეთ შემთხვევაში ძალაუფლება გაგებულია, როგორც ინდივიდთა-შორისი ან ჯგუფთაშორისი ურთიერთობების ნაწილი, რომლის მეშვეობითაც გადაილახება სხვა ინდივიდთა ან სოციალურ ჯგუფთა წინააღმდეგობა. ამ თვალსაზრისის საკმაოდ ბევრი მომხრეები ჰყავს. ძალაუფლების გაგების ასეთი მიდგომა ემყარება პიროვნულ უნართა არსებობას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სხვების მოქმედებათა გაკონტროლება და ამ კონტროლისადმი მათი მხრიდან მომდინარე წინააღმდეგობების გადალახვა. ამგვარი მიდგომის მომხრეთაგან (ჰ. ბლაუ, კ. ლევინი, ჟ. ბეშლერი და სხვები) ჩვენ განვიხილავთ ჟ. ბეშლერის მოსაზრებებს ძალაუფლების რაობაზე.

ამოსავალ ნერტილად იგი ამ ცნების შემდეგ განსაზღვრებას იღებს: „ძალაუფლება არის მოქმედი პირის A-ს უნარი, აიძულოს მოქმედი პირი B, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება X-ი“, ან ხელი შეუშალოს მას მის შესრულებაში. მოქმედი პირი შეიძლება იყოს ინდივიდი და ჯგუფიც. რათა იქცეს მოქმედ პირად, ინდივიდმა ან ჯგუფმა უნდა გამოხატოს ნება, ე.ი. უნდა ისწრაფოდეს მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებათა მობილიზაციისკენ, ამ საშუალებებში იმყოფება „მოქმედი პირი B-ც“.

მოქმედმა პირმა „A-მ, რომელსაც თავისი მიზნის მისაღწევად ესაჭიროება თავის ნებას დაუმორჩილოს „B“-ს ნება, ამისათვის უნდა იპოვოს საკმაო წონისა და ღირებულების მქონე არგუმენტები, რათა აიძულოს მას დაემორჩილოს. „მოქმედი პირი B-ც“, იქნება ეს ინდივიდი თუ ჯგუფი, ასევე ნების მქონეა, და, მაშასადამე, არის თავისუფალი, ანუ უნარის მქონე – გააკეთოს არჩევანი მორჩილებასა და დაუმორჩილებლობას, სხვაგვარად იგი ხომ ინსტრუმენტი, ანუ იარაღი იქნებოდა მოქმედი პირ A-ს ხელში. B ირჩევს მორჩილებას ან დაუმორჩილებლობას შორის, იმ არგუმენტების გათვალისწინებით, რომელსაც მას სთავაზობს A. „მიღწევა – ხელის შეშლა“ და „შესრულება – არშესრულება“ არის ის, რაზეც დამყარებულია ძალაუფლების განხორციელების ორი ფორმა:

1. იძულება – ან ბრძანება, რომელთა შედეგია საქმიანობა, X-ი რომელიც სხვაგვარად არ განხორციელდებოდა.

2. აკრძალვა, რომელიც თავიდან იცილებს საქმიანობა X-ს, რომელიც წინააღმდეგ შემთხვევაში განხორციელდებოდა.

რამდენადაც ძალაუფლება – ესაა დამოკიდებულება, რომელიც წარმოიქმნება და თავს ინარჩუნებს იქ, სადაც არსებობს ორი თავისუფალი ნების შეხების საფუძველზე წარმოქმნილი დაძაბულობა, ამდენად, ძალაუფლებრივი ურთიერ-

თობების ნებისმიერ ტიპში, ბეშლერის აზრით, შესაძლებელია გამოვყოთ ოთხი შემდეგი ელემენტი:

**1. მოქმედ პირ A-ს ნება,** ნება როგორც ასეთი, რამეთუ სრულებით არაა სავალდებულო, რომ იგი უფრო ძლიერი და დამარწმუნებელი იყოს, ვიდრე B-ს ნებაა. ყველაზე მნიშვნელოვანია არგუმენტები, მოსაზრებები, საბუთები, რომლებიც შეუძლია A-ს წამოაყენოს თავისი მტკიცებებისათვის. სწორედ იმ საშუალებებს, რომელსაც ფლობს A, შეუძლია გადალახოს B-ს ეჭვები, მაგრამ აქ უკვე საკვანძო მნიშვნელობას იძენს მეორე ელემენტი.

**2. B-ს მორჩილება.** მართლაც სინამდვილეში, თუ B უარს ამბობს მორჩილებაზე, მაშინ ძალაუფლებრივი დამოკიდებულება არ არსებობს. ამიტომ მისი ბუნებიდან გამომდინარე, ძალაუფლების საფუძველს ბეშლერის მართებული შენიშვნით, წარმოადგენს არა ის, ვინც მას ახორციელებს არამედ ის, ვინც მას ემორჩილება. ამას იგი აკეთებს არა ნების სისუსტისა თუ ნაკლოვანებათა გამო, რომლითაც შეეძლო ესარგებლა A-ს – როგორც არ უნდა იყოს ასეთი შემთხვევა, არ არის არც ზოგადი და არც არსებითი და მისი მიღება არ შეიძლება. B-ს უნდა ჰქონდეს ყოველგვარი საფუძველი, რათა დაემორჩილოს, ანუ დაუქვემდებაროს თავისი ნება A-ს ნებას. სხვა სიტყვებით, A-ს მიერ წამოყენებულმა მოსაზრებებმა და საბუთებმა გამოხმაურება უნდა პოვოს B-ში და ეს უნდა იყოს არა მექანიკური, არამედ თავისუფალი პირის შეგნებული გამოხმაურება. ამისათვის კი საჭიროა A-ს მიერ მოყვანილი არგუმენტები, მოსაზრებები, საბუთები დაემთხვას B-ს ვარაუდებსა და მოლოდინს, რათა სწორედ ამგვარი გაანგარიშების მოლოდინმა აიძულოს იგი, რომ A-ს დამორჩილდეს.

**3. B-ს შესაძლებელი დაუმორჩილებლობა.** ზემოთ მოცემული განსაზღვრების მიხედვით ეს შესაძლებელია, რამდენადაც B თავისუფალი ნებაა. მაგრამ ეს დაუმორჩილებლობა შესაძლებელი უნდა იყოს კერძო აზრით, ანუ ძალაუფლებრივი ურთიერთობების შიგნით, უნდა არსებობდეს დაუმორჩილებლობის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, საჭიროა ძალაუფლებრივი დამოკიდებულების წარმოშობის მომენტიდან მის მოშლამდე ნებისმიერ მომენტში, შესაძლებელი იყოს მორჩილების შეცვლა დაუმორჩილებლობით. თუ ეს პირობა არ არსებობს, მაშინ ჩვენს წინაშე არა თავისუფალი ნება, არამედ რაღაც მექანიზმი, ამ A ნების გაგრძელება – იარაღი, ინსტრუმენტი, რომლის მანიპულირებაც მას შეუძლია, საკუთარი შეხედულებებისამებრ. ამგვარად, დაასკვნის ჟ. ბეშლერი, B-ს ონტოლოგიური თავისუფლება არ ისპობა იმით, რომ იგი შედის ძალაუფლებრივ დამოკიდებულებებში. იგი მხოლოდ შეაჩერებს თავისუფალ მოქმედებას, ისე, რომ, ამავე დროს, იტოვებს შესაძლებლობას გამოიყენოს იგი ნებისმიერ მომენტში.

**4. არგუმენტებითა და საბუთებით განმტკიცებული სასჯელი.** თუ B არ მორჩილებს, მაშინ საჭიროა, რომ A-ს შეეძლოს მისი დასჯა, ვინაიდან თუ B-ს სრულიად დაუსჯელად შეუძლია გავიდეს მორჩილებიდან დაუმორჩილებლობისაკენ, მაშინ ძალაუფლება კარგავს ყოველგვარ ძალას და იჩქმალება ორი ნების ურთიერთდამოკიდებულებაში. სასჯელი დაუმორჩილებლობისთვის იმ საშუ-

ალბების ადეკვატური უნდა იყოს, რომელსაც მიმართა თავისი განმტკიცებისათვის A-ს ნებამ. თუ განსაზღვრული საბუთი ან მოსაზრება დაემთხვა B-ს მოლოდინებს და აიძულა იგი დამორჩილებას, მაშინ იმავე მოსაზრებამ უნდა განსაზღვროს სასჯელი დაუმორჩილებლობისათვის.

ამგვარად, ჟ. ბემლერის აზრით, ნებისმიერი ძალაუფლებრივი დამოკიდებულება არსობრივად მოიცავს ოთხ ელემენტს:

„1. ბრძანების გამცემი ან აკრძალვათა დამდგენი მოქმედი პირის მოსაზრებებითა და არგუმენტებით განმტკიცებულ ნებას.

2. მეორე მოქმედი პირის (ალტერ ეგო-ს) მორჩილებას, რომლის ნება თანხმდება პირველი მოქმედი პირის (ეგო-ს) მოსაზრებებსა და არგუმენტებს.

3. მეორე მოქმედი პირის შესაძლო დაუმორჩილებლობას, რომელიც თავისუფალი რჩება თვით მორჩილების დროსაც კი.

4. არგუმენტებით განმტკიცებულ სასჯელს, რომელსაც მოქმედი პირი აკისრებს მეორე მოქმედ პირს“ (30, გვ. 46).

ამგვარად, ძალაუფლებრივი ურთიერთობა გაგებულა როგორც ინდივიდებსა ან სოციალურ ჯგუფებს შორის ნებელობითი ურთიერთობა, რომელიც ორივე მხარის თავისუფლებას გულისხმობს, იგი ასიმეტრიული და გაშუალებულია განსაზღვრული მოსაზრებებითა და არგუმენტებით. აქ ძალაუფლება რესურსთა მობილიზაციის უნარის მეშვეობითაა განსაზღვრული. რაც შეეხება ძალაუფლების მოდალობებს, მას ქვევით შევეხებით.

**ძალაუფლების რაობისადმი სისტემური მიდგომა** (მ. კროზიე, ტ. პარსონსი). მ. კროზიეს აზრით, ძალაუფლებრივი ურთიერთობები პიროვნებათაშორისი ურთიერთობებიდან და ურთიერთქმედებებიდან ერთ-ერთია, რომელიც ორგანიზაციულ ჩარჩოში წარმოიქმნება. ძალაუფლების არსის, როგორც მოლაპარაკების და როგორც გაცვლის განსაზღვრება არ არის საკმარისი, მართალია, შენიშნავს იგი, A-ს ძალაუფლება B-ზე შეესატყვისება A-ს უნარს, მიაღწიოს B-სთან მოლაპარაკებებისას, გაცვლის პირობები A-სთვის კეთილსასურველი და ხელშემწყობი იყოს. მაგრამ ამის შედეგად ძალაუფლების პრობლემა მოლაპარაკებათა პირობების პრობლემად გარდაიქმნება.

მ. კროზიე კარგად ხედავს, რომ ძალაუფლების არსის, როგორც მოლაპარაკებისა და როგორც გაცვლის განსაზღვრება, არ არის საკმარისი მის გასაგებად და დასახასიათებლად, ამიტომ იგი ცდილობს ძალაუფლება დაუკავშიროს ობიექტებს, სტრუქტურებს. ამისათვის კი საჭიროა ორ პარტნიორს შორის მოლაპარაკებები ჩავსვათ მათ ბუნებრივ გარემოცვაში. ასეთ ბუნებრივ გარემოცვად კი მას ორგანიზაცია მიაჩნია, რომელიც განსაზღვრავს მოლაპარაკებათა პირობებს და რომელიც მოლაპარაკებების ორივე მხარეს აერთიანებს „**ორგანიზებულ ანსამბლად**“. სწორედ ორგანიზებულ სტრუქტურებთან ძალაუფლებრივი დამოკიდებულებების კავშირი აძლევს კროზიეს საშუალებას ეს დამოკიდებულებანი განიხილოს, როგორც მიმართება და როგორც პროცესი, რომელიც განუყოფელია ორგანიზაციული პროცესებისაგან და რომელიც გულისხმობს კიდევ კოლექტიური მოქმედების საფუძველზე ძალაუფლებრივ

დამოკიდებულობათა წარმოშობას. აქ კროზიეს მხედველობაში აქვს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც ორ ან მეტ ინდივიდს შორის საერთო მიზნის არსებობას ემყარება. მაგალითად, ერთი კუპის ორ თანამგზავრს შორის ძალაუფლებრივი დამოკიდებულება იმიტომ არ მყარდება, რომ მათ არ გააჩნიათ მოქმედებათა საერთო მიზანი, ანუ არ შეადგენენ ორგანიზაციას. ორგანიზაცია წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ადამიანებს უჩნდებათ მოქმედებათა საერთო მიზანი, რასაც გარდუვალად მოჰყვება ძალაუფლებრივ დამოკიდებულებათა წარმოშობა.

მ. კროზიეს თანახმად, ძალაუფლების, როგორც პროცესის გაგება, საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ „ძალაუფლებრივ მოლაპარაკებათა“ არსსა და დინამიკას, რომელთა პირობები არის ორგანიზაციის ფორმალური და არაფორმალური მიზნები და აქტორთა მიერ მიღებული „თამაშის წესები“. „სტრატეგიული აქტორი“, რომელიც არა მხოლოდ აღმასრულებელია, არამედ საკუთარი „პროექტის“ ანუ „თავისუფლების“ მფლობელიცაა, სარგებლობს რა სწორედ საკუთარი ქცევის თავისუფლებით, გავლენას ახდენს პარტნიორის ქცევაზე, შესაბამისად, ეს გავლენა მით უფრო დიდია, რაც უფრო თავისუფალია იგი. თამაშის არსი ისაა, რომ უნდა შეძლო ჩააყენო სხვა – მეორე მოქმედი პირი დეტერმინირებულ მდგომარეობაში, თვით კი თავისუფალი დარჩე, ისე, რომ გქონდეს საკუთარი „კეთილი ნების“ გამოყენების შესაძლებლობა. მოლაპარაკებისას ერთმანეთს ეჯახებიან აქტორთა ნიჭი და უნარი, ეჯიბრებიან რა ერთმანეთს იმაში, რომ თავიანთი მოქმედებანი რაც შეიძლება ნაკლებ გამოსაცნობი და ნაკლებ წინასწარ გამოცნობად – განჭვრეტადი იყოს მოწინააღმდეგე მხარისათვის. ძალას, პრესტიჟს, კანონიერ ძალაუფლებას გავლენა აქვს მხოლოდ მაშინ, დაასკვნის მ. კროზიე, როდესაც ისინი გვაძლევენ მოქმედებათა დიდ თავისუფლებას.

მაგრამ „სტრატეგიული აქტორები“ დამოუკიდებლად კი არ მოქმედებენ, არამედ ჩართული არიან ორგანიზაციის ჩარჩოებში, რომელიც „თავის წევრებს კარნახობს მოქმედების განსაკუთრებულ ლოგიკას, რამდენადაც იგი წარმოადგენს სოციალურ სისტემას რეგულირების საკუთარი წესებით, რაც მას აძლევს ავტონომიის გარკვეულ დონეს. ორგანიზაციის „მაიძულებელი“ მიზნები და წესები არაპირდაპირ მოქმედებს – ზღუდავს „მოთამაშეთა“ ქცევის თავისუფლებას და, ამავე დროს, გამოყოფენ სექტორებს, სადაც მოქმედება მთლიანად წინასწარმეტყველებადია იმ სექტორებისაგან, სადაც დომინირებს „განუსაზღვრელობა“. სწორედ განუსაზღვრელობის წყაროზე კონტროლი, რომელიც ძალუძს განახორციელოს ერთ „მოთამაშეს“ მეორესთან მოლაპარაკებისას, განსაზღვრავს კიდევ მის ძალაუფლებას. ეს კი იმის ძალით ხდება, რომ სწორედ „განუსაზღვრელობა“ ზემოქმედებს პარტნიორის ქცევაზე თამაშის წესების იმ ჩარჩოებში, რა ჩარჩოებსაც ორგანიზაცია ადგენს. რამდენადაც ორგანიზაციის ფუნქციონირებისათვის სხვადასხვა „განუსაზღვრელობებს“ განსხვავებული მნიშვნელობა აქვთ, ამდენად, „კონკრეტული აქტორის“ მიერ კონტროლირებადი კონკრეტული „განუსაზღვრელობის“ იერარქიული მნიშვნელობისა და სერიოზულობის ზრდის შესაბამისად იზრდება მისი ძალაუფლებაც“ (47, გვ. 83).

ამგვარად, ძალაუფლებრივი ურთიერთქმედება უბრალოდ ორ ინდივიდს ან ჯგუფს შორის ურთიერთობა არ არის, სადაც ასიმეტრიულობას აქვს ადგილი და პიროვნების უნარსა და შესაძლებლობებს განსაკუთრებული როლების შესრულება ძალუძთ, ძალაუფლებრივი ხასიათისაა ურთიერთობა, რომელიც წარმოიქმნება ორ ან მეტ ინდივიდთა გაერთიანებაში, რომელსაც აქვს მოქმედების საერთო მიზანი, ანუ გარკვეული ორგანიზაცია. პიროვნების ნიჭი, უნარი და თავისუფლება ამ ორგანიზაციის კონტექსტში იშლება და პიროვნებას მით უფრო მეტი ძალაუფლებისა და შესაბამისად მეტი თავისუფლების ხარისხი აქვს, რაც უფრო მეტ შანსს ფლობს კოლექტიურ თამაშში, ანუ რაც უფრო მეტი განუსაზღვრელობის „მოთვინიერება და განსაზღვრებად“ ქცევა ძალუძს.

მ. კროზიემ შეძლო ძალაუფლების რაობის მნიშვნელოვან ასპექტთა გამოვლენა, რომელთა გაუთვალისწინებლობაც შეუძლებელია, მაგრამ როგორც შენიშნავენ კრიტიკოსები, ასეთი მიდგომისას, იგი ფაქტობრივად ვერ ასხვავებს პოლიტიკურ ძალაუფლებას ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან. აიგივებს ძალაუფლებასა და გავლენას ერთმანეთთან, ასევე აიგივებს ძალაუფლებას მართვასთან და სხვა. მაგრამ ინდივიდთა შორის ძალაუფლებრივი ურთიერთობების ორგანიზაციული გაერთიანების კონტექსტში კვლევას დიდი ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს.

**ძალაუფლების თავისებურ და ორიგინალურ კონცეფციას გვთავაზობს ტ. პარსონსი, რომელიც სისტემური მიდგომის ერთ-ერთი დამფუძნებელია სოციოლოგიაში.**

პარსონსი აცნობიერებს იმ დიდ თეორიულ სიძნელეს, რომელიც ძალაუფლების რაობის ობიექტურ კვლევასთანაა დაკავშირებული, რაც, უწინარეს ყოვლისა, თვით ძალაუფლების ცნების პოლისემანტიკურობასა და პოლიფუნქციურობაში გამოიხატება. ამიტომ იგი ცდილობს შემოვლითი გზით, მეცნიერებაში უკვე კარგად ცნობილი ფაქტების ანალოგიით ჩასწვდეს ძალაუფლების რაობას. ასეთ ანალოგიად მას ფულის კატეგორია მიაჩნია, რომელიც უნივერსალური გამაშუალებელია – შუამავალია სოციუმის შემადგენელ ქვესისტემებს შორის. ფულის მსგავსად, რომელიც ძირითადად ბრუნავს ეკონომიკურ ქვესისტემაში, ძალაუფლებაც ბრუნავს პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ შორს გადის მისი ფარგლებიდან და იჭრება საზოგადოების დანარჩენ სამ: ეკონომიკურ, ინტეგრაციულ და კულტურულ ფასეულებათა და ნიმუშთა შენარჩუნების ფუნქციონალურ ქვესისტემებში. ამიტომ, თუ მივმართავთ ფულის როგორც ძალაუფლების მსგავსი ტიპის ეკონომიკური ინსტრუმენტის არსებითი თვისებების მოკლე დახასიათებას, პარსონსის აზრით, უკეთ გავიგებთ ძალაუფლების რაობისა და მისი თვისებების სპეციფიკასაც.

ეკონომიკაში ცნობილია, რომ ფულის კატეგორია ერთდროულად წარმოადგენს როგორც გაცვლის საშუალებას, ისე „ღირებულებით ეტალონსაც“. ფული სიმბოლოა, რამეთუ ზომავს, მაშასადამე, „გამოხატავს“ ეკონომიკურ ფასეულობებს ან სარგებლიანობას, მაგრამ თვითონ არ აქვს არავითარი „სახმარი ღირებულება“. მას აქვს მხოლოდ „საცვლელი ღირებულება“, რომელიც საშუ-

ალებას გვაძლევს შევიძინოთ ჩვენთვის სასარგებლო ნივთები თუ სხვა ფასეულობები. მაგრამ ფული მთავარი შუამავალია მხოლოდ მაშინ, როდესაც ფასეულობათა გაცვლა არ არის გარდუვალი და სავალდებულო ხასიათის, მსგავსად ახლობელთა შორის საჩუქრების გაცვლისა ან, როდესაც საქონელთა გაცვლა ხდება ბარტერული, ე.ი. ტოლი ფასის მქონე ნივთებისა და მომსახურების გაცვლის საფუძველზე.

მართალია, ფულს არ აქვს უშუალო სარგებლობა, მაგრამ იგი მის მფლობელს აძლევს ოთხი სახის თავისუფლებას, გნებავთ, უპირატესობას საყოველთაო გაცვლის სისტემაში მონაწილეობისას:

1. „ბაზარში საქონლის არსებული რაოდენობიდან რომელიმე ნივთის ან ნივთთა რაოდენობის შექენისას, რასაკვირველია, მოცემული საშუალებების ფარგლებში, მიღებული ფულის ხარჯვის თავისუფლებას;

2. სასურველი ნივთის მრავალ ვარიანტთა შორის არჩევის თავისუფლებას;

3. შესყიდვისათვის ყველაზე შესაფერისი დროის შერჩევის თავისუფლებას;

4. შესყიდვის პირობების გააზრების თავისუფლებას, რომელი პირობებიც დროისა და მოწოდების ვარიანტის არჩევის თავისუფლების ძალით ადამიანს შეუძლია, გარემოებების შესაბამისად, მიიღოს ან უარყოს“ (119, გვ. 479).

მართალია, ადამიანი იღებს თავისუფლებას, მაგრამ იგი გარკვეულ რისკზე მიდის, რაც, უწინარეს ყოვლისა, დაკავშირებულია იმ ვარიანტთან, გნებავთ, დაშვებასთან, რომ ჯერ ერთი ფული მიღებული იქნება სხვების მიერ და მეორე, მეორეც, მისი ღირებულება, ანუ კურსი უცვლელი დარჩება.

ფულის პირველი სახეობა შუამავალი იყო, რომელიც ძალიან ახლოს იდგა საქონელთან, მაგალითად, ძვირფასი ლითონები და ბევრი დღესაც ფიქრობს, რომ ფულის ღირებულება „ნამდვლად“ ემყარება მათი ლითონური საფუძვლის საბაზრო ღირებულებას. ამ საფუძველზე განვითარებულ ფინანსურ სისტემებში შეიქმნა კრედიტირების ინსტრუმენტთა რთული სტრუქტურა, რომელშიც გარიგებათა მხოლოდ მცირე ნაწილი სრულდებოდა ლითონური ფულის გამოყენებით. საბოლოოდ იგი გარდაიქმნა „რეზერვად“, რომლებიც, პარსონის აზრით, შემონახულ იქნა ყოველი შემთხვევისათვის და დღეს ძირითადად გამოიყენება საერთაშორისო ბალანსის შედგენისას. ტ. პარსონს ამით იმის თქმა სურს, რომ როგორი დიდ მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ლითონური რეზერვების არსებობას, მაინც თანამედროვე ფინანსური სისტემები ფუნქციონირებისას ეყრდნობა არა ლითონს როგორც რეალურ შუამავალს, არამედ ფულს „ღირებულების გარეშე“. ამის საფუძველი კი არის ის განსაზღვრული ნდობა, რომელსაც ადგილი აქვს ინსტიტუციონალიზებულ ფინანსურ სისტემაში. „ფულადი ვალდებულებების გარანტია, – ნერს ტ. პარსონსი, – მხოლოდ მათ ლითონურ მონეტაში კონვენტირებადობას რომ ეყრდნობოდეს, მაშინ უმრავლეს შემთხვევაში ისინი გაუფასურდებოდნენ იმ მარტივი მიზეზით,

**რომ ლითონთა მთლიან რაოდენობას ძალუძს დაფაროს ფულის მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი“ (იქვე, გვ. 480).**

ამგვარად, ფული ფუნქციობს და მოქმედებს როგორც შუამავალი მხოლოდ საბაზრო ურთიერთობათა საკმარისად და კარგად განსაზღვრული ქსელის ნიადაგზე. ასეთი სისტემა არის ვირტუალურ (შესაძლებელ) გაცვლათა სფერო, რომელშიც შეიძლება ფული დაიხარჯოს, მაგრამ, რომლის ნიაღშიც ინარჩუნებენ იმ მხარდამჭერ განსაზღვრულ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს სისტემას დაცვით და მართვით, როგორც კანონის, ისე კანონით კონტროლირებულ პასუხისმგებელ ხელისუფალთა მხრივ. ამგვარად, ფულის ფუნქციონირება დაკავშირებულია არა იმდენად მის „ღირებულებასთან“, რამდენადაც იმ რთულ ინსტიტუციონალურ სისტემების არსებობასთან, რომელიც უზრუნველყოფს მის „სიკარგესა“ და „ღირებულებას“, ანუ ინსტიტუციონალიზებისა და სიმბოლიზების გარეშე ფული ვერ შეასრულებს თავის ფუნქციებს. ანალოგიურადაა საქმე „ძალაუფლების შემთხვევაში, რამეთუ ძალაუფლების ინსტიტუციონალური სისტემის ცნება წინა პლანზე აყენებს, პარსონსის აზრით, ურთიერთდამოკიდებულებათა სისტემას, რომლის ფარგლებშიც საკუთარი ნებით – მაგალითად, ხელშეკრულებით – მიღებული თუ თავს მოხვეული დაპირებებისა და მოვალეობების ზოგიერთი სახე, განიხილება ისეთ ქმედებად, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება, ე.ი. ნორმატიულად დადგენილ პირობებში უფლებამოსილ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ მათი შესრულება, მხოლოდ მორჩილებაზე უარის ან უარის მცდელობის ყოველ დადგენილ შემთხვევაში, როდესაც მოქმედი პირი ცდილობს ვალდებულებებისაგან თავის არიდებას, მაშინ **„მას აიძულებენ პატივისცემას სიტუაციურ-ნეგატიური სანქციების რეალური გამოყენების მუქარით, რომელიც ერთ შემთხვევაში ასრულებს დაშინების, მეორეში კი – დასჯის ფუნქციას“ (იქვე, გვ. 481).** სწორედ ის ხდომილებები, რომელთაც მსჯელობა ეხება, მოქმედ პირთან მიმართებისას განზრახ ცვლის (ან ემუქრებიან რომ შეცვლიან) სიტუაციას მისთვის საზიანოდ, როგორც არ უნდა იყოს ამ ცვლილებათა კონკრეტული შინაარსი.

მაშასადამე, დაასკვნის პარსონსი, **„ძალაუფლება – ეს არის იმ განზოგადებული უნარის რეალიზაცია, რომელიც აღწევს კოლექტივის წევრებისაგან მათი ვალდებულებების შესრულებას, ვალდებულებებისა, რომელიც ლეგიტიმირებულია კოლექტიური მიზნებისათვის მათი მნიშვნელობის გამო, რომელიც უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ ნეგატიური სანქციების გამოყენებით აიძულოს დაუმორჩილებელნი, მიუხედავად იმისა, ვინც არ უნდა იყოს ამ ოპერაციის მოქმედი პირი“ (იქვე, გვ. 481).** ძალაუფლების განსაზღვრისათვის პარსონსი იყენებს ორ ძირითად ცნებას: „განზოგადებას“ და „ლეგიტიმაციას“. გავანალიზოთ თითოეული მათგანი, ისევე, როგორც რაიმე სასარგებლო ნივთის დაუფლება იმით, რომ გავცვალოთ სხვა ნივთზე, არ ნიშნავს ფულად გარიგებას, ასევე პარსონს ძალაუფლების აქტად არ მიანია საკუთარი სურვილის აღსრულება, თუნდაც იგი განპირობებული იყოს ობიექტის (მეორე მოქმედი პირის ალტერ ეგო-ს) ვალდებულებით ან უფრო ძლ-

იერი და აღმატებული მხარისაგან უბრალო მუქარის საშუალებით. პარსონსი თავისი დაშვებებისადმი ერთგულია, ძალაუფლება ისეთივე „საყოველთაო“ და „სიმბოლიზირებული“ უნდა იყოს, როგორც ფული. თუ ინდივიდის სურვილის დაკმაყოფილების უზრუნველყოფის უნარი არ არის საყოველთაო და მხოლოდ სანქციათა ერთეული გამოყენების ფუნქციაა, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც ერთ პირს აქვს, მაშინ ამგვარი უნარის უზრუნველყოფით სურვილის დაკმაყოფილება არ არის ძალაუფლების აქტი. ასეთ შემთხვევაში მხოლოდ ის ურთიერთობები ჩაითვლება ძალაუფლებრივ აქტებად, რომელიც განპირობებულია სოციალურ ურთიერთობათა სისტემით. ამგვარად, გამოყენებული შუამავალი „განზოგადებულობის“ გარდა „სიმბოლურიც“ უნდა იყოს. ძალაუფლების „სიმბოლურობიდან“ კი გამომდინარეობს მისი გამართლებისა და აღიარების, ანუ „ლეგიტიმაციის“ აუცილებლობა. ძალაუფლების „სიმბოლურობა“ იმას ნიშნავს, რომ იგი არავითარ სარგებლობას და „საგრძნობ ფასეულობას“ არ უტოვებს მოვალეობისა თუ ვალდებულების შემსრულებელ პირს, ანტიციპაციების, ანუ მოლოდინთა ერთობლიობის გარდა. სახელდობრ, სხვა პირობებსა და სხვა გაერთიანებაში მას შეუძლია გაიხსენოს განსაზღვრული ვალდებულებები სხვა გაერთიანების მხრიდანაც. ამგვარად, პარსონსის აზრით, „ძალაუფლებრივ სისტემებში ლეგიტიმაცია არის იმ ნდობის ანალოგიური, რომელსაც ადგილი აქვს ფულადი ერთეულის მიღებისა და ფინანსურ სისტემებში მისი სტაბილურობის თაობაზე ურთიერთთანხმობის დროს“. ძალაუფლების ორ კრიტერიუმს – „საყოველთაობასა“ და ლეგიტიმურობას“ აერთიანებს ის, რომ თუ ძალაუფლების ფლობისა და გამოყენების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგა, მაშინ მას მივყავართ მორჩილების მიღწევის უფრო ძლიერი საშუალებების გამოყენებასთან. უპირველეს ყოვლისა, ეს საშუალებები უნდა იყოს „შინაგანად“ სულ უფრო და უფრო ეფექტური, გარდა ამისა, რა ზომითაც ეს საშუალებები ხდება შინაგანად ეფექტური, იმ ზომით ლეგიტიმურობა თანდათანობით მათი ეფექტურობის სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობის ფაქტორად გვევლინება. და რაც უფრო ეცემა და უფასურდება ლეგიტიმურობის მნიშვნელობა, მით უფრო იწყება ჯერ იძულების სხვადასხვა სახის, შემდეგ კი უკვე იძულების დანარჩენი სახეებიდან ყველაზე ეფექტურის – ძალის გამოყენება. სხვაგვარად ძალაუფლება კარგავს ავტორიტეტს და შიშველ ფიზიკურ ძალაზე დამყარებულ მაიძულებელ ხელისუფლებად იქცევა.

შემდეგ პარსონსი სვამს ძალიან საინტერესო პრობლემას: შესაძლებელია თუ არა ძალაუფლების „წარმოება“, გაზრდა, თუ იგი რჩება ერთსა და იმავე დონეზე. ხომ არ არის ძალაუფლება ამოცანა ნულოვანი ჯამით, ანუ ძალაუფლების ყოველი მატება, ვთქვათ, A-ს მიერ არის სხვა, B,Γ,Δ ინდივიდთა კუთვნილი ძალაუფლების შესაბამისი რაოდენობის დაკარგვის ნამდვილი მიზეზი. ამ პრობლემის გადანყვეტაში იგი ფულთან ანალოგიას იყენებს და აჩვენებს, რომ როგორც ეკონომიკაში „ფულის რაოდენობრივი თეორია“ ვერ ხსნის ფულის ზრდის პროცესს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკას, როგორც გლობალურ სისტემას, ისე პოლიტიკაში ძალაუფლების წარმოდგენა როგორც



ამოცანისა ნულოვანი ჯამით – არ არის სწორი. თითქოს სავსებით ნათელია, რომ თუ A-ს, რომელსაც ადრე ეკავა ადგილი, თანამდებობა, რომელსაც შეესაბამებოდა რეალური ძალაუფლება, ჩამოვაქვეითებთ რანგით დაბალ თანამდებობაზე და მის ყოფილ ადგილზე დავნიშნავთ B-ს, მაშინ, რასაკვირველია, A კარგავს, ხოლო B კი მიიღებს ძალაუფლებას, ისე, რომ ძალაუფლების საერთო ჯამი სისტემაში უცვლელი რჩება. პარსონსი აკრიტიკებს გ. ლასუელსა და ჩ. მილსს, რომლებსაც ეს წესი ჭეშმარიტად მიაჩნდათ პოლიტიკური სისტემების მთელი ერთობლიობისათვის.

იმის საჩვენებლად, რომ ნულოვანი ჯამის თეორია არ არის ჭეშმარიტი და შესაბამისად, სავსებით დასაშვებია როგორც „ფულის“, ისე „ძალაუფლების“, „წარმოებისა“ და „ზრდის“ კონცეფცია, პარსონსი აანალიზებს კრედიტის ფუნქციას.

ყველაზე ცხადი და სერიოზული ფაქტი, რომელმაც დაანგრია ნულოვანი ჯამის თეორია, – წერს იგი, – იყო კომერციული ბანკების მიერ კრედიტის დანესება. როდესაც მენაბრე დებს საკუთარ ფულს ბანკში, ბანკის მესვეურნი ამ ფულს მხოლოდ საიმედოდ კი არ იცავენ, არამედ იღებენ მას განკარგვის უფლებით, ანუ შეუძლიათ ეს ფული გასცენ სესხად. ხომ არ კარგავენ დეპოზიტორები თავიანთ ფულზე საკუთრების უფლებას? რასაკვირველია, არა! წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკის არსებობა წარმოუდგენელი იქნებოდა. ანაბრები მენაბრეებს უბრუნდებათ სრულად, როგორც კი ამის შესახებ ისინი განაცხადებენ, ერთადერთი მიღებული შეზღუდვა განსაზღვრულია მხოლოდ ბანკის მუშაობის რეჟიმით. მაგრამ ბანკი მაინც იყენებს ანაბართა ნაწილს პროცენტების გასასესხებლად, რის ძალითაც იგი კრედიტორს არა მხოლოდ აძლევს მის განკარგულებაში ფულის რაოდენობას, არამედ იღებს კიდევ ვალდებულებას სესხის დაბრუნება მოითხოვოს მხოლოდ დადებული ხელშეკრულების სრული შესაბამისობით; ყოველივე ეს კი კრედიტორს მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს, რომელიც არაფრით არ ირღვევა დათქმული დროის განმავლობაში. **„სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, – შენიშნავს პარსონსი, – ერთი და იგივე ფული იწყებს „ორმაგი ფუნქციის“ შესრულებას: იგი განიხილება საკუთრება როგორც დეპოზიტორთა..., ისე ბანკის მიერ, რომელიც იღებს უფლებას გაასესხოს ეს ფული ისე, „როგორც საკუთარი“ (იქვე, გვ. 483).** ამგვარად, ფულის ჯამი იზრდება მიმოქცევაში, რომელიც იზომება მიმდინარე სესხთა რაოდენობის უვადო ანაბრების მოცულობასთან შეფარდებით. მთელი ეს მსჯელობა კრედიტის თაობაზე, პარსონსს იმიტომ სჭირდება, რათა ანალოგიურად აჩვენოს ძალაუფლების „წარმოებისა“ და „ზრდის“ პროცესი. ამასთან დაკავშირებით იგი საინტერესო კითხვას აყენებს: ხომ არ არსებობს საბანკო სისტემის პოლიტიკური ეკვივალენტი – საშუალება, რომელიც გაარღვევდა ძალაუფლების წრიულ მიმოქცევას და საშუალებას მოგვცემდა დაგვემატებინა ფასეული რამ ძალაუფლების იმ რაოდენობაზე, რომელსაც უკვე შეიცავს სისტემა? პარსონსი დადებითად პასუხობს ამ კითხვას – ასეთი საშუალება არსებობს და მისი წყარო მხარდაჭერის სისტემაშია საძიებელი, ე.ი. პოლიტიკურ

სისტემასა და ინტეგრაციის, ანუ სოციალურ სისტემას შორის ურთიერთგავლენის ცვლის ზონაშია საძიებელი. სწორედ მათი ეფექტური ურთიერთგავლენა იწვევს პოლიტიკური მხარდაჭერის ზრდას ან წინააღმდეგ შემთხვევაში კლებას.

ამგვარი რამ თვალსაჩინოა დემოკრატიული საარჩევნო სისტემების ფუნქციონირების შემთხვევაში. აქ **„პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა განიხილებოდეს როგორც ძალაუფლების განზოგადებული დათმობა, რომელიც არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში არჩეულ ლიდერებს აყენებს ბანკირის ანალოგიურ მდგომარეობაში. ამომრჩეველთა მიერ შეტანილი ძალაუფლების „ანაბრები“ შეიძლება გამოტანილ იქნეს თუ ახლავე არა, მაშინ მომდევნო არჩევნებისას მაინც და ბანკის მუშაობის ანალოგიური რეჟიმის პირობებში“ (იქვე, გვ. 484).** მართალია, ზოგჯერ არჩევნები უკავშირდება და ემსგავსება ბარტერულ გაცვლას, რომელიც ძალიან კონკრეტული ხასიათისაა და, ამდენად, უკავშირდება სტრატეგიულად მოაზროვნე ამომრჩეველთა მიერ წამოყენებული კონკრეტული მოთხოვნის შესრულების მოლოდინს. მაგრამ, – შენიშნავს პარსონსი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ პლურალისტურ სისტემაში, რომელიც ასეთია არა მხოლოდ პოლიტიკურად მხარდამჭერ შემადგენელ ძალთა, არამედ გადასაჭრელ პრობლემათა თვალსაზრისითაც, არჩეული ლიდერები იღებენ მოქმედების თავისუფლებას იმ გადაწყვეტილებათა მიღებისას, რომელიც აუცილებელია საქმისათვის, თანაც ისე, რომ ეხებიან საზოგადოების სხვა ჯგუფებს, პრობლემებს და არა მხოლოდ იმათ, ვისი „ინტერესებიც“ იქნა უშუალოდ დაკმაყოფილებული მათი არჩევით.

მაგრამ, პარსონსი კარგად ხედავს, რომ ეს თავისუფლება შეზღუდულია, ანუ ძალაუფლების ფაქტორი, რომელიც გაივლის პოლიტიკური მხარდაჭერის არხს, განზონანსორებულ იქნება მისივე რეზულტატებით – ანუ იმ ჯგუფთა ინტერესების შესატყვისი პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებით, რომელი ჯგუფებიც მათ სპეციალურად მოითხოვდა. ამდენად, პოლიტიკური ლიდერი საკმაოდ შეზღუდულია იმ პოლიტიკური თავისუფლებით, რომელსაც მას მისი მხარდამჭერები ანიჭებენ. მაგრამ პარსონსი მაინც პოულობს არჩეულ ლიდერთა თავისუფლების გადამწყვეტ შემადგენელ და განმაპირობებელ ფაქტორს. ესაა **„გავლენის გამოყენების თავისუფლება, მაგალითად, თანამდებობის პრესტიჟის წყალობით, რომელიც არ ემთხვევა ამ თანამდებობისთვის მიწერილი ძალაუფლების მოცულობას, რათა ახლებურად ეცადო ძალაუფლებისა და გავლენის გათანაბრებას“ (იქვე, გვ. 485).** ესაა, პარსონსის აზრით, ძალაუფლების გაზრდის მიზნით გავლენის გამოყენება. როგორ გავიგოთ ეს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად პარსონსი ისევ ეკონომიკურ კატეგორიებს იყენებს და აღნიშნავს, რომ დადებითი და უარყოფითი სანქციებისათვის გამოყენებულ საშუალებებს შორის კავშირი არის ინვერსია, ანუ ფულადი მასის მატება საბანკო კრედიტის შესაქმნელად. ამ შემთხვევაში მსჯელობა ნამდვილად ეხებოდა საკრედიტო შეთანხმების შესრულების ვალდებულების სახით კონკრეტიზებული ძალაუფლების გამოყენებას, რაც იძლეოდა კიდევ, „განსხ-

ვაგების შეგრძნების“ საშუალებას, რამეთუ სწორედ ვალდებულებათა დაცვის ან დაუცველობის შემთხვევაში გამოყენებული სანქციების შედეგად იზრდება ბანკის კაპიტალი. მაგრამ რაც შეეხება პოლიტიკურ სისტემას, აქ მსჯელობა უკვე დარწმუნების გზით გავლენის შერჩევითი განხორციელების უნარსა და წესს ეხება. როგორც ჩანს, – წერს პარსონსი, – ეს პროცესი თავის როლს ასრულებს მართვის ფუნქციების დახმარებით, რომელიც – გაერთიანების ელექტორალური, ანუ ამომრჩეველთა კორპუსის სტრუქტურის სხვადასხვა ასპექტის მიერ მხარდაჭერილი დამოკიდებულებების დახმარებით – ბადებს და სახსრავს „ახალ მოთხოვნას“ უკვე გადანყვეტის სპეციფიკური მოთხოვნის აზრით.

ასეთ შემთხვევაში შეიძლება აღინიშნოს, რომ მსგავსი მოთხოვნა – იმათ მიმართ, ვინც გადანყვეტილებებს იღებს, – ამართლებს ძალაუფლების მზარდ წარმოებას, რაც შესაძლებელი გახდა სწორედ პოლიტიკური მხარდაჭერის მანდატის განზოგადოებული ხასიათის გამო; ვინაიდან მანდატი გაცემული არის არა ბარტერის, ე.ი. კონკრეტულ გადანყვეტილებათა მიღების სანაცვლოდ, ძალაუფლებისა და გავლენის იმ „გათანაბრების“ შედეგად, რომელიც დადგინდა არჩევნების საშუალებით, ამდენად, ეს მანდატი კონსტიტუციის ფარგლებში არის იმის განხორციელების საშუალება, რაც სამთავრობო დონეზე „საყოველთაო ინტერესის“ ყველაზე შესატყვის საშუალებად გვეჩვენება.

ამ შემთხვევაში პოლიტიკური ლიდერები და ხელმძღვანელი პირები შეიძლება, – მიაჩნია პარსონსს, – შევადართო ბანკირებს ან „ბროკერებსაც“ კი, რომელთაც ძალუძთ ისეთი მობილიზება გაუკეთონ თავიანთ ამომრჩეველთა ვალდებულებებს, რომ მთელი გაერთიანების მიერ აღებულ ვალდებულებათა ერთობლიობა გაფართოვდეს და გაიზარდოს. ვალდებულებათა ზრდას უნდა ამართლებდეს გავლენის მობილიზაცია: ისინი მოქმედ პირებში უნდა აღიქმებოდნენ, ჯერ ერთი, როგორც მოქმედი ნორმების შესატყვისი და მეორეც, იმ სიტუაციებში გამოყენებადი, რომლებიც „მოითხოვენ“ მოქმედებებს კოლექტიური ვალდებულებების დონეზე. აღებულ ვალდებულებათა გაფართოების პრობლემის გამართლებაში ყველაზე კრიტიკული და ძნელი სწორედ რომ კონსენსუსის, ანუ ამომრჩეველთა მხრივ თანხმობის მიღწევაა. სწორედ კონსენსუსი ახდენს ძლიერ გავლენას ისეთ უმთავრეს ღირებულებით პრინციპზე, როგორც მხარდაჭერა და სოლიდარობა, ამდენად, იგი სოლიდარობისა და მხარდაჭერის კრიტერიუმად გვევლინება. სწორედ ამომრჩეველთა მხრივ, მხარდაჭერაში ეძებს პარსონსი ნულოვანი ჯამის მქონე ძალაუფლების სისტემის წრიული სტაბილურობის დარღვევის – და შესაბამისად, ძალაუფლების ზრდის საფუძველს. ასეთი რამ კი შეიძლება მხოლოდ მაშინ მოხდეს, როდესაც საზოგადოება, გნებავთ, რომელიმე ადამიანური გაერთიანება და მისი წევრები მზად არიან თავის თავზე აიღონ ახალი ვალდებულებები, რომლებიც აღემატება და გადის ადრე აღებული ვალდებულებების ჩარჩოებიდან. თუ საზოგადოება ყოველივე ამისთვის მზადაა, მაშინ აუცილებელია, ერთი მხრივ, მსგავსი გაფართოების გამართლება, რომ აუცილებელია რაღაცის წამოწყება, ხოლო მეორე მხრივ კი, რაღაცის წამოწყების, ინიციატივის აუცილებლობის გრძნობის, უკვე

ეფექტური მოქმედების წამოწყების ვალდებულებად ტრანსფორმირება, ანუ გარდაქმნა. ამ პროცესში ძლიერი მოღვაწე, ანუ მოქმედი პირი, წარმოდგენილია რჩეული ხელმძღვანელობით იმ ზომით, რა ზომითაც მათთვის დამახასიათებელია ძალაუფლების დამოუკიდებლობა, ავტონომიურობა, რომელიც ლიდერს წარმოგვიდგენს, როგორც ადამიანს, რომელიც ეძიებს ამ პოლიტიკური პროგრამებისთვის აუცილებელ დასაბუთებას, რომელი პროგრამების მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ძალაუფლების წრიული მიმოქცევის დროს. ახალი პროგრამების შესრულებისას ლიდერებს ესაჭიროებათ ამომრჩეველთა ნდობის კრედიტი, რომლის გამართლებაც საკმაოდ სარისკო საქმეა, მაგრამ სხვაგვარად ძალაუფლების მატებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელია, ვინაიდან იმ დიდი ეფექტურობის მოთხოვნას, რომელიც აუცილებელია საზოგადოების საერთო დატვირთვაზე დამატებულ ახალ პროგრამათა შესასრულებლად, მოსდევს ცვლილებები ორგანიზაციის დონეზე, მოითხოვს რა წარმოების ფაქტორთა ახლებულ დაკავშირებებს, ახალი ორგანიზაციების განვითარება, პერსონალის ანგაჟირებულობა, ახალი ნორმების შემუშავება და ლეგიტიმაციის თვით საფუძვლების მოდიფიკაციაც კი, ამიტომ აქტიური და რჩეული ლიდერები კანონით არ შეიძლება დაუყოვნებლივ ჩაითვალოს პასუხისმგებლად შესრულებაზე, პირიქით, საჭიროა პოლიტიკური მხარდაჭერის წყაროებმა აღმოუჩინონ მათ ნდობა, ე.ი. არ მოითხოვონ მათი საკუთარი ინტერესებით ნაკარნახევ გადანყვეტილებათა მიღების ხარჯზე დაუყოვნებელი „ანაზღაურება – მომდევნო შემდგომი არჩევნების დროს – იმ წილისა, რომელიც მათ ხმებს ჰქონდა“ (იქვე, გვ. 487).

შესაბამისდ, მართლზომიერი იქნება, თუ ასეთ შემთხვევაში აღებულ პასუხისმგებლობას ვუნოდებთ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას, რომელიც განსხვავდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან, რომელიც უფრო ყოველდღიურ ფუნქციაზეა კონცენტრირებული. ძალაუფლების ზრდის პროცესის წესი ასეთ შემთხვევაში ემსგავსება ეკონომიკურ ინვესტირებას, იმ აზრით, რომ „ანაზღაურებამ“ უნდა გამოიწვიოს წარმატების დონის ამაღლება ზემოთ აღნიშნული მიმართულებით, სახელდობრ, „კოლექტიური მოქმედების ეფექტურობის ამაღლება ზონებში, სადაც აღმოჩენილია ფასეულობები, რომელთა შესახებაც წარმოდგენა ეჭვადაც კი არავის არ ექნებოდა, ლიდერი რომ რისკზე არ წასულიყო, მსგავსად იმ მენარმისა, რომელმაც გადანყვიტა ინვესტიციების ჩადება საქმეში“ (იქვე).

ამგვარად, ძალაუფლება – ეს არის საზოგადოების მიერ აღიარებული მიზნების მისაღწევად მასში არსებული რესურსების მობილიზების უნარი. ძალაუფლება არ არის მხოლოდ რომელიმე ერთი ჯგუფის მიერ სხვა ჯგუფზე საკუთარი ნების მოხვევა, არამედ იგი შეიძლება ფუნქციონირებდეს – განაკუთრებით დემოკრატიულ ქვეყნებში – მთელი საზოგადოების სახელითაც. ძალაუფლება არის გაცვლის საშუალება პოლიტიკური ქვესისტემის შიგნით, და ამ უკანასკნელ და დანარჩენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ქვესისტემებს შორის გაცვლის გამაშუალებელი. ძალაუფლება აქტიური, მოძრავი, მობილური ფენომენია, იგი მუდმივად იცვლება და გადაადგილდება. მას არ

აქვს ფიქსირებული ჯამი და როგორც ფული, რომელიც მიმოქცევისას რაოდენობრივად იზრდება, ისე ძალაუფლებაც შეიძლება „ვანარმოთ“ და „გავზარდოთ“ ნდობის, მხარდაჭერის პოლიტიკური კრედიტის შექმნის წყალობით. ძალაუფლება – ეს არის შედარებით თავისუფლად მცურავი ელემენტი პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც განვითარებულ და დემოკრატიულ საზოგადოებაში საკრედიტო სისტემას გვაგონებს. ძალაუფლების კრედიტი კი შეიძლება იცვლებოდეს და მერყეობდეს, ინფლაციისა და დეფლაციის მსგავსად. ძალაუფლება, ფულის მსგავსად, საყოველთაო და სიმბოლური გამაშუალებელი ხდება და, როგორც სიმბოლო, აღიარებულია საზოგადოების უმრავლეს წევრთა მიერ, ანუ ატარებს ლეგიტიმურ ხასიათს. ამგვარად, პარსონსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძალაუფლება ესაა პოლიტიკური სისტემის უნარი, მობილიზება გაუკეთოს საზოგადოების მატერიალურსა და იდეალურ რესურსებს საზოგადოების მიერვე აღიარებული მიზნების მისაღწევად. მარქსისაგან განსხვავებით, მან წინა პლანზე წამოსწია ძალაუფლების გავებაში, სწორედ მთელი საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილებასა და მიზნების აღსრულებისაკენ მისწრაფება; შეუძლებელია დადებითად არ შევაფასოთ პარსონსის დამსახურება ძალაუფლების სოციალური ბუნების ნათელყოფაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ფუნქციონირებს მთელი სოციალური სისტემის სახელით.

## **ძალაუფლება, გავლენა, ავტორიტეტი და ძალა**

ძალაუფლება არც მხოლოდ ნებაზე დაიყვანება და არც მხოლოდ მისი შემადგენელი მხარეების გაცნობიერებული დამოკიდებულებების ერთობლიობაზე. თუ ძალაუფლება მხოლოდ ძალაუფლების „ნებაა“, მაშინ მისი დეტერმინაცია გამოირიცხებოდა, ხოლო თუ იგი წარმოუდგენელია მმართველსა და მორჩილს შორის აქტიური და გაცნობიერებული ურთიერთდამოკიდებულებების გარეშე, მაშინ მის შემადგენელ მხარეთა მიზნების განმარტება, როგორც აბსოლუტური თვითნებობის გამოხატულებისა, შეუძლებელია. ამდენად, ძალაუფლება მუდამ დამოკიდებულია იმ რესურსებზე, რომელთა გამოყენებაც ძალაუფლებრივ ურთიერთობაში შემაჯალ სუბიექტებს ძალუძთ. სწორედ რესურსები, როგორც ადამიანთა საქმიანობის ობიექტურ პირობათა ერთობლიობა, დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა შორის ნებელობით და გაცნობიერებულ ურთიერთობაზე. ნებაყოფლობითობა და გაცნობიერებული მორჩილება – ეს არ არის საკმარისი ძალაუფლების რაობის წვდომისათვის, რამეთუ იგი, უპირველეს ყოვლისა, ძალაუფლება, დომინირება, მძლავრობა ადამიანთა ურთიერთობებში, რომელსაც ვერსად გაექცევი.

ძალაუფლებრივ ურთიერთობათა მრავალი თეორეტიკოსი, მოყოლებული ჰეგელიდან ვებერით დამთავრებული, ცდილობს ძალაუფლების ანალიზისას

უგულებელყოს ძალის, ძალადობისა და იძულების მომენტები, მაშინ, როდესაც ფ. ნიცშე სწორედ ამ მომენტებს უსვამდა ხაზს. მართალია, ძალაუფლების ნება შეიძლება გამოიხატოს ადამიანური მოქმედების ზოგად სავალდებულო კანონებითა და ნორმებით, მბრძანებელი და მორჩილი, ხელმძღვანელი და ხელქვეითი ორგანულ ურთიერთკავშირში იმყოფებოდეს ერთმანეთთან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ორივე მხარის ნებაც ორგანულ კავშირშია ერთმანეთთან. ეს დასაშვებია მხოლოდ ალიარებული, ლეგიტიმური, ანუ ნებაყოფლობითი მორჩილებისას. მაგრამ მორჩილებას, დაუმორჩილებლობა ცვლის, ინტერესები ერთმანეთს ეჯახება და მხარეთა შორის დაძაბულობას წარმოშობს, სადაც უკვე არსებითი მნიშვნელობა სწორედ რომ ძალას, ანუ იძულებასა და ძალადობას აქვს. ნებაზე მრავალი ადამიანური ურთიერთობაა დამყარებული, მაგრამ სწორედ იძულება, ძალადობა არის ის მაკონსტრუირებელი ნიშანი, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია გამოვყოთ იგი ნებაზე დამყარებულ სხვა ურთიერთობებისაგან. იძულებასა და ძალადობას, როგორც ძალაუფლების მაკონსტრუირებელ ნიშნებს, ხაზი კ. მარქსმა გაუსვა. სახელმწიფო და ძალაუფლების ყოველი სახე ძალადობის აპარატებია, იძულების ორგანიზებული ფორმებია, მაგრამ მხოლოდ იძულებასა და ძალადობაზე ყურადღების გამახვილება და ნებაყოფლობითი მორჩილების უგულებელყოფა ან მეორეხარისხოვანად ჩათვლაც არ არის სწორი და, შეიძლება ითქვას, მეორე უკიდურესობაა ძალაუფლების გაგებაში.

იძულების არსებითი ნიშანია – მორჩილი სუბიექტებისადმი მატერიალური ან სულიერ-გონითი ფასეულობების წართმევა ან წართმევის მუქარა. ამიტომ, იძულება და ძალადობა შეიძლება განვსაზღვროთ **„როგორც სხვადასხვა ფასეულობის ოპერირების ნესი, რომელიც გამოიყენება მბრძანებელთა ნებისა თუ მიზნებისა და მართულთა მორჩილების მიღწევისათვის“ (90, გვ. 155)**. ძალადობას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მართული კარგავს მოქმედების თავისუფლებას, ხოლო მბრძანებელი იყენებს ფიზიკურ ძალასა და მატერიალურ საშუალებებს საკუთარი ნების სხვებზე თავს მოხვევის მიზნით. იძულება – ესაა მბრძანებელთა მიერ შეგნებულად შექმნილ პირობათა ერთობლიობა, რომელთა დროსაც მორჩილი დგება არჩევანის სიტუაციაში, ანუ, როდესაც მან უნდა გააკეთოს არჩევანი მატერიალურ და სულიერ-გონით ფასეულობათა ფლობის ან მათი დაკარგვის რისკს შორის, თუ მისი მოქმედება არ იქნება მბრძანებლის ნების შესატყვისი.

იძულებისა და ძალადობის სპეციფიკას განსაზღვრავს ის, რომ მბრძანებელი ფლობს ისეთ საგნებსა თუ ურთიერთობებს, რომლებიც ფასეული და ღირებულია მორჩილთათვის. იძულების საშუალებები შეიძლება ყველა ის ფასეულობა იყოს, რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ ადამიანურ მოთხოვნილებასა და ინტერესებს. ეს ფასეულობები გავლენას ახდენს მორჩილთა ქცევებზე იმ პირთა ნების შესატყვისად, რომლებიც ამ ფასეულობებს ფლობენ. იძულების საშუალებები და მათი ფლობის შესაძლებლობა განსაზღვრავს ძალაუფლების სფეროს, მაგრამ უშუალოდ არ ქმნის ძალაუფლებრივ ურთიერთობებს. იძულება, ძალადობა და ნებაც **„განპირობებულია ადამიანთა მიერ კონკრეტული**

**სოციალური ურთიერთობების, მატერიალური და სოციალური ფასეულობების მიმართ ფლობის, განკარგვის ან მორჩილების შესაძლებლობის გაცნობიერების ხარისხით“ (იქვე, გვ. 156).** მბრძანებლის მიერ დასახული მიზანი შეზღუდულია იმ საშუალებებით, რომელთა გამოყენებაც მას შეუძლია. მათზეა დამოკიდებული მათი ნებაც. მაშასადამე, იძულება და ნება არის ძალაუფლების, როგორც სოციალური ურთიერთობების, განმსაზღვრელი ნიშანი. ინდივიდი, ორგანიზაცია ან სოციალური ჯგუფი იყენებს იძულების საშუალებებს, რათა საკუთარი ნება თავს მოახვიოს სხვებს, თუ ისინი ამ ნებას არ ეთანხმებიან. ამგვარად, ძალაუფლებრივი დამოკიდებულება გულისხმობს ორივე მხრის გაცნობიერებულ მოქმედებას. მბრძანებელმა გაცნობიერებული მოქმედებით უნდა შეძლოს იმ სიტუაციის შექმნა, რომელშიც მას ექნება იძულების საშუალებების ფლობისა და გამოყენების მაქსიმალური თავისუფლება. მორჩილებმა კი უნდა გააცნობიერონ სიტუაცია იმ გადაწყვეტილებების მისაღებად და მოქმედების განსახორციელებლად, რომლებსაც ძალუძთ ძალაუფლების მოცემული სისტემის განმტკიცება ან შესუსტება. ამგვარად, ნება, გაცნობიერება და იძულება ძალაუფლებრივ ურთიერთობათა კრიტერიუმებია.

**ძალაუფლება და გავლენა.** ძალაუფლება ახლოს დგას გავლენასთან. ძალაუფლება შეიძლება განვმარტოთ, როგორც ერთი ინდივიდის უნარი, აკონტროლოს მეორე ინდივიდის შესაძლო მოქმედებანი, იმ გავლენის მეშვეობით, რომელსაც იგი ახდენს მეორე ინდივიდის გონებაზე. გავლენა შეიძლება მომდინარეობდეს სამი წყაროდან: ა) სარგებლობის მოლოდინისაგან; ბ) წაგების ან დამარცხების შიშისაგან და გ) ადამიანის ან ინსტიტუტებისადმი პატივისცემისა და სიყვარულისაგან. იგი შეიძლება განხორციელდეს ბრძანებით, მუქარით, დარწმუნებით, ინდივიდის ან ინსტიტუტის ქარიზმით, ან ყველა ამ ფაქტორთა ერთობლიობით.

უნიარეს ყოვლისა, გავლენა – ესაა სხვა ინდივიდების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე ზემოქმედების უნარი როგორც ყოველგვარი ძალის გამოყენების ან ძალის გამოყენების მუქარის, ისე ავტორიტეტის გარეშე. ერთი ინდივიდი შეიძლება მეორეზე ზეგავლენას ახდენდეს პრესტიჟის, პატივისცემის, სიყვარულისა და ერთგულების საფუძველზე. შეიძლება, რომელიმე დაწესებულების ხელმძღვანელს არც პირადი ავტორიტეტი ან რაიმე განსაკუთრებული ფიზიკური თუ გონებრივი უნარი არ გააჩნდეს, მაგრამ მისი დაწესებულების მაღალი პრესტიჟი აიძულებს ადამიანებს ანგარიში გაუწიონ ამ ინდივიდის მოსაზრებებს, დათმობებზე წავიდნენ და დაემორჩილონ კიდევ მის მაკონტროლებელ ზემოქმედებას“ (152, გვ 134). შეიძლება სრულებით არ გვსურდეს რაღაც კონკრეტული მოქმედების განხორციელება, მაგრამ ანგარიშს ვუწვევთ არა მხოლოდ მოსალოდნელ შედეგებს, არამედ იმ ღირებულებებს, რომელიც ამ მოქმედებაზე ორიენტირების საფუძველშია. მაგალითად, პიროვნულად შეიძლება არ მიმაჩნდეს სწორად ეროვნულობისათვის (იგულისხმება ეთნიკურობა) ხაზის გასმა და ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უფრო მოქალაქეობის პრინციპებს ვანიჭებდეთ უპირატესობას. მაგრამ, რამდე-

ნადაც ჩემი მეგობრები, თანამშრომელები ეროვნულებას უფრო ღირებულად თვლიან, ამდენად, მე არ მინდა მათგან განსხვავებული პოზიცია დავიკავო და შესაბამისად, მათ მოთხოვნებს ვუერთდები. ამგვარად, ჩემ მიერ სამოქმედო ორიენტირების საფუძვლად არსებული ღირებულებები შეიძლება იცვლებოდეს სოციალური ურთიერთქმედების გავლენით. ძალაუფლებისაგან განსხვავებით, გავლენას უშუალო კავშირი აქვს ფასეულობა-ღირებულებებთან: იგი ვლინდება იმით, რომ ხდება განსხვავებულ მიზანთა შეფარდებითი პოზიციების გადაადგილება მათი მნიშვნელობების იერარქიაში, როდესაც ერთი მიზანი თუ ღირებულება უფრო ფასეული და მიმზიდველი გვეჩვენება, ვიდრე სხვები, რაც შესაბამისად ჩვენგან მეტ ენერგიას, ძალისხმევასა და ყურადღებას მოითხოვს. ჩვენ ღირებულებებსა და მიზნებს პრიორიტეტს სწორედ მათი გავლენის მიხედვით ვანიჭებთ, ვინაიდან იმედი გვაქვს, რომ ის მიზანი – ღირებულება, რომელსაც პრიორიტეტი მივანიჭებთ, საბოლოო ჯამში, უფრო მეტ კმაყოფილებასა და სიამოვნებას მოგვცნის; ვთვლით, რომ იგი უფრო დაფასებული, მორალურად ამაღლებული, ესთეტიკურად მიმზიდველია და იდეალებს ყველაზე უკეთ შეესაბამება. სოციუმში სოციალიზაციისა თუ საზოგადოდ ცხოვრების მთელ მანძილზე უამრავი ფასეულობის ინტერიორიზაციას ვახდენთ, რომელთაც მით უფრო მეტი გავლენა აქვთ ჩვენ მოქმედებებზე, რაც უფრო დავინწყებულია და ჩვენი სულიერი სამყაროს შემადგენელ ელემენტადაა ქცეული, და რაც აღარ აღიქმება როგორც გარეგანი ზეწოლა. გარეგანი ზეწოლა სწორედ რომ ძალაუფლებისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ კი **„გარეგან გავლენებს მხოლოდ მაშინ ვაცნობიერებთ, როდესაც საქმე ეხება თავისუფალ არჩევანს, როდესაც ეჭვქვეშ დგება ის ღირებულებები, რომელთაც ვემორჩილებით და როდესაც მოითხოვება მათი დასაბუთება და გამართლება, ანუ ლეგიტიმაცია“** (27, გვ. 126).

გავლენა და ავტორიტეტი ცნების მხრივ ახლოს დგანან ერთმანეთთან. ყოველი ავტორიტეტის დამახასიათებელია სხვა ინდივიდთა ფასეულობებზე გავლენის უნარი, მაგრამ გავლენა ყოველთვის არ გულისხმობს ავტორიტეტს, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითით დავინახეთ. გავლენა შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, რომელიც მოკლებულია პიროვნულ ავტორიტეტს, მაგრამ სხვებზე გავლენას ინარჩუნებს იმით, რომ არის რომელიმე ავტორიტეტულ პირთან ან დაწესებულებასთან დაკავშირებული. გავლენა ავტორიტეტის გარეშე – ესაა ინდივიდისა თუ დაწესებულების უნარი, ამოქმედოს ვინმე ისე, როგორც მას ხელს აძლევს, მისთვის სასურველი და საჭირო სახით, და თუ ინდივიდს აქვს ამგვარი უნარი და შესაბამისად რესურსი, მაშინ მას ძალაუფლება აქვს. საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანესი ფასეულობების ფლობა ინდივიდს უკვე აძლევს სხვა ინდივიდზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას. გავლენას ფლობს ადამიანი, ნიშნავს იმის, რომ მას ძალუძს სისრულეში მოიყვანოს თავისი განზრახვები და ინტერესები, სანამ მას წინააღმდეგობას არ უწევს. ძალაუფლებას კი ის ფლობს, რომელსაც სხვა ინდივიდების მხრიდან წინააღმდეგობების მიუხედავად, ძალუძს განსაზღვროს ის, რაც მოხდება, იყოს



ხდომილების დეტერმინანტი. გავლენის მქონე ადამიანი თავადაა იძულებული ანგარიში გაუწიოს სხვებს, რათა არ დაკარგოს წინააღმდეგობის შემთხვევაში გავლენა, მაშინ, როდესაც ძალაუფლების მფლობელს შეუძლია რაიმე გადანყვეტილების მიღება სხვებს შეუთანხმოს ან არ შეუთანხმოს, მოკლედ, რომ ვთქვათ, გავლენა – ესაა ინდივიდის უნარი, მისთვის სასურველი სახით იმოქმედოს სხვა ინდივიდების მოქმედებებზე.

რამდენადაც ინდივიდის ადგილი – პოზიცია საზოგადოებაში და, შესაბამისად, შესაძლებლობანი არაერთგვაროვანი და არათანაბარია, ამდენად, ადამიანებიც განსხვავებულ გავლენას ფლობენ: ერთი უფრო მეტ გავლენას ფლობს, ვიდრე – მეორე, მესამე კი შეიძლება საზოგადოდ მოკლებული იყოს მას. თუმცა ამგვარი სიტუაციის დაშვება თანამედროვე სიციუმში ნაკლებ მოსალოდნელია. პოზიციის გარდა გავლენის ძალაზე მოქმედებს აგრეთვე ისეთი ფაქტორებიც, როგორცაა: პირადი გამოცდილება და მოტივაცია. განსხვავებენ გავლენის ძალასა და გავლენის დიაპაზონს, მაგალითად, შარანის აზრით, **„გავლენის ძალა – ესაა სხვა ადამიანების ქცევებზე ზემოქმედების ხარისხი, მაშინ, როდესაც გავლენის დიაპაზონი – ესაა იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებზეც ვრცელდება გავლენა“ (164, ტ 1, გვ. 83).**

ძალაუფლებაც განსაკუთრებული სახის გავლენაა. მაგრამ რაც ძალაუფლებას საზოგადოდ განსხვავებს გავლენისაგან, მაინც დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შესაბამისი ზომების მიღება ან მიღების მუქარაა. მაშასადამე, ძალაუფლება – ესაა უნარი, ზეგავლენა იქონიოს სხვების მოქმედებაზე პოზიტიური ან ნეგატიური ზომების მიღების ან მიღების მუქარის გზით. ზომები ნეგატიურია მაშინ, თუ გულისხმობს სხვების ფაქტობრივ დეპრივაციას, დასჯასა და ზიანის მიყენებას. გავლენა მუდამ მნიშვნელოვან როლს თამაშობს პოლიტიკის სამყაროში, ვინაიდან ვრცელდება გადანყვეტილებათა მიმღებ ინდივიდებსა და მათ უფლებამოსილებებზე. როდესაც ჩვენს გულისტკივილს შევჩვივით ან თხოვნას გადავცემთ პოლიტიკაში ჩართულ ორგანიზაციებს ან გამოჩენილ პოლიტიკოსებს, ვიმედოვნებთ, რომ ისინი მფარველობასა და დახმარებას გაგვიწევენ, იმიტომ, რომ მათ დიდი გავლენა აქვთ პოლიტიკურ სამყაროსა და მთლიანად საზოგადოებაში. პიროვნების ან სოციალური ჯგუფის უნარს, იმოქმედოს სხვა ინდივიდების ქცევაზე, ხელისუფლების დამსახურების, მიმზიდველი პოლიტიკური ხასიათის, თვისებების ან სხვა დამსახურებისა გამო – შეიძლება გავლენა ეწოდოს. ამგვარი გავლენა კი უკვე ახლოს დგას ავტორიტეტთან. მაშასადამე, ძალაუფლება გავლენისაგან განსხვავდება იმით, რომ მას უნარი შესწევს ზეგავლენა ან ზემოქმედება მოახდინოს სხვების მოქმედებებზე პოზიტიური ან ნეგატიური ზომების მიღების ან მიღების მუქარის გზით.

**ძალაუფლება და ავტორიტეტი.** თავისი მნიშვნელობით ძალაუფლებასთან უფრო ახლოს დგას ავტორიტეტი, ვიდრე გავლენა, ხოლო ავტორიტეტის ლეგიტიმურ ფორმას აიგივებენ არა მხოლოდ გავლენასთან, არამედ თავად ძალაუფლებასთანაც კი. ცხადია, ავტორიტეტი ისეთი თვისებაა, რომელიც მოიპოვება და შეიძინება კიდევც. ამდენად, ავტორიტეტს შეიძლება ფლობდეს

ან არ ფლობდეს ძალაუფლების სუბიექტი. თუ იგი ფლობს ისეთ უნარ-შესაძლებლობას, რომ ზეგავლენა მოახდინოს სხვების მოქმედებაზე ისე, რომ ამ დროს არ მიმართავს უხეშ ძალას, შთაგონებისა და დარწმუნების გზით, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ იგი სარგებლობს ავტორიტეტით, ანუ ავტორიტეტი აქვს. ავტორიტეტი დაკავშირებულია ძალაუფლების იძულების ან მისი აშკარა მზაობის გარეშე აღიარებასთან. შესაბამისად, ავტორიტეტს ხშირად განსაზღვრავენ როგორც ძალაუფლებას, რომელსაც შთაგონების უნარი შესწევს. ზოგიერთი მკვლევარი ავტორიტეტს განსაზღვრავს როგორც ძალაუფლებას, რომელიც დამყარებულია თანახმობა-კონსენსუსზე. ავტორიტეტი იზომება იმის ალბათობით, რომ ადამიანები რაიმე ფასეულობას აღიარებენ როგორც ფასეულობას ერთი მიზეზით, რომ ამ ფასეულობას იზიარებს ან პრაქტიკულ საქმიანობაში მისით ხელმძღვანელობს ავტორიტეტით აღჭურვილი პიროვნება ან ორგანიზაცია. **„პიროვნება ან ორგანიზაცია შეიძლება წარმოადგენდეს ავტორიტეტს ადამიანისათვის იმ შემთხვევაში, თუ ის ფაქტი, რომ სწორედ იგი მისდევს და იცავს განსაზღვრულ ღირებულებას, ამ ადამიანების მიერ განიხილება როგორც მოწონებისა და თანხმობის საკმარის მიზეზად“** (27, გვ. 126). ამგვარად, პიროვნების ან ორგანიზაციის ავტორიტეტი გულისხმობს იმის ალბათობას, რომ სხვა ადამიანები მიბაძავენ და გაჰყვებიან მათ მაგალითს ან მიიღებენ მათ რჩევებს. ინდივიდებს ძალუძთ დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ, მიიღონ ან არ მიიღონ ესა თუ ის ავტორიტეტი. საბოლოო ჯამში, ადამიანები ავტორიტეტს იმათ ანიჭებენ, ვისაც ბაძავენ ან მხარს უჭერენ, ხოლო უარს ეუბნებიან ავტორიტეტზე იმათ, ვინც მათ მოწონებას არ იმსახურებს. ხშირად კი, ავტორიტეტის განმასხვავებელ ნიშნად ითვლება ძალაუფლების უპირობო აღიარება იმათ მიერ, ვისაგანაც მოითხოვენ მორჩილებასა და დაქვემდებარებას, თანაც ისე, რომ საჭირო არ არის არც იძულება და არც დარწმუნება. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, **„ავტორიტეტი – ესაა თანშობილი ან შექნილი უნარი, მადომინირებელი გავლენა იქონიით რომელიმე ჯგუფზე; ესაა ძალაუფლების გამოვლენა და გულისხმობს იმათ მორჩილებას, ვინც დაქვემდებარებულია მას“** (164, ტ 1, გვ. 90).

ავტორიტეტის მქონე ადამიანი ფლობს რაღაც ისეთს, რომელიც შეიძლება იწოდოს როგორც საკუთარი მოქმედების, ისე სხვების მართვის ზეზუნებრივ უნარად. ს. მოსკოვიჩის აზრით, **„განუსაზღვრელ, მაგრამ ბელადის ნამდვილ თვისებას, რომელიც აშუქებს რწმენისა და მამაცობის წყალობით – ეწოდება ავტორიტეტი“** (107, გვ. 170). პიროვნების ავტორიტეტი ხშირად მოგვაგონებს მომაჯადოებელ, საიდუმლო ძალას, რომელიც სავსეა აღტაცებითა და პატივისცემით, ძალას რომელიც, როგორც გ. ლებონი იტყოდა, „პარალიზებას უკეთებს კრიტიკულ უნარებს“. ს. მოსკოვიჩის აზრით, ავტორიტეტი ფლობს ისეთ თვისებებს, რომელთა არსებობა არ არის დამოკიდებული მისი მიმდევარი ხალხის აღიარებაზე, თუმცა კარგად ესმის, რომ ამის გარეშეც ავტორიტეტის არსებობა წარმოუდგენელია. ავტორიტეტის მფლობელი პიროვნება ახორციელებს აუცილებელ მომხიბლავ ზემოქმედებას, შეიძლება ითქვას, ბუნებრივ გავ-

ლენას. მისი ერთი ჟესტი ან სიტყვაც კი საკმარისია, რათა დაიმორჩილოს, აიძულოს მორჩილება, მიაღწიოს იმას, რისთვისაც სხვებს დასჭირდებოდა საომრად გამზადებული არმია ან ბიუროკრატია მთელი მისი შემადგენლობით.

მაჰათმა განდს საკმარისი იყო წარმოეთქვა მოკლე სიტყვა შეიარაღებული და აღგზნებული, აღშფოთებული ბრბოს წინაშე, რომლის უკანაც მილიონობით ადამიანი იდგა, რომ მაშინვე დაემშვიდებინა და განეიარაღებინა ისინი. ლიდერის ავტორიტეტი თითქოსდა ჰიპნოზურ ძალად, ბრბოსა თუ მასებზე ზემოქმედების უნარად იქცევა, ესაა უნარი – უკარნახოს მათ თავისი ნება და გადასცეს საკუთარი იდეაფიქსი. ასეთი ავტორიტეტის მქონე ადამიანი აიძულებს სხვებს გააკეთონ ისეთი რამ, რაც მათ არ სურთ და არც კი უფიქრიათ გაეკეთებინათ, გაჩერებულყვენ თუ დაძრულიყვენ, დაენგრიათ, ებრძოლათ თუ ეშენებინათ. ყოველივე ამას ავტორიტეტის მქონე პიროვნება აკეთებს აბსოლუტურად მართო, გარედან რაიმე ხილული დახმარების გარეშე. იგი მოცემულ შემთხვევაში არ ეყრდნობა არც სხვებისა და არც საკუთარი ფიზიკური ზენოლის ძალებს; ასეთი შემთხვევაში, ავტორიტეტი გვევლინება რაღაც ირაციონალურ ძალად, თითქოსდა შარავანდედად, რომლის მფლობელ პიროვნებას არ სჭირდება არც ძალისა და არც მჭერმეტყველების დემონსტრირება, რათა აიძულოს მასები მის აღიარებასა და თაყვანისცემაში. **„ავტორიტეტში, – წერს მოსკოვიჩი, – შერწყმულია ბელადის ორი თვისება – მანათობელი რწმენა და ჯიუტი შემართება. იგი იგივე ქარიზმაა“ (107, გვ. 172).** ავტორიტეტი ნებისმიერი ძლიერების პირობაა, მაშინ, როდისაც ქარიზმა მისი განსაკუთრებული ფორმაა. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, „ნებისმიერი ძალაუფლება ავტორიტეტზეა დამყარებული: როდესაც ლიდერი ამოწურავს თავის ავტორიტეტს, მას სხვა არაფერი რჩება, გარდა უზურპატორის უხეში ძალადობისა“ (იქვე). აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში მოსკოვიჩი ცდება, რადგან ავტორიტეტი შეუძლებელია არსებობდეს ძალაუფლების გარეშე, მაშინ, როდესაც ძალაუფლებას, სამწუხაროდ, შეუძლია ავტორიტეტის გარეშე არსებობა, რადგან ინდივიდის ავტორიტეტი მთლიანად მის პიროვნულ თვისებებზე კი არ არის დამოკიდებულ, არამედ მის მიმდევართა რწმენაზეც.

ავტორიტეტი წარმოუდგენელია საიდუმლოების შარავანდედის გარეშე, რამდენადაც ის, რაც ძალიან კარგად არის ცნობილი, ნაკლებად ფასდება. ეს კი საშუალებას გვაძლევს წარმოვარჩინოთ იგი სასურველ შუქზე. აზრისა და სიტყვის გამართულობა, რეალური თუ მოჩვენებითი ძალა შთააგონებს ადამიანებს შიშსა და რიდს, და აღმოფხვრის ყოველგვარ დისკუსიას – ესაა სწორედ ავტორიტეტის პირობა, რამეთუ საკამათო ავტორიტეტი – უკვე ავტორიტეტი აღარ არის.

ავტორიტეტის არსი ისაა, რომ იგი ხელს უშლის ადამიანებს დაინახონ ნივთები ისე, როგორც ისინი სინამდვილეში არიან და ბჭობის, კამათისა და დაურწმუნებლობისაგან გაათავისუფლონ ისინი. მასებს და თვით ცალკეულ ინდივიდებსაც ხშირად მზამზარეული აზრები და შეხედულებები უფრო ეს-

აჭიროებათ, ვიდრე დისკუსიები და ქეშმარიტის ძიება. ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ავტორიტეტი „თავისი არსით გაზიარებული ილუზიაა“ (იქვე, გვ. 176).

პიროვნულ ავტორიტეტს თანამდებობრივი ავტორიტეტისაგან განსხვავებით, კანონიერი საფუძველი არა აქვს. თანამდებობრივი ავტორიტეტი გადადის მემკვიდრეობით, მოდის სიმდიდრესთან ერთად, არჩევნების საფუძველზე. იგი, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არის დამოკიდებული ადამიანებზე. მაშინ, როდესაც პიროვნული ავტორიტეტი იქმნება საკუთარი ძალითა და ნიჭით. იგი იმდენ ხანს მოქმედებს, რამდენადაც გრძელდება ამ ნიჭისა და უნარის მოქმედება და შესაბამისად დამოკიდებულია მასების კეთილგანწყობაზე. ამიტომ მას ნებისმიერ მომენტში დამხობა მოეწივს. თანამდებობრივი ავტორიტეტის მქონე პირები: მეფე ან პრეზიდენტი, გენერალი ან პროფესორი ძალაუფლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებენ აღიარებული, ურყევი და განსაზღვრული წესების მეშვეობით. მაშინ, როდესაც პიროვნული ავტორიტეტის მქონე ლიდერებს ესაჭიროებათ – წარმატებები, ანუ იმის დასაბუთება, რომ იგი ძლიერია და მისი ძლიერება ისევე ნამდვილია, როგორც ადრე. მაგალითად, „მოსეს სჭირდებოდა სჯულის ფიცარი, იესო ქრისტეს – საოცრებები, ნაპოლეონს – ძლევამოსილი ომები, რათა შეენარჩუნებინათ დიდი საფასურის ხარჯზე მოპოვებული გავლენა და მოეპოვებინათ ბრბოს ნდობა და რწმენა“ (იქვე, გვ. 177). ამგვარად, პიროვნული ავტორიტეტი და ქარიზმა დიდადაა დამოკიდებული მასების შეხედულებებსა და რწმენებზე, ვიდრე ადამიანის პირად ტალანტზე. მაგრამ, ს. მოსკოვიჩის მართებული შენიშვნით, არც ეს უკანასკნელი თამაშობს უმნიშვნელო როლს, რამეთუ ნებისმიერ ინდივიდს არ ძალუძს ლიდერობა, თუნდაც ამისათვის კარგი ხელშემწყობი პირობებიც კი არსებობდეს, ვინაიდან მრავლად არიან მოწოდებით ლიდერნი, მაგრამ ძალიან ცოტაა – რჩეული.

ავტორიტეტის ცნება ასევე ახლოსაა ლეგიტიმურობასთან, რამეთუ იგი გამოხატავს საზოგადოებაში მოქმედი სხვადასხვა სოციალური ჯგუფის დამოკიდებულებას არსებული ხელისუფლებისადმი. ძალაუფლების განსაკუთრებით კი პოლიტიკური ძალაუფლების სპეციფიკა ისაა, რომ იგი ყალიბდება ძალაუფლებრივ ურთიერთობათა საფუძველზე, რომელიც უშვებს იძულებისა და ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას. რასაკვირველია, არსებობს ავტორიტეტის სახეები, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, რომელიც არ არის დაკავშირებული იძულებასთან, მით უფრო ძალადობის გამოყენებასთან. ავტორიტეტი, უწინარეს ყოვლისა, არაძალადობრივი ხასიათის გავლენაა, რომელიც მოკლებულია იძულების ელემენტებს; იგი არის როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებრივი ჯგუფის თვისება – არაძალადობრივი გავლენა მოახდინოს მეორე პიროვნებაზე ან ჯგუფზე. მაგრამ ძალაუფლება იყენებს როგორც ძალადობის, ისე დარწმუნების მეთოდებს. ამდენად, ძალაუფლების დაკავშირება მხოლოდ იძულებასთან არ არის სწორი; მეორე მხრივ, ძალაუფლების ინსტიტუტთა მიერ ფიზიკური იძულების ზომების გამოყენება, თავისთავად როდი ნიშნავს, რომ მან დაკარგა ავტორიტეტი. ხელისუფლებამ შეიძლება დაკარგოს ავტორიტეტი რომელიმე სოციალური ფენის თვალში, თუ, რასაკვირვე-

ლია, იძულების ზომები ტოტალური ხასიათის არ არის. ამიტომ ძალაუფლების ერთ-ერთი სპეციფიკა ავტორიტეტთან მიმართებაში ისაა, რომ იგი ავტორიტეტს დაუკარგავად ინარჩუნებს ფიზიკური იძულების ზომების გამოყენებას იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ მის მიერ დაწესებულ წესებსა თუ ქცევის ნორმებს. მკვლევართა ერთი ჯგუფი განასხვავებს ავტორიტეტს ობიექტური და სუბიექტური თვალსაზრისით, მაგალითად, ნ. კეიზეროვი; მისი აზრით, ავტორიტეტი ობიექტურად – ესაა ძალაუფლების ხასიათის, სტრუქტურებისა და ფუნქციების საზოგადოების ან ცალკეული სოციალური ჯგუფის ინტერესებისადმი შესატყვისობა; სუბიექტურად კი ავტორიტეტი – ესაა საზოგადოების, სოციალური ჯგუფების, ინდივიდების მოცემულ შესატყვისობაზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი და გაცნობიერებული დაქვემდებარება ძალაუფლების მიერ საზოგადოებაში დადგენილი ნორმებისა და წესებისადმი (ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხილეთ 76, გვ. 47-68).

ძალაუფლების ნამდვილი ავტორიტეტის მაჩვენებელია მართულთა და მორჩილთა მხრივ ნებაყოფლობითობის, პატივისცემის, შეგნებულობის მოტივები, თორემ იმის თქმა, რომ ქვეშევრდომები მორჩილებენ მას, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელისუფლების ავტორიტეტს, რამეთუ სავსებით დასაშვებია, რომ ისინი მოსალოდნელი რეპრესიების შიშით, უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მას. ამიტომ მხოლოდ მორჩილების ფაქტი შეუძლებელია იყოს მისი ავტორიტეტის საზომი. ძალაუფლებას ნამდვილი ავტორიტეტი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ იგი გამოხატავს და ხელს უწყობს საზოგადოებაში ისეთი სოციალური პოლიტიკის გატარებას, რომელიც მეტ-ნაკლებად მისაღებია მთელი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით კი საზოგადოების ნამყვანი ჯგუფებისა თუ ფენებისათვის.

ძალაუფლების მახასიათებელი ნიშანია იძულებაზე დამყარებული მორჩილება, ხოლო ავტორიტეტისათვის კი განსაზღვრული სუბიექტური განწყობის, შინაგანი რწმენის საფუძველზე მორჩილება. ძალაუფლება ერთდროულად გვევლინება, როგორც მატერიალური ფაქტი და ცნობიერების ფენომენიც. პირველ შემთხვევაში იგი ემყარება ფიზიკური იძულების შესაძლებლობას, მეორეში კი – ძალაუფლების არსებობის გაცნობიერებას, დამოუკიდებლად მისი ფორმისა თუ სუბიექტისაგან. ავტორიტეტი მუდამ გულისხმობს ძალაუფლებას და შეუძლებელია მიღწეულ იქნეს მის გარეშე; ავტორიტეტი ხომ სუბიექტური დამოკიდებულებაა ძალაუფლებისადმი, ანუ იმის საბუთია, თუ როგორ აღიქვამენ ინდივიდები და საზოგადოება მას. ძალაუფლება შეიძლება ავტორიტეტის გარეშე, მაშინ, როდესაც ავტორიტეტი შეუძლებელია ძალაუფლების გარეშე. ავტორიტეტის გარეშე ძალაუფლება აგრძელებს მოქმედებას იძულების სხვადასხვა ფორმის მეშვეობით, იმ შემთხვევაშიც კი რჩება ძალად, რომელიც რეალურად არსებობს და შესწევს განსაზღვროს ადამიანთა მოქმედებები, თუმცა მათ, როგორც ცხოველებს, ისე ექცევა. სხვაგვარად, ძალაუფლება ავტორიტეტის გარეშე შესაძლებელია, მაშინ, როდესაც ავტორიტეტი ძალაუფლების გარეშე ინგრევა და თანდათანობით ქრება. ავტორიტეტს სხვანაირად

სულიერ-გონითი იძულების ძალაუფლებას უწოდებენ, იგი უპირატესად ინდივიდუალური ფენომენია. იმისათვის, რათა ადამიანებმა დაიცვან სოციალური თანაცხოვრების ნორმები, მხოლოდ ავტორიტეტი არ არის საკმარისი, ვინაიდან შეუძლებელია საზოგადოების ყველა ფენა თუ სოციალური ჯგუფი ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებდეს ძალაუფლებისა და მისი ინსტიტუტებისადმი. ამდენად, ავტორიტეტი დიდი ძალაა, რომელიც იძულების გარეშე, ნებაყოფლობით უმორჩილებს ხელისუფლებას ადამიანებს, მაგრამ საზოგადოებაში მუდამ იქნებიან ადამიანები, რომელთა თვალშიც ძალაუფლება ავტორიტეტს მოკლებული იქნება. ამ ადამიანთა მიმართ ძლაუფლება, რასაკვირველია, გამოვლინდება სწორედ, როგორც ძალაუფლება მთელი თავისი ძლიერებითა და იძულებით.

ავტორიტეტი გამოთქვამს დამოკიდებულებას „დე-იურე“ და სრულებითაც არაა სავალდებულო გამოთქვამდეს მას „დე-ფაქტო“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რომელიმე ინდივიდი ან ინსტიტუტი ფლობს მოქმედების უფლებას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ მას აქვს მოქმედების ძალაუფლება. ავტორიტეტი შეიძლება ხელისუფლების მიერ განმტკიცდეს ან შენარჩუნდეს, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც შეუძლია შეინარჩუნოს ან შეაჩეროს ავტორიტეტი, ესაა ის ძალაუფლება, რომელსაც ფლობს ხალხი, ვინაიდან მათ შეუძლიათ მიიღონ იგი, ე.ი. ირწმუნონ, ან არ მიიღონ, ე.ი. არ ირწმუნონ. ამგვარად, გარკვეული აზრით, ავტორიტეტი შეიძლება ფლობდეს საკუთარ ძალაუფლებასაც, ამის გამო მათ ზოგჯერ აიგივებენ და სინონიმებადაც იყენებენ. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანია ავტორიტეტის რწმენა, რომელიც, პირველ რიგში, ნიშნავს დადგენილ და გამართლებულ ძალაუფლებას. პიროვნების ან სახელმწიფო ინსტიტუტის ავტორიტეტი, ერთი მხრივ, თავის თავში უნდა მოიცავდეს რაღაც „ბუნებრივ უნარს“ და გამართლდეს რაღაც ღირებულებებთან მიმართებით, ე.ი. უნდა შეესატყვისებოდეს ადამიანის ბუნებასა და მის ძირითად ფასეულობებს.

ამგვარად, ავტორიტეტი დაფუძნებულია თანხმობა-კონსენსუსზე, მაშინ, როდესაც ძალაუფლება – ესაა უნარი – შესაძლებლობა საკუთარი ნება მოახვიოს – სხვებს მათი მხრივ მომდინარე წინააღმდეგობების მიუხედავად. ავტორიტეტი – ესაა არგუმენტის განხორციელება, გამართლება და ლეგიტიმაცია, მაშინ, რადესაც ძალაუფლება მოკლებულია მსგავს ნიშნებს; იძულება – ძალაუფლების მნიშვნელოვანი ელემენტია, მაშინ როდესაც იგი არ არის დამახასიათებელი ავტორიტეტისათვის.

ავტორიტეტი – სხვაგვარად რომ ვთქვათ – ესაა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში პიროვნების ან ორგანიზაციის საყოველთაოდ აღიარებულ გავლენაზე დაფუძნებული ძალაუფლების განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. ავტორიტეტის დახმარებით მყარდება კონტროლი ადამიანთა მოქმედებებზე (ზოგი მოქმედების სტიმულირება, ზოგის შეზღუდვა ან აკრძალვა) და მათი შეთანხმება როგორც საზოგადო, ისე ინდივიდუალური ინტერესების შესაბამისად. გავლენისაგან, რომელიც გამოიწვევა მოქმედებაზე არაპირდაპირი ზემოქმედებით, ავტორიტეტი განსხვავდება ადა-

მიანთა საქმიანობაზე ზემოქმედების პირდაპირი ხასიათით, რომელიც შეიძლება მოგვევლინოს დირექტივის, ბრძანების ან განკარგულების ფორმით. გარდა ამისა, ავტორიტეტი განსხვავდება გარეგანი იძულებისაგანაც. ამ განსხვავების საფუძველია ის, რომ ავტორიტეტზე დაფუძნებული ბრძანების შესრულება გულისხმობს ლეგიტიმურობის რწმენას მისი შემსრულებლის მხრივ და არა იმის გაცნობიერებას, რომ ბრძანების შესრულებას (შეუსრულებლობას) შეიძლება მოჰყვეს ბრძანების გამცემის წამახალისებელი (რეპრესიული) აქტები. გავლენისა და გარეგანი იძულებისაგან განსხვავებით, ლეგიტიმურობა შედის თვით „ავტორიტეტის“ ცნებაში: იგი მუდამ გვევლინება ასე თუ ისე გამართლებული, რომელიმე ღირებულების მქონე ზემოქმედების სახით, რაც უკვე თავის მხრივ გულისხმობს – და ესაა გარეგანი იძულებისაგან კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანი – სოციალური წესრიგის განსაზღვრულ ხარისხსა და დონეს.

ავტორიტეტის ეფექტურობის განმსაზღვრელია ძალაუფლების სხვა ფორმებთან ურთიერთქმედება, რაც არ გამოირიცხავს მათ შორის წინააღმდეგობების არსებობას. ავტორიტეტი იზრდება და ძლიერდება იმ შემთხვევაში, თუ მას თან ახლავს წახალისება, რომელიც უზრუნველყოფილია ძალაუფლების სხვა ფორმის, მაგალითად, გარეგანი იძულების მექანიზმით. ამიტომ მაიძულებელი ძალაუფლების მექანიზმით განხორციელებული ავტორიტეტის გამართლებამ და შესაბამისად ლეგიტიმურობამ, შეიძლება მაიძულებელი ძალაუფლების ავტორიტეტის წარმოქმნასა და გაძლიერებასთან მიგვიყვანოს. ამ შემთხვევაში იგი დაპირისპირებული აღმოჩნდება ნამდვილი ავტორიტეტისადმი, რაც ფაქტობრივად ნამდვილი და ჭეშმარიტი ავტორიტეტის ძირის გამოთხრის ტოლფასია. გარეგანი იძულებისაგან განსხვავებით, რომელიც ემყარება მხოლოდ ძალის უშუალო გამოყენების მუდმივ შესაძლებლობას, ავტორიტეტის ძალაუფლება გარანტირებულია სხვა წესებით. ავტორიტეტი შეიძლება სხვადასხვა ხასიათის იყოს; მაგალითად, არსებობს: ტრადიციული, კანონიერ-ლეგალური, კონსტიტუციური და ქარიზმული ტიპის ავტორიტეტები. ეს უკანასკნელი გულისხმობს განსაკუთრებული – არაორდინალური ღვთაებრივი მადლის მქონე ლიდერისადმი ერთგულებას (ამის თაობაზე უფრო დანვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი). ავტორიტეტი ასევე შეიძლება ემყარებოდეს კანონიერ ძალას, ლეგიტიმაციას, საზოგადოებრივ აზრს, გვარიშვილობას, ანუ წარმომავლობასაც კი.

გამართლებული, დასაბუთებული და დამსახურების მქონე ძალაუფლება, შესაბამის სოციალურ გარემოში ხდება ყველაზე ავტორიტეტული, ხოლო ავტორიტეტული ხელისუფლების განკარგულებანი კი – შესრულებადი. ავტორიტეტი ლეგიტიმურობასთან ერთად ძალაუფლების ინსტიტუტთა ეფექტურობის კრიტერიუმიცაა. ავტორიტეტული ძალაუფლების მნიშვნელოვანი შედეგია – დისციპლინა, რომელიც, თუ ნ. ბობიოს სიტყვებით ვიტყვით, გულისხმობს „სასარგებლო შედეგების მქონე ქცევას, დისციპლინა კი – ესაა სასარგებლო ქცევის განსაზღვრისა და უზრუნველყოფის საშუალება“ (47, გვ. 10).

**ძალაუფლება და ძალა.** ძალა, ძალადობა – ესაა ფიზიკური ზემოქმედების გამოყენება, რათა საკუთარი ნება მოახვიო სხვას. ესაა უფრო ვიწრო მოცულობის ცნება, ვიდრე ძალაუფლება, რამდენადაც ძალაუფლება შეიძლება განხორციელდეს ფიზიკური ძალის გამოყენების გარეშეც. მიუხედავად ამისა, ხშირად ხდება ძალისა და ძალაუფლების გაიგივება. მაგალითად, შეუძლებელია ვალიაროთ ძალაუფლების სხვა ფორმა მაშინ, როდესაც საჭიროა ძალის გამოყენება იმათ მიმართ, რომლებიც თანახმანი არ არიან, საკუთარი ჩადენილი დანაშაულის გამო აყვანილ იქნენ პასუხისგებაში და სხვა. გარკვეული აზრით, ძალაუფლება მუდამ ეყრდნობა ძალას, თუნდაც კანონიერ და აღიარებულ ფიზიკურ ძალადობას. რეალისტური პოლიტიკის მიმდევართა უმრავლესობაც კი, რომლებიც ძალადობასა და ფიზიკურ ძალას უსვამენ ხაზს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ფიქრობენ ძალაზე, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების ერთადერთ საფუძველზე, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ძალაუფლება არის ძალაუფლება, რომლის გავლენის მოსახდენ საშუალებად ფიზიკურ ძალას აფუძნებს და ამართლებს. მ. ვებერიც ხომ პოლიტიკურს, გნებავთ, სახელმწიფოს, ადამიანის ადამიანზე ბატონობის ისეთ ურთიერთობად განსაზღვრავს, რომელიც ლეგიტიმურ ან ლეგიტიმურად მიჩნეულ ძალადობას ემყარება. შესაბამისად, პოლიტიკური ძალაუფლება განსაკუთრებით მიმართებაშია ფიზიკურ ძალადობასთან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ფაქტობრივი აღსრულების ან აღიარების მნიშვნელობით უტოლდება ფიზიკურ ძალადობას. მართალია, ფიზიკური ძალადობის მუქარა პოლიციელის ბრძანების, დაპატიმრების, დახვრეტის, და ა.შ. ფორმით, პოლიტიკური ძალაუფლების შემადგენელი ნაწილია, მაგრამ მისი ფაქტობრივი გამოყენება ფიზიკურ ძალადობას რომ გულისხმობდეს, მაშინ პოლიტიკური ძალაუფლება სამხედრო ძალაუფლების სასარგებლოდ უგულებელყოფილი იქნებოდა. ძალაუფლება ხომ ფსიქიკურ-ნებლობითი დამოკიდებულებაა ორ მოქმედს (აქტორს) შორის და არა ფიზიკური მიმართება ორ სხეულს შორის. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ძალაუფლებისა და ფიზიკური ძალის ურთიერთობაზე, მაშინ მხედველობაში გვაქვს ფიზიკური ძალადობა როგორც საშუალება, რომელსაც ემყარება პოლიტიკური ძალაუფლება. მაგრამ პოლიტიკური მოქმედებისათვის ძალაუფლება არ არის ერთადერთი და ძირითადი პირობა, მართალია, ძალაუფლება არის შესაძლებლობა, რომელიც წინააღმდეგობის მიუხედავად, საკუთარი სურვილის თუ ნების განხორციელების საშუალებას იძლევა, რადგან იგი წინააღმდეგობათა დასაძლევად და გადასალახად ფლობს ქმედით მექანიზმებს, დაწყებული ფიზიკური ძალიდან და დამთავრებული სულიერ-გონითი რესურსებით. ძალაუფლების ცნებისათვის ეს არსებითია. მაგრამ რა ქმედით საშუალებებს გამოიყენებს უშუალოდ პრაქტიკაში პოლიტიკური ძალაუფლება ეს უკვე თვით საზოგადოებაზე ასევე თავად ხელისუფლების ინსტიტუტებსა და მათ ეფექტურობაზეა დამოკიდებული.

ფიზიკურ ძალადობას მხოლოდ მაშინ ექნება ძალაუფლებაში მადომინირებელი მნიშვნელობა, თუ პოლიტიკას გავიგებთ როგორც ნულოვან თამაშს,



სადაც ერთი მხარის მოგება ემთხვევა მეორე მხარის წაგებას, ანუ, როდესაც ერთი მხარის მიზნები და ინტერესები სხვების ინტერესებისა და მიზნების ხელყოფის გარეშე ვერ განხორციელდება. მაგრამ არც პოლიტიკა და არც პოლიტიკური ძალაუფლება არ არის მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლა, იგი მთელი საზოგადოებისათვის საყოველთაო ღირებულებების: მშვიდობისა და ნესრიგის დამყარებას ისახავს მიზნად. ამგვარად, პოლიტიკური ძალაუფლება, მართალია, ემყარება ფიზიკურ იძულებასა და ძალადობას, მაგრამ მისი მსგავსი იგი არასოდეს იქნება, რამეთუ ასევე გულისხმობს და ემყარება მმართველსა და მორჩილს შორის თანამშრომლობასა და ინტერესთა კონსენსუსს.

თუ არსებითად, ძალაუფლებას ფიზიკურ ძალასთან, განსაკუთრებით კი ფიზიკურ და სულიერ ძალადობასთან გავაიგივებთ, მაშინ საერთოდ დაგვეკარგება მხედველობის არედან პოლიტიკურის ცნება. ძალადობის საფუძველზე ძალაუფლების ქმედითი ღონისძიებების გატარება საზოგადოდ ძალაუფლებრივ ურთიერთობათა აღმოფხვრასთან მიგვიყვანს. ჯერ კიდევ მ. ვებერი უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ნებისმიერმა პოლიტიკურმა ძალაუფლებამ უნდა გაითვალისწინოს მორჩილთა მოლოდინები, თუ არ უნდათ, რომ მათი გადაწყვეტილებანი პრაქტიკულად განუხორციელებელი დარჩეს. ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელი არაა ვიფიქროთ, რომ ის, ვინც ძალაუფლებას ფლობს, წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაშიც თავის ნებას ახორციელებს. როგორც ტ. პარსონსმა აღნიშნა, ძალაუფლება იზრდება სწორედ მმართველთა და მორჩილთა შორის თანამშრომლობის გზით, რომლის საფუძველი კონსენსუსია. დღევანდელი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი დემოკრატიული სახელმწიფო, ფლობს უფლებებსა და ბრძანებებს, მაგრამ მხოლოდ ძალაუფლებით, ე.ი. ბრძანებებით იგი ვერაფერს გახდება. სწორედ აქ „ვანყდებით ზღვარს ფიზიკურ ძალადობასა და ძალაუფლებას შორის“ (181, გვ. 85). ამგვარად, ძალადობის, საზოგადოდ, პოლიტიკისა და, კერძოდ, ძალაუფლებრივი ურთიერთობების ერთადერთ შემადგენელ ელემენტად აღიარება ისევე არარეალურია, როგორც ძალადობისა და ძალაუფლების პოლიტიკის ერთადერთ ნამდვილად გადახდისუნარიან ელემენტად მიჩნევა. მართალია, პოლიტიკაც არ არსებობს ძალაუფლებისთვის ბრძოლის გარეშე, მაგრამ ამით სრულებითაც არ შეიძლება უარყოფილ იქნეს ის, რომ ძალაუფლება, რომელიც ფიზიკურ იძულებას ემყარება, პოლიტიკის საკმაოდ დიდ საშუალებასა და ინსტრუმენტს არ წარმოადგენდეს. რასაკვირველია, შეუძლებელია ვაღიაროთ ძალაუფლების სხვა ფორმა მაშინ, როდესაც საჭიროა ძალის გამოყენება იმათ მიმართ, რომლებიც თანახმანი არ არიან, ჩადენილი დანაშაულის გამო აყვანილ იქნენ პატიმრობაში და სხვა. მაგრამ ნ. სმელზერის სწორი შენიშვნით, „თუ ჩვენ გავაიგივებდით ძალაუფლებასა და ძალას, მაშინ ძალაუფლების შესახებ მრავალი საინტერესო საკითხი გაურკვეველი და გაუშუქებელი დარჩებოდა. ამ შემთხვევაში ჩვენ არ განვიხილავთ ძალაუფლების მრავალ ისეთ ფორმას, რომელიც დაკავშირებული არაა ძალის გამოყენებასთან, მაგალითად, მთავრობის მცდელობა, დაარწმუნოს დისიდენტთა ჯგუფი (ამერიკელი ნაცისტების მსგავსი) არ ჩაატარონ დემონსტრაცია“

ცია, რომელიც გამოიწვევდა ძალადობის ფაქტებს. რატომ გამოიყენება ძალა განსაზღვრულ შემთხვევაში და არ გამოიყენება სხვა შემთხვევაში? რატომ, რომ ძალაუფლების განხორციელება დამოკიდებულია უფრო მმართველობის რთულ ფორმებზე და არა უბრალოდ ძალის გამოყენებაზე?“ (138, გვ. 526). ამ კითხვებზე პასუხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძალაუფლების რაობისა და მისი ლეგიტიმურობის გაგებისათვის. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ ძალა და ძალადობა, იძულება, მართალია, ძალაუფლების ერთ-ერთი მაკონსტრუირებელი ელემენტია, მაგრამ იგი ძალაუფლების მხოლოდ ყველაზე უკიდურესი და არაპოპულარული გამოვლენაა და ძალაუფლების სუბიექტები მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობაში მიმართავენ მას.

### **ძალაუფლების წყაროები**

ძალაუფლების ბუნება, წყაროები რელიეფურადაა წარმოდგენილი იტალიელი სოციოლოგისა და პოლიტოლოგის, ელიტის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებლის გაეტანო მოსკას ნაშრომებში. „მმართველი“, ანუ „პოლიტიკური“, კლასის რაობაზე მსჯელობისას, მოსკას ყურადღებას, უნინარეს ყოვლისა პოლიტიკური ანუ მმართველი კლასის (იგულისხმება ძალაუფლების ა. ბ.) წარმოქმნისა და განხლების გზების ძიების საკითხები იქცევს. ისტორიული მეთოდის გამოყენების საფუძველზე მოსკამ დაასკვნა, რომ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ ერებსა თუ ხალხებში მუდამ არსებობს საზოგადოების ორ – მმართველ (პოლიტიკურ) და მართულ კლასებად დაყოფა. პირველი მუდამ საზოგადოების უმცირეს ნაწილს შეადგენს, ასრულებს ყველა პოლიტიკურ ფუნქციას, ახდენს ძალაუფლების მონოპოლიზებას, აგრეთვე იმ დოვლათისა და უპირატესობების მითვისებას, რომელსაც ძალაუფლების ფლობა იძლევა. მეორე კლასი კი მუდამ უფრო მრავალრიცხოვანი და გაცილებით ნაკლებად ორგანიზებულია. „ყველა საზოგადოებაში, – წერს იგი (დანყებული სუსტად განვითარებული და ცივილიზაციის საფუძვლების ძნელად ამთვისებლიდან და დამთავრებული ყველაზე განვითარებულით და ძლიერით), არსებობს ადამიანთა ორი კლასი: მმართველთა და მართულთა კლასი: პირველი, რომელიც მუდამ მცირერიცხოვანია, ეწევა ძალაუფლების მონოპოლიზებას და ტკბება იმ უპირატესობებით, რომლებსაც იგი იძლევა, მაშინ, როდესაც მეორე, რომელიც გაცილებით მრავალრიცხოვანი კლასია, იმართება და კონტროლდება პირველის მიერ იმ ფორმით, რა ფორმაც დღეს მეტ-ნაკლებად კანონიერია, მეტ-ნაკლებად თვითნებურია, იძულებითია და პირველ კლასს უზრუნველყოფს – უკიდურეს შემთხვევაში გარეგნულად – არსებობის მატერიალური საშუალებებითა და ყოველივე იმით, რაც აუცილებელია პოლიტიკური ორგანიზმის ცხოველი საქმიანობისათვის“ (106, გვ. 187).

აღნიშნულ მონაკვეთში მოცემულია მმართველი, ანუ პოლიტიკური კლასის შედარებით ვიწრო გაგება. როგორც ცნობილია, შემდეგ მოსკამ ამ ცნებით გააერთიანა არა მხოლოდ მმართველი კლასის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდაა ჩართული ძალაუფლებრივი ურთიერთობების სისტემაში, არამედ საზოგა-

დოების ის ელიტარული ზედაფენებიც, რომლებიც ყალიბდება ეკონომიკურ, სამხედრო და ინტელექტუალურ სფეროებში, საკლესიო იერარქიებში და ა. შ.

გ. მოსკა ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც ცდილობდა დაედგინა მმართველი უმცირესობის არსი და ფუნქციები, სწორედ ძალაუფლების განასერში, მისთვის ასევე მთავარი იყო იმ ურთიერთკავშირების დადგენა, რომლებიც არსებობს საზოგადოების შიგნით პოლიტიკურ-დოქტრინალურ სისტემებს, სამართლებრივ ინსტიტუტებსა და სოციალურ-კულტურულ პირობებს შორის, აგრეთვე ელიტარული ჯგუფების ჩამოყალიბებაში, განვითარებასა და განახლებაში მათი როლის ჩვენება. საინტერესოა მოსკას მოსაზრება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკურ, ანუ მმართველ კლასში შესვლა და იქ დაფუძნება, ესე იგი, ძალაუფლების მოპოვების პირობები და მისი შემადგენელი ელემენტები „შესამჩნევად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანასა და ისტორიულ ეპოქასთან გვაქვს საქმე“. ასევე დიდადაა დამოკიდებული იგი ამა თუ იმ ხალხის კულტურისა და ცივილიზაციის დონეზე. მიუხედავად ამისა, მოსკას სავსებით სამართლიანად მიაჩნია, რომ შესაძლებელია იმ ზოგიერთ ზოგად ნიშანთა, თვისებათა და უნართა გამოყოფა, რომლებიც გამოარჩევს მასისაგან პოლიტიკური (მმართველი) უმცირესობის წარმომადგენლებს და განაპირობებს ძალაუფლების იერარქიულ კიბეზე მათ წინსვლას. გარდა იმ უპირატესობებისა, რომლებიც მმართველ კლასს მისი ორგანიზებულობის გამო გააჩნია, იგი ისეა ფორმირებული, „რომ მისი შემადგენელი ინდივიდები განსხვავდებიან მართულთა მასებისაგან თვისებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მატერიალურ, ინტელექტუალურ და თვით მორალურ უპირატესობასაც კი. ანდა ისინი ითვლებიან ამ თვისებების მქონე ადამიანთა მემკვიდრეებად. სხვა სიტყვებით, მმართველი უმცირესობის წარმომადგენლები უცვლელად ფლობენ თვისებებს – რეალურს ან მოჩვენებითს – რომლებიც ღრმადაა დაფასებული იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობენ“ (106. გვ. 180).

ვის აქვს ყველაზე მეტი შანსი დაიკავოს ამ იერარქიულ კიბეზე მაღალი საფეხურები? მდიდარსა თუ ძლიერს, მამაცს? შეიძლება ჭკვიანსა და მოხერხებულს, საზრიანსა და ცბიერს? მოსკას აზრით, მმართველი უმცირესობისათვის დამახასიათებელი თვისებებიდან მრავალი ცვალებადი, გარდამავალი ხასიათისაა, მაგრამ ადამიანის ბუნების შედარებითი უცვლელობის გამო, მათთვის დამახასიათებელი თვისებები და ვნებები თითქმის არსებითად უცვლელია მთელი ისტორიული განვითარების მანძილზე. მოსკას აზრით, თვისებები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვიპოვოთ მაღალი საფეხურები ძალაუფლების იერარქიულ კიბეზე, ანუ მოვიპოვოთ ძალაუფლება და შესაბამისი ადგილი დავიკავოთ მმართველ პოლიტიკურ კლასში, შემდეგია: **სამხედრო ქველობა, სიმდიდრე, წარმომავლობა, პირადი თვისებები, ადგილი საეკლესიო იერარქიაში, დაბოლოს, მართვის ხელოვნება**. მოკლედ გავაანალიზოთ თითოეული მათგანი, რამეთუ ძალაუფლების წყაროების ანალიზისას მრავალი თანამედროვე მკვლევარი სწორედ ამ წანამძღვრებს ეყრდნობა.

**სამხედრო ქველობამ** სერიოზული როლი შეასრულა სხვადასხვა ხალხთა ცხოვრებაში, განსაკუთრებით კაცობრიობის გავითარების ადრეულ სტადიებზე. მაგრამ არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ იგი დღესაც არანაკლებ როლს ასრულებს თვით ცივილიზებულ ქვეყნებშიც კი. გავიხსენოთ თუნდაც ჩ. რ. მილსის „გაბატონებული ელიტა“ და მასში სამხედროთა ელიტარული ფენების არსებობა. გარდა ამისა, დავაკვირდეთ ჩვენს დღევანდელ გარემომცველ სოციალურ სინამდვილეს, რომელსაც ძირს უთხრის მრავალგვარი კონფლიქტი, სამხედრო გადატრიალება და სისხლისმღვრელი ომი. როგორც ისტორიული გამოცდილება, თავად ისტორია გვკარნახობს, აგრესიულობის გრძნობა, სამწუხაროდ, ხშირად აღმოჩნდება ხალხთა შორის სოლიდარობის და ურთიერთდახმარების გრძნობებზე ძლიერი. დღესაც ხომ სამხედრო საჭიროებებზე გაცილებით მეტი იხარჯება, ვიდრე უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ანუ ჰუმანიტარულ დახმარებებზე.

მმართველი, ანუ ძალაუფლების მქონე უმცირესობის შემდეგი გამასხვავებელი ნიშანია სიმდიდრე. მართალია, საზოგადოების განვითარების კვალობაზე მისი „ხვედრითი წილი“ ძალაუფლების მოპოვების პროცესში კლებულობს, ელიტის წარმომადგენელთა სხვა ნიშან-თვისებების გაძლიერების ხარჯზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსკა მაინც ხაზგასმით აღნიშნავს: „მსოფლიოს ყველა ქვეყანაში სოციალური გავლენის მქონე ფაქტორები – იქნება ეს პირადი სახელი თუ გამოჩენილობა, კარგი განათლება, პროფესიული მომზადება, მაღალი წოდება საეკლესიო იერარქიებში public administration-სა და არმიაში – ადვილად მისაღწევი იყო უფრო მდიდრებისათვის, ვიდრე – ღარიბებისათვის“ (იქვე). და, რა გასაკვირია, ეს მაშინ, როდესაც დღესაც კი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებზე „წკრილა დოლარების მუსიკის ქვეშ“ ტარდება, ხოლო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები მუდამ განიცდიან ზენოლას ძლიერი კორპორაციებისა თუ მსხვილი ფინანსისტების მხრიდან. ასევე აღსანიშნავია გ. მოსკას აზრი იმის თაობაზე, რომ არსებობს ძლიერ გამოხატული უკუკავშირი ძალაუფლებასა და სიმდიდრეს შორის, როდესაც ძალაუფლების ფლობა ხელს უწყობს მისი სუბიექტების გამდიდრებას. ამის შესანიშნავი მაგალითია ყოფილი საბჭოთა კავშირის ისტორია და თვით დღევანდელი პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი პოლიტიკური პროცესები. თუ თვით გაეტანო მოსკას სიტყვებით ვიტყვი: „სიმდიდრე ზუსტად ისევე ქმნის პოლიტიკურ ძალაუფლებას, როგორც პოლიტიკური ძალაუფლება ქმნის სიმდიდრეს“ (106 გვ. 180).

მმართველი კლასის ძალაუფლებრივ ფუნქციონირებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მოსკას აზრით, წარმოშობა და წარმომავლობა. ისტორიული გამოკვლევების საფუძველზე მან დაასკვნა, რომ თითქმის ყველა ცივილიზებულ ხალხში არსებობდა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი პერიოდი, როდესაც მმართველი კლასი წარმოდგენილი იყო რამდენიმე ოჯახით და არსებითად ჩაკეტილ ხასიათს ატარებდა. ასეთ პერიოდებში ელიტაში შესვლისა და ძალაუფლების მოპოვების ერთადერთ კრიტერიუმს გვაროვნული წარმოშობა და

ნარმომავლობა შეადგენდა. მოსკას აზრით, ყოველი მმართველი უმცირესობა ცდილობს გახდეს მემკვიდრეობითი, თუ კანონიერად არა, მაშინ ფაქტობრივად და de facto მაინც. დღეს ამის ნათელი მაგალითია ჩრდილოეთ კორეა. პირადი და ოჯახური კავშირები დიდ როლს ასრულებენ მმართველი ზედაფენის ფუნქციონირებაში – მმართველი უმცირესობის წარმომადგენლებს თანდათანობით უმუშავდება ისეთი თვისებები, რომლებიც აუცილებელია ძალაუფლების შესანარჩუნებლად და, გარდა ამისა, დიდი პატივით სარგებლობს საზოგადოებაში.

გ. მოსკას შემოქმედების მკვლევარს ტ. სამსონოვას მოაქვს ელიტიზმის ერთ-ერთი მკვლევარის ჯ. მეიზელის საინტერესო აზრი სამი „C“-ს შესახებ, რომელშიც გადმოცემულია მმართველი უმცირესობისათვის დამახასიათებელი თვისებები: ცნობიერება, სიმტკიცე, პირიანობა, ანუ სახელის გაუტყეხლობა, რომლებიც ხელს უწყობენ ძალაუფლების მოპოვებასა და შენარჩუნებას. აღნიშნული თვისებების გარდა, თვით ისეთი თვისებებიც კი, როგორცაა ნებისყოფის ძალა, სითამამე, გაბედულება, სიამაყე, აქტიურობა, რომლებიც ახასიათებს საზოგადოების ელიტის წარმომადგენლებს – დიდადაა დამოკიდებული აღზრდასა და ოჯახურ ტრადიციებზე. რასაკვირველია, მნიშვნელოვანი თანამდებობის დასაკავებლად ვარგისი იქნება და ადვილად მიაღწევს მას ის ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდანვე უვითარებენ აუცილებელ ჩვევებსა და სპეციფიკურ თვისებებს.

გარდა ამისა, მმართველი უმცირესობის წარმომადგენლებისათვის შეუდარებლად ადვილი მისაღებია კარგი განათლება, მაღალი პროფესიული მომზადება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ თვით ძალაუფლების წარმომადგენლობით ორგანოებში თანამდებობის პირთა დემოკრატიულ არჩევნებშიც კი, უპირატესობა იმათ აქვთ, ვინც წარმოადგენს საზოგადოებაში უკვე კარგად ცნობილ ოჯახს, გვარსა თუ კლანს. ყოველივე ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ამგვარი თვისებები თანდაყოლილი იყოს ელიტისათვის, ისინი აღზრდის შედეგია, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ ავხსნათ საშუალო და თვით ყველაზე დაბალი ფენებიდან გამოსულ ნიჭიერ, აქტიურ და შორსმჭვრეტელ ადამიანთა არსებობა, რომლებიც სწორედ ამ თვისებებისა და გარემო პირობების დამთხვევის წყალობით იკავებენ მაღალ თანამდებობებს მმართველ უმცირესობაში.

ასევე საყურადღებოა მოსკას მოსაზრება ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის თაობაზე, როგორცაა ძალაუფლებისადმი ადამიანთა სწრაფვის მიზეზები და სტიმულები. რით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი ადამიანის სურვილი, იყოს მადომინირებელი და გაბატონებული? რატომაა, რომ ადამიანთა ერთ ნაწილს ძალაუფლების ფლობა უფრო ათრობს, ვიდრე „საუკეთესო ხარისხის ღვინო“? მეორე ნაწილი კი, შედარებით გულგრილია მის მიმართ? ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორია ის ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ადამიანთა დამოკიდებულებებს ძალაუფლებისადმი?

რასაკვირველია, მმართველი ელიტის წარმომადგენლებსა და იმათ შორის, ვინც მასში არ შედის, დიდი განსხვავებაა. ეკუთვნოდე ძალაუფლების მქონე ელიტას, ნიშნავს არა მხოლოდ მოვალეობებს, არამედ იმ პრივილეგიების ფლო-

ბასაც, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ისტორიული ეპოქისა და პოლიტიკური სისტემის თავისებურებებზე. მიუხედავად ამისა, ძალაუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის მოტივები შეიძლება განსხვავებული იყოს, რამეთუ ზოგჯერ ადამიანებს ძალაუფლების მოპოვებისაკენ უბიძგებს ეგოისტური მისწრაფებები და პოლიტიკური ამბიციები. ასევე შესაძლებელია პოლიტიკური ბრძოლაც, რომელიც შთაგონებულია საზოგადოების გლობალური გარდაქმნის გეგმებით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ბრძოლა დიდ მსხვერპლს მოითხოვს, ზოგჯერ თავგანწირვასაც კი, საზოგადოების გარდაქმნისა და შეცვლის იდეა ყველაზე დიდ მიმზიდველ ძალას ფლობს და პოლიტიკური საქმიანობის არსებითი მოტივია.

ძალაუფლების მოპოვების ფსიქოლოგიური ფაქტორების გვერდით, მოსკა გამოყოფს მმართველი უმცირესობის ისეთ დამახასიათებელ და აუცილებელ თვისებას, როგორცაა **ორგანიზებულობა**. ორგანიზებულობა კი, უწინარეს ყოვლისა, იმაში გამოიხატება, რომ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა ძალაუფლების ნება კოორდინირდება და შესაბამისად, გვევლინება როგორც შეთანხმებული და ერთიანი ძალა. მაგრამ ძალაუფლების ეფექტური განხორციელებისათვის მათ სჭირდებათ მართვის ხელოვნების დაუფლება. რასაკვირველია, მართვის ხელოვნების დაუფლება უფრო ადვილი მისაღწევია პრივილეგირებული ფენების და არა ფართო და არაორგანიზებული მასის წარმომადგენელთათვის. ეუფლებიან რა მართვის ხელოვნებას, მმართველი ელიტის წარმომადგენლებს შეუძლიათ მრავალი საშუალება გამოიყენონ მართული მასების ცნობიერებისა და გრძნობების მანიპულირებისათვის, რათა საკუთარ ინტერესებსა და სურვილებს დაუმორჩილონ ისინი. მართვის ხელოვნებაც ხომ ისაა, რომ ჰქონდეს უნარი საჭირო კალაპოტით წარმართო შენზე დაქვემდებარებულ თუ დაუქვემდებარებელ ადამიანთა სურვილები, დეტერმინაცია გაუკეთო, ე.ი. განსაზღვრო მათი მოქმედების ხასიათი და მიმართულება. სწორედ ისინი, ვინც ძალაუფლების სხვა წყაროებთან ერთად ფლობენ ამ უნარს და მართვის ხელოვნებას, შეუძლიათ წარმატებებს მიაღწიონ საზოგადოებაში. გ. მოსკას მიერ დახასიათებული ძალაუფლების წყაროებიდან უმრავლესობა დღესაც ინარჩუნებს სიცოცხლისუნარიანობას და წარმოადგენს ძალაუფლების ბუნებაზე თუ პოლიტიკურ მართვაზე სოციალური ფაქტორების გავლენის რაობის დადგენის მეთოდოლოგიურ საშუალებას.

ძალაუფლების მოდალობებისა და შესაბამისი წყაროების საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჯ. გელბრაიტს. ძალაუფლების სამ: **მაიძულელებელ, მაკომპენსირებელ და განმაპირობებელ სახეს შეესაბამება სამი წყარო: პიროვნება, საკუთრება და ორგანიზაცია.**

ძალაუფლების წყაროები მუდამ გვევლინება არა წმინდა სახით, არამედ გარკვეული კომბინაციით. პიროვნულ ფაქტორს დიდად აძლიერებს საკუთრება (სიმდიდრე), და, პირიქით, ორივეს კი დამატებით ძალებს სძენს ორგანიზაცია. საკუთრება მუდამ არსებობს ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში და, რასაკვირველია, ძლიერ პიროვნებასთანაც. ორგანიზაცია კი თავის მხრივ ძლიერდება

და ინარჩუნებს არსებობას როგორც საკუთრების, ისე პიროვნულ ფაქტორთა მეშვეობით.

ძალაუფლების სამივე წყაროს აქვს ძლიერი და ადეკვატური ინსტრუმენტი. დიდი გამჭრიახობა არაა საჭირო დავინახოთ, რომ ორგანიზაცია ახლოსაა განპირობებულ ძალაუფლებასთან, საკუთრება – ამნაზღაურებელ, ხოლო პიროვნება – მაიძულებელ ძალაუფლებასთან.

პიროვნების ფაქტორს ღრმა და ხანგრძლივი კავშირი აქვს მაიძულებელ ძალაუფლებასთან. ისტორიულად ცნობილია, რომ ცალკეული ინდივიდები დიდი ფიზიკური ძალის მეშვეობით მოიპოვებდნენ სხვებზე უპირატესობას, რაც შესაძლებლობას უქმნიდათ მათ ფიზიკური დასჯის უნარის გამო დაემორჩილებინათ ნონკონფორმისტები. ასეთი რამ გავრცელებული იყო პრიმიტიულ საზოგადოებაში (თუმცა ამის შესახებ სანინაალმდეგო აზრი ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსოს აქვს გამოთქმული). მიზნის მიღწევის ამ ტრადიციულ წესსა თუ ხერხს დღემდე აქვს ადგილი საზოგადოებაში – ოჯახის, ბავშვთა ურთიერთობებისა თუ ახალგაზრდული ორგანიზაციების დონეზე. მაგრამ ადამიანთა სულიერ-გონით სამყაროს ისტორიულად მართავდნენ არა ფიზიკური ძალით გამორჩეული ადამიანები, არამედ მაღალი პიროვნული თვისებებისა და ძლიერი ინტელექტის მქონე ადამიანები: მოსე, ლაო-ძი, კონფუცი, პლატონი, არისტოტელე, იესო, მარქსი, განდი და სხვები. საბოლოო ჯამში, ორგანიზაცია და არა დიდი საკუთრება ზრდიდა და განამტკიცებდა ინდივიდის, პიროვნების როგორც ძალაუფლების წყაროს მნიშვნელობას. ამას ჯერ კიდევ ნ. მაკიაველი აღნიშნავდა თავის მთავარში, რომ მუდამ იმარჯვებდა მხოლოდ ის წინასწარმეტყველი, რომელსაც შეიარაღებულ ადამიანთა ორგანიზაცია ჰქონდა. ამავე დროს, პიროვნების როლი ძალაუფლების განხორციელებაში გამორჩეულია საზოგადოების განვითარების პირველ სტადიებზე, განმაპირობებელი ძალაუფლების იდეების, შეხედულებებისა თუ მრწამსის, გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში. ამან კი ძლიერი სტიმული მისცა მის განვითარებას თანამედროვე პირობებში. პიროვნების ფაქტორს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, რამეთუ ზოგჯერ ის ასოცირდება განმაპირობებელ ძალაუფლებასთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იქმნება გარკვეულ პიროვნებასთან დაკავშირებული ახალი რწმენა, იდეალები თუ შეხედულებათა სისტემა. ხელმძღვანელობის უნარი, გელბრაიტის აზრით, ჩვეულებრივ არის ფსიქიკის, გონების, ორატორული უნარების, მორალური საფუძვლებისა და სხვა პიროვნული ნიშნების თვისება, რომელიც საშუალებას აძლევს პიროვნებას დაეუფლოს ძალაუფლების ინსტრუმენტებს. შეხედულებათა სისტემის (იდეოლოგიის) კულტივირება იწვევს ფიზიკური მორჩილებისადმი დაპირისპირების უნარის განვითარებას. გარდა ამისა, გელბრაიტი გამოყოფს, განმაპირობებელი ძალაუფლების მოპოვების ისეთ პიროვნულ უნარებს, როდესაც პიროვნება აცხადებს და არწმუნებს საზოგადოების უმრავლესობას საჯაროდ, რომ მას კონტაქტი აქვს ზებუნებრივ ძალებთან და ფართო მასების სწორი გზით წარმართვის აუცილებლობასთან. ეს საჯარო და ოფიციალურ დონეზე, ხოლო რაც შეეხება

ყოფით დონეს – ესაა ლიდერის პიროვნული თვისებები: შინაგანი ორგანიზებულიობა, იუმორის გრძნობა, შარმი, მოჩვენებითი მონესრიგებულობა, სოლიდურობა, ჯანსაღი და ლაკონიური, გასაგები და დამაჯერებელი, განმეორებადი ტერმინებით აზროვნების უნარი.

განმაპირობებელი ძალაუფლების მოპოვების სხვა პიროვნულ თვისებად, გელბრაიტი, ინდივიდის საკუთარ შეხედულებებსა და სიმართლეში ღრმა დარწმუნებულობას თვლის, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება მისი რწმენის თუ შეხედულებების გამარჯვებისა და სხვების დამორჩილების საქმეში, და ეს ყოველივე შესაძლებელია თვითგამოხატვის უნარისა და ინტელექტისაგან დამოუკიდებლად.

იგი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების მნიშვნელოვან ტენდენციად ძალაუფლების განხორციელებაში პიროვნების როლის გაზვიადებას მიიჩნევს. პიროვნება – საზოგადოების იდეების მხოლოდ გამტარებელია და ამ იდეების მიღწევისა თუ სინამდვილედ ქცევის გზების მაჩვენებელი. დღეს ლიდერი თავისი თავის იდენტიფიკაციას მასებისა და ბრბოს მიზნებთან ახდენს. იგი საკუთარ მიზნებს უშუალოდ ბრბოს მიზნებს უკავშირებს, ხალხს აუწყებს მხოლოდ იმას, რაც ხალხს სურს ირწმუნოს. ხალხიც თავის მხრივ ამას იღებს საკუთარი რწმენის გამოხატულებად და მისდევს მას. ის ადამიანი ეუფლება რეალურ ძალაუფლებას, ვინც ამ ხელშეკრულების ნაწილი ხდება და ვისაც ძალუძს მიაღწიოს საკუთარი შეხედულებების აღიარებას მასების მხრივ. ასეთი რამ მხოლოდ ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს ძალუძთ. სუსტი ნების ადამიანები კი სავსებით ემორჩილებიან და მიჰყვებიან ბრბოს შეხედულებებს. ძლიერმა პიროვნებამ იცის რა სურთ მასებს და მის ამომრჩევლებს, მაგრამ იგი იმავე დროს წარმართავს მათ ამ მიზნების განსახორციელებლად. გელბრაიტი სწორად შენიშნავს, რომ იმის შესახებ, თუ რამდენად ძლიერია ლიდერი, შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რამდენად ძალუძს მას დაარწმუნოს თავისი მიმდევრები მიიღონ და სამოქმედო პროგრამად აქციონ მათი პრობლემების ლიდერისეული გადანყვეტა, მათი ოცნებებისა თუ მიზნებისაკენ მიმავალი ლიდერისეული გზა საკუთარ გზად დასახონ.

ძალაუფლების სამი წყაროდან ყველაზე ძლიერი ერთი შეხედვით საკუთრება ჩანს. ვინც მას ფლობს, ფაქტობრივად ძალაუფლების ყველაზე მარტივად განხორციელების საშუალებას ფლობს; თუ დიდი ქონება და საკუთრება გაქვთ, დიდი ძალისხმევის გარეშე შეგიძლიათ დაიმორჩილოთ და დაიქვემდებაროთ ადამიანები ვაჭრობის გზით. მაგალითად, მენარმემ – მუშები, მდიდარმა ადამიანმა – თავისი მძლოლი თუ შინამოსამსახურენი, ინტერესთა ჯგუფებმა – თავისი პოლიტიკოსები და ა. შ.

თავისი ბუნების გამო საკუთრებას, ანუ სიმდიდრეს ახლო კავშირი აქვს ამნაზღაურებელ და განმაპირობებელ ძალაუფლებასთან, იგი იძლევა ინდივიდთა მორჩილების განსახორციელებელ აუცილებელ საშუალებებს. მაგრამ, რაც არ უნდა დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს საკუთრებას, რ. არონისა და სხვების დარად გელბრაიტიც მას დასახელებული სამი წყაროდან – ყველაზე



მნიშვნელოვან ფაქტორად მაინც არ თვლის, შეიძლება საკუთრებას არსებითი მნიშვნელობა ინდუსტრიულ საზოგადოებაში და შედარებით ჩამორჩენილ ქვეყნებში ჰქონდეს, მაგრამ დღეს პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში იგი მაინც არ არის ყველაზე ძირითადი და განმსაზღვრელი ფაქტორი, როგორც ეს კ. მარქსს ეგონა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გელბრაიტი ძალიან შორსაა საკუთრებისა და სიმდიდრის უმნიშვნელობის მტკიცებისაგან. ამნაზღაურებელი ძალაუფლების გზით სიმდიდრეს ძალუძს უზრუნველყოს მილიონობით მუშის თავის უფროსისა და პატრონისადმი ყოველდღიური მორჩილება. საკუთრებას ძალუძს განამტკიცოს უზარმაზარი სანარმოების მფლობელთა და მენეჯერთა რწმენა, მას კაპიტალის წყალობით ძალუძს განმაპირობებელი ძალაუფლების მოპოვებაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გზით. საკუთრებას ძლიერი მხარდაჭერა აქვს სამხედრო ინდუსტრიისაგან, ამიტომ „ვერც ერთი ორგანიზაცია ვერ უგულებელყოფს საკუთრებას როგორც ძალაუფლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს“.(50, გვ. 46)

გელბრაიტი ორგანიზაციის ინსტიტუტს ძალაუფლების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ მიიჩნევს თანამედროვე საზოგადოებაში; მას კავშირი უპირატესად განმაპირობებელ ხელისუფლებასთან აქვს. ძალაუფლების რეალური განხორციელებისას სწორედ, რომ ორგანიზაციის ინსტიტუტია საჭირო. ამავე დროს, ორგანიზაცია სახელმწიფოს მაგალითზე უშუალო ურთიერთქმედებაშია მაიძულებელ ძალაუფლებასთან, დასჯის მრავალნაირ ფორმებთან, ხოლო ორგანიზებულ ჯგუფებს თავის მხრივ აქვთ გარკვეული ამნაზღაურებელი ძალაუფლება იმ სიმდიდრის წყალობით, რომელსაც ისინი ფლობენ.

ამ განაზრებათა საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობს ღრმა ურთიერთკავშირი ძალაუფლების სამ ინსტრუმენტსა და ძალაუფლების წყაროებიდან ერთ-ერთს შორის. ასევე დასაშვებია მრავალგვარი კომბინაცია მათ შორის. „პიროვნება – საკუთრება – ორგანიზაცია ერთმანეთს უკავშირდებიან ძალის განსხვავებული ხარისხითა და რაოდენობით. აქედან კი ძალაუფლების განხორციელებისათვის ინსტრუმენტთა მრავალგვარი კომბინაციები მიიღება.“ (50, გვ.7).

ძალაუფლების სამი წყაროსა და სამი ინსტრუმენტის ურთიერთკავშირის საჩვენებლად, გელბრაიტი ქრისტიანული რელიგიის ინსტიტუციონალიზაციის პროცესს აანალიზებს. ადრე ქრისტიანულ სამყაროში ძალაუფლების ჩასახვა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაცხოვრის პიროვნებასთან. ამავე დროს, ჩაისახა მოციქულთა ორგანიზაციაც, ასევე მალე ეკლესია ყველაზე გავლენიან და სიცოცხლით სავსე ორგანიზაციად იქცა. ეკლესიამ თავის თავში გააერთიანა როგორც პიროვნული ფაქტორი: ღვთაებრივი მხნეობა, სიმშვიდე, წმინდანთა შარავანდედი, ისე საკუთრების ფაქტორი, ამავე დროს, მან გამოიყენა პირობითი ძალაუფლება ამნაზღაურებელი ძალაუფლების ელემენტებთან ერთად, სააქაოსა და საიქიოში იძულებითი დასჯის მუქარის სახით.

ამგვარად, მიმდინარეობდა მრავალ მოვლენათა თუ ფაქტორთა კომპლექსის ინკორპორირება ერთიანი ტერმინის ქვეშ. ასეა სხვა შემთხვევაშიც, რამე-

თუ პოლიტიკური, ეკონომიკური, კორპორაციული, სამხედრო და ა. შ. ძალაუფლების სახეები თუ ცნებები მრავალფეროვან და ღრმა ურთიერთკავშირში იმყოფება.

ინდივიდები და სოციალური ჯგუფები, უწინარეს ყოვლისა, ძალაუფლებისაკენ ისწრაფვიან საკუთარი ინტერესების – ფულადი ინტერესების ჩათვლით – განსახორციელებად, სხვა ინდივიდებსა თუ სოციალურ ჯგუფებზე საკუთარი, პირადი, რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური ფასეულობებისა თუ მსოფლალქმის გავრცელების მიზნით. „პოლიტიკოსებს, – შენიშნავს გელბრაიტი, – ხშირად ახასიათებენ როგორც ძალაუფლების მწყურვალთ. ამიტომაც, ამერიკელი პოლიტიკოსები – სენატორები, კონგრესმენები, ჩინოვნიკები, პრეზიდენტები – არ იშურებენ თავიანთ ქონებასა და სიმდიდრეს, რათა მოიპოვონ სახელმწიფოებრივი თანამდებობები“ (50, გვ. 11).

დღემდე, – წერს ჯ. გელბრაიტი, – ძალაუფლება, როგორც ასეთი არ გამხდარა და არც ხდებოდა აღელვების საგანი. მისი ფუნქციონირება – ანუ ერთის მიერ მეორის ნების დაქვემდებარება – თანამედროვე საზოგადოების გარდუვალი მოვლენაა. ამიტომ ამ მოვლენას შეიძლება სკეპტიკურად მიუდგეთ, მაგრამ არა ფიქსირებული გაბოროტებით. იგი მართებულად შენიშნავს, რომ ძალაუფლება სოციალური თვალთახედვით ისევე დამლუპველი შეიძლება იყოს, როგორც აუცილებელი.

ამა თუ იმ პიროვნების ამომრჩევლებთან დაახლოების მომენტიდან იწყება სწორედ სტრუქტურათა განვითარება. ძლიერი პროფკავშირული ლიდერი ქმნის ძლიერ პროფკავშირს, ძლიერი ბიზნესმენი – კარგად ორგანიზებულ სანარმოს, ძლიერი რელიგიური მოღვაწე – მრევლით მდიდარ ეკლესიას. მთავრობაც ხომ აგრეთვე ორგანიზაციაა. იგი მრავალგვარი ფორმით ახორციელებს საზოგადოების წევრთა საერთო მიზნებისადმი შინაგან მორჩილებას. ორგანიზაციის წევრთა შინაგანი მორჩილება არ არის ყველა ორგანიზაციაში ერთნაირი. მაგალითად, მკაცრი დისციპლინის პირობებში სამხედრო ორგანიზაციებში იგი თითქმის ყოვლისმომცველია, სახელმწიფოს სხვა სფეროებში ორგანიზაციის წევრთა მორჩილება ორგანიზაციის მიზნებისადმი ბევრად სუსტია, ისევე როგორც, მაგალითად, ქუჩაში მოძრაობის წესებისადმი და სხვა.

ჯ. გელბრაიტის აზრით, ორგანიზაციას, როგორც ძალაუფლების წყაროს, სამი თვისება ახასიათებს. **პირველი თავისებურება** – ესაა **ბიმოდელური სიმეტრია**: ორგანიზაცია აღწევს საკუთარი ინტერესებისადმი სხვების მორჩილებას მის საზღვრებს გარეთ, როგორც კი მიაღწევს მის წევრთა სრულ მორჩილებას მის საზღვრებში და შიგნით. ამიტომ, დაასკვნის გელბრაიტი, ნებისმიერი ორგანიზაციის გარეგანი ძალაუფლების საიმედოობა და სიძლიერე დამოკიდებულია შინაგანი მორჩილების სიღრმესა და სიმტკიცეზე.

**მეორე თავისებურება** – ორგანიზაციის ძალა და გავლენა დიდადაა დამოკიდებული ძალაუფლების სხვა წყაროებთან ურთიერთკავშირსა და მისი განხორციელების ინსტრუმენტთა ხელმისაწვდომობაზე. ორგანიზაცია ძლიერია მაშინ, როდესაც აქტიურად მიუწვდება ხელი ძალაუფლების სამივე მაიძულე-

ელ, ამნაზღაურებელ და განმაპირობებელ – ინსტრუმენტებზე. ორგანიზაცია სუსტია, როდესაც ეს ხელმისაწვდომობა ნაკლებ ეფექტურია ან საერთოდ არ არსებობს.

**მესამე თავისებურება** – არსებობს ღრმა ურთიერთკავშირი ორგანიზაციის ძალასა და იმ მიზანთა რაოდენობასა და მრავალფეროვნებას შორის, რომელთა განსახორციელებლად გამოიყენება მორჩილება და დაქვემდებარება.

ჯ. გელბრაიტის შენიშვნით, ორგანიზაციის ბიომოდელური სიმეტრია მისი ყველაზე ცხადი, ყველაზე მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა. თუ პროფკავშირული სოლიდარობა ეყრდნობა შინაგან დისციპლინას, ანუ შინაგან მორჩილებას და აღწევს ერთიანობის მაღალ დონეს, მაშინ პროფკავშირებს – წერს გელბრაიტი – წარმატება, მათი მოთხოვნების განხორციელება, გაფიცვებში გამარჯვება უზრუნველყოფილი აქვთ. თუ წევრებს შორის შინაგანი ურთიერთკავშირი და სოლიდარობა სუსტია, ბევრია ჯიუტი, საერთო იდეებისაგან ძალიან შორს მყოფნი რიგით წევრებს შორის, მაშინ წარმატების შანსი ძალიან მცირეა. ამგვარად, გარეგანი ძლიერება და ძალაუფლება, წარმატება დამოკიდებულია შინაგან ძალაუფლებაზე, ორგანიზაციის შიგნით ორგანიზებულიობაზე (აქ შეუძლებელია არ გაგახსენდეს მამლუქებთან ფრანგების ბრძოლის ნაპოლეონისეული ფაქტების ენგელსისეული გააზრება). შინაგანი ძალაუფლების სიძლიერე – გარეგანი ძალაუფლების სიძლიერის საფუძველია. ჯ. გელბრაიტის აზრით, ბრიტანეთის არმიის შინაგანმა ორგანიზებულიობამ და დისციპლინირებულიობამ განაპირობა ინდოეთზე გარეგანი ძალაუფლების მოპოვება. თუ შინაგანი ძალაუფლება გამოიყენება არაეფექტურად, მაშინ გარეგანი ძალაუფლებაც უმნიშვნელო და არარაობაა. „რაც უფრო კარგადაა ორგანიზებული კორპორაცია შიგნით, მით უფრო კარგად იმორჩილებს იგი გარეშე ბაზარს“ (50, გვ. 58).

ძალაუფლების ბაზობრივი დიალექტიკა დაპირისპირებებსა და სიმეტრიულ ფუნქციონირებაში მდგომარეობს. ამ პროცესს ექვემდებარება თანამედროვე სახელმწიფოც. ინდივიდი ან ჯგუფი ხშირად ცდილობს სახელმწიფოსაგან მოიპოვოს მხარდაჭერა სხვების დამორჩილების მიზნით, ანდა, პირიქით, რათა მოიპოვოს მხარდაჭერა სხვების ძალაუფლების საპირისპირო ქმედებებისათვის, რასაც მივყავართ სახელმწიფოზე კონტროლის განმტკიცების მისწრაფებასთან. გელბრაიტს მოჰყავს გასული საუკუნის ფაქტების ანალიზი, როდესაც მენარმეები წარმატებით იყენებდნენ სახელმწიფოს ჩარევას პროფკავშირების საკუთარი ძალაუფლების დაქვემდებარებაში მოსაქცევად. პროფკავშირებს ხომ დიდი გავლენა და ძალაუფლება ჰქონდათ მუშებზე. დღეს კი, – შენიშნავს იგი, – პროფკავშირები წარმატებით აღწევენ სახელმწიფოსაგან მხარდაჭერის მოპოვებას მენარმეთა ზენოლის იმ ინსტრუმენტთა განეიტრალების მიზნით, რომელთა მეშვეობითაც მენარმენი უპირისპირდებიან ტრედუნიონებს. დღეს სახელმწიფო მხარს უჭერს ორგანიზებულ შრომას პოლიციის მაიძულებელი ძალაუფლების განურჩეველი გამოყენების წინააღმდეგ, შტრაიკბრეხერთა მო-

სყიდვის სხვადასხვა ფორმას ამნაზღურებელ ძალაუფლებაში, და სამუშაოზე დევნის სხვადასხვა ფორმას განმაპირობებელი ძალაუფლების გატარებაში.

ჯ. გელბრაიტი თვლის, რომ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მარეგულირებელი თავისებურებანი უფრო მაიძულებელი ძალაუფლების განხორციელებას ემყარება, ვიდრე ამნაზღაურებელს. ეს საკითხი მრავალ კამათსა და შეპასუხებებს იწვევს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც განპირობებული ძალაუფლების გამოყენებას იცავს. „სახელმწიფო ძალაუფლების წყაროებთან მიმართებაში, ტოლერანტულ დამოკიდებულებას იჩენს პიროვნებისადმი, იცავს საკუთრებას და მაღალ კვალიფიკაციას აძლევს ორგანიზაციის დაცვას“ (50, გვ. 82).

ყველა ცივილიზებული საზოგადოება გამონაკლისის გარეშე არეგულირებს მაიძულებელი ძალაუფლების გამოყენებას. თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში მისი გამოყენება განმტკიცებულია საზოგადოებრივი აზრითა და მთავრობის კანონით. სიკვდილით დასჯის გამოყენების, ოდიოზური დანაშაულების, სასჯელთა ზომების, პატიმრობის საკითხები დროდადრო ფართო დისკუსიის საგანი ხდება საზოგადოებაში. აშშ-ი არსებობს სასამართლოთა უზარმაზარი აპარატი, რომელიც განსაზღვრავს სასჯელის ზომებსა და პროცედურებს. სახელმწიფო კი ფლობს მაიძულებელი ძალაუფლების განხორციელების საერთო მონოპოლიას. იმათ კი, ვისაც სურთ მისი გამოყენება, უნდა მიმართოს სახელმწიფოს. მსგავს მიმართებს კი ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფების მიერ აბორტების, სექსუალური დანაშაულების, ნარკოტიკების გამოყენების, ქუჩური ძალადობის წინააღმდეგ მაიძულებელ ზომათა გამოყენების მიზნით, ამას კი თანამედროვე პოლიტიკური აგიტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს. ჯ. გელბრაიტის სწორი შენიშვნით, მაიძულებელი ძალაუფლების გამოყენების რეგულირების ეფექტურობა არის საზოგადოებაში ცივილიზაციის დონის ნათელი და ცხადი ინდიკატორი. სტალინის, ჰიტლერის, სამოსას, დიუვალიესა და სხვების დიქტატორული რეჟიმები – მაიძულებელი ძალაუფლების გამოყენების ნათელი მაგალითია.

ამნაზღაურებელი ან მაკომპენსირებელი ძალაუფლებაც სახელმწიფოებრივი რეგულირების საგანია, მაგრამ მისი გამოყენება, – გელბრაიტის აზრით, – განსხვავებით მაიძულებელი ძალაუფლებისაგან ფართოდაა დაცული კანონებითა და ადათ-წესებით. საკუთარი მიზნებისადმი სხვა ადამიანთა მიზნებისა და საშუალებების დამორჩილება – როგორც ამნაზღაურებელი ძალაუფლების ძირითადი ამოცანა – ცენტრალურია კაპიტალისტური საზოგადოების ფუნქციონირებაში.

განმაპირობებელი (პირობითი) ძალაუფლება უკვე მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი რეგულირდება კანონის მიერ. თუ მაიძულებელი ძალაუფლება უკრძალავს კერძო პირს სიტყვის თავისუფლებას და სხვა დემოკრატიულ უფლებებსა თუ თავისუფლების განხორციელებას, მაშინ განმაპირობებელი ძალაუფლების დროს ეს უფლებები გარანტირებულია. გელბრაიტის აზრით, აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორება უზრუნველყოფს განპირობებული ძალაუფლების

თავისუფალ პრაქტიკას, მაგრამ როგორც კი წარმოიქმნება წინააღმდეგობა ამ გარანტიებსა და მიუღებელ თუ მტრულ იდეებს შორის, გარანტია მკაცრად გაიკიცხება ხოლმე.

მართალია, კერძო საკუთრებას იცავს სახელმწიფო – მაგალითად აშშ-ი შესაბამისი კანონის საკონსტიტუციო გარანტიების გზით, მაგრამ ღიად რჩება საკითხი, თუ რა ზომით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო საკუთრებისა (და შესაბამისი შემოსავლების) და მისგან მიღებული ძალაუფლების განაწილებაში. ესაა ნამდვილად ერთ-ერთი ურთულესი მსოფლიო პრობლემათაგანი – სიმდიდრის განაწილება. აქ წამოიჭრება პრაქტიკული საკითხები: ანტიტრესტული კანონების განხორციელების სიმკაცრის ხარისხი, საშემოსავლო გადასახადების პროგრესულობა, განაწილებითი ეფექტი და სხვა. ამგვარად, საკუთრებას, ისე როგორც ორგანიზაციას, იცავს და არეგულირებს სახელმწიფო. კრებებისა და ასოციაციების თავისუფლება მტკიცედაა დაცული დემოკრატიულ საზოგადოებაში. მართალია, ისეთი ორგანიზაციების არსებობა საზოგადოებაში როგორცაა კუ-კლუქს-კლანი და კომპარტია ეჭვქვეშ კი არის დაყენებული, მაგრამ მათი უფლებები, რასაკვირველია, დაცულია. მსგავსი შემთხვევები სრულ მათავრობო მხარდაჭერას მოითხოვს.

კ. მარქსის მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომელიც სახელმწიფოს მმართველ კლასთა აღმასრულებელ კომიტეტად თვლიდა, გელბრაიტი თვლის, რომ იგი არ შეესაბამება თვით ინდუსტრიული საზოგადოების რეალობათა ზუსტ აღწერას, არაფერი რომ არ ვთქვათ პოსტინდუსტრიული საზოგადოების რეალობაზე. სახელმწიფოს ძალაუფლება, მისი კანონები და მათი იძულებითი აღსრულება, მისი ამნაზღაურებელი ძალაუფლება და მისი საერთო სოციალური განპირობებულობა განათლების სისტემის გზით, შრომის, მორჩილების, კეთილსინდისიერი მომჭირნეობის მისეული სტანდარტული ღირებულებანი, გელბრაიტის აზრით, – ყველაფერი ეს ხორციელდებოდა ინდუსტრიული ძალაუფლების სახელით და ხშირად მისი კანონებით. სახელმწიფო იყო არა კლასობრივი ჩაგვრის, არამედ ინდუსტრიული კაპიტალიზმის შესაძლებლობათა გაფართოების საშუალება, მან ინდუსტრიულ კაპიტალიზმს გაუკეთა ის, რაც ამ უკანასკნელმა ვერ შეძლო თავისი თავისათვის გაეკეთებინა.

გელბრაიტი თვლის, რომ სახელმწიფომ მიუხედავად იმისა, რომ ღიად უჭერს მხარს ზოგიერთ სოციალურ ჯგუფს, მაინც შეინარჩუნა გარკვეული ავტონომია და მთელი ძალაუფლება არ მოაქცია სხვების ხელში. მართალია, მთავრობა ძირეულად ეყრდნობოდა ძალაუფლების ძირითად წყაროებს: პიროვნებას (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, სხვა პოლიტიკოსები), საკუთრებას, ორგანიზაციას, მაგრამ მან ასევე წარმატებით გამოიყენა თავისი მიზნებისათვის იძულების, სოლიდარობისა და განპირობებული ძალაუფლების ინსტრუმენტები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გაძლიერდა ორგანიზაციის სფეროში, რომელმაც XX საუკუნეში მთავრობა აქცია ძალაუფლების გამოყენების დამოუკიდებელ ძალად, რამაც, თავის მხრივ, ცხოვრებაში გამოიწვია ბიუროკრატიის განვითარება და შემდგომში მისი ავტორიტეტის დაკნინებასთან მიგვიყვანა.

XX საუკუნე ორგანიზაციების ეპოქაა, – წერს ჯ. გელბრაიტი. მენეჯმენტის მიერ კონტროლირებული კორპორაციები, პროფკავშირები, თანამედროვე ბიუროკრატიული სახელმწიფო, ფერმერთა ჯგუფები, ნავთობის მწარმოებლები, მთავრობასთან, სავაჭრო ორგანიზაციებსა და ლობისტებთან მჭიდროდ ურთიერთთანამშრომლობენ. დღეს მრავალი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი თუ სოციოლოგი აღიარებს პერსონალური ძალაუფლების – პერსონალიათა მნიშვნელობის გახრწნას, დაცემას. შედარებით სიმყარეს ინარჩუნებს საკუთრება როგორც ძალაუფლების წყარო. მაგრამ ყველანი თითქმის ერთნაირად აფიქსირებენ განმაპირობებელი სოციალური ძალაუფლების როგორც ხელისუფლების განხორციელების ინსტრუმენტის უზომოდ ზრდას. ამავე დროს, ყველაზე წინა პლანზე მნიშვნელოვან ფაქტორად მაინც ორგანიზაცია გვევლინება.

გელბრაიტი განსაკუთრებით ჩერდება მენეჯმენტის როლზე. იგი იზიარებს ცნობილ ამერიკელ მეცნიერთა აზრს იმის შესახებ, რომ უკანასკნელი 50 წლის მანძილზე 200-ს უდიდეს ამერიკულ კორპორაციაში კონტროლი გადავიდა მენეჯმენტის ხელში, რომელიც, თავის მხრივ, არჩეულია დირექტორთა საბჭოს მენეჯერთა მიერ.

ძალაუფლების მესაკუთრეებისაგან – მენეჯერებში, საკუთრებიდან – ორგანიზაციებში გადასვლის მზარდი პროცესი, ამ დღიდან მოკიდებული გახდა საზოგადოების ინდუსტრიული განვითარების ნიშანი.

კორპორაციებში საკუთრების როლის შესუსტება, – გელბრაიტის აზრით, – გამოიწვია ორმა ფაქტორმა: პირველი, საკუთრების თვითმოყრამ მრავალრიცხოვან მემკვიდრეთა ხელში და საკუთრებით ბოძებული ძალაუფლების განხორციელების მათმა უუნარობამ. მეორე, ინდუსტრიული ამოცანების არნახულმა გართულებამ, კორპორაციათა მასშტაბების ზრდამ, ტექნოლოგიათა გართულებამ გამოიწვია სპეციალიზებული მენეჯმენტის ბაზრის მართვის ხელოვნებასთან გაერთიანების მწვავე აუცილებლობა. კვალიფიციური გადამყვეტილებების მიღებისათვის საჭირო იყო ექსპერტ-მენეჯერთა ჯგუფები.

თანამედროვე სამრეწველო საწარმოც, – შენიშნავს გელბრაიტი, – თავისი მიზნებისადმი მხარდაჭერის მოპოვებას დღესაც სახელმწიფოსაგან ეძიებს, ხოლო განმაპირობებელი ძალაუფლება გეგმათა რეალიზაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცევა. იცვლება დამოკიდებულება კორპორაციებსა და სახელმწიფოს შორის. XIX საუკუნეში, როდესაც სახელმწიფო კორპორაციების მოკავშირე იყო, მტრული დამოკიდებულება მთავრობასა და ბიზნესს შორის უსაზრისო ჩანდა. დღეს კი მთავრობასა და ბიზნესს მტრებად მიიჩნევენ. თანამედროვე კორპორაციული საწარმოს სოციალური განპირობებულობა განიხილება როგორც სახელმწიფოსათვის დამღუპველი ტენდენცია. მხოლოდ სამხედრო ხელისუფლების სფეროში არსებობს სრული ჰარმონია მთავრობასა და მასზე დამოკიდებულ კორპორაციებს შორის. ამის მიზეზი კი ამნაზღაურებლიდან პირობით – განპირობებულ ძალაუფლებაზე გადასვლაში ძვეს. ამნაზღაურებელი, ანუ მაკომპენსირებელი ძალაუფლება დამახასიათებელი იყო ბი-

ზნესის მონოპოლისტური ეპოქისათვის. განმაპირობებელი ძალაუფლება კი საშუალებას აძლევს მრავალ ინტერესთა ჯგუფს მონაწილეობდნენ სახელმწიფო მმართველობაში, ამავე დროს, ზოგიერთი მათგანი მტრულ დამოკიდებულებაშია ბიზნესთან და მას სხვადასხვა დონეზე ავრცელებს. გელბრაიტის აზრით, მნიშვნელოვნად შეიცვალა სახელმწიფოც. გასულ საუკუნესთან შედარებით იგი უფრო დამოუკიდებელი და თავისთავადი გახდა. ორგანიზაცია და განმაპირობებელი ძალაუფლება – თანამედროვე პირობებში ყველაზე ოპერატიული და ნამყვანი ძალებია. თანამედროვე სახელმწიფო მოიცავს უზარმაზარ ორგანიზაციას – ბიუროკრაციას, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფოს საკუთარი მიზნების მიღწევის განსაკუთრებულ ინსტრუმენტად აქცევს.

ორგანიზაციათა ეპოქაში, – გელბრაიტის აზრით, – განსაკუთრებულ ყურადღებას ორი ტენდენცია იქცევს: პირველი – ორგანიზებულ ჯგუფთა დიდი რაოდენობის არსებობა (პროფკავშირები, სავაჭრო ასოციაციები და კომიტეტები, ფერმერული ორგანიზაციები), რომლებიც საკუთარი მოთხოვნილებებისა და მიზნების შესაბამისად ეძიებენ სახელმწიფოებრივი ძალაუფლების შესაფერის ინსტრუმენტებს. მეორე – თავად სახელმწიფოს სტრუქტურების ჩარჩოებში ორგანიზაციათა დიდი რაოდენობის (დეპარტამენტები, სააგენტოები, სამხედრო მომსახურების სფეროში არსებული ორგანიზაციები), ძალაუფლების ორიგინალურ წყაროებად ქცევა.

თანამედროვე სახელმწიფო, – გელბრაიტის აზრით, – ძალაუფლების სამივე წყაროს ფლობს: პოლიტიკურ პერსონებს, რესურსებზე საკუთრებას, რომელსაც განაგებს და ანაწილებს, და ორგანიზაციას. იგი, ამავე დროს, არის ერთადერთი მონოპოლისტი, რომელსაც უფლება აქვს გამოიყენოს მაიძულებელი ძალაუფლება, განაგებს ამნაზღაურებელი ძალაუფლების უზარმაზარ მასშტაბებს და ფართოდ იყენებს პირობით ძალაუფლებას. ძალაუფლების ეს წყარო და ინსტრუმენტი ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ყოფილა ხელმისაწვდომი სახელმწიფოსათვის. დღეს, – გელბრაიტის მიხედვით, – შეიცვალა მათი თანაფარდობა მთავრობის ფორმალური სტრუქტურის ჩარჩოებში, ჩარჩოებს გარეთ კი გაიზარდა ორგანიზაციების მიერ ამ წყაროთა გამოყენების გაქანება, მასშტაბები და მრავალფეროვნება. უფრო მეტიც, ორგანიზაციები ცდილობენ სახელმწიფო ძალაუფლების ზოგიერთი ინსტრუმენტის თავის თავზე აღებას.

ორგანიზაციის ჩარჩოებში პიროვნების რეალური ძალაუფლება ხორციელდება ორგანიზაციის მიზნებზე უშუალო გავლენისა და იმ გარეგანი მორჩილების განხორციელების გზით, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის. რამდენადაც ინდივიდი ემორჩილება კორპორაციის მიზნებს, მის შინაგან ძალაუფლებას, ამდენად, ეძლევა მას შესაძლებლობა გავლენა იქონიოს ძალაუფლების განხორციელებაზე. ამგვარი გავლენა შეიძლება განხორციელდეს თვით ბიუროს, საამქროს და ა. შ. უფროსის დონეზე.

ორგანიზაციების ჩამოყალიბების, ტელევიზიის ხელმისაწვდომობის წყალობით ინდივიდებს შეუძლიათ დაიჯერონ, რომ ფლობენ რეალურ ძალაუფლებას. მაგრამ პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ინდივიდთა ხელში არსებული ძალაუფლე-

ბა რეალური კი არა, ილუზიურია. ადამიანთა მორჩილება ისტორიული განვითარების ადრეულ სტადიებზე გაცილებით ყოვლისმომცველი იყო. დღეს ძალაუფლება განაწილებულია, საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრით, ლობისტების, პოლიტიკური მოღვაწეების, კომიტეტების, საზოგადოებრივი ინტერესების დამცავი ორგანიზაციების, სავაჭრო ასოციაციების, პროფკავშირების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, პოლიტიკური და სხვა საკონსულტაციო ფორმების, რადიოსა და ტელევიზიის დონეზე. სხვაგვარად, დემოკრატიული პროცესები სახელმწიფოში ვერ განვითარდება. ძალაუფლების ძლიერი კონცენტრაცია სახელმწიფოს ხელში ფაქტობრივად უარყოფითად მოქმედებს დემოკრატიულ პროცესებზე (მთავარია ძალაუფლება დაყოფილი იყოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების ხელში, და არაა აუცილებელი ძალაუფლების რეჟიმის ფედერალიზაცია, ძალაუფლების რეალური არსებობა ამა თუ იმ პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციების ხელში, თავად არის მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და თავისუფლებების გარანტი). ზემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ მთავრობაზე და მიითვისონ მისი ძალაუფლების რაღაც ნაწილი პრაქტიკული გამოყენების მიზნით. ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ, რომ ძალაუფლება, რომელიც დღეს გაიგივებულია თანამედროვე სახელმწიფოსთან – განაწილებულია. სწორედ ძალაუფლების განაწილება-გაშორიშორებამ, – დაასკვნის გელბრაიტი, – მიიყვანა თანამედროვე სახელმწიფო სიუხვესთან. ამან კი შეასუსტა საკუთრების როლი და შესაბამისად მაკომპენსირებელ-ამნაზღაურებელი ძალაუფლება. მომხმარებლის სიმდიდრის, ძლიერებისა და რაოდენობის ზრდასთან ერთად იზრდება თავისუფალი არჩევნების შესაძლებლობაც. ღარიბი და გაჭირვებული მომხმარებელი თუ მოქალაქე არის ლენდლორდის, მალაზიის მფლობელის ძალაუფლების მორჩილების საგანი, სადაც სიუხვე და სიმდიდრე არ არსებობს. მონოპოლია ძალაუფლების წყარო უმეტესად ღარიბ საზოგადოებაშია, მდიდარ სახელმწიფოში კი, პირიქით, ადამიანებს ალტერნატივითა ძიებაზე წარმართავს. ღარიბი და მშიერი მუშა ადვილად ემორჩილება მენარმის განკარგულებებს, მაშინ როდესაც კარგად ანაზღაურებადი მოსამსახურე ნაკლები იძულების ქვეშაა. იძულება კი მნიშვნელოვნად მხოლოდ მაშინ სუსტდება, თუ არსებობს შემოსავლის ისეთი ფორმა როგორცაა უმუშევრობის კომპენსაცია ან სოციალურად დაუცველ ფენათა დახმარება, რაც, თავის მხრივ, შიმშილობისა და გაჭირვების ალტერნატივაა.

თუ ადრე ინდივიდები იძულებულნი იყვნენ, – გელბრაიტის აზრით, – დღეს ისე არიან ორგანიზებული, რომ ავტომატურად ამსუბუქებენ და შეიძლება ითქვას, ახდენენ იძულების საერთოდ ლიკვიდაციასაც კი. თანამედროვე დასავლური სამხედრო ისტებლიშმენტი ძალაუფლების ძლიერ კონცენტრირებას ეწევა, იგი მორჩილებას ძალიან მაღალ დონეზე და მრავალ ადამიანზე ახორციელებს, მაგრამ ორგანიზაციის ჩარჩოებში. ამის გამო მას ასევე სიმეტრიულად შეუძლია მორჩილების განხორციელება საკუთარ ფარგლებს გარეთაც. ასევე თანამედროვე დიდი კორპორაცია საკუთრებისა და ქონების წყალობით აღწევს მის



წევრთა მორჩილების მაღალ დონეს. ყოველივე ეს კი, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს მოქალაქენიც გარკვეულწილად სახელმწიფოსაც დავუმორჩილოთ. გელბრაიტი სამართლიანად დაასკვნის, იმისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ საკუთრების ან ძალაუფლების კონცენტრაცია, აუცილებელია ისეთი საზოგადოებრივი სტრუქტურების წახალისება, რომლებიც ძალაუფლების განაწილების და სხვადასხვა ალტერნატივის მქონე ინსტიტუტების არსებობას შეუწყობენ ხელს. უმთავრესი კი არის ის, რომ არავინ არ უნდა იყოს დაეჭვებული ძალაუფლების კონცენტრაციის საპირისპიროდ ორგანიზებული ოპოზიციის არსებობის რეალურ ეფექტურობაში. მაგრამ, გელბრაიტს არც ის ავიწყდება აღნიშნოს, რომ, ამავე დროს, ასევე აუცილებელია ნათლად გავემიჯნოთ იმ სისუსტეებს, რომლებიც წარმოიქმნება ძალაუფლების განაწილების, დაშორიშორებისა თუ გაფანტვისაგან და, რაც მთავარია, ნათლად დავინახოთ ის დიდი განსხვავება, რომელიც ილუზორულსა და რეალურ ძალაუფლებას შორის არსებობს.

ამგვარად, გ. მოსკასა და ჯ. გელბრაიტის მოსაზრებებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ ტ. პარსონსის, მ. დიუვერჟეს, დ. ისტონისა და სხვათა თვალსაზრისებს, მაშინ ხელისუფლების წყაროებს შეიძლება მივაკუთვნოთ: უხეში ფიზიკური ძალა, საკუთრება (სიმდიდრე), საზოგადოებაში დაკავებული ადგილი თუ პოზიცია, ინფორმაციის ფლობა, პიროვნება და ორგანიზაცია. უფრო მარტივად მათი დაყოფა შეიძლება **პიროვნულ** და **ინსტიტუციურ** ფაქტორებად.

თუ დავუჯერებთ ანტიკური ხანის მოაზროვნეებს და განსაკუთრებით კი პოლიბიოსს, მაშინ ძალაუფლების ყველაზე პირველი წყარო მართლაც არის უხეში **ფიზიკური ძალა**, რასაც ჩვენი საზოგადოების ისტორიის ბოლო 70 წლის მონაკვეთიც ადასტურებს. თუ ამ ფაქტს გავითვალისწინებთ, მაშინ ადვილად ავხსნით იმასაც, თუ რატომაა, რომ ხალხთა უმრავლესობის ცნობიერებაში ძალაუფლება ხშირად ძალადობასთანაა გაიგივებული. ისტორიიდან ასევე ცნობილია, რომ მთავრობები, მმართველი კლასები ხშირად იყენებდნენ ტერორსა და ორგანიზებულ ძალადობას, რათა ეჩვენებინათ, რომ ამგვარი ძალა ბადებს მორჩილებას და დამთმობლობას იმათი მხრიდანაც კი, ვისაც უშუალოდ არ უგრძნია ამ ტერორის საშინელებანი. ამდენად, ძალა დღესაც რჩება ძალაუფლების მოპოვებისა თუ შენარჩუნების ერთ-ერთ მძლავრ წყაროდ.

ასევე უძველესი დროიდან ძალაუფლების წყარო **იყო სიმდიდრეც**, უბრალოდ იმ მიზეზისა გამო, რომ მათ მფლობელებს შეეძლოთ უზრუნველყოთ ადამიანები არსებობის საშუალებებით. ცხადია, რომ არაა საჭირო დიდი დრო და ტვინის ჭყლეტა იმისათვის, რათა დავინახოთ კავშირი სიმდიდრესა და ძალაუფლებას შორის. მაგრამ შეიძლება, როგორც ეს ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე სამყაროში თავისთავად სიმდიდრე არც კი იყოს ძალაუფლების წყარო. მაგალითად, თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მსხვილი კორპორაციების აქციონერები იგივე მფლობელ-მესაკუთრენი, ძალიან ცოტა რაიმეს წყვეტენ თვით იმ კორპორაციების საქმიანობებში, რომელთაც ისინი „ფლობენ“ კანონიერი უფლებებით. „ამ გიგანტურ ორგანიზაციებში ძალაუფლება უპირატესად ხორციელდება ადამიანთა ორი ჯგუფის მიერ: მარკეტინგის ტექნი-

კური ექსპერტების, სტატისტიკოსების, კონსტრუქტორების, რეკლამისტებისა და მათ მსგავსთა მიერ, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმის კომპეტენტურ შესრულებას, კვალიფიკაციასა და სპეციალიზებულ ინფორმაციას, აგრეთვე აღმასრულებელი ძალაუფლების უმაღლესი ეშელონის (მაგალითად, დირექტორთა საბჭოს) წარმომადგენელთა მიერ“ (50, გვ. 88).

სიმდიდრის ძალაუფლების მოპოვების წყაროდ გამოცხადება უკვე გულისხმობს ძალაუფლების ორი მნიშვნელოვანი წყაროს – **საზოგადოებაში დაკავებულ ადგილს და ინფორმაციის ფლობას**. რაც შეეხება დაკავებულ ადგილს, ისიც უძველესი დროიდან იყო ძალაუფლების წყარო. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები ფლობენ ძალაუფლებას გარკვეულ საზღვრებში მანამ, სანამ უკავიათ შესაბამისი პოსტი. იმ დღესვე, როგორც კი დატოვებენ დაკავებულ ადგილს, ისინი იქცევიან კერძო პირებად და უკვე აღარ ფლობენ ძალაუფლებას. დაკავებული ადგილის შესაბამისად ძალაუფლების სუბიექტებს შესაძლებლობა აქვთ ჯგუფის ჩარჩოებში წარმართონ ადამიანთა მოქმედებები. თუ პიროვნება, რომელიც აღჭურვილია მისი ადგილის შესაბამისი ძალაუფლებით, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო არ სარგებლობს მისით, მაშინ სხვებს შეუძლიათ დაიწყონ მოქმედება მისი სახელით. ამგვარი ბედი ერგო ისტორიაში მრავალ მეფეს და დღესაც დიდ ბრიტანეთსა თუ სხვა ქვეყნებში, მეფეები, დაკავებული ადგილის მიუხედავად, მეტად სუსტ ძალაუფლებას ფლობენ. ამგვარივე ვითარებაა ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტებს ფაქტობრივად მხოლოდ ფორმალური ხელისუფლება აქვთ. თუმცა ნათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი აუფასურებს დაკავებული ადგილის როგორც ძალაუფლების წყაროს მნიშვნელობას, რამეთუ ამ ქვეყნებში ძალაუფლება მაინც კონკრეტულ (მაგალითად, პრემიერ-მინისტრისა თუ კანცლერის) თანამდებობებთანაა დაკავშირებული.

ცოდნა, ინფორმაცია, გამოცდილება, განსაკუთრებული თვისებები მუდამ ძალაუფლების წყარო იყო. მაგრამ ამ ფაქტორთა მნიშვნელობა დიდია განვითარებული ცივილიზაციისა და კულტურის მქონე თანამედროვე საზოგადოებებისათვის, რომელთა ფუნქციონირება მრავალ ისეთ ცოდნას, გამოცდილებასა თუ ჩვევას მოითხოვს, რომლებიც შერწყმული იქნება ერთიან შეთანხმებულ, სისტემურ მთელად. თანამედროვე სახელმწიფო, თუ მას ნორმალურად ფუნქციონირება სურს, ნაბიჯსაც კი ვერ გადადგამს, ექსპერტთა მთელი არმიის გარეშე. ჩვენი ეპოქა ფაქტობრივად ექსპერტთა ეპოქა იქნება. მით უმეტეს, როდესაც ლაპარაკია ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებაზე.

ცხადია, ექსპერტს ძალიან ვიწრო სპეციალიზაცია აქვს, სჭირდება ისეთი გარემოება, რომელშიც ადამიანებს შეეძლება თავიანთი კონკრეტული საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნის ფლობა და მიღებული ინფორმაციების გადამუშავება. ამგვარი ვიწრო სპეციალიზაცია კოორდინაციას მოითხოვს, რაც, თავის მხრივ, უკვე ორგანიზაციასთანაა დაკავშირებული. ამიტომ ორგანიზებულობის უნართან ერთად ორგანიზაცია ითვლება ძალაუფლების კიდევ ერთ მნიშვნელოვან წყაროდ. სხვაგვარად დღეს უკვე შეუძლებე-

ლია. ექსპერტთა ძალისხმევის წარმმართველ და მათგანიზებულ პირთა როლი უზარმაზარია, რამეთუ ძალაუფლების განხორციელების საშუალებას იძლევა. თანამედროვე პოლიტიკური სისტემებისათვის ორგანიზაცია ხდება იმ ურთიერთდამოკიდებულებათა და მიმართებათა ფორმირების გარემო, რომლებიც ხელს უწყობენ არა მხოლოდ რესურსთა და ადამიანთა მობილიზებას, არამედ (რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია) ცხოვრებაში მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებასაც. საკმარისია გადავხედოთ სახელმწიფოებრივ ან უკვე მომძლავრებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა გავიგოთ მათი როგორც ძალაუფლების წყაროს მნიშვნელობა. ფაქტობრივად თანამდებობას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც იგი ორგანიზაციის ელემენტია (ალბათ ამიტომაც ასე მომძლავრებული სხვადასხვა ჯურისა თუ ფორმის ორგანიზაციები და პარტიები საქართველოში!). თვით გამოცდილებაც კი უპირატესად რეალიზდება სწორად ორგანიზებული გარემოს ჩარჩოებში. დაბოლოს, ორგანიზაცია როგორც ძალაუფლების წყარო მნიშვნელოვანია იმ კონტექსტითაც, რომ ის, რაც არ ძალუძს ერთს, შეუძლია საკმაოდ იოლად გააკეთოს ან შეასრულოს ინდივიდთა შეთანხმებული მოქმედებით – სწორედ ორგანიზაციამ.

## ძალაუფლება და მორალი

**ძალაუფლება და ადამიანის ამბივალენტური ბუნება.** ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხი მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა არც ერთ ცნობილ პოლიტოლოგს ამ საკითხის თემატიზაცია არასოდეს მოუხდენია. საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მიძღვნილ უახლეს ლიტერატურაშიც რეალისტების (მაგრამ არა მორალისტების) ფილოსოფია დომინირებს. ისინი ავითარებენ მორგენთაუს პოლიტიკურ იდეებს, ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართების თაობაზე კი არაფერს ამბობენ.

ის აზრი, რომ ადამიანი არის „zoon politikon“, ანუ „საზოგადოებრივი არსება“, არისტოტელედან იღებს სათავეს, მაგრამ პირველად ნიცშემ და მასთან ერთად მაქს ვებერმა და ჰანს მორგენთაუმ გაიაზრეს ის, რომ ამ „პოლიტიკურ არსებას“ „ძალაუფლებისადმი სწრაფვა“ ახასიათებს. უნდა ვიცოდეთ, რომ ძალაუფლების გაგება პოლიტიკაში ყოველთვის ადამიანის ტიპზეა დამოკიდებული.

ვინც ოპტიმიისტი განმანათლებლისა და გულწრფელი ლიბერალის მსგავსად, „ადამიანს თავისი ბუნებით განიხილავს, როგორც კარგს, გონიერს, რომელსაც შეიძლება მისცე განათლება და აღზრდა; ის, ვინც კოსმოსს მონესრიგებული ფორმით აღიქვამს, პოლიტიკაში ადამიანის პროგრესისა და სამყაროს გაუმჯობესების პერსპექტივებს ხედავს. ასეთი პიროვნებისათვის ძალაუფლება სიკეთესა და კეთილდღეობას წარმოადგენს. კონტრშეკითხვა: არის თუ არა შესაძლებელი, რომ სიკეთისა და სიკეთით გამსჭვალული ადამიანისაგან ბოროტება იშვას?

ვინც პესიმისტი ანალიტიკოსისა და იდეოლოგიური კრიტიკით დაკავებული ფილოსოფოსისა თუ თეოლოგის მსგავსად, ადამიანს თავისი ბუნებით განიხილავს, როგორც გარყვნილს, ზნედაცემულს, უგუნურსა და საშიშს; ვინც სამყაროს ქაოტური ფორმით აღიქვამს, მისთვის პოლიტიკა ყოველთვის ბინძური და გარდუვალი ბოროტება იქნება. ამიტომ ძალაუფლებას ის განიხილავს, როგორც ბოროტებასა და რალაც დემონურს. კონტრშეკითხვა: არის კი ძალაუფლების პოლიტიკური გამოყენების ყოველი აქტი ცუდი და აუცილებლად ბოროტებით გამსჭვალული? (185, გვ. 38)

ჭეშმარიტების რეალისტური ხედვა ორმაგი რეალობის – ბოროტებისა და სიკეთის – სამყაროს აღიარებს და ადამიანშიც ორივეს ნაზავზე მიუთითებს. ადამიანი არც ანგელოზია და არც ეშმაკი. ამბობენ: ადამიანი ეშმაკი რომ ყოფილიყო, მმართველობა შეუძლებელი იქნებოდა. ან კიდევ: ადამიანი რომ ანგელოზი იყოს, მმართველობა საჭირო აღარ იქნებოდა. მაგრამ ადამიანი გონებასა და უგუნურებას, სიკეთესა და ბოროტებას შორის მდგარი კომპლექსური და ამბივალენტური არსებაა, რომელშიც ეგოიზმი და სიკეთე ერთადაა შერწყმული. მას შეუძლია ძალაუფლება როგორც კარგი, ისე ცუდი საქმისათვის გამოიყენოს – დიდი თუ მცირე მასშტაბით, პირად ცხოვრებასა თუ პოლიტიკაში (იქვე).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძალაუფლება არის უფლებამოსილება, შესაძლებლობა, გნებავთ, თავისუფლება, რომელიც სხვა ადამიანებისა და თუ მათი ქცევების გაკონტროლებას ისახავს მიზნად. მაშასადამე, შესაძლებელია ვინმემ ადამიანის პოზიციური თავისებურებები და მისი აზროვნების სტრუქტურა ისეთ პირობები ჩააყენოს, რომ მოცემულ სიტუაციაში საკუთარი ნება განახორციელოს. ყოველ ადამიანს ხომ თავისებური ხასიათი აქვს. შესაბამისად, ყოველ მათგანში არის ხშირად გამოყენებული მინიმალური ძალაუფლება. ძალაუფლების გარეგანი გამოხატულების არქონა არ ნიშნავს შინაგანი ძალისა და ძლიერების დაკარგვას, რაც ყველაზე მეტად სწორედ ყოვლისშემძლე დიქტატორებს აშინებთ. ისინი ფიქრობენ, რომ მონინააღმდეგეების დამორჩილებას მხოლოდ მათი ფიზიკური ლიკვიდაციით თუ შეძლებენ...

ძალაუფლება და ძალაუფლების პოლიტიკა, აღნიშნული გაგებისაგან განსხვავებით, სინამდვილეში, ადამიანის არსიდან იღებს სათავეს და, ბუნებრივია, ნაწილობრივ, მის ამბივალენტურ ხასიათს უკავშირდება.

ადამიანის ძალაუფლება შეიძლება კარგი, ჭეშმარიტად ადამიანური, ჰუმანური და საკეთილდღეო აღმოჩნდეს საზოგადოებისათვის. ასეთ შემთხვევაში, სულ მცირე, სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელება უკვე შესაძლებელია.

ადამიანის ძალაუფლება ცუდი, არაადამიანური და არაჰუმანურიც შეიძლება იყოს, რაც, ბუნებრივია, საზოგადოებისათვის საზიანო იქნება. არაჰუმანური ძალაუფლების პოლიტიკას მრავალგვარი უარყოფითი გამოვლინება ახასიათებს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკაში ძალაუფლება ამბივალენტური არსების – ადამიანის – ხელში ყველგან და ყოველთვის ვერ იქნება მხოლოდ პოზიტიური ან მხოლოდ ნეგატიური კუთხით გამოყენებული (85, გვ. 39). აქე-

დან გამომდინარე, უცნაური იყო კაცობრიობის მცდელობა – ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისათვის ძალაუფლების მფლობელები დაეპირისპირებინა.

### **აღმოჩენები ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.**

„ცდებისა და შეცდომების“ სამიათასწლოვან პროცესში ევროპამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ექვსი დიდი აღმოჩენა გააკეთა, აღმოჩენა, რომელიც „დღეს სამართლებრივი და სოციალური, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებით შინაარსს წარმოადგენს“: „ადამიანის მიერ მოფიქრებული, ექსპერიმენტებით შემონმბებული და მუდმივად განვითარებადი პოლიტიკური ინოვაციები“ „ცივილიზაციის ისტორიაში სულ მცირე, ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც, მაგალითად, სტამბის, ორთქლმავლის ან კომპიუტერის გამოგონება“. ჰ. კიუნგთან და რიკლინთან ერთად არ შეგვიძლია არ ვისაუბროთ იმ ექვსი აღმოჩენის თაობაზე საუბრობს, რომელიც ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური ეთიკის სახით დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

**პირველი აღმოჩენა: ძალაუფლების შეზღუდვა კონსტიტუციითა და კანონებით.** ძალაუფლების შეზღუდვა მმართველთა კანონმორჩილების პრინციპითაც შეიძლება. თვითნებობის წინააღმდეგ კანონის უზენაესობის (ნომოკრატია) ფილოსოფიური დასაბუთება ჯერ კიდევ პლატონთან გვხვდება. არისტოტელემ კი ეს იდეა განავითარა და ერთმანეთისაგან გამიჯნა კანონი და (უპირველეს ყოვლისა, დაუნერელი) კონსტიტუცია. უნდა ბატონობდეს კანონები და არა ადამიანი! კანონი კი, თავის მხრივ, კონსტიტუციასთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში. პირველი დაწერილი კონსტიტუცია ჯერ კიდევ მოდერნის დასაწყისში (1654 წელს, ოლივერ კრომველის დროს) გვხვდება, თუმცა მისი განხორციელება, ზოგადად, XIX-XX საუკუნეებში გახდა შესაძლებელი.

**მეორე აღმოჩენა: ძალაუფლების დანაწილება შერეული კონსტიტუციისა თუ ძალაუფლების გადანაწილების პრინციპით.** სახელმწიფოში მონოკრატიული, ოლიგოკრატიული და დემოკრატიული ელემენტებისაგან შემდგარი კონსტიტუციის იდეაც პლატონს ეკუთვნის. მოგვიანებით ის არისტოტელემ, პოლიბიოსმა, ციცერონმა, თომა აკვინელმა და იტალიური რენესანსის წარმომადგენლებმა განავითარეს. სხვადასხვა ურთიერთმაკონტროლებელ ორგანოებს შორის ძალაუფლების ამდაგვარი განაწილების მეტ-ნაკლებად რეალისტური იდეა XVI საუკუნეში დონატო ჯიანოტის (მან ერთმანეთისაგან გამიჯნა სახელმწიფოს ოთხი ფუნქცია და გადაწყვეტილების მიღების სამი ფაზა) მიერ იქნა წამოყენებული, ხოლო XVIII საუკუნეში მონტესკიე მას უკვე თანამედროვე ფორმით ფეოდალურ აბსოლუტიზმს უპირისპირებს. თუმცა ის ტერმინს: „separation des pouvoirs“ ჯერ კიდევ არ იყენებს თავისუფლად და საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების დიფერენცირებასაც არ ახდენს მკაფიოდ. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდიდან მოყოლებული აშკარა გახდა, რომ არაკონტროლირებადი ძალაუფლება, ძალაუფლების კონცენტრაცია და, პირველ ყოვლისა, ძალაუფლების მონოპოლია თითოეული ადამიანის თავისუ-

ფლებას საფრთხეს უქმნის და ამიტომაც ძალაუფლება ძალაუფლებითვე უნდა შეზღუდულიყო (Que le pouvoir arete le pouvoir).

**მესამე აღმოჩენა: ძალაუფლების შეზღუდვა ხელშეუხებელი ფუნდამენტური უფლებებით.** ის აზრი, რომ არსებობს ხელშეუხებელი და ფუნდამენტური უფლებები, რომელიც შესახელმწიფოებრივია (მაგრამ სახელმწიფო უნდა იცავდეს მას) და თვით ადამიანის ბუნებაშია გამყარებული, პირველად განმანათლებლობის ეპოქაში გაცხადდა. თუმცა მისი საფუძვლები ანტიკურ პერიოდსა და ქრისტიანობაში ძევს. ამ აზრს, უპირველს ყოვლისა, ჯონ ლოკთან და 1776 წლის ამერიკაში მისი იდეებით შთაგონებული დამოუკიდებლობის ფილოსოფიის ტექსტებში ვხვდებით (თუმცა ჯეფერსონი გააზრებულად საუბრობს საკუთრების უფლების თაობაზე), რომელიც საფრანგეთის რევოლუციის (1789) ადამიანის უფლებების დეკლარაციის იდეალად მოგვევლინა. 1948 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მსოფლიოს ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაცია წარუდგინა. დღეს იგი თითქმის ყველა თანამედროვე კონსტიტუციაშია დაცული. იოანე XXIII-მ და ვატიკანის მეორე კრებამ (1962-1965) ადამიანის უფლებები კათოლიკურ ეკლესიაშიც დაამკვიდრა. რომი ხომ მას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ღვთისგმობად მიიჩნევდა.

**მეოთხე აღმოჩენა: ძალაუფლების შეზღუდვა შესაბამისობის პრინციპებით.** სახელმწიფოს და საერთოდ ძალაუფლების მატარებელს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების შესაბამისი საშუალებების უფლება აქვს. მან უნდა დაიცვას საშუალებათა შესაბამისობის (გადამეტების აკრძალვა) პრინციპი, როგორც ეს თანამედროვე სისხლის სამართალშია მოცემული. თუმცა საერთაშორისო სამართალში ამ პრინციპთან ერთად, სანქციების (საპასუხო ზომა), რეპრესალიებისა და თავდაცვის უფლების გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თვითდახმარების პრინციპის გათვალისწინება ხდება. ჩვენს დროში ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპი ყოველგვარი კანონმდებლობის, კანონის გამოყენებისა და სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივ ფუნდამენტს წარმოადგენს.

**მეხუთე აღმოჩენა: საყოველთაო ძალაუფლების განხორციელებაში მონაწილეობა.** აქ დემოკრატიის ის ფორმა იგულისხმება, რომელიც ათენში არსებობდა: ძალაუფლების მატარებელთა და ადრესატთა მინიმალური იდენტობა. ეს პრინციპიც მოდერნში, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური პარლამენტის, ფრანგული და ამერიკული რევოლუციების ფონზე განხორციელდა. XX საუკუნეში კი მან სრულყოფილი სახე მიიღო. გასულ საუკუნეში საყოველთაო საარჩევნო უფლება სახელმწიფო ყველა ზრდასრულ მამაკაც მოქალაქეს, ხოლო მოგვიანებით უკვე ქალებსაც მიენიჭა.

**მეექვსე აღმოჩენა: ძალაუფლების დაბალანსება ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზენოლის შემცირებით.** სამართლიანობა მოითხოვს, რომ ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზენოლა აღიკვეთოს. ზენოლას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ძლიერ და სუსტ ინდივიდებსა და ჯგუფებს, პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ადამიანებს, დამქირავებელსა და მოსამ-

სახურეს, დასაქმებულ და შრომის პროცესს მონყვეტილ ადამიანებს შორის. ძალაუფლების შეზღუდვა არასოდეს არაა ადვილი. ამიტომ სახელმწიფომ და სხვა ინსტიტუტებმა კეთლსინდისიერად უნდა გაანონასწორონ ის. აქ გზა ფორმალისტურ ეგალიტარიზმსა და სოციალურ-დარვინისტულ უტილიტარიზმს შორის უნდა მოიძებნოს, როგორც ეს ჩვენს დროში სამართლიანობის დიდმა თეორეტიკოსმა ჯონ როულზმა სცადა.

ეს აღმოჩენები, რომელიც ძალაუფლების დარეგულირებას ისახავს მიზნად, მნიშვნელოვანია სწორედ საგარეო და მსოფლიო პოლიტიკისათვის. თუმცა ყველა ეს აღმოჩენა, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული ხალხისა თუ სახელმწიფოსთვისაა რელევანტური.

## თავი IV

### პოლიტიკური სისტემა და სოციალიზმი

ტერმინი „პოლიტიკური სისტემა“ დღეს უფრო ხშირად გვხვდება თანამედროვე სოციოლოგიასა და პოლიტოლოგიაში, ვიდრე ადრე გამოყენებული ტერმინები – სახელმწიფო, ერი – რამეთუ ისინი უფრო ვიწრო სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ აზრს ატარებენ. სახელმწიფოებრივი მმართველობის ანალიზის პერსპექტივებმა სერიოზული ცვლილებები განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლო ათწლეულში განიცადა. სწორედ ამ ცვლილებების გამოხატულებაა „პოლიტიკური სისტემის“ ცნების შემოტანა, რომელიც მადომინირებელი გახდა და ფართოდ გავრცელდა საზოგადოებაში პოლიტიკური საქმიანობის მთელი სფეროს დაუფლების მიზნით. მ. ვებერი, გ. ალმონდი, პაუელი, დ. ისტონი და სხვები „პოლიტიკური სისტემის“ ცნების ყველაზე არსებით და ძირითად მახასიათებლად გამოყოფენ კანონიერი ფიზიკური იძულების გამოყენებას სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ საზოგადოებაში. მეორენი ღირებულებათა და ფასეულებათა ავტორიტარულ განაწილებას გამოყოფენ; მესამენი კი პოლიტიკურ სისტემაში გაარჩევენ ძალაუფლებას, მმართველობასა და ავტორიტეტს. ყველა ზემოხსენებული განსაზღვრება გულისხმობს სანქციათა ლეგიტიმურობას, დასჯის, იძულებისა და მორჩილების კანონიერ უფლებას, მაგრამ, ჩვენი აზრით, სწორია პ. შარანი, რომელიც შენიშნავს: „არაა სწორი მტკიცება, რომ პოლიტიკური სისტემა იგება განსაკუთრებით ძალის, ძალადობის ან იძულების საფუძველზე. იგი განსაზღვრავს ამ ცნების „პოლიტიკურ“ კომპონენტს. ხოლო „სისტემის“ ცნება კი გულისხმობს მის შემადგენელ ნაწილთა ურთიერთდამოკიდებულებასა და გარკვეულ საზღვრებს სისტემასა და მის გარემომცველ სინამდვილეს შორის. პოლიტიკური სისტემის საზღვრები ცვალებადია. ომის დროს ისინი მნიშვნელოვნად ფართოვდება, რამდენადაც ადამიანთა უმრავლესობა იმყოფება სამხედრო სამსახურში, კომერციულ კომპანიათა საქმიანობა რეგულირდება და ყველაფერი კეთდება შინაგანი უშიშროების უზრუნველსაყოფად“ (164, ტ I, გვ. 45).

ბიოლოგიური თეორიებიდან ნასესხები „სისტემის“ ცნება გამოიყენეს არა მხოლოდ სოციოლოგებმა, არამედ სოციალურად ორიენტირებულმა პოლიტოლოგებმაც. „სისტემის“ ცნება, უწინარეს ყოვლისა, გულისხმობს სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ანალიზისადმი სისტემურ მიდგომას. სისტემურ მიდგომას უწოდებენ ნებისმიერ თეორიულ ან ემპირიულ კვლევას, რომელიც ამოდის წანამდღვრიდან, რომ სოციალურ სინამდვილეს აქვს სისტემის თვისებები, თუ ნიშნები და რომ სოციალური მოვლენების ინტერპრეტაციისა და ახსნისას იყენებენ შინაგან ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულების ანალიზს.

რ. შვარცენბერგის აზრით, „სისტემა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ურთიერთდამოკიდებულ და ურთიერთქმედებაში მყოფ ელემენტთა ერთობლიობა. ნებისმიერი სისტემა ფუძემდებლურ თვისებებს ატარებს.



იმის თქმა, რომ შესასწავლი რეალობა ქმნის სისტემას, ნიშნავს აღვჭურვით იგი შემდეგი თვისებებით:

– იგი შედგება ელემენტებისაგან, რომელთა შორისაც არსებობს ურთიერთ-დამოკიდებულების მიმართება;

– ელემენტთა ერთობლიობით წარმოქმნილი მთლიანობა არ დაიყვანება ამ ელემენტთა ჯამზე;

– ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მიმართება და ამის შედეგად მიღებული მთლიანობა ემორჩილება წესებს, რომელთა გამოთქმა ლოგიკურად სავსებით შესაძლებელია.

სისტემა გარედან მომდინარე დაწოლასა და თავის შინაგანი ელემენტების რეაქციას პასუხობს გლობალურად, როგორც მთელი“ (165, ტ I, გვ. 107).

სისტემის ასეთი ცნების საფუძველზე აიგება სისტემათა ზოგადი თეორია და მიმდინარეობს სისტემური ანალიზი სოციოლოგიაში, შემდეგ – პოლიტოლოგიაში. როგორც ცნობილია, დღემდე სისტემათა თეორიამ ყველაზე მეტი საბუნებისმეტყველო იდეა და ახალი პერსპექტივა მოუპოვა ზოგიერთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, ბიოლოგიას, ფსიქოლოგიასა და ტექნოლოგიას, მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებაში სისტემათა ზოგადი თეორია როგორც ასეთი, დღემდე ნაკლებადაა გამოყენებული. ამიტომ ავტორთა უმრავლესობა არ ჩქარობს შეფასება მისცეს მას სოციოლოგიურ მეცნიერებათა სფეროში. მიუხედავად ამისა, ავტორთა უმრავლესობა თვლის, რომ სოციოლოგიური სისტემის ანალიზი მხოლოდ მოიგებს, თუ გამოიყენებს სისტემათა თეორიის მონაპოვრებს.

სოციოლოგიაში სისტემური ანალიზი გამოიყენა ტოლკოტ პარსონსმა. სისტემათა ზოგადი თეორია მთლიანად იშვიათად თუ გამოიყენებოდა პოლიტიკური მოვლენების გასაანალიზებლად. მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში ამ თეორიის მთელი რიგი ძირითადი ცნებები ფრიად პოპულარული გახდა, განსაკუთრებით – სისტემა, დიფერენციაცია, სიმყარე, წონასწორობა და უკუკავშირი. შეიძლება ითქვას, სისტემათა თეორიის ცნებები და კატეგორიები საყოველთაოდ გამოყენებადი ცნებების ტენდენციას ავლენს. უფრო მეტიც, სისტემათა ზოგადი თეორია გვიბიძგებს დავინტერესდეთ სისტემათა ცვლილებების, კრიზისისა და პათოლოგიის პრობლემებით, რომელთაც დღემდე სათანადო ყურადღება პოლიტიკურ სოციოლოგიაში არ ექცეოდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიაში სისტემური ანალიზი ყველაზე მეტად გამოყენებულია ტ. პარსონსისა და დ. ისტონის მიერ. ამიტომ მიზანშეწონილი იქნება თუ მოკლედ მაინც მიმოვიხილავთ მათი მიდგომის თავისებურებებს. ტ. პარსონსის კვლევითი პათოსი მიმართულია ანალიზის ისეთი ზოგადი სქემის შემუშავებაზე, რომელიც გამოსადეგი იქნება მოქმედების ნებისმიერი სისტემისათვის. იგი ცდილობს მოიცვას სოციალური მოვლენები in toto. ამოსავალი ძირითადი დებულება აქ „სოციალური მოქმედების“ ცნებაა. სოციალური მოქმედებისაა ადამიანის ქცევა, რომელიც მოტივირებულია და წარმართულია იმ მნიშვნელობით, რომელსაც აქტორი ან მოქ-

მედი პირი აღმოაჩინეს გარემომცველ სამყაროში და რომელზეც იგი რეაგირებს. სოციალური მოქმედების ძირითადი დამახასიათებელია ის, რომ მოქმედი პირი აღიქვამს სულიერ და უსულო საგანთა მნიშვნელობებს, აცნობიერებს მათ და გარკვეულად რეაგირებს მათ მიერ მოწოდებულ-გადმოცემულ იდეებზე.

პარსონსის მიხედვით, სოციალური მოქმედება მოიცავს ოთხ ელემენტს:

1. „მოქმედი პირი“, ანუ „ეგო“, რომელიც აუცილებელი არ არის იყოს ინდივიდი; სავსებით დასაშვებია, იყოს ჯგუფი, ორგანიზაცია და ა.შ.

2. „სიტუაცია“, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს იმ საგნებსა და ობიექტებს, რომელთანაც „მოქმედი პირი“ ამყარებს ამა თუ იმ ურთიერთობას. აქტორი, ანუ „მოქმედი პირი“, ესაა „ადამიანი სიტუაციაში“, მისი მოქმედება – ესაა პასუხი იმ სიგნალთა ერთობლიობაზე, რომელთაც იგი იღებს მისი გარემომცველი სინამდვილიდან, იქნება ეს ბუნებრივი თუ სოციალური ობიექტები. სოციალურ ობიექტებთან, ანუ სხვა „მოქმედ პირებთან“ მისი ურთიერთობა უკვე ურთიერთქმედების სხვა ფორმას იძენს;

3. სწორედ ამ სიგნალთა და სიმბოლოთა მეშვეობით მოქმედი პირი ამყარებს კავშირს სიტუაციის სხვადასხვა ელემენტთან და მიაწერს მათ გარკვეულ საზღვრებს;

4. ღირებულებები, ნორმები და წესები წარმართავენ მოქმედი პირის ქცევებს; ამით ისინი მიზანმიმართული ხდება.

სოციალური მოქმედების ცნების გაანალიზების შემდეგ, პარსონსი აკეთებს დასკვნას იმის თაობაზე, რომ ადამიანის მოქმედება ყოველთვის სისტემურობით ხასიათდება, ანუ სისტემურ თავისებურებებს ფლობს. იგი მისადგომია სისტემური ანალიზისადმი სწორედ იმ თავისებურებათა გამო, რომელთა მიხედვითაც სოციალური მოქმედება არასოდეს არ არის მარტივი და იზოლირებული, იგი რთულია და სულ მცირე, ორი ინდივიდის ურთიერთდამოკიდებულებას მაინც გულისხმობს. ნებისმიერი მოქმედება შეიძლება ერთსა და იმავე დროს განვიხილოთ როგორც ერთეულ მოქმედებათა ერთობლიობა, ისე როგორც უფრო ფართო მთლიანობის შემადგენელი ნაწილი. პარსონსის მიხედვით, მოქმედების სისტემა, უპირველეს ყოვლისა, ესაა მოქმედი პირისა და სიტუაციის, რომელშიც იგი იმყოფება, ურთიერთქმედების – ურთიერთდამოკიდებულების ორგანიზაცია. ასეთ შემთხვევაში, მოქმედების სისტემის გაგება უკვე შეუძლებელი ხდება „ფუნქციის“ ცნების შემოტანის გარეშე. იმისათვის, რომ იარსებოს, სისტემამ უნდა იმოქმედოს. სისტემის ფუნქციები შეესატყვისება საქმიანობის იმ სახეებს, რომელთა დანიშნულებაა დააკმაყოფილოს სისტემის მოთხოვნილება ან მოთხოვნილებები სისტემის სახით.

პარსონსი ფიქრობს, რომ ნებისმიერი სისტემა აუცილებლობით მოიცავს ან ატარებს ოთხ ფუნქციას, რომლებიც აკმაყოფილებს მის ელემენტარულ მოთხოვნილებებს და ამავე დროს, მოქმედების სისტემის „ფუნქციური წანამდღერებია“.

1. **ადაპტაცია**, რომელიც მიმართულია მოქმედების სისტემასა და მის გარემოს შორის ურთიერთობის დადგენაზე. ამ ფუნქციის არსი ისაა, რომ გარემოში

არსებული, ანუ გარეგანი სისტემებისაგან ამოიღოს ის რესურსები, რომლებიც აუცილებელია მოქმედების სისტემისათვის. სწორედ თავისი მოთხოვნილებისა და საჭიროების მიხედვით გაუკეთოს მათ ორგანიზაცია და გარდაქმნას, ხოლო სანაცვლოდ მისცეს მათ თავისი საკუთარი „პროდუქტი“. ამგვარად, ადაპტაციის მეშვეობით სისტემა ეგუება გარემოსა და მის შეზღუდვებს, უთანადებს რა მათ თავის მოთხოვნებს.

2. **მიზნის მიღწევა** მდგომარეობს სისტემის მიზანთა განსაზღვრასა და მისი მიღწევისათვის აუცილებელი ენერჯისა და რესურსების მობილიზაციაში.

3. **ინტეგრაცია.** ესაა სისტემის მასტაბილირებელი პარამეტრი (განზომილება). იგი მიმართულია სისტემის ნაწილთა შორის „სოლიდარობაზე“, ამ სისტემის მკვეთრი ცვლილებებისა და ძლიერი ძვრებისაგან დაცვაზე.

4. მოქმედების ნებისმიერმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს თავის მოქმედ ნევრთა, ანუ აქტორთა აუცილებელი მოტივაცია. იგი უნდა ფლობდეს მოტივაციათა მარაგსაც, როგორც აუცილებელი ენერჯის წყაროსა და შემგროვებელს. პარსონსი ამ ფუნქციას „**ლატენტურობას**“ უწოდებს. ესაა „ნიშნითა (წესთა) მხარდაჭერის – შენარჩუნების“ ფუნქცია, რომელიც მიმართულია სისტემის ნორმებისა და ღირებულებების მიმართ მოქმედ პირთა ერთგულების შენარჩუნების უზრუნველყოფაზე და იმაზე, რომ აქტორებმა კვლავ გააგრძელონ ამ ღირებულებებით ორიენტირება თავიანთ საქმიანობაში.

პარსონსი ამით არ კმაყოფილდება და მოქმედების ზოგად სისტემას ოთხ ქვე-სისტემად ყოფს: 1. ბიოლოგიური ორგანიზმი; 2. ფსიქოლოგიურად ინდივიდუალური პიროვნება; 3. სოციალური სისტემა; 4. კულტურა. ამგვარი დაყოფა შეესატყვისება მოქმედების სისტემის ოთხ ელემენტარულ ფუნქციად დაყოფას. ბიოლოგიური ორგანიზმი შეესატყვისება ადაპტაციის ფუნქციას, რამეთუ სწორედ შეგრძნებების საშუალებით დგინდება კონტაქტები მატერიალურ სამყაროსთან ან მასთან შეგუების, ან მისით მანიპულირების ან მისი გარდაქმნის მიზნით. ფსიქოლოგიურად ინდივიდუალურ პიროვნებას შეესატყვისება მიზნის მიღწევის ფუნქცია. სწორედ ფსიქოლოგია განსაზღვრავს მიზნებს, ააქტიურებს ენერჯიას და მობილიზებას უკეთებს რესურსებს მათ მისაღწევად. სოციალური სისტემა შეესატყვისება ინტეგრაციის ფუნქციებს. იგი ქმნის სოლიდარობას, აწესებს შეზღუდვებს, მხარს უჭერს კავშირთა განმტკიცებას. დაბოლოს, კულტურას შეესატყვისება ლატენტურობის ფუნქცია – იგი აქტორებს, ანუ მოქმედ პირებს, სთავაზობს ან თავს ახვევს მათ „მამოტივირებელ“ იდეალებს, ღირებულებებს. ამგვარად, მოქმედების ზოგადი სისტემის ქვესისტემათა კლასიფიკაცია პარსონსთან წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

1. ბიოლოგიური ორგანიზმი (ადაპტაცია);
2. პიროვნება (მიზნების მიღწევა);
3. სოციალური სისტემა (ინტეგრაცია);
4. კულტურა (ლატენტურობა).

საინტერესოა პარსონსის მოსაზრება ამ ქვესისტემათა ურთიერთ-მიმართების იერარქიულობის თაობაზე. კიბერნეტიკის გავლენით, იგი ხაზს

უსვამს, რომ მოქმედების სისტემას ახასიათებს ენერჯისა და ინფორმაციის მუდმივი ცირკულაცია. როგორც ცნობილია, კიბერნეტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი ადგენს, რომ ინფორმაციით ყველაზე მდიდარი ნაწილაკები მართავს იმ ნაწილაკებს, რომელიც ყველაზე მდიდარია ენერჯით. შესაბამისად, მოქმედების სისტემაში არსებობს იერარქიულად განლაგებული კუმულატიურ დონეთა მთელი რიგი. იერარქიის ბაზაა მოქმედების განმაპირობებელი ენერჯით ყველაზე მდიდარი ფაქტორები. ყველაზე მაღლა დგას მაკონტროლებელი ფაქტორები, რომელიც საკმაოდ მდიდარია ინფორმაციით. თუ ამ პრინციპებს მივუსადაგებთ მოქმედების სისტემის ოთხ ქვესისტემას, მაშინ აღმოჩნდება, რომ ბიოლოგიური ორგანიზმი – ესაა ენერჯით ყველაზე მდიდარი და ინფორმაციით ყველაზე ღარიბი ქვესისტემა. მეორე საფეხურზე იქნება პიროვნება, შემდეგ სოციალური სისტემა, დაბოლოს – კულტურა, რომელიც ყველაზე მდიდარია ინფორმაციით და ყველაზე ღარიბია ენერჯით. ამის შესატყვისად ოთხ ქვესისტემას შორის მყარდება კონტროლის იერარქია. იგივე პრინციპი მისაღებია ოთხი ფუნქციური ნანამძღვრისათვის. ამგვარად, მართვის იერარქია დგინდება, იწყება ლატენტურობიდან (ის ყველაზე მდიდარია ინფორმაციით), შემდეგ გადადის ინტეგრაციაზე, მიზნის მიღწევაზე და საბოლოოდ ადაპტაციაზე ჩერდება.

ახლა გავანალიზოთ თუ როგორ ესახება პარსონს სოციალური სისტემისა და საზოგადოების, სოციალური სისტემისა და მისი ერთ-ერთი ქვესისტემის – პოლიტიკური სისტემის ურთიერთდამოკიდებულება. მთავარი, რაც სოციოლოგიამ უნდა შეისწავლოს, არის სოციალური სისტემა, რომელიც შედგება მოქმედ პირთა (აქტორთა) ურთიერთქმედებებისაგან.

სოციალური სისტემისათვის, ისევე, როგორც მოქმედების ყოველი ქვესისტემისათვის, სამი დანარჩენი „გარემო“, ანუ გარემომცველი სინამდვილეა. ამგვარად, ურთიერთდამოკიდებულებათა ქსელი აერთიანებს ოთხივე ქვესისტემას, ყოველი ქვესისტემა დანარჩენთა მიმართ ურთიერთქმედებისა და ურთიერთგაცვლის მდგომარეობაში იმყოფება. თუ შევცვლით ანალიზის დონეს და სოციალურ სისტემას განვიხილავთ უკვე არა როგორც ქვესისტემას, არამედ როგორც მოქმედების სისტემას, მაშინ იგი თვით შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ოთხი ქვესისტემის: ადაპტაციის, მიზნის მიღწევის, ინტეგრაციისა და ლატენტურობის შესატყვისი სახით. ასეთი განხილვისას, როგორც სწორად შენიშნავს შვარცენბერგი, პარსონსი უფრო ხალისით ლაპარაკობს „საზოგადოების“, ვიდრე „სოციალური სისტემის“ შესახებ. განსხვავებით სოციალური სისტემისაგან (რომელიც ანალიტიკური, აბსტრაქტული კატეგორიაა), „საზოგადოების“ ცნება შეეფარდება იდენტიფიცირებულ, კონკრეტულ რეალობას. სწორედ ასეთ რეალობას, აღნიშნავს შვარცენბერგი, უწოდებს ფრანგული სოციოლოგია „გლობალურ საზოგადოებას“, ე.ი. გაერთიანებას, რომელიც საკმარისად დასრულებულია იმისათვის, რათა მისმა ყოველმა წევრმა შეძლოს მასში ცხოვრება და თავისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ემპირიულად გლობალური საზოგადოება კი არის ქვეყანა, ერი, ცივილიზაცია.

თუ საზოგადოების შინა ორგანიზაციას მივუყენებთ მოქმედების სისტემის ანალიტიკურ მოდელს, მაშინ ხელთ შეგვრჩება „საზოგადოების“ შემადგენელი ოთხი ქვესისტემა:

1. **ადაპტაცია.** ამ შემთხვევაში იგი ეხება საქმიანობის ყველა სახეს, რომელიც დაკავშირებულია სახმარ ღირებულებათა წარმოებასა და გაცვლასთან, ამიტომ იგი შეესატყვისება საქმიანობის ყველა სახეს, რომელიც **ეკონომიკას**, ანუ ეკონომიკურ ქვესისტემას შეადგენს.

2. **მიზნის მიღწევა.** საზოგადოებასთან მიმართებაში ესაა კოლექტიური მიზნებისაკენ სწრაფვა, აქტორთა და საზოგადოების რესურსთა მობილიზაცია კოლექტიური მიზნის მისაღწევად. პარსონსი ამ ქვესისტემას **პოლიტიკას** უწოდებს. ასევე შეარცენბერგი აკეთებს, ჩვენი აზრით, სწორ შენიშვნას, რომ პარსონსი ტერმინ „პოლიტიკას“ იყენებს ძალიან ფართო აზრით – გადანყვეტილებათა მიღების, სისტემის რესურსთა მობილიზაციისა და ორგანიზაციის ყველა ფორმის აღსანიშნავად. ამიტომ გასაგები ხდება ის გარემოება, რომ პოლიტიკას ადგილი აქვს როგორც წარმოება-დანესებულებებში, ისე, რა თქმა უნდა, სახელმწიფოშიც.

3. **ლატენტურობა.** იგი ამ შემთხვევაში წარმოადგენს საზოგადოების წევრთა სოციალიზაციის (ოჯახი, განათლების სისტემა და ა.შ.) ქსელს. მისი დახმარებით კულტურა გადაეცემა საზოგადოების წევრებს, რომლებიც ითვისებენ მათ და იგი იქცევა მათი საზოგადოებრივი ქცევის მოტივირების მნიშვნელოვან ფაქტორად.

4. **ინტეგრაცია.** საზოგადოების ინტეგრაცია დამოკიდებულია „სოციალურ გაერთიანებებზე“ – ინსტიტუტთა (სამართალი, სასამართლო აპარატი და სხვ.) ერთობლიობაზე. მათი ფუნქცია მდგომარეობს სოლიდარობის კავშირის დადგენასა და შენარჩუნებაში, რომელიც შეიძლება თავისი წევრებისაგან მოითხოვოს საზოგადოებამ. თუ დავაკვირდებით ამ დაყოფას, აღმოვაჩინოთ, რომ ამ ოთხ ქვესისტემას (ეკონომიკა, პოლიტიკა, სოციალიზაციის ინსტიტუტები და სოციალური ინსტიტუტები) შორის არსებობს ურთიერთგაცვლათა რთული ქსელი, რამეთუ თითოეული მათგანი ღია სისტემაა, რომელიც მიმართებაშია და ურთიერთქმედებს მის გარემოსთან, რომელიც შეადგენს კიდეც მის გარემოს.

ლეონტიევის ეკონომიკური თეორიის გავლენით პარსონსმა სისტემებს შორის ურთიერთგაცვლა დაიყვანა „დანახარჯები-გამოშვება“ სქემაზე, სადაც ყოველთვის აქვს ადგილი ორმხრივ გაცვლას. თითოეული სისტემა სამი დანარჩენი სისტემისაგან იღებს წარმოების ელემენტებს, ფაქტორებს (დანახარჯი), რომლებიც არსებითია მისი ფუნქციონისათვის, სანაცვლოდ იგი მას აძლევს თავისი საქმიანობის პროდუქტს (გამოშვება).

საინტერესოა პარსონსის მოსაზრებები ამ ქვესისტემათა ურთიერთქმედებასა და ურთიერთგაცვლაზე, მაგრამ, რამდენადაც ჩვენ გვაინტერესებს პოლიტიკური ქვესისტემა, ამდენად, მასზე გავამახვილებთ ყურადღებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, პარსონსი პოლიტიკას განიხილავს როგორც საზოგადოების ქვესისტემას. თანაც ისიც საგულისხმოა, რომ იგი ამ ცნებას ფართო მნიშვნ-

ელობით იყენებს. მისთვის პოლიტიკა ნიშნავს კოლექტიურ მიზანთა განსაზღვრას ამ მიზანთა მიღწევისათვის აუცილებელი რესურსების მობილიზაციასა და გადაწყვეტილებათა მიღებას. ამგვარი პოლიტიკური საქმიანობა განეკუთვნება არა მხოლოდ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, იგი გვევლინება აგრეთვე ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, როგორცაა: პარტიები, პროფკავშირები, სანარმოები, სასწავლო დაწესებულებები და სხვა.

პოლიტიკის ინსტიტუციურ სტრუქტურაში პარსონსი გამოყოფს სამ ინსტიტუტს: ლიდერობას, ხელისუფლების ორგანოებსა და რეგლამენტაციას. ამათგან პირველი ორი დანარჩენის წყაროა, პარსონსი წერს: „ლიდერობის ინსტიტუციონალიზების ქვეშ მე მესმის ნორმატიული წესრიგის მოდელი, რომლის მეშვეობითაც მოცემულ საზოგადოებაში ზოგიერთ ქვეჯგუფს მის მიერ დაკავებული ადგილის ძალით უფლება აქვს და ვალდებულებაცაა გამოიჩინოს ინიციატივა და ამ საზოგადოების მიზანთა მიღწევისათვის სამართლებრივად გადანიჭოს საზოგადოების, როგორც მთელის მონაწილეობის საკითხი“ (165, ტ. 1, გვ. 24).

ამგვარად, ლიდერობის ინსტიტუტი შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა დონეზე. გლობალურ საზოგადოებაში იგი გვევლინება როგორც სახელმწიფო, ბიუროკრატიულ ორგანიზაციებში – ავტორიტარულ თანამდებობათა სახით და ა.შ. მეორე ინსტიტუტი – ესაა ძალაუფლების ორგანოებში ძალაუფლება აკუმულირდება და იქიდანვე გამოდის. ასე, მაგალითად ძალაუფლების ორგანოებში თანამდებობის დამკავებელი პირი სარგებლობს ძალაუფლების გარკვეული ჯამით, რომელიც მას შეუძლია გამოიყენოს და მიმოქცევაში გაუშვას.

პოლიტიკის მესამე ინსტიტუტია რეგლამენტაცია. იგი მდგომარეობს იმ ნორმებისა და წესების გამოყენებაში, რომელიც გარკვეულ საფუძველს ქმნის სოციალური კონტროლისათვის. ამ კატეგორიაში შედის: სამართალი, პროფესიული შრომები, პარტიებისა და ასოციაციის წევრები და ა.შ.

ამგვარად, პარსონსის მიხედვით, პოლიტიკური სისტემა ღია სისტემაა. იგი ავტონომიურია და მუდმივი ურთიერთობები აქვს საზოგადოების დანარჩენ ქვესისტემებთან. აქაც ფაქტორთა და პროდუქტთა იგივე ტიპია გაბატონებული, როგორც ეკონომიკურ სისტემაში – „დანახარჯები – გამოშვება“.

პარსონსის შეხედულებებმა დიდი გავლენა მოახდინა არა მხოლოდ სოციოლოგიაზე, არამედ პოლიტოლოგიაზეც, განსაკუთრებით კი პოლიტოლოგებზე, რომლებიც იყენებდნენ სისტემურ მიდგომას პოლიტიკური ცხოვრების შესწავლაში (დევიდ ისტონი), ან იმათზე, ვინც კვლევის აქცენტს კომუნიკაციისა და კონტროლის ფენომენზე ამახვილებდა (დოიჩი). ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია გავეცნოთ დ. ისტონის შეხედულებებს, რადგან იგი პირველი პოლიტოლოგია, რომელმაც გამოიყენა სისტემათა ზოგადი თეორია პოლიტიკის გასაანალიზებლად. რ. შვარცენბერგის აზრით, „პოლიტიკურ სოციოლოგიასთან მიმართებაში ისტონმა იგივე როლი შეასრულა, რაც პარსონსმა ზოგად სოციოლოგიასთან მიმართებაში. უზომო ემპირიზმის, „ჰიპერფაქტუალიზმის“

წინააღმდეგ პროტესტის გამოთქმისას, ისტონი ყურადღებას ამახვილებს თეორიულ იმპერატივებზე, რომლის მიზანია გაამდიდროს პოლიტიკური მეცნიერება რაღაც მოდელით, საერთო ანალიტიკური საფუძვლებით“ (165, ტ. I, გვ. 126).

დ. ისტონის აზრით, პოლიტიკა – ესაა „ღირებულებათა ნებელობითი გაანწილება“, ე.ი. ამა თუ იმ მოვლენისათვის განსაზღვრული მნიშვნელობის ავტორიტარული მინიჭება. ამგვარად, პოლიტიკური სისტემა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ურთიერთქმედებათა ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს ღირებულებათა განაწილება. სხვაგვარად იგი პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს როგორც მოცემულ საზოგადოებაში პოლიტიკურ ურთიერთობათა ერთობლიობას.

დ. ისტონის აზრით, „პოლიტიკური ურთიერთქმედება საზოგადოებაში ესაა ქცევის სისტემა“, საჭიროა „პოლიტიკური ცხოვრება განვიხილოთ როგორც ქცევის სისტემა, ჩართული გარემოში, რომელიც ექვემდებარება მის ზეგავლენას, მაგრამ მასზე პასუხის გაცემის შესაძლებლობაც აქვს... პოლიტიკური ცხოვრების სისტემური ანალიზი დაფუძნებულია გარემოში ჩაფლულ-ჩაძირული სისტემის ცნებაზე, რომელსაც უნარი აქვს განიცადოს გარემოდან მომავალი გავლენა... ამგვარი ანალიზი გულისხმობს, რომ სისტემას, რათა იარსებოს, უნდა ჰქონდეს რეაგირების უნარი“ (165, ტ. I, გვ. 126).

გარემოს როლზე საუბრისას ისტონი გვთავაზობს, პოლიტიკური სისტემა განვიხილოთ, როგორც „შავი ყუთი“ და ყურადღების გარეშე დავტოვოთ ის, რაც ხდება მის შიგნით, რამდენადაც სისტემური ანალიზი ძირითადად მოიცავს გარემოსთან სისტემის ურთიერთობებს. გარემოს იგი ორი ასპექტით განიხილავს: 1. შიდასოციალური გარემო; 2. გარესოციალური გარემო. ამასთან, პირველი – შიდასოციალური გარემო მოიცავს არაპოლიტიკურ სისტემებს, რომელიც შედის იმავე გლობალურ საზოგადოებაში, რაშიც განსახილველი პოლიტიკური სისტემა: ეკოლოგიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური სისტემები. გარესოციალური გარემო კი – მოიცავს ყველა იმ სისტემას, რაც არსებობს გლობალური საზოგადოების მიღმა – გარეთ: საერთაშორისო პოლიტიკური, ეკოლოგიური და სოციალური სისტემები. პოლიტიკურ სისტემას მუდმივი კავშირები აქვს „მთელ გარემოსთან“. როგორც პარსონსი, ისე ისტონიც პოლიტიკურ სისტემას „ღია“ სისტემად მიიჩნევს, რომელსაც მრავალმხრივი ურთიერთკავშირები და ურთიერთგაცვლები აქვს მის გარემომცველ სინამდვილესთან, ანუ შიდა და გარე სოციალურ გარემოსთან. გარემოში მთლიანად ჩართვისას პოლიტიკური სისტემა, ისტონის აზრით, ინარჩუნებს მასთან რთულ ურთიერთობებს.

ეყრდნობა რა პარსონსისეულ მიდგომის თავისებურებებსა და ლეონტიევის მეთოდოლოგიას, რომელიც მან გლობალური ეკონომიკის მოდელის შესაქმნელად გამოიყენა, ისტონი პოლიტიკურ სისტემას ეკონომიკურ სისტემას ამსგავსებს. პოლიტიკური მექანიზმი ისევე ფუნქციონირებს, როგორც – ეკონომიკური. მასში აგრეთვე არის ის, რაც შედის მექანიზმში („დანახარჯები“) და ის, რაც

მისგან გამოდის („გამოშვება“) არის ის, რაც კვებავს სისტემას და ის, რასაც სისტემა აწარმოებს.

განვიხილოთ პოლიტიკური სისტემის გარემოსთან ურთიერთობის ისტორიული მოდელის ელემენტები ცალ-ცალკე. „დანახარჯები“, ანუ შესასვლელი გარემოდან სისტემაში მოიცავს ორი ტიპის ელემენტს: მოთხოვნასა და მხარდაჭერას. პირველ ელემენტს, ანუ მოთხოვნას, ისტონი განსაზღვრავს როგორც „იმის შესახებ აზრის გამოთქმას, რომ ამაზე უფლებამოსილების მქონე პირებმა განახორციელონ ნებელობითი განაწილება რომელიმე მითითებული ობიექტის მიმართ“ (165, ტ. I, გვ. 128).

პოლიტიკური სისტემისადმი წაყენებული მოთხოვნების (განახორციელონ ღირებულების ნებელობითი განაწილება) მაგალითად გამოგვადგება მშრომელთა მოთხოვნები მინიმალური ხელფასის გაზრდის, ან მოსწავლე-ახალგაზრდობის მოთხოვნები განათლებაზე ასიგნებათა გამოყოფის თაობაზე და ა.შ.

ისტონის აზრით, მოთხოვნათა დიდი რაოდენობით დაგროვება, თანაც თუ ისინი ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგოა, ქმნის გადატვირთვის მდგომარეობას, რომლის გადატანაც სისტემას შეუძლია და გარკვეულ ფარგლებში მათი აბსორბირებაც. ეს გადატვირთვა შეიძლება ატარებდეს რაოდენობრივ ხასიათს, თუ ისინი ძალიან რთულია.

პოლიტიკური სისტემა რომ არ გადაიტვირთოს, ისტონის აზრით, საჭიროა მოთხოვნები მოყვანილ იქნეს სისტემის შესაძლებლობასთან შესატყვისობაში. ამისთვის აუცილებელია სამი ძირითადი ფუნქციის: მოთხოვნათა გამოთქმის, რეგულირებისა და შემცირების შესრულება:

**1. მოთხოვნათა გამოთქმის** ფუნქციის მეშვეობით სხვადასხვა მოთხოვნა იღებს ჩამოყალიბებულ, პოლიტიკური სისტემისადმი მიმართულ ფორმას, უპირატესად ზენოლის ჯგუფების მეშვეობით.

**2. მოთხოვნათა რეგულირება.** იმის საშიშროებაა, შენიშნავს ისტონი, რომ მოთხოვნებმა სწრაფად დაიტანონ ქვეშ პოლიტიკური სისტემა, ან „ყელში წაუჭირონ“ თუ არ მოხდება მათი ნაკადის გაფილტვრა, გარკვეული არხებით წარმართვა და რეგულირება. რეგულირება კი თავისთავად შეიძლება დაიყოს სტრუქტურულ და კულტურულ რეგულირებად:

ა) სტრუქტურული რეგულირება დაკავშირებულია მოთხოვნათა ფილტრაციისა და გადაცემის პროცესში სპეციალიზებული ფუნქციების არსებობასთან. პოლიტიკური სისტემისადმი მისადგომი გადის „მეკარეთა – კარისკაცთა“ მიერ დაცულ სტრუქტურულ „კარებზე“. პოლიტიკური სისტემის შესასვლელში ისინი ახარისხებენ, ფილტრავენ და გარკვეული მიმართულებით წარმართავენ მოთხოვნებს, აკავებენ მოთხოვნათა ერთ რიგს და უშვებენ მეორეს. ამ „კარისკაცთა“ და „კართა“ რაოდენობა და მრავალსახეობა იზრდება საზოგადოების განვითარებასთან ერთად. ამგვარად, დაასკვნის ისტონი, პარტიები, უმაღლესი ფენები, პარლამენტები წარმოადგენენ მოთხოვნნილებათა მარეგულირებელ სტრუქტურებს. მოთხოვნათა გამოთქმის ზოგიერთი სტრუქტურა იმავე დროს არის რეგულირების სტრუქტურაც, მაგალითად, პროფკავშირები დასავლურ



ქვეყნებში, რომლებიც მასების მოთხოვნებსაც გამოხატავენ და ამავე დროს, მონაწილეობენ მათ გაფილტვრასა და გაკონტროლებაში.

პოლიტიკური ძალაუფლების – ხელისუფლების ორგანოებს, თავის მხრივ, შეუძლიათ წინასწარ გაითვალისწინონ შემოსათავაზებელი მოთხოვნები ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი გამოითქმება. ყოველივე ეს კეთდება იმათი დაკმაყოფილების მიზნით, ვის ინტერესებსაც ისინი გამოხატავენ თავიანთი პოპულარობის ასამაღლებლად ან მოთხოვნათა აფეთქება საშიში ხასიათის აღმოფხვრის მიზნით. ყოველივე ამის შედეგად, შეიძლება წარმოიქმნას „თვით-მომარაგება მოთხოვნებით“, როდესაც პოლიტიკური ხელისუფლება უყენებს სისტემას თავის მოთხოვნებს. ამგვარად, დაასკვნის ისტონი, სისტემაში გარემოდან „შესასვლელებისა“ გარდა, არის კიდევ სისტემის შინაგანი პოლიტიკა, რომელსაც ავტორი „შიგნიდან შესასვლელს“ უწოდებს.

ბ) რაც შეეხება კულტურულ რეგულირებას, იგი დაკავშირებულია ნორმებთან, ღირებულებებთან და შეხედულებებთან, რომლებიც არ უშვებენ ან ზღუდავენ ზოგიერთ მოთხოვნას. კულტურული აკრძალვები შეიძლება ეხებოდეს მოთხოვნებს როგორც მათი შინაარსის (ზოგიერთი მოთხოვნა ითვლება დემაგოგიურად, არაგონივრულად, ამორალურად და ა.შ.), ისე ფორმის, ე.ი. თვით მათი წამოყენების მეთოდის მხრივაც კი. ასე მაგალითად, არსებობს ძალადობის კულტურული შეზღუდვა: დასავლურ სისტემებში პოლიტიკური კულტურა კრძალავს ან ძლიერ ზღუდავს ძალის გამოყენებას პოლიტიკურ მოთხოვნათა გამოთქმის მიზნით.

ასეთი ფილტრაციისა და ორმაგი რეგულირებების მიუხედავად, მაინც შეიძლება სისტემა მოთხოვნებით გადაიტვირთოს. ამ სიტუაციაში სისტემას აქვს ორი გამოსავალი: ერთი, რომ აამაღლოს საკომუნიკაციო ხაზთა გამტარუნარიანობა, ინფორმაციის მოძრაობის არხთა რაოდენობისა და მრავალგვარობის გადიდების მეშვეობით (მაგალითად, კადრების სპეციალიზაციის, ბიუროკრატის ზრდის გზით და ა.შ.) და მეორე, გააგრძელოს მოთხოვნათა ისე „გადამუშავება“, რომ შეძლოს მათი შემცირება.

**3. მოთხოვნათა შემცირება.** ამ ფუნქციის მეშვეობით მოთხოვნათა ნაკადი სისტემატიზდება, წესრიგდება და დადის ალტერნატივათა შეზღუდულ რაოდენობაზე, რომელიც შემდეგ წარედგინება პოლიტიკურ სისტემას. მაგალითად იდენტურ მოთხოვნათა სიმრავლე დაიყვანება ერთ მოთხოვნაზე, რომელიც მათ რეზიუმეს წარმოადგენს. სწორედ ამას უწოდებს ისტონი „მოთხოვნათა კონბინაციას“ – შერწყმას, ხოლო აღმონდი – „ინტერესთა აგრეგაციას“. ამ პროცესს ემსახურება პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები. დასავლურ სისტემებში მოთხოვნათა შემცირების ძირითადი სტრუქტურები პარტიებია. ისინი ერთად კრებენ და ჰარმონიულ ერთიანობაში მოჰყავთ მოთხოვნები, ვის ინტერესებსაც ისინი გამოთქვამენ. პარტია აყალიბებს ერთიან მოთხოვნებს, რომლებიც წარედგინება პოლიტიკური ხელისუფლების ორგანოებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ისტონი გამოყოფს შესასვლელის მეორე ტიპსაც, რომელსაც იგი მხარდაჭერას უწოდებს. სინამდვილეშიც, პოლიტიკური

სისტემების შემსუსტებელი ტენდენციების მქონე მოთხოვნების გარდა, არსებობს პოლიტიკური სისტემის მხარდაჭერაც, რომელიც მას აძლიერებს.

ისტონის განმარტებით, მხარდაჭერა მოიცავს სისტემისათვის კეთილსასურველ ყველა ვარიანტს, მაგალითად შეიძლება დავასახელოთ: პატრიოტიზმი, ინსტიტუტებისადმი პატივისცემა, იმ ხელმძღვანელებისადმი ერთგულება, რომლებიც ხელისუფლების სათავეში იმყოფებიან; მათ მხარდასაჭერად დემონსტრაციების ან პრესაში კამპანიების ჩატარება, სამხედრო ვალის მოხდა და ა.შ.

ისტონი ობიექტის შესატყვისად ავლენს მხარდაჭერის სამ ტიპს:

**1. მხარდაჭერა მთლიანად პოლიტიკური გაერთიანებისადმი**, სხვა სიტყვებით, კოლექტივის, ეროვნული გაერთიანების ერთგულება.

**2. მხარდაჭერა რეჟიმისადმი**, რომელიც მოქალაქეებს გაიგივებული, ანუ მიღებული აქვთ როგორც „თამაშის წესების“ ერთობლიობა, რომელიც მოიცავს იმ ღირებულებებს (მაგალითად, სიტყვის, აზრის თავისუფლება, პლურალიზმი და ა.შ.), ნორმებს (მაგალითად, კონსტიტუციური, სამართლებრივი, ზნეობრივი და ა.შ.) და ხელისუფლების სტრუქტურას (ე.ი. ძალაუფლებრივ როლთა განაწილება), რომელთაც ეყრდნობა პოლიტიკური სისტემა.

**3. ხელისუფლების ორგანოებისადმი მხარდაჭერა**, ე.ი. მხარდაჭერა მათადმი, ვინც თანამდებობის დაკავების გზით ასრულებს ძალაუფლებრივ ფუნქციებს პოლიტიკურ სისტემაში. ამის თაობაზე ისტონი წერს: „ნებისმიერ სისტემაში არსებობენ ისეთი წევრები, რომლებიც ლაპარაკობენ მთელი სისტემის სახელითა და სისტემის ნაცვლად: ჩვენ ისინი შეიძლება აღვნიშნოთ როგორც ხელისუფლება“ (165, ტ. I, გვ. 132). ზოგიერთ სისტემაში, რომელთაც მართავენ „ქარიზმული ბელადები“, ხელისუფლებათა მიმართ გამოხატული მხარდაჭერა იძენს ისეთ მნიშვნელობას, რომ იგი ცვლის რეჟიმისადმი მხარდაჭერას, ანუ ხდება ხელისუფლების ისეთი პერსონალიზაცია, რომ ერთგულებას უფრო გამოხატავენ მმართველთა მიმართ, ვიდრე პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მხარდაჭერის სამი ტიპი შეიძლება ერთობლივად არც კი გამოვლინდეს. მაგალითად, შეიძლება მოქალაქე მხარს უჭერდეს ეროვნულ გაერთიანებას, მაგრამ არ გამოხატავდეს მხარდაჭერას არსებული პოლიტიკური რეჟიმისადმი ან ხელისუფალთა წარმომადგენლებისადმი. მთლიანად კი, როგორც არ უნდა იყოს მხარდაჭერის ობიექტი, ეროვნული გაერთიანება იქნება, რეჟიმი თუ ხელისუფლება შეიძლება მხარდაჭერა შეუსუსტდეს და შემდეგ ისევ გაძლიერდეს.

ჩვენ აქამდე ვიხილავდით პოლიტიკურ სისტემაში შემავალ ფაქტორთა ისტონისეულ გავლენას. ახლა დაგვრჩა გამოსავალი ფუნქციებისა და ფაქტორების დახასიათება. უპირველეს ყოვლისა, ესაა პოლიტიკური სისტემის „პროდუქტი“. ვინაიდან ყველაფერ მასზედ, რაც „შედის“ სისტემაში, იგი პასუხობს „გამომწვევით“: აკმაყოფილებს მოთხოვნებს ან იწვევს მხარდაჭერას. სისტემის „გასასვლელში“ შეიძლება მივიღოთ, მაგალითად, ახალი კანონები, რეგლამენტები, სუბსიდიები, საინფორმაციო კომპანიები სახელმწიფოებრივი ასიგნებანი და ა.შ. „გასასვლელის“ ცნება, როგორც შვარცენბერგი აღნიშნავს, ისტონს ისე

დანვრილებით არ განუხილავს, როგორც შესასვლელის ცნება, ამიტომ ჩვენც იმით დავკმაყოფილდეთ, რასაც შვარცენბერგი გამოთქვამს ამ ცნების თაობაზე. როგორც იგი აღნიშნავს, ისტონს მიაჩნია, რომ პოლიტიკური სისტემა თავისი პროდუქტებით პასუხს იძლევა მასში შემავალ იმპულსებზე. ასეთ პროდუქტად კი მას გადანყვეტილებანი და მოქმედებანი მიაჩნია. გადანყვეტილებათა შესრულება გარანტირებული და უზრუნველყოფილია კანონის ძალით. მართალია, მოქმედებები არ ატარებს ასეთ მაიძულებელ ხასიათს, მაგრამ ისინი დიდ გავლენას ახდენენ მოქალაქეებზე. მაგალითად, ეკონომიური, სოციალური, საგარეო პოლიტიკა და სხვა.

რამდენადაც ისტონი ლაპარაკობს „გარემოში ჩაფლული პოლიტიკური სისტემის“ ფუნქციობაზე, ამდენად, ლოგიკურია ვილაპარაკოთ პოლიტიკური სისტემის მოქმედებაზე უკუგავლენის შესახებაც.

ამგვარად, პოლიტიკური სისტემა ღრმა ურთიერთზემოქმედებასა და ურთიერთკავშირშია თავის გარემოსთან. მან უნდა გარდაქმნას შემოსული მოთხოვნები და მხარდაჭერა შესაბამის გადანყვეტილებად და მოქმედებად იმ პირობით, რომ მას თვითრეგულირების უნარი ექნება, ე.ი. უნდა შეეძლოს უკუკავშირის გზით აწარმოოს რეგულირება, როგორც ეს კიბერნეტიკაში ხდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურ სისტემას, რომელზეც მოქმედებს მოთხოვნები და მხარდაჭერა, თავის მხრივ, შეუძლია მიიღოს ზომები, რომ უშუალო რეაგირება მოახდინოს მოთხოვნებსა და მხარდაჭერაზე.

გადანყვეტილებანი – ეს, პირველ რიგში, სისტემისადმი წაყენებულ მოთხოვნებსა და მხარდაჭერაზე საპასუხო რეაქციაა, მაგრამ ეს გადანყვეტილებანიც, თავის მხრივ, იქცევა ახალ მოთხოვნათა და ახალ მხარდაჭერათა წყაროდ. იგი ერთვება ჩაკეტილ წრეში, მუდმივ ნაკადში, რომლის გაგება შესაძლებელია დინამიკური მიდგომის მეშვეობით.

პოლიტიკური სისტემის გამოსასვლელში პასუხი ეძლევა იმას, რაც ამ სისტემაში „შეყვანილ“ იქნა. მაგრამ ეს პასუხები, თავის მხრივ, ასევე რეაგირებს „შესასვლელზე“ და ზემოქმედებს მასზე. ესაა სწორედ ის უკუკავშირის პროცესი, როდესაც სისტემის ფუნქციობა განპირობებულია იმით, რასაც იგი „აწარმოებს“ გამოსასვლელში.

„უკუკავშირის მარყუჟის“ აღწერისას ისტონი წერს: „გამოსასვლელს შეუძლია მოდიფიცირება გაუკეთოს იმ გავლენას, რომელიც აგრძელებს ზემოქმედებას შესასვლელზე და ამგვარად მოახდინოს იმის მოდიფიცირება, რაც შეიძლება მომავალში შეტანილ იქნეს სისტემაში“ (ციტ.165, ტ. I, გვ. 133). სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოსასვლელი უკუგავლენას ახდენს შესასვლელზე: იგი გავლენას ახდენს „მომდევნო შემავალ ტალღაზე“.

საბოლოო ჯამში ის მოქმედებანი და გადანყვეტილებანი, რომელსაც იღებს პოლიტიკური სისტემა და რომელიც ახორციელებს მოთხოვნათა კონვერსიას, მუდმივად მიმართულია არსებული მხარდაჭერის მაქსიმალურ გადიდებაზე. ამიტომ ისტონი პოლიტიკურ სისტემას განიხილავს გარემოზე „დინამიკური პასუხის“ თვალსაზრისით.

სწორად აღნიშნავს რ. შვარცენბერგი დ. ისტონის დამსახურებას პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიაში:

1. მან უკუ აგდო ემპირიზმი და მისი უკიდურესობანი; საბოლოო ჯამში კი, მან გაამდიდრა პოლიტიკური სოციოლოგია და პოლიტოლოგია ანალიზის ზოგადი სტრუქტურით, წარმატებით გამოიყენა რა პოლიტიკური პროცესებისადმი სისტემური მიდგომა. ამან კი, თავის მხრივ, გააახლა პოლიტიკურ მოვლენათა ანალიზის კატეგორიალური აპარატი. მისი თეორიული მსჯელობა განსაკუთრებით ფასეულია შედარებითი გამოკვლევებისათვის, რამდენადაც იგი მისაღებია ყველა პოლიტიკური სისტემის, საზოგადოებისათვის, რამეთუ ზოგადი და აბსტრაქტულია; მართალია, აბსტრაქტულობას აქვს თავისი ნაკლოვანებები, მაგრამ თავისი აუცილებელი უპირატესობაც გააჩნია.

2. გარდა ამისა, ისტონის მეცნიერული მიდგომა დინამიკურია. იგი უარს ეუბნება ტრადიციულ სტატისტიკურ მეთოდს. იგი პოლიტიკურ სისტემასა და მის გარემოს ანალიზებს დინამიკის თვალსაზრისით, მიჰყვება რა კიბერნეტიკული სისტემისათვის დამახასიათებელ თვითრეგულაციის, თვითორგანიზაციისა და ურთიერთქმედების პრინციპებს. პოლიტიკური სისტემის მთელი მის მიერ წარმოდგენილია როგორც ჩაკეტილი ჯაჭვი დასაწყისისა და დასასრულის გარეშე, რომელიც მუდმივ მოძრაობაში იმყოფება.

3. შვარცენბერგის თქმით, ისტონმა პოლიტიკა გაათავისუფლა მისტიფიკაციისაგან, მოახდინა მისი დემისტიფიკაცია, რამეთუ იგი კი არ გამოაცალკევა, არამედ გარემოსთან ურთიერთკავშირში განიხილა. მან პოლიტიკური სისტემა ჩასვა გლობალურ (რეალურ) საზოგადოებაში, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს. ამით კი ბოლო მოეღო იმ მითებს, რომლითაც გარემოცულია სახელმწიფო, თითქოს იგი ტრანსცენდენტური და საიდუმლო აპარატი იყოს. სინამდვილეში პოლიტიკური სისტემა – ესაა უბრალო ინსტრუმენტი, უბრალოდ მექანიზმი საზოგადოებიდან მომდინარე სოციალური იმპულსების პოლიტიკურ გადანყვეტილებად და მოქმედებად გარდასაქმნელად. ტ. პარსონსისა და დ. ისტონის შეხედულებათა ანალიზი უკვე გვაძლევს მყარ საფუძველს, რომ უფრო დანვრილებით განვიხილოთ და დავალაგოთ პოლიტიკური სისტემის სტრუქტურული ელემენტები და ფუნქციები. ამ მხრივ საინტერესო მოსაზრებები აქვს პ. შარანს. მისი აზრით, პოლიტიკური სისტემა უფრო ფართო და ბევრი პოლიტიკური პროცესის მომცველია, მაგრამ მისი ძირითადი მექანიზმი მაინც სახელმწიფო მმართველობაა, რომელიც ასრულებს სავალდებულო, ლეგიტიმურ გადანყვეტილებათა შემუშავების ფუნქციებს. აქვე იგი ასახელებს პოლიტიკური სისტემის ძირითად ელემენტებს:

„1. ძალაუფლება – როგორც რესურსთა განაწილება იმ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ჯგუფებს შორის, რომელთაც ძალუძს გავლენა იქონიონ გადანყვეტილების მიღებაზე.

2. ინტერესები – როგორც მიზანთა ერთობლიობა, რომელთა აღსრულებისას ცალკეული პირები ან ჯგუფები პოლიტიკური პროცესის მონაწილენი ხდებიან.

3. პოლიტიკა – როგორც ხელისუფლებასა და ინტერესებს შორის ურთიერთქმედების საზოგადოებრივი რეზულტატი, რომელიც ჩვეულებრივ გამოთქმულია სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფორმით.

4. პოლიტიკური კულტურა – როგორც ადამიანთა სუბიექტური ორიენტაცია პოლიტიკურ სისტემებზე“ (1654, ტ. I, გვ. 46).

პოლიტიკური სისტემის შესწავლისას აუცილებელია ვიცოდეთ მისი ფუნქციონირების თვისებები, სტრუქტურული ელემენტები და აგრეთვე მოცემულ პერიოდში მისი რეალური ფუნქციონირება. ამ თვისებებს, ანუ პოლიტიკური სისტემის ფსიქოლოგიურ კრიტერიუმებს, პოლიტიკურ კულტურას უწოდებენ. პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებულია ორი ძირითადი ცნება – პოლიტიკური სოციალიზაცია და პოლიტიკური სეკულარიზაცია. პ. შარანის თქმით, „სოციალიზაცია – ესაა პროცესი, რომლის მეშვეობითაც ხდება პოლიტიკური შეხედულებებისა და ღირებულებების დანერგვა (ათვისება) იმ ზომით, რა ზომითაც ბავშვები ხდებიან მონიფულნი, ხოლო მონიფულნი (დიდები) კი ალიჭურვებიან შესაბამისი როლებით. სეკულარიზაცია – ესაა პროცესი, რომლის მიმდინარეობისას ადამიანები თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობაში ხდებიან უფრო რაციონალურნი, ანალიტიკურად მოაზროვნენი და პრაქტიკულად მომზადებულნი“ (164, ტ. I, გვ. 47).

თანამედროვე სოციოლოგები და პოლიტოლოგები, მაგალითად, ალმონდი, კოლემანი, პაუელი პოლიტიკური სისტემის განსაზღვრისას ამოდიან მ. ვებერისაგან, მაგრამ ცდილობენ მის შეცვლასა და გაფართოებას. ვებერის აზრით, კონკრეტულ ტერიტორიაზე გაბატონებულობა (გავრცელებულობა) აუცილებელი ნიშანია პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი განსაზღვრებისათვის, რომელიც შემდეგ სახელმწიფოსთან იდენტიფიცირდება. ჩემი აზრით, უფრო მისაღებია პოლიტიკური სისტემის შემდეგნაირი განსაზღვრება: პოლიტიკური სისტემა – ესაა ყოველ დამოუკიდებელ საზოგადოებაში ურთიერთქმედების სისტემა, რომელიც ასრულებს ინტეგრაციისა და ადაპტაციის (საზოგადოების შიგნით და გარეთ, აგრეთვე საზოგადოებათა შორის) ფუნქციებს, მეტად თუ ნაკლებად ლეგიტიმური ფიზიკური იძულების გამოყენებისა და დაშინების გზით.

ამგვარად, პოლიტიკური სისტემა – ესაა ლეგიტიმური, საზოგადოებაში წესრიგის გამამტკიცებელი, მხარდამჭერი და გარდამქმნელი სისტემა. იგი დაკანონებული ძალაა, რომელიც გამსჭვალავს საზოგადოების „შემავალ“ და „გამავალ“ ფაქტორს ანიჭებს რა მას განსაკუთრებულ თვისებებსა და საზრისს, უზრუნველყოფს რა საზოგადოების როგორც სისტემის ერთიანობას.

## პოლიტიკური სისტემის კომპონენტები

1. ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის პირველი აუცილებელი კომპონენტია ადამიანთა შედარებით დიდი რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთთან „დაკავშირებული არიან შრომის პოლიტიკური დანაწილებით“. ესენი არიან: სამხედროები, სახელმწიფო მოსამსახურეები და ა.შ. საზოგადოდ, ყველა ამომრჩეველი ანუ ელექტორატი. ადამიანთა ეს ერთობლიობა შეადგენს პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის წევრებიც პოლიტიკური კულტურის განსხვავებულ საფეხურზე დგანან. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციების, ქვეყნის ისტორიის, ტრადიციების, პოლიტიკური იდეოლოგიის გარკვეულ ცოდნას და ა.შ. ეს ადამიანები სხვადასხვანაირად ეხებიან. ანუ განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ პოლიტიკური სისტემის, დოქტრინისა და სახელმწიფო მოღვაწეების მიმართ.

2. პოლიტიკური სისტემის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს თანამდებობის პირთა კატეგორია, რომელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სავალდებულოდ ითვლება პოლიტიკური გაერთიანების წევრებისათვის.

3. პოლიტიკური სისტემის სათანადოდ ფუნქციონირებისათვის აუცილებელია რეჟიმი, ე.ი. კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპები და სტრუქტურები, პოლიტიკური პროცესები, ინსტიტუციური ნორმები და ძირითადი ღირებულებანი.

4. „ტერიტორია“, რომელსაც აქვს გარკვეული საზღვრები და ასრულებს დამაკავშირებელ როლს.

სახელმწიფო, რომელსაც ყველა ეს კომპონენტი გააჩნია შეიძლება უპირობოდ განვიხილოთ როგორც პოლიტიკური სისტემა. მაგრამ ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ქალაქიც მისი პოლიტიკური გაერთიანებით (მოსახლეობით), პოლიტიკური ხელისუფლებით (საქალაქო მმართველობის ორგანოებით), რეჟიმითა (ქალაქის სტატუსი, მუნიციპალიტეტის, უწყებების, კომიტეტების განაწესი და ა.შ.) და მისი ტერიტორიით. ამიტომ პოლიტიკური სისტემა შეიძლება განვიხილოთ როგორც რთული მექანიზმი, რომელშიც შედის ელემენტთა (შემავალი ფაქტორები) გარკვეული რაოდენობა. ეს ფაქტორები გარკვეული ზომით დამუშავდება და იძლევა საბოლოო პროდუქტს (როგორც გამომავალ ფაქტორებს, რომლებიც მოემსახურება პოლიტიკურ გაერთიანებას, მის ცალკეულ ნაწილებს ან ცალკეულ პირებს).

პოლიტიკური გაერთიანების წევრებს, ჩვეულებრივ, აქვთ საერთო ინტერესები და იმედები, რომელთა დაცვა და დაკმაყოფილება პოლიტიკური ხელისუფლების საქმეა. უპირატესობის მინიჭება და მოლოდინი იღებს მოთხოვნათა ფორმას, რომელიც სხვა ელემენტებთან ერთად (მხარდაჭერა გაერთიანების წევრთა მხრიდან, რესურსებისა და პოტენციური შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია) შედის სახელმწიფოს გადამამუშავებელ მექანიზმში, და გაივლის გაბატონებული იდეოლოგიისა და უპირატესობის მქონე ღირებულების (ღირებულების, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ განიხილება როგორც „საზოგადო

სიკეთე“), გადანყვეტილებების მიმღებ პირთა ფილტრში, ვინც სწავლობს და აფასებს ამ მოთხოვნებსა და მხარდაჭერას საკუთარი მსოფლმხედველობის, მიზნებისა და პრიორიტეტების შუქზე.

შესაბამისი თანამდებობის მქონე პირებს, – წერს შარანი, – დროულად შეუძლიათ პრობლემის გადაჭრა, დადებითად უპასუხონ პირველად მოთხოვნებს, გამოიყენონ რესურსები და მიიღონ აუცილებელი ზომები თავიანთ გადანყვეტილებათა ეფექტური განხორციელებისათვის. ამგვარი „ავტორიტეტული (ნებელობითი) განაწილების“ რეზულტატად შეიძლება იქცეს ახალი მოთხოვნები, მოწონება ან დაწუნება და მაშინ ციკლი ხელახლა იწყება, ე.ი. მუშაობას იწყებს უკუკავშირის ეფექტი. ამგვარად, პოლიტიკურ სისტემას უნარი აქვს უზრუნველყოს ის, რაც ჩვეულებრივ არ ძალუძს ინდივიდს ან კერძო პირებს. ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემაში დოვლათისა და დანახარჯების განაწილებისას განმსაზღვრელი ფაქტორია ძალაუფლება. ძალაუფლება – ესაა ელემენტი, რომელიც საერთოა ყველა – წარსული თუ თანამედროვე – პოლიტიკური სისტემისათვის. იგი უნივერსალური ელემენტია.

ამგვარად, „პოლიტიკური სისტემის“ ტერმინის შემოტანისას, მივდივართ ძალაუფლების ფენომენტთან. ყოველი სახელმწიფო ძალაუფლების ობიექტსა და სუბიექტს შორის დადგენილი ურთიერთობები, რომლებიც გამოხატულია სახელმწიფოებრივი მართვის მუდმივი ინსტიტუტებით, წარმოადგენს სწორედ პოლიტიკურ სისტემას. მისი არსებითი ნიშნები ვლინდება საზოგადოების მართვის აპარატში ანუ მექანიზმში. პოლიტიკური სისტემა არ არის მართვის ფორმებისა და ტიპების მსგავსი.

„პოლიტიკური სისტემის“ განზოგადებული ცნება, როგორც წესი, მოიცავს სახელმწიფოებრივი მართვის განსხვავებულ ტიპებს, საერთო იდეოლოგიითა და მისი შესატყვისი ინსტიტუტებით. დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმის სისტემა მოიცავს რამდენიმე სუბიექტის ურთიერთზემოქმედებაზე აგებული მმართველობის ტიპებს. ეს ტიპები კონსტრუირდება (აიგება), მაგალითად, საპრეზიდენტო მმართველობის, პარლამენტარიზმის, რომელიც დაკავშირებულია საკანონმდებლო კრების ან კაბინეტის უზენაესობასთან, საკანონმდებლო კრების მმართველობის, დირექტიული მმართველობის, პირდაპირი ან პოპულარული დემოკრატიის სახით. ყველა მათგანი სულდგმულობს ერთი და იმავე იდეოლოგიით – ხალხის ნების უზენაესობით.

ავტოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში კი, პირიქით, დომინირებს ელიტარული იდეოლოგია – იდეოლოგია, რომელიც კანონს მაგიურ ძალას ანიჭებს; პროლეტარული, რასისტული, კორპორაციული ან სხვა არაეგალიტარული იდეოლოგიები, რომლებიც გამოიყენება პოლიტიკური პროცესების სამართავად. ასეთი პოლიტიკური სისტემა მრავალნაირია: აბსოლუტური მონარქია, საკანონმდებლო კრების მმართველობა, ფაშიზმის ან ნაციზმის პერსონიფიცირებული დიქტატურები, სხვადასხვა ავტორიტარული რეჟიმი, „რომლებიც ორიენტირებული არიან ნეოპრეზიდენტალიზმზე, სადაც იდეოლოგიური მიზანსწრაფვა

სხვა არაფერია, თუ არა ფაქტობრივ მმართველთა მხრივ ხელისუფლებაზე შენიღბული და შელამაზებული მონოპოლია“ (164, ტ. I, გვ. 55).

**პოლიტიკური სისტემის ნორმები.** ყველა პოლიტიკურ სისტემაში გაურკვეველი ღირებულებების ან ნორმების მხარდამჭერი ლიდერები ცდილობენ ისეთი პოლიტიკის რეალიზებას, რომელიც, მათი შეხედულებით, ყველაზე უფრო შესაფერისია მოცემული ვითარებისათვის. პოლიტიკურ ნორმებსა და პოლიტიკურ კურსს შორის ურთიერთკავშირი ზოგჯერ არაპირდაპირია და ნათლად არ ჩანს. გაცილებით უფრო მჭიდრო კავშირია ნორმებსა და პოლიტიკურ მიზნებს შორის. ნორმები – „ესაა საერთო ღირებულებები, რომლებიც ძვეს მიმდინარე ხდომილებებზე რეაქციის საფუძველში; მიზნები – ესაა საბოლოო ან შუალედური განზრახვები, რომლებიც ძვეს მოქმედების საფუძველში. ნორმებიცა და მიზნებიც ასახავენ ადამიანთა ზოგად წარმოდგენებს (ცნობიერსა თუ გაუცნობიერებელს) უკეთესი ცხოვრების შესახებ.

„მონაწილეობა – ესაა პირველი მიმართულება ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წყობისას გადანყვეტილებათა მიღების პროცესში, მასზე საუბრისას, საჭიროა განვიხილოთ დემოკრატიისა და მონარქიის ან ოლიგარქიის თანაფარდობის საკითხი, ხოლო მმართველობის ინსტრუმენტებისათვის გავაანალიზოთ ლიბერალიზმისა და ავტორიტარიზმის თანაფარდობა. დაბოლოს, მიზნების შესახებ საკითხში ძირითადი როლი განეკუთვნება იდეოლოგიას“ (164, ტ. I, გვ. 56). ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია, მოცემული მიმართულების შესატყვისად, თავად პოლიტიკური გამოკვლევების კლასიფიცირებაც კი.

**პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა.** ნებისმიერი მდგომარეობისა თუ ორგანიზაციის სტრუქტურა ხასიათდება მის ასპექტთა შედარებით ნელი ცვლით, რომლის დაჩქარება შეიძლება მხოლოდ მნიშვნელოვანი ძალისხმევით. მთიანი ლანდშაფტი, ადამიანის სხეულის ჩონჩხი – აი, მყარ სტრუქტურათა მაგალითი. ზუსტად ასევე არ შეიძლება ადვილად და სწრაფად შევცვალოთ პოლიტიკური სისტემის განვითარების მასშტაბი და დონე. ნელა ცვალებადი სტრუქტურებისაგან განსხვავებით, მდგომარეობის ან ორგანიზაციის იმ ასპექტებს, რომლებიც მოდიფიცირდება შედარებით სწრაფად და ადვილად, პროცესებს ანუ ფუნქციებს უწოდებენ.

პ. შარანის მიხედვით, სტრუქტურები როგორც უცვლელად და უმოძრაოდაც არ უნდა გამოიყურებოდეს, ყალიბდება გადამკვეთ პროცესთა წყალობით. ასე მაგალითად, სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის სტრუქტურა ღრმავდება, არსებობს და კვლავ იწარმოება ყოველ თაობაში ურთიერთგადამკვეთი პროცესებით: საკუთრების, განათლებისადმი მიდგომის, წარმოშობის უთანასწორობით, ხოლო აქედან კი სტატუსისა და პრაქტიკული გამოცდილების უთანასწორობით; ეთნიკური, რასობრივი და კლასობრივი დისკრიმინაციით და ა.შ. ამ პროცესთაგან ნებისმიერ ცვლილებას შეუძლია ცვალებადობა გამოიწვიოს სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური სტრატეგიკაციის საერთო მაჩვენებლებში.



პ. შარანის აზრით, პოლიტიკური სტრუქტურები – ესაა უპირველესად მმართველობის ყველა საფეხური, დაწყებული ადგილობრივი ხელისუფლებიდან, დამთავრებული საერთაშორისო დონის ორგანოებამდე. პოლიტიკური სტრუქტურები ასევე მოიცავს სპეციალურად განკუთვნილ ორგანიზაციებს მრავალმხრივი ზემოქმედების განევის მიზნით, მაგალითად, პოლიტიკურ პარტიებს. არაპოლიტიკური ხასიათის ორგანიზაციებს ასევე შეუძლიათ დაისახონ სერიოზული მიზნები და დაიცვან პოლიტიკური ინტერესები, მაგალითად, პროფკავშირებს, მენარმეთა გაერთიანებებსა და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს.

პოლიტიკური ფენომენები (ანტაგონისტური და ინტეგრაციული ასპექტით) არსებობს ადამიანთა გაერთიანების მრავალ ტიპში: ქვეყანაში, პროვინციაში, ქალაქში, საერთაშორისო გაერთიანებებში, ასოციაციებში, პროფკავშირებში და ა.შ. აქედან, ასკვნის პ. შარანი: „პოლიტიკური სოციოლოგია – ესაა მეცნიერება ძალაუფლების შესახებ ყოველ ადამიანურ ერთობაში და არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოში“ (164, ტ. I, გვ. 57). მაშასადამე, ყოველი ერთობა გვევლინება სტრუქტურის სახით, რომლის ჩარჩოებში მოქმედებენ სწორედ ანტაგონისტური და ინტეგრაციული პროცესები. პოლიტიკური სტრუქტურა – ესაა სხვადასხვა სოციალური დაჯგუფება, რომელთაც მ. დიუვერჟე ფიზიკურ და სოციალურ სტრუქტურებად ყოფს. „მოცემულ შემთხვევაში ტერმინი „სოციალური“ უფრო ხელოვნურისადმი, ადამიანთან დაკავშირებულისადმი (ინსტიტუტები, კულტურა, რწმენა) გამოიყენება; ტერმინი „ფიზიკური“ კი – ბუნებრივი ფაქტორებისადმი (გეოგრაფია, დემოგრაფია). მათ შორის არ არის მკვეთრი საზღვარი“ (164, ტ. I, გვ. 57).

ალმონდი და პაუელი „სტრუქტურის“ ცნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ცნების ქვეშ მათ ესმით დაკვირვებადი საქმიანობა, რომელიც აყალიბებს პოლიტიკურ სისტემას. ადამიანთა საქმიანობის ის კონკრეტული ნაწილი, რომელიც მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესში, იწოდება როლად. როლები – ესაა ერთეულები, რომელთაგან კომპლექტდება ყველა სოციალური სისტემა – პოლიტიკურის ჩათვლით. პარსონსისა და შილზის თანახმად, როლი ესაა მოქმედი პირის ორიენტაციის ორგანიზებული ნაწილი, რომელიც აყალიბებს და განსაზღვრავს მის მონაწილეობას ურთიერთქმედების პროცესში. ამგვარად, პოლიტიკური სისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც ურთიერთმოქმედ როლთა ერთობლიობა, როლთა სტრუქტურა, თუ სტრუქტურის ქვეშ გავიგებთ ურთიერთქმედების ტიპს.

ამიტომ პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს პოლიტიკური როლი. ურთიერთდაკავშირებულ როლთა კონკრეტული ერთობლიობა, როგორც ცნობილია, შეადგენს კიდევც სტრუქტურას. მოსამართლე, – წერს შარანი, – არის როლი, სასამართლო – როლთა სტრუქტურა. ალმონდისა და პაუელის აზრით, „თუ ვილაპარაკებთ როლის, როგორც პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ერთეულის შესახებ, მაშინ ქვესისტემა (მაგალითად, საკანონმდებლო ორგანო) შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული როლები-საგან, ხოლო პოლიტიკური სისტემა – ესაა ურთიერთმოქმედ ქვესისტემათა

(მაგალითად, საკანონმდებლო ორგანოები, ამომრჩეველთა კონტინგენტები, ზენოლის ჯგუფები, სასამართლოები და ა.შ.) ერთობლიობა“ (164, ტ.1, გვ. 58).

პოლიტიკურ სისტემებს სტრუქტურის მიხედვით შეიძლება ჰქონდეს ორი განსხვავებული ნიშანი იმისდა მიხედვით, თუ როგორი ხარისხითაა დიფერენცირებული ან სპეციალიზებული პოლიტიკური როლები, სტრუქტურები და ქვესისტემები, თუ რამდენადაა ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ან ერთმანეთზე დაქვემდებარებული. ესკიმოსთა პოლიტიკური სისტემა, რომელიც ყველაზე მარტივია, რაც ადამიანისთვის ცნობილია, შედარებით არადიფერენცირებული პოლიტიკური სისტემის მაგალითია. პატრიარქალური ტიპის პოლიტიკურ სისტემას ჰქონდა შუალედური პოლიტიკური სტრუქტურა. გვაროვნული პოლიტიკური სტრუქტურა გამოირჩეოდა პატრიარქალურისაგან საკმაოდ განვითარებული ბიუროკრატიული აპარატით.

პოლიტიკური სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სპეციალიზებული პოლიტიკური ინფრასტრუქტურის წარმოშობა – პარტიების, ზენოლის ჯგუფებისა და მასობრივი კომუნიკაციების საშუალებების წარმოქმნა, რომლებიც მონოდებული არიან „დაამუშაონ“ პოლიტიკური მოთხოვნები და წინადადებები. თანამედროვე დემოკრატიული სისტემის ტოტალიტარულთან შედარებისას, – წერს შარანი, – სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, აუცილებელია გავითვალისწინოთ მის შემადგენელ ინსტიტუტთა ავტონომიის ხარისხი. ორივე სისტემაში არსებობს თავისი განსაკუთრებული მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები, ინსტიტუტები, ზენოლის ჯგუფები, ინტერესთა ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები. ამ ორი ტიპის პოლიტიკურ პარტიათა ფაქტობრივი ფუნქციობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დემოკრატიულში პოლიტიკური ინფრასტრუქტურა შედგება შედარებით ავტონომიური ინსტიტუტებისაგან, მაშინ, როდესაც ტოტალიტარულში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები, სხვადასხვა გვარის ინტერესთა ჯგუფები და პოლიტიკური პარტიები მმართველ ელიტასა და ბიუროკრატიულ აპარატს ემორჩილება.

ტერმინი „დიფერენციაცია“ განეკუთვნება პოლიტიკური განვითარების იმ პროცესებს, როდესაც წარმოიშობა და ადრინდელს უერთდება როლებისა და როლურ სტრუქტურათა ახალი ტიპები. მაგალითად, ტერმინი „პოლიტიკური რეკრუტირება – განვევა“ ნიშნავს პოლიტიკურ სისტემაში როლთა შევსების ფუნქციას. პოლიტიკური რეკრუტირება შეიძლება მოხდეს როგორც უნივერსალური (ზოგადი), ისე შეზღუდული კრიტერიუმებით. თანამდებობის პირთა შერჩევა არჩევნების პროცედურის ან მათი უნარის საფუძველზე – უნივერსალური კრიტერიუმის მიხედვით რეკრუტირების მაგალითია, ხოლო – შერჩევა ერთი კლასის ან ფენის წარმომადგენელთაგან – შეზღუდული კრიტერიუმის მიხედვით რეკრუტირების მაგალითია.

პროცესს, რომლის მეშვეობითაც ცალკეული პირი ან ჯგუფები მოთხოვნებს უყენებს იმათ, ვინც შეიმუშავებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ეწოდება ინტერესთა არტიკულაცია. ესაა პირველი ფუნქციური ნაბიჯი პოლიტიკური კონვერსიის პროცესში. მისი რეალიზაცია შეიძლება სხვადასხვა სტრუქტურის

მიერ და მრავალი გზით. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამეთუ წარმოადგენს ზღვარს საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. მრავალ სტრუქტურას – უმართავი ბრბოსაგან დანყებული და დამთავრებული ბიზნესმენტა კრებით – შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ინტერესთა არტიკულაციის პროცესში. ასეთი სტრუქტურები კლასიფიცირდება ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის მიხედვით; პირველია ჯგუფის ტიპი, რომელმაც დაინყო ინტერესთა არტიკულირება და მეორე – მოთხოვნათა გადაცემის არხის ტიპი. ასოცირებული ჯგუფები მუდამ ახდენენ თავიანთი ინტერესების არტიკულირებას ოფიციალური არხების მეშვეობით, რეგიონული ან ნათესაური (არაასოცირებული) ჯგუფები კი მოქმედებენ არაფორმალური არხების მიხედვით.

მოთხოვნათა ზოგადი პოლიტიკის ალტერნატივებად გარდაქმნის ფუნქციას ინტერესთა **აგრეგირება** ეწოდება. პოლიტიკური პარტია, რომელშიც შედის პროფკავშირებისა და მენარმეთა ორგანიზაციებიდან პრეტენზიები და მოთხოვნები, მოლაპარაკებების გზით ათანხმებს ამ ჯგუფთა დაპირისპირებულ ინტერესებს გარკვეული პოლიტიკური განცხადების ფორმით – აი, ესაა კიდევ ინტერესთა აგრეგირება. იგი ხორციელდება პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა მონაკვეთში პოლიტიკის ნათელი ფორმულირებებისა ან იმ პოლიტიკურ კადრთა რეკონსტრუირების გზით, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად იზიარებენ არსებულ პოლიტიკურ კურსს. ინტერესთა აგრეგირებას ადგილი აქვს ყველა პოლიტიკურ სისტემაში, მაგრამ როგორც შარანი შენიშნავს, დემოკრატიული სისტემის დროს ამ პროცესში შეიძლება დომინირებდნენ ინტერესთა ასოცირებული ჯგუფები.

პოლიტიკური სისტემების ფუნქციების დახასიათებას უფრო დაწვრილებით მომდევნო თავში შევეხებით.

**პოლიტიკური სისტემის ფუნქციები**

1. **ფუნქციის ცნება.** რეალური პოლიტიკური პროცესების მეცნიერული გააზრებისა და ერთი პოლიტიკური სისტემის მეორესთან შედარების ნაყოფიერებისათვის, აუცილებელია ყურადღების გამახვილება არა პოლიტიკურ სტრუქტურებსა და ინსტიტუტებზე, არამედ პოლიტიკური ქცევის კონკრეტული გამოვლენის ანალიზზე. ამგვარი დამოკიდებულებისას კი ყველაზე ნაყოფიერია სწორედ ფუნქციური მიდგომა, რომელიც მოითხოვს რეალური პოლიტიკური პროცესების კვლევისას ამოვიდეთ თუ არა სტრუქტურებიდან, არამედ ფუნქციებიდან – მეტი ვიკვლიოთ ფუნქციები, ვიდრე სტრუქტურები. შემდეგ კი გამოვარკვიოთ ის, თუ რა სტრუქტურებითა და როგორი ხარისხით არის აღჭურვილი მოცემული პოლიტიკური სისტემა. მოკლედ რომ ვთქვათ, მსჯელობა ეხება ორ თანმიმდევრულ საკითხს: რა უნდა გააკეთოს პოლიტიკურმა სისტემამ – რა პოლიტიკური ფუნქციები უნდა შეასრულოს? და როგორ, რა წესით ახორციელებს ამ ფუნქციებს – რომელი სტრუქტურების დახმარებით და როგორი ეფექტურობით?

მაგრამ რა არის ფუნქცია? ტერმინ „ფუნქცია“ მრავალი მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ყველა გამოსადეგი არაა პოლიტიკური ანალიზისათვის. ასე მაგალითად, ამერიკელი სოციოლოგი რ. მერტონი გამოყოფს ფუნქციის ცნების ხუთ მნიშვნელობას:

1. **ფუნქცია, როგორც საზოგადოებრივი დავალება,** რომელიც დაკისრებული აქვს კონკრეტულ პირს.

2. **ფუნქცია, როგორც საქმიანობის სპეციალიზებული გვარი,** რომელიც ინდივიდის საქმიანობის მუდმივი წყაროა (უფრო ვიწრო გაგებით, ეს არის კონკრეტული თანამდებობა, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ სოციალურ სტატუსთან და როლური აქტივობის სფეროსთან). სოციოლოგიური ანალიზისათვის, – შენიშნავს მერტონი, – ეს ფრიად ფართო ცნებაა.

3. **ფუნქცია, როგორც მათემატიკურ მიმართებათა გამომხატველი,** როდესაც (ყველაზე გავრცელებული და ტრადიციული განსაზღვრების თანახმად) ცვლადი არის მეორე ცვლადისა თუ ცვლადთა სიმრავლის ფუნქცია, თუ მისი მნიშვნელობა ცალსახად განსაზღვრულია მეორე ცვლადის (-ების) მნიშვნელობით (-ებებით).

4. **ფუნქცია, როგორც სტრუქტურულ ერთეულთა კავშირის – სისტემის წარმომქმნელი პრინციპი.**

5. **ფუნქცია, როგორც ობიექტური შედეგი,** რომელიც კეთილსასურველია – სასარგებლოა სისტემის შემგუებლობისა და ინტეგრირებისათვის, განსხვავებით აქტორთა (მოქმედთა) სუბიექტური ჩანაფიქრისაგან, რითაც იწყებენ ისინი ფუნქციობის შესახებ საკუთარ წარმოდგენათა რეალიზაციას.

პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთი მკვლევარის რ. შვარცენბერგის აზრით კი, ტერმინი „ფუნქცია“ სამი ურთიერთგანსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება:

**1. ფუნქციის ზოგადი – გამოყენებითი მნიშვნელობა,** როდესაც იგი აღნიშნავს პროფესიას, ხელობას, თანამდებობას. მაგალითად, ამბობენ, რომ ამა თუ იმ მეცნიერს დაკისრებული აქვს რექტორის ფუნქციები, ან რომელიმე მოღვაწე დაინიშნა თანამდებობაზე. არსობრივად ფუნქციასთან ახლოს დგას კიდევ „მოვალეობების სფერო“, რომელიც ეკისრება იმას, ვინც იკავებს შესაბამის პოსტს. მაგალითად, მინისტრის ფუნქციები მოიცავს სხვადასხვა მოვალეობის, დავალებისა და ა.შ. შესრულებას. ამ აზრით ამბობენ, რომ ესა თუ ის თანამდებობის პირი „უგულვებელყოფს თავის ფუნქციას“, თუ ის ვერ ასრულებს ყველა მოვალეობა-დავალებას, რომელიც დაკავშირებულია მის მიერ დაკავებულ პოსტთან.

**2. ფუნქციის მათემატიკური მნიშვნელობა.** მათემატიკური საზრისის მიხედვით, ფუნქცია არის ცნება, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას ორ ან რამდენიმე სიდიდეს შორის, როდესაც ერთი სიდიდის ნებისმიერი ცვლილება იწვევს მეორის ან სხვების ცვლილებას და მათი მხრიდან მოჰყვება ადაპტაცია. როდესაც ამბობენ, რომ X არის Y-ს ფუნქცია, ნიშნავს, რომ X დამოკიდებულია Y-ს მნიშვნელობაზე. ამგვარი გაგებისას ყურადღება ექცევა იმას, რომ ელემენტებს შორის არსებობს კავშირი, რომელიც ზემოქმედებს მათ ურთიერთდამოკიდებულებებზე.

რ. შვარცენბერგს მიაჩნია, რომ ე. დიურკემის ისეთი ცნობილი გამოკვლევა, როგორცაა „თვითმკვლელობა“ (1897 წ.), ფუნქციური ანალიზის სწორედ მათემატიკურ ტიპს მიეკუთვნება. როგორც ცნობილია, ე. დიურკემმა დაადგინა, რომ თვითმკვლელობათა პროცენტი დაკავშირებულია ოჯახურ მდგომარეობასთან, მაგალითად, მარტოხელები ხშირად სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებენ; შვილიანობა-უშვილობასთან, მაგალითად, უშვილოები, რომლებიც დაქორწინებული არიან, უფრო ხშირად იკლავენ თავს, ვიდრე ისინი, ვისაც შვილები ჰყავთ; სარწმუნოებასთან – კათოლიკეები უფრო იშვიათად იკლავენ თავს, ვიდრე პროტესტანტები.

ამგვარად, თვითმკვლელობისადმი ტენდენცია ვარიაციებს განიცდის იმისდა მიხედვით, თუ როგორ ფუნქციურ დამოკიდებულებაში იმყოფება იგი განსაზღვრულ სოციალურ კატეგორიასთან. დიურკემის სიტყვით, „თვითმკვლელობის ალბათობა უკუპროპორციულ დამოკიდებულებაშია იმ სოციალურ ჯგუფთა ინტეგრაციის ხარისხთან, რომელშიც ინდივიდი იმყოფება“, მაშასადამე, თვითმკვლელობასა და ინტეგრაციას შორის არსებობს ფუნქციური დამოკიდებულება.

**3. ფუნქციის ბიოლოგიური მნიშვნელობა.** რ. შვარცენბერგის აზრით, საზოგადოებრივ მეცნიერებაზე ფუნქციონალიზმის გავლენა განპირობებულია სწორედ „ფუნქციის“ ამ მესამე – ბიოლოგიური მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში სიტყვა ფუნქცია აღნიშნავს იმ „წვლილს, რომელიც ელემენტს შეაქვს იმ მთელის ორგანიზაციაში ან საქმიანობაში, რომლის ნაწილსაც იგი წარმოად-

გენს“. ფუნქციის ცნების ამგვარი გაგება უკავშირდება ბიოლოგიას – ცოცხალი ორგანიზმების შესწავლას. ადამიანის ორგანიზმისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ფუნქციების (სუნთქვის, კვებისა და ა.შ.) მსგავსად, არსებობს ფუნქციებიც, რომლებიც ხელს უწყობს საზოგადოების ორგანიზაციას, არსებობასა და საქმიანობას. საზოგადოება, ცოცხალი ორგანიზმის მსგავსად, ქმნის მთლიანობას, ხოლო მისი შემადგენელი ურთიერთდამოკიდებული ელემენტები კი ასრულებს განსაზღვრულ ფუნქციებს, რომლებიც პასუხობს ძირითად ფუნდამენტურ მოთხოვნებს. ფუნქციონალური მიდგომის საფუძველში ფუნქციის ცნების სწორედ ეს გაგება დევს.

ფუნქციონალიზმის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ჰ. სპენსერმა, ე. დიურკემმა, რომლის ნაშრომი „შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შესახებ“ – ამგვარ ფუნქციურ მიდგომას ემყარება. „გამოვიკვლიოთ თუ როგორია შრომის დანაწილების ფუნქცია – ნიშნავს გამოვარკვიოთ თუ როგორ მოთხოვნილებებს პასუხობს იგი“. დიურკემის აზრით, შრომის დანაწილება პასუხობს – აკმაყოფილებს სოციალური სოლიდარობის მოთხოვნილებებს რთულ და განვითარებულ საზოგადოებაში. ფუნქციური მიდგომის გამომუშავებაში ასევე დიდი როლი შეასრულეს: აბსოლუტური ფუნქციონალიზმის (ბ. მალინოვსკი და ა. რადკლიფ-ბრაუნი), რელატივისტური ფუნქციონალიზმისა (რ. მერტონი) და სტრუქტურული ფუნქციონალიზმის (ტ. პარსონსი) წარმომადგენლებმა. აქედან ჩვენ განვიხილავთ რ. მერტონის შეხედულებებს, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფუნქციური მიდგომის განვითარებასა და განმტკიცებაში. რაც შეეხება სტრუქტურულ ფუნქციონალიზმს, ჩვენ მას უფრო დანვრისებრი პოლიტიკური სისტემის ანალიზისას გავეცანით. აქ კი აღვნიშნავთ, რომ რელატივისტურისაგან განსხვავებით, იგი ამოდის არა საზოგადოების ელემენტებიდან, არამედ თვით საზოგადოებიდან და მას განიხილავს აბსტრაქტულად ან გლობალურად. აქ წინა პლანზე გამოდის ის ფუნდამენტური ფუნქციები – ფუნქციური იმპერატივები: ადაპტაცია, მიზნის მიღწევა, ინტეგრაცია და ლატენტიურობა, რომელთა უზრუნველყოფა აუცილებელია, რათა საზოგადოებამ არსებობა და განვითარება შეძლოს.

რ. მერტონს შეუმჩნეველი არ დარჩა არა მხოლოდ ტ. პარსონსის თეორიის აბსტრაქტულობა და უნივერსალურობა, რომლებიც გამოსადეგია ყველგან და ყოველთვის და ამიტომ ნაკლებად ეფექტურია საზოგადოების კონკრეტული მდგომარეობის გამოსაკვლევადაც, არამედ არც აბსოლუტური ფუნქციონალისტების: ბ. მალინოვსკისა და კ. რადკლიფ-ბრაუნის „ჰიპერფუნქციონალიზმი“. რ. მერტონის აზრით, „აბსოლუტური“ ფუნქციონალიზმი დაფუძნებულია სამ პოსტულატზე (დაშვებაზე):

**1. ესაა საზოგადოების ფუნქციური ერთიანობა.** ამ დაშვების მიხედვით, კულტურის ყველა ელემენტი და სოციალური საქმიანობის სახეები ფუნქციურია მთელი კულტურული და სოციალური სისტემისათვის. მართალია, ეს დაშვება უპირობოდ დასტურდება მცირერიცხოვან და ძლიერ ინტეგრირებულ პრიმიტიულ გაერთიანებებში – ჯგუფებში, მაგრამ თუ მას გამოვიყენებთ

რთული, დიფერენცირებული საზოგადოების მიმართ, მაშინ შეუძლებელია – ამბობს მერტონი, – ვამტკიცოთ, რომ ნებისმიერი საქმიანობა, – მოქმედება ასრულებს რაღაც მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელ და საჭირო ფუნქციას. თუმცა იმის დასაბუთება, რომ საზოგადოება ამა თუ იმ ხარისხით არ არის ინტეგრირებული და ერთიანი – ძალიან ძნელია, რამეთუ იგი სხვაგვარად ვერ იქნებოდა სისტემა – მიუხედავად ამისა, მერტონი თვლის, რომ სოციალური სისტემის ერთიანობის ხარისხი ემპირიულად უნდა განისაზღვრებოდეს. დელიკატური ფორმითაც კი იმის დაშვება, რომ სოციალურ სისტემას უნდა ახასიათებდეს ერთიანობა-ინტეგრაციის მაღალი დონე – ნიშნავს სავსებით მოვხსნათ ისეთი მნიშვნელოვანი, თეორიული და ემპირიული საკითხები, როგორცაა: ერთიანობა-ინტეგრაციის როგორი დონეები არსებობს სხვადასხვა სისტემაში? ერთიანობა-ინტეგრაციის როგორი ტიპები შეიძლება განვასხვაოთ? ავლენს თუ არა სისტემის განსხვავებული სემანტიკები ერთიანობა-ინტეგრაციის განსხვავებულ დონესა და ხარისხს?

ამიტომ, – წერს მერტონი, – ფუნქციური ერთიანობის პოსტულირების ნაცვლად, უფრო საჭირო და აუცილებელია ყურადღება გავამახვილოთ სოციალური ინტეგრაციის ტიპების, ფორმების, დონეებისა და სფეროების მრავალსახეობასა და იმ მნიშვნელობებზე, რომლებიც მათ გააჩნიათ სოციალურ სისტემათა სპეციალიზებული სისტემებისათვის.

**2. სოციალურ საკითხთა ფუნქციური უნივერსალობის დაშვება.** ამ დავების არსი ისაა, რომ თუ მოქმედ სოციალურ სისტემაში არსებობს ესა თუ ის სოციალური ქვეგანყოფილება – ელემენტი, მაშინ მას უნდა ჰქონდეს დადებითი შედეგი სოციალური სისტემის ინტეგრაციისათვის. კულტურის ან საზოგადოების ყოველი ელემენტი ასრულებს ერთ ან რამდენიმე ფუნქციას. ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებს, თუ იგი არ პასუხობს მთელის რაღაც მოთხოვნებს. მაგალითად, მალინოვსკი წერს: „კულტურის ფუნქციური ანალიზი ამოდის პრინციპიდან, რომ ცივილიზაციის ყოველ ტიპში ნებისმიერი იდეა და რწმენა ასრულებს რაღაც სასიცოცხლო ფუნქციას, ხსნის რაღაც ამოცანას და წარმოადგენს ორგანული მთელის აუცილებელ ნაწილს“ (165, ტ. I, გვ. 141).

მაგრამ, შენიშნავს მერტონი, თუ ავიღებთ ემპირიულ სისტემას და ვეცდებით მის შესწავლას, მაშინ დავინახავთ, რომ მასში ემპირიულ შესაძლებლობათა გაცილებით ფართო სპექტრი არსებობს.

პირველი – ცალკეულ ელემენტებს ან ქვედანაყოფებს შეიძლება მთელი სისტემისათვის ჰქონდეთ ან არ ჰქონდეთ არა მხოლოდ დადებითი ფუნქციური მნიშვნელობა, არამედ შეიძლება გამოიწვიოს ცალკეულ ნაწილთა ან მთელი სისტემის დისფუნქციაც კი.

მეორე – ზოგიერთი ზემოქმედების მიმართ, რომელსაც აქვს ფუნქციის ან დისფუნქციის ხასიათი, აღიარებულია გარკვეული მოვალეობები. შესაბამისად, ისინი ითვლებიან „ცხად“ (ნათელ) ფუნქცია-დისფუნქციებად. მაშინ, როდესაც სხვა მოქმედებათა მიმართ არ არის რაიმე მოვალეობა აღიარებული და გაცნობიერებული – ამდენად, ისინი ითვლება, „ფარულ“, „ლატენტურ“ ფუნქცია-

დისფუნქციებად. ამგვარად, მალინოვსკისა და ბრაუნისაგან განსხვავებით, რომლებიც ტავტოლოგიის ხაფანგში ვარდებიან, მერტონი გვთავაზობს შევისწავლოთ როგორც აშკარა, ისე ფარული ფუნქციები, რომლებიც განსხვავებულ როლს ასრულებენ ინდივიდის, ქვეჯგუფების, უფრო რთული სოციალური სტრუქტურებისა და კულტურის მიმართ. ამით თანამედროვე ფუნქციონალიზმი თავისი ადრინდელი ფორმების უკიდურესობთა კომპენსაციას ახდენს და ყურადღებას ამახვილებს გავლენათა იმ ძირითად ტიპებზე, რომელთაც სოციალური სისტემის შემადგენელი ელემენტები და ქვეგანყოფილებანი ერთმანეთზე და თვით სოციალურ მთელზე ახდენენ.

**3. მესამე – სოციალურ სისტემებში ფუნქციური აუცილებლობის პოსტულატი.** ეს პოსტულატი გამომდინარეობს პირველი ორისაგან. თუ ყველაფერი სასარგებლოა მთელის ფუნქციობისათვის, მაშინ აუცილებელია, რომ საგნები იყოს ისეთი, რასაც ისინი წარმოადგენენ, რანიც ისინი არიან. მაშასადამე, კულტურის ან საზოგადოების ყოველი ელემენტი აუცილებელია. მერტონი კი ამგვარ მტკიცებას არასწორად, გადაჭარბებულად მიიჩნევს, სინამდვილეში ზოგიერთმა ელემენტმა შეიძლება დაკარგოს ყოველგვარი ფუნქცია, ან სავსებით შესაძლებელია დაფუშვება, რომ არც კი ჰქონია იგი, ასე რომ, ამგვარი ელემენტი სრულიადაც არ ატარებს საჭირო და აუცილებელ ხასიათს. ყოველ ელემენტში რაიმე ფუნქციის აღმოჩენის მისწრაფებას ხანდახან კურიოზულ და დაუჯერებელ ინტერპრეტირებამდეც კი მივყავართ. რ. შვარცენბერგის აზრით, ფუნქციონალისტებმა არ შეისმინეს ა. ტოკვილის რჩევა იმის თაობაზე, რომ ერთმანეთში არ უნდა აურიოთ შეჩვეული და აუცილებელი: „ის ინსტიტუტები, რომელთაც აუცილებელ ინსტიტუტებს ვუნოდებთ, ხშირად მხოლოდ ისეთი ინსტიტუტებია, რომელთაც შევეჩვიეთ“ (165, ტ. I, გვ. 142).

მერტონი სიყალბედ მიიჩნევს ნებისმიერ განცხადებას, რომელიც ამტკიცებს, რომ მხოლოდ განსაზღვრული ელემენტები და სტრუქტურები შეიძლება გამოგვადგეს სისტემური რეკვიზიტის (აუცილებელი) სახით. რამეთუ ემპირიული, კონკრეტული სამყაროს შესწავლისას ცხადი ხდება, რომ შეიძლება არსებობდეს „ალტერნატიული სტრუქტურები“, რომლებიც ერთნაირად ასრულებენ ფუნქციებს, ანუ ერთნაირი რეკვიზიტებია როგორც მსგავს, ისე განსხვავებულ სისტემებში. ამიტომ მერტონი თვლის, რომ ფუნქციური ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ სისტემაში მოქმედ „ფუნქციური ეკვივალენტების“, აგრეთვე „ფუნქციური“ შემცვლელების სხვადასხვა ტიპის მიმართ ინტერესს. ამით კი ფუნქციური ანალიზი სისტემის სოციალურ ქვეგანყოფილებებსა თუ ინსტიტუტებს არ თვლის აუცილებელ ელემენტად და, მაშასადამე, თავიდან იცილებს იმ ტავტოლოგიურ ხაფანგს, რომელიც მაშინვე იჩენს თავს, როგორც კი დაუშვებთ, რომ ეს ქვეგანყოფილებები არსებობს იმისთვის, რათა უზრუნველყონ სისტემის უწყვეტი არსებობა. გარდა ამისა, ფუნქციური ალტერნატივების ძიება მკვლევართა ანალიტიკურ ყურადღებას ყოველთვის იმ ქვეგანყოფილებათა თუ ელემენტთა „წრის“ საკითხზე წარმართავს, რომლებიც შეიძლება ფუნქციურ ეკვივალენტებად გამომდგარიყო. შემ-



დეგ, თუ ამ საკითხზე საჭირო გახდა პასუხის გაცემა, მაშინ მკვლევარმა უნდა განსაზღვროს, თუ რატომ იქნა არჩეული შესაძლებელ ალტერნატივებს შორის ერთ-ერთი, ამას კი, თავის მხრივ, მივყავართ „სტრუქტურული კონტექსტისა“ და „სტრუქტურული საზღვრების“ შესახებ საკითხებთან, რაც საშუალებას გვაძლევს ალტერნატივით ალტერნატივათა მთელი წრე და ავხსნათ თუ რატომ აქვს ერთ ქვეგანყოფილებას უპირატესობა მეორეზე. ამგვარად, დაასკვნის მერტონი, მხოლოდ ამ ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა შესწავლას შეუძლია შეგვიმსუბუქოს სტრუქტურულ ელემენტთა მიზეზებისა და შედეგების გამყოფი ანალიზის სიმძიმე.

ამგვარად, მერტონმა იმით, რომ შემოიტანა სამი ახალი ფუნქციური ცნება: ფინქციური ეკვივალენტი; დისფუნქცია; აშკარა და ლატენტური (ფარული) ფუნქცია, გაიზარდა ფუნქციური მიდგომის ქმედითუნარიანობა, რამაც დიდი ზეგავლენა იქონია როგორც სოციოლოგიის, ისე პოლიტიკური სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის განვითარებაზე. მოკლედ გავანალიზოთ თითოეული მათგანი:

**1. ფუნქციური ეკვივალენტი.** რომელიმე ქვეგანყოფილებას შეუძლია ფუნქციის მიხედვით შეცვალოს სხვა ელემენტი ან ქვეგანყოფილება, რომელიც მის ეკვივალენტად გამოდგება, ასრულებს რა იმავე საქმეს მასთან ერთად ან მის ნაცვლად. მერტონი წერს: „როგორც ერთ ელემენტს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფუნქცია, ისე ერთი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ურთიერთშემცვლელმა ელემენტებმა“ (იქვე); მაგალითად, პოლიტიკურ კლუბს შეუძლია თავის თავზე აიღოს პროგრამის შედგენა, როგორც ამას აკეთებს პარტია. მცირერიცხოვან პარტიას შეუძლია შეასრულოს რომელიმე სოციოპროფესიული კატეგორიის, „ინტერესთა არტიკულაციის“ ფუნქცია, როგორც ამას აკეთებენ ზენოლის ჯგუფები და ა.შ.

**2. დისფუნქცია.** შეიძლება ვთქვათ, რომ „ფუნქციები“ ხელს უწყობს, ხოლო დისფუნქციები ხელს უშლის სისტემათა რეგულაციასა და ადაპტაციას. როგორც მერტონი აღნიშნავს, „ფუნქციები – ესაა დაკვირვებადი ზემოქმედებანი, რომელთაც მიზნად აქვთ ხელი შეუწყონ მოცემული სისტემის ადაპტაციას ან რეგულირებას; დისფუნქციები კი – ესაა დაკვირვებადი შედეგები, რომლებიც ამდაბლებენ სისტემის ადაპტაციისა და რეგულირების უნარს“ (154, ტ. I, გვ. 202). მაშასადამე, ზოგიერთი სოციალური ან კულტურული ელემენტი-ფაქტორი შეიძლება საზიანო შედეგების მქონე და დამლუპველი აღმოჩნდეს და სისტემის სწორი ფუნქციონის მუხრუჭად იქცეს. მაგალითად, რომელიმე რელიგიურმა რწმენამ ან რიტუალმა შეიძლება ეკონომიკის განვითარებას არახელსაყრელი პირობები შეუქმნას და დაამუხრუჭოს ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

**3. ნათელი (ცხადი) და ლატენტური (ფარული) ფუნქციები.** აშკარა, ნათელი ფუნქციები – ესაა ობიექტური შედეგები, რომელიც ხელს უწყობს რა სისტემის რეგულირებასა და ადაპტაციას – სისტემის შემადგენელ ნევრთა მიერ გაცნობიერებული და აღიარებულია. აშკარა – ნათელი ფუნქციები გაცნობიერებული და აღიარებულია. შესაბამისად, ლატენტურია ფუნქციები,

რომელიც არც გაცნობიერებულია და არც აღიარებული. აშკარა – ნათელი ფუნქციები სავსებით შეგნებულად მიმართულია სისტემის რეგულირებასა და ადაპტაციაზე. ლატენტურ ფუნქციებსაც შეუძლია მიგვიყვანოს ასეთივე შედეგებამდე, ოღონდ გაუცნობიერებლად; გარე დამკვირვებლისათვის შესამჩნევი ლატენტური ფუნქციები ან დისფუნქციები საზოგადოების წევრთა მიერ არ ცნობიერდება. იმის გამო, რომ ფარული ფუნქციების გაცნობიერება არ ხდება, იგი ნაკლებმნიშვნელოვნად არ იქცევა და აუცილებელია მისი გათვალისწინება, რათა ღრმად ჩავწვდეთ საქმიანობისა და სტრუქტურის ყველა სახეს. აშკარა ფუნქციები დამახასიათებელია მოქმედებათა იმ მოდელებისათვის, რომელთა შედეგებს განსაზღვრული მიმართულება აქვთ და აღიარებულია მისი წევრების მიერ; ფარული ფუნქციების კი – ისინია, რომელთა შედეგებიც არ გამოირჩევა არც მიმართულებით, არც აღიარებითა და არც მონონებით. საომარ მოქმედებებს შეიძლება ჰქონდეს წარმართული – მიმართულების მქონე შედეგები, რომელიც შეიძლება არ იყოს სასურველი საზოგადოებრივი უშიშროების თვალსაზრისით. მაგალითად, ამერიკაში XX საუკუნის 60-70-იან წლებში სტუდენტური დემონსტრაციები ჩატარდა ვიეტნამში აშშ-ს სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ამერიკის კოლეჯებსა და უნივერსიტეტში სწავლების პროგრამებისა და პრაქტიკის შეცვლა. ასევე შეიძლება გამოვყოთ მოქმედებანი და გადაწყვეტილებანი, რომლებიც ფუნქციურია მთლიანად პოლიტიკური სისტემისათვის, მაგრამ დისფუნქციურია განსაზღვრული ჯგუფების ან ინდივიდების მიმართ. მაგალითად, სამხედრო ფორმირებების შექმნა შეიძლება ფუნქციური იყოს ქვეყნის უშიშროების თვალსაზრისით, მაგრამ დისფუნქციური აღმოჩნდეს ეკონომიკური სტაბილურობისათვის, რამეთუ ზედმეტი სამხედრო ხარჯები აღრმავებს ინფლაციას და სერიოზულ პრობლემებს უქმნის ხელფასზე მცხოვრებ ადამიანებს.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ლატენტური ფუნქციები და დისფუნქციები საზოგადოების წევრთა მიერ არ დაიკვირვება და არ ცნობიერდება, მერტონი იყენებს ტ. ვებლენის მიერ ჩატარებულ „საჩვენებელი მოხმარების“ ანალიზს, რომელიც გადმოცემულია წიგნში „Теория праздного класса (1984г. М)“. რატომ ყიდულობენ ადამიანები ძვირფას საქონელს: ხიზილალას, ვერცხლის კოვზებს და ა.შ.? – კითხულობს ვებლენი და პასუხად მიუთითებს არაცხად ტოლობას: მომხმარებელი ძვირფას საქონელს ყიდულობს არა იმიტომ, რომ ისინი საუკეთესო ხარისხისაა, არამედ იმიტომ, რომ ისინი ძვირია. საჩვენებელი მოხმარება მიმართულია სოციალურ იერარქიულ კიბეზე თავისი ადგილის ამაღლებასა და განმტკიცებაზე. ამით ინდივიდები ცდილობენ მატერიალური კეთილდღეობის, სიმდიდრის სიმბოლიზებას და, შესაბამისად, სტატუსის მოპოვებას ან შენარჩუნებას. თვით მერტონი კი აანალიზებს აშშ-ში არსებული პოლიტიკური მექანიზმის ფარულ-ლატენტურ ფუნქციებს, რომელთაც ქვემოთ შევხებით.

ამგვარად, ფუნქციის ცნებისა და ფუნქციური მიდგომის თავისებურებების ანალიზის შემდეგ შეგვიძლია უშუალოდ გადავიდეთ პოლიტიკური სისტემის ფუნქციების დახასიათებაზე. პოლიტიკის მეცნიერების სფეროში ფუნქციო-

ნალისტთა სკოლის მეთაურია გებრიელ ალმონდი, რომლის ნაშრომებშიც მოცემულია პოლიტიკური სისტემის ფუნქციების ამომწურავი დახასიათება; თითქმის არ არსებობს გამოკვლევა პოლიტიკური სისტემის ფუნქციების თაობაზე, რომელიც გ. ალმონდის ისეთი ნაშრომებიდან არ ამოდიოდეს, როგორცაა: „პოლიტიკური განვითარება. ევრისტიკული თეორიის ნარკვევები“, 1970 წ., „პოლიტიკა განვითარებულ რეგიონებში“ (ჯ. კოულმანთან ერთად, 1960 წ.), „სამოქალაქო კულტურა“ (ვერბასთან ერთად, 1963 წ.) და სხვა.

რ. შვარცენბერგის აზრით, პოლიტიკური სისტემის ფუნქციობისადმი გ. ალმონდის ფუნქციური მიდგომა საშუალებას გვაძლევს განვასხვაოთ მასში კვლევის სამი დონე:

1. პოლიტიკური სისტემის განხილვა გაერმოსთან ურთიერთკავშირში;
2. პოლიტიკური სისტემის განხილვა მის შინაგან ფუნქციობაში;
3. პოლიტიკური სისტემის განხილვა მის ადაპტაციასა და არსებობის შენარჩუნებაში.

რაც შეეხება პ. შარანს, იგი მხოლოდ ორი დონის არსებობაზე საუბრობს. ჩვენი აზრით, უფრო მისაღებია რ. შვარცენბერგისეული სქემით აღნიშნული პრობლემის განხილვა.

## **პოლიტიკური სისტემის შესაძლებლობები და უნარი**

პოლიტიკური სისტემის შესაძლებლობისა თუ უნართა ქვეშ ძირითადად იგულისხმება მთავრობის გავლენა და ძალაუფლება საზოგადოებაზე, ძირითადად, პოლიტიკურ მიზანთა მოღწევის საქმეში მოქალაქეთა გონებასა და მოქმედებაზე გავლენის დონე. პოლიტიკური სისტემის ეს უნარი თუ შესაძლებლობები დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ რესურსებზე, ნდობაზე, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებების გაგებაზე, ადამიანთა შორის კეთილმოსურნეობასა და გულისხმიერებაზე. სისტემის შესაძლებლობებისა და უნართა ტიპოლოგიის თაობაზე არ არის აზრთა იგივეობა, მაგალითად, რ. შვარცენბერგი ოთხ, ხოლო პ. შარანი ხუთ ტიპს ჩამოთვლის, თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, შევეცდებით, გავითვალისწინოთ ორივეს მოსაზრებები.

მიღებულია, რომ სისტემის შესაძლებლობანი, მისი უნარები იმისდა მიხედვით, თუ როგორია ხელისუფლების შემადგენელ ელემენტთა ურთიერთქმედება, შეიძლება ძალიან ძლიერი იყოს ერთ შემთხვევაში და განსაკუთრებით სუსტი – მეორე შემთხვევაში. ამიტომ, როცა გვინდა შევაფასოთ პოლიტიკური სისტემა, აუცილებელია მისი განხილვა მის კონკრეტულ უნართა და შესაძლებლობათა ურთიერთკავშირში. იმისათვის, რათა სისტემამ ეფექტურად იმოქმედოს, აუცილებელია მოქმედებაში მოიყვანოს შემდეგი უნარები:

**1. ექსტრაქციული შესაძლებლობა** – ესაა პოლიტიკური სისტემის უნარი, ამოქმედოს (ამოიღოს) ადამიანური და მატერიალური რესურსები (აღამიანთა ტალანტი, მხარდაჭერა, ფული) გარკვეული მიზნებისათვის. ნებისმიერ სისტემას უნდა შეეძლოს თავისი ფუნქციონისათვის აუცილებელი რესურსების ამოღება შინაგანი და გარეგანი გარემოდან: ეკონომიკური და ფინანსური საშუალებები, პოლიტიკური მხარდაჭერა და ა.შ. მაგალითად, საგადასახადო უწყება იღებს ფინანსურ საშუალებებსა და რესურსებს.

**2. მარეგულირებელი შესაძლებლობა** – ესაა საზოგადოებაში ცალკეული ადამიანისა და ჯგუფთა ქცევის კონტროლი, თვით საზოგადოების რეგულირების უნარი. ძირითადად, იგი ეხება ინდივიდებისა და ჯგუფების ქცევების მართვასა და კოორდინაციას. ამ შესაძლებლობების რეალიზაცია ხორციელდება ნორმების შემოტანა-დანესებით, ადმინისტრაციისა და სასამართლოებისა და ა.შ. მოქმედებათა მეშვეობით. „მარეგულირებელი უნარი“ შეიძლება იყოს მეტად ან ნაკლებად ძლიერი. ტოტალიტარულ სისტემებში მისი მიზანია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება და კონტროლისადმი დაქვემდებარება. ლიბერალურ სისტემებში კი კონტროლი ვრცელდება უფრო შეზღუდულ სფეროებზე. ამგვარი სისტემები აღიარებს ინდივიდთა და ქვესისტემათა მოქმედების ავტონომიას და შედარებით ავტოკეფალურია.

**3. დისტრიბუციული შესაძლებლობა** – ესაა საზოგადოებაში მატერიალური და არამატერიალური ღირებულებების (ფასეულობების) შექმნის, განლაგებისა და განაწილების უნარი. მაგალითად, დოტაციების გამოყოფა, დაჯილდოება, იმ უწყებებისა და სამსახურების დაფინანსება, რომლებიც ემსახურება განათლებას, სამართლის წარმოებასა და ა.შ. ჩვეულებრივ, თვლიან, რომ განაწილება ესაა გარემოდან მიღებულ რესურსთა ხელახალი გადანაწილება. მაგალითად, საგადასახადო სისტემა, როგორც მომპოვებელი მექანიზმი, თავის მხრივ, ხელს უწყობს შემოსავალთა გადანაწილებას. მაგრამ თვით პოლიტიკური სისტემაც აგრეთვე მოიხმარს იმ რესურსთა ნაწილს, რომელსაც იგი მოიპოვებს; მაგალითად, ფინანსურ რესურსთა ნაწილი მოიხმარება ადმინისტრაციულ-მმართველობითი და სამხედრო პერსონალის ხელფასის სახით.

**4. მარეაგირებელი შესაძლებლობა** – ესაა პოლიტიკური სისტემის უნარი, რეაგირება მოახდინოს მოთხოვნებზე, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფისაგან მომდინარეობს. ამ უნარის დახმარებით სისტემა „პასუხობს“ გარემოდან მომდინარე იმპულსებს, განსაკუთრებით იმ მოთხოვნებს, რომელთაც ცალკეული პირი ან ჯგუფები აყენებენ. ზოგიერთი პოლიტიკური სისტემა ხასიათდება ძლიერი მარეაგირებელი უნარით, შესაბამისად, ადაპტირებასაც სწრაფად აღწევს, სხვების კი, პირიქით, უფრო მოუხეშავი და სუსტი მარეაგირებელი უნარი აქვთ, რაც აძნელებს ადაპტირების პროცესს.

**5. მასიმბოლიზებელი შესაძლებლობა** – ესაა პოლიტიკური სისტემის უნარი, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ლეგიტიმურობისა და მხარდაჭერის მოთხოვნებთან; ესაა სისტემის უნარი, ხელი შეუწყოს პოლიტიკური შეხედულებების, რწმენისა და თვით პოლიტიკური მითების განვითარებას, წამოაყენოს

ნათელი, მისაღები ლოზუნგები და სიმბოლოები და მათი მეშვეობით შეძლოს ადამიანთა ცნობიერების მანიპულირება პოლიტიკური რეჟიმის ლეგიტიმურობის მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით

პოლიტიკური სისტემის ამ შესაძლებლობებთან, ანუ უნარებთან, დაკავშირებულია თვით სისტემის ეფექტურობის ასპექტიც, რომელიც ზოგადად შედეგიანობასა და ფასეულობათა შექმნასა და განლაგება-განაწილებაში გამოიხატება. როგორც სისტემის შესაძლებლობანი, ისე მისი შედარებითი ეფექტურობაც, შესაძლებელია, შეფასდეს ფაქტობრივი საქმიანობის საფუძველზე – იმ საქმის თავსაზრისით, რომლისათვისაც ისინი გამიზნულია, აგრეთვე პოლიტიკური ელიტის მიერ დასახულ მიზანთა თვალსაზრისით. პ. შარანის აზრით, პოლიტიკის ნებისმიერ სფეროში ეფექტურობის მისაღწევად აუცილებელია სამი თვისების არსებობა:

**1. პოლიტიკის თავის დროზე შემუშავებისა და გადანყვეტილებათა მიღების უნარი მაშინ და იქ, როდესაც და სადაც ისინი აუცილებელია.** მართალია, დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში ეს თვისება არასაკმარისადაა განვითარებული (კრიზისულ სიტუაციათა გარდა), მაგრამ დემოკრატიული სისტემა გაცილებით მაღალ დონეზეა ეფექტურობის სხვა კრიტერიუმების მიხედვით.

**2. დადებითი შედეგის უზრუნველმყოფი ეფექტური პოლიტიკის შემუშავების უნარი.**

**3. ამ პოლიტიკის ცხოვრებაში წარმატებით გატარების უნარი და რაც არსებითია, ქალაქდზე დაწერილის მოქმედების რეალურ პროგრამად გარდასახვის უნარი.**

ყველა ამ უნარისა და შესაძლებლობის ეფექტური გამოყენება პოლიტიკური სისტემის წარმატებით ფუნქციონირების საწინდარია, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს საზოგადოებაში მომხდარი სერიოზული ცვლილებების მიმართ სწრაფ ადაპტირებას.

## **პოლიტიკური სისტემის კონვერსიული ფუნქციები**

პოლიტიკური სისტემის შინაგანი ფუნქციონირების აღწერისას, ჩამოთვლიან კონვერსიის ფუნქციებს, რომელთა მეშვეობითაც აღწევს სისტემა „შესასვლელში“ მიღებული იმპულსები „გასასვლელში“ უკვე წარმოებულ პროდუქტებად გარდაქმნას... ამგვარი ფუნქცია ექვსია:

1. ინტერესთა არტიკულაცია (გამოხატვა);
2. ინტერესთა აგრეგირება (შეერთება);
3. ნორმათა შემუშავება;
4. ნორმებისა და წესების გამოყენება;

5. წესების გამოყენებაზე კონტროლი;

6. პოლიტიკური კომუნიკაცია.

აქედან პირველი ორი მიეკუთვნება „შემავალ“, ხოლო დანარჩენი ოთხი – „გამომავალ“ ფუნქციებს. ამ ფუნქციების შესწავლისას ყურადღებას იპყრობს ორი ძირითადი მექანიზმის მნიშვნელობა, რომლებიც აუცილებლად არსებობს სახელმწიფოებრივი მართვის ნებისმიერ სისტემაში. პირველი – ესაა მაკონტროლებელი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ფიქსირდება სისტემის მოძრაობაში მომყვანი მოთხოვნები და მხარდაჭერა.

მეორე – ესაა კონვერსიული (გარდაქმნელი) მექანიზმის არსებობა, რომელიც შემავალ იმპულსებს – შერჩევის, შეზღუდვისა და მონესრიგების პროცესში გარდაქმნის გამომავალ პროდუქტებად. ამგვარი მექანიზმი დინამიკურია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დ. ისტონი განასხვავებს პოლიტიკურ სისტემაში შემავალ ორი ტიპის იმპულსებს: მოთხოვნებსა და მხარდაჭერას, რომელთა გარდაქმნაც ხდება შემდეგ გამომავალ პროდუქტებად. ქვემოთ მოყვანილია მოთხოვნათა კლასიფიკაცია, რომლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მათ მრავლსახეობასა და დიაპაზონზე:

1. მოთხოვნები, რომელიც ეხება დოვლათისა და მომსახურების განაწილებას (მოთხოვნები ხელფასისა და სამუშაო დროის შესახებ კანონთა მიღების თაობაზე, განათლების შესაძლებლობათა გაფართოების შესახებ, გზებისა და მიმოსვლის საშუალებების გაუმჯობესების შესახებ);

2. მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანთა ქცევების რეგულირებასთან (საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბაზრებზე კონტროლი, საკანონმდებლო ნორმები ქორწინების, ჯანმრთელობის დაცვის სფეროებში, სანიტარიული პირობების გაუმჯობესება);

3. მოთხოვნები კომუნიკაციისა და ინფორმაციის სფეროებში (შესაბამისი ნორმების დამტკიცება, ინფორმაციის მონოდება პოლიტიკის ფუნდამენტურ მიზანთა შესახებ იმათ მიერ, ვინც ამ პოლიტიკას იმუშავებს, პოლიტიკური სისტემის ძალის ძლევამოსილების დემონსტრირების შესახებ საშიშროებათა პერიოდებში ან ზეიმებისა და აღლუმების დროს);

შემავალ იმპულსთა მეორე ტიპია მხარდაჭერა. მხოლოდ ერთი მოთხოვნები არაა საკმარისი პოლიტიკური სისტემის ჰარმონიული მუშაობისთვის. ისინი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელთა გადამუშავების შედეგად მიიღება საბოლოო პროდუქტები, რომლებიც გადანყვეტილებებად იწოდება. მის გარდა პოლიტიკურ სისტემას სჭირდება მხარდაჭერა. მისი დაჯგუფება შესაძლებელია შემდეგი მიმართულებებით:

1. მატერიალური მხარდაჭერა, რომელიც გამოიხატება გადასახადთა დროულ გადახდასა და სხვა ბეგარის შესრულებაში, პოლიტიკური სისტემებისადმი სამსახურში, მაგალითად, შრომა საზოგადოებრივ საწყისებზე ან სამხედრო მოვალეობის პირნათლად მოხდა.

2. კანონთა და დირექტივათა განუხრელი დაცვა.

3. აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში (ხმის მიცემა, პოლიტიკურ დისკუსიებში მონაწილეობა და სხვა).

4. ოფიციალური ინფორმაციებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ხელისუფალთა მიმართ მონივნება, აგრეთვე სახელმწიფოებრივი სიმბოლიკისა და ოფიციალური ცერემონიებისადმი პატივისცემა.

ახლა უფრო დაწვრილებით განვიხილოთ პოლიტიკური სისტემის „შემავალი“ და „გამომავალი“ ფუნქციები.

**„შემავალი“ ფუნქციები.** პირველ რიგში, საუბარი ეხება ინტერესთა გამოთქმის ფუნქციებს, რომელთაც ალმონდი და პაუელი „ინტერესთა არტიკულაციას“ უწოდებენ. მისი დახმარებით ინდივიდები და სოციალური ჯგუფები აყალიბებენ თავიანთ მოთხოვნებს იმ პოლიტიკოსთა მიმართ, რომლებიც გადანყვეტილებას იღებენ. ასეთია საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის დამაკავშირებელი „კონვერსიის პროცესის პირველი ფუნქციური ეტაპი“, ინტერესთა არტიკულაციის მეთოდები და წესები, იმისდა მიხედვით იცვლება, თუ როგორ პოლიტიკურ კულტურასთან გვაქვს საქმე. ამგვარად, „ინტერესთა არტიკულაცია“ ეწოდება პროცესს, რომლის მეშვეობითაც ინდივიდები და ჯგუფები მოთხოვნებს უყენებენ პოლიტიკური გადანყვეტილებების მომღებ პირთ. იგი შეიძლება განხორციელდეს განსხვავებული წესებითა და სტრუქტურებით, ამას კი არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ აქ გადის ზღვარი საზოგადოებასა და პოლიტიკურ სისტემას შორის. ინტერესთა არტიკულაცია დამახასიათებელია და განეკუთვნება ფრიად ურთიერთგანსხვავებულ სტრუქტურებს – დანყვეტილი ბრბოდან, ვაჭრობის მუშაკთა ყრილობით დამთავრებული. თუ რეგიონული და ნათესაური კავშირებით გაერთიანებული ჯგუფები მუდამ მოქმედებენ არაფორმალური და არამუდმივი არხების მეშვეობით, მაშინ ასოცირებული ჯგუფები ჩვეულებრივ თავიანთ ინტერესებს გამოთქვამენ რეგულარულ და კანონიერ არხთა გზით.

შემდეგ მოდის ინტერესთა აგრეგაციის ფუნქცია. ცალკეული ინდივიდის ან ჯგუფთა „არტიკულირებული“, ანუ გამოთქმული ინტერესები მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ამიტომ აუცილებელია მათი გაერთგვაროვნება, მნიშვნელობის მიხედვით განაწილება და გამარტივება. ამგვარი წესით დამუშავებული ინტერესები საჭიროა გაერთიანდეს, გარკვეულ კომბინაციებს დაექვემდებაროს და ჰარმონიულად დაუკავშირდეს ერთმანეთს. სხვაგვარად, ესაა ფუნქცია, რომელიც „მოთხოვნათა ზოგად პოლიტიკურ ენაზე თარგმნაში“ მდგომარეობს.

მოთხოვნათა საზოგადოებრივი პოლიტიკის ალტერნატივებად გარდაქმნის ფუნქცია იწოდება სწორედ ინტერესთა აგრეგირების ფუნქციად. როდესაც პოლიტიკური პარტია აერთიანებს ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნებს, უკავშირდება მათ კომპრომისის მიღწევის გზით, ხოლო შემდეგ ყოველივეს ამას გამოთქვამს პოლიტიკური განცხადების ფორმით, ამით იგი ინტერესთა აგრეგირებას ახდენს.

ამის თაობაზე ალმონდი წერს: „ჩვენ მიერ მოცემულ განსაზღვრებაში დავტოვეთ ტერმინი „აგრეგაცია“ კომბინირებულ პროცესთა ყველაზე განმაზოგადებელ დონეებთან მიმართებაში, დარჩა ასევე ტერმინი „არტიკულაცია“ უფრო განსაზღვრულ ინტერესთა გამოთქმის მიმართ. არ შეიძლება ინტერესთა არტიკულაცია დაფუკავშიროთ მხოლოდ ზენოლის ჯგუფებს, ხოლო ინტერესთა აგრეგაცია – პოლიტიკურ პარტიებს, თუმცა თანამედროვე განვითარებულ სისტემაში ეს ფუნქციები სწორედ ამ ინსტიტუტთა ფუნქციებია. პარტიათა სისტემა სწორედ აგრეგაციის ფუნქციის შემსრულებელ თანამედროვე სტრუქტურას წარმოადგენს“.

აგრეგაციის ფუნქცია და ინტერესთა შეჯამება წარმოადგენს ინტერესთა არტიკულაციასა და წესთა – ნორმათა შემუშავებას შორის თითქოსდა „გადასასვლელ ხიდს“. როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში ინტერესთა არტიკულაციას ძირითადად „ასოციაციური“ დაინტერესებული ჯგუფები მიმართავენ. პარტიათა სისტემა უზრუნველყოფს ინტერესთა აგრეგირებას, ხოლო მთავრობა და პარლამენტი კი აკეთებს საბოლოო არჩევანს, რომელიც ადამიანთა ურთიერთობების მარეგულირებელ წესად და ნორმად იქცევა.

ახლა კი დავახასიათოთ გამომავალი ფუნქციები, რომელთაც ზოგი „სამთავრობო ფუნქციებს“, ზოგი კი პოლიტიკური სისტემის „მთავარ ფუნქციებს“ უწოდებს: **ნორმათშემოქმედების, წესების გამოყენების, წესების გამოყენების დაცვაზე კონტროლის** ფუნქციების დახასიათება.

1. **ნორმათშემოქმედების ფუნქცია** ავტორიტეტულ წესთა განვითარების პროცესებს მოიცავს. მუშავდება კანონები, რომლებიც ფაქტობრივად განსაზღვრავს საზოგადოებაში ადამიანთა და ჯგუფთა ქცევის სამართლებრივ ნორმებს. „ნორმათშემოქმედება“ გავრცელდა იმიტომ, რომ ტერმინი „კანონმდებლობა“ გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოთა კომპეტენციის სფეროში არსებულ ფუნქციას, მაშინ, როდესაც ავტორიტარულ სისტემათა უმრავლესობაში ესაა აღმასრულებელ ორგანოთა, ხოლო უმრავლეს დემოკრატიულ სისტემაში კი – ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ორგანოს პრეროგატივა. როგორც წესი, გადაწყვეტილებათა მიღების მთელი პროცესებისათვის დამახასიათებელია ნორმათშემოქმედების რამდენიმე ეტაპი, პირველი მოიცავს პოლიტიკის შემუშავებას, საერთო მიზნისა და მისი მიღწევის სტრატეგიის არჩევანს. მეორე ეტაპზე კი ხორციელდება მიზნის მიღწევისა და სტრატეგიის განხორციელებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების, კონკრეტული წესების შემუშავება და რეალიზაცია. მაგალითად, ეკონომიკური პოლიტიკის საბოლოო მიზანი შეიძლება უმუშევრობის დონის შემცირება და ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლება იყოს. ამ ამოცანების ცხოვრებაში გატარებას მოჰყვება საგადასახადო სისტემაში სპეციალური კანონების მიღება და სხვა ანალოგიური ზომები.

2. **„წესების გამოყენების“ ფუნქცია** გულისხმობს წესების, ანუ კანონების მოქმედებაში მოყვანას. მრავალ პოლიტიკურ სისტემაში ეს მოქმედების სტიმულს აძლევს არა მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებსა და ადმინისტრაციულ



ბიუროკრატია, არამედ საკანონმდებლო და სამართლებრივ სტრუქტურებსაც, ვინაიდან სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ ამოინურება კანონთა მიღებით. წესების პრაქტიკულმა რეალიზაციამ შეიძლება ნორმათშემოქმედებაში შექმნას გარკვეული გადანყვეტილებების მიღების აუცილებლობა; ამიტომ შეუძლებელია ზღვრის გატარება წესთა შემუშავებასა და მათ გამოყენებას შორის.

3. „წესების დაცვაზე კონტროლის ფუნქცია“ მოიცავს კანონთა და მოქმედებათა ინტერპრეტაციას, მოცემული წესის დარღვევის ფაქტის განსაზღვრას, აგრეთვე შესატყვისი სასჯელის დადების მიზნით. მართალია, კონტროლის ფუნქცია უპირატესად სასამართლო ორგანოების კომპეტენციაა. მიუხედავად ამისა, შეიძლება აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს ჰქონდეთ მადომინირებელი როლი სამართლებრივ პროცესში. თავის მხრივ, სასამართლომ, იმის მიხედვით, თუ როგორი გავლენა აქვს მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში, შეუძლია შეასრულოს კანონთა ან პოლიტიკის გამომუშავების ფუნქცია. მაგალითად, აშშ-ს უზენაესი სასამართლო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი. კონსტიტუციის ინტერპრეტირების უფლების წყალობით იგი სერიოზულ როლს ასრულებს ნორმათშემოქმედებაში, რამეთუ უფლებამოსილია გააუქმოს, შეცვალოს და რატიფიკაცია გაუკეთოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების მიერ კონსტიტუციურ საფუძველზე მიღებულ კანონებსა და დადგენილებებს.

დაბოლოს, მოკლედ შევეხოთ „გამომავალ“ მეოთხე ფუნქციას: **პოლიტიკურ კომუნიკაციას**, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური ინფორმაციის გავრცელებას, გადაცემას მმართველთა და მართულთა, აგრეთვე პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტს შორის. არსებითად, ეს ფუნქცია, რომელიც აქ კლასიფიცირებულია როგორც „გამომავალი ფუნქცია“, მოქმედებს ორი მიმართულებით. იგი ახორციელებს ორმხრივ კავშირს, ურთიერთგაცვლას მმართველთა და მართულთა შორის.

## **პოლიტიკური სისტემის ადაპტაციისა და არსებობის შენარჩუნების უნარი**

ფუნქციებს, რომლებიც ხელს უწყობს პოლიტიკური სისტემის არსებობის შენარჩუნებასა და ადაპტაციას, პოლიტიკურ რეკრუტირებასა და პოლიტიკურ სოციალიზაციას უწოდებენ.

**პოლიტიკური რეკრუტირება (განვევა)** – ესაა პროცესი, რომლის მეშვეობთაც მზადდება და შეირჩევა პერსონალი, რომელიც შემდეგ თავის თავზე იღებს მთავარ როლს პოლიტიკაში. ნებისმიერმა, რამდენადმე დიფერენცირებულმა პოლიტიკურმა სისტემამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს პოლიტიკური

როლების დიდი რაოდენობის შესრულება იმ ინდივიდების მიერ, რომლებსათვისაც იგი საქმიანობის მთავარ ფუნქციად იქცევა.

საიდან ირჩევენ პოლიტიკურ როლთა შემსრულებლებს? როგორი მექანიზმების დახმარებით შეირჩევიან და მზადდებიან ისინი? როგორია პოლიტიკური პერსონალის რეკრუტირების მეთოდები? აი, საკითხები, რომლებიც აუცილებელია დავესვათ მოცემული ფუნქციების შესწავლისას.

**პოლიტიკური სოციალიზაცია.** სოციალიზაცია, ესაა პროცესი, რომლის დახმარებითაც ხდება სოციალურ როლთა ათვისება, ანუ ინტერიორიზაცია. მთელი სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი ახდენს მათ ინტერიორიზაციას და თავისი პიროვნების შემადგენელ ნაწილად აქცევს მათ.

**კულტურულ მოდელთა ინტერიორიზაცია – აი, მთავარი.** ამრიგად, სოციალიზაცია – ესაა ცოდნის, მრწამსის, გრძნობების, ე.ი. არსებობის, გაგებისა და გრძნობის იმ წესთა ათვისება-მოპოვება, რომლებიც მიეკუთვნება – ახასიათებს სწორედ იმ საზოგადოებას, სადაც ადამიანი ცხოვრობს. სოციალიზაცია – ესაა ინდივიდის მიერ სოციალური გარემოსადმი ადაპტირება. სოციალიზებული ადამიანი „ეკუთვნის“ თავის „გარემოს“. იგი იზიარებს თავისი ჯგუფის მრავალ შეხედულებას, ღირებულებებს, გემოვნებას.

პოლიტიკის დონეზე კვლავ მეორდება და ვლინდება იგივე პროცესი. პოლიტიკური სოციალიზაციის გზით პოლიტიკური კულტურა ინერგება ინდივიდთა ცხოვრებაში და გადაეცემათ იმ ადამიანებს, რომლებიც ითვისებენ პოლიტიკური სისტემის მიმართ განსაზღვრულ ღირებულებებს, ორიენტაციებსა და პოზიციებს. პოლიტიკური კულტურა ეს ძირითადად პოლიტიკურ პოზიციათა ერთობლიობაა. პოზიცია კი ნიშნავს წინასწარგანწყობას – მიდრეკილებას ან მზაობასაც კი იმოქმედო ასე და არა სხვაგვარად. პოზიცია ეს არის იმის ალბათობა, რომ განსაზღვრული ტიპის სიტუაციას შესაბამისი ქცევა მოჰყვება. ამიტომ პოლიტიკური პოზიცია ნიშნავს მზაობას, წინასწარგანწყობას, ფარულ მიდრეკილებას გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციაში იმოქმედო განსაზღვრული წესით. მაგალითად, ნაციონალიზმი არის პოზიცია – გარკვეულ პოზიციებთან შეჯახებისას იგი პროვოცირებას უკეთებს გარკვეულ მოქმედებას.

პოლიტიკურ სოციალიზაციას, ანუ პოლიტიკური კულტურის დაუფლებასა და ათვისებას არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონებისათვის. ამიტომ უმჯობესი იქნება თუ ამ საკითხს ცალკე გავაანალიზებთ და გავარკვევთ მათ რაობასა და როლს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონებისათვის.

## თავი VI

### პოლიტიკური კომუნიკაცია და საზოგადოება

კომუნიკაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია ნებისმიერი სისტემისათვის. იგი თანამედროვე ორგანიზაციული სისტემის სწორი ფუნქციონირების ერთ-ერთი უმთავრესი პირობაა. კომუნიკაციათა ნაკადი განსაზღვრავს სოციალური განვითარების მიმართულებასა და დინამიკას. კომუნიკაციების სტრუქტურის, შინაარსისა და ნაკადის თვალსაზრისით შეიძლება გავანალიზოთ ყველა სოციალური პროცესი. ადამიანთა შორის კომუნიკაციის გარეშე საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაციურ პროცესთა ანალიზი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის ერთ-ერთი წესი და საშუალებაა. ფართო გაგებით, კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ყოვლისმომცველი ასპექტია.

ვინრო გაგებით, კომუნიკაცია – ესაა აზრის გადაცემა სიმბოლოების დახმარებით. მისი მეშვეობით ინდივიდი ან ჯგუფი აცნობებს მეორე ინდივიდს ან ჯგუფს თავის დამოკიდებულებას კონკრეტულ საკითხზე. კომუნიკაცია მრავალი გზითა და საშუალებით ხორციელდება – იქნება ეს ფერწერის, მუსიკის ქმნილებები, მათემატიკური სიმბოლოები, ჟესტები თუ სახის გამომეტყველება და ა.შ., მაგრამ კომუნიკაციის ყველაზე ზოგად ფორმას საზოგადოებაში წარმოადგენს ზეპირი და წერიტი მეტყველება, ანუ ენობრივი კომუნიკაცია. ფართო გაგებით, კომუნიკაციის პროცესი მოიცავს ყველა იმ მეთოდს, რომელთა დახმარებითაც ერთ ინტელექტს შეუძლია მეორეზე გავლენის მოხდენა.

ხშირად სიტყვებს უფრო დიდი რეზონანსი აქვს, ვიდრე მოქმედებებს, განსაკუთრებით დემოკრატიული პოლიტიკის სფეროში. უფრო მეტიც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმაციის საშუალებების კონტროლი ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. სწორედ მოთხოვნების გამოთქმა და არა ძალის გამოყენება აძლევს სტიმულს საპასუხო პოლიტიკურ რეაქციას, ამიტომ უფრო მისაღები იქნება თუ განვიხილავთ კავშირს კომუნიკაციასა და პოლიტიკურ საქმიანობას შორის. **„პოლიტიკური კომუნიკაცია, –წერს რ. შვარცენბერგი, – არის პოლიტიკური ინფორმაციის გადაცემის პროცესი, რომლის წყალობითაც იგი მოძრაობს პოლიტიკური სისტემის ერთი ნაწილიდან მეორეში და ბრუნავს პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ სისტემას შორის“ (165, ტ. I, გვ. 174).** პოლიტიკურ კომუნიკაციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მმართველებსა და მართულებს შორის ინფორმაციის გაცვლას გარკვეული კონსენსუსის მიღწევის მიზნით. ყოველი მმართველი ისწრაფვის მიაღწიოს იმას, რომ ხალხის ფართო მასები ეთანხმებოდნენ მის გადამწყვეტილებებს, ხოლო ნებისმიერი მართული ცდილობს გამოთქვას თავისი მოთხოვნები და ისწრაფვის, რათა ეს მოთხოვნები გაიგონ იქ, სადაც საჭიროა. მმართველებსა და მართულებს შორის ამგვარი თანხმობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის გაცვლით, კომუნიკაციის მეშვეობით. პოლიტიკური კომუნიკაცია

პასუხობს პოლიტიკური სისტემის ფუნდამენტურ მოთხოვნებს, შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური სისტემისათვის პოლიტიკური კომუნიკაცია იგივეა, რაც სისხლის მიმოქცევა ადამიანის ორგანიზმისათვის.

პოლიტიკური სისტემა ინფორმაციებს ღებულობს როგორც შიდა, ისე გარე წყაროებისაგან. პოლიტიკისა და მართვის ძირითადი ფუნქცია სწორედ ამ ინფორმაციების მიღება და გადამუშავებაა, რათა გადანყვიტოს როგორი მოქმედებებია საჭირო, კოორდინაცია გაუკეთოს და წარმართოს ადამიანთა ძალისხმევა დასახულ მიზანთა მისლწევად. პოლიტიკური სისტემის მიერ მიღებული ინფორმაციების გადამუშავების რეზულტატი – გადანყვეტილებაა.

გადაწყვეტილებები, თავის მხრივ, იწვევს გარკვეულ რეაქციას, რომელიც ზემოქმედებს მიზნების მიღწევაზე, ხოლო ის, მიღწეულ იქნება ეს მიზნები თუ მიუღწეველი, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მზად არიან ადამიანები დაემორჩილონ ამ გადანყვეტილებებს და რამდენად შესწევთ უნარი ეფექტურად განახორციელონ ისინი ცხოვრებაში. ამიტომ პოლიტიკური სისტემის მთავარი მიზანია გამოიწვიოს ადამიანებში საპასუხო რეაქცია და გადანყვეტილებებისადმი დაქვემდებარების მზაობა, აგრეთვე წაახალისოს პოლიტიკური გაერთიანების წევრები იმოქმედონ სასურველ მიზანთა მიღწევის დასაჩქარებლად. ამგვარ ძალისხმევათა გამოხატულებაა ხელმძღვანელობა და კონტროლი. ამიტომ პოლიტიკურ ხელისუფლებას სჭირდება მის მიერ მიღებული გადანყვეტილებებისა და მათი შედეგების შესახებ ზუსტი უკუინფორმაცია, რათა შემდგომში ისეთი გადანყვეტილებები მიიღონ, რომლებიც მიგვაახლოებენ დასახულ მიზნებს.

პოლიტიკური კომუნიკაციის როლსა და დანიშნულებას უკეთ გავიგებთ, თუ გავანალიზებთ იმ მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც მოძრაობს ინფორმაცია მმართველებსა და მართულებს შორის. მკვლევართა უმრავლესობა გამოყოფს კომუნიკაციის სამ წესსა და საშუალებას:

1. კომუნიკაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გზით;
2. კომუნიკაცია ორგანიზაციების მეშვეობით;
3. კომუნიკაცია არაფორმალური კონტაქტების დახმარებით.

**პირველ შემთხვევაში** ლაპარაკია მასობრივი ინფორმაციის ბეჭდვით (პრესა, წიგნები, პლაკატები და ა.შ.) ან ელექტრონულ (რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, სოციალური მედია და ა.შ.) საშუალებებზე. ისინი უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ ჩვენს მსოფლშეგნებასა და პოლიტიკური პოზიციების ჩამოყალიბებაზე. ეს ხდება არა იმდენად ჩვენ პოზიციებზე მათი სპეციფიკური ზემოქმედების გამო, არამედ, რამდენადაც ისინი იქცნენ იმ ცოდნის მოპოვების საშუალებებად, რომლებზეც დამოკიდებულია საზოგადოებრივი ცხოვრება. მრავალი პოლიტიკური მოვლენის, მათ შორის საერთო ეროვნული არჩევნების ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ინფორმაცია მიმდინარე პოლიტიკურ ხდომილებებზე, პარტიებსა და კანდიდატებზე არ იყოს ყველასათვის მისაწვდომი; იმ ადამიანებისათვის კი, ვისაც არ აინტერესებს პოლიტიკა და მასზე

სუსტი წარმოდგენა აქვთ, რაღაცა ცნობილია ეროვნული და საერთაშორისო ცხოვრების მოვლენების შესახებ.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები არა მხოლოდ ცოდნას გვანვდიან საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფეროს შესახებ, არამედ გამოთქვამენ სხვადასხვა ინტერესსაც. ისინი საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს საჯაროდ გამოთქვან თავიანთი შეხედულებები, იპოვონ და გააერთიანონ თანამოაზრეები, შეკრან ისინი მიზნებისა და შეხედულებების ერთობის ძალით, ნათლად ჩამოაყალიბონ და შექმნან საზოგადოებრივი აზრი საკუთარი ინტერესების შესახებ.

**მეორე შემთხვევაში.** მმართველებსა და მართულებს შორის ინფორმაციების გადამცემ რგოლებს პოლიტიკური პარტიები და ზენოლის ჯგუფები წარმოადგენენ. ასეთი ურთიერთობის დროს მთავრობა და ხელისუფლება გვევლინება როგორც კომუნიკაციური ბადე, რომელიც თავის მოქმედებებს მიღებული ინფორმაციის შესატყვისად წარმართავს. აღსანიშნავია ის, რომ ნებისმიერი მმართველი გადაწყვეტილებებს იღებს არა იმის მიხედვით, რაც ობიექტურად სწორი ან რეალურია, არამედ, რაც მათი ინფორმაციის სახით მიეწოდებათ. მაშასადამე, გადაწყვეტილებების მიღებაზე გავლენის მოხდენის ერთადერთი წესი გვასწავლის, რომ აუცილებელია ზემოქმედება იმათ წარმოდგენებსა და შეხედულებებზე, რომლებიც ამ გადაწყვეტილებებს იღებენ. ამიტომ კომუნიკაცია ერთადერთი საშუალებაა ზეგავლენა მოვახდინოთ გადაწყვეტილებათა მიმღებ პირებზე ჩვენთვის სასურველი წესით. სხვაგვარად, ლობიზმის პროცესი მთლიანად კომუნიკაციური პროცესია.

**მესამე შემთხვევაში.** კომუნიკაცია გვევლინება, არაფორმალური კონტაქტების ფორმით. ესაა კომუნიკაცია, რომელიც მიმდინარეობს უშუალო, პიროვნული, „პირისპირ“ კავშირებისა და ურთიერთობების გზით. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პრიმიტიულ და ტრადიციულ საზოგადოებებში, იგი დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას არა მხოლოდ ჩვენი ტიპის საზოგადოებაში, არამედ თვით განვითარებულ ქვეყნებშიც კი, სადაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ეფექტის კვლევისას ამ ვითარებას ჯერ კიდევ პ. ლაზარსფელდმა მიაქცია ყურადღება. გაირკვა, რომ აუდიტორია არ აღიქვამს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, როგორც რაღაც არადიფერენცირებულ ბლოკს. ადამიანთა მასები, რომლებშიც ყალიბდება აზრები და შეხედულებები, წარმოადგენენ გარკვეულ სტრუქტურულ ერთობლიობას. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზემოქმედება მიმდინარეობს იმ სოციალური სტრუქტურის გზით, რომლის ჩარჩოშიც რეციპიენტი (ინფორმაციის მიმღები ინდივიდი) იკავებს თავის ადგილს. მასობრივი კომუნიკაციის არხებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, სწორედ ურთიერთდაკავშირებულ ინდივიდთა ქსელი წარმოადგენს. ამიტომ აუდიტორია არ უნდა გავიგოთ, როგორც განცალკევებულ ინდივიდთა მექანიკური ერთობლიობა.

მასმედიის ზემოქმედება ვრცელდება გარკვეული პირების შუამავლობის გზით, რომლებიც ამ პროცესში ინიციატორებისა და გადამცემების როლს თა-

მაშობენ; ესენია „საზოგადოებრივი აზრის ლიდერები“, რომელთაგან თითოეული გავლენას ახდენს იმ პირველადი, ანუ რეფერენტული ჯგუფის წევრებზე (ოჯახი, მეზობლები, სამუშაო ჯგუფი, მეგობართა წრე და სხვა.), რომელსაც თავად მიეკუთვნება. პ. ლაზარსფელდის აზრით, იდეები, ინფორმაციები საინფორმაციო საშუალებისაგან ვრცელდება საზოგადოებრივი აზრის ლიდერებამდე, მათგან კი ნაკლებად აქტიურ სექტორებამდე. ინფორმაციის გავრცელება ხდება თანმიმდევრულ ნაკადად. ამგვარად, ინფორმაციის გავრცელებისას ორი თანმიმდევრული ტალღაა: პირველი აღწევს „საზოგადოებრივი აზრის ლიდერებამდე“, მეორე კი მათგან მომდინარეობს და ვრცელდება სხვადასხვა არხის საშუალებით მათსავე აუდიტორიაში.

რ. მერტონი კიდევ უფრო ავითარებს ამ წარმოდგენას „საზოგადოებრივი აზრის ლიდერების“, როგორც რეციპიენტის შესახებ. იგი ერთმანეთს ადარებს იმ ადგილობრივი გავლენიანი პირების, რომლებიც პირველადი ჯგუფებისა და გარკვეული სოციალური ერთობის ურთიერთობის ცენტრში იმყოფებიან და იმ „კოსმოპოლიტური გავლენიანი პირების“, რომლებიც სოციალური ერთობისა და გარესამყაროს შორის დამაკავშირებელი რგოლია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით „დამუშავებას“. ჯერ კიდევ ჯ. მორენო წერდა, რომ ახალი ამბები, იდეები, ჭორები და ა.შ. გარკვეული სოციალური ქსელების გზით გადაიცემა, სწორედ ამ სოციალურ არხთა გზით ახდენენ ადამიანები ერთმანეთზე გავლენას და ურთიერთაღზრდას. ამგვარ ქსელებს იგი საზოგადოებრივი აზრის სამზარეულოს უწოდებს. ამგვარად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აუდიტორია – ესაა ერთმანეთთან დაკავშირებული რეციპიენტთაგან შემდგარი მთლიანობა, რომელთა რეაქციები ინფორმაციებზე სწორედ ამ ურთიერთკავშირების ჩარჩოებში ყალიბდება.

**ჰ. ლასუელი: „ვინ აცნობებს, სახელდობრივ რას, როგორი არხებით, ვის და როგორი ეფექტით“.** შეიძლება ითქვას ჰ. ლასუელის ამ ფორმულაში მოცემულია მასობრივი კომუნიკაციის მთელი სისტემა, კ. დოიჩისეული „უკუკავშირის“ მომენტის გარეშე. მასში გადმოცემულია მთელი სოციოლოგიური პროგრამა.

**„ვინ“** – ამ სქემაში ნიშნავს მასობრივ კომუნიკატორთა სხვადასხვა სახის აღწერას, მათი მომზადების, კვალიფიკაციის, სოციალური და პიროვნული მახასიათებლების მიხედვით, იმის გარკვევას, თუ როგორ წარმოუდგენია კომუნიკატორი აუდიტორიას, რამდენად ავლენს იგი თავის ჭეშმარიტ ბუნებას, რამდენად სიმართლესთან ახლოსაა მათ მიერ გადმოცემული ინფორმაციები, რამდენად ძალუძთ მათ იყვნენ ინფორმაციული მაუნყებლობის ხანგრძლივი ეფექტურობის წყარო.

**„რა“** – ამ სქემაში ნიშნავს სხვადასხვა მეთოდით მასობრივი ინფორმაციის შინაარსის კლასიფიკაციას, თემებისა და სიმბოლოების გამოთვლას, ფართო პუბლიკის მიმართ გარკვეული მონოდების საფუძველში მდებარე რიტორიკული ხერხებისა და წესების ანალიზს. ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა მაუნყებლობისა და აუდიტორიის თანაფარდობის საკითხი. გასათვალისწინებელია ის,

რომ ნათლად ფორმულირებული დასკვნების შემცველი ინფორმაციები უფრო ქმედითია, ვიდრე ისეთი ცნობები და ინფორმაციები, რომლებსაც მიზნად აქვთ შეაგულიანოს აუდიტორია დამოუკიდებლად გააკეთოს დასკვნები. მაუნეებლობის შინაარსის კლასიფიკაცია, უნინარეს ყოვლისა, უნდა მოხდეს რეციპიენტის (მსმენელის, მკითხველის, მაყურებლის) მოქმედების თვალსაზრისით – შეამჩნია თუ არა მან გადმოცემული მასალა, ნაიკითხა, მოისმინა თუ არა ბოლომდე, მოეწონა თუ არა და სხვა. ამის შემდეგ ვარკვევთ, თუ როგორ გამოიწვია რეციპიენტის მხრიდან მსგავსი რეაქციები მოცემული თემის გადაცემის ან განვითარების პროცესში გამოყენებულმა სიმბოლოებმა და მასალის განლაგებამ.

რაც შეეხება ინფორმაციის გავრცელების „არხებს“, აქ ძირითადად ლაპარაკია მასობრივი ინფორმაციის სხვადასხვა საშუალების გავლენებისა და გავრცელების არეალის შესახებ. სტატისტიკურად ანალიზებენ რადიოსადგურებისა და ტელესტუდიების, ტელევიზორების, რადიომიმღებების, ვიდეოების, გაზეთებისა და ჟურნალების, გამოშვებული კინოფილმების ტირაჟს, თეატრებისა და კინოდარბაზების ტევადობასა და სხვა. იკვლევენ თითოეული მათგანისა და შესაბამისი აუდიტორის კავშირს. ასევე საინტერესოა თითოეული არხს შორის ურთიერთკავშირისა და კონკურენციის საკითხი. როგორც გამოკვლევებმა ცხადყო, შესაძლებლობის შესაბამისად რეციპიენტთა უმრავლესობა რეგულარულად უყურებს ერთ ან რამდენიმე ტელეარხს, რადიოსადგურს, გაზეთსა და სხვა.

3. ლასუელის ფორმულის მომდევნო პუნქტი „ვის“ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო პრობლემაა სოციოლოგიური თვალსაზრისით, რამეთუ მოწოდებულია დაადგინოს, თუ, სახელდობრი ვინ იღებს გადაცემულ ინფორმაციებს. აუდიტორია ამ შემთხვევაში შეიძლება აღინეროს მრავალი ისეთი მახასიათებლით, როგორცაა: ეკონომიკური ჯგუფებისადმი კუთვნილება, გეოგრაფიული რეგიონი, ოჯახის შემადგენლობა და სიდიდე, განათლება, აღმსარებლობა, ინდივიდუალური თავისებურებები და სხვა. მაგალითად, ამერიკელმა სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავლენის ქვეშ უფრო ადვილად ექცევიან ის ადამიანები, რომელთაც საკუთარი ღირსების სუსტად განვითარებული გრძნობა აქვთ. ასევე მნიშვნელოვანია, რომელიმე კონკრეტული არხისა თუ გადაცემის აუდიტორიის ანალიზი. მაგალითად, საინტერესოა ტელესერიალების მაყურებელთა და არამაყურებელთა დემოგრაფიული მონაცემები, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის, გონების თვალსაწიერისა და ინტერესების არეალის შედარებითი ანალიზი.

დაბოლოს, რაც შეეხება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების „ეფექტურობას“, აღმოჩნდება, რომ გადაცემულ ინფორმაციასა და აუდიტორიაზე მის ზემოქმედებას შორის არსებობს პირდაპირი და მარტივი კავშირი. გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალური ურთიერთქმედების უწყვეტი პროცესების არსებობა, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს თავად მასობრივი კომუნიკაცია შეადგენს; ასევე არსებითია ფსიქოლოგიური პროცესების გათვალისწინებაც.

როგორც რ. მერტონმა შენიშნა, „პროპაგანდას არ ექნება მოსალოდნელი ეფექტი, თუ მისი შინაარსი არ იქნება აუდიტორიის ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების შესატყვისი“ (132, გვ. 619). ბ. ბერილსონის აზრით, „აუდიტორიაზე ზემოქმედება არ არის კომუნიკატორის განზრახვის ან მისი ინფორმაციის შინაარსის პირდაპირი შედეგი. ამგვარ სიტუაციაში დიდ როლს თამაშობს მკითხველის ან მსმენელის განწყობილება: მას შეუძლია აიცილოს ან შეცვალოს მოსალოდნელი ეფექტი ან მოახდინოს პირდაპირ საინინალმდეგო ზემოქმედება“ (132, გვ. 617). ამგვარად, მხოლოდ მაშინ, როდესაც კომუნიკატორი ითვალისწინებს ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ ასპექტებს, მასობრივი კომუნიკაციის შედეგების წინასწარმეტყველება და გაანგარიშება დიდი სიზუსტითაა შესაძლებელი და ეფექტიც გაცილებით მაღალია.

**რეციპიენტი და რეფერენტული ჯგუფები.** სოციოლოგიური მიდგომის მიხედვით, ინდივიდი მასობრივ კომუნიკაციას აღიქვამს, როგორც გარკვეული ჯგუფის წევრი, რომელსაც მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ადამიანებს, როგორც ჯგუფის წევრებს, მიდრეკილება აქვს დაეთანხმოს ჯგუფის სხვა წევრთა უმრავლესობის აზრს, მიუხედავად იმისა, შეესაბამება იგი ობიექტურ ჭეშმარიტებას თუ არა. შესაბამისად, ჯგუფის წევრთა თანხმობა გამოსადეგია ინდივიდთა მიერ გამოთქმული შეხედულებებისა თუ ორიენტაციების კრიტიკრიუმად. ხშირად ინდივიდის მიერ ინფორმაციის აღქმა ან მასზე რეაქცია საოცარ მსგავსებას ავლენს მისი ოჯახის წევრების, მეგობრების, რეფერენტული ჯგუფების აღქმებსა და რეაქციებთან. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, როგორ იღებენ ამ ჯგუფის წევრები ინფორმაციებს – ერთად თუ ცალ-ცალკე, აქვთ თუ არა საშუალება ერთად გამართონ კამათი მოცემულ ინფორმაციაზე. შეხედულებათა ეს დამთხვევა გამოწვეულია ინდივიდსა და მისთვის მნიშვნელობის მქონე, ანუ რეფერენტულ ჯგუფებს შორის უწყვეტი ურთიერთქმედებით. მას ამ ჯგუფის წევრებთან აახლოვებს წარსული გამოცდილების მრავალი ელემენტის ერთიანობა; მათგან შეითვისა ინდივიდმა მრავალი უმთავრესი იდეა და წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის ჭეშმარიტი, ესთეტიკური და ზნეობრივი. სწორედ ეს გამოცდილება და ღირსებები განსაზღვრავს იმას, თუ რას და როგორ აღიქვამს მოცემული ინდივიდი.

ჯგუფი, სოციალური სისტემა საზოგადოდ, არა მხოლოდ აძლევს ინდივიდს გარკვეულ სტანდარტს, კრიტერიუმს, რომლის დახმარებითაც იდივიდს შეუძლია საკუთარი თავისა და სხვების შეფასება, არამედ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ინდივიდის ოჯახი, მეზობლები, თანამშრომლები, ერთი სიტყვით, ყველა ის ჯგუფი, რომლის დამოკიდებულებას ინდივიდისათვის მნიშვნელობა აქვს, აყალიბებენ მასში ღირებულებებს ისე, რომ ისინი ეთანხმებოდნენ ჯგუფის ღირებულებებს. ჯერ კიდევ ჯ. მიდი აღნიშნავდა, რომ ინდივიდი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სესხულობს და ითვისებს „სხვების“, ე.ი. ამ ჯგუფის წევრების მრავალ ძირითად ღირებულებებს; ინდივიდისათვის „სხვები“ ასრულებენ „შინაგანი ფორუმის“ როლს, სადაც იგი განიხილავს მის წინაშე მდგარ ალტერნატივებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყოველთვის, როდესაც ინ-



დივიდი ყოველდღიურ ურთიერთქმედებებში ჯგუფის წევრების გამოთქმებსა და ღირსებებს თავის ქცევებს უთანხმებს, ისინი ინონებენ და აჯილდოებენ მას. როდესაც იგი უპირისპირდება მათ, ჯგუფის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ და უარყოფით სანქციებს იყენებენ მის წინააღმდეგ. ამიტომ თავის მოქმედებებში ინდივიდი ითვალისწინებს „სხვების“ მოლოდინებსა და რეაქციებს, რათა დაიმსახუროს მათი მონონება.

ინდივიდთა მიერ ჯგუფის, როგორც ხელმძღვანელობისა და ორიენტაციების წყაროს, აღქმის ტენდენცია ერთგვაროვან განწყობებსა და ღირებულებებს აყალიბებს ჯგუფის წევრებში, შეიძლება ითქვას, ერთ პოზიციაზე აყენებს მათ. როგორც ცნობილია, ჯგუფის წევრები ურთიერთობებში, საუბრებისას ძლიერ კმაყოფილებას განიცდიან, როდესაც მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვევა, ამის შედეგად ისინი ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე ერთნაირი განწყობების შემუშავების მიზნით. მაშინაც კი, როდესაც ჯგუფის წევრთა შეხედულებებს შორის შეინიშნება განსხვავება, იგი ბადებს სურვილს ერთგაროვნების აღდგენისაკენ, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ჯგუფისაგან სხვაგვარად მოაზროვნე წევრების ჩამოცილების მისწრაფებას.

ინდივიდი მრავალი ჯგუფის წევრია. თუ ამ ჯგუფთა მოლოდინები პრინციპულად მსგავსია, მაშინ მათ შეუძლიათ ერთმანეთი გააძლიერონ, ასეთ შემთხვევაში ინდივიდს შეუძლია ისინი ერთად გამოიყენოს თავისი შეხედულებებისა და მოქმედებების ორიენტაციების კრიტერიუმად, მაგრამ თუ მათი ღირებულებები და ორიენტაციები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაშინ ინდივიდი განიცდის „როლების კონფლიქტს“ და „ჯვარედინი ზეწოლის“ ქვეშ იმყოფება, რაც ხშირად განაპირობებს მის მერყეობას გადანყვეტილებების მიღებისას, ან საერთოდ მის მიღებაზე უარის თქმას. მასობრივი კომუნიკაციების ინდივიდუალური აღქმისა და მასზე რეაქციების საფუძველში დევს სოციალური სტრუქტურა, რომელიც ამ ინდივიდუალურ აღქმათა მრავალსახეობას ერთ მთლიანობად აქცევს. ნათელი ხდება, რომ ინდივიდი შერჩევით იღებს ინფორმაციებს, პროგრამებს; ამ არჩევნების ხასიათზე დიდ გავლენას ახდენს არა მხოლოდ ასარჩევი საგანი ან მისი თანმხლები რეკლამა და პროპაგანდა, არამედ მისი გარემომცველი ადამიანები. ესა თუ ის ინდივიდი ხშირად წყვეტს შეიძინოს რაიმე ნივთი, ხმა მისცეს რომელიმე პარტიას, უყუროს რომელიმე სატელევიზიო პროგრამას, წაიკითხოს განსაზღვრული გაზეთი იმიტომ, რომ ასე იქცევიან ის ადამიანები, რომლებსაც იგი ენდობა და არა იმიტომ, რომ იგი უპირატესობას ანიჭებს მოცემულ ნივთს, კანდიდატს ან პროგრამას. **ამგვარად, „მისი რეაქციები და აღქმები „სხვების“ რეაქციებთან მიმართებაში არ არიან შემთხვევითი. მისი აღქმები და რეაქციები არის ჯგუფის ყველა წევრს შორის ურთიერთგაგებისა და ურთიერთორიენტაციების მოდელის შემადგენელი ნაწილი“ (132, გვ. 630).**

მასობრივი კომუნიკაციების ინფორმაციებზე რეაქციებს განაპირობებს არა მხოლოდ ინდივიდის დამოკიდებულება რეფერენტული ჯგუფებისადმი, არამედ თავად ამ ჯგუფებისაგან შემდგარი სოციალური სტრუქტურაც. ინდივიდის მოქმედებას განსაზღვრავს არა მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან, ანუ რეფერენტულ

ჯგუფებთან დამოკიდებულება, არამედ ამ ჯგუფთა კავშირებისა და დაპირისპირებისაგან შემდგარი ფართო სოციალური სტრუქტურაც. ამგვარად, მასობრივი კომუნიკაცია დადის ინდივიდამდე, რომლის ჯგუფის წევრები და თავად ჯგუფური ორიენტაციები განსაზღვრულ ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებებში იმყოფებიან.

კომუნიკაციის პროცესი რეციპიენტის გარდა, მოიცავს კომუნიკატორსაც, ანუ იმას, ვინც ინფორმაციას გადასცემს. კომუნიკატორს კი არა აქვს მნიშვნელობა ინდივიდია იგი თუ ორგანიზაცია, უკავია გარკვეული ადგილი სოციალური ურთიერთობების სტრუქტურაში. ამიტომ მხოლოდ იმის შესწავლა, თუ როგორ ზემოქმედებს რეციპიენტზე გარემომცველი სოციალური სტრუქტურა და სოციალური პროცესი, არ იქნება საკმარისი. სოციალური თვალსაზრისით, აუცილებელია შევისწავლოთ თავად კომუნიკატორის მიმართულებისა და ორიენტაციების განმაპირობებელი ფაქტორებიც. რეციპიენტის მსგავსად, კომუნიკატორი ფლობს შემეცნებით სტრუქტურას, რომლის მეშვეობითაც, იგი იხილავს თავის აღქმებსა და შერჩეულ ალტერნატივებს. მას ასევე ჰყავს მეგობრები და რეფერენტული ჯგუფები; იგი ასევე არის უფრო ფართო სოციალური სტრუქტურის ნაწილი. მაგალითად, საწარმოო ასოციაციების, პროფკავშირების, ფერმერული გაერთიანებისა თუ ვეტერანთა კავშირის და სხვა.

მასობრივი კომუნიკაციის ინიციატორებზე გავლენის მომხდენი სოციალური სტრუქტურა შეიძლება გავიაზროთ შემეცნების სოციოლოგიის ტერმინებში. რ. მერტონის მიხედვით ესაა კვლევის სფერო, რომელიც მოიცავს „კულტურის პროდუქტთა (იდეების, იდეოლოგიების, სამართლებრივი და ზნეობრივი შეხედულებების, ფილოსოფიის, მეცნიერების, ტექნიკის) მთელ ერთობლიობას“ და მიისწრაფვის დაადგინოს: „... მოაზროვნე ადამიანის (კომუნიკატორის) პერსპექტივების განსაზღვრელი სოციალური ფაქტორები, და ის, თუ როგორ მივიდა იგი თავის იდეებთან... მეცნიერი კი, რომელიც სწავლობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებს, პირიქით, დასაწყისიდანვე ძირითადად ინტერესდება აუდიტორიაზე მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების ზემოქმედებით... ერთი ყურადღებას ამახვილებს წყაროებზე, მეორე კი – შედეგებზე“ (132, გვ. 645). რ. მერტონის მიერ გაანალიზებული „შემოქმედების სოციალური საფუძვლები“: სოციალური მდგომარეობა, კლასობრივი მიკუთვნებულობა, წარმოშობა, პროფესიონალური როლი, წარმოების წესი, ჯგუფობრივი სტრუქტურები (უნივერსიტეტი, ჩინოვნიკები, აკადემიური დაწესებულებები, სექტები, პოლიტიკური პარტიები), „ისტორიული სიტუაცია“, ინტერესთა წრე, საზოგადოება, ეთნიკური კავშირები, სოციალური მობილობა, ხელისუფლების სტრუქტურა, სოციალური პროცესები (შეჯიბრება, კონფლიქტი) და სხვა, მთლიანად სრულად შეიძლება გამოვიყენოთ მასობრივი კომუნიკატორის მოქმედების განმაპირობებელი მთავარი ჯგუფობრივი კავშირებისა და სტრუქტურული კონტექსტების განსაზღვრის მიზნით.

მაშასადამე, კომუნიკატორიცა და რეციპიენტიც გვევლინება უფრო ფართო სისტემის შემადგენელ ნაწილად. კომუნიკატორი თავის ინფორმაციებს

გადასცემს სხვა პირებისა და ჯგუფების მოლოდინებისა და მოქმედების შესა-  
ტყვისად, ოღონდ ერთი და იმავე სისტემის ჩარჩოებში. როგორც პოლიტიკურ  
კომუნიკატორს შეუძლია იმოქმედოს მხოლოდ მაშინ, თუ მას მხედველობაში  
აქვს თავისი პარტიის სხვა წევრები და თავისი ერის სხვა წარმომადგენლები.  
კომუნიკატორი მუდამ მოქმედებს რეციპიენტის შესატყვისად და რეციპიენტის  
მოსალოდნელი რეაქციის გათვალისწინებით. როგორც ჯ. მიდი ამტკიცებს,  
ორატორი, რომელსაც ძალუძს თავის აუდიტორიაზე ზემოქმედება, „... არა მხ-  
ოლოდ შესაბამისი წესით განაწყობს მათ, არამედ თვითონაც იღებს მათ გან-  
წყობილებებს. იგი თითქოსდა თავის თავზე იღებს იმ სხვა ადამიანის როლს,  
რომელზეც სურს თავისი სიტყვით გავლენა მოახდინოს. სწორედ იმის წყალო-  
ბით, რომ ორატორი იღებს თავის თავზე სხვა ადამიანის როლს, მას შეუძლია,  
კვლავ დადგეს საკუთარ პოზიციაზე და საჭირო მიმართულება მისცეს კომუ-  
ნიკაციური ურთიერთობის საკუთარ პროცესს“ (132, გვ. 645).

ამგვარად, მასობრივი კომუნიკაციის პროცესი ატარებს ურთიერთქმედების  
ხასიათს, ამიტომ მისი შემადგენელი ელემენტები – კომუნიკატორი და რეციპი-  
ენტი – უნდა განიხილებოდეს ერთმანეთთან კავშირში. ორივე კი, თავის მხრივ  
უნდა განიხილებოდეს, როგორც უფრო ფართო ერთი და იმავე სოციალური  
სისტემის ასპექტების სახით. ამ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ გავარკვიოთ, თუ  
როგორ გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესი სოციალურ სისტემაზე და,  
პირიქით, სოციალური სისტემა რა გავლენას ახდენს თავად მასობრივი კომუ-  
ნიკაციის პროცესებზე.

**კომუნიკაცია და პოლიტიკური სისტემები.** ნებისმიერი პოლიტიკური  
სისტემა თავის შესაძლებლობებისა და ეკონომიკური განვითარების დონის  
შესაბამისად, ავითარებს პოლიტიკური კომუნიკაციის საკუთარ ქსელს. პირდა-  
პირი კავშირი არსებობს ეკონომიკური და მასობრივი ინფორმაციის საშუალე-  
ბების განვითარების დონეს შორის, უფრო ფართო თანაფარდობაა პოლიტი-  
კურ განვითარებას და კომუნიკაციას შორის, ვინაიდან კომუნიკაციის სტრუ-  
ქტურები პოლიტიკური სისტემების პარალელურად ვითარდება.

იმის მიხედვით, თუ რამდენად ავტონომიურია და თავისუფალი კომუნი-  
კაციური სტრუქტურები, შეიძლება ვიმსჯელოთ ლიბერალურ-დემოკრატიული  
სისტემის ავტორიტარულისა და ტოტალიტარული სისტემისაგან განსხვავება-  
ზე. ბოლო ორი სისტემა ისწრაფვის გულმოდგინედ და დანვრილებით გააკონ-  
ტროლოს პოლიტიკური კომუნიკაცია, რათა მათთვის სასურველი მიმართულე-  
ბა მისცენ საზოგადოებრივ აზრს. ასეთი პოლიტიკა საბოლოოდ ხელს უწყობს  
საზოგადოებისა და საზოგადოებრივი აზრის როლის ნულზე დაყვანას, უკეთეს  
შემთხვევაში კი, საზოგადოებრივი აზრის ოფიციალურ და არაოფიციალურ  
ნაწილებად გახლეჩას. ისეთი მოვლენები, როგორიცაა: ინფორმაციის შერჩევი-  
ლობა, ცალმხრივობა, ინფორმაციული უკუკავშირის შეზღუდვა, კომუნიკაციის  
სხვადასხვა წყაროს გამოუყენებლობა, პოლიტიკურ სისტემას, სახელმწიფოს  
აკარგვინებს რეალობის გრძნობას საზოგადოებასთან მიმართებაში.

პოლიტიკურ სისტემასა და საზოგადოებას შორის ინფორმაციის გაცვლის თავისუფლების შეზღუდვა, ხელისუფლებას ჩაკეტილ წრეში აქცევს და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყვეტის საშიშროების წინაშე აყენებს.

პოლიტიკური სისტემის ეფექტურობას განაპირობებს მისი მუდმივი მზაობა – ყურადღებით აღიქვას საზოგადოების მოთხოვნები და განვითარების ტენდენციები. სხვაგვარად იგი სწორ რეაგირებას ვერ მოახდენს მისგან მომდინარე იმპულსებზე და ვერ უპასუხებს მის მოლოდინებს. პოლიტიკურ სისტემასა და საზოგადოებას შორის ინფორმაციათა გაცვლას კომუნიკაციისა და დიალოგის ფორმით უზრუნველყოფს დემოკრატიული რეჟიმი, ამიტომ მას ხშირად „საზოგადოებრივი აზრის მთავრობასაც“ ეძახიან. თავად დემოკრატიულ-ლიბერალური სისტემა წარმოუდგენელია თავისუფალი ინფორმაციის გარეშე. მ. როკარის აზრით, „არ არსებობს დემოკრატია თავისუფალი ინფორმაციის გარეშე, არ არსებობს თავისუფალი ინფორმაცია დემოკრატიის გარეშე. მათი განვითარება იმდენადაა ურთიერთდაკავშირებული, რომ ერთი მოუაზრებელია მეორეს გარეშე“ (134, გვ. 131).

დემოკრატიის ამოსავალი დებულებაა, რომ ხალხი საკმაოდ განათლებული და ინფორმირებულია იმისათვის, რათა შეძლოს თავისი ხელმძღვანელების არჩევა. არჩევანის უფლების რეალიზება კი შესაძლებელია ინფორმაციის თავისუფალი გავრცელებისა და საყოველთაო საარჩევნო უფლების პირობებში. თუ ადრე ინფორმაციის გავრცელება პრესის მეშვეობით მიზნად ისახავდა სისტემის ფუნქციონირებისადმი ხელის შეწყობას, დღეს ინფორმაციის მოქმედების ველი უფრო და უფრო ფართოვდება, მისი გადაცემის საშუალებების სიძლიერისა და სისწრაფის წყალობით, განსაკუთრებით ახალი მედიისა თუ სოციალური მედიის საშუალებით. ამიტომ დღეს უკვე ჩვეულებრივ ლაპარაკობენ მასობრივი კომუნიკაციის საშუალების სისტემაზეც, როგორც „მეოთხე ხელისუფლებაზე“. თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებს, ეფექტური ფუნქციონირების მიზნით, აუცილებლად ესაჭიროებათ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერა. მას აკეთებს სწორედ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები. მათი მეშვეობით პოლიტიკოსები პირდაპირ კონტაქტს ამყარებენ მოსახლეობასთან. ტელევიზიის მეშვეობით მთავრობის წევრები შეიძლება საკუთარი თვალთ დავინახოთ, ხოლო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მექანიზმი კი საშუალებას გვაძლევს მუდმივად შევამოწმოთ, მხარს უჭერს თუ არა საზოგადოებრიობა მთავრობის მიერ გატარებულ პოლიტიკას. ამის შედეგად ცნობილი ხდება უთანხმოება, რომელსაც ინვევს რომელიმე მიმართულება პოლიტიკაში და შესაბამისად, შეფასებაც. ადამიანთა საპირისპირო მოსაზრებები შეიძლება ყურად იღოს მთავრობამ მანამ, სანამ ისინი დემონსტრაციის, გაფიცვების ან ძალისმიერი აქტების ფორმას მიიღებდეს. ინფორმაციის ამგვარი გაცვლა და მასზე დროული რეაგირება პოლიტიკურ სისტემასა და სოციალურ შორის, ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებაში ძალადობის როლის შემცირებას. როდესაც საზოგადოებას სრული ინფორმაცია აქვს საკუთარ თავზე, ყველა სხვა ჯგუფისა თუ კორპორაციული ორგანიზაციის ინტერესებს იგი ვინრო და

შეზღუდულ ფორმად მიიჩნევა. დღეს სწორედ ინფორმაციული დემოკრატია წარმოადგენს საზოგადოების ორგანიზაციის ყველაზე თანამედროვე სახეს. იგი მასობრივი კომუნიკაციების წინაშე შემდეგ მოთხოვნებს აყენებს:

1. ინფორმაციის ღიაობა და მისადგომობა;
2. მაუწყებლობის ოპერატიულობის უზრუნველყოფა;
3. ინფორმაციის მრავალფეროვნება;
4. სიმბოლოთა შექმნის ამოცანები.

თითოეული მათგანის ეფექტური გადაწყვეტა ხელს უწყობს არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციების, არამედ პოლიტიკური და მთელი საზოგადოებრივი სისტემის შემადგენელ ელემენტთა ჰარმონიულ ფუნქციონირებას.

### **პოლიტიკური კომუნიკაცია ინფორმაციულ საზოგადოებაში**

თანამედროვე საზოგადოებას ახასიათებს კომუნიკაციის მუდმივი ზრდა, დაჩქარება, სიმჭიდროვე და გლობალიზაცია. ცივილიზაციის ხარისხი მეტწილად დაკავშირებულია კომპიუტერული კომუნიკაციის განვითარებასთან.

ინფორმაციული ტექნოლოგიები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აღწევენ, თუმცა მათი გავლენა ყველაზე შესამჩნევია პოლიტიკაში: ხდება პოლიტიკური კომუნიკაციის შინაარსისა და ხასიათის ცვლილება, მის სტრუქტურაში კომპიუტერით – გაშუალებული პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმირება.

ბოლო წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკონს შეემატა ცნებები: „ელექტრონული მთავრობა“, „კიბერპოლიტიკა“, „კიბერდემოკრატია“, „ციფრული (დიגיტალური) დემოკრატია“, „კომუნიკაციური დემოკრატია“, „ელექტრონული დემოკრატია“, და სხვა.

მეცნიერებსა და პოლიტიკოსებს შორის მწვავე დისკუსიის საგანია ინტერნეტის ზემოქმედების საკითხი დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და პროცესებზე: როგორია ცვლილებების ფაქტობრივი მიმართულება, მათი არსი, ინტენსივობა და სიღრმე? ხომ არა არის ინტერნეტის „მადემოკრატირებელი“ ეფექტი გადამეტებულიად შეფასებული? ახლო მომავალში, ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებით გამოწვეული ცვლილებები ხომ არ გამოიწვევს ხარისხობრივად სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის წარმოშობას?

ელექტრონული კომუნიკაციის კონცეფციები კომპიუტერსა და კომპიუტერულ ქსელებს განიხილავენ, როგორც უმთავრეს ინსტრუმენტს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების მუშაობაში.

ელექტრონული დემოკრატია – „ეს არის ნებისმიერი დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელიც იყენებს კომპიუტერებსა და კომპიუტერულ ქსელებს დემოკრატიული პროცესების უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შესას-

რულებლად. მაგალითად, ინფორმაციისა და კომუნიკაციის გავრცელება, მოქალაქეთა ინტერესების გაერთიანება და გადაწყვეტილებების მიღება (თათბირებისა და კენჭისყრის გზით).“ (189, გვ.531)

ელექტრონული დემოკრატიის თეორეტიკოსები დარწმუნებული არიან, რომ ახალი ინფორმაციის საშუალებების ისეთ თვისებებს, როგორცაა ინტერაქტიულობა, ინფორმაციის გადაცემის უფრო სწრაფი საშუალებები, უფრო მეტი რაოდენობის მომხმარებლების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალება, ინფორმაციის მრავალფეროვნება და პროცესების მართვის ახალი სამომხმარებელი საშუალებები, შეუძლიათ პოლიტიკურ დემოკრატიულ სისტემაზე დადებითად იმოქმედონ. ელექტრონული დემოკრატიის მთავარი მიზანია მოქალაქეების პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება.

ახალმა საინფორმაციო-კომუნიკაციურმა სისტემებმა პოლიტიკის სფეროში აქტიური დანერგვით არა მხოლოდ შინაარსობრივად უცვალეს სახე ძველ შეხედულებებს, დადგენილებებს, სტერეოტიპებს, არამედ პოლიტიკურ ინსტრუმენტებსა და ინდივიდებს შორის ურთიერთობების მრავალი მოდელი და ქცევის ფორმები დაანგრიეს. პოლიტიკური კომუნიკაციის ახალი არხის განვითარების დინამიკას შეუძლია სრულიად შეცვალოს წარმოდგენა როგორც პოლიტიკური მოღვაწეობის უზრუნველყოფის სისტემაზე, ასევე, პოლიტიკური მონაწილეობის ტრადიციულ ინსტრუმენტებზე.

ინტერნეტს შეუძლია ინფორმაციის გენერირებაც, რითაც აძლიერებს ეროვნული და ეროვნებათშორისი დონის ხელისუფლების მოღვაწეობის პასუხისმგებლობასა და გამჭვირვალეობას, აგრეთვე, განამტკიცებს მოქალაქეებსა და შუამავალ ინსტიტუტებს შორის ინტერაქტიული ურთიერთობის არხებს. ზოგიერთ ამ განსაკუთრებულ ფუნქციებს ინტერნეტი სხვა ნებისმიერ საშუალებებზე უკეთესად ასრულებს. „ინტერნეტს შეუძლია:

- უმცირესობათა პარტიებს მისცეს პოლიტიკურ კამპანიებში ურთიერთზემოქმედების უფრო შესაბამისი საშუალებები, ვიდრე ტრადიციულმა ინფორმაციის მასობრივმა საშუალებებმა (გაზეთები, რადიო, ტელევიზია);

- უზრუნველყოს ჟურნალისტთა ერთდროული დაშვება ინფორმაციებთან, ოფიციალურ დოკუმენტებთან და მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივებთან და წინადადებებთან;

- ხელს უწყობს პარტიათა შიდა ორგანიზაციის გაძლიერებას, პარტიის წევრთა ურთიერთზემოქმედებას და სხვა.“ (189, გვ.532)

ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას წარმომადგენლობითი დემოკრატიის შესაძლებლობების გაფართოება და ელექტრონული დემოკრატიის პროცესების სწრაფი ტემპებით განვითარება ძალუძს. ინტერნეტის გამოყენებით შესაძლებელია: ამომრჩეველებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კანონზემოქმედებით მოღვაწეობაში მონაწილეობის გაფართოება; ამომრჩეველთა ასოციაციებისა და გაერთიანებების შექმნისათვის საჭირო ხარჯების შემცირება; ამომრჩეველბსა და საკანონმდე-

ბლო ორგანოებში მათ წარმომადგენლებს შორის უკუკავშირების ეფექტურობის ამაღლება.

ინტერნეტ-მედიაში პოლიტიკური აგიტაციის ყველაზე პოპულარული ხერხებია: შეტყობინების გავრცელება ტელეკონფერენციაზე, ახალი ამბების ჯგუფებისა და ვებგვერდების შექმნა. ტელეკონფერენციის უპირატესობებია: დროის მცირე მონაკვეთში დიდი აუდიტორიის მოცვა, შეტყობინებების სიმოკლე, მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიღების მოსახერხებელი დრო. მის ძირითად ნაკლოვანებებს წარმოადგენს: შეტყობინებების გადაგზავნაზე კონტროლი, შეტყობინებების უკეთესად დასამახსოვრებლად მკაფიო ვიზუალური სახის გადაცემის არარსებობა.

ვებგვერდები, ბლოგები, მთლიანად სოციალური მედია პოლიტიკური კონტენტით წარმოადგენენ პოლიტიკური სუბიექტების საჯარო კომუნიკაციის ახალ, რევოლუციურ საშუალებას. პირველ რიგში, ყველა რეგიონალურ პარტიულ ორგანიზაციას დროის რეალურ რეჟიმში შეუძლია ინტერნეტით ნახოს რა ხდება პარტიაში, რა გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება. მაშასადამე, ელექტრონული ფოსტისა და საჯარო კომუნიკაციის წყალობით მკვეთრად გაიზარდა კომუნიკაციის ეფექტურობა. მეორე მხრივ, პოლიტიკის სუბიექტებისათვის დიდ აქტუალურობას იძენს ინფორმაციული გაცვლის დაყვანა იმ დონემდე, როცა უკუკავშირს შინაარსობრივი მნიშვნელობა გააჩნია. ეს ისეთი დონეა, როცა ორგანიზაციას დღის განმავლობაში მრავალჯერ შეუძლია ინფორმაციის გაცვლა, როცა მყარდება მჭიდრო უკუკავშირი მოქალაქეებთან. და ეს არ არის უბრალოდ ინფორმაციული გაცვლის დაჩქარება, ის ხარისხობრივად იცვლება და ერთიან ინფორმაციულ გარემოში ადამიანების დამახლოებელი ხდება. „დროთა განმავლობაში შესაძლებელია სრულფასოვანი, სამოქალაქო საზოგადოებაში არნახულად ეფექტური კომუნიკაციის სისტემის მიღება, რაც საჯარო პოლიტიკას ახალ ხარისხში აიყვანს...“ (189, გვ.533)

ინტერნეტში პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებების გაზრდა მოხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე ხარისხობრივად. ქსელის ამ სეგმენტის ზრდა განპირობებულია მომხმარებელთა რიცხვის ზრდით, ასევე, კონკურენციით, პოლიტიკის სუბიექტების ბრძოლით კიბერსივრცისათვის. უკვე მომავალი საპარლამენტო არჩევნები პარტიების წინაშე დასვამენ ამოცანას, რომ მათ ინტერნეტში არა მხოლოდ რეკლამის საქმე მოაგვარონ, არამედ საჯაროობისა და დისკუსიების საფუძველზე შექმნან სრულფასოვანი ინტერაქტიული კომუნიკაცია. ეს განსაკუთრებით აქტუალური იქნება რეგიონებთან კავშირების დამყარების კუთხით. ფართოდ იქნება გამოყენებული ანკეტირება და გამოკითხვები ინტერნეტის საშუალებით. ალბათ, გაჩნდება პრინციპულად ახალი პარტიული ინტერნეტ-გამოცემები მომხრეებთან უკუკავშირის დასამყარებლად და ღია და პირდაპირი დიალოგის უზრუნველსაყოფად. ასეთი გამოცემები არა მხოლოდ ტექსტურ პროდუქციას, არამედ აუდიოვიზუალურ კომუნიკაციასაც უზრუნველყოფენ.

ამომრჩეველებს, მიუხედავად შემოსავლების დონისა, ეძლევათ საშუალება თვითონ ორგანიზებულად მოიპოვონ ინფორმაცია, დაიცვან საკუთარი ინტერესები რეგიონალურ და სახელმწიფო დონეზე. ამის შედეგად მარტივდება, როგორც ამომრჩეველთა „მცირე ჯგუფების„ ფორმირება, ასევე მათ შორის ურთიერთქმედებების კოორდინაცია.

ინტერნეტის, სოციალური მედიის სწრაფი გავრცელება ადამიანთა შეუზღუდავ რაოდენობას შესაძლებლობას აძლევს ჰქონდეთ კანონპროექტების ტექსტებთან ოპერატიული შეღწევის საშუალება, ჯერ კიდევ მათი წინასწარი შემუშავების სტადიაზე, ასევე, არასაიდუმლო ანალიტიკური ინფორმაციის მაქსიმალურ მოცულობასთან ხელმისაწვდომობა.

მოქალაქეების ინტერნეტთან თავისუფალი დაშვება უზრუნველყოფს როგორც „სოციალური ინტეგრაციის„ ამაღლებას, ასევე სამოქალაქო თავისუფლებასაც.

ინტერნეტის ქსელი დღესდღეობით არის ელექტორატის ურთიერთობის ყველაზე დემოკრატიული და სწრაფმზარდი სისტემა. როგორც მკვლევარები იმედოვნებენ, ელექტრონული კომუნიკაციები ელექტრონულ პროცესების თვალსაზრისით, ისეთივე რევოლუციური გახდება, როგორც რადიო და ტელევიზია. მაგრამ, რადიოს აუდიტორიის დასაპყრობად დასჭირდა 50 წელი, ტელევიზიას – ამაზე ბევრად ნაკლები დრო, ელექტრონული კომუნიკაციების განვითარება კი ფეთქებად ხასიათს ატარებს.

აღვნიშნოთ ინტერნეტის რამდენიმე თავისებურება, რომლებიც უნდა გაითვალისწინონ პოლიტიკურმა მოღვაწეებმა საკუთარი შეხედულებების გავრცელებისას ქსელურ გარემოში, განსაკუთრებით წინასაარჩევნო კამპანიის დროს:

- პუბლიკაციის სიმსუბუქე, სისწრაფე და სიიაფე (ბევრად მარტივია და იაფია, ვიდრე სხვა ნებისმიერი ტრადიციული რეკლამის მეთოდები);

- მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში გამოქვეყნებული ინფორმაციის გაცნობის შესაძლებლობა (ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებთან ოპერატიული კავშირისას);

- ინტერაქტიულობა – „უკუკავშირით„ მუშაობის შესაძლებლობა (ინტერნეტ-კონფერენციების ჩატარება, დისკუსიები, კენჭისყრა, მიმონერა და სხვა);

- ტრადიციული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჟურნალისტების მიერ ინფორმაციის წყაროდ ქსელური რესურსების გამოყენება;

- დღესდღეობით ქსელური პუბლიკაციის არცთუ ბოლომდე ნათელი სტატუსი, პოლიტიკოსს საშუალებას აძლევს ინტერნეტში გამოაქვეყნოს ისეთი შინაარსისა და ფორმატის ინფორმაცია, რომელიც ტრადიციული პრესისათვის არ გამოდგება.

ახლანდელ დროში, წინასაარჩევნო კამპანიებში მსოფლიო კომპიუტერული ქსელის გამოყენება ყველაზე პერსპექტიულია, „რის დასადასტურებლადაც შემდეგი არგუმენტების მოყვანა შეიძლება:

- ინფორმაციის გავრცელება პირდაპირ იქნება დამოკიდებული ინტერნეტში შემავალი ინფორმაციის ორგანიზაციაზე, ხოლო ტექნოლოგიის თვალსაზრისით,



ინტერნეტის მომხმარებლები წარმოადგენენ საზოგადოების შედარებით აქტიურ ნაწილს, რომლებიც მონაწილეობენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. მოქალაქეები და საზოგადოებრივი ჯგუფები იყენებენ ინტერნეტს საკუთარი აქტიუბის ორგანიზებისთვის, საზოგადოებრივი კამპანიებისთვის, ლობირებისთვის;

– წინასაარჩევნო კამპანიის ფინიშიზე ქსელური ტექნოლოგიები იდეალურია „საჭირო“, და დროული ინფორმაციების გასავრცელებლად, რაც მას განასხვავებს ჩვეული აგიტაციის საშუალებებისგან;

– სახელმწიფო თანამდებობაზე პრეტენდენტის მონოლოგი უფრო და უფრო ხშირად გარდაიქმნება ამომრჩევლებთან ან მათ აქტიურ ნაწილთან ინტერაქტიურ ურთიერთობად. ინტერნეტი საშუალებას იძლევა, უარი ითქვას ძვირად ღირებულ სარეკლამო რგოლებსა და სატელევიზიო კლიპებზე ციტატებით, რომლებიც დღეს-დღეობით დომინირებენ წინასაარჩევნო „ბრძოლაში“, და მოხდეს გადასვლა პოლიტიკური ურთიერთობის უფრო იაფ და სერიოზულ სახეობებზე.

შინაარსის თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ ინტერნეტის „არჩევნების“, რესურსების რამდენიმე ჯგუფი, „რომლებიც ელექტორალური კომუნიკაციის მონაწილეებისათვის სასარგებლოა:

– პარტიებისა და კანდიდატების გვერდები, რომელთა ძირითადი ამოცანა აგიტაცია და ახალი ამომრჩევლების მიმზრობაა;

– საარჩევნო კომისიის გვერდები, რომლებიც აქვეყნებენ არჩევნების შესახებ ოფიციალურ ინფორმაციას – ცნობები კანდიდატების შესახებ, ინფორმაცია საარჩევნო უბნების შესახებ, არჩევნების შედეგები, დარღვევების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ა.შ.;

– გამოკითხვის საიტები, რომლებიც ამომრჩევლებს სთავაზობენ ხმა მისცენ რომელიმე კანდიდატს ან წამოაყენონ საკუთარი კანდიდატი. – ამ შედეგებს, როგორც წესი, აკონტროლებენ საიტის მფლობელები და ქმნიან აღნიშნულ კანდიდატებზე ფსევდორეიტინგს;

– ანალიტიკური საიტები, სადაც ცდილობენ წარმოადგინონ სხვადასხვა პოლიტიკური ძალები (მათი სააგიტაციო მასალები, ლიდერებთან ინტერვიუები, ექსპერტების შეფასებები და სხვა). აქვეა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შეკვეთილი და შეუკვეთავი წინასაარჩევნო მასალები;

– სტატისტიკური მონაცემები რეგიონის შესახებ, ამომრჩევლების შესახებ, რომლებიც ინტერნეტში უნიკალურ ინფორმაციულ რესურსს არ წარმოადგენენ, ვინაიდან მათი მიღება შეიძლება ადვილად ხელმისაწვდომი სტატისტიკური ბროშურებისა ან კომპაქტდისკებიდანაც“ (189. გვ.536).

ინტერნეტი სასარგებლოა არა მხოლოდ იმიტომ, რომ აადვილებს ინფორმაციის მოპოვებას, ის აგრეთვე, ამარტივებს და აქტიურს ხდის ამომრჩევლების ურთიერთობას ხელისუფლებასთან.

**ელექტრონული მთავრობა (e-Government).** სახელმწიფო მმართველობაში ინფორმაციულ-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს შეუძლიათ ინფორმაციული საზოგადოების იდეის დამკვიდრებაში გადამწყვეტი როლის შესრულება. ელექტრონული მთავრობა სახელმწიფო აპარატის ეფექტურობასა და სახელმწიფო მართვის პრომისნაყოფიერებას ზრდის.

სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი მიზანია ინფორმაციულ საზოგადოებაში მაღალი სასიცოცხლო სტანდარტების გავრცელება. სახელმწიფო ორგანოებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთქმედებების პროცესებში ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვა ყოველ მოქალაქეს საშუალებას აძლევს დაზოგოს დრო სტანდარტულ ოპერაციებზე: საგადასახადო დეკლარაციების შევსება, კომუნალური გადასახადების გადახდა, გამოცდების ჩაბარება, სხვადასხვა ცნობის მიღება, სახელმწიფო თანამდებობების მისაღებად კონკურსებში მონაწილეობა, სახელმწიფო გრანტებისა და სუბსიდიების მიღება, სახელმწიფო მოხელეებთან ვიდეოკონფერენციები და სხვა.

ამგვარად, კომუნიკაციის ახალი ხერხები საშუალებას იძლევა: მიღწეულ იქნეს ხელისუფლების სრული გამჭვირვალება და მისი გადაწყვეტილებების საჯაროობა; ხელმისაწვდომი გახდეს მოსახლეობისთვის ყველა სახელმწიფო ნორმატიული აქტი; მოხდეს მაღალხარჯიანი სტრუქტურების რეფორმირება; ამაღლდეს ყოველდღიური ცხოვრების კომფორტი; გაიზარდოს თავისუფალი დროის რაოდენობა.

მოქალაქეთა პოლიტიკური ინფორმირების განვითარებული სისტემა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას, რაც ხელისუფლების ეფექტური ფუნქციონირებისთვისაა აუცილებელი. მდგრადი უკუკავშირის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინტერნეტი ინტერაქტიური ურთიერთქმედებების საშუალებას იძლევა. არა მარტო მოქალაქეები იღებენ საკმაოდ სრულ ინფორმაციას ხელისუფლების საქმიანობაზე, არამედ ხელისუფლებასაც უჩნდება მოქალაქეების მიერ ნებაყოფლობით მიწოდებული ინფორმაციის დამატებითი არხი, რასაც სოციალური კაპიტალის იმ ფორმის ზრდასთან მივყავართ, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი „მორალურ რესურსებს“, უწოდებს. რაც უფრო მეტს იგებენ ერთმანეთის საქმიანობასა და პრობლემებზე, მით უფრო იზრდება ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ურთიერთნდობის ხარისხი.

„ელექტრონული მთავრობა (e-Government) – ეს არის სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ინტერაქტიური ურთიერთქმედების სისტემა ინტერნეტის საშუალებით, სახელმწიფო მართვის ახალი მოდელი, რომელიც გარდაქმნის სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოქალაქეებს შორის ტრადიციულ ურთიერთობებს,“ (189. გვ.537).

მკვლევარები გამოყოფენ „ელექტრონული მთავრობის,“ ორგანიზაციის შემდეგ პრინციპებს:

- მოქალაქეებზე ორიენტაცია. მოქალაქეები (გადასახადის გადამხდელები), არა მხოლოდ ხელისუფლების მომსახურების მომხმარებლები არიან, არამედ ხელისუფლების მფლობელნიც და განსაზღვრავენ პროექტის განვითარების პოლიტიკასა და მიმართულებას;
- გამოყენების მოხერხებულობა და სიმარტივე. ელექტრონულ მთავრობაში გამოყენებული ყველა ელექტრონული დანართი ემსახურება მიზანს,

გაუადვილოს მოქალაქეებს სისტემით სარგებლობა, მოთხოვნების მომსახურების სიჩქარის გაზრდითა და ლოდინის დროის შემცირებით;

- ბიზნესტრანსფორმაცია. მთელი პროგრამული უზრუნველყოფა, არქიტექტურა და ინფრასტრუქტურა, ასევე, ელექტრონული მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იმისკენ, რომ მმართველობით სისტემას მიეცეს ბიზნესმოდელის ეფექტურობა;

- ღირებულება და სირთულე დაყვანილ უნდა იქნეს მინიმუმამდე, რათა სისტემასთან მუშაობისას არ შეექმნას სირთულეები როგორც კერძო, ასევე კორპორატიულ მომხმარებლებს;

- მომსახურება. ელექტრონული მთავრობის მუშაობის ეფექტურობა უნდა გამოვლინდეს მის უნარში, სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით მოემსახუროს რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს, ამასთან, უზრუნველყოს მომსახურების მაღალი დონე;

- შესაბამისობა. ელექტრონული დანართები მთლიანად უნდა პასუხობდეს უსაფრთხოების, იდენტიფიკაციის, ელექტრონული გადახდების სისტემების საერთო არქიტექტურას, აგრეთვე, სამომხმარებლო ინტერფეისის სისტემის საერთო დიზაინს;

- გადანაცვლებათა მასშტაბურობა. დანართებმა უნდა უზრუნველყონ სისტემის შემადგენელი სხვადასხვა სტრუქტურებისა და ორგანიზაციების ურთიერთზემოქმედება და სრული ურთიერთთავსებადობა;

- შესრულება. დანართები უნდა ემსახურობდეს ტრანსაქციის სრულყოფას, მომსახურების სირთულისა და ხანგრძლივობის შემცირების გზით;

- ანგარიშგება. დანართებმა უნდა გაზარდონ მონაცემთა სიზუსტე, მათი არქივირების შესაძლებლობა, აგრეთვე, ტრანზაქციის აუდიტი;

- განხორციელების სისწრაფე. დანართების საბოლოოდ დამუშავებისა და დანერგვის ვადები უნდა იყოს სამიდან ცხრა თვემდე;

- სამოქმედოდ მზადყოფნა. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოავლინონ მზადყოფნა ჩაერთონ სისტემაში და შეუსაბამონ მას საკუთარი სამუშაო, (189. გვ.538).

ინტერნეტი სახელმწიფო სტრუქტურებს კარნახობს თამაშის ახალ წესებს. XXI საუკუნეში ხელისუფლება უნდა ისწრაფოდეს ისეთი მიზნებისაკენ, როგორცაა:

- იმ მოქალაქეების რაოდენობის გაზრდა, რომელთაც აქვთ ციფრულ ტექნოლოგიებთან შეხება;

- ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის ინტერაქტიული ურთიერთობების ინტეგრირებული, სრული და გამოყენებაში მარტივი გზები, რომელსაც ემხრობიან ღია პოლიტიკის მიმდევრები;

- უსაფრთხო ელექტრონული გარემო, მოქალაქეთა უფლებების დაცვა; სამთავრობო ინფორმაციების მოსაპოვებლად უკაბელო კავშირისა და სხვადასხვა კონფიგურაციის მონყობილობების გამოყენების შესაძლებლობა;

– აქტიური ინოვაციური პოლიტიკა და ნოვატორული გადანყვეტილებების სწრაფი დანერგვა პრაქტიკაში.

ელექტრონული მთავრობა – XXI საუკუნის სახელმწიფოებრივი მმართველობის ყველა მოდელის საფუძველია და ერთიან ქსელურ სივრცეში ხელისუფალთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

დღეს, ნებისმიერი ხელისუფლების ერთ-ერთი ცენტრალური სტრატეგიული ამოცანაა – გახადოს სერვისის ახალი სახეობები ხელმისაწვდომი უკლებლივ ყველა მომხმარებლისთვის. კერძოდ, ციფრული ტელევიზია და ახალი ტიპის მობილური კავშირები განიხილება, როგორც ინტერნეტთან კავშირის საჭირო ინსტრუმენტები. ამ საშუალებების ფართოდ გავრცელება საშუალებას მოგვცემს გარკვეულწილად შევამციროთ საზოგადოების „ციფრულ ფენებად დაყოფის„ ხარისხი, უფრო სწორად, „ციფრული განხეთქილება„ (digital divide). ამ პრობლემების გადაჭრის კონკრეტული საშუალებაა, რომ ხელისუფლებამ ხელი შეუწყოს მოქალაქეთა კვალიფიკაციის ამაღლებას და ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახადოს ადამიანთა უფრო მეტი რაოდენობისთვის. ამავდროულად, კარგად უნდა იყოს მოფიქრებული ონლაინური საზოგადოებრივი სერვისის შინაარსი და იგი ორიენტირებულ უნდა იქნეს მომხმარებელთა ყველა კატეგორიაზე, ენობრივი უმცირესობის, შრომისუუნარო მოსახლეობისა და გადაადგილება შეზღუდული ადამიანების ჩათვლით.

ციფრული ბარიერის გადალახვა ითვალისწინებს არა მხოლოდ მოსახლეობის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ზოგიერთ მოქალაქეს არ სურს ან არა აქვს შესაძლებლობა გახდეს ახალი ტექნოლოგიის უშუალო მომხმარებელი, სახელმწიფო სტრატეგიამ მოსახლეობის ეს კატეგორიაც უნდა გაითვალისწინოს. ახალი ტექნოლოგიები მოქალაქეთა ინტერაქტიურ ურთიერთქმედებებთან ერთად, საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს პირადი და სატელეფონო ტრანსაქციები.

სახელმწიფო ორგანოების ძირითადი ამოცანა გახდება გაათავისუფლოს საკუთარი თანამშრომლები იმ რუტინული პროცედურებისგან, რომლებიც მოსახლეობასთან ინტერაქტიური ურთიერთობისას არის შესასრულებელი, და უზრუნველყოს მოსამსახურეები იმ აუცილებელი ცოდნითა და მონყობილობებით, რათა მათ წარმატებულად შეასრულონ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის შუამავალი როლის ფუნქცია.

საკვანძო სამთავრობო მომსახურების რეალიზაცია მოხდება ელექტრონული სახით. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მოქალაქეებთან და ბიზნესთან ურთიერთქმედების ყველაზე გავრცელებული პროცესები, როგორცაა ფულის მიღება და გაგზავნა, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, კანონების გამოქვეყნება, მომარაგება, განხორციელება საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით. გაჩნდება სამთავრობო სერვისთან დაშვების მედია საშუალებათა ფართო სპექტრი: საფინანსო სფეროსთან, საცალო ვაჭრობასთან, კულტურას-

თან და მოღვაწეობის სხვა სფეროებთან. ინტერნეტი გახდება ცენტრალიზებული სისტემა, რომელიც გააერთიანებს უშუალოდ ან შუალედური რგოლის მეშვეობით პერსონალურ კომპიუტერებს, ციფრულ ტელევიზიას, უკაბელო კავშირის საშუალებებს, ტელეფონს და სხვა.

ელექტრონული კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენების საინტერესო მაგალითს წარმოადგენს ევროპული პროექტი CITYCARD, რომელიც ბოლონიაში (იტალია) შემუშავდა. პროექტის მონაწილეები ამბობენ, რომ ეს „ტელედემოკრატიის“ პროექტი, ინფორმაციული ტექნოლოგიების საუკუნეში, დემოკრატიასთან ახალი რევოლუციური მიდგომების რეალიზებას ახდენს. ისინი საფუძველს უყრიან „ელექტრონული მოქალაქის“ ტერმინის არსებობის უფლებას, რომელიც ახასიათებს ახალ რესურსებს, უფლებებსა და პრობლემებს, რაც კომპიუტერული რევოლუციის საზოგადოებაზე ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნება.

პროექტი მდგომარეობს იმაში, რომ ქალაქ ბოლონიის ყველა მაცხოვრებელი იღებს ქალაქის კომპიუტერულ ქსელსა და ინტერნეტში უფასოდ შესვლის უფლებას. მათთვის, ვისაც არა აქვს სახლში კომპიუტერი, საზოგადოებრივ დანესებულებებში – ბიბლიოთეკებში, ადმინისტრაციულ შენობებში, მონტაჟდება ტერმინალები ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამასთან, პროექტი არ იფარგლება მხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნით. ადგილობრივი ადმინისტრაციის ყველა განყოფილებას აქვს თავისი მისამართი ამ ქსელში და ისინი აქტიურად მონაწილეობენ მოქალაქეებთან ინფორმაციის გაცვლის პროცესში.

პროექტის ავტორები „ამ გაცვლის რამდენიმე პრინციპს გამოყოფენ:

- შეტყობინებების ორმხივი გაცვლა: მოქალაქეს არა მხოლოდ ინფორმაციის გაგზავნა შეუძლია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის (მაგალითად, კითხვები ან კომენტარები), არამედ მათგან ელექტრონული ფორმით ინფორმაციის მიღებაც;

- დიალოგის მხარეთა თანასწორობა და გაცვლის დაბალანსება: ადგილობრივი ხელისუფლება ვალდებულია გასცეს პასუხები მოქალაქეთა შეკითხვებს, ამასთან, ორივე მხარე თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ისეთი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებისაგან განსხვავებით, როგორცაა, მაგალითად, ტელევიზორი, გაცვლა ხდება ორმხრივად – ცენტრიდან პერიფერიაში და პერიფერიიდან ცენტრში;

- კავშირის სენსების ხანგრძლივობაზე დროითი შეზღუდვების არარსებობა“ (189. გვ.542).

პროექტ CITYCARD-ის მიზანია გაზარდოს ქალაქის მოსახლეობის დაინტერესება, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი პრობლემების გადაჭრაში („უშუალო ელექტრონული დემოკრატია“). შექმნილი ინფრასტრუქტურა საშუალებას აძლევს მოქალაქეებს უშუალოდ ხელისუფლებას უთხრან საკუთარი აზრი, მიიღონ პასუხები, მონაწილეობა მიიღონ სადისკუსიო ჯგუფებში და

ჩაატარონ რეფერენდუმები. ადგილობრივ მთავრობას შეუძლია საკუთარი პროექტების განხილვა მოაწყოს, მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირება და გაითვალისწინოს მიღებული გადაწყვეტილებების პოპულარობა მოსახლეობაში, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება არჩევნების დროს.

რამდენადაც პორტალი „ელექტრონული მთავრობა“, – სოციალური მმართველობის კომუნიკაციური ორგანოა, „ახალი ტექნოლოგიების გამოყენება საშუალებას მოგვცემს შეიქმნას დიალოგური კომუნიკაციური სივრცე: ხელისუფლება – მოსახლეობა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი გახდება, უმოკლეს დროში, მიღებულ იქნეს ინფორმაცია პორტალით მოსარგებლეთა საპასუხო რეაქციის შესახებ მნიშვნელოვან სამთავრობო გადაწყვეტილებებზე“ (189. გვ.543). იგი ხელს შეუწყობს სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში მოქალაქეთა მონაწილეობის იდეის ეფექტურად განხორციელებას. პოლიტიკურ პრაქტიკაში ინფორმაციული ტექნოლოგიები ასრულებენ არა დამხმარე ფუნქციებს, არამედ პოლიტიკის აუცილებელი ელემენტია – ინფორმაციის ფლობა და გავრცელება დღეს წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ საშუალებას როგორც შიდა სახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა დაკავშირებულია პოლიტიკურ ურთიერთობებსა და პოლიტიკურ პროცესებზე ტექნოლოგიური ზემოქმედების დონის კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემუშავებასთან.

ელექტრონული მთავრობის პოტენციური ეფექტურობა ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში განისაზღვრება ინტერნეტის ინფრასტრუქტურის განვითარების დონით. XXI საუკუნეში ახალ ტექნოლოგიებს, მათი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, შეუძლიათ ითამაშონ კრიტიკული როლი ღია, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელი სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.

## თავი VII

### პოლიტიკურ სისტემათა ტიპები

პოლიტიკურ სისტემათა ტიპოლოგიზაციის პრობლემა რთული და მრავალი ასპექტის შემცველია. იმის მიხედვით, თუ რას ავიღებთ კლასიფიკაციის საფუძვლად, ტიპოლოგიაც განსხვავებული იქნება. პოლიტიკური სისტემა შეიძლება განისაზღვროს საზოგადოების სოციალური წყობით, მმართველობის ფორმით (საპარლამენტო, საპრეზიდენტო), სახელმწიფოს ტიპით (მონარქია, რესპუბლიკა), პოლიტიკური რეჟიმის ხასიათით (დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტორიტარული), სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით (სტაბილური და არასტაბილური, ზომიერი ან კონფლიქტური), გარემოსთან ურთიერთობის ხასიათით (ღია, დახურული), პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების მიხედვით და სხვა.

პოლიტიკურ წყობათა კლასიფიკაციის საინტერესო ვარიანტს გვთავაზობს ჟ. ბემლერი. მისი აზრით, ძალაუფლება თავისთავად როგორც ასეთი არ არსებობს, იგი მუდამ გვევლინება როგორც ერთ-ერთი მისი მოდალობის – ძალის, ავტორიტეტისა და ხელმძღვანელობის ან მათი შერეული ფორმის სახით. ნებისმიერი მოდალობა შეიძლება აღემატებოდეს დანარჩენ ორს, მაგრამ ძალიან იშვიათად გვხვდება რომელიმე მათგანი განკერძოებულად. თვით ყველაზე სამართლიან და დემოკრატიულ საზოგადოებაში კი სამივე ელემენტი აუცილებელია, რათა:

1. მივაღწიოთ ადამიანთა კომპეტენტური ხელმძღვანელობის გზით სამართლიანობასა და მშვიდობას.

2. ძალის გამოყენებით ადამიანებმა შევძლოთ გარეშე მტრებისა და შინაური „უპატიოსნო მოთამაშეებისაგან“ თავის დაცვა, სამოქალაქო ომების თავიდან ასაცილებლად და სამართალდარღვევების აღსაკვეთად.

3. ავტორიტეტის მობილიზების გზით, უზრუნველვყოთ მოქმედი პირების მიერ თამაშის წესების, ჩვეულებებისა და კანონების დაცვა, რადგან მათზე დამოკიდებული პოლიტიკური გაერთიანების წარმატება. ამგვარად, პოლიტიკური წყობა – „ესაა პოლიტიკის ჩარჩოებში განხორციელებული ძალაუფლების მოდალობათა სპეციფიკური შეერთება“ (30, გვ. 55). იმის შესაბამისად, თუ რომელი მოდალობაა წინა პლანზე წამოწეული და მადომინირებული, შეიძლება განვასხვაოთ სამი ტიპის პოლიტიკური წყობა:

1. **ავტოკრატია**, რომლისთვისაც მადომინირებულია ძალის მეუფება;

2. **იეროკრატია**, რომელიც ემყარება ავტორიტეტის ძალაუფლებას;

3. **დემოკრატია**, რომლის საფუძველია მოქალაქეთა ხელმძღვანელობის პრინციპი. ყოველი დემოკრატიული წყობის მთავარ პრინციპს – ხელმძღვანელობას ფესვები გადგმული აქვს მართულ უმრავლესობაში, ანუ მორჩილებაში. ისინი მორჩილებენ იმიტომ, რომ მათი გაგებითა და გაანგარიშებით კომპეტენტური პირების ხელმძღვანელობით მიაღწევენ დასახულ მიზნებს. ამა თუ იმ ადამიანის

კომპეტენტურობაზე უფლებამოსილია განაცხდოს მხოლოდ თავად დაინტერესებულმა პირმა. მაშასადამე, დემოკრატიის უმთავრესი პრინციპი არის ის, რომ „მართულნი თვითონ ირჩევენ იმათ, ვის მორჩილებაზეც თანახმა არიან“ (30, გვ. 56). იმის მიხედვით, თუ „ვინ ირჩევს“ უზენაეს ხელისუფლებას, შეიძლება ისტორიულად შემდეგი ტიპები გამოვყოთ:

**არისტოკრატია** – როდესაც უზენაეს ხელისუფალთ ირჩევს მაღალი წარმოშობის ადამიანები, ე.ი. ზოგიერთი გვარის წარმომადგენელი (სხვათა შორის, მუდამ მამაკაცები), რომლებიც საზოგადოებაში ცნობილი არიან სიმდიდრით, პრესტიჟით, ძლიერებითა და ძველი წარმოშობით.

**ოლიგარქია (პლუტოკრატია)** – როდესაც უზენაეს ხელისუფალთ ირჩევენ მდიდრები, ე.ი. ვინც ფლობს კაპიტალს ან აქვს განსაზღვრული რეგულარული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ არისტოკრატიული და ოლიგარქული წყობა იმით კი არ განისაზღვრება, რომ არისტოკრატები ან მდიდრები „არიან ხელისუფლებაში“, არამედ იმით, რომ ისინი ამ ძალაუფლებით აღჭურავენ გარკვეულ პირებს. ის, რომ ეს პირები მათივე წრიდან არიან გამოსული, თითქმის გარდუვალია, მაგრამ მეორეხარისხოვანი.

**საკუთრივ დემოკრატია** – როდესაც პოლიტიკური გაერთიანების ყველა წევრს უფლება აქვს აირჩიოს, აქ მნიშვნელობა არა აქვს არც წარმოშობას, არც სიმდიდრეს. თუმცა, პრობლემები აღმოცენდება სქესთან, ასაკთან, ეთნიკურ წარმომავლობასა და ნასამართლობასთან დაკავშირებით.

**იეროკრატიული წყობა**, რომლის თვისებურებას, ავტორიტეტის ბუნების თანახმად, განაპირობებს სამი მთავარი მოქმედი პირი: ტრანსცენდენტური საწყისი – ზეცა-ჩინეთში, დხარმა – ინდოეთში, ალაჰი – მაჰმადიანურ ქვეყნებში, ღმერთი – ქრისტიანულ ევროპაში, – რომელიც ძალაუფლების ნამდვილი სათავსია და ყოველგვარ უფლებამოსილებათა წყარო, სწორედ ეს ტრანსცენდენტური ბუნება უშლის მას ხელს უშუალოდ განახორციელოს ძალაუფლება. ამიტომ იგი მას გადასცემს თავის მიწიერ ნაცვალს, რომელიც ხშირად ხდება არა ცალკეული ადამიანი, არამედ გვარი ან დინასტია. ამ ნაცვალს ემორჩილებიან ქვეშევრდომნი, რომლებიც აღიარებენ როგორც ტრანსცენდენტურ საწყისს, ისე ნაცვლის სტატუსსაც. აქ ორ ხელშეკრულებას აქვს ადგილი: პირველი განსაზღვრავს დამოკიდებულებას ტრანსცენდენტურ საწყისსა და მის ნაცვალს შორის: პირველი ანდობს მეორეს პოლიტიკური გაერთიანების მართვას, რათა მან უზრუნველყოს სამართლიანობა, და მშვიდობა; მეორე ხელშეკრულება უკვე ანესრიგებს ურთიერთობას ნაცვალსა და მის ქვეშევრდომებს შორის, რომლებიც მას ემორჩილებიან იმ პირობით, რომ მათ ნამდვილად უზრუნველყოფილი ექნებათ: მშვიდობა, სამართლიანობა სტაბილურობა და სხვა კეთილდღეობანი. განასხვავებენ ზომიერ და აბსოლუტურ იეროკრატიებს.

**ავტოკრატიული წყობა**, რომლის დროსაც ძალაუფლება მის მატარებლებს არც მაღლიდან აქვს „ბოძებული“ და არც დაბლიდან. უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, ესაა წყობა, რომლის დროსაც ძალაუფლების მატარებელმა ან მატარებლებმა იგი ხელში ჩაიგდეს ძალითა და ეშმაკობით, წამოაყენეს საკუ-



თარი თავი და ხელისუფლებას ახორციელებენ იმავე მეთოდებით, ხალხს კი შიშში ამყოფებენ. კრძალავენ ყოველგვარ თავისუფალ გაერთიანებებს, რათა ხალხი დანანწვერდეს. საზოგადოების დაცალკევების ჩვეულებრივი ტაქტიკაა დაბეზლების წახალისება მასებში. როდესაც დაბეზლებისა და ჩაშვების აზრი ის კი არაა, რომ მთავრობა გააფრთხილოს მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, არამედ – შთანერგოს დაჩაგრულთა ფენაში ისეთი ურთიერთუნდობლობა, ეჭვი და გაუტანლობა, რომ არავის არ შეეძლოს არავისზე დაყრდნობა, რომ ყველა ერთმანეთს ანეიტრალებდეს. ასეთივე შედეგების მომტანია ყველაზე აუცილებელ საქონელთა მუდმივი დეფიციტი. ეს ხალხში ინვევს მომეტებულ გაღიზიანებადობას, ხოლო რამდენადაც ისინი, ვინც პასუხისმგებელი არიან საქმის ასეთ ვითარებაზე, მასებისათვის მიუწვდომელია, ამდენად, ეს გაღიზიანება მიიმართება ირგვლივ მყოფ ადამიანებზე რაც, თავის მხრივ, აძლიერებს თითოეული ადამიანის შინაგან იზოლაციას.

ავტოკრატიის მეორე სტრატეგიული მეთოდია – აპარატის კონტროლი. აპარატი მისთვის აუცილებელია, სხვაგვარად იგი ვერ შეძლებს ხალხის დაცალკევებას, გარეშე მტრებისგან ვერ უზრუნველყოფს ძირითად დაწესებულებათა მუშაობას. ამიტომ იგი იძულებულია უფლება-მოვალეობები გადასცეს თავისივე მიერ წამოყენებულ პირებს. ისინი კი შეიძლება მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გახდნენ, განსაკუთრებით მაღალი თანამდებობის პირები. მისთვის აპარატის კონტროლი აუცილებელია, რათა ყველა დანარჩენის გაკონტროლება შეეძლოს. ერთადერთი გამოსავალია – სამსახურების გამრავლება, რომლებიც ერთმანეთს მეტოქეობენ და ამავე დროს, აბეზლებენ ავტოკრატთან ერთმანეთს – ხშირი, ინტენსიური და თვითნებური წმენდის ჩატარება, რათა თავიდან აიცილოს აპარატის შიგნით იმ პირთა მომხრეების გაჩენა, რომლებიც საშიშია ავტოკრატიისათვის.

ავტოკრატიული წყობის ქვესახეებია:

1. **დესპოტიური წყობა**, რომელიც დღეს ძალზე იშვიათია და შეიძლება ისტორიულ კურობზად ჩაითვალოს. დესპოტი მთელ პოლიტიკურ გაერთიანებას თავის საკუთრებად თვლის და მართავს მას, როგორც პირად საკუთრებას, არაა გამორიცხული, რომ იგი ამას საკმაოდ კარგად აკეთებდეს. მართვას მისთვის შემოსავლები მოაქვს, რასაც იგი საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავს, ხანდახან იჩენს სულგრძელობას, მაგრამ უფრო ხშირად ეგოიზმს.

2. **ტირანული წყობა**, იგი უფრო მეტადაა გავრცელებული. იგი დემოკრატიისა და ეროკრატიის დამახინჯების შედეგია. ძალაუფლებას იგი იყენებს საკუთარი ინსტინქტებისა და ვნებების, ძალაუფლების ჟინის, სიძუნწის, ავხორცობის, პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

3. **ავტორიტარული წყობისას** – ძალაუფლების მფლობელი არ ცდილობს ამ მონოპოლიის გავრცელებას საზოგადოებრივი საქმიანობის ყველა სახეზე, აძლევს რა მათ სტიქიური ავტონომიური განვითარების შესაძლებლობას. მაგალითად, ეკონომიკა შეიძლება კარგ პირობებში აღმოჩნდეს და სავსებით ეფექტურადაც განვითარდეს.

4. **იდეოკრატიული ან ტოტალიტარული წყობისას**, თვითმარქვია უმცირესობა ხელთ იგდებს ძალაუფლებას იმისათვის, რათა საზოგადოებას თავს მოახვიოს რომელიმე იდეოლოგია ან უტოპია. ყველა იდეოკრატია ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავდებიან იდეოლოგიით. მაგალითად, ფაშიზმისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმის მოდიფიკაციები, კომუნისტური და სოციალისტური რეჟიმები.

5. **მაფიოზური წყობა**, რომელზეც ხშირად დაიყვანება ავტორიტარული და გარდუვალად აღმოჩნდება იდეოკრატიული რეჟიმი. ასეთ წყობისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივ პოსტებზე „თავისი ადამიანების“ ქსელის შექმნა, რომელთაც აკონტროლებს „ნათლიმამები“ და რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ გავლენის სფეროების სწორ გადანაწილებას. ხელს ითბობენ ხალხის ექსპლოატაციის ნაყოფით.

## **ტოტალიტარიზმი**

მონოკრატიული მმართველობა მხოლოდ იმის მიხედვით მოიცავს სახელმწიფოს თუ მთელ საზოგადოებას, იზღუდება იგი სისტემიდან გამავალი ფუნქციებით თუ ვრცელდება შემავალ ფუნქციებზეც, გვექნება ან ავტორიტარიზმი ან ტოტალიტარიზმი. ეს უკანასკნელი საკუთარ მოქალაქეებზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს. იშლება ყოველგვარი საზღვრები პოლიტიკასა და სოციუმს შორის. ავტორიტარი ბატონობს სახელმწიფოზე, ტოტალიტარი კი – მთელ საზოგადოებაზე. კ. ფრიდრიჰი და ზ. ბჟეხენსკი გამოყოფენ ტოტალიტარიზმის განმსაზღვრელ ექვს კრიტერიუმს:

1. დაწესებული მონოპოლიური იდეოლოგია;
2. ერთადერთი პარტია;
3. ტერორი საიდუმლო პოლიციის დახმარებით;
4. კომუნიკაციის საშუალებების მონოპოლიური ფლობა;
5. შეიარაღების მონოპოლიური უფლება;
6. ეკონომიკის ცენტრალიზაცია.

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ პირველად იტალიელმა ფილოსოფოსმა ჯოვანი ჯენტილემ შემოიტანა, რომლის იდეებმა დიდი როლი შეასრულა იტალიური ფაშიზმის ჩამოყალიბებაში. ადრე მას დადებითი მნიშვნელობით იყენებდნენ, მოგვიანებით კი დამამცირებელი ელფერი შეიძინა. როგორც ე. გიდენსი აღნიშნავს, მას დღეს იყენებენ არა მხოლოდ კომუნისტური რეჟიმების, არამედ ტრადიციული სახელმწიფოებისა და პლატონის მიერ გამოგონილი საზოგადოების დასახასიათებლადაც კი.

ე. გიდენსიც ტოტალიტარიზმის ანალიზისას კარლ ფრიდრიჰის ცნობილი დახასიათებას ეყრდნობა, მაგრამ 6 ნიშანი 4-ზე დაჰყავს:

1. ტოტალიტარული იდეოლოგია – ყოველსომცველ პოლიტიკურ დოქტრინათა ნაკრები, რომელსაც უნდა მისდიოს საზოგადოების თითოეულმა წევრმა (მაგალითად, „მამულის“ წინაშე ვალდებულებები, რომელსაც მუდამ ხაზს უსვამდნენ ნაცისტები).

2. ერთადერთი პარტია, რომელიც ქადაგებს მოცემულ იდეოლოგიას და იმართება ერთი პირის, ანუ დიქტატორის მიერ.

3. საიდუმლო პოლიცია, რომელიც არსებობს იმისათვის, რათა მოიძიოს და დასაჯოს რეჟიმის მტრები.

4. მონოპოლიური კონტროლი ეკონომიკაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და შეიარაღებულ ძალებზე.

ესადაგება თუ არა ტოტალიტარიზმის აღნიშნული განსაზღვრება ყოფილ საბჭოთა კავშირს ან სხვა კომუნისტურ რეჟიმს, მაგალითად, ჩინეთს? დღეს უკვე ამის თქმა დარწმუნებით არ შეიძლება, როგორც ე. გიდენსი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირი და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები უფრო მრავალსახოვანი იყო და მათი მთავრობებიც გარკვეულად, დოზით, მაგრამ მაინც სარგებლობდნენ ხალხის მხარდაჭერით. თანაც ისინი იმართებოდნენ არა დიქტატორების მიერ, არამედ პარტიული ბიუროკრატის მიერ.

„ტოტალიტარიზმი უფრო უნდა განვიხილოთ, როგორც გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური რეჟიმის ფორმა, როდესაც დიქტატორი იღებს ძალაუფლებას და მასობრივი ტერორის დახმარებით ნერგავს ტოტალურ იდეებს. სტალინის მმართველობის პერიოდი საბჭოთა კავშირში, ჰიტლერისა გერმანიაში ან პოლ პოტისა კამპუჩიაში, შეიძლება განვიხილოთ როგორც ტოტალიტარული მმართველობის მაგალითები“ (53, გვ. 321). ყველა ეს რეჟიმი პასუხობს კ. ფრიდრიხის მიერ ფორმულირებულ ტოტალიტარიზმის ოთხ კრიტერიუმს. ზემოთ ჩამოთვლილი დიქტატორებიდან თითოეულმა კონცენტრირება გაუკეთა „უზარმაზარ ძალაუფლებას, რომელსაც მხარს უჭერდა ერთიანი იდეოლოგია გამონაკლისების გარეშე. გარდა ამისა, ყველა ასეთი რეჟიმისათვის დამახასიათებელია მეტისმეტი სიმკაცრე და ხელისუფალთა მიერ პროვოცირებული მკვლევლობები“ (53, გვ. 322).

ამგვარად, ტოტალიტარიზმი უფრო ახასიათებს არა პოლიტიკური სისტემის ტიპს, არამედ სიტუაციას, რომლის დროსაც დიქტატორი აერთიანებს და მობილიზებას უკეთებს კრიზისში ჩავარდნილ საზოგადოებას, რომელიც მას დადუპვით ემუქრება თუ არ გატარდა განსაკუთრებული ზომები. საბოლოოდ მას ცვლის საქმიანი რუტინა და რიტუალები.

ტოტალიტარიზმის მსგავს დახასიათებას გვაძლევს რ. არონი, რომელიც ხუთ ნიშანს გამოყოფს:

1. ტოტალიტარიზმი დამახასიათებელია რეჟიმისათვის, რომელიც მხოლოდ **რომელიმე ერთ პარტიას აძლევს მონოპოლიურ უფლებას პოლიტიკურ საქმიანობაზე.**

2. ეს პარტია აღჭურვილია იდეოლოგიით, რომელსაც იგი ანიჭებს ერთადერთი ავტორიტეტის, ხოლო შემდგომში კი ოფიციალური სახელმწიფოებრივი ჭეშმარიტების სტატუსს.

3. ოფიციალური ჭეშმარიტების გასავრცელებლად სახელმწიფო სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით როგორც ძალადობრივ ზემოქმედებაზე, ისე დარწმუნების საშუალებებზეც. **სახელმწიფო და მისი მმართველები აკონტროლებენ მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას – რადიოს, ტელევიზიას, პრესას.**

4. ეკონომიკური და პროფესიული საქმიანობის სახეთა უმრავლესობა ექვემდებარება სახელმწიფოს და მისი ნაწილი ხდება. რამდენადაც სახელმწიფო თავისი იდეოლოგიისაგან განუყოფელია, ამდენად, **საქმიანობის თითქმის ყველა სახე იდეოლოგიზებულია.**

5. იმის გამო, რომ ნებისმიერი საქმიანობა სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას დაექვემდებარება, ამდენად, **ყოველი გადაცდომა სამეურნეო ან პროფესიულ სფეროში იდეოლოგიურ ცოდვად მიიჩნევა.** საბოლოო რეზულტატი კი ცალკეული ადამიანის ყველა შესაძლებელ გადაცდომათა პოლიტიზირებაა, იდეოლოგიზება და როგორც დასკვნითი აკორდი, მას მოჰყვება ერთდროულად პოლიტიკური და იდეოლოგიური ტერორიც.

**„ტოტალიტარიზმის განსაზღვრებისას, – წერს რ. არონი, – შეიძლება, არასაკვირველია, მთავარ მომენტად ჩავთვალოთ პოლიტიკის განსაკუთრებული მდგომარეობა, ან სამეურნეო საქმიანობის გასახელმწიფოებრიობა, ან იდეოლოგიური ტერორი, მაგრამ თავად მოვლენა დასრულებულ სახეს იღებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ყველა ეს ნიშანი გაერთიანებული და მთლიანად გამოთქმულია“ (24, გვ. 231).**

## ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ყველაზე გავრცელებული ტიპია კაცობრიობის ისტორიაში. თავისი ბუნებით მას შუალედური პოზიცია უჭირავს დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს შორის, ავტოკრატიულობით იგი ტოტალიტარიზმს ენათესავება, ხოლო ავტონომიური, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი სფეროების, განსაკუთრებით კი ეკონომიკისა და კერძო ცხოვრების არსებობით, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტების შენარჩუნებით, იგი დემოკრატიის მსგავსია.

ავტორიტარიზმის დასახასიათებლად გამოყოფენ შემდეგ ნიშნებს:

1. **ავტოკრატიულობას**, ანუ ძალაუფლების მატარებელთა მცირე რაოდენობას. ძალაუფლების მატარებელი შეიძლება იყოს ერთი ადამიანი, მონარქი ან ტირანი, ან პირთა ჯგუფი: სამხედრო ხუნტა, ოლიგარქული ჯგუფი და სხვ.

**2. ძალაუფლების შეუზღუდველობა,** როდესაც მოქალაქეებს მისი კონტროლის არავითარი საშუალება არ გააჩნიათ. ამავე დროს, ხელისუფლებას შეუძლია მართოს საზოგადოება კანონთა დახმარებით, მაგრამ მათ თავისებურ განმარტებას აძლევს.

**3. რეალურ თუ პოტენციურ ძალაზე დაყრდნობა.** ავტორიტარულ რეჟიმს შეუძლია არ მიმართოს მასობრივ რეპრესიებს და ისარგებლოს მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარობით, მაგრამ იგი ფლობს საკმაო ძალას, რათა აუცილებლობის შემთხვევაში საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ძალა და აიძულოს მოქალაქეებს მორჩილება.

**4. ძალაუფლებისა და პოლიტიკის მონოპოლიზაცია,** რეალური პოლიტიკური ოპოზიციისა და კონკურენციის არარსებობა. რაც შეიძლება სრულებითაც არ იყოს საკანონმდებლო აკრძალვებისა და ხელისუფალთა წინააღმდეგობის შედეგი. ეს უფრო საზოგადოების მოუმზადებლობით ახსნება. მას ჯერ კიდევ არ ძალუძს და არც აქვს პოლიტიკურ ორგანიზაციათა შექმნის მოთხოვნა. ავტორიტარული რეჟიმის დროს შესაძლებელია პარტიების, პროფკავშირებისა და სხვა ორგანიზაციების შეზღუდული რაოდენობის არსებობა, მაგრამ ხელისუფლების კონტროლის ქვეშ.

**5. იგი უარს ამბობს საზოგადოების ტოტალურ კონტროლზე,** არ ერევა ან თუ ერევა, მაშინ შეზღუდული ფორმით ეკონომიკასა და სხვა არაპოლიტიკურ სფეროებში. ხელისუფლების მიზნებია: საკუთარი უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. ატარებს საკმაოდ აქტიურ სოციალურ პოლიტიკას ისე, რომ, ამავე დროს, არ არღვევს საბაზრო თვითრეგულირების მექანიზმებს.

**6. პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება (განვევა)** ხდება არა კონკურენციულ ელექტორალური ბრძოლის, არამედ კოოპტაციის, ზემოდან დანიშვნის გზით.

ავტორიტარიზმის ამ ნიშნების გათვალისწინებით შეიძლება იგი განისაზღვროს, როგორც „ერთი პირის ან პირთა ჯგუფის ძალაუფლება, რომელიც არ უშვებს პოლიტიკური ოპოზიციის არსებობას, მაგრამ ინარჩუნებს პიროვნებისა და საზოგადოების ავტონომიას არაპოლიტიკურ სფეროებში“ (128, გვ. 197). ავტორიტარიზმის დროს იკრძალება საქმიანობის მხოლოდ განსაზღვრული, ძირითადად, პოლიტიკური ფორმები, დანარჩენ სფეროებში მოქალაქეები თავისუფალნი არიან. ადამიანის უფლებები პოლიტიკურის გარდა პატივისცემით სარგებლობს და დაცულია, თუმცა ავტორიტარიზმის პირობებში მოქალაქეებს უსაფრთხოებისა და თავისუფლების არავითარი ისეთი ინსტიტუციონალური გარანტიები არა აქვს, როგორცაა: დამოუკიდებელი სასამართლო, ოპოზიციური პარტიები და სხვ.

ავტორიტარული რეჟიმები მთლიანად შეთავსებადია ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, რელიგიურ და ზოგჯერ იდეოლოგიურ პლურალიზმთანაც კი. მას აქვს, როგორც სუსტი ისე ძლიერი მხარეები.

**სუსტი მხარეებია:** ა) პოლიტიკის სრული დამოკიდებულება სახელმწიფოს მეთაურის ან უმაღლეს ხელისუფალთა ჯგუფის პოზიციაზე; ბ) პოლიტიკური

ავანტიურისა და თვითნებობის შეუზღუდაობა; გ) საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაციის (გამოთქმის) ინსტიტუტთა შეზღუდულობა და სხვ.

**ძლიერე მხარეებია:** ა) პოლიტიკური სტაბილურობისა და საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის; ბ) გარკვეული ამოცანების გადასაწყვეტად საზოგადოებრივი რესურსების მობილიზების; გ) პოლიტიკურ მონინაალმდეგეთა წინააღმდეგობის გადალახვის უნარი, ამიტომ იგი, მკვლევართა აზრით, საკმაოდ ეფექტური საშუალებაა რადიკალური საზოგადოებრივი რეფორმების გასატარებლად.

ავტორიტარულ ხელისუფლებას ქვეყანა შეუძლია მიიყვანოს როგორც პირადი ძალაუფლების დიქტატურასთან, ისე დემოკრატიასთან. ავტორიტარული რეჟიმის დიქტატურად ქცევას ხელს უწყობს მრავალი ფაქტორი, რომელსაც ფესვები საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასა და ხალხის მენტალიტეტში აქვს გადგმული. იმისათვის, რომ არ დაფუშვთ ავტორიტარული რეჟიმის დიქტატურად ქცევა, უნდა ვაცნობიერებდეთ იმ მიზეზებს, რომლებიც დიქტატურის დამკვიდრებას უწყობს ხელს:

1. უწინარეს ყოვლისა ეს არის ხალხის ჩვეულება, პატივი სცეს მთავრობას, როგორც არ უნდა იყოს იგი;

2. ერთგული ქვეშევრდომობა ხელისუფლებისადმი, ვის მიერაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, ბრმა თაყვანისცემისა და მონონების განწყობა-მზაობა;

3. თვით მაშინაც კი, როდესაც ხელისუფლებაში მყოფი ძალები ერთმანეთის მიმართ პირად მტრობას ამჟღავნებენ, ხლართავენ ინტირგებს, მსხვერპლად სწირავენ სახელმწიფო ინტერესებს, ხალხის დიდი ნაწილი მათ მაინც პატივს სცემს;

4. ავტორიტარული არადემოკრატიული ცნობიერების ნიშანია პრეზიდენტისა და მინისტრების შეურაცხყოფისა და ბრალდებებისაგან განსაკუთრებული იურიდიული დაცვის მოთხოვნა, ასეთი რამ დიქტატურისაკენ გადადგმული ნაბიჯია. **კ. იასპერსის** მართებული აზრით, მოღვაწეებს, რომლებიც სახელმწიფოს საჭესთან დგანან, შარავანდედი არ უნდა მოსავდეთ. პირიქით, სასურველია, რომ ისინი ძლიერი კრიტიკის ქარცეცხლში ხვდებოდნენ;

5. იმ ადამიანთა მნიშვნელოვანი სიმცირე ან სრული არარსებობა, რომლებიც მზად არიან პოლიტიკური საქმიანობის სფეროში დიდი მასშტაბებით აიღონ თავის თავზე პირადი პასუხისმგებლობა. რის გამოც, არენაზე გამოდიან ადამიანები, რომლებიც ყველას მაგიერ იღებენ გადაწყვეტილებებს და ამავე დროს, აბსოლუტურად დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ გაუმკლავდნენ სახელმწიფოებრივ ამოცანებს;

6. საკანონმდებლო ხელისუფლების უსუსურობა, რომელიც რეალური პოლიტიკური საქმიანობის ნაცვლად ლაყობით იქცევს თავს და რაღაც მოჩვენებითი დიადი მიზნების საბაბით არასასურველი პირების ანგარიშწორებას ეწევა;

7. მთავრობის ბიუროკრატიულ ადმინისტრაციად ქცევა;

8. სახელმწიფოსადმი მტრული პარტიების აკრძალვით თავის დაზღვევის ლაჩრული სურვილი;

9. ოპოზიციური პარტიების მისწრაფება, დაიკავონ არა ისეთი პოზიცია, რომლიდანაც უკეთ გააკონტროლებენ მთავრობის საქმიანობას, არამედ ისეთი, რომელიც საშუალებას მისცემთ გაიყონ ხელისუფლებასთან ძალაუფლება;

10. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ცენზურისა და სამთავრობო კონტროლის გაძლიერება;

11. თავისუფალი გონის დისკრედიტაცია, აღზრდის, განათლების, მეცნიერულ-კვლევითი საქმიანობის, სულიერი ცხოვრების მოთხოვნილებათა იგნორირება.

ამგვარად, ზღვარი, რომელიც დიქტატურისაგან გამოყოფს მმართველობის ავტორიტარულ სისტემას, განისაზღვრება პოლიტიკური ოპოზიციის აუცილებლობის აღიარებითა და არსებობით, არა იმ ოპოზიციის, რომელიც თანამშრომლობს ხელისუფლებასთან, არამედ მის მიმართ განწყობილია კრიტიკულად და ზოგჯერ მტრულადაც კი. თუ ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის პირობებშიც კი არ მისცემს გასაქანს ოპოზიციურ ძალებს, მაშინ ავტორიტარიზმი დიქტატურისაკენ იხრება და დემოკრატიაზე გადასვლა ფუჭი ოცნებაა.

## დემოკრატია

დემოკრატის პრობლემა დღეს ისეთი სიმწვავეთ დგას, როგორც არასდროს. განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში (ევროპა, აშშ) ერთნი კიდევ უფრო მეტ დემოკრატიას ითხოვენ, მეორენი კი დემოკრატის დეფიციტის შესავსებად ძალისხმევას არ იშურებენ. პოსტტოტალიტარულ ქვეყნებში, რომლებიც დემოკრატის ესწრაფვიან, კამათია იმის თაობაზე არსებული ინსტიტუტებიდან რომელი უნდა გამოვიყენოთ, რათა დავამყაროთ „ჭეშმარიტი“ დემოკრატია, რომელიც სტაბილური, მყარი და ეფექტური იქნება. ბენჯამინ ფრანკლინის მიერ ორასი წლის წინ დემოკრატის, როგორც „ამომავალი მზის“ დახასიათება დღესაც ისევე აქტუალურია. ფედერიკო მაიორის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი მიაპყრობს თავის მზერას და იმედით შეჰყურებს დემოკრატის, რამეთუ მას უკავშირებს იმედებს უკეთეს მომავალზე, თავისუფალ და ღირსეულ ცხოვრებაზე. დემოკრატიული იდეების გავლენა განსაკუთრებით შეიმჩნევა იმ ერებსა და ხალხებში, ვინც სწავლობს თავისუფლების პირობებში ცხოვრებას (39, გვ. 5-6).

დემოკრატიული იდეებით გატაცება სრულებითაც არ ნიშნავს უარი ვთქვათ მრავალ, ჯერ კიდევ გადაუჭრელ საკითხზე. უნინარეს ყოვლისა, გასარკვევია თუ რა უნდა გვესმოდეს ტერმინ „დემოკრატის“ ქვეშ:

– ნყობა, რომელიც უზრუნველყოფს თავისუფლებას;

- წყობა, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობაზე;
- წყობა, რომლის დროსაც გადანყვეტილებებს ღებულობს უმრავლესობა;
- დემოკრატია პოლიტიკური წყობაა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა?

- ქცევის მოდელთა და შეხედულებათა ერთობლიობაა თუ ყველა ეს ერთად და რალაცა მეტიც?

ერთი შეხედვით, ტერმინი „დემოკრატია“ იოლი გასაგებია, სიტყვასიტყვით იგი ხომ „ხალხის მმართველობას“, ძალაუფლებას ნიშნავს. მაშასადამე, დემოკრატია – ესაა პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც მართავს ხალხი და არა მეფე და არისტოკრატები. ეს, ერთი შეხედვით, მაგრამ ფაქტობრივად საქმე გაცილებით რთულია. ყოველი სიტყვა დემოკრატიის განსაზღვრებაში შეიძლება ინვევდეს კითხვებს. როგორც ე. გიდენსი აღნიშნავს, ყველაზე მეტ კითხვებს იმსახურებს ტერმინი „ხალხი“.

1. ვინ ჩავთვალთ „ხალხად“?

2. სახელმწიფოებრივ საქმეებში ხალხის მონაწილეობის როგორი ფორმაა გათვალისწინებული?

3. როგორ პირობებს შეუძლიათ მიგვიყვანონ ასეთ მონაწილეობასთან?

თუ ვილაპარაკებთ მმართველობის შესახებ, მაშინ ისმება შემდეგი საკითხები:

1. რამდენად ფართო უნდა იყოს მმართველობის დიაპაზონი? იგი უნდა იზღუდებოდეს სამთავრობო უფლებამოსილებების სფეროთი თუ დემოკრატია შეიძლება არსებობდეს სხვა სფეროებშიც, მაგალითად, სამრეწველო დემოკრატია?

2. ნიშნავს თუ არა მმართველობა ყოველდღიურ ადმინისტრაციულ გადანყვეტილებათა მიღებას თუ იგი ეხება მხოლოდ პოლიტიკური კურსის საფუძველთა შემუშავებას?

ინდივიდისა და დემოკრატიის მიმართების პრობლემისას შეიძლება დაისვას შემდეგი საკითხები:

1. აუცილებელია თუ არა დავემორჩილოთ „ხალხის მმართველობას“? რა ვუყოთ მოვალეობებსა და მათ შესრულებაზე უარს?

2. არსებობს თუ არა პირობები, რომლის დროსაც „ხალხიდან“ გამოსულ პირებს შეუძლიათ დაარღვიონ კანონები, თუ ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კანონები არასამართლიანია?

3. როგორ შემთხვევაში (თუ ასეთი არსებობს) უნდა მიმართოს დემოკრატიულმა მთავრობამ ზენოლას იმ ადამიანებზე, რომლებიც მის პოლიტიკას არ ეთანხმებიან?“ (53, გვ. 293).

მართალია, ამ კითხვებზე პასუხთა ნაკლებობა არ შეიძინევა, მაგრამ ისინი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც, ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. უწინარეს ყოვლისა, მათზე ზემოქმედებს იდეოლოგიური ლტოლვები. ყოველი იდეოლოგია ხომ „ერთადერთ კარგ“ პოლიტიკურ წყობას გვთავაზობს, მაგრამ იდეოლოგიები და კონცეფციები მრავალი. გარდა ამისა, ამ კითხვებზე პასუხები განსხვავებულია სხვადასხვა ისტორიულ ეპოქასა და



საზოგადოებებში. მაგალითად, „ხალხის“ ცნება ივსება ყველაზე განსხვავებული შინაარსით – მას მიაკუთვნებდნენ საკუთრების მქონე ადამიანებს, თეთრკანიან მამაკაცებს, განსაზღვრული განათლების მქონე მამაკაცებს. დღეს ხალხის ცნებაში იგულისხმება მთელი მოსახლეობა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „დემოკრატის“ ოთხ მნიშვნელობას გამოყოფენ:

1. დემოკრატია, როგორც ხალხის ძალაუფლება, მმართველობა;
2. დემოკრატია, როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის წყობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია მმართველობაში მისი წევრების თანასწორ მონაწილეობასა და უმრავლესობის მიხედვით გადაწყვეტილების მიღებაზე;
3. დემოკრატია, როგორც ფასეულობათა განსაზღვრულ სისტემაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობის იდეალი და მისი შესატყვისი მსოფლმხედველობა;
4. დემოკრატია, როგორც სოციალური და პოლიტიკური მოძრაობა ხალხის ძალაუფლების, დემოკრატიული მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად.

ისტორიულად დემოკრატის მრავალი ტიპი და მოდიფიკაცია არსებობდა. დღეს მეცნიერები ლაპარაკობენ დემოკრატის სამ ძირითად ტიპზე:

1. წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია;
2. წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატია;
3. ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა, ანუ პირდაპირი დემოკრატია.

როგორც ე. გიდენსი შენიშნავს, წარმომადგენლობითი დემოკრატია ნიშნავს, რომ გადაწყვეტილებებს, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაზე გავლენას ახდენს, იღებს არა საზოგადოების ყველა წევრი, არამედ სპეციალურად ამ მიზნისათვის არჩეული წარმომადგენლები. სახელმწიფოებრივ მმართველობაში წარმომადგენლობითი დემოკრატია გამოიხატება პარლამენტში, კონგრესსა და სხვა ანალოგიურ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ორგანოებში არჩევნების ფორმით.

წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია ვლინდება იქ, სადაც მმართველობის რომელიმე ან ყველა დონეზე ამომრჩევლებს პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისას შეუძლიათ ამოირჩიონ სულ მცირე ორი პარტიიდან მაინც. **„სახელმწიფომ, რომელშიც რეალიზდება წარმომადგენლობითი მრავალპარტიული დემოკრატია და სადაც ზრდასრულ მოსახლეობას უფლება აქვს კენჭი უყაროს სხვადასხვა დონეზე, ჩვეულებრივ ლიბერალურ დემოკრატიად იწოდება“** (53, გვ. 292). ამ კატეგორიას განეკუთვნება: აშშ, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია. ზოგიერთი განვითარებადი ქვეყანა, მაგალითად, ინდოეთი.

**წარმომადგენლობითი ერთპარტიული სისტემები.** დემოკრატის ბუნებას ყველაზე უკეთ ლიბერალური, მრავალპარტიული დემოკრატია გამოხატავს, მაგრამ ისეთი ქვეყნები, როგორც იყო ყოფილი საბჭოთა კავშირი, აღმოსავლეთ ევროპისა და მესამე მსოფლიოს მრავალი სახელმწიფო, სადაც დაკანონებული

იყო და არის მხოლოდ ერთი პარტია, აგრეთვე მიაკუთვნებდნენ და მიაკუთვნებენ საკუთარ თავს დემოკრატიულ ქვეყანათა რიცხვს. თუმცა, ამომრჩევლებს საშუალება არ ჰქონდათ არჩევანი რამდენიმე განსხვავებულ პარტიას შორის გაეკეთებინათ, მიუხედავად ამისა არჩევნები ტარდებოდა, ხოლო არჩეული წარმომადგენლები ინიშნებოდნენ ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე. ე. გიდეისი სწორად შენიშნავს, რომ ამ ე.წ. სახალხო დემოკრატიებს განსაზღვრული ანტი-დემოკრატიული მიმართულება აქვთ. **წარმომადგენლობითი ერთპარტიული დემოკრატიის საფუძველია რწმენა იმისა, რომ ერთი პარტია გამოხატავს მთელი საზოგადოების ინტერესებს.** მარქსისტების აზრით, ლიბერალური დემოკრატიის პირობებში პარტიები ასახავენ და გამოთქვამენ ცალკეული კლასის ინტერესებს, ხოლო სოციალიზმის დროს ითვლებოდა, რომ არ არსებობდა ანტაგონისტური კლასები. ამდენად, საზოგადოებისათვის სავსებით საკმარისი იყო ერთი პარტია. მაშასადამე, არჩევნებში საჭირო იყო არა პარტიებისათვის, არამედ განსხვავებულ კანდიდატებს შორის გაგვეკეთებინა არჩევანი. თუმცა, უმეტესწილად არც ამ განსხვავებული, ალტერნატიული კანდიდატების წამოყენების უფლება ჰქონდა ვინმეს.

**ერთობლივი დემოკრატიული მმართველობა, ანუ პირდაპირი და უშუალო დემოკრატია.** აქ გადანყვეტილებებს იღებს ყველა ის, ვისაც კი იგი ეხება. დემოკრატია ძველ საბერძნეთში წარმოიშვა, სადაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეები საზოგადოების უმცირესობას შეადგენდნენ და მათთვის ძნელი არ იყო რეგულარულად შეკრებილიყვნენ აგორაზე ერთად, რათა განეხილათ პოლიტიკური საკითხები და მიეღოთ სერიოზული გადანყვეტილებები. ასეთივე ტიპის დემოკრატიას უჭერდა მხარს ჟან ჟაკ რუსოც. დღეს კი, როდესაც საზოგადოების ძირითადი ნაწილი პოლიტიკურ უფლებებს ფლობს, ხოლო საზოგადოების თითოეულ წევრს არ შეუძლია ობიექტურად მიიღოს აქტიური მონაწილეობა პოლიტიკურ გადანყვეტილებათა შემუშავებაში, პირდაპირი დემოკრატია ფაქტობრივად განუხორციელებელია და არც ძალუძს მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს საზოგადოების მართვაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ზოგიერთი ელემენტი არ გამოიყენება თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში. ასეთ ელემენტად დღეს რეფერენდუმს მიიჩნევენ. ასევე, არსებობს მრავალი ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ დემოკრატიის პრინციპების მიხედვით იმართება.

თანამედროვე დემოკრატიის ხასიათისა და შეზღუდულობების შესახებ ყველაზე გავრცელებულ წარმოდგენათა სისტემებს განეკუთვნება: **ლიბერალური, კოლექტივისტური და პლურალისტური დემოკრატიები.** თითოეული მათგანის საფუძველში ძველ მმართველობაში მასების უშუალო მონაწილეობის შეზღუდულობის ხარისხი. ამ მხრივ საყურადღებოა **დემოკრატიული ელიტიზმისა** (მ. ვებერი, ი. შუმპეტერი) **და პლურალისტური თეორიების** მიერ წამოყენებული არგუმენტები. თუ დემოკრატიას უშუალოდ, როგორც ხალხის მმართველობას ისე გავიგებთ, მაშინ დავინახავთ, რომ ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს. დემოკრატია, უწინარეს ყოვლისა ესაა ხალხის მიერ არჩეული მთავრობა და აუცილებელ შემთხვევაში ხალხისვე მიერ გადაყენებული. გარდა

ამისა, დემოკრატია – ესაა საკუთარი კურსის მქონე მმართველობა და მთავრობა. არათუ ისეთი რთული წარმონაქმნის, როგორცაა საზოგადოება, არამედ ნებისმიერი კომერციული ფირმის მართვისას საჭიროა რთული გადაწყვეტილებების მიღება და რთული პოლიტიკის შემუშავება. მმართველებს მოეთხოვებათ სპეციალური ცოდნა და უნარ-ჩვევები.

ამგვარად, აუცილებელია მუდმივ საფუძველზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი; ისეთი თანამდებობის დასაკავებლად, რომელიც მოითხოვს სპეციალურ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, არ უნდა დავუშვათ ადამიანები, რომლებიც ვერ ფლობენ საჭირო ინფორმაციას და ზერელე წარმოდგენა აქვთ აუცილებელ მოვალეობებზე, გამოცდილებაზე. რაც შეეხება, უფრო მაღალი დონის ოფიციალურ წარმომადგენელთა თანამდებობებს, რომლებიც პასუხს აგებენ საერთო-პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებაზე, ვებერის აზრით, შეიძლება იყოს არჩევითი, მაგრამ ამ პოლიტიკოსების გვერდით უნდა არსებობდეს ფუნქციონერთა საკმაოდ დიდი ფენა, რომელსაც დაეკისრება ქვეყნის მართვის ძირითადი სიმძიმე.

მასობრივი მოქალაქეობის იდეის განხორციელება, რომელიც ასევე მჭიდრო კავშირშია დემოკრატიულ პორცესებში მონაწილეობის იდეასთან, გარკვეულად იწვევს ბიუროკრატიული აპარატის არსებობას და რაც უფრო დიდია თანამედროვე სახელმწიფო და რაც უფრო ძლიერია იგი, მით უფრო დამოკიდებულია ბიუროკრატიულ აპარატზე. წარმომადგენლობითი, მრავალპარტიული დემოკრატია თავისი არსით მოწოდებულია დაიცვას საზოგადოება როგორც ცალკეული პოლიტიკური ლიდერის მიერ თვითნებურად მიღებული გადაწყვეტილებებისაგან, ისე ბიუროკრატიული აპარატის მხრივ ზენოლისაგან, მაგრამ რეალურად წარმომადგენლობითმა დემოკრატიულმა ინსტიტუტებმა ვერ შეძლეს ეფექტურად ამ ფუნქციების განხორციელება, იმისათვის, რათა დემოკრატიულმა სისტემამ ეფექტურად იმოქმედოს, აუცილებელია ორი პირობის შესრულება.

**პირველი,** უნდა არსებობდეს განსხვავებული შეხედულებებისა და სხვადასხვა ინტერესის გამომხატველი პარტიები;

**მეორე,** უნდა არსებობდეს ცოცხალი წარმოსახვის მქონე „მოწოდებით“ (მ.ვებერი) პოლიტიკოსები, რომლებსაც უნარი ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ ბიუროკრატიულ ზენოლას. სწორედ ლიდერებს ძალუძთ გამოხატონ მასების ლტოლვა და ინტერესები, რათა ცხოვრებაში ეფექტურად გაატარონ დემოკრატიული პოლიტიკა. მმართველობა ელიტის დახმარებით გარდუვალია და საუკეთესო, მხოლოდ ელიტარულ სტრუქტურებს ძალუძთ გონიერად, ინიციატივითა და ეფექტურად გამოხატონ და წარმოადგინონ ადამიანთა ინტერესები. პარლამენტი და სხვა წარმომადგენლობითი ინსტიტუტები კი ის ორგანოებია, სადაც შეიძლება ისეთი პოლიტიკური ლიდერები ჩამოყალიბდნენ, რომელთაც უნარი ექნებათ წინააღმდეგობა გაუწიონ ბიუროკრატიის გავლენას და შეინარჩუნონ მასების მხარდაჭერა. მხოლოდ, მრავალპარტიულ დემოკრატიაში ძალუძს იყოს ეფექტურად მოქმედი, სწორედ ხელმძღვანელობის მაღა-

ლი დონის და არა პოლიტიკურ პროცესებში მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის წყალობით.

ელიტარული დემოკრატიის თვალსაჩინო წამომადგენელი ი.შუმპეტერიც მთლიანად იზიარებს მ. ვებერის შეხედულებას პოლიტიკურ ცხოვრებაში მასების მონაწილეობის საზღვრების შესახებ. შუმპეტერის აზრით, დემოკრატია უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ეფექტურად მოქმედი მთავრობის ფორმირების მეთოდი და არა როგორც უმრავლესობის ძალაუფლების უზრუნველყოფი საშუალება. დემოკრატიას შეუძლია ყველაზე უკეთ უზრუნველყოს ერთი პოლიტიკური ლიდერის ან პარტიის მეორეთი შეცვლა. შუმპეტერის აზრით, დემოკრატია – ესაა არა ხალხის, არამედ პოლიტიკოსთა მმართველობა. პოლიტიკოსები, ამომრჩეველთა ხმების ისეთივე „მოვაჭრენი“ არიან, როგორც ბროკერები არიან აქციებით მოვაჭრენი საფონდო ბირჟაზე, მაგრამ იმისათვის, რომ მოიპოვონ ამომრჩეველთა მხარდაჭერა, პოლიტიკური მოღვაწეები მინიმალურად მაინც უნდა პასუხობდნენ თავიანთი ელექტორატის მოთხოვნებსა და ინტერესებს. ამომრჩეველთა ხმების მოპოვების პროცესში არსებულ მეტოქეობასა და შეჯიბრს შეუძლია თავიდან აგვაცილოს მმართველობის დესპოტური რეჟიმის დამყარება. პოლიტიკური დემოკრატიის მექანიზმები გამოცალკეებულ უნდა იქნეს ეკონომიკური ცხოვრებისაგან, როგორც ბაზარი, რომელშიც მოქმედებს კონკურენცია, მომხმარებელს აძლევს არჩევანის შესაძლებლობას, ისე ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პარტიების სისტემა უზრუნველყოფს პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობას.

ამგვარად, ელიტარული დემოკრატიის თეორიებში დემოკრატიულ ფასეულობათა მთავარი მატარებელი არის არა რიგით მოქალაქეთა მასა, რომელიც ხშირად არაკომპეტენტური და გაუნონასწორებელია, ადვილად ექცევა იდეოლოგიური გავლენის ქვეშ, მიდრეკილია ეგალიტარიზმისაკენ, არამედ ელიტა, რომელსაც უნარი აქვს ეფექტურად მართოს საზოგადოება და დაიცვას ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები. ხალხის მასას კი უნდა ჰქონდეს უფლება არჩევნების დახმარებით პერიოდულად გააკონროლოს ელიტა და გავლენა მოახდინოს მის შემადგენლობაზე.

ამ შემთხვევაში დემოკრატია არის ელიტის მმართველობა, რომელიც ხორციელდება ხალხის თანხმობით. დემოკრატიის განვითარება დაკავშირებულია არა მმართველობაში ხალხთა მასების პირდაპირი და უშუალო მონაწილეობის გაფართოებასთან, არამედ ხალხის კონტროლის ქვეშ მყოფი ეფექტური და შედეგების მქონე ელიტის რეკრუტირების ეფექტური მექანიზმების შექმნასთან.

**პლურალისტური დემოკრატია.** პლურალისტურ კონცეფციას თავისებური პოზიცია უჭირავს დემოკრატიის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხის – ხალხის ცნების გაგებაში. იგი ამოდის იქიდან, რომ არა პიროვნება, არა ხალხი, არამედ ცალკეული ჯგუფია თანამედროვე დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა. ამ კონცეფციის მიხედვით, ცალკეულ მოქალაქეს პრაქტიკულად არ ძალუძს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილება-

თა მიღების პროცესზე. ინდივიდი ჯგუფის გარეშე – უსიცოცხლო აბსტრაქციაა. სწორედ ჯგუფსა და ჯგუფთა შორის ურთიერთობებში ყალიბდება პიროვნება, იკვეთება მისი ინტერესები, ღირებულებითი ორიენტირები და პოლიტიკური საქმიანობის მოტივები. თითოეული ადამიანი მრავალი ჯგუფის წარმომადგენელია. ჯგუფის დახმარებით ეძლევა ინდივიდს თავისი ინტერესების გამოთქმისა და დაცვის შესაძლებლობა. დემოკრატიის დანიშნულებაა სტიმული მისცეს მრავალსახეობასა და პლურალიზმს საზოგადოებაში. ყველა მოქალაქეს მისცეს გაერთიანების, თავისი ინტერესების ღიად გამოთქმის, ურთიერთმისაღები კომპრომისის დახმარებით მათი წონასწორობის მოპოვების შესაძლებლობა. სწორედ დაინტერესებულ ჯგუფთა სიმრავლე უპირისპირდება ჩინოვნიკთა და ბიუროკრატთა ხელში ძალაუფლების კონცენტრაციის ტენდენციას, ხოლო **„სხვადასხვა ჯგუფისა და ფრაქციის ინტერესთა შორის კონკურენციის არსებობა დემოკრატიის უაღრესად მნიშვნელოვანი პირობაა, რამდენადაც ამ დროს ძალაუფლება ნაწილდება ჯგუფებს შორის ისე, რომ არ აძლევს რომელიმე ერთ ჯგუფს ან კლასს განსაკუთრებული გავლენის მოპოვების შესაძლებლობას“** (53, გვ. 298).

პლურალისტების აზრით, საკითხავია დემოკრატიული არის თუ არა სტაბილური უმრავლესობის ძალაუფლება, რამდენადაც თავად უმრავლესობა ცვალებადია და არამონოლითური, მრავალგვარ ინდივიდთა, ჯგუფთა თუ გაერთიანებათა კომპრომისისა და კონსენსუსის შედეგია. დემოკრატიის პირობებში მთავრობის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა დაჯგუფების – საქმიანი წრეების, პროფკავშირების, ეთნიკური ჯგუფების, ბუნების დამცველ ორგანიზაციათა, რელიგიურ ჯგუფთა წარმომადგენლებს შორის მიმდინარე მუდმივი მოლაპარაკებები. თანამედროვე დასავლური საზოგადოების შემადგენელ ჯგუფთაგან არც ერთს არ ძალუძს ძალაუფლების მონოპოლიზება და ისეთი გადანყვეტილებების მიღება, რომელსაც არ ექნება მხარდაჭერა სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებებისაგან. უკმაყოფილო ჯგუფებს კი გაერთიანების შემთხვევაში შეუძლიათ არასასურველ გადანყვეტილებათა ბლოკირება და ძალაუფლების მონოპოლიზაციის ტენდენციების შეკავება.

ამგვარად, „დემოკრატიული წესრიგი – ეს არის წესრიგი, რომლის დროსაც არსებობს კონკურენციაში მყოფ ინტერესთა ბალანსი, რომელთაგან თითოეული ზემოქმედებს პოლიტიკაზე, მაგრამ არ ახშობს მმართველობის მოქმედ მექანიზმებს“ (იქვე). სხვაგვარად რომ ვთქვათ, – დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომელიც საზოგადოებრივ ჯგუფებს შესაძლებლობას აძლევს თავისუფლად გამოთქვან თავიანთი ინტერესები და კონკრეტულ ბრძოლაში მოძებნონ მათი ბალანსის ამსახველი კომპრომისული გადანყვეტილებები. პლურალისტური დემოკრატიის ფუნდამენტური იდეებია:

1. დაინტერესებული ჯგუფი – დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ძირითადი ელემენტი, როგორც პიროვნების ინტერესთა, უფლებათა და თავისუფლებათა რეალიზაციის გარანტი.

2. საერთო ნება, როგორც სხვადასხვა ჯგუფის კონფლიქტურ ურთიერთქმედებათა და მათ შორის მიღწეულ კომპრომისთა შედეგი.

3. ჯგუფურ ინტერესთა პაექრობა და ბალანსი, როგორც დემოკრატიული ხელისუფლების დინამიკის სოციალური საფუძველი.

4. პიროვნული, განსაკუთრებით ჯგუფური ინტერესები, როგორც პოლიტიკის გენერატორი.

5. სახელმწიფო, როგორც ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი სისტემის ყველა სექტორის ნორმალურ ფუნქციონირებაზე.

6. სახელმწიფო, როგორც არბიტრი, საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის დამცველი.

7. ძალაუფლების განაწილება პოლიტიკური გავლენის სხვადასხვა ცენტრს: სახელმწიფო ინსტიტუტების, პარტიებს, დაინტერესებულ ჯგუფთა შორის.

8. ღირებულებითი თანხმობა საზოგადოებაში, რომელიც გულისხმობს პოლიტიკური პაექრობის ყველა მონაწილის მიერ არსებული პოლიტიკური წყობის, თამაშის დემოკრატიული წესების, პიროვნების უფლებების, კანონის საფუძველთა აღიარებასა და პატივისცემას.

9. თავად ბაზისურ ჯგუფთა დემოკრატიული ორგანიზაცია, როგორც მათ შემადგენელ მოქალაქეთა ინტერესების ადეკვატური წარმომადგენლობის პირობა. ამის გარეშე **„დემოკრატია ელიტათა პლურალიზმად იქცევა“** (128, გვ. 226).

ჩვენ მიერ განხილული თეორიები არ არიან უნაკლო, მათაც აქვთ სუსტი მხარეები, მაგალითად, დემოკრატიული ელიტიზმის მომხრეების აზრით, ელექტორატის ძირითადი მასა პასიური და გაუნათლებელია. ერთადერთი არჩევანი, რომელსაც ნ. ვებერი და ი. შუმპეტერი გვიტოვებენ, ე. გიდენსის სამართლიანი შენიშვნით, დაიყვანება ელიტის შემოქმედებით მმართველობასა და მორჩილ, გონებაჩლუნგ ბიუროკრატიულ მმართველობას შორის არჩევანზე. მაგრამ, ბიუროკრატიაც განსხვავებულია – ზოგიერთი უფრო ღიაა და საზოგადოების ინტერესებსა და მოთხოვნებს უფრო ყურადღებით ეკიდება, ვიდრე სხვები, ხოლო იქ, სადაც საჭიროა სპეციალური ცოდნა და უნარ-ჩვევები, ჩვეულებრივ მუშაობენ სპეციალისტები და არა ბიუროკრატია ჩინოვნიკები, მაგრამ, როგორი სამართლიანიც არ უნდა იყოს კრიტიკული შენიშვნები, მ. ვებერი და ი. შუმპეტერი სავსებით მართლები იყვნენ, როდესაც კომპეტენტურობის შესახებ დასვეს საკითხი. როგორი განათლებულიც არ უნდა იყოს ელექტორატის უმეტესობა, მაინც ამომრჩეველთა დიდ ნაწილს არ შეუძლია ჩასწვდეს იმ გადანყვეტილებათა მთელ სირთულეს, რომელსაც მთავრობა იძულებულია მუდმივად იღებდეს. მაშინ, როდესაც ოფიციალურ პირებსა და საკანონმდებლო ორგანოთა არჩეულ პირებს შესაძლებლობა აქვთ მოიპოვონ სპეციალური ცოდნა შესაბამის საკითხებზე. მართალია, ექსპერტები განიცდიან საერთო პოლიტიკის შემმუშავებელ პირთაგან ზენოლას, მაგრამ მათ შეუძლიათ მიიღონ გადანყვეტილებები, რო-

მელიც ემყარება კონკრეტული საკითხების შესახებ არსებულ მდიდარ ინფორმაციას, ხოლო, თუ ექსპერტთა საქმიანობას უკვე კურირებენ არჩეული წარმომადგენლები, მაშინ მათ მიერ შემუშავებულ გადაწყვეტილებებს შეუძლიათ ასახონ მოსახლეობის ყველაზე ფართო სოციალური ფენების ინტერესები და მოთხოვნები.

პლურალისტთა კრიტიკოსები კი შენიშნავენ, რომ საზოგადოებაში არსებულ დაინტერესებულ ჯგუფებს განსხვავებული ძალაუფლება და გავლენა აქვთ. ბიზნესმენთა ჯგუფებს, რასაკვირველია, მეტი გავლენა ექნებათ მთავრობის პოლიტიკაზე, ვიდრე სხვებს. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ძალაუფლების მონოპოლიზება. თანამედროვე საზოგადოებაში ყველა დაინტერესებულ ძლიერ თუ სუსტ ჯგუფს შეუძლია ორგანიზება და საკუთარი თვალსაზრისის საქვეყნოდ გაცხადება. ასეთ ჯგუფებს შორის პაექრობასა და შეჯიბრს კი შეუძლია, პრინციპში, ხელი შეუწყოს განსაზღვრული „ბალანსის“ ფორმირებას: ძლიერ ჯგუფებს არ შეუძლიათ უბრალოდ მოახვიონ თავიანთი შეხედულებები დანარჩენებს, ხოლო სუსტებს კი შესაძლებლობა აქვთ წარმოადგინონ თავიანთი ინტერესები (53, გვ. 299).

ამგვარად, დემოკრატიის ზემოთ განხილული თეორიები არ არის მოკლებული სიზუსტესა და ნაკლოვანებას, მაგრამ ხალხის ძალაუფლების იდეალსა და რეალურ ცხოვრებასთან უფრო ახლოს მდგომ პოლიტიკურ სისტემათა სხვა მოდელები, სამწუხაროდ, არ არსებობს. დღეს, შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატია საყოველთაო მონონებისა და ყურადღების ცენტრშია. თითქმის არ არსებობს პოლიტიკური სისტემა თუ სახელმწიფო, რომელიც მისით არ იწონებდეს თავს. დემოკრატიის ეს მიმზიდველობა უნდა ვეძიოთ მის იდეალებში, რომელიც დესპოტიზმის ბატონობისაგან გათავისუფლებას გულისხმობს. თანამედროვე სახელმწიფო, განსხვავებით ტრადიციულისაგან, წარმატებით ვერ შეძლებს მმართველობის ფუნქციის შესრულებას თუ მოსახლეობის უმრავლესობისაგან არ მოიპოვა აქტიური მხარდაჭერა. დემოკრატიის მიმზიდველობას განაპირობებს ისიც, რომ ძალაუფლების საიმედო შეზღუდვის, სახელმწიფოებრივი თვითნებობისაგან მოქალაქეთა დაცვის გარანტია შეუძლია მოგვცეს მხოლოდ მმართველობის დემოკრატიულმა ფორმამ. იგი არა მხოლოდ ცალკეულ მოქალაქეს სჭირდება, არამედ თავად პოლიტიკურ სისტემას. „ქარიზმული, ტრადიციული და იდეოლოგიური ლეგიტიმაციის შესაძლებლობათა დასუსტების პირობებში, იმისათვის, რათა იყოს ეფექტური, ძალაუფლებას განსაკუთრებით ესაჭიროება დემოკრატიული პროცედურის მეშვეობით ხალხის მიერ აღიარება“ (128, გვ. 239). დღეს მხოლოდ დემოკრატია ქმნის ინდივიდუალური და საზოგადოებრივი განვითარების, ჰუმანიტარულ ფასეულობათა: თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობის რეალიზაციის საუკეთესო შესაძლებლობებსა და პირობებს. დემოკრატია რომ იდეალურად ფუნქციონირებად და ეფექტურ სისტემად იქცეს, მას ესაჭიროება გარკვეული საზოგადოებრივი პირობები. თუ ასეთი პირობები არ იქნება რეალური, მაშინ დემოკრატია ავტორიტარული ხელისუფლების რესპექტაბელურ ფასადად იქცევა.

**დემოკრატიზაციის წანამძღვრები და გზები.** დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის დამკვირდება ისეთ ქვეყანაში, რომელიც სულ რამდენიმე წელია განთავისუფლდა კოლონიური და ტოტალიტარული მმართველობის კლანჭებისაგან, ურთულესი და ხანგრძლივი პროცესია. სიტუაციას ამძიმებს ისიც, რომ არ არსებობს მაქსიმალურად ეფექტური წესი, რომლის მიხედვითაც შევძლებდით დემოკრატიული ფასეულობების ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარებას. ამისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ პოლიტიკური გარდაქმნების გატარება, შეიძლება პოლიტიკური სისტემა ფორმალურად მოიცავდეს დემოკრატიული ხელისუფლების ყველა ინსტიტუტსა და ორგანოს, მაგრამ თავად დემოკრატია ფაქტობრივად არც კი არსებობდეს. როგორ ჩამოვაყალიბოთ დემოკრატიული ხელისუფლება ქვეყანაში, რომელსაც თითქმის არ უცხოვრია დემოკრატიის პირობებში. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უბრალოდ არ გვაქვს არც ტრადიციები და არც ჩვევები ვიაზროვნოთ და ვიმოქმედოთ დემოკრატიული ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად. დემოკრატიაზე გადასვლა უკავშირდება მთელ საზოგადოებას, როგორც მის შემადგენელ ინდივიდებს, ისე მათ შორის არსებულ სოციალურ ურთიერთობებს. მაგრამ ყველაზე მეტად დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება დაკავშირებულია დემოკრატიული იდეალებისადმი მოსახლეობის ფართო მასების ერთგულებაზე. პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში მათ აქტიურ მონაწილეობაზე, განსხვავებებისა და სხვაგვარად მოაზროვნების მიმართ ტოლერანტულ დამოკიდებულებაზე. არ უნდა დაგვავინყდეს, რომ პოლიტიკური სტრუქტურების გარდაქმნა სწრაფად მიმდინარეობს, მაგრამ შესაბამისი ცვლილებები ადამიანთა ცნობიერებასა და შეხედულებებში – გაცილებით ნელა, თანაც არ უნდა დაგვავინყდეს ტოტალიტარული მმართველობის ათეული წლების სამწუხარო მემკვიდრეობა, რომელიც ბევრ ჩვენ მოქალაქეს ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი.

ამიტომ, დემოკრატიის მშენებლობის ერთ-ერთი ფაქტორი დემოკრატიული კულტურის ფასეულობების გავრცელებაა. მხოლოდ ამ კულტურის გაცნობითა და ღრმად შესწავლის მეშვეობით შეგვიძლია დავეუფლოთ „დამოუკიდებლად აზროვნების ხელოვნებას“, რომელსაც დემოკრატიის პირობებში თითოეული მოქალაქე უნდა ფლობდეს. ამგვარად, „კულტურული კონტექსტი“, რომლის ფონზეც მიმდინარეობს დემოკრატიული გარდაქმნები, ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს წარმოადგენს, მაგრამ იგი საკმარისი არ არის. მაგალითად, ამერიკელი პოლიტოლოგი ს. ჰანთინგტონი, „კულტურული კონტექსტის“ გარდა, დემოკრატიის განვითარებისა და სტაბილიზაციის კიდევ სამ პირობაზე ლაპარაკობს:

1. ეკონომიკური სიმდიდრე და ძლიერება (კარგი ეკონომიკური სიტუაცია, შემოსავალთა სამართლიანი განაწილება და ა.შ.);



2. საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ისეთი კომბინაცია, რომელიც მოიცავს საკმაოდ ძლიერ საშუალო კლასს და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ელიტებს, აგრეთვე ისეთ ორგანიზაციათა დანან-ევრებულ ბადეს, რომელიც ინტერესების მიხედვით აერთიანებს მოქალაქეებს;

3. გარე სამყაროს გავლენა, რასაკვირველია, ძნელია თუ შეუძლებელი არაა ისეთ ქვეყანაში დემოკრატიის წარმატებით განვითარება, რომლის მეზობელი სახელმწიფოები იმპერიული ამბიციებითა და პრეტენზიებით არიან განმსჭვალ-ული;

დემოკრატიული შესაძლებლობის ოთხ პირობას აანალიზებს ფრანგი პოლი-ტოლოგი ჟან ბეშლერიც. ეს პირობებია:

1. „პოლიტიის, ანუ სახელმწიფოს იმავე პოლიტიკური გაერთიანების მუდ-მივობა;

2. იმპერიული ტენდენციების არარსებობა;

3. გადაწყვეტილებების მიმღებ ავტონომიურ ცენტრთა მრავალრიცხოვნება;

4. მოქმედ პირთა სათნოებანი“ (30, გვ. 149).

სახელმწიფოებრიობის გარეშე საზოგადოება აღმოჩნდება ბუნებრივ მდგო-მარეობაში, სადაც ბატონობს ჯუნგლების კანონი, ე.ი. ძლიერის უფლება. სახ-ელმწიფო, ანუ პოლიტიკური გაერთიანება, თავისი ბუნების მიხედვით წარ-მოადგენს ადამიანთა ისეთ ერთობას, რომელშიც არსებობს შინაგანი მშვიდო-ბისა და სტაბილურობის ტენდენცია და გარეშე მტერთან ომის შესაძლებლობა. სხვაგვარად, უნდა არსებობდეს მყარი, მუდმივი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ექნება საშუალება აღკვეთოს ძალადობის აქტები და პასუხი გასცეს ყოველგვარ გარეგან გამოწვევას. პოლიტიის მუდმივობა აუცილებელია ნები-სმიერი დემოკრატიული გამოცდილებისათვის, რამეთუ უზრუნველყოფს მას გარედან დაპყრობისაგან და იცავს სამოქალაქო ომის შინაგანი საშიშროებისაგან.

დემოკრატიის არსებობის მეორე პირობა სახელმწიფოთა შორის ურთიერ-ობებიდან მომდინარეობს. შეუძლებელია დემოკრატიული წყობა წარმატებით დამკვიდრდეს და შეძლოს ეფექტური ფუნქციონირება თუ სახელმწიფოთა შო-რის სივრცეში მადომინირებელია იმპერიული ტენდენციები, როდესაც თავი-სუფალი პოლიტიკური გაერთიანებანი, რომელთა შორის ურთიერთობებში მო-ნაცვლეობს ომი და მშვიდობა, ადგილს უთმობს იმპერიას. იმპერია კი ეს არის ომის გზით თავისუფალ სახელმწიფოთა ერთიან სახელმწიფოდ, ანუ პოლიტიად გარდაქმნა. ასეთი იმპერიული ტენდენციების არსებობა აიძულებს თითოეულ სახელმწიფოს – სულერთია იგი იბრძვის არსებობისათვის თუ სხვისი ტერი-ტორიების დასაპყრობად – მოახდინოს ძალაუფლების კონცენტრაცია; ამგვარი კონცენტრაცია კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს ავტოკრატიულ ტენდენციათა დაუოკებელ ზრდას. გარდა ამისა, სახელმწიფო, რომელიც გამარჯვების წყა-ლობით იქცა იმპერიის ბირთვად, იძულებულია ძალით შეინარჩუნოს მთელის ერთიანობა. ამგვარად, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტრანსპოლიტიების

გაერთიანების შედეგად წარმოქმნილ იმპერიებში დემოკრატიის არსებობა შეუძლებელია, მათ იეროკრატიული ან ავტოკრატიული წყობა შეიძლება ჰქონდეს.

**ტრანსპოლიტიურმა** გაერთიანებებმა შეიძლება სამი განსხვავებული კონფიგურაციის ფორმა მიიღოს: **მრავალპოლარული, ბიპოლარული** და **ოლიგოპოლარული** მსოფლიოს სახით. დემოკრატიული წყობის განვითარების ხელშემწყობ საგარეო-პოლიტიკურ ფაქტორს ოლიგოპოლარული (მცირე) მსოფლიო წარმოადგენს. რამეთუ მის შემადგენელ თითოეულ წევრს არ აქვს საკმარისი ძლიერება, რათა გაიმარჯვოს ყველა დანარჩენ სახელმწიფოთა კოალიციაზე. ასეთი მსოფლიო გაერთიანების დროს მასში შემავალ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს ყველაფრის მოგების შანსი. ტრანსპოლიტიის მოქმედ პირთა მცირერიცხოვნება და მათი ურთიერთობების მუდმივობა აადვილებს იმათ შორის ურთიერთგაგებასა და კავშირს, რომლებმაც იგრძნეს საფრთხე რომელიმე მათი წევრის ჰეგემონური ნების გამოხატვის გამო.

ოლიგოპოლარული სისტემა ეყრდნობა არა იმდენად მყარ წონასწორობას, რამდენადაც ცვალებად კოალიციებს შორის წონასწორობის მუდმივ აღდგენას. ამიტომ, როგორც ჟ. ბეშლერი დაასკვნის, „**დემოკრატიის შესაძლებლობის მეორე პირობა – ეს არის არა მხოლოდ იმპერიულ გაერთიანებათა ტენდენციების არარსებობა, რაც ნიშნავს მხოლოდ თვისების არარსებობას და ნაწილობრივ ტავტოლოგიას, არამედ კიდევ ოლიგოპოლარული ტრანსპოლიტიის წინასწარ ან ერთდროულ არსებობას**“ (30, გვ. 153).

დემოკრატიის შესაძლებლობის მესამე პირობაა **გადანყვეტილებათა მიღების ავტონომიურ ცენტრთა არსებობა**. როგორც ცნობილია, ყოველი ძალაუფლება აბსოლუტურობას ესწრაფვის, რამდენადაც პოლიტიკური ძალაუფლება აკონტროლებს მოცემულ საზოგადოებაში არსებულ ყოველგვარ ძალას, ამდენად, ნებისმიერი პოლიტიკური ძალაუფლება თავად მისწრაფვის აბსოლუტური ავტოკრატიისა და ტირანიისაკენ. გამოსავალი ამ შემთხვევაში ერთია: აუცილებელია ძალაუფლებას დავუპირისპიროთ ძალაუფლება. დემოკრატია ამას განსაზღვრების მიხედვით მოითხოვს, რამდენადაც იგი ავტოკრატიისა და დესპოტიის ანტიპოდაა. ამიტომ, დემოკრატიის დროს აუცილებელია ძალაუფლებას დავუპირისპიროთ სხვა ძალა ან ძალები, რათა გავანწონასწოროთ იგი. ეს შეიძლება ორი გზით მოხდეს: 1. ერთ ძალაუფლებას დავუპირისპიროთ მეორე თავად პოლიტიკური ძალაუფლების შუაგულში – სახელმწიფოებრივის სფეროში, მაგრამ ჟ. ბეშლერი არ იწონებს სახელმწიფოს დონეზე ძალაუფლების დანაწილებას, თუ მას ძლიერი მაკონტროლებელი სფეროები არ უპირისპირდება. კარგადაა ცნობილი ფაქტები, რომ იქ სადაც პოლიტიკური ძალაუფლება არ კონტროლდება, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ფიქციაა და მეტი არაფერი, გარდა ამისა, ძალაუფლება თავის თავს არასოდეს თავად არ დაანაწილებს, რამდენადაც სტიქიურად აბსოლუტურობისაკენ ისწრაფვის. მაშინ ვის შეუძლია ძალაუფლების დანაწევრება? ამისათვის საჭიროა „**სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას დავუპირისპიროთ**

**კერძო ძალაუფლებები, პოლიტიკურ სფეროს – არაპოლიტიკური, სახელმწიფოს დაფუძირისპირობით სამოქალაქო საზოგადოება“ (30, გვ. 154).**

კერძო სფერო – ესაა მოქალაქენი იმ ზომით, რა ზომითაც ისინი ენევიან თავიანთ საქმეს და ქმნიან ეკონომიკურ, რელიგიურ, სათამაშო, ოჯახურ, პედაგოგიურ და სხვა გაერთიანებებს საკუთარი მიზნების მისაღწევად. იმ ზომით, რა ზომითაც ისინი „არიან და სურთ იყვნენ ავტონომიური პოლიტიკური ძალაუფლებისა და სახელმწიფოებრივი სფეროს მიმართ, ეს ინდივიდუუმები და ეს კერძო გაერთიანებები წარმოადგენენ გადანყვეტილებათა მიღების ავტონომიურ ცენტრებს“ (იქვე). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კერძო ცენტრები მოცემული უნდა იყოს, ანუ არსებობდეს, სხვაგვარად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ისინი წარმოიშობიან სახელმწიფოებრივი სფეროს თვითგანვითარების შედეგად, მაშინ, როდესაც არც ერთი ძალაუფლება, მით უმეტეს პოლიტიკური, არ დაინყებს საკუთარი თავის შეზღუდვას.

დემოკრატიისათვის აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც საკმარისად ძლიერია, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს სახელმწიფოს შეჭრა-ზენოლას და საკმარისად აქტიურია, რათა თავად გადაჭრას თავისი განსხვავებული ინტერესების მორიგებასთან დაკავშირებული პრობლემები.

დემოკრატიის შესაძლებლობის მეოთხე და უმთავრესი პირობაა ინდივიდებში შესაბამისი სამოქალაქო და პოლიტიკური სათნოებების არსებობა. თუ ეს სათნოებანი საზოგადოების წევრებს არა აქვთ, მაშინ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. **„ცუდი ადამიანური მასალისაგან არ შეიძლება ჯანსაღი საზოგადოების აშენება“ (30, გვ. 135).** ბეშლერის აზრით, დემოკრატიის შესაძლებლობის საფუძველში ძევს შემდეგი სამოქალაქო სათნოებანი:

**1. სიმამაცე** – ესაა თითოეული ადამიანის მიერ საკუთარი აგრესიულობისა და ძალადობის მიდრეკილებაზე მკაცრი კონტროლი, რათა ეს უხეში, თითქმის ბიოლოგიური მამოძრავებელი ძალა ჩაყენებულ იქნეს საბოლოო პოლიტიკური მიზნის – დემოკრატიული სახელმწიფოს ნებისმიერი შიდა თუ გარე აგრესიისაგან დაცვის სამსახურში.

**2. ტოლერანტობა** – შემწყნარებლობა. იგი არ არის გულგრილობა, თითოეული ადამიანი უნდა იცავდეს და უფრთხილდებოდეს საკუთარ აზრს, მაგრამ, ამავე დროს, აღიარებდეს, რომ სხვასაც აქვს საკუთარი აზრის დაცვისა და გაფრთხილების უფლება და რომ სხვების აზრი შეიძლება კიდევ უფრო მეტად, ვიდრე მისი საკუთარი, შეესატყვისებოდეს ჭეშმარიტებას, ანდა შეიძლება იყოს მცდარი. ამგვარად, ტოლერანტობა – შემწყნარებლობა გულისხმობს შეხედულებათა და აზრთა შეპირისპირებას, მათ ურთიერთაღიარებასა და ჭეშმარიტების ერთობლივ ძიებას – ყოველგვარი ძალადობის გარეშე.

**3. ავტონომიურობა.** დემოკრატიის საფუძველში ძევს საზოგადოებრივისა და კერძოს გამიჯვნა: ერთის სფეროში შედის საერთო სიკეთე, მეორეში – კერძო ინტერესთა დაცვა. ინდივიდებისა და გაერთიანებებისაგან მოითხოვება, რომ მათ რაც შეიძლება კარგად განსაზღვრონ თავიანთი ინტერესები და ძალისხმევა არ დაიშურონ საკუთარ მიზანთა განხორციელებისათვის, რასაკვირველია,

კანონიერების მკაცრად დაცვის პირობებში. ადამიანები განმსჭვალულნი უნდა იყვნენ ავტონომიურობის სულისკვეთებით, თავმოყვარეობითა და სიამაყით.

**4. თავდადება.** საერთო და ზოგადი ინტერესები ადამიანებისაგან მოითხოვენ თავდადებას, რომლის არსიც ისაა, რომ გასცე რაიმე ეკვივალენტის დაბრუნების იმედის გარეშე. კანონების დაცვა, ბეშლერის სამართლიანი შენიშვნით, თავდადების ერთადერთი ფორმაა, რადგან იგი ნიშნავს ზოგჯერ იმოქმედო საკუთარი კერძო ინტერესების საზიანოდ, საზოგადო სარგებლიანობის მიზნის გამო.

**5. პოლიტიკური სათოებანი.** პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომლებიც იკავებენ თანამდებობებს ძალაუფლების სტრუქტურებში, უნდა ახასიათებდეს შემდეგი სათნოებანი: **ზომიერება, სიმტკიცე (პრინციპულობა) და სიფრთხილე.**

**ზომიერება,** რომელსაც დემოკრატია მოითხოვს თავისი ხელმძღვანელებისაგან, ნიშნავს მოახმაროს საკუთარი შთაგონებისა და ენერჯის დიდი ნაწილი სიკეთის სამსახურს. გააკონტროლოს საკუთარი ინსტინქტები, ვნებები და გრძნობები და მათი ენერჯია დაუქვემდებაროს საბოლოო მიზნების გაგებით გაშუქებულ ნებელობას.

**სიმტკიცე** – პრინციპულობა მდგომარეობს იმ საბოლოო მიზნების, რომლებიც განსაზღვრების თანახმად „კარგია“ და იმ კონკრეტული მიზნებისათვის ერთგულებაში, რომლებიც ემსახურებიან ამ საბოლოო მიზნების მიღწევას. ერთგულება და პრინციპულობა ნიშნავს, რომ მას ვერ შეარყევს ვერც პიროვნული სისუსტეების გამოვლინებანი და ვერც მრავალრიცხოვანი მატერიალური თუ ადამიანურ ურთიერთობებთან დაკავშირებული დაბრკოლებები.

**სიფრთხილე** – მოქმედების უმაღლესი სათნოებაა. იყო ფრთხილი, ნიშნავს გქონდეს უნარი გულდასმით აწონ-დაწონო ნებისმიერი გადაწყვეტილების უპირატესობა და ნაკლოვანება, მოქმედების წარმატების ან წარუმატებლობის ალბათობა, მისი მეტ-ნაკლებად შორეული შედეგები. გათვალთ ყველა შესაძლებლობა, როგორც თითოეული, ისე მთლიანობაში და მათი კავშირი და დამოკიდებულება საბოლოო მიზნებისადმი. სიფრთხილის უმაღლესი გამოვლინებაა სამართლიანობის სულისკვეთება. იგი განსაკუთრებით უნდა ახასიათებდეთ იმ ადამიანებს, რომლებსაც ევალებათ მისი რეალურ ცხოვრებაში გატარება. ამიტომ, **„თუ სიფრთხილე – უმაღლესი სათნოებაა პოლიტიკაში, მაშინ სამართლიანობის სულისკვეთება – პოლიტიკის უმაღლესი სათნოებაა“** (30, გვ. 146).

ასეთია დემოკრატიის შესაძლებლობის პირობების ჟ. ბეშლერისეული დახასიათება, რომელიც ძირითადად აგებულია ლიბერალური დემოკრატიის გამოცდილებაზე, რომელიც დასავლურ-ევროპული ცივილიზაციის კანონზომიერი შედეგია მოყოლებული XVIII საუკუნიდან. რასაკვირველია, ეს საერთო კანონზომიერებანი გასათვალისწინებელია, მაგრამ პოსტსაბჭოური ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესს თავისებურებაც აქვს. უწინარეს ყოვლისა, იგი თავს იჩენს იმაში, რომ დემოკრატია ყალიბდება საბაზრო ეკონომიკისა და კერძო

საკუთრების განუვითარებლობის პირობებში. თუკი ისტორიულად სწორედ კერძო საკუთრებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება აუცილებლობით იწვევდა დემოკრატიული ინსტიტუტების წარმოქმნას საზოგადოებაში, მაშინ ჩვენ შემთხვევაში, პირიქით, დემოკრატიულმა პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს მისი ფუნდამენტის – კერძო საკუთრების ინსტიტუტებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ცხოვრებაში დამკვიდრებას. გარდა ამისა, დემოკრატიზაციის გზაზე მრავალი ეროვნულ-კულტურული თუ სოციალური წინაღობებიც გვხვდება, რაც გასაგებს ხდის იმას, რომ ზოგ ქვეყანაში დემოკრატია იფურჩქნება, ზოგიერთში კი მარცხს განიცდის. ასეთ დამაბრკოლებელ ფაქტორებად შეიძლება იქცეს:

1. ეროვნული ერთიანობის განცდა;
2. რელიგია;
3. სოციალური თანასწორობა;
4. სამოქალაქო საზოგადოებისაკენ მისწრაფება;
5. ლიბერალური ინსტიტუტების ისტორიული გამოცდილება.

1. ნაციონალიზმსა და ლიბერალიზმს შორის აშკარა შეუთავსებლობა არ არსებობს. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ ქცევას. **„ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და სუვერენიტეტის მიღწევა, შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თვითგამორკვევისა და თავისუფლების სურვილის ერთი შესაძლო გამოხატულება, ოღონდ იმ პირობით, თუკი ეროვნება, რასა თუ ეთნიკური კუთვნილება არ გახდება მოქალაქეობისა და სამოქალაქო უფლებების განსაკუთრებული საფუძველი“** (15, გვ. 225). ქვეყანა, მაგალითად, საქართველო მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ მთლიანად ლიბერალურ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ, როდესაც იგი მასში მცხოვრები ნებისმიერი მოქალაქის, აფხაზის, ოსის, რუსის, სომეხის, აზერბაიჯანელის, ქურთის და ა.შ. უფლებების დაცვას უზრუნველყოფს.

დემოკრატია ასევე ვერ იხარებს ისეთ ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის შემადგენელი ჯგუფების ეროვნულობა თუ ეთნიკური კუთვნილება იმდენად გამძაფრებულია, რომ **„ამ ჯგუფებს ვერ აერთიანებს ერთი ერის შვილების განცდა და არც ერთმანეთის უფლებებს აღიარებენ. ეროვნული ერთიანობის ძლიერი გრძნობა აუცილებელი წინაპირობაა მყარი დემოკრატიისათვის“** (15, გვ. 226).

2. დემოკრატიული იდეალების დამკვიდრებას ასევე შეიძლება დიდად შეუშალოს ხელი **რელიგიამ**. როგორც ფ.ფუკუიამა შენიშნავს, ნაციონალიზმის მსგავსად, არც რელიგიასა და ლიბერალურ დემოკრატიას შორის არსებობს რაიმე ნიშანდობლივი წინააღმდეგობა, იმ შემთხვევათა გარდა, როცა რელიგია ტოლერანტობისა და ეგალიტარულობის ჩარჩოებიდან გამოდის. ნებისმიერი რელიგია დაბრკოლება იქნება დემოკრატიისათვის, სანამ არ მოახერხებს „თვითგაუქმებას“ საკუთარი მიზნებისა და ამოცანების სეკულარიზაციის

გზით, ე.ი. როდესაც რელიგია უარს ამბობს ჩაერიოს პოლიტიკაში. თუკი რელიგია არატოლერანტულია და არ აღიარებს საყოველთაო უფლებებს, განსაკუთრებით კი აზრისა და რწმენის თავისუფლების პრინციპებს, მაშინ იგი დიდი წინაღობა იქნება ლიბერალური დემოკრატიის დამკვიდრების გზაზე.

3. მყარი დემოკრატიის ხელის შემშლელი პირობაა არათანაბარი სოციალური სტრუქტურა და მისგან გამომდინარე აზროვნების ნყობა. ამერიკული დემოკრატიის სიძლიერე და სტაბილურობა განაპირობა ამერიკული საზოგადოების აბსოლუტურმა ეგალიტარულობამ და დემოკრატიულობამ დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებასა და კონსტიტუციის დაწესებამდე დიდი ხნით ადრეც; ამერიკელები „თანასწორნი“ დაიბადნენ, რამეთუ ჩრდილო ამერიკაში დანერგილი წარმმართველი კულტურული ტრადიციები მომდინარეობდა ლიბერალური ინგლისიდან და ჰოლანდიიდან და არა XVII საუკუნის აბსოლუტისტური პორტუგალიიდან თუ ესპანეთიდან. ადამიანებს, რომლებსაც არავითარი წარმოდგენა არ გააჩნიათ საკუთარ თავისუფლებაზე, თავიანთი მიზნებითა და მოქმედებებით ვერ იქნებიან დემოკრატიის პრინციპების აქტიური განმტკიცებლები ვერც კერძო და ვერც საზოგადოებრივ ურთიერთობებში.

4. შემდეგი კულტურული ფაქტორი, რაც ზემოქმედებას ახდენს მყარი დემოკრატიის პერსპექტივებზე, უკავშირდება საზოგადოების უნარს, ავტონომიურად შექმნას ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება – ის სფერო, სადაც ადამიანებს სახელმწიფოზე დაყრდნობის გარეშე შეუძლიათ რეალურად დაეუფლონ ტოკვილისეულ „ურთიერთობის ხელოვნებას“ (15, გვ. 228). როგორც ცნობილია, ა. ტოკვილი ამტკიცებდა, რომ დემოკრატია ყველაზე უკეთ მაშინ „მუშაობს“, როცა ზემოდან ქვემოთ კი არა, ქვემოდან ზემოთ ვრცელდებაო, როცა ცენტრალიზებული სახელმწიფო ბუნებრივად ყალიბდება უამრავი ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან თუ კერძო ასოციაციებიდან, რომელთა ფუნქციონირებაც თავისუფლებისა და თვითმმართველობის გარკვეული სკოლაა და როგორც ფ. ფუკუიამა შენიშნავს, დემოკრატია, ბოლოს და ბოლოს, სწორედ თვითმმართველობამდე დაიყვანება და თუ ადამიანებს შესწევთ უნარი ქალაქებში, კორპორაციებში, პროფესიულ სასწავლებლებსა თუ უნივერსიტეტებში „მიხედონ თავს“, საფიქრებელია, სახელმწიფო დონეზეც წარმატებით მოახერხებენ იმავეს.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ იმ წინამძღვრების შესახებ, რომელთა არსებობაც აუცილებელია ლიბერალურ დემოკრატიაზე გადასავლელად:

1. საბაზრო, კონკურენციული ეკონომიკა;
2. ქვეყნის ინდუსტრიული და ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე;
3. მოქალაქეთა კეთილდღეობის შედარებით მაღალი დონე;
4. სოციალური უთანასწორობის დაბალი დონე; მრავალრიცხოვანი და გავლენის მქონე საშუალო ფენების არსებობა;
5. გადანყვეტილებების მიღების ავტონომიურ ცენტრთა სიმრავლე, ანუ განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება;

6. სამოქალაქო-პოლიტიკური კულტურა, რომელშიც შერწყმულია აქტი-  
ვისტური და მორჩილებითი კულტურის თვისებები.

თუ ამ პირობებს დავაკვირდებით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ღარიბ, ეკონომიკურად განუვითარებელ, დემოკრატიული კულტურული ტრადიციების არმქონე ქვეყანაში შეუძლებელია დემოკრატიის აშენება, მაგრამ ასრებობს მრავალი მაგალითი, როცა ქვეყნებმა, რომლებიც ვერ პასუხობდნენ დემოკრატიის კულტურულ „წინაპირობებს“, მაინც მოახერხეს დემოკრატიული სტაბილურობის საოცრად მაღალი დონისათვის მიედნათ; მაგალითად, ინდოეთი, რომელიც არც მდიდარია, არც მაღალი ინდუსტრიული დონით გამოირჩევა, არც ეროვნულადაა ერთიანი და არც პროტესტანტულია, მიუხედავად ამისა, დღემდე შეძლო შეენარჩუნებინა ეფექტურად მოქმედი დემოკრატია. ავტორიტარული ტრადიციების არსებობის გამო არც გერმანიასა და იაპონიას უწინასწარმეტყველებდნენ კარგ დემოკრატიულ მომავალს. კათოლიციზმი მიიჩნეოდა დამოკრატის დაუძლეველ წინააღმდეგობად ესპანეთში, პორტუგალიასა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში, ისევე როგორც დღეს, მართმადიდებლობა ითვლება საბერძნეთში, რუსეთსა და საქართველოში დემოკრატიის ერთ-ერთ დაბრკოლებად. ანდა, სშირად გაიგონებთ ისეთ არგუმენტებს, რომ ესა თუ ის ქვეყანა ვერ იქნება დემოკრატიული, რადგან აქამდე დამოკრატული ტრადიცია არ ჰქონიაო. ეს მართლაც პრობლემაა, მაგრამ იგი რომ აუცილებელი იყოს, როგორც ამას მოსწრებულად შენიშნავს ფ. ფუკუიამა, მაშინ **„ვერც ერთი ქვეყანა ვერ გახდებოდა დემოკრატიული, რამდენადაც არ არსებობს ხალხი თუ კულტურა (დასავლეთ ევროპის ჩათვლით), რომელსაც არ დაეწყოს ძლიერი ავტორიტარული ტრადიციით ან დროთა განმავლობაში ამგვარ ტრადიციამდე არ მისულიყოს“** (15, გვ. 231).

შეიძლება ყველა პირობა არსებობდეს, მაგრამ ქვეყანა მაინც ვერ გახდეს დემოკრატიული. პირობების რეალობად ქცევა ხალხისა და მისი პოლიტიკური ელიტის ანონილ-დანონილი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგია. მყარი ლიბერალური დემოკრატია წარმოუდგენელია ქმედუნარიანი სახელმწიფო მოღვაწეების გარეშე, ვინც ფლობს პოლიტიკის ხელოვნებას და ძალაც შესწევს ადამიანთა ძირითადი მიდრეკილებები სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარჩოებში მოაქციოს. დემოკრატიაზე წარმატებით გადასვლისას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ პოლიტიკურ ფაქტორებს, როგორიცაა „ახალი დემოკრატიული ხელმძღვანელობის უნარი:

1. გაანეიტრალოს შეიარაღებული ძალები, ვიდრე ძველი შეცდომებისა და დანაშაულებების გამოძიებას დაიწყებდეს;
2. შეინარჩუნოს სიმბოლური უწყვეტობა წარსულთან (დროშები, ჰიმნები);
3. გაითვალისწინოს უკვე ჩამოყალიბებული პარტიული სისტემის ბუნება;

4. განსაზღვროს, საპრეზიდენტო იყოს დემოკრატიული მმართველობა თუ საპარლამენტო“ (15, გვ. 230).

ამგვარად, დემოკრატიზაციის უმთავრესი ფაქტორია, პოლიტიკური ელიტის, სახელმწიფო მოღვაწეების ძლიერი ნება, რომელსაც ძალუძს გაატაროს აქტიური და რეალისტური სახელმწიფო პოლიტიკა უფრო დინამიკური, დემოკრატიული, თავისუფალი და ჰუმანური საზოგადოების ასაშენებლად. სოციალური და პოლიტიკური გარდაქმნების მთავარი ინტერესებია სახელმწიფო და აგრეთვე სხვა პოლიტიკური ინსტიტუტები: პარტიები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ასოციაციები.



## თავი VIII

### ღია – ინფორმაციული საზოგადოება, დემოკრატია და ბიუროკრატია

„ღია„ და „დახურული„ საზოგადოებების დამახასიათებელი ნიშნები:

„ღია„ საზოგადოების ცნებას ყველაზე აქტიურად იყენებდა კარლ პოპერი, „დახურული„, ანუ ტოტალიტარული საზოგადოების მეთოდოლოგიური საფუძვლის, ისტორიციზმის წინააღმდეგ პაექრობისას.

ა) ისტორიციზმი<sup>1</sup> გვევლინება როგორც „დახურული„ საზოგადოების დაცვის ერთ-ერთი უმთავრესი მექანიზმი. „დახურული„ საზოგადოება, რომელიც ორგანიზებულია ავტორიტარულად დადგენილ უცვლელ ნორმათა საფუძველზე.

„დახურულია„ საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს მასების ორგანიზება საზოგადოებაში ისე, რომ ზედმეტად არ შეიზღუდოს პიროვნების თავისუფლება საზოგადოების ძალაუფლების ქვეშ. არ ძალუძს იმ პირობების შექმნა, რომ ინდივიდის თავისუფლება არ დაიკარგოს ბიუროკრატიული სტრუქტურების ლაბირინთებში.

„დახურულია„ საზოგადოება, რომელსაც არ ძალუძს ხელი შეუწყოს სახელმწიფო ძალაუფლების გამანონასნორებელი ინსტიტუტებისა და ასოციაციების შექმნასა და ფუნქციონირებას.

„დახურულია„ საზოგადოება, რომელიც გვთავაზობს ატომიზებულ ინდივიდთა კონგლომერატს და არაინდივიდუალიზმს, და ეფექტურად მოქმედებს და ფუნქციონირებს ინტელექტუალური პლურალიზმის არარსებობის პირობებში.

„დახურულია„ საზოგადოება, რომელიც დამყარებულია მაგიურ ტაბუთა არსებობის რწმენაზე.

„დახურული„ საზოგადოება მისტიკურია, რამდენადაც იგი გამოხატავს სევდას დახურული საზოგადოების დაკარგული ერთიანობის შესახებ და, ამდენად, არის რეაქცია ღია საზოგადოების რაციონალიზმზე.

„დახურული„ საზოგადოება ეს იგივე მაგიური, ტომობრივ-ტრაიბალისტური, ანუ კოლექტივისტური საზოგადოებაა.

კოლექტივისტურ, კომუნიტარულ აზროვნებას ბევრი თითქოსდა მომხიბვლელი თვისება აქვს, მაგრამ მისი მთავარი ნაკლია საზოგადოების ძალის გამოყენება იმ პირთა დასასჯელად, რომლებიც ხელისუფლებას აკრიტიკებენ.

<sup>1</sup> ისტორიციზმი – ესაა სოციალურ-ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც ამტკიცებს ისტორიის განვითარების ობიექტურ კანონების არსებობისა და აღმოჩენის შესაძლებლობას, უფრო მეტიც, თვლის, რომ ასეთი კანონები უკვე აღმოჩენილია და მათ საფუძველზე შეიძლება ვინინასწარმეტყველოთ ისტორიული განვითარების გზების შესახებ.

ბ) „ღია„ საზოგადოება კი, განსხვავებით „დახურული„ საზოგადოებისაგან, დაფუძნებულია ადამიანის გონების მაღალ და მომწიფებულ კრიტიკულ პოტენციალზე, რომელიც სტიმულსა და გასაქანს აძლევს როგორც ინდივიდების, ისე სოციალური ჯგუფების ინტელექტუალურ თავისუფლებასა და განსხვავებულად აზროვნებას, რომლებიც მიმართულია საზოგადოების უწყვეტ და თანდათანობით რეფორმირებაზე მისი პრობლემების გადაჭრის მიზნით.

„დახურული„, ანუ „ტომობრივი„ საზოგადოებისაგან განსხვავებით, რომელიც მაგიურ ძალებს ექვემდებარება, ღია საზოგადოება ათავისუფლებს ადამიანის კრიტიკულ ძალას. ნორმალურ ვითარებაში, ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება ილაპარაკოს ის, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნია და არ ემინოდეს, რომ ამის გამო დაისჯება.

ღია და თავისუფალ საზოგადოებაში სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს შეცდომების გამოსწორების ეფექტური საშუალება და არა ფარი მათ დასაცავად. სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ბევრი იდეის კრიტიკას პირად შეურაცყოფად აღიქვამს. მაგრამ ღია საზოგადოება მაშინ არსებობს, როდესაც ადამიანებისათვის პრიორიტეტი სიტყვის თავისუფლებაა, იმ სურვილთან მიმართებაში, რომ არ ვანყენინოთ ადამიანს.

– ღია საზოგადოება არ არის აუცილებლად ზრდილობიანი საზოგადოება. თუ ჩვენთვის აუცილებელი გახდა თავი ავარიდოთ სხვადასხვაგვარ წყენას, მაშინ ძალიან მცირე ხანში საერთოდ შეუძლებელი გახდება რაიმეს თქმა თავისუფლად.

– შესაბამისად კრიტიკა კი უნდა მივიჩნიოთ არა შეურაცხყოფად ან სიძულვილის, გულგრილობის გამოვლინებად, არამედ პატივისცემის ერთ-ერთ – ყველაზე დიდ გამოვლინებად, რომელსაც ერთი ინტელექტი გამოხატავს მეორის მიმართ.

– ამგვარად, ღია საზოგადოება, ეს არის ადამიანთა იმგვარი ერთობა რომელშიც ადამიანებმა ისწავლეს კრიტიკულად მიუდგნენ ტაბუირებულ უცვლელ ნორმებს და თავიანთი გადანყვეტილებები ერთობლივი განხილვებისა და საკუთარი ინტელექტის შესაძლებლობებზე დააფუძნონ.

– ღია საზოგადოება, რომლის წევრებს ახასიათებთ რაციონალურობისაკენ მისწრაფება, შეუძლიათ თავი შეიკავონ უკიდურეს შემთხვევაში ზოგიერთი ემოციური მოთხოვნილებისაგან, თვალყური ადევნონ საკუთარ მოქმედებებს და საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა.

– ღია საზოგადოება, სადაც აცნობიერებენ, რომ მეორე ინდივიდი ინტელექტია, გონია. სწორედ შენი გონება გაქცევს შენ ადამიანურ არსებად, საშუალებას გაძლევს იყო უფრო მეტი, ვიდრე სურვილებისა და მოთხოვნილებების უბრალო ჯამი, სწორედ ინტელექტი, გონი აქცევს ადამიანს თვითკმარ ინდივიდად. მხოლოდ ინტელექტი გაძლევს საშუალებას მოითხოვო ინტელექტუალური პატიოსნება და გააცნობიერო ჩვენი ინტელექტუალური შეზღუდულობები. სწორედ ამ შეზღუდულობების გაცნობიერებაა ყველაზე მნიშვნელოვანი,

რომ არ აღმოვჩნდეთ ცრურწმენებისა და ავტორიტარული ძალაუფლების ტყვეობაში.

ღია საზოგადოების კიდევ მრავალი სხვა ნიშანი შეიძლება გამოვყოთ, მაგრამ მათგან ძირითადი ორია:

1. ნებისმიერი სოციალური პრობლემის თავისუფალი განხილვის კანონიერება, რათა ამ საჯარო დისკუსიების განხილვის შედეგებმა გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე; ასევე

2. ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ და ეხმარებიან იმ ადამიანებს, რომლებიც არ ეძებენ გამორჩენას.

ღია საზოგადოება, პოპერის მიხედვით, ერთდროულად არის როგორც რეალობა, ისე იდეალი. როდესაც დემოკრატია არსებობს, იგი უშუალოდ მიუთითებს გზას რეალური ღია საზოგადოებისაკენ. როგორც მეცნიერება ცოდნის საუკეთესო სახეა, ისე დემოკრატია ამავე მოსაზრებით სახელმწიფო მონყობის საუკეთესო ფორმაა. დღეისათვის მათ უკეთ გამოიჩინეს თავი, ვიდრე მათმა კონკურენტებმა. მეცნიერებაც და დემოკრატიაც ცდილობენ, რომ ლიდერების ცვლა ხდებოდეს რაციონალური გააზრების შედეგად და ძალადობის გარეშე. მეცნიერებაც და დემოკრატიაც ცდილობენ რაიმე ახალი ისწავლონ მათი ოპონენტებისაგან და არ გააჩუმონ ისინი. თუმცა ვერც დემოკრატია და ვერც მეცნიერება ხშირად ვერ ახერხებდნენ მიეღწიათ ამ მიზნებისათვის. თუმცა ისინი ამას უფრო ხშირად ახერხებდნენ ცოდნისა და მმართველობის სხვა ფორმებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებისა და დემოკრატიის ბუნებაში არის რაღაც ისეთი, რაც წინასწარ იძლევა გარანტიას მათი უპირატესობის შესახებ და ამიტომაც თითქოს ისინი ყოველთვის უკეთესი იქნებიან მათ, კონკურენტებსა და ოპონენტებზე. თუ უმრავლესობა აღარ მოითხოვს რაციონალურ არგუმენტაციას, თუ პოსტმოდერნისტები არიან მართლები და დემოკრატიული წყობა მართლაც აჩუმებს მათ, ვისი გადარწმუნებაც მას არ ძალუძს, მაშინ, სულ მცირე, უნდა დავეჭვდეთ იმაში, რომ მეცნიერული ცოდნა და დემოკრატია ცოდნისა და მმართველობის საუკეთესო ფორმებია.

– მხოლოდ დემოკრატიული ინსტიტუტები გვაძლევენ ძალდატანებისა და ძალადობის გარეშე რეფორმების გატარების საშუალებას, ანუ პოლიტიკაში გონების გამოყენების საშუალებას.

– ღია საზოგადოება უფრო ახლო კავშირშია პიროვნებასა და მის თავისუფლებასთან, ვიდრე სახელმწიფოსა და მის ეკონომიკასთან. სახელმწიფო, – წერდა პოპერი, – უნდა არსებობდეს პიროვნებისათვის – მისი თავისუფალი მოქალაქეებისა და მათი თავისუფალი საზოგადოებრივი ცხოვრების საკეთილდღეოდ და არა, პირიქით. სწორედ ამიტომ თითოეული მოქალაქე ერთმანეთს უნდა უთავსებდეს სახელმწიფოსადმი ერთგულების მოვალეობას და გარკვეულ უნდობლობას, სიფხიზლეს სახელმწიფოს ჩინოვნიკებისადმი. თითოეული მოქალაქის ვალია თვალყური ადევნოს იმას, რომ მისი სახელმწიფო არ გასცდეს კანონიერების ჩარჩოებს. სახელმწიფოს ინსტიტუტები ხომ ძალიან დიდი ძა-

ლაუფლების მატარებელია, ხოლო იქ, სადაც ძალაა, ყოველთვის არის მისი ბოროტად გამოყენების საფრთხე – რაც თავისთავად თავისუფლებისათვის საფრთხეს წარმოადგენს. ნებისმიერ ძალასა და ძალაუფლებას თვითზრდისა და კორუმპირებულობისაკენ აქვს მიდრეკილება თუ ტენდენცია. საბოლოოდ მხოლოდ თავისუფალი საზოგადოების ტრადიციებს, მოქალაქეების მხრიდან ძალაუფლების მიუკერძოებელ კონტროლს შეუძლია ხელისუფლების კანონიერების ფარგლებში შეკავება. სწორედ ამაზეა დამოკიდებული თავისუფლების ბედი.

დემოკრატიაც თავისუფლების დაცვის საშუალებაა, საშუალება, რომელიც არ მუშაობს იმ შემთხვევაში, თუკი მისი მომხმარებელი საზოგადოება ჯერ არ არის მზად დააფასოს თავისუფლება და ტოლერანტობა: საგულისხმოდ მიმჩნია თავისუფალი საზოგადოებისათვის ის, რომ დემოკრატია უნდა განიხილებოდეს რეალისტურად, არ არის აუცილებელი მისი იდეალიზება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ დემოკრატია, როგორც წესი, კარგად იმუშავებს იმ საზოგადოებაში, რომელიც ტრადიციულად აფასებს თავისუფლებასა და ტოლერანტობას, და არა იმ საზოგადოებაში, რომელსაც არ ესმის ამ ღირებულების მნიშვნელობა. დემოკრატია, ანუ უმრავლესობის ნება, პოპერის აზრით, შეიძლება ხელს უწყობდეს თავისუფლების შენარჩუნებასა და დაცვას, მაგრამ ის თავისთავად ვერასდროს ვერ მოახერხებს შექმნას თავისუფლება, თუ ცალკეულ მოქალაქეებს ეს არ ანუხებთ.

სწორედ ასე განიხილავდა პოპერი ღია საზოგადოებას საზოგადოებრივი ცხოვრების საუკეთესო ფორმად, როგორც დემოკრატიას სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმად; მაგრამ არა როგორც უტოპიას, მის კონკურენტებზე უკეთესს, არამედ როგორც აუცილებელ ზემოცანას, რომლისთვისაც ჩვენ დაულალავად უნდა ვიმუშაოთ, თუ არ გსურს, რომ საზოგადოება სანინალმდეგო მიმართულებით – ყველაზე უარესი ალტერნატიული მოდელისაკენ ვითარდებოდეს. ამავე დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ ამოცანის ამოხსნის წარმატება შეფარდებითია, რადგან თვით ეს ამოცანაც ხომ რეალურად ბრძოლაა თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ამგვარად, როდესაც დემოკრატია არსებობს, იგი უშუალოდ მიუთითებს გზას რეალური ღია საზოგადოებისაკენ და, პირიქით. მხოლოდ დემოკრატია და ღია საზოგადოების პირობებში არსებობს მრავალი უბედურებისა თუ გაჭირვებისაგან თავის დაღწევის საშუალება. რევოლუციებს ამის გაკეთება არ ძალუძთ. აი, რას წერს პოპერი: თუ ძალით დავანგრევთ და მოვსპობთ სოციალურ წესრიგს, მაშინ ჩვენ პასუხისმგებელნი ვხდებით არა მხოლოდ ურიცხვ მსხვერპლზე, არამედ ვქმნით სიტუაციას, რომლის დროსაც უსამართლობა და რეპრესიები ნორმა ხდება... სამწუხაროდ, სახელმწიფო – აუცილებელი ბოროტებაა, რომლის გაუქმება შეუძლებელია... არაფერია იმაზე იოლი, ვიდრე გაანადგურო კაცობრიობა, საკმარისია, აღვირი მოვხსნათ ძალადობას. გაცილებით რთულია რაციონალური საზოგადოების აშენება, რომლის კონფლიქტები უმეტეს შემთხვევაში გონიერი გზით წყდება.

სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა და თავისუფლებისადმი სიყვარული, აი მემკვიდრეობა, რომლის ცოცხლად შენარჩუნება ღია საზოგადოების ყველა წევრის ვალდებულებაა, ვალია. და თუ ჩვენ ნამდვილად გვსურს ღია საზოგადოებაში ცხოვრება, მაშინ ეს მემკვიდრეობა უნდა დავიცვათ და ცხოვრების წესად ვაქციოთ.

ამგვარად, მხოლოდ ღია საზოგადოებისა და დემოკრატიული რეჟიმის პირობებში ძალუძს სახელმწიფოს თავისი ბიუროკრატიული მართვის მანქანით ემსახუროს მთელი საზოგადოების ინტერესებს. შესაბამისად, ძალადობის გარეშე გადაწყდეს ყველა ის პრობლემა თუ კონფლიქტი, რომელიც შეიძლება საზოგადოებაში წარმოიქმნას. მართალია, სახელმწიფო თავისი ბიუროკრატიული აპარატით აუცილებელი ბოროტებაა, რომლის გაუქმება შეუძლებელია, მაგრამ მხოლოდ მას ძალუძს საზოგადოების მართვა. მაგრამ მართვა ძალადობის გამოყენების გარეშე მხოლოდ ღია საზოგადოებაშია შესაძლებელი, სადაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი დაპირისპირება თუ კონფლიქტი გონიერი გზით წყდება. ბიუროკრატია და განსაკუთრებით ბიუროკრატიული აზროვნება შეიძლება დიდ დაბრკოლებად იქცეს ღია საზოგადოებისაკენ მიმავალ გზაზე, თუ მასში არ აღმოჩნდნენ ის სოციალური ძალები, რომლებსაც ძალუძთ დროულად აღმოფხვრან ის სოციალური და მენტალური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ ბიუროკრატიზმის სენის გავრცელებას და ბიუროკრატის ბიუროკრატიზმად გადაქცევის საშუალებას არ მისცემენ. ამიტომ, ჯერ გავარკვიოთ ბიუროკრატის რაობა და როლი საზოგადოების მართვაში და შემდეგ კი გავმოვარკვიოთ ის სოციალური ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობს ბიუროკრატიული მმართველობის ბიუროკრატიზმად გადაქცევას. ბიუროკრატიზმი და ბიუროკრატიული აზროვნება კი დემოკრატიისა და ღია საზოგადოების დაუძინებელი მტერია.

**2. ბიუროკრატიის ცნება. პოლიტიკა და მართვა.** თანამედროვე ორგანიზაციებს „ბიუროკრატიული“ ბუნება აქვთ. სიტყვა ბიუროკრატია შემოუტანია დე გურნეს 1745 წელს. მან სიტყვა „ბიუროს“, რომელიც ერთდროულად ნიშნავს, როგორც დაწესებულებას, ისე სანერ მაგიდას, დაუმატა ნაწილი, რომელიც ძველ ბერძნულ ენაში „მართვას“ ან „ძალაუფლებას“ ნიშნავს. ამგვარად, „ბიუროკრატია“ ნიშნავს ჩინოვნიკთა ძალაუფლებას. დასაწყისში, ეს სიტყვა გამოიყენებოდა მხოლოდ სამთავრობო დაწესებულებების მიმართ, მაგრამ დღეს იგი ყველა დიდი ორგანიზაციის მიმართ გამოიყენება. თავიდანვე ამ ტერმინს დამამცირებელი მნიშვნელობა ჰქონდა. დღესაც იგი ხშირად საქმის გაჭიანურებასთან, არაეფექტურობასა და მფლანგველობასთან ასოცირდება. მაგრამ, არსებობს ბიუროკრატიის სხვაგვარი გაგებაც, რომლის მიხედვითაც ბიუროკრატია გულმოდგინების, სიზუსტისა და ეფექტური ადმინისტრირების მოდელია. ამ თვალსაზრისის მომხრეები თვლიან, რომ ბიუროკრატია სინამდვილეში ორგანიზაციის ყველაზე ეფექტური ფორმაა, რაც კი კაცობრიობას გამოუგონია, რადგან ყველა ამოცანა მოქმედების მკაცრი წესებით რეგულირ-

დება. ამ ორ უკიდურესობას შორის თავსდება ბიუროკრატიის მ. ვებერისეული გაგება და შეფასება, რომელიც ყველაზე ზუსტი და საყოველთაოდ მისაღებია. ბიუროკრატიის გავრცელება თანამედროვე საზოგადოებაში გარდუვალაია, რამეთუ ბიუროკრატიული ხელისუფლების განვითარება – **ესაა ერთადერთი წესი გავუმკლავდეთ დიდი მასშტაბების მქონე სოციალური სისტემების ადმინისტრაციულ მოთხოვნებს**. ამავე დროს, მ. ვებერი კარგად ხედავს ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებს, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე. ბიუროკრატიის შესახებ მ. ვებერის შეხედულებების ანალიზს უფრო დანვრილებით ლეგიტიმური ბატონობის ლეგალური ტიპის განხილვისას შევეხებით.

ბიუროკრატიის რაობის გასაგებად აუცილებელია იმ განსხვავების ანალიზი, რომელიც არსებობს პოლიტიკასა და მართვას შორის, პოლიტიკოსსა და ჩინოვნიკს (მოხელეს) შორის. ამ მხრივ, საინტერესოა მ. ვებერის, ავსტრიელი სოციოლოგის შეფლესა და გერმანელ კ. მანჰაიმის შეხედულებები. შეფლეს აზრით, როგორც საზოგადოებრივი, ისე სახელმწიფოებრივი ცხოვრება ყოველ მოცემულ მომენტში შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: პირველი შედგება იმ რიგის მოვლენებისაგან, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა განსაზღვრული წესით, თითქოსდა გამაგრდა და რეგულარულად მეორდება; მეორე კი შედგება ისეთი მოვლენებისაგან, რომლებიც ჩამოყალიბების, ქმნადობის პროცესში იმყოფებიან. აქ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მიღებულ გადაწყვეტილებას შეუძლია ახალ წარმონაქმნებთან მიგვიყვანოს. პირველ ასპექტს შეფლე უწოდებს **„ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას“**, მეორეს კი – პოლიტიკას. კ. მანჰაიმი შემდეგნაირად განმარტავს შეფლეს აზრს: როდესაც ჩვეულებრივი ადმინისტრაციული მოქმედების პროცესში მიმდინარე საქმეები წყდება, არსებული წესების, მითითებებისა და დანაწესების შესატყვისად, მაშინ საქმე გვაქვს არა „პოლიტიკასთან“, არამედ „მართვასთან“. სწორედ, მართვა არის ის სფერო, სადაც **პარადიგმატულად** შეგვიძლია ჩავწვდეთ „ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას“. მაშასადამე, იქ, სადაც ყოველი მოცემული შემთხვევისათვის გადაწყვეტილებებს იღებენ წინასწარდადგენილი წესების, მითითებების შესაბამისად, საქმე გვაქვს არა პოლიტიკასთან, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროსთან, სადაც მოვლენები მყარი, ჩამოყალიბებული სახით ვითარდება.

მაგრამ, ჩვენ მაშინვე ვხვდებით „პოლიტიკის“ სფეროში, როდესაც დიპლომატები აღწევენ სხვა სახელმწიფოებთან ადრე არარსებული ხელშეკრულებების დადებას, როდესაც დეპუტატები პარლამენტში იღებენ კანონს ახალი გადასახადების შესახებ, როდესაც ვინმე წინასწარჩვენო აგიტაციას ეწევა, როდესაც ოპოზიციური ჯგუფები ამზადებენ გაფიცვას ან აჯანყებას ან როდესაც ხდება ამ მოქმედებათა დათრგუნვა.

ამავე დროს, კ. მანჰაიმი კარგად ხედავს, რომ ამგვარი დაყოფა პირობითია და მათ შორის გავლებული ზღვარი ცვალებადია. ასე რომ, „რალაც ახალი შეი-

ძლება წარმოიქმნას ყოველდღიურ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ტრადიციული კონკრეტული გადანყვებულობების თანმიმდევრობაში ნელი გადანაცვლებების შედეგად. და პირიქით, რომელიმე სოციალური მოძრაობა, მაგალითად, შეიძლება შედგებოდეს „სტერეოტიპული“, „მაბიუროკრატიზებული ზემოქმედების მომხდენი“ ელემენტებისაგან. მიუხედავად ამისა, - შენიშნავს კ. მანჰაიმი, - **„ყოველდღიური სახელმწიფოებრივი ცხოვრება“ - „პოლიტიკის“ ეს პოლარიზება განსაკუთრებით ნაყოფიერი რჩება მაორიენტირებული ამოსავალი პუნქტის სახით**“ (92, გვ. 98).

ამ დაპირისპირებიდან ამოსვლის შედეგად მანჰაიმი დაასკვნის, რომ **„ყოველი საზოგადოებრივი პროცესი იყოფა მყარი კომპონენტების მქონე „რაციონალიზებულ“ სფეროდ და მის გარემომცველ „ირაციონალურ გარემოდ“** (92, გვ. 99). მისი აზრით, გამოთქმა „მყარი გამაგრებული კომპონენტები“ ფიგურალურად უნდა გავიგოთ, ვინაიდან საზოგადოებრივ ცხოვრებაში უკვე ჩამოყალიბებული და გახევებულიც კი არ არის ნივთობრივი ხასიათის მქონე და სრულებითაც არ ჰგავს სანყობში დალაგებულ ნივთებს. კანონები, დანაწესები, დადგენილი ადათები, მხოლოდ იმის წყალობით არსებობს, რომ ცოცხალი ცხოვრება ეწევა დროის ყოველ მომენტში მათ რეპროდუცირებას (კვლავნარმოებას) და ამავე დროს, ახდენს მათში თავისი თავის რეპროდუცირებასაც. განსაზღვრული სფეროს სიმყარე და უცვლელობა ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ აქ თავისი თავის მარეპროდუცირებული ცხოვრება ხელმძღვანელობს პროცესთა ისეთი წესებითა და ფორმებით, რომელსაც იგი უკვე ფლობს და ყოველთვის ხელახლა ქმნის. „რაციონალიზებული სფერო“, უწინარეს ყოვლისა, ცხოვრების რაციონალურად ათვისებულ და მოწესრიგებულ სფეროს აღნიშნავს, როდესაც პროცესის მიმდინარეობა თითქოსდა წინასწარ არის დადგენილი, როგორც მაგალითად, ტრადიციული ზნე-ჩვეულებების სფეროში, სადაც, მართალია პროცესი მუდმივად რაციონალური წესით ვერ გაიგება, მაგრამ მუდამ განსაზღვრულია სტრუქტურულად. თუ მ. ვებერის ტერმინოლოგიას გამოვიყენებთ, მაშინ „რაციონალიზებული სფეროს“ სინონიმი სტერეოტიპის ცნება აღმოჩნდება. მოკლედ, რომ ვთქვათ, კ. მანჰაიმი საზოგადოებაში ერთმანეთისაგან განასხვავებს **„რაციონალიზებულ სტრუქტურას“ და „ირაციონალურ გარემოს“**. აქედან, თავისთავად გამოდის შემდეგი დასკვნა: **„ჩვენს სამყაროს ახასიათებს ტენდენცია შესაძლებლობისამებრ ყველაფერი დაუქვემდებაროს რაციონალიზაციას, გადააქციოს ადმინისტრაციული მართვის ობიექტად და აღმოფხვრას ირაციონალური გარემო“** (92, გვ. 99). ამ პროცესის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს მარტივი მაგალითი. საკმარისია წარმოვიდგინოთ მოგზაურობა 150 წლის წინ, როდესაც მოგზაური მრავალი გაუგებრობისა და შემთხვევითობის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყო. დღეს კი ყველაფერი რაციონალიზებულია და განრიგის შესატყვისად მიმდინარეობს. მოგზაურობის ღირებულება წინასწარ ზუსტად არის გამოანგარიშებული და ადმინისტრაციული ზომების მთელი რიგი კომუნიკაციის სისტემას რაციონალურად მართვად სფეროდ გარდაქმნის.

რაციონალიზებულ სტრუქტურასა და ირაციონალურ გარემოს შორის დაპირისპირება საშუალებას აძლევს კ. მანჰაიმს თავისებურად განმარტოს საქმიანობის, მოღვაწეობის ცნება. მისი გაგებით, *მოღვაწეობას* არ მიეკუთვნება ჩინოვნიკის მიერ მიღებული ის გადაწყვეტილებები, როდესაც იგი აქტების კრებულს განიხილავს არსებული დანაწესების, მითითების შესაბამისად; ასევე, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ნამდვილი მოღვაწეობა-საქმიანობის შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსამართლე რომელიმე ქცევას კოდექსის შესაბამის პარაგრაფს უყენებს ანდა, როდესაც მუშა ამზადებს რაიმე დეტალს უკვე შემუშავებული მეთოდების თანახმად. არსებითად, ნამდვილ საქმიანობასთან არც მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც ბუნების ცნობილი კანონები გარკვეული კომბინაციებით გამოიყენება რაიმე ტექნიკური მიზნის მისაღწევად. ყოველი ამგვარი მოქმედება თუ საქმიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც მარეპროდუცირებელი რამ, ვინაიდან იგი რაციონალიზებული სისტემის ჩარჩოებში მოცემული დანაწესების შესატყვისად ყოველგვარი ინდივიდუალური გადაწყვეტილების გარეშე სრულდება.

ნამდვილი საქმიანობა იწყება მხოლოდ იქ, „სადაც ჯერ კიდევ ადგილი არ აქვს რაციონალიზაციას, სადაც ჩვენ იძულებულნი ვართ გადაწყვეტილებები მივიღოთ სიტუაციაში, რომელიც დანაწესებით არ რეგულირდება. მხოლოდ აქ წარმოიქმნება თეორიასა და პრაქტიკას შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, – საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ნაწილის, სადაც ყველაფერი, მათ შორის თავად ცხოვრებაც, რაციონალიზებული და ორგანიზებულია, ცოდნას ჩვენ უთუოდ ვფლობთ. აქ საზოგადოდაც არ დგება თეორიასა და პრაქტიკას შორის დამოკიდებულების პრობლემა, ვინაიდან ერთეული მოვლენის ზოგადი კანონის ქცეშ მოქცევა არის მოქმედება, რომელიც შეუძლებელია პრაქტიკად იწოდოს“ (92, გვ. 100).

როგორი რაციონალიზებულიც არ უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება, ყველა ეს რაციონალიზაცია კერძო ხასიათისაა, ვინაიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი სფეროები ჯერ კიდევ ირაციონალურ საფუძველს ემყარება. თავისუფალი კონკურენცია და ხელისუფალთა პრეროგატივები სახელმწიფოს შიგნით და სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, როგორც საზოგადოებრივი სტრუქტურის ორი ირაციონალური სფერო, აყალიბებს გარემოს რომელშიც წინა პლანზე გამოდის არაორგანიზებული და არარაციონალიზებული ცხოვრება, რომელშიც უკვე აუცილებელი ხდება **საქმიანობა და პოლიტიკა**.

ამგვარად, პოლიტიკისა და ნამდვილი საქმიანობის სფერო ირაციონალური და არაორგანიზებულია. ბიუროკრატიისაგან განსხვავებით, პოლიტიკას არარეგულირებულ, ცვალებად და მიმდინარე პროცესებთან აქვს საქმე, სადაც საჭიროა პოლიტიკოსთა შემოქმედებითი მიდგომა და პრობლემების გადაჭრისას ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება. პოლიტიკური პრობლემებისათვის, უწინარეს ყოვლისა, დამახასიათებელია შემდეგი:



1. მისი ობიექტები არის არა მყარი, განსაზღვრული სახის მოცემულობები, არამედ მიმდინარე ქმნადობის პროცესში მყოფი ტენდენციები, მუდმივად გარდაქმნადი მისწრაფებები და ენტელეჰიები;

2. პოლიტიკაში ყოველი დროის მონაკვეთში შესაძლებელია შეიცვალოს ურთიერთზემოქმედებაში მყოფი ძალთა კონსტელაცია (განლაგება); იქ, სადაც მუდმივად მოქმედებს ერთი და იგივე ძალა და სადაც მათი თანაფარდობა რეგულარულ ხასიათს ატარებს, შეიძლება ზოგადი კანონზომიერებების დაფიქსირება. იქ კი, სადაც შესაძლებელია მუდმივად გამოვლინდეს ახალი ტენდენციები, რომელთა კომბინაციების წინასწარი განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია, იქ კვლევა და მოქმედება, რომელიც დაეყრდნობოდა რაიმე ზოგად კანონზომიერებას, საკამოდ რთულია;

3. მოაზროვნე თეორეტიკოსი იმყოფება არა მისი შესასწავლი სფეროს გარეთ, არამედ თავად მონაწილეობს მებრძოლ ძალთა შეჯახებებში. ეს მონაწილეობა გარდუვალად იწვევს მისი შეფასებებისა და ნებელობითი იმპულსების ცალმხრივობას.

ამგვარად, პოლიტიკის ბუნება ისეთია, რომ მისი განვითარების კანონზომიერებების შესახებ იმისთანა ცოდნის მოპოვება, რომელიც წინასწარ მოგვცემდა საშუალებას მთელი სიზუსტით გამოგვეთვალა მომავალი ქმედებები, თითქმის შეუძლებელია. ყველაზე დიდ მნიშვნელობას კ. მანჰაიმი პოლიტიკისა და მმართველობის განსხვავების დადგენაში ანიჭებს იმ ფაქტს, რომ პოლიტიკის სფეროში არა მხოლოდ პოლიტიკოსი, არამედ თეორეტიკოსი მეცნიერიც კი დაკავშირებულია განსაზღვრულ პოლიტიკურ მიმდინარეობასთან, ერთ-ერთ მებრძოლ მხარესთან, არა მხოლოდ თავისი შეფასებებითა და ნებელობითი იმპულსებით, არამედ „საკითხთა დაყენების ხასიათი, მისი აზროვნების მთელი ტიპი, მის მიერ გამოყენებული ცნებითი აპარატის ჩათვლით – ყველაფერი ეს ისეთი სიცხადით გვიმონმებს განსაზღვრული პოლიტიკური და სოციალური საფუძვლების გავლენას, რომ პოლიტიკური და ისტორიული აზროვნების სფეროში, საჭიროა ვილაპარაკოთ აზროვნების სტილთა განსხვავებაზე, რომელიც პოლიტიკაზეც კი ვრცელდება“ (92, გვ. 110).

ამგვარი სიტუაცია ყველაზე დიდი დაბრკოლებაა პოლიტიკის ობიექტური და მეცნიერული ათვისების, პოლიტიკის მეცნიერებად ქცევის გზაზე. შეიძლება მოაზროვნე სუბიექტი მონაწილეობდეს ბრძოლაში, მაგრამ მისი აზროვნების საფუძველი, მისი პოზიცია განსხვავებათა დაკვირვებებსა და დადგენაში თავისუფალი უნდა იყოს ამ ბრძოლის ზემოქმედებისაგან. ყოველივე ეს კი განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკის სფეროში როგორც თავად პრობლემის დაყენება, ისე აზროვნების წესი შეიძლება სავსებით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

**ბიუროკრატიული აზროვნება** ისწრაფვის პოლიტიკის პრობლემები მართვის თეორიის პრობლემად აქციოს. ამგვარ მისწრაფებას გვიხსნის ის, რომ სახელმწიფო მოხელეთა საქმიანობის სფერო მიღებული კანონების საფუძველზე განისაზღვრება, მაგრამ კანონების დადგენა არც ჩინოვნიკთა კომპეტენციას და არც მათი საქმიანობის სფეროს არ განეკუთვნება. მანჰაიმის სწორი შენიშ-

ვნით, ჩინოვნიკი ვერ ხედავს, რომ ყოველი მიღებული კანონის უკან განსაზღვრული მსოფლმხედველობით, ნებითა და ინტერესებით დაკავშირებული სოციალური ძალები დგანან. ჩინოვნიკი კონკრეტული კანონებით დანესებულ პოზიტიურ წესრიგს აიგივებს წესრიგთან, როგორც ასეთთან და ვერ იგებს იმას, რომ ნებისმიერი რაციონალიზებული წესრიგი სხვა არაფერია, თუ არა წესრიგის განსაკუთრებული სახე, მოცემულ სოციალურ სივრცეში მეტარაციონალურ მებრძოლ ძალებს შორის კომპრომისი. ბიუროკრატი ვერ ხედავს იმას, რომ ადმინისტრაციის სფერო და განსაზღვრული ფუნქციების მოწესრიგება მთელი პოლიტიკური სინამდვილის მხოლოდ ნაწილია. მართალია, ბიუროკრატიული აზროვნება არ უარყოფს პოლიტიკის როგორც მეცნიერების შესაძლებლობას, მაგრამ მას აიგივებს მართვის მეცნიერებასთან. ამ დროს ყურადღების გარეშე რჩება ირაციონალური გარემო, მაგრამ როგორც კი იგი თავს შეგვახსენებს, მაშინვე ცდილობენ „ყოველდღიური სახელმწიფოებრივი ცხოვრების“ კალაპოტში მის მოქცევას.

ამგვარად, პოლიტიკის სფეროში ყველაფერი ქმნადობის პროცესშია, სადაც აზროვნება არის არა დაკვირვება, არამედ აქტიური თანამონაწილეობა, გარდაქმნა, ამიტომ პოლიტიკაში გადაწყვეტილება და ხედვა ერთმანეთთან განუყოფელ კავშირში იმყოფება. კ. მანჰაიმის აზრით, პოლიტიკა როგორც ასეთი, შესაძლებელია მანამ, სანამ არსებობს ირაციონალური გარემო (როგორც კი იგი ქრება, მის ადგილს „მმართველობა“ იკავებს), განსხვავებით „ზუსტი მეცნიერებებისაგან“ პოლიტიკური ცოდნის თავისებურება ისაა, რომ აქ ცოდნა განუყოფელია ინტერესებისაგან, რაციონალური ელემენტი – ირაციონალური გარემოსაგან, ამიტომ ყოველივე იმის ცოდნა, რისი გაგებაც შეიძლება, სავალდებულოა პოლიტიკოსისათვის, რომელიც აქტიურ მოქმედებას ეწევა, რათა მხედველობაში მიიღოს ამ მოქმედების მოსალოდნელი შედეგები იმ ზომით, რა ზომითაც იგი ემორჩილება განსაზღვრებასა და სტრუქტურირებას.

ხდომილებათა თანმიმდევრობის გააზრებულად თვალის დევნება მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც უნარი აქვს დაინახოს მოცემული სიტუაციის, ისტორიული ხდომილების საფუძველში მდებარე სტრუქტურა. ყოველი პოლიტიკოსი პოტენციურად აზროვნებს სტრუქტურული სიტუაციის ტერმინებში; მხოლოდ ამ ტიპის აზროვნება აძლევს, კ. მანჰაიმის აზრით, შორეულ მიზნებზე წარმართულ მოქმედებებს კორექტულობას. ამგვარი აზროვნება იცავს პოლიტიკოსს აბსტრაქტული სქემატიზაციის სიცარიელისაგან და ათავისუფლებს წარსულში არსებული ერთეულ ხდომილებებზე ყურადღების ფიქსირებისა და მათი, როგორც არაადეკვატური მოდელების სახით გამოყენებისაგან.

**ბიუროკრატი (მოხელე) და პოლიტიკოსი** მ. ვებერის აზრით, პოლიტიკური ბატონობის ყოველი სისტემა დგას ისეთი პრობლემების წინაშე, რომელიც შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში. საქმე ისაა, რომ გამარჯვებული ძალაუფლების მოპოვებისთანავე ეჯახება პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემსრულებელი ადმინისტრაციული აპარატის ხელმძღვანელობისა და კონტროლის პრობლემას. ბიუროკრატიული აპარატის

ხელში ხომ მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების ყოველდღიური განხორციელება რჩება. ძალაუფლების მოპოვება ყოველგვარ აზრს დაკარგავს, თუ მის მომპოვებელს ხელთ არ ექნება ბიუროკრატის კონტროლის ეფექტური მექანიზმი. თუ, პოლიტიკოსი არ ცდილობს მის მოპოვებას, მაშინ ბიუროკრატია ნებისმიერ პოლიტიკურ საკითხს ადმინისტრაციულ პრობლემად აქცევს. ამ შემთვევაში კი თუ პოლიტიკოსი თავისი მოწოდების სიმალლეზე აღმოჩნდება, მაშინ იგი წარმატებით შეძლებს ბიუროკრატიული აპარატის საქმიანობის გაკონტროლებას. მ. ვებერი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან ბიუროკრატისა და პოლიტიკოსის ცნებებს, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, იდეალურ ტიპებს.

**ბიუროკრატის (ჩინოვნის) იდეალური ტიპი მოიცავს:** ნებისმიერი ბრძანების შესრულებისათვის მზადყოფნას; არსებული კანონებისა და დანაწესების ჩარჩოებში ეფექტური მოქმედების უნარს; პროფესიულ კვალიფიკაციას; მოვალეობის გრძობის ყველა დანარჩენზე უპირატესობას; გულგრილობას, უსახოებასა და უპიროვნებას.

**პოლიტიკოსის იდეალური ტიპი** კი გულისხმობს შემდეგ თვისებებს: ბრძანების უფლებას, ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობას, ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას, დამოუკიდებელი მოქმედებების უნარს, რაზეც იგი პირადად აგებს პასუხს, მომხრეებისა და მოკავშირეების მოპოვებისა და კომპრომისების მიღწევის უნარს, ძალაუფლებისათვის ბრძოლაში თავდადებას, იმ საჯარო მოქმედებებზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების უნარს, თუ ისინი ეწინააღმდეგებიან მის პოლიტიკას, გარკვეულ სიტუაციებში გადადგომის უნარს, რათა პროპაგანდის მეშვეობით დაარწმუნოს თავის სიმართლეში ხალხი და ამით თავისი პოლიტიკური მოვალეობა აღასრულოს.

მოხელისაგან განსხვავებით პოლიტიკოსი უნდა ფლობდეს აზროვნების, მსჯელობისა და მოქმედების თავისუფლებას, ძალაუფლებისათვის ბრძოლის უნარს და ამასთან, მატერიალური თვალსაზრისითაც, დამოუკიდებელი უნდა იყოს. პოლიტიკოსობა განსაკუთრებული პროფესია და მოწოდება ხდება, ამიტომ მათ სხვა საქმიანობისათვის დრო არ ჰყოფნით. მოწოდებით პოლიტიკოსია ის, ვინც ცხოვრობს პოლიტიკისათვის და არა პოლიტიკით, სწორედ იმას, ვისაც აქვს შემოსავლის დამოუკიდებელი და მუდმივი წყარო და ამავე დროს, პროფესიონალი პოლიტიკოსია, ძალუძს არ შეუშინდეს სიძნელებებსა და ხალხისაგან მომდინარე დაუმსახურებელ უმადურობას, არ დაიშუროს ძალა და ენერჯია დასახული მიზნების მისაღწევად და განსაზღვრული პოლიტიკური იდეების განსახორციელებლად. მატერიალური თვალსაზრისით, დამოუკიდებელ ადამიანს ადვილად ძალუძს თავისი პოლიტიკური იდეების დაცვა და ნების ცხოვრებაში გატარება. ბიუროკრატიც შეიძლება ძლიერი პიროვნება იყოს, მაგრამ იგი, როგორც მოხელე, სავსებით მოკლებულია პოლიტიკურ ხასიათს.

თანამდებობის დაკავების თვალსაზრისითაც, არსებითი განსხვავებაა მოხელესა და პოლიტიკოსს შორის. თუ მოხელეს ნიშნავენ, მაშინ პოლიტიკოსს ირჩევენ თანამდებობაზე. ბიუროკრატიაში პირადი გადაწყვეტილებები საიდ-

უმლოებითაა მოცული. ჩინოვნიკი ხელმძღვანელობის ყურადღებას იქცევს ან მაღალი კვალიფიკაციით ან აბსოლუტური შემსრულებლობით. მაშინ, როდესაც პოლიტიკოსი ხალხისა და პოლიტიკური მოწინააღმდეგის მხრივ მუდმივ კრიტიკის სამიზნეა. მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მის მიერ გამოყენებული ყველა მეთოდი და მიღებული გადაწყვეტილება ადრე თუ გვიან ცნობილი გახდება. ამიტომ მასებისადმი მიმართვა პოლიტიკოსის პროფესიონალური კვალიფიკაციისა და პოლიტიკური ბრძოლის აუცილებელი საშუალებაა.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნული ანალიზის შედეგებს, შეიძლება დავასკვნათ, რომ პოლიტიკასა და მართვას, პოლიტიკოსსა და ბიუროკრატს (ჩინოვნიკს) შორის სერიოზული განსხვავება არსებობს. პოლიტიკასა და პოლიტიკოსს საქმე ირაციონალურ გარემოსთან აქვს, მაშინ, როდესაც მართვასა და ბიუროკრატის საქმე რაციონალიზებულ, გარკვეულ წესებსა და კანონებს დაქვემდებარებული რეალობასთან აქვს. თუ პოლიტიკა თავისი ბუნებით რისკთანაა დაკავშირებული და გარანტიებითაც არ არის განებივრებული, მაშინ ბიუროკრატიული მმართველობისას რისკი მინიმუმამდეა დაყვანილი და გარანტიებიც უფრო მტკიცეა. რასაკვირველია, პოლიტიკისა და ბიუროკრატის ასეთი პრინციპული გამიჯვნა თეორიულად აბსტრაქციაშია შესაძლებელი. რეალობაში მათ შორის არსებული საზღვრები მოძრავია და შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლებად ერთმანეთში გადადის, მაგრამ არა ისე, რომ პოლიტიკისა და მმართველობის სხვადასხვა სფეროდ გაყოფის ფაქტი მითად, რაციონალისტურ და სციენტისტურ უტოპიად მოვნათლოთ. როგორი გადახლართული არ უნდა იყოს რეალობაში ერთმანეთთან პოლიტიკა და მმართველობა, ისინი მაინც „ეთოსით“ ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

ბიუროკრატიაში მოიაზრება მართვის რაციონალურად ორგანიზებული სისტემა, რომელშიც საქმეები წყდება კომპეტენტურ პირთა მიერ სათანადო პროფესიულ დონეზე კანონებისა და სხვა წესების ზუსტი შესაბამისობით. ბიუროკრატიული მმართველობა – ესაა მმართველობა, რომელიც უნდა მისდევდეს ნათლად დამუშავებულ წესებსა და მითითებებს. აზრი არ აქვს, – წერს ლუდვიგ ფონ მიზესი, – იმის გაკრიტიკებას, რომ „**ბიუროკრატი პედანტურად იცავს მკაცრ წესებსა და მითითებებს. ასეთი წესები აუცილებელია... ეს წესები სახელმწიფოებრივი საქმეების წარმოებისას კანონის უზენაესობის უზრუნველყოფისა და დესპოტური თვითნებობისაგან მოქალაქეთა დაცვის ერთადერთი საშუალებაა**“ (99, გვ. 98).

თანამედროვე ბიუროკრატია ადამიანთა დიდი მასების ორგანიზაციების მაღალეფექტური საშუალებაა. ამის მიზეზები მის ტექნიკურ ეფექტურობაში უნდა ვეძებოთ:

– ბიუროკრატიული პროცედურები, მართალია, ზღუდავს ინიციატივებს, მაგრამ ისინი, ამავე დროს, უზრუნველყოფენ გადაწყვეტილების მიღებას საერთო და ზოგადი კრიტერიუმების თანახმად და არა პირადი თვითნებობისა და კაპრიზის მიხედვით.

– თანამდებობის პირთა მომზადება იმისათვის, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ სპეციალისტებად იმ სფეროში, რომელსაც განეკუთვნება მათი სამსახურებრივი მოვალეობები, მართალია, განთესავს „ტალანტის მქონე მოყვარულებს“, მაგრამ უზრუნველყოფს საერთო კომპეტენტურობის ჯეროვანი და სათანადო დონის არსებობას.

– ის, რომ ოფიციალურ თანამდებობაზე მოითხოვება მთელი სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობა და ეძლევათ თანამდებობრივი განაკვეთი ხელფასის სახით, ამცირებს, თუმცა მთლიანად ვერ აღმოფხვრის კორუფციის შესაძლებლობას.

– იგი საქმიანობის შემოწმებებისა და სხვა ღია საშუალებების გზით ამცირებს, თუმცა მთლიანად ვერ სპობს პირადი ერთგულებისა და ნათესაური კავშირების საფუძველზე თანამდებობების მიღების შესაძლებლობას.

რაც უფრო უახლოვდება ორგანიზაცია ბიუროკრატიის იდეალურ ტიპს, მით უფრო ეფექტურად უმკლავდება იმ ამოცანებს, რომელთა გადასაწყვეტადაც იგი შეიქმნა. ასეთია, მ. ვებერისა და ე. გიდენსის შეხედულებები ბიუროკრატიის ეფექტურობის შესახებ. თუმცა, არც იმის აღნიშვნა ავიწყდებოდა მ. ვებერს, რომ ბიუროკრატია ბადებს „კანცელიარულობას“, რომ მრავალი ბიუროკრატიული პროცედურა დამღლეულია და იგი შემოქმედებითი უნარების გამოსაყენებლად ძალიან ცოტა შესაძლებლობას იძლევა. **„ბიუროკრატიული რუტინა და ჩინოვნიკთა მბრძანებლობა ჩვენს ცხოვრებაში, – წერს ე. გიდენსი, – არის იმის საფასური, რომელსაც ჩვენ ვიხდით ბიუროკრატიულ ორგანიზაციათა ტექნიკური ეფექტურობისათვის“** (53, გვ. 270).

**ბიუროკრატია და ბიუროკრატიზმი.** ბიუროკრატიისა და ბიუროკრატიზმის ცნებები ერთმანეთს არ ემთხვევა. როდესაც უარყოფითად აფასებენ ბიუროკრაციას, უმეტესწილად, ბიუროკრატიზაციას გულისხმობენ, რადგან პირველი აღნიშნავს მართვის აპარატის განსაზღვრულ ორგანიზაციას, მუშაობის სისტემას, მეორე კი ხელისუფალთა ჯგუფურ მონოპოლიას, ძალაუფლებების საშუალებებსა და მმართველობის ფუნქციებზე. „ბიუროკრატიზმს“ ხშირად „ირაციონალურ ბიუროკრაციას“ უწოდებენ. ნებისმიერი საზოგადოება ცდილობს ხელიშეუწყოს ეფექტურად მოქმედ მმართველობის აპარატს და ამავე დროს, მინიმუმამდე დაიყვანოს ხელისუფალთა ჯგუფური მონოპოლია ძალაუფლების საშუალებებზე, ანუ ბიუროკრატიზმი.

თუ საზოგადოებაში არ არის ძლიერი და დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანოები, მინიმუმამდეა დაყვანილი ხალხის წინაშე ანგარიშგება და სუსტია სამოქალაქო საზოგადოება, მაშინ ბიუროკრატიზმი იქცევა ხელისუფლების ყოვლად ძლიერ, ჩაკეტილ, იერარქიის კანონების მიხედვით მოქმედ მკაცრ მექანიზმად, რომელიც კანონსა და საზოგადოების წევრთა ნებაზე მალლა დგას. ეს ხელისუფლება გარდაიქმნება თვითდაკმაყოფილების ორგანიზაციად, რომელსაც აღარ ახსოვს საზოგადოება და მხოლოდ საკუთარი ინტერესების შესაბამისად ფუნქციონირებს. ბიუროკრატიზმის ძირითადი თვისებებია: **„ხალხისაგან გაუცხოება და სოციალური ჩაკეტილობა, მოსახლეობის**

**ინტერესებისადმი კასტური გულგრილობა“** (139, გვ. 41). ზემოთ ჩამოთვლილი პირობებისას ხდება მმართველობის აპარატის მუშაკების, როგორც განსაკუთრებული სოციალური ჯგუფის, სოციალურ ინტერესთა მთელი სისტემის დეფორმაცია და იმის ნაცვლად, რომ მოემსახუროს საზოგადოებას, რეგიონს, ეფექტურად შეასრულოს თავისი სამსახურებრივი როლი, ხელში იღებს მთელ ძალაუფლებას და ფაქტობრივად მას მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის იყენებს.

ბიუროკრატიზაცია და მისი განუყოფელი კორუფცია, კომერციულ საქმიანობაში თანამდებობის პირთა ფართო მონაწილეობა, ერთი და იმავე ადამიანების მიერ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში რამდენიმე პოსტის შეთავსება, სამართლებრივი ნიჰილიზმი, ხელისუფლების უმადლეს ემელონთა წარმომადგენლების მოუფიქრებელი გამოთქმები და მოუქნელი მოქმედებები, საკანონმდებლო აქტების, ბრძანებებისა და დადგენილებების არასაკმარისად, ზერელედ დამუშავება, კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის, სხვაგვარად მოაზროვნების დათრგუნვის მცდელობები, დანაშაულობათა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის უუნარობა და მრავალი სხვა აჩვენებს ბიუროკრატიული მართვის აპარატის გადაგვარებას.

ბიუროკრატიზაცია მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა პოლიტიკური სისტემისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ განსაკუთრებით ტრაგიკულობას იგი გარდამავალ პერიოდში მყოფი განვითარებადი საზოგადოების ცხოვრებაში იძენს. ბიუროკრატიზმის სრული აღმოფხვრა შეუძლებელია, ამის მცდელობა უტოპიაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების ჯანსაღი ძალები მის მინიმუმამდე დაყვანას არ შეეცადონ. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მისი ხელშემწყობი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სხვა საფუძვლების არსებითი შეზღუდვა. მხოლოდ კანონის უზენაესობას, კანონიერების რეჟიმს, სამართლებრივ სახელმწიფოს ძალუძს მეტ-ნაკლები წარმატებით გაუმკლავდეს ბიუროკრატიზმის სენს. კანონიერების დაცვა ხომ თავად სახელმწიფოებრივი მართვის ორგანოებისათვისაა აუცილებელი.

ამგვარად, ბიუროკრატია ორი მიმართულებით შეიძლება დაუპირისპირდეს ღია საზოგადოებას:

1. როდესაც იგი ცდილობს პოლიტიკის პრობლემები მართვის პრობლემებზე დაიყვანოს და

2. როდესაც იგი ბიუროკრატიზაციისაკენ მისწრაფებას ამჟღავნებს და ფაქტობრივად ბიუროკრატიზმად გადაგვარდება.

**მაშასადამე, ბიუროკრატიული აზროვნება და ბიუროკრატიზაცია ღია საზოგადოების მტერია.**

## თავი IX

### ლეგიტიმური ბატონობის წინდა ფორმების მ. ვაჟარისაული გაგება და მისი თანამედროვე მნიშვნელობა

„ბატონობა“ (Herrschaft), იგივე ხელისუფლება, ძალაუფლების განსაკუთრებული სახეა. სახელდობრ, ესაა ძალაუფლება, რომელიც გადანყვეტილებათა მიღების მონესრიგებულ პოზიციებზე არსებულ განანესს ეყრდნობა და რომელსაც ძალუძს ეს განანესი ზნე-ჩვეულებებზე, ადათ-წესებსა და ფორმალურ წესებზე დაამყაროს. „ბატონობა“, ანუ ხელისუფლება – ესაა სამართლებრივი ცნება, რომელიც ნიშნავს ფასეულობათა შექმნასა და განაწილებას საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. იგი იმ გადანყვეტილებათა მიღების კანონიერი უფლებაა, რომელსაც ქვეშევრდომები უნდა დაემორჩილონ. იგი არის ფიზიკური იძულების გამოყენების ლეგალური უფლება, რათა კანონებმა შეძლონ მოქმედება. ამგვარი ბატონობის, გნებავეთ, ხელისუფლების გარეშე შეუძლებელია საზოგადო მიზანთა მიღწევა.

ძალაუფლებისაგან ან პიროვნული ავტორიტეტისაგან განსხვავებით, „ბატონობა“, ანუ ხელისუფლება ნიშნავს ძალაუფლების მეტად თუ ნაკლებად მონესრიგებულ, ხანგრძლივი ვადითა და მყარი ურთიერთობების სახით ინსტიტუციონალიზებას. ხანგრძლივი და მყარი ურთიერთობები იმას ნიშნავს, რომ ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შორის მმართველობისა და მორჩილების ურთიერთობები ბატონობის წესრიგისათვის ტიპურია და მასში მონაწილე ადამიანთა მონაცვლეობაში ყველაზე გამძლე. პიროვნებები იცვლებიან, მაგრამ ეს სრულებითაც არ ცვლის ბატონობის წესრიგის ხასიათს. მბრძანებლები მოდიან და მიდიან, მაგრამ თავად ბატონობის ფორმა იგივე რჩება. ასეთი წესრიგის ჩარჩოებში ბატონობის პრინციპებზე მდგომი პირები ფლობენ ინსტიტუციონალიზებულ, შედარებით მყარ, შანსს – ბრძანონ და აკრძალონ, განკარგულებები გასცენ, გადანყვეტილებები მიიღონ, როგორც ამას მათი თანამდებობა და ქვეშევრდომები (მართულნი) მოითხოვენ და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აიძულონ ისინი აღიარონ ეს ბატონობა. ამიტომ ბატონობის ცნების არსებითი შემადგენელი ნაწილია ლეგიტიმურობის ცნება. ბატონობის გარკვეული წესრიგის არსებობა უკვე თავად სვამს საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ ემორჩილებიან მართულნი საკუთარი ნებით გაბატონებულ ავტორიტეტებს, ანუ ხელისუფალთ. ბატონობისა და დაქვემდებარება-მორჩილების ურთიერთობების კვლევაში წარუვალა მნიშვნელობისაა მაქს ვებერის სოციოლოგიური მემკვიდრეობა. იგი სამართლიანად გვევლინება თანამედროვე პოლიტიკური სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებლად და კლასიკოსად, რომლის შეხედულებებს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და ღირებულება.

სოციალური მოქმედების ვებერისეული გაგება ბატონობის, ანუ ძალაუფლების სოციოლოგიის ერთ-ერთი საფუძველთაგანია, რამეთუ მისი მეორე ასპექტი „განწყობა-ორიენტაცია სხვაზე“ სხვა არაფერია, თუ არა „მოლოდი-

ნის, ანუ ექსპეკტაციის“ ცნება, რომლის გარეშე შეუძლებელია ბატონობის და, კერძოდ კი, ლეგიტიმური ბატონობის, ანუ ისეთი ბატონობის გაგება, რომელიც აღიარებულია ქვეშევრდომთა, ე. ი. მართული ინდივიდების მიერ. ვებერის აზრით, „ბატონობა ნიშნავს გარკვეული ბრძანებებისადმი დამორჩილების შანსს“ (4, გვ.134). ამგვარად, ბატონობა გულისხმობს ურთიერთმოლოდინს. ერთი მხრივ, იმის მოლოდინს, ვინც ბრძანებს, რომ მის ბრძანებას დაემორჩილებიან, მეორე მხრივ კი, იმათ მოლოდინს, ვინც ემორჩილება, რომ ბრძანებას ექნება ის ხასიათი, რა ხასიათსაც ისინი მოელიან, ე. ი. აღიარებენ.

ბატონობის ლეგიტიმური ტიპების ანალიზს ვებერი იწყებს „მორჩილების“, ანუ აღიარების, შესაძლებელ ტიპობრივ მოტივთა განხილვით. იგი მორჩილება-აღიარების სამ მოტივს და მათ შესატყვისად ლეგიტიმური ბატონობის სამ წმინდა ტიპს პოულობს: „ბატონობა, – წერს იგი, – შეიძლება განპირობებულ იქნეს ინტერესებით, ე. ი. უპირატესობათა ან არახელსაყრელობათა მიმართ ქვეშევრდომთა მიზან-რაცინონალური მოსაზრებებით. შემდეგ იგი შეიძლება განპირობებულ იქნეს უბრალოდ „ზნე-ჩვეულებებით“, გარკვეული ქცევისადმი ჩვევით, დაბოლოს, იგი შეიძლება ეფუძნებოდეს ქვეშევრდომთა მარტივ პირად მიდრეკილებებს, მისწრაფებებს, სიყვარულს, ე.ი. ჰქონდეს აფექტური ბაზა“ (4, გვ.135).

ამგვარად, ბატონობას სამგვარი შინაგანი გამართლება აქვს, ანუ არსებობს მისი ლეგიტიმურობის სამგვარი საფუძველი-მოტივი მორჩილთა მხრიდან. ვებერი ლექციაში „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“, რომელიც მან მიუნხენის უნივერსიტეტში წაიკითხა 1919 წელს, უფრო დაწვრილებით არჩევს თითოეულ მათგანს, ოღონდ სხვა თანმიმდევრობით: ტრადიციულს, „ქარიზმულს“ და ლეგალურს. ლეგიტიმურობის სამგვარი საფუძველიდან „პირველი – ესაა, „მარადიული ნამყოს“ ე. წ. „ტრადიციული“ ავტორიტეტი, რომელსაც პატრიარქი და პატრიმონალური თავადი წერგავდა ჩვეულებებით ნაკურთხი ზნის შენარჩუნებისა და ძველთაძველ ღირებულებებზე მისი ორიენტაციის გზით“. მეორეა – „არაჩვეულებრივი პიროვნული მადლის (ქარიზმა), გინა იმ პიროვნების ავტორიტეტი, ვისაც ბუნებამ პიროვნულად მიამაძღლა და უშუალოდ აზიარა უეცარ გასხივოსნებებს, გმირობისა და ბელადობის სხვა თვისებებს. ესაა „ქარიზმული“ ბატონობა, რომელსაც ახორციელებს წინასწარმეტყველი, ანდა პოლიტიკურ სარბიელზე არჩეული მხედართმთავარი თუ მბრძანებელი, დიდი დემაგოგი თუ პოლიტიკური პარტიის ბელადი“. და მესამე – „ბატონობა ლეგალობის საფუძველზე“; იგი ემყარება ლეგალური წესების ღირებულებისადმი რწმენას და იმ საქმიან „კომპეტენციას“, რომელიც დაფუძნებულია გონებით შექმნილ წესებზე, ე. ი. განწყობილია ისეთ მორჩილებაზე, რომელსაც გვაკისრებს წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებანი“ (4, გვ.14). აქვე ვებერი შენიშნავს, რომ რეალურ ცხოვრებაში ვერსად ვერ შეხვდებით ლეგიტიმურობის საფუძველთა ასეთ წმინდა ტიპებს, რამეთუ, თავისთავად ცხადია, რომ რეალურ ცხოვრებაში მორჩილება განპირობებულია შიშისა და იმედის უაღრესად უხეში მოტივებით და ნაირგვარი ინტერესებით. უწინარეს ყოვლისა, ესაა შიში მაგი-



ურ ძალთა თუ მბრძანებელთა მხრივ შურისგებისა და იმედი ამქვეყნიური თუ საიმსოფლიო ჯილდოსი. მიუხედავად ამისა, – შენიშნავს იგი, – თუკი ვინმეს ამ მორჩილების ლეგიტიმურობის საფუძვლები აინტერესებს, მაშინ, რასაკვირველია, ყველგან ამ სამ „წმინდა“ ტიპს წააწყდება. ამიტომაც, რომ ბატონობის შინაგან სტრუქტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლეგიტიმურობის შესახებ წარმოდგენებსა და მის შინაგან დაფუძნებას. თუ ინდივიდთა მორჩილების ამ სამ წმინდა ტიპს რაციონალურობის ზრდის მიხედვით დავალაგებთ, მაშინ მივიღებთ შემდეგ თანმიმდევრობას:

1. „ქარიზმული“ ბატონობა,
2. ტრადიციული ბატონობა,
3. ლეგალური ბატონობა.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

**I. ქარიზმული ბატონობა.** „ქარიზმის“ ცნება ვებერის სოციოლოგიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ქარიზმა, უკიდურეს შემთხვევაში, ამ სიტყვის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის შესაბამისად, არის რაღაც ექსტრაორდინარული უნარი, რომელიც ინდივიდს გამოარჩევს ყველა დანარჩენისგან და, რაც მთავარია, მის მიერ შექმნილი ან მოპოვებული კი არაა, არამედ ბოძებულია – ბუნების, ღმერთისა თუ ბედის მიერ.

ვებერის აზრით, „ქარიზმად“ უნდა ჩაითვალოს პიროვნების უჩვეულოდ მიჩნეული თვისება, რომლის წყალობითაც იგი ფასდება ზებუნებრივი, ზეადამიანური, სხვა ადამიანებისათვის მიუღწეველი, განსაკუთრებული ძალითა და თავისებურებით დაჯილდოებულად. „ქარიზმა“ განიხილება, როგორც ღმერთის მიერ ბოძებული ანდა, როგორც ნიმუში (თავდაპირველად ეს თვისება განპირობებულია მაგიურად და ახასიათებს როგორც წინასწარმეტყველებს, ასევე ბრძენ-მკურნალებს, კანონების განმმარტებლებს, მონადირეთა წინამძღოლებს, სამხედრო გმირებს)“ (5, გვ.47). ამგვარად, ქარიზმულ უნარებს განეკუთვნება: მაგიური უნარები, წინასწარმეტყველების ნიჭი, გონისა და სიტყვის გამორჩეული ძალა. ქარიზმის მფლობელად წარმოგვიდგებიან გმირები, დიდი მხედართმთავრები, ჯადოქრები, წინასწარმეტყველნი, ნათელმხილველნი, გენიალური ხელოვანნი, გამოჩენილი პოლიტიკოსები, მსოფლიო რელიგიის დამფუძნებლები – ბუდა, იესო, მუჰამედი, სახელმწიფოთა დამფუძნებლები – სოლონი და ლიკურგე, დიდი დამპყრობლები – ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი.

როგორ „ობიექტურადაც“ არ უნდა შევაფასოთ „ქარიზმული“ თვისება, ერთი რამაც სოციოლოგიისათვის, განსაკუთრებით კი, ბატონობის სოციოლოგიისათვის, საყურადღებო: როგორ ფასდება იგი ფაქტობრივად „ქარიზმის“ ხელქვეითების – „მიმდევრების“ მიერ, ანუ როგორია მორჩილთა თუ მიმდევართა თავდადება „ბელადების“ – „ქარიზმატების“ წმინდა პიროვნული ქარიზმისათვის. ამა თუ იმ პიროვნების ქარიზმისადმი თავდადება ნიშნავს იმას, რომ „ამ ქარიზმის მატარებელი პიროვნულად, ანდა შინაგანი „მონოდებით“, ითვლება ადამიანთა ხელმძღვანელად, რომ ადამიანები მას მორჩილებენ არა ზნისა და

ნესების გამო, არამედ იმიტომ, რომ მათ სწამთ ამ ხელმძღვანელისა. და თუ იგი უფრო მეტია, ვიდრე გარემოებათა წამიერი გადაჯაჭვის შედეგად დანიშნაურებული, შეზღუდული და მედიდური მატრაკვეცა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პიროვნება მხოლოდ და მხოლოდ საქმით სულდგმულობს და „მთელი არსებით“ მას მისცემია. მისი პერსონა და პიროვნული თვისებები მაშინ, მართლაც, ღირსია მიმდევართა თავდადებისა“ (4, გვ. 15). ამიტომ, რომ

1. საკითხს ქარიზმის მნიშვნელობის შესახებ წყვეტს ხელქვეითთა აღიარება – თავდაპირველად ყოველთვის სასწაულის მეშვეობით. ფსიქოლოგიურად, – შენიშნავს ვებერი, – ასეთი „აღიარება“ წარმოადგენს რწმენაზე დაფუძნებულ, მთლიანად პიროვნულ მიდრეკილებას, წარმოშობილს აღფრთოვანებით, ანდა გასაჭირითა თუ იმედით.

2. თუ ქარიზმის მატარებელი პიროვნების „ქარიზმულობის“ დასაბუთება დიდხანს არ ჩანს, ეს მოწმობს იმას, რომ ქარიზმულობით დაჯილდოებული პიროვნება მიტოვებულია თავისი ღმერთის მიერ ან დაკარგა თავისი მაგიური თუ გმირული ძალა. თუ მას „ხანგრძლივი დროით ღალატობს წარმატება და, უპირველეს ყოვლისა, თუ მის ხელმძღვანელობას არ მოაქვს ხელქვეითთათვის კეთილსასურველი შედეგი, მაშინ მისი ქარიზმული ავტორიტეტი შეიძლება გაქრეს. ამაში მდგომარეობს ქარიზმული „ღვთაებრივი მადლის“ ნამდვილი საზრისი“ (5, გვ. 49).

ამასთან დაკავშირებით მ. ვებერი შენიშნავს, რომ ძველ გერმანელ მეფეთა შორისაც კი ცნობილია „განკიცხული“, მეტწილად კი ასეთი მდგომარეობა პრიმიტიულ ხალხებშიც. ცნობილია, რომ ძველ ჩინეთში მონარქის ქარიზმულ კლასიფიკაციას იმდენად აბსოლუტურად იცავდნენ, რომ ნებისმიერი წარუმატებლობა (არა მარტო ომში დამარცხება, აგრეთვე გვალვა, წყალდიდობა, არასიასამოვნო ასტრონომიული მოვლენები და ა. შ.) საფუძველი ხდებოდა მისი საჯაროდ დასჯისა, ზოგიერთ შემთხვევაში კი ტახტიდან გადადგომისა: მას არ გააჩნდა ზეციურის ბოძებული „სათნოების“ ქარიზმა და ამიტომ იგი არ იყო „ზეცის“ ლეგიტიმური „ძე“.

3. ქარიზმული ბატონობისათვის დამახასიათებელი გაბატონებულთა კავშირი – ემოციური ერთობა, ანუ „გემაინშაფტია“, ხოლო მმართველთა შტაბი – არის არა სპეციალურად განსწავლული „ჩინოვნიკებისაგან“ შემდგარი, ანდა ნოდებრივი კუთვნილების მიხედვით შედგენილი რამ, არც წარმოშობა და არც პირადი დაქვემდებარება არ მიიღება მხედველობაში, იგი შეირჩევა მხოლოდ ქარიზმული ნიშნებით: „წინასწარმეტყველს“ შეესაბამებთან „მონაფეები“, „მეომარ თავადს“ – ამაღლა, საერთოდ, „ბელადს“ – ნდობით აღჭურვილი ადამიანები. აქ არ არსებობს არც „კარიერა“ არც „წინსვლა“, არის მხოლოდ ქარიზმული თვისებების საფუძველზე მონოდებული ბელადის ინტუიციის შესაბამისი ნიჭი. ასევე, არ არსებობს არავითარი „იერარქია“, არის მხოლოდ შემწეობა იმ შემთხვევაში, თუ გამოქვავდნენ მმართველი შტაბის ქარიზმული ნაკლოვანება იმ ადამიანისათვის, რომლის ბედის გადასაწყვეტადაც იგი არის მონოდებული. არ არსებობს რაიმე სამსახურებრივი „კომპეტენცია“, არ არის არავითარი „შინაარსი“ და არავითარი „შემოსავალი“, მონაფეები ან მიმდევრები ცხოვრობენ

(თავდაპირველად) მეცენატების ხარჯზე, ბატონთან ერთად სიყვარულით ან ამხანაგური კომუნის წესით. არ არსებობს არავითარი მიმაგრებული „უნწყებები“, არსებობენ მხოლოდ ბატონის დავალების მნიშვნელობის შესაბამისი და საკუთარი ქარიზმის შესატყვისი ქარიზმული ნდობით აღჭურვილი შიკრიკები. არ არსებობს არავითარი რეგლამენტი, არ არის არანაირი სამართლებრივი ფორმები, ტრადიციულ პრეცედენტებზე ორიენტირებული არანაირი სამართლებრივი სიბრძნე და სასამართლო გადაწყვეტილებები. თავისი ფორმით სამართალი აქტუალურად იქმნება შემთხვევიდან შემთხვევამდე, თავდაპირველად ღვთაებრივ გამონათქვამთა და ზემთაგონების შესაბამისად. მაგრამ, – შენიშნავს ვებერი, – ქარიზმული ბატონობის ყველა ფორმისათვის არსებითად მნიშვნელობა აქვს: „აქ დანერილია ..., ... მაგრამ მე გეუბნებით თქვენ“ ფორმას, ნამდვილი წინასწარმეტყველი, აგრეთვე ჭეშმარიტი ბელადი საზოგადოდ, აუნყებს, ქმნის, თხოულობს ახალ მცნებებს – ქარიზმის საწყისი აზრით: ზემთაგონების, წინასწარმეტყველების, შთაგონების ძალით, ანდა თვითგანახლების კონკრეტული ნების ძალით, რომელიც რწმენის, იარაღის, პარტიული თუ სხვა ერთობის თანამოაზრეთა მიერ აღიარებულია ამ ნების მიზეზებიდან გამომდინარედ“ (5, გვ.51).

ვებერის აზრით, ქარიზმული ბატონობა მკვეთრად უპირისპირდება როგორც რაციონალურ-ლეგალურ, ისე ტრადიციულ ბატონობასაც. ლეგალური, ანუ ბიუროკრატიული ბატონობა რაციონალურია დისკურსიულად გაანალიზებადი წესების შეკავშირებადობის თვალსაზრისით. მისგან განსხვავებით ქარიზმული ბატონობა – ირაციონალურია წესებისაგან გაუცხოებულობის თვალსაზრისით. ტრადიციული ბატონობა შეკრულია წარსულის პრეცედენტებით და ამდენად, გარკვეულ წესებზეა ორიენტირებული. ქარიზმული ბატონობა კი „ანგრევს წარსულს (თავისი არეს შიგნით), და ამ აზრით „სპეციფიკურად რევოლუციურია“... ლეგიტიმურია იგი მხოლოდ იმდენად და მანამდე, ვიდრე პირადი ქარიზმა „მნიშვნელოვანია“ მტკიცების ძალით, ე. ი. პოულობს აღიარებას და გამოიყენება ნდობით აღჭურვილი პირების, მონაფეების, მიმდევრების მიერ მხოლოდ ქარიზმული დამტკიცებადობის დროით“ (5, გვ.52).

4. ვებერის აზრით, წმინდა ქარიზმა სპეციფიკურად უცხოა ეკონომიკისათვის. ვინაიდან სადაც იგი მოქმედებს, იქ „მიწოდებას“ აყალიბებს ამ სიტყვის ემოციურ დაძაბულობითი მნიშვნელობით: როგორც „მისიას“ ანდა შინაგან „ამოცანას“. იგი უარყოფს მატერიალურ შეწირულობათა, როგორც შემოსავლის წყაროს, წმინდა სახით გამოყენებას – თუმცა ამგვარი რამ ხშირად უფრო მოთხოვნად რჩება, ვიდრე ფაქტად. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქარიზმა ყოველთვის უარს ამბობდა საკუთრებასა და შეძენაზე, როგორც ამას ზოგჯერ აკეთებენ წინასწარმეტყველნი და მათი მონაფეები. სამხედრო გმირი და ამაღა ეძებს ნადავლს, პლემბისციტური ლიდერი ანდა ქარიზმული პარტიული ბელადი – თავისი ძალაუფლებისათვის მატერიალურ სახსრებს. შესაბამისად, ქარიზმული ბატონობის ყველა ფორმა უარყოფს ტრადიციულ ან რაციონალურ ყოველდღიურ ეკონომიკას, ანუ რეგულარული შემოსავლის მიღებას ამ მიზნისაკენ

მიმართული თანმიმდევრული ეკონომიკური მოღვაწეობის საშუალებით. ამიტომ ქარიზმის ეკონომიკური საფუძველია მეცენატობა, ნაწილობრივ „რენტა“, მაგრამ, როგორც ვებერი შენიშნავს, ნორმალური ქარიზმული „რევილუციონერებისათვის“ ამ ფორმას, ჩვეულებრივ, არ აქვს მნიშვნელობა.

5. ქარიზმა, – ვებერის აზრით, – დიადი რევილუციური ძალაა ტრადიციებით შეკავშირებულ ეპოქაში. მარევილუციურებადი ძალის „ratio“-საგან განსხვავებით, რომელიც მოქმედებს ან გარედან ან ინტელექტუალიზაციის გზით, „ქარიზმა შეიძლება იყოს განახლება შიგნიდან, რომელიც წარმოქმნილია გაჭირვებით ანდა აღფრთოვანებით და ნიშნავს ყოველი ცხოვრებისეული ფორმისა და ზოგადად სამყაროსადმი ყველა მითითებათა ორიენტაციის სრულ შეცვლას“ (5, გვ.55).

ქარიზმული ბატონობა წარმოადგენს ქარიზმულ პირადულ თვისებებთან და მათ დადასტურებასთან დაკავშირებულ უაღრესად პიროვნულ კავშირს. მაგრამ, შენიშნავს ვებერი, თუ ეს კავშირი არ რჩება ეფემერული და სტაბილურ ხასიათს იძენს, მაშინ ქარიზმულმა სახელმწიფომ, რომელიც მხოლოდ იდეალურ-ტიპიური სინმინდით in Statu nassendi (წარმოშობის მომენტში) არსებობს, მნიშვნელოვნად უნდა შეიცვალოს ხასიათი. იგი უნდა გახდეს ან ტრადიციული, ან რაციონალური (ლეგალური), ანდა ორივე ერთდროულად, მაგრამ განსხვავებული ასპექტით. ვებერის მიხედვით ამ მოვლენის მამოძრავებელი მოტივები შემდეგია:

ა) მომხრეთა იდეური და მატერიალური დაინტერესება თემის არსებობის გახანგრძლივებითა და მუდმივი გამოცოცხლებით;

ბ) მიმართველი შტაბის მიმდევრების, მოწაფეების, პარტიული ამაღლის, სანდო პირთა მეტად ძლიერი იდეური და მატერიალური ინტერესები, რათა:

1. გახანგრძლივდეს აღნიშნული კავშირის არსებობა;

2. ამ გახანგრძლივებისას საკუთარი პოზიცია იდეალურად და მატერიალურად დაემყაროს სტაბილურ ყოველდღიურ პლატფორმას: ოჯახების გარეგნული აღდგენა და მათი ნორმალური არსებობა სამყაროსაგან განდგომისა და ეკონომიკისათვის უცხო „წერილთა“ მაგიერ (5, გვ.56).

ეს ინტერესები წინა პლანზე მაშინ გამოდის, როდესაც სუსტდება ქარიზმის მატარებელი პიროვნების გავლენის ძალა და როდესაც მემკვიდრის საკითხი წამოიჭრება. ეს საკითხები ჩვეულებრივ გადაიჭრება, – ვებერის მიხედვით, – შემდეგი ხერხებით:

ა) ქარიზმის მატარებლის ახალი ძიება, რომელიც განისაზღვრება ლიდერის თვისებების შესაბამისად.

ბ) ზემთაგონების საშუალებებით: ორაკული, წილყრა, ღვთაებრივი გადაწყვეტილება, ანდა შერჩევის სხვა ტექნიკა. მაშინ ქარიზმის ახალი მატარებლის ლეგიტიმურობა წარმოადგენს ტექნიკის ლეგიტიმურობისაგან წარმოებულს (ლეგალიზაცია).

გ) წინამორბედის მიერ ქარიზმის ახალი მატარებლის დანიშნულების გზით და თემის მიერ მისი აღიარებით. მაშინ ლეგიტიმურობა ხორციელდება დანიშვნის ძალით.

დ) ქარიზმული მმართველი შტაბის მიერ მემკვიდრეობის დანიშვნისა და თემის მიერ მისი აღიარების მეშვეობით.

ე) წარმოდგენა, რომ ქარიზმა არის სისხლის თვისება და ვრცელდება გვარზე, ძირითადად ქარიზმის უახლოეს ნათესავებზე: მემკვიდრეობითი ქარიზმა.

მაშინ რწმენა უკვე აღარ განეკუთვნება პიროვნების ქარიზმულ თვისებებს, არამედ მემკვიდრეობის წესის ძალით ლეგიტიმურ ძიებას (ტრადიციონალიზაცია და ლეგალიზაცია). ცნება „ღმერთის ნყალობა“ მთლიანად იცვლის თავის აზრს და ამჟამად ნიშნავს: საკუთარი უფლების პატრონი, დამოუკიდებელი ხელქვეითთა აღიარებისაგან. პიროვნულ ქარიზმას კი შესაძლოა ადგილი სრულებითაც არ ჰქონდეს“ (5, გვ.59).

6. ქარიზმული ბატონობის გახანგრძლივების კიდევ ერთ ხერხს აანალიზებს ვებერი. „წარმოდგენისაგან, რომ ქარიზმა არის, თავდაპირველად, ისეთი (დასაბამიდან მაგიური) თვისება, რომელიც ქარიზმის მატარებლის მიერ გამოყენებული რიტუალური საშუალებების შემწეობით შეიძლება გადატანილ ან გამონვეულ იქნეს სხვებში, ესაა ქარიზმის გასაგნობრივება, უპირველეს ყოვლისა, თანამდებობრივი ქარიზმა (5, გვ.60). ლეგიტიმურობის რწმენა უკვე აღარ განეკუთვნება პიროვნებას, არამედ შეიძენილ თვისებებსა და რიტუალური აქტების ქმედითობას.

ქარიზმული ბატონობა არა მხოლოდ განსხვავდება ბატონობის სხვა წმინდა ტიპებისაგან, არამედ გარკვეულ მსგავსებებსაც ამჟღავნებს მათთან. მართალია, იგი ტრადიციულისაგან, უპირველეს ყოვლისა, იმით განსხვავდება, რომ არანაირ ტრადიციულ ნორმებში არ ეტყევა და, პირიქით, მის დანგრევასა და ახლის, როგორც რაღაც არაჩვეულებრივის, შემოტანას ცდილობს, მიუხედავად ამისა, ტრადიციულის მსგავსად, იგიც ეყრდნობა ბატონსა და ქვეშევრდომს შორის პირად ურთიერთობებს. სწორედ ამ მიმართებით უპირისპირდება ორივე ბატონობის ლეგალურ, ანუ ფორმალურ-რაციონალურ, ტიპს, როგორც უპიროვნოსა და არაპირადულს. ქარიზმული ლიდერისადმი პირადი ერთგულების წყაროა არა ტრადიცია და არა მისი ფორმალური უფლების აღიარება, არამედ მისი ქარიზმისადმი რწმენა.

ლეგიტიმურობის ქარიზმული პრინციპი, რაციონალურ-ლეგალურისაგან განსხვავებით, **ავტორიტარულია**. ქარიზმის ავტორიტეტი ეფუძნება მის ძალას, არა ფიზიკურს (რაც, ხშირად, სრულებითაც არ არის გამორიცხული), არამედ მისი ქარიზმის ძალას, და თუ ეს ძალა ამ ლიდერმა დაკარგა, მაშინ ის კარგავს თავისი ძალაუფლების ლეგიტიმურობასაც.

**II. ტრადიციული ბატონობა.** ლეგიტიმური ბატონობის მეორე ტიპს, რომელიც განპირობებულია „გარკვეული ქცევისადმი ადამიანთა ზნე-ჩულებებით“ – ვებერი ტრადიციულს უწოდებს. ტრადიციული ბატონობა დაფუძნებულია არა მხოლოდ ტრადიციების ავტორიტეტზე, ანუ „მარადიული ნამყოს“ და მისი

კანონიერების რწმენაზე, არამედ უძველეს დროში არსებული წესრიგისა და ძალაუფლების ღვთაებრიობის რწმენაზეც. მაშასადამე, მის საფუძველში ძვეს ტრადიციული მოქმედება. ამგვარი ბატონობის ყველაზე წმინდა ტიპს, ვებერის მიხედვით, პატრიარქალური ბატონობა წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში **გაბატონებულთა** კავშირი ერთობას (თემს) წარმოადგენს, უფროსის ტიპს – „ბატონი“, მმართველობის შტაბს – „მსახურნი“, ხელქვეითნი კი „ქვემევერდომთ“, რომლებიც ბატონის მორჩილნი არიან **პიეტეტის** ძალით. ვებერი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბატონობის პატრიარქალური ტიპი, თავისი სტრუქტურის მიხედვით, მრავალ რამეში ემსგავსება ოჯახის სტრუქტურას. „არსებითად, ოჯახური კავშირი, – წერს იგი, – არის ბატონობის ტრადიციული ურთიერთობების უჯრედი“. სწორედ ამის გამოა, რომ ბატონობის ეს ტიპი ყველაზე მტკიცე და მყარია.

ტრადიციული ბატონობისას მმართველობის აპარატი შედგება ბატონზე პირადად დამოკიდებული შინამოსამსახურეებისაგან, ნათესავეთაგან, ან პირადად მისდამი ერთგული ვასალებისაგან. ყველა შემთხვევაში არა მკაცრი სამსახურებრივი დისციპლინა და საქმიანი კომპეტენტურობა, არამედ ბატონისადმი პირადი ერთგულება არის თანამდებობებზე დანიშვნისა და იერარქიულ კიბეზე წინ წაწევის საფუძველი. რამდენადაც ბატონის თვითნებობას არაფერი არ ზღუდავს „მეფის – იგივე ბატონის – სიტყვა ხომ კანონია“, ამდენად, იერარქიული კიბე ხშირად ირღვევა პრივილეგიებით.

ვებერი განასხვავებს ტრადიციული ბატონობის ორ ფორმას: მმართველობის წმინდა პატრიარქალურ და ნოდებრივ სტრუქტურას. პირველ შემთხვევაში „მსახურნი“ მთლიანად პირად დამოკიდებულებაში იმყოფებიან ბატონთან, ამავე დროს, მმართველობაში შეიძლება ჩართონ ადამიანები სავსებით უუფლებო ფუნქციონირებისაგან და დასვან მთავრის ნათესავეებისა და მეგობრების გვერდით. მეორე შემთხვევაში „მსახურნი“ არ არიან ბატონზე პირადად დამოკიდებულნი, მათი მმართველობა გარკვეულ ზომამდე „ავტოკეფალურია“ და ავტონომიური. აქ ძალა აქვს ნოდებრივი ღირსებისა თუ პატივის პრინციპს, რომლის შესახებაც ლაპარაკიც კი შეუძლებელია მმართველობის პატრიარქალური სტრუქტურების დროს. ბატონობის ამ პრინციპთან ყველაზე ახლოს, – ვებერის აზრით, – დასავლეთ ევროპის ფეოდალური სახელმწიფოები დგანან.

მმართველობა პატრიმონიალურად დამოკიდებულთა (მონების, ყმების) დახმარებით, როგორც ამას ადგილი ჰქონდა წინა აზიასა და ეგვიპტეში, თითქმის მამელუკთა ეპოქამდე, არის ნოდებრივი, წმინდა პატრიმონიალური ბატონობის უკიდურესი და არა ყოველთვის თანმიმდევრული ტიპი. თავისუფალი პლებეების დახმარებით მართვა შედარებით ახლოსაა რაციონალურ ჩინოვნიკობასთან. ჰუმანიტართა დახმარებით მართვას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ხასიათი, მაგრამ მუდამ უახლოვდება ნოდებრივ ტიპს: ბრაჰმანები, მანდარინები, ბუდისტური და ქრისტიანული კლირიკები.

ტრადიციული ბატონობის ჩვეულებრივი სახეებისათვის დამახასიათებელია ფორმალური სამართლის არარსებობა და შესაბამისად არც იმის მოთხოვნა, რომ

არ გავითვალისწინოთ პირები და მათი დაკავებული ადგილი საზოგადოების იერარქიულ კიბეზე. ურთიერთობის ყოველი სფერო აქ უაღრესად პირადულია; მართალია, ამ წმინდა პირადული სანყისისაგან გარკვეული თავისუფლებით, ტრადიციული საზოგადოების ყველა ტიპებში, სარგებლობს ვაჭრობა, მაგრამ, ვებერის აზრით, მისი ეს თავისუფლება შეფარდებითია, რამეთუ თავისუფალი ვაჭრობის გვერდით მუდამ არსებობს მისი ტრადიციული ფორმა.

**III. ლეგალური ბატონობა.** ლეგიტიმური ბატონობის შემდეგ ტიპს, რომელსაც ვებერი „ლეგალურს“ უწოდებს – „მორჩილების მოტივად“ ინტერესის მოსაზრებები, ანუ ინტერესთა გათვალისწინება აქვს; მის საფუძველში მიზანრაციონალური მოქმედება ძევს. ამგვარ ტიპს ვებერი თანამედროვე ევროპულ სახელმწიფოებს მიაკუთვნებს: ინგლისს, საფრანგეთს, აშშ-სა და სხვ. ბატონობის ამგვარი ტიპის არსებობისას, მოქალაქენი ემორჩილებიან არა პიროვნებებს, არამედ დადგენილ კანონებს: მათ ემორჩილებიან არა მხოლოდ მართულნი, არამედ მმართველნიც (ჩინოვნიკებიც). მართვის აპარატი შედგება სპეციალურად განსწავლული ჩინოვნიკებისაგან, მათ წაეყენებათ მოთხოვნა: იმოქმედონ „პიროვნებათა გაუთვალისწინებლად“, ე. ი. იმოქმედონ მკაცრი ფორმალური და რაციონალური წესების შესატყვისად. **ფორმალურ-სამართლებრივი სანყისი** – ესაა პრინციპი, რომელიც „ლეგალური ბატონობის“ საფუძველში ძევს. ვებერის თანახმად, სწორედ ეს პრინციპი აღმოჩნდა თანამედროვე კაპიტალიზმის, როგორც ფორმალური რაციონალურობის სისტემის, ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილი.

**ბიუროკრატია**, – ამბობს ვებერი, – ტექნიკურად წარმოადგენს ლეგალური ბატონობის ყველაზე წმინდა ტიპს. მაგრამ ვერავითარი ბატონობა ვერ იქნება მხოლოდ ბიუროკრატიული: იერარქიული კიბის სათავეში დგანან ან მემკვიდრეობითი მონარქები, ან ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტები, ან პარლამენტური არისტოკრატის მიერ არჩეული ლიდერები. მაგრამ ყოველდღიური განუწყვეტელი მუშაობა მიმდინარეობს სპეციალისტ-ჩინოვნიკთა ძალებით, ე. ი. მართვის მანქანით, რომლის საქმიანობაც შეუძლებელია შეჩერებულ იქნეს ისე, რომ არ გამოიწვიოს სერიოზული დარღვევები სოციალური მთელის მექანიზმთა ფუნქციონირებაში.

სახელმწიფოს „რაციონალური“ ტიპის შესატყვისი იურიდიული განათლების გარდა, ჩინოვნიკი უნდა ფლობდეს, აგრეთვე, სპეციალურ განათლებასაც, რამდენადაც მისგან მოითხოვება საქმის ცოდნაც ანუ ამა თუ იმ დარგში, **კომპეტენტურობაც**. რაციონალურ-ბიუროკრატიული მმართველობის წმინდა ტიპს ვებერი შემდეგნაირად აღწერს: „მმართველობის შტაბი ... შედგება ცალკეული ჩინოვნიკებისაგან, რომლებიც:

1. პირადად თავისუფალნი არიან და ექვემდებარებიან მხოლოდ საქმიან სამსახურებრივ მოვალეობას;
2. აქვთ მყარი სამსახურებრივი იერარქია;
3. აქვთ მტკიცედ გარკვეული სამსახურებრივი კომპეტენცია;

4. მუშაობენ კონტრაქტის ძალით, მაშასადამე, პრინციპულად თავისუფალი არჩევანის საფუძველზე, სპეციალური კვალიფიკაციის შესატყვისად;
5. გასამრჯელოს იღებენ მუდმივი ფულადი სახსრებით – ანუ ხელფასს;
6. თავიანთ სამსახურს ერთადერთ, ან მთავარ პროფესიად თვლიან;
7. თავიანთ კარიერას, ან დანინაურების საფუძველს საკუთარი ნიჭისა და უნარის შესაბამისად ხედავენ;
8. მუშაობენ „მართვის საშუალებებისაგან სრული მონყვეტის“ პირობებში და სამსახურებრივი ადგილების მითვისების გარეშე;
9. ექვემდებარებიან ერთიან მკაცრ სამსახურებრივ დისციპლინასა და კონტროლს“ (ციტ., 49, გვ. 82).

ბატონობის ეს ტიპი, ვებერის მიხედვით, ყველაზე უფრო შეესატყვისება 19-ე საუკუნის ბოლოს ევროპასა და აშშ-ში ჩამოყალიბებული ეკონომიკის ფორმალურ-რაციონალურ სტრუქტურას. მართვის სფეროშიც ადგილი აქვს ისეთივე სპეციალიზაციასა და შრომის დანანილებას, როგორც წარმოებაში. აქაც ისევე ემორჩილებიან **უპიროვნო-საქმოსნურ პრინციპს**. მმართველიც ისევე „მონყვეტილია მართვის საშუალებებისაგან“, როგორც მწარმოებელი – წარმოების საშუალებებისაგან. „ბიუროკრატიული მართვა ნიშნავს ცოდნის მეშვეობით ბატონობას – ამაშია მისი სპეციფიკური რაციონალური ხასიათი“ (ციტ., 49, გვ. 82).

ვებერის მიერ აღწერილი ფორმალურ-რაციონალური მმართველობის იდეალური ტიპი უპირობოდ წარმოადგენს ნივთთა რეალური ვითარების იდეალიზაციას, რასაც ვებერი თვითონვე აღნიშნავს, მას არ ჰქონია და არც ახლა აქვს სრული ემპირიული განხორციელება არც ერთ თანამედროვე დასავლურ სახელმწიფოში. აქ ვებერს, არსებითად, მხედველობაში აქვს მართვის მანქანა, მანქანა, ამ სიტყვის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით. ამ უკანასკნელს ნამდვილად არ შეიძლება ჰქონდეს სხვა რამ ინტერესები, გარდა „საქმის ინტერესებისა“ და იგი არ ექვემდებარება კორუფციას. ვებერი თვლის, რომ ასეთი „ადამიანური მანქანა“ უფრო ზუსტი და იაფია, ვიდრე მექანიკური აგრეგატი. „სამყაროს ვერავითარი მაშინერია (მანქანა) ვერ შესძლებს იმუშაოს ისეთი სიზუსტით, როგორც ამ ადამიანურმა მანქანამ და, ამავე დროს, იყოს ასე იაფიც“ (49., გვ. 83).

მაგრამ მართვის მანქანა, ნებისმიერი მანქანის მსგავსად, საჭიროებს პროგრამას. პროგრამა კი შეიძლება მას მისცეს მხოლოდ პოლიტიკურმა ლიდერმა (ან ლიდერებმა), რომელიც გარკვეულ მიზნებს ისახავს ე. ი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ლიდერები, რომლებიც მმართველობის ფორმალურ მექანიზმს აყენებენ გარკვეული პოლიტიკური ღირებულების სამსახურში.

ასეთია, მოკლედ ვებერის შეხედულებები ბატონობის, ანუ ძალაუფლების ლეგიტიმურობის თაობაზე. მის მიერ მოცემული ტიპოლოგია ღრმად ასახავს ვებერის ნინა და მის თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური განვითარების არსებით მომენტებს. ვებერისეულ ტიპოლოგიას მრავალი სოციოლოგი, ფილოსოფოსი დღემდე იზიარებს და მისი მეშვეობით ცდილობს თანამედროვე



მსოფლიოში არსებული პოლიტიკური რეჟიმების ანალიზს. ასეთ პიროვნებას, უწინარეს ყოვლისა, ამერიკელი სოციოლოგი და პოლიტოლოგი საიმურ ლიპსეტი მიეკუთვნება, რომლის თვალსაზრისსაც ქვემოთ განვიხილავთ. ასეთივე თვალსაზრისისაა, ვებერის შრომის „პოლიტიკა, როგორც მონოდება და ხელობა“ (მთარგმნელი გ. ბარამიძე და რედაქტორი თ. ფიფია). ისინი შრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავენ ვებერისეული ტიპოლოგიის ვარგისიანობას დღევანდელი ქართული სინამდვილის გასაანალიზებლად. ხოლო ვებერის შრომის „ქარიზმული ბატონობის“ ერთ-ერთი მთარგმნელისა და წინასიტყვაობის ავტორის, დ. გეგეშიძის აზრით, „მაქს ვებერის მეცნიერული წინასწარმეტყველებები ისტორიამ დაასაბუთა. ვებერისეული მოდელის პრაქტიკული განხორციელება თვით გერმანიაში მოხდა. ჰიტლერისადმი ქარიზმული თვისებების მინიჭებამ გერმანელი ხალხი უფსკრულის წინაშე დააყენა. მას ყოფილი საბჭოთა კავშირის ბელადების „ქარიზმული თვისებების“ შედეგებიც დაემატა“ (5, გვ.78). რაც შეეხება საქართველოს, აქაც გამოვლინდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველ ეტაპზე ვებერისეული ტიპოლოგიის ერთერთი წევრის ქარიზმული ბატონობის ვებერისეული მინიშნებები და წინასწარი ქვრეტები. „როდესაც სახელმწიფოებრიობის მშენებლობის დროს პოლიტიკური ლიდერების ღვთაებრივი თვისებების აღიარებამ და ბრმა რწმენამ პოლიტიკური პროცესები რეალურ გზას აცდინა და დესტაბილიზაციის მკვებავი გახადა“ (5, გვ. 78). ამიტომ გასაგებია, ავტორის აზრი, რომ „ქარიზმული ბატონობის“ ქართულ ენაზე თარგმნას არა მხოლოდ თეორიულ-ისტორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა.

**ს. ლიპსეტი: ლეგიტიმური ბატონობის ვებერისეული ტიპოლოგიის შესახებ.** ამერიკელი პოლიტიკური სოციოლოგი ს. ლიპსეტი იზიარებს მაქს ვებერის შეხედულებებს ძალაუფლებისადმი ლეგიტიმურობის მინიჭების სამი წესის შესახებ და ეს ტიპოლოგია ამომწურავად მიაჩნია, რამეთუ არაფერს არ ამბობს ვებერისეული ტიპოლოგიის ნაკლოვანებებისა თუ მოძველებულობის შესახებ. ლიპსეტი ყურადღებას ამახვილებს იმის თაობაზე, რომ თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანასა თუ სახელმწიფოში მისი კანონიერების (იგულისხმება ლეგიტიმურობის) რწმენა სუსტია. ამიტომ კანონიერებისა თუ ლეგიტიმურობის კრიზისი არსებითად ცვლილებების კრიზისია. ს. ლიპსეტის სწორი დაკვირვებით, სუსტი ლეგიტიმურობის მქონე სახელმწიფოში ძალიან ადვილად შეიძლება წარმოიქმნას მძიმე კრიზისები: „თუ 1. წყობის ცვლის პერიოდში საფრთხე ემუქრება მთავარ ტრადიციულად მნიშვნელად ჯგუფთა **სტატუსს**. და 2. საზოგადოებაში ყველა მთავარი ჯგუფი ვერ იღებს პოლიტიკურ სისტემაში ჩართვის შესაძლებლობას გარდამავალ პერიოდში, ყოველ შემთხვევაში მაშინ, როდესაც ისინი წამოაყენებენ ხოლმე თავიანთ პოლიტიკურ მოთხოვნებს. კანონიერებას რომ მიაღწიოს, ასეთმა პოლიტიკურმა სისტემამ დიდი ხნით უნდა გაამართლოს ძირითად ჯგუფთა ექსპექტაციები – მოლოდინები („ეფექტურობის“ საფუძველზე), რათა მათ შეძლონ იმ თამაშის წესისადმი

მტკიცე რწმენის მოპოვება, რომელთა შესაბამისადაც ფუნქციონირებს ახალი სისტემა და ჩათვალონ იგი როგორც ფასეული და ღირებული რამ“ (87, გვ. 206).

იმისათვის, რათა პოლიტიკურმა რეჟიმებმა თავიდან აიცილონ კატაკლიზმები და კრიზისები – ლიპსეტი გვთავაზობს ტრადიციული ლეგიტიმურობის შენარჩუნებით პოლიტიკურ ინსტიტუტებში ძირითადი სტრუქტურული ცვლილებების ლეგალიზაციას. ასე, მაგალითად, ის ქვეყნები, რომლებმაც შეინარჩუნეს სტაბილურობა და პოლიტიკური დემოკრატია თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე – ბელგია, ინგლისი, შვეცია, ნორვეგია, დანია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია – იყვნენ **მონარქიული**. მაშინ, როდესაც ერთადერთ რესპუბლიკებს, რომლებმაც შეინარჩუნეს სტაბილური დემოკრატიის პირობები, წარმოადგენდნენ მხოლოდ აშშ და შვეიცარია და, შესაძლოა, ურუგვაიც.

პირველი ჯგუფის ქვეყნებმა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სახელმწიფოებრივ წყობაზე გადასვლისას სწორედ მონარქიის შენარჩუნებით შეძლეს მოეპოვებინათ ლოიალური დამოკიდებულება არისტოკრატიული, ტრადიციონალისტური და ჩინოვნიკური ფენებიდან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჯგუფები ეწინააღმდეგებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიზაციისა და გათანაბნობის პროცესებს. იმ ქვეყნებში კი, სადაც რევოლუციისას მონარქია და წესრიგის სამართალმემკვიდრეობა დარღვეული აღმოჩნდა, მონარქიის შემცვლელი რესპუბლიკური რეჟიმები უზარონი გამოდგნენ რათა მოეპოვებინათ ლეგიტიმურობა მოსახლეობის ყველა მნიშვნელოვან ფენათა თვალში თითქმის რევოლუციის შემდგომ მეხუთე თაობამდე და შემდეგაც კი.

კანონიერების, ანუ იმავე ლეგიტიმურობის დაკარგვის მეორე მიზეზს, რადიკალური სოციალური ძვრების პერიოდებში – ლიპსეტის აზრით, ფესვები გადგმული აქვს იმ წესებში, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება არეგულირებს „პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის“ კრიზისს, ე. ი. თუ როგორ იღებენ გადაწყვეტილებას, რომელ ეტაპზე მიეცეთ შესაძლებლობა ახალ სოციალურ ჯგუფებს პოლიტიკურ პროცესში ჩასართველად. ყოველთვის, როდესაც ახალი პოლიტიკური ჯგუფები აქტიურდებიან, მაგალითად, როდესაც მუშები პირველად ცდილობენ მოიპოვონ ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლება, თუ მათ მიეცემათ საშუალება იოლად გამოიყენონ კანონიერი პოლიტიკური ინსტიტუტები, მაშინ ისინი ლოიალურად იქნებიან განწყობილი პოლიტიკური სისტემის მიმართ და საშუალებას მისცემენ ძველ სახელმწიფო ინსტიტუტებს ან ფენებს – სტრატებს, მაგალითად, მონარქიას ან არისტოკრაციას შეინარჩუნონ თავიანთი სტატუსი ძალაუფლების დაკარგვის შემდეგაც კი.

ის პოლიტიკური რეჟიმები, რომლებიც ხელს უშლიან ახალ ფენებს მოიპოვონ ძალაუფლება ნებისმიერი საშუალებებით, გარდა გაბედული ზენოლის ან რევოლუციისა, ასევე საფრთხის ქვეშ აყენებენ კანონიერებას, რამეთუ პოლიტიკურ არენაზე შემოჰყავთ „ოქროს საუკუნის“ დადგომის იმედები – უტოპიური თუ გაუმართლებელი, ის ჯგუფები კი, რომლებსაც ძალით უხდებათ სახელმ-

ნიფოებრივი ძალაუფლების მოპოვება, როგორც წესი, მუდამ გადაჭარბებულად აფასებენ იმ შესაძლებლობებს, რომლებიც მათ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობამ მისცა.

საინტერესოა ისიც, რომ ამგვარ სიტუაციებში აღმოცენებული პოლიტიკური რეჟიმები, ერთი მხრივ, წინააღმდეგობას აწყდებიან იმ ფენებისაგან, რომლებიც ლოიალურად იყვნენ განწყობილნი ძველი რეჟიმისადმი, ხოლო, მეორე მხრივ კი, იმ ფენებისაგან, რომელთა იმედებიც ამ ახალმა რეჟიმმა ვერ გაამართლა და დედამიწაზე ვერ დაამყარა „ღვთის მეუფება“. XX საუკუნეში მრავალი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა აზიაში, აფრიკაში, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში – საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მისი დაშლის შედეგად. ყველა ისინი დგებოდნენ და დგებიან ძნელი პრობლემის წინაშე: როგორ უზრუნველყონ მასების ლოიალობა იმ სახელმწიფოებრივი წყობისადმი, რომელსაც ძალიან ცოტა თუ შეუძლია გააკეთოს იმ უტოპიური მიზნების მისაღწევად, რომლებიც წამოყენებული იყო კოლონიალიზმის ბატონობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდებში ეროვნულ მოძრაობათა მიერ.

ლიპსეტის აზრით, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ახალგაზრდა და რევოლუციის შემდგომი პერიოდის ხელისუფალნი, რომლებიც ლეგიტიმურობის მოპოვების ძნელი პრობლემის წინაშე დგანან, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ მოთხოვნილებებს ყველაზე უკეთ პასუხობს ქარიზმული ძალაუფლება. „ქარიზმას, ე. ი. ხელმძღვანელის პიროვნების კულტს ძალაუფლების წყაროს სახით, აქვს დიდი მოქნილობა და იმისათვის, რათა ჩამოყალიბდეს, არ მოითხოვს არც დიდ დროსა და არც ყველას მიერ აღიარებულ ნორმათა რაციონალურ კრებულს. ქარიზმული ტიპის ხელმძღვანელი, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ეროვნულ გმირს, რომლის აზროვნებაშიც სიმბოლიზირდება ქვეყნის იდეალები და იმედები. უფრო მეტიც, იგი აკანონებს ახალ საერო მმართველობას, აღჭურვავს რა მას თავისი „ღვთაებრივი მადლით“. (87, გვ. 208). მიუხედავად ამისა, სოციოლოგთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ის სახელმწიფოები, რომლებიც ხასიათდებიან ქარიზმული კანონიერება-ლეგიტიმურობით, ნაკლებ სტაბილურნი არიან, ვიდრე სახელმწიფოები, რომელთაც სხვა ტიპის კანონიერება ახასიათებთ. მართალია, „ქარიზმული ხელმძღვანელი ჩვეულებრივ წარმოადგენს ძალაუფლების **წყაროსაც და წარმომადგენელსაც**“ (87, გვ. 209). მაგრამ შეზღუდულ მონარქიებსა და კონსტიტუციურ დემოკრატიულ რესპუბლიკებში – **წყარო** იქნება ეს მეფე, ნომინალური პრეზიდენტი თუ კონსტიტუცია, არ არიან პასუხისმგებელნი ამა თუ იმ კონკრეტული რეჟიმის მოქმედებებზე. მოსახლეობა უმეტეს შემთხვევაში ხალისით განასხვავებს ერთმანეთისაგან ძალაუფლების **წყაროსა** რომელსაც პატივი უნდა სცენ და მის **წარმომადგენელს**, რომლის პოლიტიკაც შეიძლება **შეფასდეს** როგორც კარგი ან ცუდი. ქარიზმული კანონიერების მქონე სისტემის დროს მთავრობის საქმიანობით უკმაყოფილება ასუსტებს სახელმწიფოებრივი წყობის კანონიერებასა თუ ლეგიტიმურობას და შეიძლება ხელმძღვანელისა და მისი სისტემის დამხობამდეც კი მიგვიყვანოს. სხვათა შორის, ლიპსეტს აქ ქარიზმულ ლიდერად კორელი ლი სინ მანი და

სხვა აზიელი თუ აფრიკელი პოლიტიკური ლიდერები მიაჩნია, რომლებიც სა-  
თავეში ედგნენ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობას მეორე  
მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

ახალი სახელმწიფოების ან რევოლუციის შემდგომი სახელმწიფოებრივი  
წყობის პირობებში, – ლიპსეტის სწორი შენიშვნით, – ლეგიტიმურობის მოპ-  
ოვება ხდება თვალსაჩინოდ დემონსტრირებული ეფექტურობის მეშვეობით.  
პოლიტიკური სისტემის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების კულტივი-  
რება, – ლიპსეტის აზრით – უმჯობესია სხვადასხვა ჯგუფის ცნობიერებაში  
იმ რწმენის ჩანერგვით, რომ **ახალი სახელმწიფო წყობილება წარმოადგენს  
მათი მიზნების მიღწევის ყველაზე საუკეთესო – ან, ყველა შემთხვევაში –  
შესანიშნავ საშუალებას**. მოსახლეობა ხომ თვით ქარიზმული პრინციპებსაც  
კი პრაგმატულ გამოცდას უწყობს: ხომ არ იქნება გასამრჯელო-საფასური და-  
ლიან დიდი? მსგავსი რეჟიმების უმრავლესობისათვის ეფექტურობის თვალ-  
ნათლივი დემონსტრაციაა – **ეკონომიკური განვითარება**. „მზარდი ექსპეკტა-  
ციების რევოლუციის“ პირობებში გასამრჯელო, ანუ საზღაური ეკონომიკური  
დოვლათის, საქონლისა და ცხოვრების დონის კატეგორიებში იძენს იმაზე მეტ  
მნიშვნელობას, ვიდრე ეს მას ოდესმე ჰქონია. თანაც, – შენიშნავს ლიპსეტი,  
– აუცილებელი არაა გასამრჯელო თუ საზღაური განისაზღვრებოდეს განსა-  
კუთრებულად ეკონომიკურ კატეგორიებში.

პოლიტიკური რეჟიმის მიერ ლეგიტიმურობის, ანუ საყოველთაო აღიარების  
მოპოვების ერთ-ერთ ძირითად საშუალებად ლიპსეტი, **ეროვნული პრესტიჟის  
ამაღლებას** თვლის. ამის საუკეთესო მაგალითია საფრანგეთის მეხუთე რე-  
სპუბლიკა **დე გოლის** დროს, როდესაც რესპუბლიკამ მიაღწია ფართო აღიარე-  
ბას მემარცხენე ინტელიგენციის წრეებში, იმის გამო, რომ დე გოლი დაჟინებით  
ცდილობდა მიეღწია საფრანგეთის, როგორც ერთ-ერთი მთავარი დამოუკიდე-  
ბელი ქვეყნის პრესტიჟისა და ფრანგული ენის, კულტურის უპირატესობათა  
აღიარებისათვის. ეს მცდელობა კი გულზე ეფინებოდა მოსახლეობის განათლე-  
ბულ ფენებს.

როგორც მსოფლიოს და ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია გვიჩვენებს,  
ყველაზე მწვავე და ურთულეს პრობლემებს სუსტი ლეგიტიმურობის მქონე  
სახელმწიფოების წინაშე სამხედროთა პოლიტიკური მოქმედებანი აყენებს.  
სამხედროები ხომ ის ჯგუფია, რომელსაც საკუთარი შინაგანი ორგანიზაცია,  
ჯგუფური ლოიალობის გრძნობა, ავტორიტეტული ძალაუფლება და, რაც მთა-  
ვარია, მთავრობის დამხობის ყველაზე სწრაფი იარაღი აქვს და მოქმედებაში  
შეუძლია მოიყვანოს მაშინვე, როგორც კი არ მოეწონება არსებული მთავრო-  
ბის მოქმედება. მაშასადამე, „სამხედრო და სამოქალაქო ძალაუფლებას შორის  
ურთიერთდამოკიდებულების მარეგულირებელი ნორმების სიმყარე-სიმტკიცეს  
გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური სტაბილურობის ხელშემწყობი  
სოციალური ფაქტორების განხილვის დროს“ (87, გვ.217). შესაბამისად, სამ-  
ხედროთა მიერ სამოქალაქო ძალაუფლების აღიარება არის ლეგიტიმურობის  
ცნების განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ამიტომ იქ, სადაც „კანონიერება

(ლეგიტიმურობა) სუსტია, პოლიტიკაში სამხედროების ჩარევის აკრძალვაც ასევე სუსტი იქნება, ხოლო სამხედროები, სავარაუდოა, ყოველთვის მიიღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში, როდესაც სახელმწიფო იმოქმედებს საპირისპიროდ მათი წარმოდგენებისა იმის თაობაზე, თუ რა არის სწორი და სამართლიანი და რა – არა. ამ შესაძლებლობის გათვალისწინებისას, საზოგადოება ადგენს განსაკუთრებით მკაცრ ნორმებს, რომლებიც უკრძალავს ოფიცრებს უღალატონ ფიცს – მთავრობისადმი მორჩილების ფიცს“ (87, გვ.212). პროფესიონალი სამხედროების სულსა და გულში გამჯდარია აზრი, რომ მოსმენა-მორჩილება უმაღლესი სათნოებაა. შესაბამისად, სამხედრო გადატრიალებაში მონაწილე ოფიცერთა სასამართლო პროცესების მასალები გვეუბნებიან, რომ ისინი დიდი ხნის მანძილზე თავს იკავებდნენ ამგვარ გადატრიალებაში მონაწილეობის მიღებისაგან სწორედ იმ გრძნობის გავლენით, რომ ფიცის დარღვევით ისინი სჩადიან საშინელ დანაშაულს, უარს ამბობენ და გაურბიან სამხედრო ღირსებას. ამით ხსნის ლიპსეტი მრავალი გერმანელი ოფიცრის მოქმედებას მეორე მსოფლიო ომში, მიუხედავად იმისა, რომ მათ გულში ეზიზღებოდათ ჰიტლერი და მისი წარმომადგენლების ნამოქმედართ ალშფოთებულნი იყვნენ, მაინც ვერ ტყებდნენ ერთგულების ფიცს და მას ემსახურებოდნენ.

ამგვარად იქ, სადაც ლეგიტიმურობა სუსტია, სადაც არმია არ არის აღზრდილი სამოქალაქოების ძალაუფლების აღიარების ტრადიციით, სადაც უახლოეს წარსულში სამხედროებმა უარი თქვეს ძველი რეჟიმის ერთგულებასა და მორჩილებაზე და ერთგულების ფიცი მისცეს რევოლუციის ან დამოუკიდებლობის მოპოვების შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსულ ახალ მთავრობას, – **ფიცის ერთგულება არ იქნება მყარი და მტკიცე.** და თუ ასეთი რეჟიმები, – სწორად შენიშნავს ლიპსეტი, – არა მხოლოდ სუსტ ლეგიტიმურობას ფლობენ, არამედ საკმაოდ არაეფექტურადაც ჭრიან შიდა სახელმწიფოებრივ და საგარეო პოლიტიკურ პრობლემებს, მაშინ ხშირ სამხედრო გადატრიალებებს უნდა ველოდოთ. ეფექტურობასა და ლეგიტიმურობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა დემოკრატიული რეჟიმისათვის აქვს. დემოკრატია ხომ ყველაზე მეტ ფართო გასაქანს აძლევს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფსა და პირს მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში და ჩაერთონ მათ სტრუქტურებში. ამიტომ რთულ სოციალურ სისტემებში ამგვარ დემოკრატიულობას უზრუნველყოფს პოლიტიკური ელიტის ჩამოყალიბება და ამომრჩეველთა ხმებისადმი კონკრეტული ბრძოლა. სხვაგვარად რეჟიმის ლეგიტიმურობის მაღალი დონე მიუღწეველი დარჩება.

ამგვარად, ლიპსეტი ძირითადად იზიარებს მ. ვებერის მოსაზრებებს ძალაუფლების კანონიერებისა და ლეგიტიმურობის თაობაზე და თვლის, რომ ვებერისეული ტიპოლოგია დღესაც ძალაშია და მისი გამოყენება თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურ სისტემათა ემპირიული შესწავლის ბაზისად სავსებით შესაძლებელია.

**მ. დოგანი: ლეგიტიმური ბატონობის ვებერისეული ტიპოლოგიის შესახებ.** საწინააღმდეგო თვალსაზრისისაა ფრანგი სოციოლოგი და პოლიტოლოგი

მ. დოგანი, რომელიც მოძველებულად მიიჩნევს ვებერისეულ ტიპოლოგიას და მისგან მხოლოდ ერთს – რაციონალურ-სამართლებრივს აღიარებს მნიშვნელობის მქონედ დღეს არსებული პოლიტიკური რეჟიმების ემპირიული შესწავლის საქმეში. ამიტომ უპრიანი იქნება განვიხილოთ მ. დოგანის მოსაზრებებიც.

მათი დოგანი მაქს ვებერის მიერ მოცემულ ლეგიტიმურობის ტიპოლოგიას, რომელიც ვებერის მოძღვრების მნიშვნელოვანი ასპექტია, მოძველებულად მიიჩნევს და პირველ რიგში მის ემპირიულ შემონახვას მოითხოვს. იგი ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც წარმატებით იყენებდნენ ვებერისეულ ტიპოლოგიას ისტორიულ გამოკვლევებში. ლეგიტიმურობის კვლევისას თითქმის ყველა მკვლევარი მოვლენათა კლასიფიკაციას ამ ტიპოლოგიის შესაბამისად აკეთებდა და მიღებული იყო მათი განლაგება რაციონალურობის ზრდის პრინციპით: ქარიზმულიდან ტრადიციულისაკენ და აქედან კი – რაციონალური კანონიერი ძალაუფლებისაკენ.

დოგანის აზრით, ქარიზმული და ტრადიციული ძალაუფლება ისტორიულად ვლინდება ავტორიტარულ რეჟიმებში. რაც შეეხება რაციონალურ-ლეგალურ-კანონიერ ძალაუფლებას, იგი ვლინდება როგორც პლურალისტურ დემოკრატიებში, რომლებიც ლეგიტიმურია, ისე ავტორიტარულ რეჟიმებშიც. ამგვარად, დაასკვნის დოგანი, ვებერისეული ტიპოლოგია უშუალოდ არ ასახავს ლეგიტიმურობისა და დემოკრატიის ურთიერთკავშირს. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი საუკუნის მანძილზე – ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებამდე მაინც (შვეიცარიისა და ინგლისის გამოკლებით) დამოუკიდებელ ქვეყანათა უმრავლესობა იმართებოდა მემკვიდრეობითი სამეფო ხელისუფლებით. XIX საუკუნის დასაბოლოებამდე რომის პაპმა ლევ XIII-მ თავის ენციკლიკაში განაცხადა კიდევ, რომ სამეფო ხელისუფლება არის ღმერთის ძალაუფლების გამოხატულება დედამიწაზე და ამით იძენს განსაკუთრებულ ღირსებას, რომელიც ადამიანურ ღირსებებზე მაღლა დგას. მაგრამ ყოველივე ამას, – დოგანის აზრით, – ხელი არ შეუშლია იმისათვის, რომ ორი ათეული წლის შემდეგ ტახტიდან ჩამოეგდოთ ოთხი იმპერატორი: ერთი – კათოლიკე, მეორე – პროტესტანტი, მესამე – მართლმადიდებელი ქრისტიანი და მეოთხე – მაჰმადიანი, რითაც მათ დაკარგეს სწორედ ლეგიტიმურობა. რაც შეეხება დღეს არსებულ მონარქიულ რეჟიმებს, – დოგანის აზრით, – არც აქ არის უკეთ საქმე, რამეთუ სამეფო ძალაუფლება ასრულებს წმინდა სიმბოლურ, მითიურ ან ცერემონიალურ როლს (თუმცა შეიძლება ამ მხრივ გამონაკლისი იყოს საიმპერატორო ძალაუფლება იაპონიაში). თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში მონარქი პოლიტიკურ როლს მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ მომენტებში ასრულებს, მაგალითად, ესპანეთში ან ბელგიაში, ესაა როლი, რომელიც ასევე წარმატებით შეუძლია შეასრულოს კანონიერად არჩეულმა პრეზიდენტმაც. სამეფო ხელისუფლების ტრადიციული ლეგიტიმურობა რეალური ფენომენია მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის მხოლოდ ზოგიერთ ქვეყანაში (მაროკო, საუდის არაბეთი, ომანი, კუვეიტი, ნეპალი), მიუხედავად ამისა, დოგანი ასკვნის, რომ რამდენადაც

„ღვთიური სამართლის“ ტრადიციული ლეგიტიმურობა თანდათანობით ქრება, ამდენად, ვებერისეული ტიპოლოგია კარგავს თავის ერთ-ერთ ელემენტს.

რაც შეეხება ქარიზმულ ლეგიტიმურობასა და თვით ტერმინს „ქარიზმა“, დოგანის აზრით, ალბათ ცოტაა სოციოლოგიურ ლიტერატურაში ტერმინი, რომელსაც ისეთი დიდი პოპულარობა მოეპოვებინოს, როგორც მას. სწორედ ამ პოპულარობის გამო, – თვლის იგი, – ზოგიერთი ავტორი მას ბოროტად იყენებს. რამეთუ ამ ტერმინით აღნიშნავენ მოვლენებს, რომლებიც თავიანთი ბუნებით მისგან ფრიად განსხვავებულია. დღეს ამის ყველაზე ხშირი მაგალითია ძალაუფლების პერსონალიზაციის ფენომენის განსაზღვრა, რომელიც ზოგჯერ გამოხატვის ისეთ უკიდურეს ფორმებს იღებს, როგორცაა პიროვნების კულტი ან ორგანიზებული პოლიტიკური თავყვანის ცემა. შორეულ წარსულში ქარიზმული ლიდერი მუდამ რელიგიურ კონტექსტში გამოდიოდა, რისი ეტალონებიცაა: მოსე, ბუდა, იესო, დავითი, მუჰამედი. ვებერისეული ქარიზმის ცნებას, რომელიც, დოგანის აზრით, მას თეოლოგ რუდოლფ ზონისაგან უსესხებია, აშკარად გამოხატული რელიგიური ელფერი ადევს. ამიტომ იგი „ნაკლებად გამოსადეგია თანამედროვე სეკულარიზებული საზოგადოებისადმი, თუნდაც იგი სასარგებლო და გამოსადეგი რჩებოდეს როგორც „იდეალური ტიპი“ ზოგიერთი ისტორიული გამოკვლევისათვის“ (63, გვ.148).

ავილთ, – წერს დოგანი, – XIX საუკუნე, დაახლოებით 1815-1918 წლების მონაკვეთი, იგი ქარიზმული ლიდერობის ძალიან მცირე მაგალითებს გვაძლევს; რამდენადაც ევროპა იმ სახით, რა სახითაც იგი რეორგანიზებულ იქნა – ნაპოლეონის დაცემის შემდეგ – მეტერნიხის მიერ, იმართებოდა მონარქთა მიერ, რომლებიც ფორმალურად კი განასახიერებდნენ ტრადიციულ ლეგიტიმურობას, მაგრამ, სინამდვილეში სარგებლობდნენ ისეთი გმირების მიღწევებით, როგორებიც იყვნენ: ბისმარკი, დიზრაელი ან გლადსტონი, რომელთაც სინამდვილეში ეკუთვნოდათ კიდევ ეს დამსახურებები.

მართალია, – შენიშნავს დოგანი, – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობამ აზიასა და ევროპაში – გამოიწვია ამ ახალ სახელმწიფოთა დამფუძნებელთა თუ შემოქმედთა გამოვლენა, რომლებიც ძალიან სწრაფად და თითქმის ყველა (ინდოეთის გამოკლებით) იქცნენ მებრძოლ წინასწარმეტყველებად, პოლიტიკურ ქურუმებად ან სახალხოდ არჩეულ დიქტატორებად. მაგრამ, დოგანის აზრით, ახალი სახელმწიფოებისა თუ ერების წარმოქმნის ისტორიული პერიოდი თითქმის დამთავრდა, რამდენადაც მსოფლიოში დარჩენილია ძალიან ცოტა ხალხი, რომელთაც არ აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო, – მაგალითად, ქურთები (დოგანი არ ითვალისწინებს ყოფილ საბჭოთა სივრცეში მრავალი ახალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოქმნის შესაძლებლობას, მართალია, იგი დაიშალა შემადგენელ 15 რესპუბლიკად, რომლებმაც მეტ-ნაკლები ხარისხით მიიღეს დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს პროცესი არ დამთავრებულა და თვით ახალ სახელმწიფოებში კვლავ მიმდინარეობს ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულების წარმოქმნა, მაგალითად ჩეჩნეთი).

რაც შეეხება „მესამე სამყაროს“, მისი ქვეყნების უმრავლესობას, – დოგანის აზრით, – აქვთ პოლიტოლოგების მიერ კარგად შესწავლილი პოლიტიკური სისტემები, რომელთაც განსაზღვრავენ როგორც „ავტორიტარულ ბიუროკრატიას“. ამგვარი რეჟიმები, რომლებიც წარმოიქმნენ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, იღებენ ლეგიტიმაციის ძალიან სუსტ პოტენციალს.

დოგანი საყვედურობს სოციოლოგებსა და პოლიტოლოგებს, რომლებიც დიდად აჭარბებენ ქარიზმული ფენომენის მნიშვნელობის შეფასებაში, მაშინ, როდესაც ისტორიკოსებს გაუძლიათ ამგვარი ცდუნებისათვის, რამეთუ ისინი დიდძალ ისტორიულ-დოკუმენტურ მასალას ფლობენ და რეალურად აფასებენ პოლიტიკურ ლიდერებს. სწორად შენიშნავს დოგანი, რომ ისინი, ვინც დღეს აღმართავენ ლენინის, მაოს, ჰიტლერის, პერონის ან დიმიტროვის პორტრეტებს, ამოდიან მრავალი განსხვავებული ფაქტორებიდან, მაგრამ ყოველ მათგანს ქარიზმა დაჰყავთ **იმ იმიჯზე**, რომლის შექმნა თავისი თავისათვის შესძლო ამა თუ იმ პოლიტიკურმა ლიდერმა, ხალხთა მასის განსაზღვრული ნაწილის იმედებთან **შეთავსებით** – ამის საუკეთესო ნიმუშად დოგანს ნასერის ნატურა მიაჩნია. ამგვარ ფენომენს ყველაზე მეტად აფრიკულ ქვეყნებში აქვს ადგილი, რომელთა აღსანიშნავად დავიდ ასტერს მოხერხებული ტერმინი – „პოლიტიკური რელიგია“ – შემოუთავაზებია.

მიუხედავად იმისა, რომ ქარიზმული ძალაუფლებისადმი მორჩილება რჩება უეჭველ ისტორიულ ფაქტად, დოგანი მაინც ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქარიზმული ფენომენის – ლიდერის განდიდების ორგანიზებულ კულტად და ტირანულ რეჟიმად გარდაქმნა უფრო ხშირ მოვლენად იქცა, ვიდრე ახალი ლეგიტიმური ინსტიტუციების ფორმით ქარიზმის წარმოდგენის პრაქტიკის განმტკიცება. თვით XIX საუკუნეშიც კი ქარიზმის ცნება გამოიყენებოდა მხოლოდ მცირე რაოდენობის ლიდერთა მიმართ. ამ ცნების გამოყენება, – სავსებით სწორად შენიშნავს დოგანი, – ისეთი ტირანის მიმართ, როგორც სტალინია, რომელიც გაღმერთებული იყო პარტია-სახელმწიფოს მიერ, ან ისეთი „კომედიანტის“, როგორც მუსოლინი იყო, რომელსაც ასე უწოდებდა თვით მრავალი იტალიელი 30-იან წლებში – მრავალი ადამიანისათვის წარმოადგენს სოციოლოგიური ინტერპრეტაციის შეცდომას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით თანამედროვე ეტაპზე არ არსებობდეს ნამდვილი ქარიზმული ძალაუფლების მატარებელი პიროვნებები, მაგალითად, ისეთები, როგორებიცაა მ. განდი, ქათათურქი, აიათოლა ჰომეინი და სხვები. ამ ქარიზმულ პიროვნებათა შეზღუდულ რაოდენობას, დოგანის აზრით, ქარიზმული ლეგიტიმურობის ტიპი დაყავს შეზღუდულ პოლიტიკურ კატეგორიაზე.

ჩატარებული ანალიზის შედეგად, დოგანი აკეთებს დასკვნას, რომ დღეს ვებერისეულ ტიპოლოგიაში სრულფასოვნებას ინარჩუნებს ლეგიტიმურობის მხოლოდ **ლეგალურ-რაციონალურ-ბიუროკრატიული** ტიპი. ტიპოლოგია, რომელიც ემპირიული შემონმებისას ამ დონემდე ვინროვდება, – მისი აზრით, – კარგავს ნაყოფიერებას. იგი არაადეკვატური ინსტრუმენტი ხდება; მაგრამ ეს არ ნიშნავს მისი ღირებულების სრულ ნეგაციას, რამეთუ იგი სასარგებლო



და ნაყოფიერია ისტორიული გამოკვლევებისათვის. ლეგიტიმურობის ერთადერთი სრულფასოვანი ტიპის აღსანიშნად გამოყენებული რამდენიმე ტერმინის მქონე კომპოზიტი: ლეგალური-რაციონალური-ბიუროკრატიული ძალაუფლება – გვეუბნება, რომ ეს ტიპები ძალიან არაერთგვაროვანია და მრავალფეროვნებათა დიდი რაოდენობის თავისებურ შერწყმისა და შენადნობის პროდუქტს წარმოადგენს.

ამიტომ დოგანი ამ შენადნობიდან ოთხ სახესხვაობას გამოყოფს:

1. უნინარეს ყოვლისა, – ესაა განვითარებული **პლურალისტური დემოკრატიები**, რომლებიც მოქალაქეთა უმრავლესობის მიერ აღიარებულია როგორც ლეგიტიმური. დოგანის აზრით, 1992 წელს მსოფლიოში იყო 35-მდე დემოკრატიული რეჟიმი, რომელთა ლეგიტიმურობა აგერ უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, მტკიცედაა აღიარებული.

2. მეორე კატეგორიას შეადგენენ **ავტორიტარულ-ბიუროკრატიული** რეჟიმები, სადაც ნაწილობრივ დაცულია ძირითადი სამოქალაქო უფლებები და სადაც სახელმწიფოს მართვა ხორციელდება ან სამოქალაქო, ან სამხედრო. პირთა მიერ. ამგვარი ავტორიტარული რეჟიმები ფრიად მრავალსახოვანია, რომ გავარკვიოთ მათი ლეგიტიმურობის ხარისხი და თავიდან ავიცილოთ ლეგიტიმურობა-არალეგიტიმურობის მარტივი დიხოტომია, აუცილებელია გამოვარკვიოთ თუ რამდენად „ფართო მხარდაჭერა“ (ისტონის ტერმინოლოგიით) აქვთ მათ მოსახლეობაში.

3. მესამე კატეგორიის რეჟიმებს განეკუთვნება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობისათვის საძულველი დიქტატორული, დესპოტური ან ტოტალიტარული რეჟიმები თვით იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოსახლეობა ვერ ახერხებს ღიად გამოვიდეს მათი არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. სწორად შენიშნავს დოგანი, რომ აღშფოთების გამოუხატველობა სრულებითაც არ ნიშნავს რეჟიმის მომხრეობას, მის მიღებას, რადგან ღიად გამოსვლა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, როდესაც რეჟიმი იძულებულია დაარღვიოს ლიბერალიზაციის პროცესი. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ასეთი გამოსვლის მცდელობაც კი თვითმკვლელობის ტოლფასია. ტიანანმინის მოედანზე ამბოხების ჩახშობისას ჩინეთის კომუნისტური ხელმძღვანელობა შეეცადა შეეჩერებინა ლიბერალიზაციის აღმოცენებული მოძრაობა. „სახელმწიფო გადატრიალების შედეგები არალეგიტიმურობის ყველაზე ნათელი გამოხატულებაა, როგორც ეს მოხდა ახლახანს მრავალ აფრიკულ ქვეყანაში და უფრო ადრე კი ლათინურ ამერიკაში“ (63, გვ.149), ჩვენ კი დავამატებდით პოსტ-საბჭოთა სივრცეში წარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში მომხდარ გადატრიალებებს. მართალია ისიც, რომ არსებობს მეცნიერთა მიერ გამოყენებული შეფასებების სხვადასხვა კრიტერიუმი, მაგრამ შეუძლებელია ვამტკიცოთ, რომ რეჟიმი ლეგიტიმურია მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ღიად არ განიკიცხება.

მეოთხე კატეგორიას დოგანი მიაკუთვნებს ქვეყნებს, სადაც ძალაუფლების მფლობელ რეჟიმთა არც აღიარება ხდება და არც მიუღებლობა. ამ რეჟიმისათვის მათი ლეგიტიმურობის ყოველგვარი განხილვა „საზრისს“ მოკლებული, ანუ უსაზრისოა. ეს ქვეყნები ყველაზე ღარიბთა რიცხვს შეადგენენ ჩვენს პლანეტაზე. მსოფლიო ბანკის მიერ ასეთ ქვეყნებად ჩათვლილია აზიისა და აფრიკის ზოგიერთი სასოფლო რეგიონი ან გიგანტური მეტროპოლიების ბიდონვილები (დასახლება, სადაც ლატაკი მოსახლეობა ცხოვრობს ქოხებსა და ბარაკებში), სადაც, – დოგანის თქმით, – რეჟიმის ლეგიტიმურობის პრობლემა საერთოდ ან უბრალოდ არ არსებობს ადამიანთა ცნობიერებაში. ისინი თავიანთ სილატაკეს არ აცნობიერებენ როგორც უზენაესი პოლიტიკის შედეგს, პირიქით, თავიანთ სილატაკეს მიაწერენ ან ღვთის ნებას ან ბუნებას. ასეთ ქვეყნებში ტირანული რეჟიმი ღარიბთა მიერ აღინერება როგორც გარდუვალობა – ბედისწერა. იქ, სადაც ძალადობა არსებობს, ასევე აუცილებელი არაა ლეგიტიმურობის არსებობაც. „ლეგიტიმურობის“ ცნებას არ შეესატყვისება „მესამე“ სამყაროს მრავალი ქვეყანა.

თუ მიღებულ შედეგებს გავითვალისწინებთ, დავინახავთ რომ, პოლიტიკურ რეგიონთა უმრავლესობა მოკლებულია ლეგიტიმურობას. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ ისინი არ შეიძლება ჩავთვოთ ვებერისეულ ტიპოლოგიაში. აქ დასახასიათებლად დაგვჭირდება სხვა ტიპები. ამჟამად ძნელი განსახორციელებელია ამ რეჟიმთა ნათელი კლასიფიკაცია, რამეთუ დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმები უფრო დიდი ხარისხით აგებენ თავიანთ ძალაუფლებას მრავალსახოვანი ლეგიტიმურობის საფუძველზე. მაგალითად, იტალიური დემოკრატია, დოგანის აზრით, სრულებითაც არ ეფუძნება კონსტიტუციას. როგორი ხარისხითაა ასახული – კითხულობს დოგანი იტალიურ დემოკრატიაში ტრადიცია და რაციონალურობა? თუმცა აქვე შენიშნავს, რომ თვით ვებერი აღიარებდა შერეული ლეგიტიმურობის იდეას ლეგიტიმაციისა და დელეგიმიტაციის პროცესების კვლევისას. ვებერის მიერ აგებული იდეალური ტიპები ანტაგონისტურად გვეჩვენება მხოლოდ თეორიაში. სინამდვილეში თვით ტრადიციული რეჟიმებიც კი გამსჭვალულია რაციონალურ-ლეგალური ლეგიტიმურობის სულისკვეთების განსაზღვრელი ხარისხით. დოგანის თქმით, ჩინელი იმპერატორები და რუსი მეფეები თამაშის ზოგიერთ წესს იცავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ დოგანმა ძალიან კარგად იცის ის, რომ ვებერი თვითონ აღიარებდა ლეგიტიმურობის შერეული ფორმების არსებობას, აცნობიერებდა ამ კლასიფიკაციის იდეალურ-ტიპობრივ წმინდა ხასიათს, რომელსაც ემპირიულ სინამდვილესთან ცოტა თუ ჰქონდა შესახები და მხოლოდ ინსტრუმენტები იყო რეალური სინამდვილის საკვლევად, იგი მაინც მკაცრად აფასებს ვებერისეულ ტიპოლოგიას და მას, მართალია, „გარკვეული ზომით, მაგრამ მაინც ანაქრონიზმად“ თვლის. იგი „მეტად აღარ გამოდგება თანამედროვე რეჟიმთა გამოსაკვლევად, რადგანაც დღეს მხოლოდ ძალიან ცოტა მათგანი თუ არის აგებული ტრადიციული ბატონობის საფუძველზე, ხოლო ქარიზმული ფენომენი ძალიან იშვიათად გვხდება – ჰომეინი მისი უკანასკნელი მაგალითია.

ვებერისეული ტიპოლოგიის სამიდან ორი ელემენტი თითქმის თავისი შინაარსისგან დაცლილი აღმოჩნდება“ (63, გვ. 150).

დღეს შეიძლება ითქვას, რომ მ. დოგანი მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი, როდესაც წერს, რომ ვებერისეული კლასიფიკაცია მხოლოდ ისტორიულ მასალაზეა გამოსაძეგი და რომ ამ კლასიფიკაციიდან მხოლოდ ერთი, რაციონალურ-ლეგალური ბატონობა ინარჩუნებს თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებისათვის მნიშვნელობას. მაგრამ თუ ობიექტურად გავანალიზებთ 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებს, მაშინ დავინახავთ, რომ ისინი უფრო მ. ვებერისეული ტიპოლოგიის ჭეშმარიტებას ადასტურებენ. მაგალითად, ქარიზმული ბატონობა, შეიძლება ითქვას, კლასიკური ფორმით ხორციელდება ზოგიერთ დამოუკიდებლობამოპოვეზულ ქვეყანაში (უზბეკეთი, თურქმენეთი და სხვა). ხშირად გაისმის მონარქიის აღდგენის მომხრეთა ლოზუნგებიც. მართალია, მრავალი პოლიტიკური ლიდერი შეუძლებელია „ქარიზმულობით“ დახასიათდეს, მაგრამ უმთავრესი ისაა, რომ ზოგიერთ დამოუკიდებლობამოპოვეზულ სახელმწიფოში შეიქმნა ისეთი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი „სუბიექტურად“ თავის სოციალურ ექსპექტაციებსა და იმედებს „ქარიზმულ“ ლიდერებს უკავშირებენ. გარდა ამისა, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ საზოგადოება არ ვითარდება სწორხაზოვნად და იმის იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ დღეს მიღწეული სეკულარიზაციის თუ რაციონალურობის მაღალი დონე მომავალშიც ასევე პროგრესულად განვითარდება. სავსებით მოსალოდნელია უკანდახევა და რეგრესი, რომლის დროსაც საზოგადოება შეიძლება ისეთ ვითარებაში აღმოჩნდეს, რა ვითარებაც სწორედ ქარიზმული ბატონობისათვის ნოყიერი ნიადაგი იქნება.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავად საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკა, რომელიც თავისი არსით რაციონალურ-ლეგალური ბატონობის განსახიერებას წარმოადგენდა, ამავე დროს, ეფექტურად ეხამებოდა დე გოლის ქარიზმისადმი მოსახლეობის ფართო მასების რწმენას. ამდენად, იმის თქმა, რომ ვებერისეული ტიპოლოგიიდან მხოლოდ რაციონალურ-ლეგალური ტიპი ინარჩუნებს მეცნიერულ მნიშვნელობას, არ არის სრული სიმართლე, რამდენადაც ამ ტიპის გვერდით არსებობს როგორც ქარიზმული, ისე ტრადიციული ბატონობის ტიპებიც. რეალურ სინამდვილეში ისინი წმინდა სახით არ არსებობენ, თვით დემოკრატიულ რეჟიმებშიც კი საკმაოდ რთული პროპორციებითაა მოცემული, სადაც ლეგალურ ბატონობას ამაგრებს როგორც ტრადიციული ბატონობის ზოგიერთი ელემენტი, მაგალითად, მონარქია, ისე ქარიზმული ბატონობის პერსონიფიცირებული გამოხატულებანი, მაგალითად დე გოლი საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკაში.

ამგვარად, უფრო სამართლიანია თუ ვიტყვით, რომ ვებერისეული ტიპოლოგია დღესაც ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას, მას როგორც „იდეალურ ტიპს“ ღრმა მეთოდოლოგიური და ევრისტიკული მნიშვნელობა აქვს.

**პოლიტიკურ რაჟიშთა ლეგიტიმურობა და ეფექტურობა**

სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ლეგიტიმურობისა და ეფექტურობის საკითხი თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის, პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის აქტუალური პრობლემაა. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოში, დღეს მიმდინარე რთული სოციალური და პოლიტიკური პროცესების დარეგულირების საქმეში. ახლად დამოუკიდებლობა მოპოვებული ქვეყნისათვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად პოლიტიკური სისტემისა და რეჟიმის ლეგიტიმურობის განმტკიცება რჩება. ლეგიტიმურობის, ანუ მოსახლეობის ფართო ფენების მიერ პოლიტიკური რეჟიმის აღიარების გარეშე, წარმოუდგენელია თანამედროვე პირობებში საზოგადოების პოლიტიკური მართვა და მის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტა. ქართული პოლიტიკური რეჟიმის სუვერენულობა და ლეგიტიმურობა კი მხოლოდ რამდენიმე წელს ითვლის. მათზე ზეგავლენას ახდენს ისეთი ძლიერი საგარეო ფაქტორები, როგორცაა: მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების მაგისტრალურ ხაზში ჩართვისადმი მისწრაფება, პოსტსაბჭოური სივრცის წარმომადგენლობა, რუსეთის ამბიციური და ამბივალენტური პოლიტიკა საქართველოს მიმართ; ქვეყნის შიგნით სოციალური ხასიათის პრობლემები, ეროვნულ უმცირესობებთან და ქვეყნის მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებული საკითხების სიმწვავე და ტრაგიკულობა.

ამ პირობების გარდა, საქართველოს მოსახლეობის შეგნებასა და ცნობიერებაში დიდი ცვლილებები ხდება, ინგრევა ძველი ტრადიციული ნორმები და სტერეოტიპები. უფრო მეტიც, დღეს, როდესაც ხდება სოციალური ცხოვრების პოლიტიზაცია, ე.ი. როდესაც საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების საშუალებად პოლიტიკა იქცევა, სულ უფრო კარგავს ავტორიტეტს მოსახლეობის ფართო მასებზე მაიძულებელ მეთოდთა გამოყენება და შესაბამისად, იზრდება მართვის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და კულტურულ მექანიზმთა მნიშვნელობა. ლეგიტიმურობის პრობლემა მჭიდროდაა დაკავშირებული არსებული პოლიტიკური რეჟიმის კანონიერების (ლეგალობის), სტაბილურობის, ეფექტურობის, პოლიტიკური კულტურისა და სხვა პრობლემებთან.

*1. ლეგიტიმაცია, ლეგიტიმურობა და ლეგალობა*

ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში ერთმანეთისაგან განსხვავებენ ლეგიტიმურობასა და ლეგიტიმაციას, ერთი მხრივ, და ლეგიტიმურობასა და ლეგალობას (კანონიერებას), მეორე მხრივ. ლეგიტიმაცია ფართო გაგებით არის რაიმეს ახსნისა და გამართლების პროცესი; მაგალითად, იგი ამართლებს ინსტიტუციონალურ წესრიგს და მის პრაქტიკულ იმპერატივებს ნორმატიულ ხასიათს ანიჭებს. „ლეგიტიმაცია ინდივიდს ეუბნება არა მხოლოდ იმას თუ რატომ უნდა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება, არამედ იმასაც, თუ რატომაა ნივთები ისეთნი, როგორიც ისინი არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინ-

სტიტუტთა ლეგიტიმაციის პროცესში „ცოდნა“ წინ უსწრებს „ღირებულებებს“ (29, გვ. 154). ნებისმიერი სოციალური ინსტიტუტი მოითხოვს ლეგიტიმაციას, ანუ გამართლებას უფრო ფართო საზრისისეულ კონტექსტში. ლეგიტიმაციის მეშვეობით საზოგადოება იძენს საზრისს. ცალკეული ინსტიტუცია და როლები ლეგიტიმირდება ამ ყოვლისმომცველ საზრისისეულ სამყაროში ჩართვით. მაგალითად, პოლიტიკური წესრიგი ლეგიტიმირდება და მართლდება ძალაუფლებისა და სამართლიანობის კოსმიურ წესრიგთან გარკვეული თანაფარდობის დადგენით. ტრადიციულ საზოგადოებებში სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის ინსტიტუტი ასეთი ლეგიტიმურობის ბრწყინვალე ნიმუშია. დღესაც კი, როდესაც აღარავის სჯერა და სწამს პოლიტიკური ძალაუფლების ღვთაებრივი წარმომავლობა, აუცილებელია მისი ლეგიტიმაცია-გამართლება, მაგრამ სხვა საზრისისეულ სფეროებზე მითითებით. უმეტეს შემთხვევებში თეორიები იქმნება უკვე არსებულ სოციალურ დაწესებულებათა გასამართლებლად. შეიძლება პირიქითაც მოხდეს, სოციალური ინსტიტუტი შეიცვალოს, რათა შესაბამისობაში მოვიდეს უკვე არსებულ თეორიებთან, რაც მის ლეგიტიმურობასა და კანონიერების განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

ლეგიტიმურობა – ეს არის კონკრეტული პოლიტიკური სისტემის მდგომარეობა, მისი ღირსების აღიარება, ლეგიტიმაცია კი – პროცესი, რომელშიც ეს ლეგიტიმურობა ხორციელდება. ლეგიტიმურობა პოლიტიკური სისტემის სამართლიანობისა და კანონიერების აღიარებაა – რწმენაა, ლეგიტიმაცია კი ამ სამართლიანობისა და კანონიერების განმტკიცება და გამართლებაა. „ლეგიტიმაცია იდენტურობისა (identitat) და პოლიტიკის გადაკვეთის ადგილია, იგი უფრო მეტია და კომპლექსური, ვიდრე კანონიერება, ანუ ლეგალიტეტია“ (184, გვ. 58). ლეგიტიმურობის სოციოლოგიური ანალიზი ამოდის მ. ვებერის მიერ გაანალიზებული ლეგიტიმური ბატონობისა და კანონიერების რწმენის ცნებებისაგან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მან მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისაგან ლეგიტიმურობისა და ლეგალობის, ანუ კანონიერების ცნებები. ამ ცნებათა ანალიზისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის, რომ ლეგიტიმურობა არ გამოითქმება კონსტიტუციის სტატიებითა და მუხლებით. იგი არის წარმოდგენა, შეხედულება, იმავე რწმენის სიმბოლო და ამიტომ იგი კონსტიტუციის მუხლებში კი არა, არამედ მოქალაქეთა ცნობიერებასა და შეგნებაშია საძიებელი. იგი წარმოიქმნება რწმენისაგან, რომ ქვეყანაში არსებული უზენაესი ხელისუფლება აღჭურვილია იმ გადაწყვეტილებათა მიღების უფლებით, რომელიც მოქალაქეებმა უნდა შეასრულონ. თუ ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ინსტიტუციები გამართლებულია, ე.ი. შეესატყვისება მოსახლეობის ტრადიციებს, ადათებსა და მსოფლმხედველობას, მაშინ ისინი განიხილება, როგორც ლეგიტიმური. ლიპსეტის აზრით, ლეგიტიმურობა დაკავშირებულია „სისტემის უნართან – ადამიანებში ჩანერგოს და განამტკიცოს რწმენა იმის შესახებ, რომ არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები ყველაზე უკეთ შეეფერება მოცემულ საზოგადოებას“ (88, გვ. 205). ანალოგიურ შეხედულებებს გამოთქვამენ მ. დოგანი და უ. ლინციც. ამ უკანასკნე-

ლის აზრითაც, ლეგიტიმურობა არის „რწმენა იმისა, რომ ნაკლოვანებებისა და შეცდომების მიუხედავად, არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები ყველაზე საუკეთესოა, ვიდრე რომელიმე სხვა, რომელიც შეიძლება დაამყარებულიყო და რომლისადმი დაქვემდებარებაც შესაძლებელი იქნებოდა“ (63, გვ. 147). შესაბამისად, ლეგიტიმურობა შეფასებითი ხასიათისაა და დაკავშირებულია ღირებულებებთან. იგი არის მოქმედების, მოქმედი პირის, ხდომილებისა თუ ფაქტის ღირსების საზოგადოებრივი აღიარება. პოლიტიკის სფეროში ეს ძალაუფლების ღირსების აღიარებაა მოსახლეობის მიერ, ლეგიტიმაცია კი ძალაუფლების ამ აღიარების, ახსნისა და გამართლების პროცედურაა. ამიტომ, პოლიტიკური რეჟიმისა თუ რომელიმე სოციალური მოვლენის ლეგიტიმურობა არ ნიშნავს მის იურიდიულად გაფორმებულ კანონიერებას, შესაბამისად, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ ლეგიტიმურობა და ლეგალიობა – კანონიერება. ლეგიტიმურობას არ აქვს იურიდიული ფუნქციები და არ არის სამართლებრივი პროცესი. ლეგიტიმაცია, როგორც პროცესი და ლეგიტიმურობა, როგორც პოლიტიკური სისტემის ღირსებების აღიარება, განამტკიცებს ხელისუფლებასა და პოლიტიკას, ხსნის და ამართლებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, პოლიტიკურ სტრუქტურათა შექმნას, მათ ცვლილებებსა და განახლებას. ლეგიტიმურობა მონოდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა მორჩილება, თანხმობა, პოლიტიკური იძულების გარეშე, ხოლო თუ ასეთი რამ შეუძლებელია, მაშინ იძულების ყველა იმ ხერხისა და საშუალების გამოყენების გამართლება, რომელთაც ფლობს პოლიტიკური სისტემა და მისი ხელისუფლება.

თანამედროვე პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის პრობლემებს ამუშავებდნენ ისეთი მოაზროვნეები, როგორებიც არიან: ს. ლიპსეტი, უ. ლინცი, რ. დალი, ვ. ჰენისი, მ. ლუმანი, კ. ოფფე, ი. ჰაბერმასი, მ. დოგანი და სხვები. აღნიშნული პრობლემის სირთულისა და მნიშვნელობის შესახებ მეტყველებს ის კამათი, რომელიც 1975 წლიდან დღემდე მიმდინარეობს თანამედროვე დასავლელ ფილოსოფოსებსა და პოლიტოლოგებს შორის. 60-ანი წლების დასასრულს ევროპაში მიმდინარე სერიოზულმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ძვრებმა – სტუდენტთა მღელვარებებმა, ახალ სოციალურ მოძრაობათა ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლამ, დაბადა სურვილი გაეაზრებინათ, სისტემატურად აეხსნათ და გადაეღახათ ამ მოძრაობათა გამოცდილება.

ქალაქ დუისბურგში გამართული კონფერენცია მიეძღვნა „ლეგიტიმაციის კრიზისის“ თემის განხილვას. მასზე მოკამათე მხარეებს წარმოადგენდნენ ი. ჰაბერმასი და ვ. ჰენისი. ეს უკანასკნელი მკაცრად აკრიტიკებდა ლეგიტიმურობის თაობაზე არსებულ გამოკვლევებს და თვლიდა, რომ არავითარი სერიოზული საფუძველი არ არსებობდა იმისათვის, რათა თანამედროვე საზოგადოება განხილულიყო, როგორც განსაკუთრებით კრიზისული. ვ. ჰენისს მიაჩნდა, რომ კრიზისის შესახებ მსჯელობას აზრი მხოლოდ მაშინ ეძლევა, როდესაც საზოგადოებაში ადგილი აქვს მასობრივ ემიგრაციას. მისი აზრით, ლეგიტიმურობის კრიზისის ერთმნიშვნელოვანი მაჩვენებელია მასობრივი გადასახლებები და ემიგრაციები. როდესაც ადამიანებს მიაჩნიათ, რომ „მეტად აღარ შეიძლება

არსებული ბატონობის პირობებში ცხოვრება, რომ იგი თავიდან უნდა მოვიშოროთ ან რევოლუციურად გარდავექმნათ; მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვილაპარაკოთ ლეგიტიმურობის კრიზისზე“ (184, გვ. 59). ჰენისი მართალია, როდესაც იგი პოლიტიკური რეჟიმის აღიარება-არაღიარებაზე, ანუ ლეგიტიმურობის თაობაზე საუბრობს, მაგრამ ჰაბერმასი არა მხოლოდ ლეგიტიმურობის კრიზისზე, არამედ ლეგიტიმაციის, ანუ არსებული პოლიტიკური თუ სოციალური სისტემის გამართლების გასაზრისიანების კრიზისზე მსჯელობს.

„ლეგიტიმურობა (legitimitat) ნიშნავს პოლიტიკური წესრიგის ღირსების აღიარებას. ამ დეფინიციის ჩანს, რომ ლეგიტიმურობა საკამათო ღირებულების პრეტენზიის მქონეა, რომლის ფაქტობრივ აღიარებაზეა დამოკიდებული ბატონობის წესრიგის სტაბილურობაც. ამიტომ ეს ცნება როგორც ისტორიულად, ისე ანალიტიკურად გამოიყენება იმ სიტუაციებში, რომელშიც რომელიმე წესრიგის ლეგიტიმურობა საკამათოა, ანუ იმ სიტუაციებში, როდესაც, როგორც უკვე ვთქვით, ლეგიტიმაციის პრობლემები ვლინდება“ (184, გვ. 59). ამ ციტატიდან ჩანს, რომ ი. ჰაბერმასი ლეგიტიმურობას სტატიკურ მოვლენად არ თვლის. შეუძლებელია არსებობდეს პოლიტიკური სისტემა, სახელმწიფო, რომელიც თავისთავად ლეგიტიმური იქნებოდა. პირიქით, ლეგიტიმურობა მუდამ ხელახლა, კვლავ და კვლავ უნდა მოვიპოვოთ, გამოვიმუშაოთ. თანამედროვე სახელმწიფო ძალაზე მონოპოლიას იყენებს არა მხოლოდ „მშვიდობისა და წესრიგის“ დასამყარებლად, არამედ იდენტიურობისა და გასაზრისიანების განმარტებისათვისაც. შესაბამისად, სახელმწიფო ლეგიტიმაციის, ანუ გასაზრისიანების პროცესის დახმარებით აღწევს საზოგადოებისათვის საჭირო წესრიგის ლეგიტიმურობას. სწორედ, ლეგიტიმაციის მეშვეობით მოიპოვებს მმართველი ელიტა თავისი პრივილეგირებული მდგომარეობის გამართლებას. ძალაუფლების მფლობელთა მუდამ ახასიათებთ მისწრაფება, წარმოსახონ თავიანთი ფაქტობრივი ხელისუფლება, როგორც საყოველთაოდ აღიარებულ მოძღვრებათა, საზოგადოებაში საყოველთაოდ მიღებულ რწმენათა და გრძნობათა შედეგი. ასეთ საყოველთაოდ გამსაზრისიანებელ გრძნობად თუ დოქტრინად კაცობრიობის ისტორიაში, გარემოების შესაბამისად, ხშირად აღმოჩნდებოდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ღვთის ნება“, „სამყაროს კოსმოსური წესრიგი“, „ხალხის ნება“, „რჩეული ხალხისა და რჩეული ერის შექმნის სურვილი“ ან „პიროვნების ქარიზმა“ და ა.შ. ასეთი გასაზრისიანების, ანუ ლეგიტიმაციის შედეგია ის დოქტრინა გ. მოსკას სიტყვებით თუ ვიტყვით, ის „პოლიტიკური ფორმულა“, რომელიც წარმოადგენს სწორედ იმ იურიდიულ და მორალურ ბაზას, რომელსაც ნებისმიერ საზოგადოებაში ეყრდნობა მმართველი ელიტის ბატონობა.

ასეთი ლეგიტიმაციის, ანუ გასაზრისიანების პროცედურა არ არის ხალხისათვის ილუზიების შთაგონების შეგნებული და გაცნობიერებული განსაზღვრა. ამგვარ ილუზიებს ფესვები თვითონ ადამიანის სოციალურ არსებაში აქვს გადგმული. ასეთი დოქტრინები თუ პროცედურები ადამიანის სოციალურ ბუნებას ასახავს. იგი ვლინდება მისწრაფებაში – „მართო და გრძნობდე თავს მართულად, არა მხოლოდ მატერიალური და ინტელექტუალური, არამედ მორალური

პრინციპის ძალითაც“ (72, გვ. 51). ცივილიზაციის დონის შესაბამისად ეს პრინციპი ეფუძნება ხან ზებუნებრივის რწმენას, ხან იმ წარმოდგენებს, რომელიც რაციონალურად გვეჩვენება. დღეს ძალზე აქტუალურია იმ „პოლიტიკური ფორმულის“ ძიება, რომელიც აზრს შესძენდა და გაამართლებდა დემოკრატიულ-პოლიტიკურ სისტემებს. ლეგიტიმაცია საფუძველთა საფუძვლის ძიების პროცესია, ლეგიტიმურობა კი – მართულთა მხრივ არსებული პოლიტიკური რეჟიმის ღირსების ასახვა. ამიტომ, სწორია ი. ჰაბერმასი, როდესაც ასაბუთებს, რომ ლეგიტიმურობა (legitimität) არის პოლიტიკური სისტემის თვისებრიობის გამომხატველი და ღირსების აღიარება, ხოლო ლეგიტიმაცია (legitimation) კი – პოლიტიკური წესრიგის გასაზრისიანების, გამართლებისა და ღირსების აღიარების ხანგრძლივი პროცესი.

ხელისუფალნი მუდამ ცდილობდნენ შეექმნათ საკუთარი ძალაუფლების სამართლიანობისა და მმართველობის კანონიერების შთაბეჭდილება. ვერც ერთი პოლიტიკური სისტემა თუ პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს დაეყრდნოს მხოლოდ ფიზიკურ ძალას და იძულებას, როგორც მისი ძალაუფლებისადმი თანხმობისა და მორჩილების გარანტს. რეპრესიებისა და მუქარის გზით შეიძლება ვაიძულოთ მორჩილება მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილს, მაგრამ, რაც უფრო იზრდება რეპრესიები და მუქარა, მით უფრო მატულობს ხელისუფალთა მიმართ პროტესტი და ხშირად იგი მასობრივ დაუმორჩილებლობაში ვლინდება. ამიტომ, ხელისუფლება მუდამ ცდილობს თავისი ძალაუფლების დაფუძნებას განსაზღვრულ პრინციპებზე, ანუ „პოლიტიკურ ფორმულაზე“ დაყრდნობით. არსებითად, ამით ხელისუფლება ცდილობს შექმნას სიტუაცია, როდესაც მთავრობისეულ გადაწყვეტილებებს აღიარებენ და იცავენ „არა შიშით, არამედ საკუთარი ნებითა და სინდისით“, გადაწყვეტილებათა და კანონთა ზნებრივი სამართლიანობის რწმენით. პოლიტიკური რეჟიმი ვერ შეძლებს ხანგრძლივ არსებობას და ეფექტურ საქმიანობას, თუ მხოლოდ ძალადობას დაეყრდნობა. აუცილებელია ნებაყოფლობითი თანხმობა, რომელიც განმტკიცებულ იქნება კანონებისადმი პატივისცემით.

თანამედროვე პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიაში ნებაყოფლობითი თანხმობის წანამძღვრებად ითვლება მოსახლეობის მყარი და მტკიცე რწმენა იმისა:

1. „რომ ხელისუფალთ სრული უფლებით და სავსებით სამართლიანად უკავიათ თავიანთი პოსტები;
2. რომ ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს იღებენ და ცხოვრებაში ატარებენ კანონიერი პროცედურების გზით; და
3. რომ ეს გადაწყვეტილებანი არ გადის საზოგადოდ აღიარებული, კანონიერი სახელმწიფოებრივი ინტერესების ჩარჩოებიდან და არ ხელყოფს იმას, რაც სამართლიანად ითვლება კერძო თუ პირადულ ქმედებად“ (164, ტ. 1, გვ. 114).

იმ საზოგადოებაში, სადაც ასეთი რწმენა და ნდობა არსებობს, ხელისუფალთ სჭირდებათ მინიმალური ძალისხმევა, რათა ებრძოლონ კანონისა და კანონიერების დარღვევებს. იქ კი, სადაც ხელისუფალთა მიმართ ასეთი რწმენა ან ნდობა არ არსებობს და მისი ლეგიტიმურობა არაა უეჭველი და საკამათოა, ბატონდება ანომია და იზრდება რევოლუციურ გადატრიალებათა საშიშროება.



რამდენადაც პოლიტიკურ ლიდერებსა და მთლიანად პოლიტიკურ სისტემებს მხარდაჭერის გარეშე არ ძალუძთ ეფექტურად იმოქმედონ, ამდენად, რეჟიმის ეფექტურობის საფუძველთა საფუძველია მისი ლეგიტიმურობა. იგი გამოხატავს მოსახლეობის მიერ რეალურად არსებული პოლიტიკური სისტემის ბუნებრივი და უეჭველი აღიარების ხარისხს. პოლიტიკური სისტემა კი ლეგიტიმურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოქალაქენი გრძნობენ, რომ იგი ამართლებს მათ იმედებს ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული ინტერესების დაცვაში. ჭეშმარიტად პოლიტიკური ლიდერი მუდამ ცდილობს იმის მიღწევას, რომ ამა თუ იმ კონფლიქტური სიტუაციის დარეგულირებისას გამოყენებული საშუალებების მიუხედავად, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ყველგან და ყველას მიერ აღიარებული იყოს არა ძალადობის, იძულების ან დასჯის შიშით, არამედ იმ რწმენის საფუძველზე, რომ პოლიტიკური რეჟიმის ასეთი მოქმედებანი სამართლიანი და სწორია. **რწმენა იმისა, რომ სტრუქტურები, პროცესები, კანონები, მიღებული გადაწყვეტილებანი სამართლიანია, ხოლო თანამდებობრივი პირები, ანუ ხელმძღვანელობა – „მართალნი“ და ზნეობრივი სათნოებებით დაჯილდოებულნი და რომ ამ რწმენის საფუძველზე უნდა იყვნენ აღიარებულნი მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, თუნდაც მათი მოქმედების კონკრეტული შინაარსი არც კი ეთანხმდებოდეს ამ რწმენას – არის სწორედ ის, რაც შედგენს ლეგიტიმურობის ცნების არსებით ნიშანს.**

პოლიტიკური ლიდერის გავლენა, თუ იგი არ არის განმტკიცებული ლეგიტიმურობით, ვერ იქცევა ავტორიტეტად. ავტორიტეტი კანონიერი გავლენის განსაკუთრებული სახეა. ამიტომ, ნებისმიერი პოლიტიკური ლიდერი ისწრაფვის და ცდილობს, რომ თავისი გავლენა ავტორიტეტული გახადოს, რამეთუ ავტორიტეტი ზემოქმედების ყველაზე ეფექტური ფორმაა. „იგი არა მხოლოდ უფრო საიმედო და ხანგრძლივია, არამედ საშუალებას იძლევა ვმართოთ პოლიტიკური რესურსების მინიმალური დანახარჯებით (164, ტ1 გვ. 115). ლეგიტიმურობის პრობლემა, ძალაუფლების ავტორიტეტის გარდა, მოიცავს აგრეთვე მოცემული კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმის მიზნის შესახებ საკითხსაც. ძალაუფლება ითვლება ლეგიტიმურად, თუ იგი შეესაბამება პოლიტიკური სისტემის ძირითად გენერალურ იდეებს, მიზნებსა და საყოველთაოდ მიღებულ „ბატონობით“ სტრუქტურებს. თანამედროვე პირობებში ლეგიტიმურობის ცნება უფრო ვრცელდება პოლიტიკის რეალიზაციის პროცესზე, ანუ პოლიტიკური სისტემის მიერ სოციუმში არსებულ ინტერესთა სტრუქტურის გათვალისწინებაზე. შესაბამისად, ლეგიტიმურობის გაგება უფრო დაკავშირებულია ინტერესებთან და გენერალურ მიზნებთან, ვიდრე ხელისუფლების სტრუქტურებთან.

ლეგიტიმურობის მოპოვება ნებისმიერ პოლიტიკურ რეჟიმს შეუძლია, თვით დესპოტიურსაც კი, თუ იგი დროთა განმავლობაში მეტ-ნაკლებად ეხმიანება და ამართლებს მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებსა და იმედებს. მაგრამ ლეგიტიმურობა ყველაზე მეტად დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემასა და რეჟიმს ესაჭიროება. ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხისა და ელექტორატის მაღალი პოლიტიკური კულტურისა და კომპეტენტურობის გარეშე დემოკრატია საზოგადოდ შეუძლებელია.

დღეს, ლეგიტიმურობის პრობლემა უპირატესად დაკავშირებულია დემოკრატიის იდეასთან, ე.ი ხალხის რწმენასთან, რომ საკუთარი მმართველობის ბედის განსაზღვრა თავადვე ძალუძს და რომ მმართველი რეჟიმი ხალხისავე დავალებით, ხალხის კეთილდღეობისათვის იმოქმედებს. დემოკრატია, როგორც პოლიტიკურ რეჟიმთა პრინციპი, იმდენად წარმატებული და რეალურია, რომ ავტორიტარულ და დიქტატორულ რეჟიმთა უმრავლესობაც კი ცდილობს მისი დახმარებით გაამართლოს და დააფუძნოს თავისი ლეგიტიმურობა. რასაკვირველია, ეს ყოველთვის ასე არ არის. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ის დებულება წამოყენებულია, რომ ბატონობის წესრიგს ღვთაებრივი დაფუძნება აძლევს ძალას და ამიტომ მნიშვნელობის მქონეა, დღეს კი მსოფლიოს უმეტესი ქვეყანა და პოლიტიკური რეჟიმი სეკულარიზებულია, ამდენად, ასეთი ღვთაებრივი დამფუძნებლის როლში გვევლინება დემოკრატია. შესაბამისად, კანონიერი ბატონობის დაფუძნების ყველა გზას ერთხმად მივყავართ დემოკრატიის, როგორც ლეგიტიმაციის პრინციპის გაგებასთან.

## *2. ლეგიტიმურობა და ეფექტურობა*

ეფექტურობა უპირატესად ატარებს ინსტრუმენტალურ, ხოლო ლეგიტიმურობა კი – შეფასებით ხასიათს. ინდივიდები და სოციალური ჯგუფები პოლიტიკურ სისტემას აფასებენ და აღიარებენ ლეგიტიმურად ან არალეგიტიმურად იმის მიხედვით, თუ რამდენად შესაბამეა მოცემული სისტემის მიზნები და ღირებულებები მათ საკუთარ მიზნებსა და ღირებულებებს. ამიტომ, ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლეგიტიმურობას შეიძლება ფლობდეს პოლიტიკური ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმა, მათ შორის თვით დესპოტურიც კი.

პოლიტიკური ინსტიტუტების სტაბილურობის ნებისმიერი ანალიზისას აუცილებელი და არსებითია ამ ინსტიტუტთა ლეგიტიმურობის დონისა და ხარისხის დადგენა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც პოლიტიკური სისტემა ეფექტურობის კრიზისს განიცდის. ეფექტურობის კრიზისის პირობებში ის პოლიტიკური რეჟიმი გაუძლებს დროის გამოცდას, რომელსაც ლეგიტიმურობის მაღალი დონე და ხარისხი აქვს. სტაბილურ პოლიტიკურ სისტემასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც მას ერთდროულად როგორც ლეგიტიმურობის, ისე ეფექტურობის მაღალი ხარისხი გააჩნია. თუ იგი ორივეს მოკლებულია, მაშინ განწირულია დასაცემად, მაგრამ ძალისმიერი მეთოდებით შეუძლია შეინარჩუნოს ძალაუფლება გარკვეული დროის მანძილზე. შეიძლება პოლიტიკური სისტემა არ იყოს ლეგიტიმური, მაგრამ ეფექტურად ფუნქციონირებდეს. ამის კლასიკური მაგალითია XX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულის გერმანიისა და ავსტრიის პოლიტიკური რეჟიმების ფუნქციონირება. მართალია, მათი მოსახლეობის უმრავლესობა არ აღიარებდა ამ ქვეყნის დემოკრატიულ რეჟიმს ლეგიტიმურად, მაგრამ, როგორც კი 30-იან წლებში მიმდინარე კრიზისულმა პროცესებმა ძირს დასცა არა მხოლოდ ავსტრიისა და გერმანიის, არამედ თვით აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების პოლიტიკურ რეჟიმთა ეფექტურობა, ავსტრიამ და გერმანიამ, რომლებიც ლეგიტიმურობის ძალიან დაბალ ხარისხს

ფლობდნენ, დაკარგეს სტაბილურობაცა და დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმიც; მაშინ, როდესაც აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, სწორედ იმის წყალობით, რომ ლეგიტიმურობის მაღალი დონე და ხარისხი ჰქონდათ, ეფექტურობის კრიზისის მიუხედავად, სტაბილურობაც შეინარჩუნეს და დემოკრატიულ ქვეყნებადაც დარჩნენ.

ლეგიტიმურობის ცნობიერება მხოლოდ მაშინ იქცევა პოლიტიკურ ლიდერთა და რეჟიმთა მხარდაჭერის საფუძვლად, როდესაც იგი საკმარისად მყარად არის გამჯდარი მოსახლეობის უმრავლესობის სულსა და გულში. ასეთი ცნობიერების გარეშე პოლიტიკური სისტემა ვერ იქნება მყარი და სტაბილური. შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს იმას, თუ როგორ აფასებენ საზოგადოების წევრები ხელისუფალთა შორსმჭვრეტელობასა და მოქმედებებს, მაგრამ მათი ნდობა პოლიტიკური რეჟიმის მიმართ მაინც მაღალი იყოს. ამის საფუძველი კი არის ელემენტარული რწმენა იმისა, რომ პოლიტიკური წყობა შეესაბამება მათ წარმოდგენებს, ფასეულობებსა და მიზნებს. სწორედ ეს რწმენა კვებავს მოქალაქეთა მორჩილებას და ხელს უწყობს არსებული სისტემისა და რეჟიმის ეფექტურ და წარმატებით ფუნქციონირებას.

## **ლეგიტიმურობის ტიპები და სიღიღეხი**

ნებისმიერ პოლიტიკურ სისტემათა უმთავრესი ამოცანაა უზრუნველყოს მის წინაშე დასახული მიზნების მისაღწევად საკუთარ რესურსთა მობილიზაცია, წარმართოს საზოგადოების წევრთა ენერჯია კოლექტიური ამოცანების შესასრულებლად. დიდი მასშტაბის მქონე სისტემებში კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოების რიგით წევრებს შორის ურთიერთობის სტაბილიზაცია, რათა თავიდან ავიცილოთ უწესრიგობისა და ქაოსის მუდმივი საფრთხე, რომელიც „დამოკლეს მახვილივით“ კიდეა სოციუმის თავზე. ხელისუფალთ, როგორც მინიმუმი, სჭირდებათ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციისა და შესატყვისი ამოცანების შესრულების აღიარების მყარი და სტაბილური გარანტია. ასეთ სტაბილურ გარანტიას უზრუნველყოფს სწორედ რეჟიმის ლეგიტიმურობის რწმენა, რომელიც უშუალოდ პრაქტიკულ მხარდაჭერაში პოულობს გამოხატულებას.

შეიძლება თუ არა გამოვყოთ ის ობიექტები, რომლებთანაც ასოცირდება წევრთა შორის ლეგიტიმურობის რწმენა? ასეთი ობიექტები პრინციპულად შეიძლება იყოს ორი: თავად პოლიტიკური რეჟიმი და ძალაუფლების განმახორციელებელი პოლიტიკური ავტორიტეტები: ელიტა, ადმინისტრაციული პერსონალი და პიროვნება. შესაძლებელია, მოქალაქე მხარს უჭერდეს არსებულ რეჟიმს, მის ნორმებსა და სტრუქტურებს, მაგრამ არა დღეს გაბატონებულ მმართველ ელიტას ან პიროვნებას, ანდა პირიქით, შეიძლება არ მოსწონდეს არსებული რეჟიმი, მაგრამ მხარს უჭერდეს მმართველ ელიტას ან პიროვნებას, სწორედ მათი პიროვნული თვისებების გამო. იდეალური ვითარებაა, როდესაც

მოსახლეობის უმრავლესობის ცნობიერებაში ლეგიტიმურობის რწმენას ორივე ობიექტი ექვემდებარება. თუ მკაცრად არ გავმიჯნავთ პოლიტიკურ სისტემასა და რეჟიმს, იმავე პოლიტიკურ წესრიგს ერთმანეთისაგან, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს ლეგიტიმურობის ორი ობიექტი: რეჟიმი და ავტორიტეტი. პოლიტიკურ რეჟიმთა ლეგიტიმურობის აღიარებულ მკვლევართა: ტ. პარსონსის, დ. ისტონისა და პ. შარანის თვალსაზრისთა გათვალისწინებით, შესაძლებელია ლეგიტიმურობის ტიპის დადგენა. თუ ჩავატარებთ ლეგიტიმურობის ორი ობიექტის: რეჟიმისა და ავტორიტეტისა და ლეგიტიმურობის სამი წყაროს: იდეოლოგია, სტრუქტურა, პიროვნული თვისებების შედარებით ანალიზს, მივიღებთ ლეგიტიმურობის სამ ტიპს: იდეოლოგიურს, სტრუქტურულსა და პერსონალურს. გრაფიკულად იგი შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

ლეგიტიმურობის წყაროები	რეჟიმი	ავტორიტეტი
იდეოლოგია	იდეოლოგიური ლეგიტიმურობა	
	რეჟიმის კანონიერების შინაგანი რწმენა	ავტორიტეტთა ლეგიტიმურობის შინაგანი რწმენა
სტრუქტურა	სტრუქტურული ლეგიტიმურობა	
	სტრუქტურებისა და ნორმების კანონიერებისადმი მიუკერძოებელი რწმენა	სტრუქტურებისადმი რწმენის ავტორიტეტებზე გადატანა
პიროვნული თვისებები	პერსონალური ლეგიტიმურობა	
	ავტორიტეტისადმი კანონიერების რწმენის გადატანა თავად რეჟიმის სტრუქტურებსა და ნორმებზე	ავტორიტეტთა მიუკერძოებელი რწმენა მათი პიროვნული თვისებების საფუძველზე

ამგვარად, რეჟიმსა და პოლიტიკურ ავტორიტეტებს შეიძლება ჰქონდეთ მხარდაჭერის სამი წყარო:

1. საფუძველმდებელი იდეოლოგიური პრინციპები;
2. რეჟიმის სტრუქტურებისა და ნორმებისადმი ერთგულება;
3. კონკრეტული პიროვნებისადმი ერთგულება, მისი პიროვნული თვისებების გამო.

ლეგიტიმურობის იდეოლოგიური, სტრუქტურული და პერსონალური წყაროები შეიძლება მოგვევლინოს ლეგიტიმურობის ორი ობიექტისაგან ნებისმიერ ის მხარდამჭერ ფაქტორად. ამ ორი ობიექტის მიმართ ლეგიტიმურობის სამი ტიპის ზემოქმედების კონკრეტულ კვლევას შეუძლია გვიჩვენოს, თუ როგორ

რეაგირებს საზოგადოებაში შექმნილ დაძაბულობებზე პოლიტიკური სისტემის მექანიზმები. თუ ზემოთ მოტანილი მსჯელობის შედეგებს გავითვალისწინებთ, მაშინ ნათელი გახდება, რომ პოლიტიკური რეჟიმის მხარდაჭერა შეიძლება კონკრეტული ვითარების შესაბამისად გაძლიერდეს იდეოლოგიური, სტრუქტურული ან პერსონალური ლეგიტიმურობის გზით.

იმისათვის, რათა დროულად გავაძლიეროთ პოლიტიკური რეჟიმისადმი ლეგიტიმურობის რწმენა, დიდი მნიშვნელობა აქვს ლეგიტიმურობის ინტენსიურობის, ანუ მისი გამოვლენის ხარისხისა და დონის განსაზღვრას. როგორც მ. დოგანი, პ. შარანი და სხვები სამართლიანად აღნიშნავენ, ლეგიტიმურობის დადგენა საკმაოდ ძნელი და სარისკო საქმეა. მაგრამ, თანამედროვე პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას მოეპოვება საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც, განსაზღვრული მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე, სავსებით ობიექტურად შეიძლება დადგინდეს ლეგიტიმურობის საიმედოობის ხარისხი და დონე.

პოლიტიკურ რეჟიმთა ლეგიტიმურობის ხარისხის, ანუ ინტენსიურობის მაჩვენებლებია:

1. იძულების ის დონე, რომელიც აუცილებელია საზოგადოებაში პოლიტიკის გასატარებლად;
2. მთავრობის ან პოლიტიკური ლიდერის დამხობის მცდელობის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები;
3. სამოქალაქო დაუმორჩილებლობის, ამბოხებათა და სამოქალაქო ომის გამოვლენის ძალა;
4. მასობრივი ემიგრაცია და გადასახლება;
5. მასობრივი დემონსტრაციები;
6. არსებული მთავრობისადმი მხარდაჭერის უეცარი გამოვლინება ან, პირიქით;
7. არსებული მთავრობისადმი ოპოზიციის უეცარი და ძლიერი გამოვლენა;
8. არჩევნების შედეგები;
9. თავისუფალი მასმედიის მხარდაჭერა ან, პირიქით.

ზემოთქმულის გარდა, სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელებისას იძულების თუ ძალდატანების არარსებობა ასევე მიუთითებს პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის დონესა და ინტენსიურობაზე. ამავე დროს, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ლეგიტიმურობა და პოლიტიკურ რეჟიმთა პოპულარობა არ არის ერთმანეთის მსგავსი.

## ლეგიტიმურობის კრიზისი

პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის კრიზისი უშუალო კავშირშია საზოგადოების სისტემური და სოციალური ინტეგრაციის პრობლემასთან. საზოგადოება სოციალურად ინტეგრირებულია მაშინ, როდესაც მისი შემადგენელი ინდივიდები აღწევენ კონსენსუსს – თანხმობას საზოგადოების საფუძველში მდებარე საერთო ნორმებისა და ღირებულებების – ფასეულობების თაობაზე. ესაა ის საფუძველმდები ფაქტორი, რომლის მიხედვითაც ინდივიდები თავიანთი თავის იდენტიფიცირებას საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და ამ ინსტიტუტთა საფუძველად მდებარე პრინციპებთან ახდენენ. სოციალური ინტეგრაციის მაჩვენებელია საზოგადოებაში არსებული თუ გავრცელებული სამყაროსა და სოციუმის ხატები (სურათები), მსოფლმხედველობანი, იდეოლოგიები, სამართლებრივი და მორალური სისტემები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ანალიზისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ეკონომიკურ კრიზისთა, არამედ თავად პოლიტიკურ კრიზისთა შესწავლაც. ლიბერალურ კაპიტალისტურ სისტემას, რომლის დამკვიდრებასაც საქართველოში დღეს ქართული პოლიტიკური ელიტა ესწრაფვის, ახასიათებს, როგორც ერთი, ისე მეორე. ლიბერალური კაპიტალიზმის განვითარების მომდევნო ეტაპზე, როგორც ეს მისი განვითარების პოსტინდუსტრიულმა ეტაპმა აჩვენა, ეკონომიკურზე უფრო მეტ მნიშვნელობას პოლიტიკური კრიზისი იძენს, რომელიც საზოგადოების სისტემურ და სოციალურ დეზინტეგრაციაში ვლინდება.

ჰაბერმასი, რომელიც თანამედროვე დასავლური საზოგადოების ღრმა და ობიექტური ანალიტიკოსია, განასხვავებს პოლიტიკური სისტემის კრიზისის ორ ფორმას: რაციონალურობისა და ლეგიტიმურობის კრიზისს. პოლიტიკური კრიზისის ცნება დამახასიათებელია ისეთი განსაზღვრული საზოგადოებრივი სიტუაციისათვის, როდესაც მმართველთა და მართულთა შორის არსებულ ურთიერთობებს საშიშროება ემუქრებათ. ი. ჰაბერმასის აზრით, თანამედროვე დასავლური საზოგადოების ნამდვილი კრიზისის მაჩვენებელი მეტად აღარ არის ლიბერალური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი დეპრესიები, ბუმები და სხვა ეკონომიკურად ზომვად-გათვლადი კატეგორიები, არამედ იდენტიფიკაციის ის საფუძველები, რომელთაც საზოგადოება ადამიანებს სთავაზობს; „საზოგადოებრივი სისტემის არა ნებისმიერი სტრუქტურული ცვლილება არის – სამართლიანად აღნიშნავს ჰაბერმასი, – მისი კრიზისულობის მომასწავებელი ან თავად კრიზისი... მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების წევრი სტრუქტურულ ცვლილებებს როგორც არსებულის კრიტიკას განიცდის და მათ სოციალურ იდენტურობას, როგორც საშიშს, ისე აღიქვამს და შეიგრძნობს, შეგვიძლია კრიზისის შესახებ ვილაპარაკოთ. სისტემური ინტეგრაციის დარღვევები მხოლოდ იმ ზომით არის არსებულთათვის საშიში, რა ზომითაც სოციალური ინტეგრაცია სათუო და მერყევი ხდება, ე.ი. როდესაც ნორმატულ სტრუქტურათა კონსენსუსის საფუძველები იმდენად ხელის შემშლელ (დამაბრკოლებელ) ხასიათს იძენს, რომ მთლიანად საზოგადოება ანომიური ხდება. შესაბამისად,

კრიზისული ვითარება იღებს საზოგადოებრივ ინსტიტუტთა დეზინტეგრაციის ფორმას“ (184, გვ. 56).

თუ საზოგადოებას განვიხილავთ, როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციო-კულტურულ სისტემათა სისტემას, მაშინ მისთვის დამახასიათებელი იქნება სისტემურობისა და იდენტიურობის კრიზისი. ეკონომიკურ სისტემას შეიძლება ახასიათებდეს სისტემური კრიზისი, სოციო-კულტურულ სისტემას – იდენტიურობის კრიზისი, პოლიტიკურ სისტემას კი შეიძლება ორივე ახასიათებდეს: სისტემურ დონეზე – ესაა რაციონალურობის, ხოლო იდენტიურობის დონეზე – ლეგიტიმურობის კრიზისი. როდესაც პოლიტიკური სისტემის „შესასვლელში“ საკმარისი არ არის მხარდაჭერა, სისტემისადმი „დიფუზიური მასობრივი ლოიალობის გრძნობა“, მაშინ საქმე ლოგიკურად გვექნება ლეგიტიმურობის კრიზისთან, ხოლო, როდესაც სისტემა აწყდება „გამოსასვლელში“ მიღებული პროდუქტების – გადაწყვეტილებების, კანონებისა თუ ასიგნებათა არაეფექტურობას, მაშინ საქმე გვაქვს რაციონალურობის კრიზისთან. ამათგან, ჰაბერმასის აზრით, ყველაზე საფუძვლიანი და მნიშვნელოვანია ლეგიტიმურობის კრიზისი, რამეთუ იგი უშუალოდ იდენტიურობის კრიზისია. მოტივაციური კრიზისი კი, რომელიც დაკავშირებულია სოციო-კულტურულ სისტემასთან, უწინარეს ყოვლისა, იმაში ვლინდება, რომ ტრადიციები მსხვრევადი, მყიფე და საეჭვო გახდა, მაშინ, როდესაც თანამედროვე საზოგადოება ქმნის „ახალ“ მოთხოვნილებებს, რომელთა დაკმაყოფილებაც მას არ ძალუძს.

თუ იდენტიურობის კრიზისი უშუალოდ ემუქრება სოციალურ ინტეგრაციას, მაშინ სისტემის კრიზისის მართვისა და რეგულირების რეზულტატები ნულს უტოლდება, მექანიზმებიც ნადგურდება და კრახით სრულდება. არსებულ პოლიტიკურ სისტემათა დელეგიტიმაცია ხდება მხოლოდ კრიზისის პოლიტიკურ ამოფრქვევასთან ერთად. ჰაბერმასი თვლის, რომ თანამედროვე ლიბერალური კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი და ტიპურია არა ეკონომიკური, არამედ შიდასაზოგადოებრივი კრიზისი. თანამედროვეობის ტიპობრივი კრიზისი სწორედ რომ ლეგიტიმურობის კრიზისია, ვინაიდან იგი თანამედროვე საზოგადოების ფუნდამენტურად აღქმული ძვრების გამოთქმაა.

ლეგიტიმურობის კრიზისის გამწვავებას ხელს უწყობს გახევებული სოციო-კულტურული სისტემა, რომელიც შეცვლილ ღირებულებით წარმოდგენაზე მოქნილად ვერ რეაგირებს. ასევე ლეგიტიმურობის დეფიციტის მიზეზია კლასობრივი სტრუქტურა. მართალია, თანამედროვე საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში კლასობრივი კომპრომისი მისაღებია, მიუხედავდ იმისა, კლასობრივი განსხვავება მაინც აგრძელებს არსებობას და მნიშვნელობას არ კარგავს. თუ მარქსის პერიოდის – ადრეული კაპიტალიზმის დომინირებადი წინააღმდეგობა იყო წინააღმდეგობა დაქირავებულ შრომასა და კაპიტალს შორის, მაშინ დღეს, შენიშნავს ჰაბერმასი, დომინირებადია წინააღმდეგობა სისტემის ინტეგრაციასა და სოციალურ ინტეგრაციას შორის. ჯერ კიდევ ნათელი არაა, ლეგიტიმურობის კრიზისს სისტემის კრიზისთან თუ საბოლოოდ სისტემის ნგრევასთან შეუძლია მიგვიყვანოს. ამის მიზეზი კი შეიძლება იმაში დავინახოთ,

რომ ეკონომიკურმა სისტემამ დაკარგა ფუნქციონალური ავტონომია და იგი თანამედროვე პირობებში პოლიტიკამ შეიძინა. ამიტომ სისტემური კრიზისი, ჰაბერმასის აზრით, თანამედროვე საზოგადოებას არ ემუქრება, უარეს შემთხვევაში მას შეიძლება გამოაჩნდეს კრიზისის ტენდენციები, რომელთა დაყვანა სტრუქტურებზე უკვე ძნელი აღარ იქნება. აქ კი სახელმწიფო მარეგულირებელ ფუნქციას ხელიდან აღარ გაუშვებს, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ ზენოლასა და დისციპლინაში გამოიხატება.

თანამედროვე დასავლური საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის კრიზისის დაძლევაში, ჰაბერმასის აზრით, დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკონომიკას აღარ აქვს, თვით მასობრივ დასაქმებასაც კი არ ძალუძს ჩაუნერგოს მასებს ლოიალობის გრძნობა. ამიტომ, თანდათანობით იზრდება სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ეკონომიკური პროცესების მართვასა და საზოგადოებრივი კონფლიქტების დარეგულირებაში. დღეს დომინირებადია არა ეკონომიკა, არამედ პოლიტიკა. ახლა თავად პოლიტიკა, სახელმწიფო აყენებს წინადადებებს, მოთხოვნილებებს, ამით კი თანამედროვე ლიბერალური კაპიტალიზმი და მისი პოლიტიკური სისტემა არ კარგავს ლეგიტიმურობას, ე.ი. აღიარებულობასა და მოწონებას.

მაგრამ, თვით მუდმივად მზარდი სახელმწიფოებრივი საქმიანობა, რომელიც ლეგიტიმურობის შენარჩუნებას უწყობს ხელს, არ იძლევა გარანტიას, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის დამახასიათებელი კრიზისული გამოვლინება შემცირდება. ჰაბერმასის აზრით, სახელმწიფოს ჩარევა თანამედროვე ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოებისათვის საკვანძო პოლიტიკურ საკითხად იქცა. სახელმწიფოს გარეშე ლეგიტიმურობის „აღდგენა, გაძლიერება ან წარმოება“ მეტად შეუძლებელია. ამიტომ, ლეგიტიმაციის, ანუ გამართლების პრობლემა დღეს თანამედროვე სახელმწიფოს სიმყარისა და სტაბილურობის პრობლემაა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროთა გადახლართვა და ერთმანეთში შეჭრა აუცილებელს ხდის ლეგიტიმაციის მთლიანად და სავსებით ახალი პრინციპების შემოტანასა და დამკვიდრებას. თანამედროვე სახელმწიფოთა თუ პოლიტიკური სისტემათა ლეგიტიმაციის პრობლემა, ჰაბერმასის აზრით, მდგომარეობს:

1. ისე მოაწყოს ეკონომიკა, რომ მისი მიღწევები, სისტემათა შედარებისას საყოველთაო ინტერესების საუკეთესო განხორციელებას წარმოადგენდეს;
2. მოქალაქეთა მორჩილებისა თუ დაქვემდებარების სიმსუბუქეში, თანაც ისე, რომ სახელმწიფო იღებდეს თავის თავზე ძირითად პასუხისმგებლობას, რათა დისფუნქციური მოვლენები მისაღებ საზღვრებში მოაქციოს;
3. როლთა ასეთი დანაწილების ლეგიტიმაციით, ანუ გამართლებით, შეძლოს სახელმწიფომ საზოგადოებისათვის საჭირო წესრიგის ლეგიტიმურობის, ანუ აღიარების მიღწევა.

ჰაბერმასი კარგად ხედავს, რომ საზოგადოების რეპოლიტიზება საშიშროებას უქმნის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ სისტემას. ამიტომ ლეგიტიმაციის და შესაბამისად, ლეგიტიმურობის კრიზისის თავიდან ასაცილებლად, თანამე-



დროვე სახლმწიფომ უნდა წამოაყენოს (ცხადია, თუ ფლობს) შემდეგი ინსტრუმენტები:

- ზრდისა და განვითარების უზრუნველყოფი კონიუნქტურული პოლიტიკა;
- კოლექტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული წარმოების სტრუქტურები, და
- სოციალურ უთანასწორობათა მოდელის კორექტირება.

მაგრამ, თუ ამ ინსტრუმენტებს დავაკვირდებით, მაშინ აღმოჩნდება, რომ ისინი არსებითად უკმაყოფილო, კრიტიკულად განწყობილი მოქალაქეების სიმშვიდეში მომყვანი ტექნიკურ-ბიუროკრატიული, არაპირდაპირი რეგულირების მეთოდებია. ჰაბერმასი ამაზე არ ჩერდება და კარგად აცნობიერებს, რომ თანამედროვე სახელმწიფო ძალაუფლების გამართლებისათვის ასევე აუცილებელია ნორმატიულ-შინაარსობრივი რადიკალური პერსპექტივა. იგი წერს:

„შეიძლება ერთ დღეს the Pursuit of Happiness – ყოველდღიური ბედნიერება აღარ ნიშნავდეს, მაგალითად, კერძო მფლობელობაში არსებულ მატერიალურ საგანთა დაგროვებას, არამედ იმგვარ სოციალურ ურთიერთობათა განხორციელებას, სადაც იბატონებს თანაზიარობა და ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვა მოთხოვნილებებისაგან თავის შეკავების ხარჯზე არ მოხდება“ (184, გვ. 60).

ამგვარად, თანამედროვე პოლიტიკური სისტემის არსებობის შენარჩუნებას, მის სტაბილურობას საშიშროება ემუქრება არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ როგორც დღეს ამბობენ, – საზრისისეული კრიზისის მხრივაც. საზოგადოებრივი კრიზისები, რომელიც თავდაპირველად წარმოიქმნება ეკონომიკურ სისტემაში, შემდეგ „გადაიზრდება“ პოლიტიკურში, დაბოლოს, აღწევს კულტურული დეურ სფეროებსაც. მაშასადამე, თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციისა და მოსახლეობის მხრივ, მისი ლეგიტიმურობის აღიარებისათვის ერთნაირად აუცილებელია საზოგადოების შემადგენელ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციო-კულტურულ სისტემათა აწყობილი და გამართული ფუნქციონირება.

ლეგიტიმაციისა და ლეგიტიმურობის კრიზისი უპირატესად მაინც გარდამავალი პერიოდის კრიზისია, ამიტომ მისი ფესვები თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათში უნდა ვეძიოთ ისე, როგორც ამას ი. ჰაბერმასი აკეთებს, მაგრამ დასავლურ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმურობის პრობლემა სპეციფიკურია და დიდად განსხვავდება ჩვენ საზოგადოებაში არსებული პრობლემებისაგან. ჩვენი ტიპის საზოგადოებაში ლეგიტიმურობის პრობლემა იმიტომ დგას ასე მწვავედ, რომ აქ ადგილი აქვს სოციალური სტრუქტურის ცვლას. იგი შეიძლება უფრო მწვავედ დადგეს, თუ:

1. ამ სტრუქტურული ცვლილებების პერიოდში საშიშროება დაემუქრება ძირითადად და მნიშვნელოვან კონსერვატიულ ინსტიტუტთა სტატუსს;
2. პოლიტიკური სისტემა ვერ აღიქვამს საზოგადოების ძირითად სოციალურ ჯგუფთა მოთხოვნებს და არ მისცემს მათ პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის საშუალებას.

დაბოლოს, ლეგიტიმურობის პრობლემა მწვავედ დადგება თვით განახლებული სტრუქტურების არსებობის დროსაც კი, თუ პოლიტიკური სისტემა დიდი ხნის განმვალობაში ვერ შეძლებს გაამართლოს ფართო საზოგადოებრივი ფენების იმედები, ე.ი. მოიპოვოს და შემდეგ უფრო განამტკიცოს თავისი ლეგიტიმურობა ახალ იდეოლოგიურ, სტრუქტურულ და პერსონალურ საფუძველზე.

## ლეგიტიმურობის გაქლიერების პოლიტიკური საშუალებები

მართალია, ლეგიტიმურობა ეხება არა ბატონობის – ხელისუფლების ერთეულ აქტებს, არამედ მთლიანად ბატონობის წესრიგს, მაგრამ მათ შორის მაინც მჭიდრო კავშირი არსებობს. რადგან კონკრეტული პოლიტიკის გატარებით შეიძლება პოლიტიკური წესრიგის ლეგიტიმურობის გაძლიერება ან შესუსტება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური სისტემა მარტივად ვერ დაკარგავს ნდობას, თუ იგი ლეგიტიმურობას ფლობს. მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლეგიტიმურობის შენარჩუნებას ყოველდღიური დაძაბული შრომა არ სჭირდება. პირიქით, საჭიროა მუდმივი, მტკიცე პოლიტიკური ძალისხმევა, რათა ლეგიტიმურობის საფუძველები შევინარჩუნოთ. ლეგიტიმურობა თითქოს მუდამ ახლად და ახლად უნდა შევქმნათ, ვანარმოოთ და მოვიპოვოთ.

ლეგიტიმურობის განმტკიცებისა თუ მოპოვების მრავალი მეთოდი და პროცედურა არსებობს. რასაკვირველია, ეს მეთოდები სამართლიანად და კანონიერად უნდა ითვლებოდეს. პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა ინარმოება და იქმნება, უწინარეს ყოვლისა, „polity“ –სა და „politics“-ის მეშვეობით. მაგრამ ყოველივე ეს შეიძლება ეხებოდეს იმ შინაარსსა და რეზულტატებსაც, მაშასადამე, იმ „policy“-ს, რომელსაც თავად პოლიტიკური სისტემა ატარებს. აქ შემთხვევით არ მოგვიტანია პოლიტიკის აღმნიშვნელი სამი ინგლისური გამოთქმა. არც ერთ სხვა ევროპულ, განსაკუთრებით კი ქართულ ენაში არ მოიპოვება ტერმინის „პოლიტიკა“ შინაარსის გამომხატველი სხვა ადეკვატური ცნებები, თუ არა ის სამი, რომელიც უკვე ვახსენეთ. პოლიტიკის რაობის მკვლევარნი საკმაოდ ნაყოფიერად იყენებენ მათ. მაგალითად, ფრანგი რაიმონ არონი და გერმანელი კარლ როჰე. თუ გავანალიზებთ თითოეული ტერმინის მნიშვნელობას, მაშინ იგი საშუალებას მოგვცემს დავინახოთ ის მჭიდრო კავშირი და ურთიერთგანპირობებულობა, რომელიც ამ მნიშვნელობებსა და ლეგიტიმურობას შორის არსებობს.

Policy – ესაა მოქმედების კონცეფცია, პროგრამა, ზოგჯერ კი ერთი ინდივიდის, ადამიანთა ჯგუფის, თვით მთავრობის მოქმედებაც კი. მაგალითად, პოლიტიკა განათლების სფეროში – ესაა მასში არსებული პრობლემების გადაჭრისადმი მიმართულ მოქმედებათა მთელი პროგრამა. როდესაც, ლაპარაკია

რომელიმე პოლიტიკოსის პოლიტიკაზე, მაშინ მხედველობაში გვაქვს მისი შეხედულებები ქვეყნის ეროვნულ ინტერესებზე, ის მიზნები, რომელსაც იგი ისახავს, აგრეთვე მეთოდები, რომელსაც იგი იყენებს დასახულ მიზანთა მისაღწევად. მაშასადამე, ტერმინი „პოლიტიკა“ პირველი მნიშვნელობით – ესაა მოქმედების პროგრამა, მეთოდი ან თავად მოქმედება, რომელსაც ახორციელებს ინდივიდი ან ადამიანთა ჯგუფი საზოგადოების წინაშე მდგარი რომელიღაც ერთი პრობლემის ან პრობლემათა ერთობლიობის მიმართ.

Politics – ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ სფეროს, სადაც ერთმანეთს ებრძვის ან კონკურენციას უწევს სხვადასხვა პოლიტიკური (უკვე Policy-ს მნიშვნელობით) მიმართულება. პოლიტიკა, როგორც სფერო – ერთობლიობა, რომლის შიგნითაც იბრძვიან ის პიროვნებები თუ სოციალური ჯგუფები, რომელთაც აქვთ საკუთარი Policy, ე.ი. საკუთარი მიზნები, ინტერესები, ზოგჯერ საკუთარი მსოფლმხედველობა და იდეოლოგიაც კი.

Polityc – ესაა, უწინარეს ყოვლისა, ბერძნული სიტყვის „politeia“-ს თარგმანი. არსებითად ის, რასაც ბერძნები უწოდებენ პოლისის რეჟიმს, ე.ი. ხელმძღვანელობის ორგანიზაციის წესი, მთელი საზოგადოების ორგანიზაციის განმასხვავებელი ნიშანი. პოლიტიკა, არსებითად ადამიანთა გაერთიანების წყობა, ანუ მისი ორგანიზაციის წესია. ეს კი ნათელს ხდის იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს პოლიტიკის ვიწრო და ფართო გაგებას შორის. ვიწრო აზრით, პოლიტიკა – ესაა სისტემა, რომელიც განსაზღვრავს მმართველობისა და ძალაუფლების რეალიზაციის წესს. ფართო მნიშვნელობით კი იგი ამავდროულად საზოგადოების შიგნით ინდივიდთა ურთიერთქმედების წესიცაა.

პოლიტიკის ცნების ნიუანსთა ეს მოკლე ანალიზი ცხადყოფს, რომ პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა „Polity“-ის და „Politics“-ს მეშვეობით იქმნება და მტკიცდება, მაგრამ მის განმტკიცებაში არანაკლები მნიშვნელობა აქვს იმ „Policy“-ის შინაარსობრივ ასპექტებსა და მოპოვებულ შედეგებს, რომელსაც პოლიტიკური სისტემა ატარებს. დემოკრატიული სისტემა თავისი ლეგიტიმურობის რწმენის განმტკიცებას ხელს უწყობს არა მხოლოდ პროცედურების მეშვეობით, როგორც ამას ხაზს უსვამს ნ. ლუმანი, არამედ იმ განწყობითა და მზობით, რითაც იგი შინაარსობრივ, განუსაზღვრელ, იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებებს ლეგიტიმური პროცედურების საფუძველზე გარდაქმნის გარკვეულ გადაწყვეტილებათა მიღების პოზიციებად; მაგრამ დემოკრატიული სისტემაც აწყდება გარკვეულ შინაარსობრივ ბარიერს. ნებისმიერი პოლიტიკური სისტემა საშიშროების ქვეშ დააყენებს თავის ლეგიტიმურობას, თუ ანგარიშს არ გაუწევს მისი მოქალაქეების წარმოდგენებს სოციალურ სამართლიანობაზე, წარმატების მოპოვების იმედებს ან მათ მორალურ შეხედულებებს უყურადღებოდ დატოვებს. მართალია, პროცედურების დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული რეჟიმის ლეგიტიმურობის განმტკიცებაში, მაგრამ ამ რეჟიმის მიერ გატარებული პოლიტიკის შინაარსსა და შედეგებსაც არანაკლები მნიშვნელობა აქვს. როდესაც, დემოკრატიის პირობებში პირდაპირ ან არაპირდაპირ ვირჩევთ ხელისუფლებას, მაშინ ვინწონებთ მისთვის დამახა-

სიათებელ ყველა წესს, იქნება ეს სამართალწარმოების, კანონთა გამოცემის, ზომების მიღების წესები თუ სხვა. მაგრამ, შეიძლება დღეს ჩვენთვის, როგორც ამომრჩევლისა და მოქალაქისათვის, იმის კონტურებიც კი არ იკვეთებოდეს, რომ ყოველივე ეს მომავალში ჩვენი ინტერესების საპირისპიროდაც კი განვითარდება. მიუხედავად ამისა, ამომრჩევლები მაინც მუდამ მზად უნდა ვიყოთ, რათა ჩვენ მიერვე არჩეული მთავრობის მიღებულ კანონებს, ზომებსა და სხვა ძალისხმევას დავემორჩილოთ და ამდენად, ისინი, როგორც კანონიერი და სამართლიანი ვალიართ. სახელდობრ კი, იმიტომ, რომ ჩვენ გვწამს პარლამენტი და მთავრობა კანონშემოქმედებას ახორციელებს სამართლიანი პროცედურების საფუძველზე, კერძოდ, თავისუფალი და ფარული არჩევნების გზით. ესაა კრედიტი, რომელსაც ამომრჩევლები ვაძლევთ ყოველგვარი პროცედურული წესის დაცვით არჩეულ კანონიერ მთავრობას, მაგრამ იგი შეუზღუდავი და ულვეი არაა. თუ ხელისუფლება განუწყვეტილად იღებს ისეთი შინაარსის გადანყვეტილებებს, რომელსაც საზოგადოების ფართო წრეების მატერიალურ ან იდეალურ ინტერესებთან შეხება არა აქვს – თუნდაც ეს გადანყვეტილება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ იყოს მიღებული – მაშინ მას შეუძლია მიგვიყვანოს არა მხოლოდ დღეს მოქმედი მთავრობისა და რეჟიმისადმი ნდობის დაკარგვასთან, არამედ თვით მთელი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობის დაკარგვასთანაც კი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური რეჟიმი სავსებით კანონიერად იცავს მიღებულ და აღიარებულ პროცედურებს, შესაძლებელია, მოსახლეობის უმრავლესობამ იგი სამართლიან და გამართლებულ სისტემად ვედარ შეიგრძნოს და შეაფასოს. თუ მოსახლეობის უმრავლესობა გრძნობს, რომ არსებული პოლიტიკური სისტემა არ იცავს, უფრო მეტიც, „ყიდის“ ეროვნულ სახელმწიფოებრივ ინტერესებს, მაშინ იგი შეუძლებელია ეროვნულ-პოლიტიკურ ინსტიტუტად მიიჩნიოს. ასე ფარულად და თანდათან შეიძლება პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დადგეს.

ლეგიტიმურობის დაკარგვის მსგავს შემთხვევებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოსახლეობის უმრავლესობაში, ან გავლენის მქონე უმცირესობაში, როდესაც მთავრობა და მთლიანად პოლიტიკური სისტემა არავითარ ზომებს არ იღებს იმ ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების შესაცვლელად, რომელთაც უსამართლო და არაკანონიერად შეიგრძნობენ და თვლიან. ლეგიტიმურობის დაკარგვის დიდი საშიშროება არსებობს, მაშინ, როდესაც მოსახლეობის ფართო მასები გრძნობენ და აცნობიერებენ, რომ არსებულ პოლიტიკურ სისტემას არ ძალუძს გაუმკლავდეს საზოგადოებაში არსებულ სიძნელებებს, მზარდ კრიმინალურ დარღვევებს, დანაშაულებსა და ძალადობის აქტებს.

ამგვარად, პოლიტიკურ დემოკრატიებს არ უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმის იმედი, რომ ისინი სამართლიანი პროცედურების დახმარებით შეძლებენ ლეგიტიმურ, ანუ მოსახლეობის უმრავლესობის მიერ აღიარებულ პოლიტიკურ სისტემად ქცევას. ამისათვის აუცილებელია, რომ ისინი არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ შინაარსობრივად იყვნენ ლეგიტიმირებული. ამისათვის კი

მას ესაჭიროება ეფექტურობაც, იმ ინსტრუმენტების დროულად და ნაკლები ენერჯის ხარჯვის გზით გამოყენების უნარი, რომელიც რთულ ეკონომიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ კულტურულ პრობლემებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაჭრის.

დღეს, როდესაც საქართველოში მკვიდრდება დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა და ვცდილობთ, მას ხელსაყრელი ეკონომიკური და სოციალური პირობები შევუქმნათ, უპირატესობას ვანიჭებთ სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებსა და საბაზრო ეკონომიკას. უპირველეს ამოცანას წარმოადგენს იმის გაცნობიერება, თუ როგორ გამოხატავს დემოკრატიული პოლიტიკური წყობა ჩვენი საზოგადოების „დაუნერეელ კანონს“, მის მენტალიტეტს, ადათებს, წეს-ჩვეულებებს, ეროვნულ ხასიათსა თუ ტოლერანტობას. თუ ამ სისტემამ ვერ შეძლო აღნიშნულ „დაუნერეელ კანონთა“ მაქსიმალური სიზუსტით ათვისება და შესაბამისად, მაქსიმალური მოქნილობით ადაპტირება დღეს ჩვენში არსებულ სოციალურ წყობასთან, მაშინ იგი განწირულია მარცხისათვის.

სასურველია, პოლიტიკური სისტემა იყოს კანონიერი, ანუ შემუშავებული და სანქცირებული კონსტიტუციით გათვალისწინებული პროცედურების თანახმად. მაგრამ, იგი უნდა იყოს სამართლიანიც და ასეთად აღიარებული მოსახლეობის უმრავლესობის მიერ, ანუ ლეგიტიმური. ლეგიტიმური კი მაშინ გახდება, თუ იგი უპასუხებს ჩვენი საზოგადოების „დაუნერეელ კანონს“. ამგვარად, ლეგიტიმურია ყველაფერი, რაც პასუხობს საზოგადოების „დაუნერეელ კანონებს“, ხოლო კანონიერია (ლეგალურია) ყველაფერი ის, რაც შესაბამეა მის „დანერილ კანონებს“. იმისათვის, რათა ქართულმა პოლიტიკურმა სისტემამ ეფექტურად იმოქმედოს, აუცილებელია მოვიყვანოთ იგი შესაბამისობაში, როგორც ჩვენი ქვეყნის „დაუნერეელ“, ისე „დანერილ“, ანუ გამოქვეყნებულ კანონებთან. მაშასადამე, იგი ერთდროულად უნდა იყოს როგორც კანონიერი (ლეგალური), ისე ლეგიტიმური, ანუ მოსახლეობის უმრავლესობა უნდა აღიარებდეს, როგორც სამართლიან და ფასეულ, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველ სისტემას. რამდენადაც სისტემის ლეგიტიმურობა დგინდება და მტკიცდება „დაუნერეელი კანონების“ შესაბამისად, ხოლო კანონიერება – ფორმალური პროცედურების საფუძველზე, ამდენად, სავსებით შესაძლებელია, რომ ესა თუ ის პოლიტიკური სისტემა სავსებით კანონიერი იყოს, მაგრამ მისმა არასწორად გატარებულმა პოლიტიკამ და შესაბამისმა რეზულტატებმა სავსებით განძარცვოს იგი მოსახლეობის მიერ აღიარებულობის ან ლეგიტიმურობის რწმენისაგან. ასეთ დროს, მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს არსებულ კანონიერ რეჟიმსა და მის კანონებს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს მას არსებული სოციალური და პოლიტიკური წყობის გარდაქმნისა თუ შეცვლისადმი მისწრაფებაში. ამიტომ, როდესაც ვლაპარაკობთ პოლიტიკის მიზნების შესაბამისად მოქმედი პოლიტიკური სისტემის კანონიერების შესახებ, საჭიროა გავითვალისწინოთ ის პროცედურა, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მისი კანონიერება, ანუ შესატყვისობა, „დანერილი კანონებისადმი“, ე.ი. კონსტიტუციის დებულებებისადმი. რაც შეეხება თვით პოლიტიკური სისტე-

მის საფუძველმდებ დებულებებსა თუ პროცედურებს და მისი ლეგიტიმურობის ე.ი. „დაუნერელი კანონებისადმი“ შესატყვისობის ეჭვქვეშ დაყენებას, მაშინ იგი უნდა ამოდიოდეს არა კონსტიტუციიდან, არამედ თვით მოქალაქეებისა და შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოებში მივლინებული მათი წარმომადგენლებისაგან. ამისათვის კი საჭიროა, რომ მათ ჰქონდეთ პოლიტიკური საფუძველმდები პრინციპებისა და თვით კონსტიტუციის გადასინჯვის უფლება, რათა არსებული კონსტიტუცია, შესაბამისად, პოლიტიკური სისტემა, შესატყვისობაში მოვიდეს საზოგადოების „დაუნერელ კანონებთან“.

ზემოთ აღნიშნული მსჯელობა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ლეგიტიმურობის განმტკიცების შემდეგი საშუალებები:

1. ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად კანონმდებლობისა და სახელმწიფო მართვის რეჟიმის შეცვლა;

2. ძირეული სტრუქტურული ცვლილებების გატარება ისე, რომ, ამავე დროს, შენარჩუნებულ იქნეს პოლიტიკურ ინსტიტუტთა ტრადიციული ლეგიტიმურობა;

3. ისეთი პოლიტიკური სისტემის შექმნა, რომლის ლეგიტიმურობა დაემყარება მოსახლეობის ფართო ფენების ზნე-ჩვეულებებს, ადათებსა და ტრადიციებს;

4. უშიშროების ლეგალური ფორმების გააქტიურება;

5. მოსახლეობის მასობრივი დასაქმება;

6. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვა და ცხოვრებაში გატარება;

7. სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების წარმატებული და ეფექტური განხორციელება;

8. ქვეყანაში მართლწესრიგისა და კანონიერების მხარდაჭერა და განუხრელი დაცვა;

9. ქვეყნის უზენაესი მმართველის პირადი ქარიზმა.

ამრიგად, პოლიტიკური სისტემა ეფექტურად მაშინ შეძლებს მის ხელთ არსებული ძალაუფლების კრედიტის გაზრდასა და შესაბამისი პოლიტიკის გატარებას, როდესაც იგი შეესატყვისება მოსახლეობის ფართო მასების წარმომადგენებსა და იმედებს, ადათებსა და მსოფლმხედველობას, ზნეობრივ და პოლიტიკურ ღირებულებებსა და ფასეულობებს.

## თავი XI

### პოლიტიკური კულტურა და სოციალიზაცია

ტერმინი „კულტურა“ ლათინური წარმოშობისაა და ეტიმოლოგიურად მინის დამუშავებას, ანუ კულტივირებას ნიშნავს. შუა საუკუნეებში ამ ტერმინით აღნიშნავდნენ მარცვლეულ კულტურათა სელექციას. აქედან მომდინარეობს ტერმინი აგრიკულტურა, რაც სიტყვასიტყვით მინათმოქმედების ხელოვნებას ნიშნავს. XVIII და XIX საუკუნეებში კი მისი გამოყენება დაიწყო ადამიანური თვისებების სრულყოფილების აღსანიშნავად. მაგალითად, თუ ადამიანი გამოირჩეოდა ნაკითხობითა და დახვეწილობით, მაშინ მას „კულტურულ“ პიროვნებად თვლიდნენ. ამ პერიოდში ეს ტერმინი ძირითადად ელიტარული ფენების, კერძოდ კი, არისტოკრატთა მიმართ გამოიყენებოდა, რათა გამოეყოთ ისინი გაუნათლებელ ადამიანთა, „უკულტურო“ მასისაგან. ფაქტობრივად, დღესაც ტერმინი „კულტურა“ უკავშირდება საოპერო თეატრს, სიტყვაკაზმულ ლიტერატურას, კარგ აღზრდასა და ცივილიზაციის მაღალი დონის მიღწევებს.

სოციალურ მეცნიერებათა მიერ მოცემული კულტურის დეფინიციაში ტერმინი ასეთ არისტოკრატულ ელფერს კარგავს. ნ. სმელზერის აზრით, „კულტურა ესაა – ჯგუფისათვის საერთო და მისი წევრების გამოცდილებების მომწესრიგებელი და ქცევის მარეგულირებელი მრწამსი, შეხედულებები, ღირებულებები და მათი გამომხატველი სიმბოლოები (ხელოვნებისა და ლიტერატურის ჩათვლით)“ (138, გვ. 117).

კულტურისაგან, რომელიც საერთოა ჯგუფის ყველა წევრისათვის, განასხვავებენ სუბკულტურას, რომელიც ჯგუფში ადამიანთა მრწამსის, ღირებულებებისა და სიმბოლოთა გამოხატულებას წარმადგენს. ნორმებისა და ღირებულებების ერთობლიობას, რომელიც ჯგუფს განასხვავებს უფრო ფართო გაერთიანებისაგან, სუბკულტურას უწოდებენ. ამგვარად, კულტურა, სოციოლოგიური თვალსაზრისით, ეწოდება ცხოვრების ერთი სტილის მქონე ადამიანებისათვის საერთო ღირებულებათა, სამყაროს შესახებ წარმოდგენათა და ქცევის კოდთა ერთობლიობას.

კულტურის ფენომენთა აღწერისას ორი მომენტი იქცევა ყურადღებას: ერთი მხრივ, ადამიანები თვითონ ქმნიან კულტურას, მეორე მხრივ კი – ეუფლებიან სხვების მიერ შექმნილ კულტურას. იგი ერთდროულად შემოქმედიცაა და ამთვისებელიც. ამას კი განაპირობებს ის, რომ კულტურა შეუძლებელია გადაეცეს ბიოლოგიური გზით, გენური კოდების მეშვეობით. ყოველი თაობა იძულებულია კვლავ აწარმოოს იგი და გადასცეს მომდევნო თაობას. სწორედ ეს პროცესია სოციალიზაციის მთავარი ნაწილი. მისი მეშვეობით ღირებულებანი, იდეალები, რწმენა, ნორმები და წესები ბავშვის პიროვნების არსებით შემადგენელ ნაწილად იქცევა და ხელს უწყობს მისი ქცევის – მოქმედების ფორმირებას. სოციალიზაციის პროცესი რომ მასობრივი მასშტაბებით შეწყვეტილიყო, იგი კულტურის დაღუპვას გამოიწვევდა. ამგვარად, სოციალიზაცია და კულტურა

ერთმანეთს გამსჭვალავს და განაპირობებს. კულტურა არა მხოლოდ აყალიბებს საზოგადოების წევრთა სახეს, არამედ აკონტროლებს კიდევ მათ მოქმედებებსაც. კულტურის გარეშე ადამიანები ორიენტირების უნარსმოკლებული აღმორჩნდებოდნენ, ხოლო მათი მოქმედებები პრაქტიკულად უმართავი, უსაზრისო ქცევებისა და შეუკავებელ ემოციათა ნამდვილი ქაოსი იქნებოდა.

ამგვარად, კულტურას როგორც ინდივიდის, ისე საზოგადოების ფუნქციონისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. სოციალიზაციის გარეშე ადამიანები ვერ შეძლებენ ცხოვრების სწორი წესის ათვისებას, ენის დაუფლებასა და არსებობის საშუალებების მოპოვებას. სოციალიზაციის მეშვეობით ხდება სწორედ სოციალურ როლთა ინტერიორიზაცია – ათვისება. კულტურულ მოდელთა ათვისება – ინტერიორიზაცია – ესაა მთავარი. სოციალიზებული ადამიანი „ჯდება“ თავის „გარემოში“. იგი იზიარებს თავისი სოციალური ჯგუფის შეხედულებებს, ფასეულობებს, ღირებულებებს და ურთიერთობას ამყარებს იმავე კულტურის სხვა წარმომადგენლებთან.

პოლიტიკის დონეზე კვლავ მეორდება და ვლინდება იგივე პროცესი. პოლიტიკური სოციალიზაციის გზით ადამიანთა ცხოვრებაში ინერგება პოლიტიკური კულტურა – მსოფლმხედველობა გადაეცემა ინდივიდებს, რომლებიც ითვისებენ პოლიტიკური სისტემის მიმართ არსებულ შეხედულებებს, ორიენტირებასა და პოზიციებს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური კულტურა გვევლინება ამა თუ იმ ქცევის წინასწარგანწყობათა და ორიენტირთა სახით. მართალია, იგი არ აწესებს ქცევის ისეთ წესს, რომელიც სავალდებულოა დაიცვას ინდივიდმა სასურველი მიზნის მიღწევის პროცესში, მაგრამ ხელს კი უწყობს ადამიანური ქცევის გარკვეული მიმართულებით წარმართვას. გარდა ამისა, პოლიტიკური კულტურა ფუნქციონებს, როგორც ლეგიტიმურობის ინსტიტუტი. პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა და ქმედითუნარიანობა კი ძლიერაა დამოკიდებული ლეგიტიმურობაზე.

მართალია, „პოლიტიკური კულტურის“ ტერმინის ზუსტად განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკის სფეროში მოქმედების მოდელთა ზოგადი აღწერისათვის. ჩვეულებრივ, იგი გულისხმობს მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში კოლექტიურ გამოცილებათა მიღების პროცესში ინდივიდის მიერ შეძენილ ადათ-წესებს, ჩვევებს, მიდგომებს. „პოლიტიკური კულტურა – ესაა მიდგომათა, გრძნობათა და წარმოდგენათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს პოლიტიკურ პროცესს. იძლევა საფუძველმდებელ, ამოსავალ ვარაუდებსა თუ დაშვებებს, რომლებიც განსაზღვრავენ მოქმედებათა მიმართულებას პოლიტიკურ სისტემაში. იგი მოიცავს როგორც პოლიტიკურ იდეალებს, ისე პოლიტიკური ცხოვრების მაორიენტირებელ ნორმებსაც. ამგვარად, პოლიტიკური კულტურა – ესაა პოლიტიკაში ფსიქოლოგიურ და სუბიექტურ განზომილებათა გამოვლენა აგრეგირების ფორმით“ (164, ტ. 2, 153).

აღმონდისა და პაუელის აზრით, პოლიტიკური კულტურა – ესაა ინდივიდუალურ მიდგომათა სისტემა პოლიტიკის სფეროში, რომელიც ხაზს უსვამს



პოლიტიკურ მოქმედებათა მნიშვნელობას. თვით ინდივიდუალურ მიდგომებში კი ისინი გამოყოფენ სამ კომპონენტს: კოგნიტურ, ემოციონალურსა და შეფასებითს. ამ განსაზღვრებათა მიხედვით, პოლიტიკური კულტურა ეს არის წარმოდგენათა სისტემა, რომელიც გვეხმარება გავიგოთ კავშირი ფორმალურ ინსტიტუციონალურ წყობასა და ფაქტობრივ საზოგადოებრივ ქმედებას შორის.

ლ. პაისა და ს. ვერბას აზრით, „პოლიტიკური კულტურა – ახალი ტერმინია, რომელიც გვეხმარება უფრო ნათლად და სისტემური ფორმით გავიგოთ ისეთი ფენომენები, როგორცაა: პოლიტიკური იდეოლოგია, ეროვნული ხასიათი და გონი, ეროვნული პოლიტიკური ფსიქოლოგია და ერის (ხალხის) ფუნდამენტური ღირებულებები“ (164, ტ. 2, 153).

საყურადღებოა როუზისა და დოგანის მიერ მოცემული განსაზღვრებაც: „წარმოდგენა პოლიტიკური კულტურის შესახებ – ესაა იმ ღირებულებათა, ემოციათა და წარმოდგენათა აღნიშვნის უმოკლესი გზა, რომელიც ასაზრისიანებს პოლიტიკურ ცხოვრებას... მათი ერთობლიობა არის ქვეყნის პოლიტიკური კულტურა“ (იქვე).

პოლიტიკური კულტურა შედგება განსახილველი პოლიტიკური სისტემის თავისებურებათა: პოლიტიკური წყობის რაობის, მთავრობის სასურველი და არასასურველი მოქმედებების, ინდივიდთა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის მონაწილეთა, როლის მიმართ დამოკიდებულებათა დამახასიათებელი ტიპებისაგან.

პოლიტიკური კულტურა იზომება პოლიტიკურ მოქმედებაზე ორიენტაციის თვალსაზრისით, რომელიც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ინდივიდების მიერ პოლიტიკის სფეროში არსებული ამოცანების, ხდომილებებისა და პრობლემათა გაცნობიერების ემოციური აღქმისა და შეფასების წესთან, ბოლოს ინდივიდის მზაობასთან – იმოქმედოს ამ პრობლემათა გადასაჭრელად.

ამგვარად, პოლიტიკური კულტურა – ესაა მოცემული საზოგადოების შიგნით პოლიტიკურ მოქმედებაზე ორიენტაციების სისტემა; სხვაგვარად, პოლიტიკურ კულტურას ძირითად პოლიტიკურ პოზიციათა ერთობლიობასაც უწოდებენ. ამ შემთხვევაში ორიენტაცია და პოზიცია სინონიმურ ცნებებად გვევლინება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოზიცია ნიშნავს წინასწარგანწყობას ან თვით მზაობასაც კი, იმოქმედო ასე და არა სხვაგვარად. პოზიცია – ეს არის იმის აღბათობა, რომ გარკვეული ტიპის სიტუაციაში მოსალოდნელია შესაბამისი მოქმედება. ამიტომ პოლიტიკური ორიენტაცია, პოზიცია ნიშნავს წინასწარგანწყობას, ფარულ მიდრეკილებას, განსაზღვრულ პოლიტიკურ სიტუაციებთან შეჯახებისას იმოქმედო განსაზღვრული წესით. მაგალითად, შოვინიზმი არის პოზიცია, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ სიტუაციებთან შეჯახებისას პროვოცირებას უწევს გარკვეულ მოქმედებას.

ალმონდისა და პაუელის თანახმად, პოლიტიკური ორიენტაცია, ანუ პოზიცია, მოიცავს სამ ელემენტს: 1. კოგნიტურს (ცოდნა); 2. აფექტურს (გრძნობები); 3. შეფასებითს (ღირებულებები). ამგვარად, პოლიტიკური კულტურა ერთდროულად არის ის, რასაც გრძნობენ და ისიც, რაც სწამთ.

**კოგნიტიური ელემენტები** – ესაა პოლიტიკურ მიზანთა და ხდომილებათა ცოდნა; ცოდნა იმისა, რაც იციან ან ფიქრობენ, რომ იციან – პოლიტიკური ინსტიტუტების, პარტიების, პოლიტიკური ხელმძღვანელობის შესახებ. ცოდნა იმისა, რაც განაპირობებს ადამიანის რეაქციას, განწყობას, იმოქმედოს ამა თუ იმ წესით. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ითვლება, რომ მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ სამთავრობო საქმეების ცოდნისა და დაინტერესების ისეთი დონე, რომელიც მათი, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ამომრჩეველთა უფლებებისა და მოვალეობების თანაზომადი, ანუ ტოლი იქნება.

**აფექტური ელემენტები** – ესაა პოლიტიკური სისტემებისადმი მიკუთვნებულობის, პოლიტიკურ სისტემაში ჩაბმულობის ან ათვალწუნების, სიყვარულის ან ზიზლის და ა.შ. გრძნობები. სწორედ, მათ ეყრდნობა ძალაუფლების (ხელისუფლების) პერსონალიზაცია, ის ერთგულება და თავდადებულობა, რომელიც აკავშირებს ადგილობრივ გავლენიან ადამიანებს მათ „სამწყსოსთან“.

**შეფასებითი, ანუ ნორმატიული ელემენტები** – ესაა ღირებულებები, იდეალები, იდეოლოგიები და მათ საფუძველზე ეთიკური და ნორმატიული მსჯელობები პოლიტიკური ობიექტებისა და ხდომილებების შესახებ, რომელიც გულისხმობს და ეყრდნობა ღირებულებით სტანდარტებსა და იდეალებს.

იმის მიხედვით, თუ ამ ელემენტთაგან რომელია მადომინირებელი, პოლიტიკური კულტურა მეტად ან ნაკლებად „სეკულირებული“ იქნება. ალმონდისა და პაუელის აზრით, „კულტურული სეკულარაზიცია“ არის პროცესი, რომლის შედეგადაც ინდივიდის პოლიტიკური მოქმედება უფრო ანალიტიკური, რაციონალური და ემპირიული ხდება. გონება იმარჯვებს გრძნობებსა და იდეოლოგიაზე. გაბატონებულ მდგომარეობას რაციონალური მსჯელობები იჭერს.

პოლიტიკური კულტურის გამოვლენის ყველაზე თვალსაჩინო მახასიათებელია – საზოგადოების პოლიტიკური სტილი. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად ღია, მისადგომი და დამოკიდებულია ინდივიდთა შორის არსებულ ასოციაციაზე პოლიტიკური ცხოვრება, შეიძლება ვილაპარაკოთ მის ღიაობა-ჩაკეტილობაზე, შეზღუდულობა-შეუზღუდაობაზე, თავისუფალ და იძულებით ხასიათზე. ასევე პოლიტიკური კულტურის გამოვლენაა საზოგადოების პოლიტიკური განწყობა. მადომინირებელი განწყობა შეიძლება ატარებდეს რევოლუციურ, იმპერიალისტურ, ნაციონალისტურ ან იზოლაციონალისტურ ხასიათს. გამოვლენის კიდევ ერთ ფორმად ითვლება საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ურთიერთგაცვლის ტონალობა. შეიძლება მადომინირებელი იყოს უერთიერთგაცვლა, რომელიც კომპრომისს, მუქარას, ნდობას ან იმედს ემყარება.

## პოლიტიკური კულტურის სამი ტიპი

მკვლევართა უმრავლესობა პოლიტიკური კულტურის სამ ტიპს გამოყოფს: 1. ტრადიციულს, ანუ ადგილობრივს; 2. მორჩილების, ანუ სუბიექტურს; 3. მონაწილეობის, ანუ პარტისიპატიულ კულტურას.

**ტრადიციული, ანუ ადგილობრივი კულტურა** წმინდა სახით შეიმჩნევა ტრადიციულ საზოგადოებაში, რომლისათვისაც დამახასიათებელია განუვითარებელი და მარტივი სპეციალიზაცია, სადაც მოქმედი პირი ერთდროულად ასრულებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ფუნქციებს. ადგილობრივი პოლიტიკური კულტურის მქონე ადამიანი გულგრილია. იგი ნაკლებადაა დაინტერესებული გლობალური პოლიტიკური კულტურით, ეროვნული მთლიანობით. იგი ყურადღების გარეშე ტოვებს ეროვნულ სახელმწიფოს და მიმართულია უფრო შეზღუდულ პოლიტიკურ სისტემაზე (სოფელი, კლანი, ტომი). ამგვარი პოლიტიკური კულტურა ახასიათებს უმეტეს ახალწარმოქმნილ სახელმწიფოს, რომელიც მრავალ ურთიერთგანსხვავებულ სოციო-კულტურულ ერთობას აერთიანებს.

**მორჩილების, ანუ სუბიექტური კულტურა**, რომელსაც ჩვენ „ქვეშევრდომულ კულტურას“ ვუნოდებთ, წარმოიქმნება ისეთ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოებაში ჭარბობს ორიენტაცია სისტემაზე, როგორც მთელზე და განსაკუთრებით იმ ასპექტებზე, რომელიც დაკავშირებულია მისი ფუნქციონის საბოლოო შედეგებთან. ამ კულტურის მქონე ადამიანის პოზიცია ძირითადად პასიურია. მან იცის პოლიტიკური სისტემა და პოლიტიკური შეგნების მაღალ დონესაც ფლობს, მაგრამ მანაც პასიური რჩება. იგი თავს პოლიტიკური სისტემის გარეთ და მალეც აყენებს, მისგან მოელის საარსებო საშუალებებს (მომსახურება-სერვისი, დახმარება და ა.შ.), ეშინია ამ სისტემის მხრიდან დაწესებული გადასახადების ან დიქტატის შეუბრალებლობის, მაგრამ ამავე დროს არც კი ფიქრობს რაიმე მონაწილეობა მიიღოს მის საქმიანობაში. იგი ვერ ხედავს პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობას და თავის მოვალეობად მიაჩნია ის, რომ ეს სისტემა მიიღოს ისე, როგორც არის და არსებობს.

**მონაწილეობის, ანუ პარტისიპატიული კულტურის** შემთხვევაში მთელი საზოგადოების მასშტაბით წარმოიქმნება ახალ მიდგომათა მთელი სიმრავლე. აქ ინდივიდი უკვე გვევლინება საზოგადოების აქტიურ წევრად, გარკვეული უფლება-მოვალეობებით, რომელიც მან არა მხოლოდ იცის, არამედ ცხოვრებაშიც ახორციელებს. ამ დროს ინდივიდი ნამდვილი მოქალაქეა. მას სურს ზემოქმედება იქონიოს პოლიტიკური სისტემის საქმიანობაზე – შეასწოროს ან მიმართულება შეუცვალოს მას სხვადასხვა საშუალებით: არჩევნებში, დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღებით, პეტიციებით და ა.შ.

ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ შევჩერდეთ პოლიტიკურ კულტურასა და პოლიტიკურ სტრუქტურას შორის შესატყვისობის – კონგრუენციის პრინციპზე. ჩვენ მიერ ჩამოთვლილ კულტურის ყოველი ტიპი პოლიტიკური სტრუქტურის

რომელიმე ტიპთან ჰარმონიაში, ანუ შესატყვისობაშია. გარკვეული ტიპის პოლიტიკური კულტურა უფრო შეესატყვისება გარკვეული ტიპის პოლიტიკურ სტრუქტურას. ამგვარი შესატყვისობის გარეშე პოლიტიკური სისტემა ცუდად ფუნქციონებს და მოწყვლადი ხდება.

„ადგილობრივი“ პოლიტიკური კულტურა ტრადიციულ დეცენტრალიზებულ პოლიტიკას შესაბამება, მორჩილების, ანუ „ქვეშევრდომული“ კულტურა – ავტორიტარულ და ცენტრალიზებულ სტრუქტურას. დაბოლოს, მონან-ილეობის, ანუ პარტისიპატიული კულტურა – დემოკრატიულ სახელმწიფოს. მაგრამ, ამგვარი კონგრუენცია ყოველთვის სრულყოფილი არ არის, რამეთუ არ არსებობს ერთგვაროვანი პოლიტიკური კულტურა. არცერთი პოლიტიკური კულტურა არ აუქმებს მის წინამორბედს, არამედ მას ემატება. ამიტომ ნებისმიერი პოლიტიკური კულტურა შერეულია. იგი სამივე ტიპის ელემენტს შეიცავს, ოღონდ არათანაბარი პროპორციებით. ალბათ არ არსებობს ქვეყანა, რომლის პოლიტიკური კულტურა ჰომოგენური იყოს. თუ მაინც ცდილობენ ამგვარი რამის დასაბუთებას, მაშინ გულისხმობენ პოლიტიკური მიზნებისა და მათი რეალიზაციის საშუალებების მიმართ საყოველთაო თანხმობას. მაგრამ, უმეტეს ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა ფრაგმენტულ, ეკლექტიკურ ხასიათს ატარებს. რამდენადაც, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფი იმუშავებს კულტურული განვითარების განსხვავებულ მოდელს, ამდენად, უფრო უპრიანია ვილაპარაკოთ ამა თუ იმ ქვეყნის არა ერთიანი კულტურის, არამედ სუბკულტურის განსხვავებულ ტიპთა არსებობის შესახებ.

## **პოლიტიკურ სუბკულტურათა ტიპები**

თანამედროვე პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა აზრით, დღევანდელ პოლიტიკაში საკვანძო მნიშვნელობისაა სუბკულტურათა რამდენიმე ტიპი:

**1. რეგიონალური სუბკულტურა**, რომელიც განპირობებულია ქვეყნის ცალკეულ რეგიონს შორის ეკოლოგიური განსხვავებით. კლიმატი, ნიადაგის შედგენილობა და სხვა ფაქტორები ქმნის ეკონომიკურ განსხვავებებს, რომელიც ეხება ამა თუ იმ რეგიონის ცხოვრების წესს და მასზე ზეგავლენას ახდენს;

**2. ეთნოლინგვისტური სუბკულტურა**, რომელიც დაკავშირებულია ენობრივ და ეთნიკურ თავისებურებებთან;

**3. სოციო-ეკონომიკური სუბკულტურა**, რომელიც განპირობებულია ჯგუფური და კლასობრივი სტატუსით. სპეციფიკურ ინტერესებთან ერთად იგი ბადებს განსხვავებას ცხოვრების სტილსა და წესშიც, ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან პოლიტიკურ როლს ასრულებს;

**4. რელიგიური სუბკულტურა**, რომელიც გავლენიან ძალად იქცევა მაშინ, როდესაც რელიგია ყველაფრის განმსჭვალავ კულტურულ სუბსტანციას წარმოადგენს;

**5. ასაკობრივი სუბკულტურა**, რომელიც იშვიათია და ზეგავლენის შედეგებით ნაკლები უნარი ახასიათებს.

უთანხმოებები და კონფლიქტები ნებისმიერი საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, მაგრამ რაც შეეხება კონფლიქტების ბუნებას, ტიპს, გაქანებასა და ინტენსივობას, აქ საზოგადოებები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზოგიერთ მათგანს შეიძლება ეწოდოს „თანხმობითი“, ანუ კონსენსუსის დამცველი. ამ ტიპის საზოგადოებაში ფუნდამენტურ დებულებათა და ღირებულებათა მიმართ არსებობს თანხმობის განსაზღვრული დონე და იგი სრულდება სოციალური კონფლიქტის სიღრმის, სირთულისა და ინტენსიურობის მიუხედავად. „არათანხმობითი“, ანუ კონსენსუსის არქმონე საზოგადოებებს ამგვარი თვისებები არ გააჩნია. ზოგიერთ მათგანში კი არსებობს თანხმობა ძირითად ღირებულებებსა და წარმოდგენებთან დაკავშირებით, მაგრამ, ამავე დროს, ღრმა უთანხმოება არსებობს ძალაუფლებისა და კონფლიქტის გადაჭრის წესის გაგებაში. მსგავსი მიდგომები ფრიად მნიშვნელოვანია, რამდენადაც ისინი ხან აადვილებენ, ხან კი ართულებენ ცვალებადი პირობების მიმართ პოლიტიკური სისტემის ადაპტაციას. ცვლილებებისადმი განსხვავებული დამოკიდებულება შეიძლება საზოგადოების შიგნით პოლიტიკური კონფლიქტების წყაროდ იქცეს. როდესაც მოდერნიზაციისა და რადიკალური ცვლილებებისადმი მსწრაფი ელიტა ძალაუფლებას იღებს ხელში, იგი ხშირად ვარდება კონფლიქტში ან უპირისპირდება სხვა ელიტას, რომელიც დაინტერესებულია არსებული წესრიგის შენარჩუნებით და ტრადიციების დამცველ მასებს ეყრდნობა.

სტაბილურ პოლიტიკურ სისტემებს, რომლის შიგნითაც არსებობს ჰომოგენური პოლიტიკური კულტურა, საყოველთაო თანხმობაა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონისა და შესაძლებლობათა თაობაზე, ასეთ სისტემებში ყოველი შემდგომი თაობის სოციალიზაცია ხდება – მიმდინარეობს კოლექტიური გამოცდილებისა და ამავედროულად წარსული ტრადიციების აღქმის საფუძველზე. გარდამავალი ხასიათის საზოგადოებაში შეინიშნება მნიშვნელოვანი დისონანსი, ვინაიდან მათი პოლიტიკური კულტურა ნაწილობრივ ეკლექტიკურია და არ გამოირჩევა პოლიტიკური საქმიანობისადმი მიდგომათა ერთიანობით.

## **პოლიტიკური სოციალიზაცია და პოლიტიკური კულტურა**

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის შედეგად ინდივიდი ეზიარება პოლიტიკურ კულტურას, ითვისებს მას და თავის პოლიტიკურ ორიენტაციას აყალიბებს. პოლიტიკურ სოციალიზაციას ადგილი აქვს ნებისმიერ ქვეყანაში და

მმართველობის ნებისმიერი ფორმის დროს, რადგან საზოგადოების ლიდერები ცდილობენ დანერგონ მოქალაქეთა ცნობიერებაში მათთვის სასურველი ქცევის მოდელი. ჩვენი აზრით, საყურადღებოა პოლიტიკური სოციალიზაციის შემდეგი განსაზღვრებანი, რომლებიც მოცემული აქვთ ჰესსა და სიგელს: „სოციალიზაცია – ესაა სწავლა-აღზრდის პროცესი, რომლის დროსაც მოზარდი თაობის გამაერთიანებელ ჯგუფებსა და ინსტიტუტებში ვრცელდება ქცევის შესაბამისი ღირებულებები და ფორმები“. სხვა სიტყვებით, „პოლიტიკური სოციალიზაცია ესაა სწავლა-აღზრდის პროცესი, რის შემდეგაც არსებული საზოგადოებისათვის მისაღები ქცევის პოლიტიკური ნორმები და სქემები თაობიდან თაობას გადაეცემა“ (164, ტ. 2, 164). ყველა ამ განსაზღვრებას აერთიანებს დაშვება იმის შესახებ, რომ უფროს თაობას ძალუძს აღზარდოს ახალგაზრდობა თავიანთი შეხედულებებისა და ფასეულობების შესატყვისი სულისკვეთებით. იგულისხმება, რომ სოციალიზაციის მიზანია პოლიტიკურ მოქმედებათა არსებული მოდელებისა და ფორმების მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფა, ე.ი. სტაბილურობის მიღწევა, როგორც კონსენსუსის, ანუ წესრიგის თვალსაზრისით, ისე დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური სისტემის საიმედო არსებობის თვალსაზრისითაც.

პ. შარანის აზრით, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი მიმართულია სამი მთავარი ამოცანის გადაჭრაზე:

1. პოლიტიკური გაერთიანების წევრებისადმი ამ საზოგადოებაში გაბატონებული კულტურის ელემენტების გადაცემა;
2. ამ ელემენტთაგან ზოგიერთის გარდაქმნა როგორც საზოგადოებრივ ცვლილებათა აუცილებელი პირობა;
3. განსაკუთრებულ პირობებში ახალი პოლიტიკური კულტურის შექმნა, მაგალითად, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმოშობის შემთხვევაში.

სწორედ ამ პროცესში იძენენ მოქალაქეები არსებულ პოლიტიკურ სისტემასთან დაკავშირებულ ცოდნას, წარმოდგენებს, ფასეულობებსა და მათ საფუძველზე იკავებენ გარკვეულ პოზიციას პოლიტიკური სისტემის მიმართ. პოლიტიკური ორიენტაციის სხვადასხვა ფორმა ინდივიდის ცნობიერების განუყოფელ ნაწილად იქცევა იმის მიხედვით, თუ როგორ იძენს იგი გამოცდილებას პოლიტიკისა და სახელმწიფოებრივი საქმიანობის სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვთა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს. ამ მხრივ საინტერესო მოდელს გვთავაზობს რ. შვარცენბერგი, რომელიც დ. ისტონისა და ჯ. დენისის შეხედულებების ანალიზიდან ამოდის. საწყის ეტაპზე ბავშვობის პერიოდში სოციალიზაცია ყველაზე ინტენსიურად მიმდინარეობს. პოლიტიკური სისტემის ათვისება ხდება იმ პოლიტიკურ ფიგურათა მეშვეობით, რომელთაც უმაღლესი თანამდებობები უჭირავთ პოლიტიკური იერარქიის კიბეზე და ადვილი საცნობი არიან. მაგალითად, ამერიკის პოლიტიკურ სისტემაში ეს როლი ეკუთვნის პრეზიდენტს. სწორედ ამ ფიგურის ათვისებით იწყებს ბავშვი მთელი თავისი სისტემის თანდათანობით კონსტრუირებას, რთავს რა მასში

სულ უფრო მეტ ელემენტს და სწავლობს თითოეული მათგანის ფუნქციების გამოცალკევებას. დ. ისტონი და ჯ. დენისი ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში გამოყოფენ ოთხ პერიოდს:

1. **პოლიტიზაცია** – პოლიტიკის აღქმადობა;
2. **პერსონალიზაცია** – როდესაც რომელიმე ავტორიტეტული პოლიტიკური ფიგურა იქცევა თითქოსდა შეხების წერტილად ბავშვსა და პოლიტიკურ სისტემას შორის;
3. **პოლიტიკურ ხელისუფალთა იდეალიზაცია**, როდესაც ბავშვი აღიქვამს მათ, როგორც კეთილი ან ბოროტი განზრახვის მქონედ და სწავლობს მათ სიყვარულს ან სიძულვილს;
4. **ინსტიტუციონალიზაცია** – ესაა პერიოდი, როდესაც ბავშვი გადადის პერსონალიზებული წარმოდგენებიდან ინსტიტუციურზე, ანუ პოლიტიკური სისტემის წარმოდგენებზე.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში ისევე, როგორც საერთოდ სოციალიზაციისას, დიდ როლს ასრულებს ისეთი ორგანიზაციები, როგორცაა ოჯახი, სკოლა, ახალგაზრდული ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, ინტერესთა და ნათესაური ჯგუფები, ასევე მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ამათგან პირველი და ყველაზე ძლიერი ოჯახი და ოჯახური გარემოცვაა. როგორც წესი, მყარი ღირებულებები, ნორმები და პოლიტიკური პრიორიტეტები ინდივიდის მიერ აითვისება ოჯახში გაბატონებული განწყობილებების ზემოქმედებით. სოციალიზაციის გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ოჯახში შექმნილი ღირებულებები და წარმოდგენები მტკიცდება ან სახეს იცვლის. ოჯახური ცხოვრების ზოგიერთი ფაქტორი ხელს უწყობს:

1. ინდივიდისათვის ოჯახში მიღებული და მადომინირებელ ღირებულებათა პოლიტიკური პრიორიტეტების გადაცემას;
2. პიროვნების ჩამოყალიბებასა და არაპოლიტიკური რელევანტობების (უპირატესობების) ფორმირებას.
3. სოციალური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ურთიერთობების რთულ სისტემაში ოჯახის წევრთა ჩართვას.

ოჯახის გავლენა ინდივიდის პოლიტიკურ სოციალიზაციაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ პერიოდებში, როდესაც ქვეყანა განიცდის სწრაფ სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს. ამ დროს ოჯახი უპირატესად გვევლინება, როგორც კონსერვატიული ძალა, რომელიც მიმართულია არა არსებულ ნორმათა შეცვლაზე, არამედ შენარჩუნებაზე. „პოლიტიკური ორიენტაციის სოციალური ბაზის რადიკალური გარდაქმნა, უწინარეს ყოვლისა, მოითხოვს ოჯახურ ურთიერთობათა მოდელის ცვლილებებს, რათა ოჯახის ინსტიტუტი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ინდივიდუალური ქცევის სასურველ ნორმებთან შესაბამისობაში მოვიდეს“ (164, ტ. 2, 168).

ინდივიდის პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, ასევე, თავისებურ და განსაკუთრებულ როლს ასრულებს სკოლა, საზოგადოდ, განათლების სისტემა. მოსწავლეთა მიერ სწავლის პროცესში საყოველთაოდ მიღებული პოლიტიკური

ფასეულობების ან „მოქალაქეობის“ პრინციპების დაუფლება არის სწორედ ის ძირითადი პროცესი, რომლის გზითაც ხორციელდება კავშირი განათლებასა და პოლიტიკურ სოციალიზაციას შორის. აღსანიშნავია, რომ განათლების დონე დიდ გავლენას ახდენს ინდივიდის მიერ პოლიტიკური რეალობის აღქმაზე. განათლებულ და ნაკლებადანათლებულ ადამიანებში პოლიტიკური რეალობის აღქმა შესამჩნევად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დღეს ყველა ქვეყანაში პოლიტიკური აღზრდის მნიშვნელოვანი ნაწილი სკოლაში მიმდინარეობს. ამგვარი აღზრდის მიზანი ერთდროულად ნორმატიული და ინფორმაციულია. ეს მიზანი რეალიზდება სასწავლო პროგრამების, რიტუალებისა და ინფორმირების ჩარჩოებში. „სასწავლო პროგრამა თითქმის ყველგან გამოიყენება, როგორც პატრიოტულ ფასეულობათა განმტკიცებისა და ათვისების საშუალება. განსაკუთრებით ისტორიის იმ პერიოდის გაცნობისა და ათვისების შედეგად, რომელიც განადიდებს ქვეყნის ისტორიულ წარსულს, ამართლებს არსებულ წყობას, ნერგავს აზრს ერის დიდი პერსპექტივებისა და მომავლის შესახებ. სამოქალაქო აღზრდის სხვადასხვა მეთოდის მეშვეობით, „კეთილსინდისიერი“ მოქალაქის ფორმირება – აი, სასწავლო პროგრამათა საერთო მიზანი მათ პოლიტიკურ ნაწილში“ (იქვე, 169).

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალგაზრდული ოგანიზაციები. ყოფილ საბჭოთა კავშირში, როგორც ტოტალიტარულ საზოგადოებში, ახალგაზრდულ გაერთიანებათა თვითორგანიზებაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იყო, რამეთუ ახალგაზრდობის ორგანიზება სახელმწიფოს მონოპოლიზებული ჰქონდა. ინდივიდი სწავლის დაწყებისთანავე „ოქტომბრელი“ ხდებოდა ანუ გარკვეული ორგანიზაციის დაქვემდებარების ქვეშ ექცეოდა. მართალია, ამგვარი რამ არ შეინიშნება თანამედროვე დასავლურ ქვეყნებში, რამეთუ ევროპასა და აშშ-ის ახალგაზრდობა თვითორგანიზდება (უფლება აქვთ შექმნან საკუთარი ინტერესების გამომხატველი ორგანიზაციები) ფორმალურ და არაფორმალურ ქვეჯგუფებად, მაგრამ აქაც არსებობს „ზემოდან“ შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში. ამგვარი ორგანიზაციები, მართალია, ჩვეულებრივ მიმართულია საერთო ხასიათის სოციალიზაციაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი უკლებლივ ხელს უწყობენ პოლიტიკური ღირებულების ნორმებისა და ინფორმაციების პოპულარიზაციას. ისეთი ორგანიზაციები, – აღნიშნავს პ.შარანი, – როგორცაა ამერიკული „ბოისკაუტები“, „გერლსკაუტები“, „ამერიკის მომავალი ფერმერები“ – ძირითადად უნივერსალური სოციალიზაციის გამტარებელთა როლში გვევლინება, მაგრამ თითოეული მათგანი ასევე დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე საკითხებს. სხვა ორგანიზაციები – „ახალგაზრდა რესპუბლიკელები“, „ახალგაზრდა დემოკრატები“ – პოლიტიკურად ორიენტირებული ორგანიზაციებია. თითოეული მათგანი ნერგავს იდეალურ წარმოდგენებს მოქალაქეობაზე, ხელს უწყობს ამერიკულ ფასეულობათა ინდოქტრინაციას – გამტკიცებას. პრიორიტეტული ფასეულობანი მოიცავს: კერძო საკუთრების პატივისცემას, ყაირა-



თიანობას, თვითკონტროლს, საკუთარი თავის იმედს, მოვალეობის გრძნობას, კეთილ საქმეებს, პირად ცხოვრებას, თავაზიანობას, რელიგიისადმი პატივისცემას.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, ასევე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პოლიტიკურ პარტიებს; აღნიშნავენ, რომ ისინი ხელს უწყობენ მოქალაქეთა პოლიტიკურ განათლებას. პარტიები ამომრჩევლებთან კონტაქტის დამყარებისას ხარჯავენ უზარმაზარ დროსა და ენერჯიას, აგრეთვე სხვა რესურსებსაც. მართალია, პოლიტიკურ პარტიათა ძირითადი მიზანი არჩევნებში გამარჯვებაა, მაგრამ ისინი ამ პროცესში ხელს უწყობენ იმ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური დისკუსიის საგანთან, არჩევნებში მონაწილე კანდიდატებსა და პარტიებთან. პარტიები ამომრჩევლებს სთავაზობენ ღირებულებათა (ფასეულობათა) და ნორმათა განსაზღვრულ სისტემას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათი მიზანი სოციალიზაციაა. რაც შეეხება პოლიტიკურ აღზრდას, ეს არც არის პარტიათა მუდმივი საქმე, რამეთუ ისინი დიდი ხნის განმავლობაში უშუალოდ არ ზემოქმედებენ ინდივიდთა ცნობიერებასა და მსოფლმხედველობაზე.

პარტიები ცდილობენ უზრუნველყონ თავიანთ წევრთა ერთგულება. ამასთან დაკავშირებული ღირებულებების დანერგვა და ინფორმაციის გავრცელება ერთადერთი წვლილი არ არის, რომელიც მათ შეაქვთ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში. როგორც ევროპელი სოციოლოგები აღნიშნავენ, ამერიკული პარტიები ქადაგებენ აგრეთვე ამერიკული ცხოვრების წესის უპირატესობას. ორივე მთავარი პარტია ღრმად ეროვნულია და ორივე მხარს უჭერს იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იარსებონ და იმოქმედონ. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პარტიას აქვს სიმბოლიკა, ისინი პატივს სცემენ ეროვნულ გმირებს, დროშას, ეროვნულ ჰიმნს, ღმერთს შესთხოვენ, რომ ამერიკა სწორ გზაზე დააყენოს; თითოეული მათგანი თავის თავს მთელი შეერთებული შტატების წარმომადგენლად თვლის. საინტერესოა ის, რომ ამ პარტიათა კანდიდატები თავიანთ თავზე ლაპარაკობენ არა როგორც დემოკრატებსა და რესპუბლიკელებზე; ისინი, პირველ რიგში, ჯერ არიან ამერიკელები და მხოლოდ ამის შემდეგ – პარტიის წევრები. ამგვარად, ამერიკული პოლიტიკური პარტიები ხელს უწყობენ თავის წევრებში ერთგულებისა და მომხრეობის გრძნობათა აღზრდას და ამავე დროს - სოციალურ ინტეგრაციას.

დასავლეთის ქვეყნების უმრავლესობაში განსაკუთრებულ როლს პოლიტიკურ სოციალიზაციაში ასრულებს ინტერესთა ჯგუფები. პოლიტიკურ პარტიათა მსგავსად, ისინი დაინტერესებული არიან საზოგადოების მონიფულ წევრთა განათლების დონის ამაღლებით. როგორც პოლიტიკურ პარტიებს, ისე ინტერესთა ჯგუფებს აინტერესებთ მათი ჯგუფის წევრების ღირებულებითი ორიენტაციები და ასევე იმ პირების, რომლებიც მათი გავლენის სფეროს მიღმა იმყოფებიან. ისინი უშვებენ ბიულეტენებსა და გაზეთებს პოლიტიკური რუბრიკებით, რათა ჯგუფის წევრებს მიაწოდონ ინფორმაცია პოლიტიკურ ხდომილებებზე. ხშირად ისინი ინვევენ თანამდებობის პირებს ან უნივერსიტეტის მასწავლებლებს

პოლიტიკურ პრობლემატიკაზე მოხსენების გასაკეთებლად, ზოგჯერ ატარებენ ღონისძიებებს, რათა პოლიტიკაში ჩართონ ჯგუფის წევრები. ამერიკელი მკვლევარის როზემანის აზრით, „ინტერესის ჯგუფები უკვე იმის ძალით, რომ არიან პოლიტიკური სისტემის ნაწილი, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პოლიტიკურ სოციალიზაციაში. ისინი ამ პროცესში სპეციალიზებულ ბიუროკრატიად იქცნენ. სხვა სიტყვებით, ინტერესის ჯგუფები ეწევიან პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესის რაციონალიზაციას მათთვის საინტერესო ასპექტით. საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმ პროგრამებს, რომლებიც მათი ამოცანების რეალიზაციისათვის აუცილებელ კალაპოტში წარმართავენ საზოგადოებრივ აზრს. ინტერესთა ზოგიერთი ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ პრეტენზიას აცხადებს პატრიოტიზმზე – აფართოებს საგანმანათლებლო საქმიანობის მასშტაბებს და ქადაგებს ისეთ ღირებულებებს, როგორცაა ერთგულება და მოქალაქეობრივი აქტივობა“ (იქვე, 172).

ადამიანთა უმრავლესობა თავისი ცხოვრების საკამოდ დიდ დროს თანატოლ, ანალოგიური სტატუსისა და საერთო შეხედულებების მქონე ადამიანთა, ანუ ე.წ. ახლობელთა ჯგუფსა თუ წრეში ატარებს. სკოლის მეგობრები, კოლეგები, ნათესაური „კლანები“ – წარმოადგენენ ახლობელთა თუ მონათესავე ჯგუფთა ნათელ ნიშნებს. განვითარებულ ქვეყანათა უმრავლესობაში მშობელთა და მასწავლებელთა მასოციალიზებლი გავლენა უკვე ადრეული მოზარდობის ასაკში სუსტდება და ამ მომენტიდან დაწყებული, სწორედ მონათესავე ჯგუფები ახდენენ ძლიერ ზეგავლენას მოზარდთა პოლიტიკური შეხედულებებისა და ქცევის ფორმირებაზე. ინდივიდის ასაკობრივ ცვლილებასთან ერთად ადრინდელი მონათესავე ჯგუფთა გავლენა იცვლება ახლით, რომელიც უკვე კოლეგებისაგან, მეზობლებისაგან და, უწინარეს ყოვლისა, ახალი ოჯახური გარემოცვიდან მომდინარეობს.

პ. შარანის აზრით, „ასაკი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში მონათესავე ჯგუფთა ზემოქმედებაზე ოთხი ასპექტით ახდენს გავლენას, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია შემდეგ გარემოებასთან: 1. თუ ვისთან სწავლობ; 2. როგორია ნათესაური ურთიერთქმედებების პირობები და ხარისხი; 3. როგორია ცოდნის არსებული მარაგი; 4. ახალი ცოდნის ათვისება“ (164, ტ. 2, 172).

კლასობრივი მიკუთვნებულობა ორი გზით შეიძლება გამოვლინდეს მონათესავე ჯგუფთა მასოციალიზებელი ზეგავლენის პროცესში. პირველი, დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელი მშობელი შეიძლება უკვე აღარ წარმოადგენდეს მოზარდისათვის ავტორიტეტს ინფორმაციის წყაროს სახით, რაც იწვევს მონათესავე ჯგუფის მზარდ გავლენას. მეორე, კლასობრივი კუთვნილების თანაფარდობასა და ნათესაური გარემოცვის ზეგავლენას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საშუალო კლასისათვის. დაბალი სოციალური ფენიდან გამოსული ბავშვები, სხვადასხვა კლასის გარემოცვაში მოხვედრისას, ჩვეულებრივ, ეგუებიან და ითვისებენ საშუალო და არადაბალი კლასის ნორმებს.

ყოველ ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყანაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასრულებენ უშუალო (და კიდევ უფრო მნიშვნელოვან გა-

შუალეზულ) როლს ძირითადი პრივილეგიებისა (უპირატესობების) და შეხედულებების ფორმირების დროს. ეს როლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს განვითარებად ქვეყნებში, რადგან იქ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (სკოლასთან შედარებით) საუკეთესო მექანიზმია რეჟიმებისათვის, რომლებიც ცდილობენ შეცვალონ მოქალაქეთა ტრადიციული ორიენტაცია და ქცევა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ძლიერი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ადამიანთა დიდ მასაზე დროის უმოკლეს მონაკვეთში. ადამიანთა დიდი მასის ახალი ორიენტირებით აღჭურვა ძნელი ამოცანაა და მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში მომუშავე პროფესიონალებს არ უნდა ავინყდებოდეთ, რომ ამ დროს დამლუპველია სიჩქარე და წარსულთან კავშირის სწრაფი განყვეტა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ინდივიდთა სოციალიზაციის უმოკლესი და საუკეთესო გზაა. პოლიტიკურ სოციოლოგთა და განვითარებადი ქვეყნების ლიდერთა უმრავლესობა სწორედ მასში ხედავენ პოლიტიკური მოდერნიზაციის გადამწყვეტ ფაქტორს.

**პოლიტიკური ელიტა და დემოკრატია**

ზოგადი განმარტებით ელიტა არის საზოგადოების ის ნაწილი, ანუ უმცირესობა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს სოციუმის პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში. ვ. პარეტოსა და გ. მოსკას აზრით, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა უმცირესობა, რომელიც მბრძანებლობს და მართავს უმრავლესობას; სხვაგვარად, ის არის ორგანიზებული და განსაკუთრებული თვისებების მქონე ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც მადომინირებელი ადგილი უჭირავს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომ ხშირად ელიტარულობის ქვეშ გულისხმობენ არა ზნეობრივი ან ინტელექტუალური უპირატესობებისა თუ თვისებების ფლობას, არამედ ძალაუფლებრივ დომინანტს. **„ელიტა – ესაა ჯგუფი, რომელიც საზოგადოებაში ფლობს მნიშვნელოვნად მეტ ძალაუფლებას, ვიდრე სხვები“** (164, ტ. 2, გვ.84). ელიტა ახდენს გადაწყვეტილებათა მიღების ფუნქციის მონოპოლიზებას ან საზოგადოებაში სარგებლობს უპირატესი გავლენით. პოლიტიკური ელიტა არ არის საზოგადოდ ელიტის ერთადერთი ფორმა, რამეთუ მის გვერდით არსებობენ ადამიანები, რომლებიც საზოგადოებაში ყველაზე მაღალი პრესტიჟით, სტატუსით, სიმდიდრით სარგებლობენ, გამოირჩევიან ადამიანთა მასისაგან მორალური და ინტელექტუალური უპირატესობებითა და თვისებებით. ამიტომ, ისინი პოლიტიკურ ელიტასთან ერთად საზოგადოების ელიტას შეადგენენ.

კონკრეტულ საზოგადოებაში საზოგადოდ ელიტის, კერძოდ კი, პოლიტიკური ელიტის იდენტიფიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს რეალური, სოციალური და პოლიტიკური მექანიზმების გასაგებად. ფართო გაგებით, ელიტა მოიცავს იმ ადამიანებს, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში საგრძნობ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

ელიტის ცნების თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. პირველნი მას განსაზღვრავენ როგორც ერთიან ჯგუფს, რომელსაც უკავია საკომანდო და სტრატეგიული მნიშვნელობის პოსტები საზოგადოებაში; მეორენი ელიტას განიხილავენ, როგორც იმ პირთა ერთობლიობას, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას, სიმდიდრეს, პრესტიჟს და ცნობილნი არიან; მესამენი მას განიხილავენ, როგორც საზოგადოების უმაღლეს ფენას; მეოთხენი იყენებენ რა მორალურ და ფსიქოლოგიურ კრიტერიუმებს, ელიტას განსაზღვრავენ, როგორც რჩეულ პიროვნებათა ერთ-ერთ სახეს. ელიტას განეკუთვნებიან ნებისა და ენერჯიის განსაკუთრებული ძალის მქონე ადამიანები. ჩამოთვლილი კონცეფციებიდან:

– **პირველი ელიტას** განმარტავს ძირითად ინსტიტუტებში მისი პოზიციის სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით და იმ სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით, რომელსაც ეს ინსტიტუტები ქმნიან;

– მეორე ოპერირებს სტატისტიკური მონაცემებით ელიტის წევრთა მიერ იმ განსაზღვრული ფასეულობების ფლობის თაობაზე, რომელიც აღებულია ინდიკატორთა სახით;

– მესამე ელიტას განიხილავს, როგორც ადამიანთა ერთიან დარაზმულ და შეკრულ ჯგუფს;

– მეოთხე კი, ელიტას განიხილავს ადამიანის პიროვნების განსაზღვრული ტიპების მორალური შეფასებების თვალსაზრისით.

მაშასადამე, „პირველი კონცეფციისათვის მთავარი საკითხია ის, თუ რას მეთაურობენ ისინი, მეოთხისათვის – რასაც ისინი, როგორც ადამიანები სინამდვილეში წარმოადგენენ“ (100, გვ. 487).

ელიტის ჩამოთვლილი კონცეფციებიდან საყურადღებოა: აქსიოლოგიური, ანუ ღირებულებითი, ფუნქციონალური და ინსტიტუციონალური თეორიები. მოკლედ, განვსაზღვროთ თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელი პოსტულატები.

**აქსიოლოგიური თეორიის** თანახმად, ელიტა ეს არის საზოგადოების უმაღლესი ფენის შემადგენელი ნაწილი, რომელიც საზოგადოების დანარჩენი წევრებისაგან გამოირჩევა იმ განსაკუთრებული თვისებებით, რომელსაც მათთვის მოაქვთ ძალაუფლება და პრესტიჟი. ამდენად, ამა თუ იმ პიროვნების ელიტარულობა განისაზღვრება, თუ რამდენად ფლობს იგი უმაღლეს უნარებსა და მაჩვენებლებს საზოგადოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროში. ამ თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელია ვ. პარეტო, რომელიც თვლიდა, რომ ამ უნარებისა და ფასეულობების ფლობა გამოარჩევს ელიტას მასისაგან. იგი ასე აყალიბებს თავის ძირითად აზრს: „დავუშვათ, რომ ადამიანური საქმიანობის ყოველ სფეროში თითოეულ ინდივიდს ენიჭება გამოცდის შეფასებების მსგავსად, მისი ნიჭისა და უნარების ინდექსი (მაჩვენებელი, – ა.ბ.). მაგალითად, ყველაზე საუკეთესო სპეციალისტს ეძლევა ინდექსი 10, ისეთს, ვინც ახერხებს ერთი კლიენტის მიღებას, – 1, დაბოლოს, კრეტინს – 0. იმას, ვინც შეძლო მილიონის დაგროვება (მნიშვნელობა არა აქვს პატიოსანი თუ უპატიოსნო გზით) – 10, ათასი ლარის გამომმუშავებელს – 6, იმას, ვინც შიმშილით კვდება – 1, ხოლო იმას, ვინც ღარიბთა თავშესაფარში იმყოფება – 0.

საყურადღებოა, რომ მსჯელობა ეხება ფაქტობრივ და არაპოტენციურ მდგომარეობას.

**„ამგვარად, – წერს იგი, – ჩვენ შევადგენთ იმათ კლასს, ვისაც ყველაზე მაღალი ინდექსი (მაჩვენებელი – ა.ბ.) აქვს თავისი საქმიანობის სფეროში, რომელსაც ჩვენ ვუნოდებთ რჩეულ კლასს, ელიტას“ (22, გვ. 60-61).**

მაშასადამე, ელიტა შედგება იმ ინდივიდებისაგან, რომლებიც ფლობენ იმის მაქსიმუმს, რაც ადამიანებს გააჩნიათ: სიმდიდრეს, ძალაუფლებას, პრესტიჟსა და ამ ფასეულობების ფლობით განსაზღვრულ ცხოვრების წესს.

ფსიქოლოგიურ-ღირებულებითი თეორიის კრედო ყველაზე ნათლად გამოთქვა ხოსე ორტეგა-ი-გასეცმა შრომაში „მასების ამბოხი“. იგი ელიტას

განსაზღვრავს, როგორც რჩეულ პირთა ერთობლიობას, რომელსაც მასები-საგან გამოარჩევს ნებისა და ენერჯის განსაკუთრებული ძალა, თავის თავზე აღმატების სურვილი, კეთილშობილება. ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, მდიდრები არიან ისინი თუ ღარიბები, უკავიათ მაღალი მდგომარეობა – ისინი რჩეულნი არიან თავიანთი პიროვნული, ზნეობრივი, ინტელექტუალური, თვისებების გამო. ელიტა ღირსია ფლობდეს იმას, რაც გააჩნია, სწორედ მათთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების გამო. ამ თეორიის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანები „თავისი ბუნების მიხედვით“ შეადგენენ ელიტას და მათი სიმდიდრე და პრივილეგიები მათივე რჩეულობისა თუ გამორჩეულობის ბუნებრივი გაგრძელებაა. ამგვარად, ელიტა ეს არის მაღალი ზნეობრივი და ინტელექტუალური თვისებების მფლობელ ადამიანთა ჯგუფი.

ელიტის ჩამოყალიბება ხდება არა ძალაუფლების, სიმდიდრის, პრესტიჟის მოპოვებისათვის ბრძოლაში, არამედ იგი არის საზოგადოების მიერ მისი ყველაზე ღირსეული და ფასეული წარმომადგენლების ბუნებრივი შერჩევის შედეგი.

ელიტასა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არის არა ბატონობისა და მორჩილების, არამედ მმართველისა და მართულის დამოკიდებულება, სადაც ხაზი ესმება ხელმძღვანელობას, რომელიც დაფუძნებულია მართულთა მხრივ თანხმობას, ნებაყოფლობით მორჩილებასა და ძალაუფლების მქონეთა ავტორიტეტზე.

ელიტარულობა საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირების პირობაა.

აქსიოლოგიურ-ღირებულებითი თეორიის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ელიტარულობა არათუ არ ეწინააღმდეგება თანამედროვე დემოკრატიას, არამედ, პირიქით, აუცილებელია მისი ეფექტური ფუნქციონირებისათვის. საზოგადოებაში მუდამ იქნებიან „ჩემპიონები“ და „აუტსაიდერები“, რაც განპირობებულია ადამიანთა ნიჭის, უნარებისა თუ ენერჯის უთანაბრობით. დემოკრატიული საზოგადოება ადამიანებს აძლევს შანსს, სასტარტო პირობების თანასწორობას, ზოგი სათანადოდ სარგებლობს ცხოვრების ამ წესით, ზოგი კი სრულიად ვერ იყენებს მას, ამიტომ შესაბამისად შედეგებიც განსხვავებულია და უნდა იყოს კიდევც.

**ფუნქციონალური თეორია** ამოდის პოლიტიკურად ორგანიზებულ საზოგადოებაში ელიტის ფუნქციონალური „გარდუვალობის თეზისიდან“. ისინი თვლიან, რომ შეიძლება საზოგადოება მართო ხალხის სახელით, მაგრამ არა ხალხის მეშვეობით. ხალხს მისი რაოდენობისა და არაორგანიზებულობის გამო არ ძალუძს მართვის ფუნქციის თავის თავზე აღება. თვისება, რომელიც განსაზღვრავს ელიტისადმი კუთვნილებას, მდგომარეობს საზოგადოებრივი პროცესების მართვის ფუნქციის შესასრულებლად აუცილებელ მაღალ კვალიფიკაციაში. ელიტა არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ კვალიფიკაციას, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული ხელმძღვანელი პოზიციების დასაკავებლად საზოგადოებაში. მისი უპირატესობა საზოგადოების სხვა წევრებზე ვლინდება იმაში, რომ ელიტის შემადგენელ პიროვნებებს

ძალუძთ მართონ ან გავლენა მოახდინონ მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური პროცესების მართვაზე.

ფუნქციონალისტების მიხედვით, ელიტა არ არის ერთიანი, პრივილეგირებული და დარაზმული ჯგუფი. დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც ძლიერია სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტები, ძალაუფლება ნაკლებ კონცენტრირებულია, იგი განაწილებულია მრავალ განსხვავებულ ჯგუფსა თუ ინსტიტუტს შორის, რაც ხელს უშლის მყარი მბრძანებელი ელიტის ჩამოყალიბებას.

იმდენი ელიტა არსებობს, რამდენიც საზოგადოებისათვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საქმიანობის სფეროა. თითოეული ასრულებს თავის ფუნქციებს ისე, რომ არც ერთს არ ძალუძს იყოს მადომინირებელი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. ელიტათა სიმრავლე განპირობებულია სოციალური სტრუქტურების მრავალგვარობით. სოციალური სტრუქტურის შესაბამისად, საზოგადოებაში თითოეული ჯგუფი ქმნის საკუთარ ელიტას, რომელიც იცავს მის ინტერესებს და, ამავე დროს, აქტიურად ზემოქმედებს თავად მასზე. ადგილი აქვს ელიტათა კონკურენციას, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით შეარჩიოს ყველაზე კვალიფიციური და კომპეტენტური ხელმძღვანელობა – მმართველი ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებითა და ცხოვრებაში გატარებით. ამგვარად, ფუნქციონალისტების თვალსაზრისით, ელიტები ასრულებენ მმართველობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ფუნქციებს. დემოკრატიისათვისაც კი ელიტა (ელიტები) აუცილებელია, რამეთუ უზრუნველყოფს ხალხის მიერ არჩეული ხელმძღვანელების თვისებრივად მაღალ შემადგენლობას. მმართველი ფენა არა მხოლოდ ფლობს მართვისთვის აუცილებელ თვისებებს, არამედ გვევლინება დემოკრატიულ ფასეულობათა დამცველად. მაღალი თვისებებისა და უნარების მქონე ელიტათა მონაცვლეობა – როტაცია, მუდმივად ცვლად საზოგადოებრივ ცხოვრებაში, განაპირობებს თავად დემოკრატიის სოციალურ ღირებულებასა და ფასს.

**ინსტიტუციური თეორია.** მისი ფუძემდებელია ჩარლზ რაიტ მილსი, რომელმაც თავის წიგნში „მბრძანებელი ელიტა“ ნათლად გადმოსცა ინსტიტუციონალური მიდგომის უპირატესობა, საზოგადოდ ელიტის გაგებაში. ზოგიერთი ავტორი ელიტის რ. მილსისეულ გაგებას კლასიკურ კონცეფციასაც კი უწოდებს. დასაწყისშივე შეიძლება ითქვას ამ თეორიის ერთი უპირატესობის შესახებ, იგი ელიტათა სოციოლოგიური კვლევის სოლიდური ბაზაა, რომელიც უზრუნველყოფს ელიტათა ემპირიულ იდენტიფიკაციას.

ინსტიტუციონალური თეორია ელიტას განმარტავს ძირითადად ინსტიტუტებში მისი პოზიციების სოციალური მნიშვნელობისა და იმ სოციალური სტრუქტურის თვალსაზრისით, რომელსაც ეს ინსტიტუტები ქმნიან. ელიტის განმარტების საფუძველში დევს ძირითადად სოციალურ ინსტიტუტებში მის მიერ დაკავებული პოზიციების კუთხით განხილვა. რ. მილსის აზრით, **„მბრძანებელი ელიტა შედგება ისეთ პოზიციებზე მყოფი ადამიანები-**

საგან, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მათ ამაღლდნენ ჩვეულებრივ ადამიანთაგან შემდგარ გარემოზე და მიიღონ უდიდესი შედეგების მქონე გადანყვეტილებები“ (100, გვ. 24). იღებენ თუ არა ისინი გადანყვეტილებებს – ეს ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე თავად ასეთი საკვანძო პოზიციების ფლობის აქტი. ცნობილ მოქმედებებსა და გადანყვეტილებებზე უარის თქმაც კი თავისთავად წარმოადგენს მოქმედებას, რომელსაც ხშირად უფრო დიდი შედეგები მოჰყვება, ვიდრე მათ მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს. ეს მილსის აზრით, განპირობებულია იმიტომ, რომ ისინი განაგებენ და ხელმძღვანელობენ თანამედროვე საზოგადოების ყველაზე მნიშვნელოვან იერარქიულ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს. ისინი ხელმძღვანელობენ მსხვილ კორპორაციებს, მართავენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მექანიზმებს და პრეტენზიებს აცხადებენ მის პრეროგატივებზე. ელიტა მართავს სამხედრო უწყების საქმიანობას, უკავია სტრატეგიული საკომანდო პუნქტები სოციალურ სისტემაში, მათ ხელში თავმოყრილია ნამდვილი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ძალაუფლებას, სიმდიდრეს, პრესტიჟს და რომლებითაც მისი შემადგენელი ინდივიდები სარგებლობენ.

ელიტა – ეს არის ერთიანი, შეკრული და ძლიერი ჯგუფი, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე. ამ სიძლიერის გასაღები იმ პიროვნების ინდივიდუალურ მახასიათებლებში კი არ უნდა ვეძიოთ, რომლებიც გადანყვეტილებებს იღებენ, არამედ – თანამედროვე საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებში. სწორედ „ეს იერარქიული ინსტიტუტები – სახელმწიფო, კორპორაციები, არმია – ქმნიან ძალაუფლების იარაღებს. როგორც ძალაუფლების იარაღებს, მათ ახლა აქვთ ისეთი მნიშვნელობა, როგორც ჯერ კიდევ არ ჰქონიათ კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში“ (100, გვ. 26-27). მილსი აკეთებს სწორ მეთოდოლოგიურ მითითებას: ამ იერარქიათა მწვერვალზე იმყოფება თანამედროვე საზოგადოების საკომანდო პუნქტები, რომელთა გამოვლენა გვაძლევს საზოგადოების უმაღლეს წრეთა თუ ელიტათა როლის გაგების სოციოლოგიურ გასაღებს.

ამ მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე მილსი აკრიტიკებს ელიტის თეორიებს, რომლებიც ელიტარულობის მიზეზად ინდივიდთა უნარებს, სიმდიდრესა და პრესტიჟს ასახელებენ. ერთ-ერთი თეორიის თანახმად, მმართველი ელიტა უბრალოდ შედგება იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ფლობენ იმის მაქსიმუმს, რაც ადამიანებს გააჩნიათ: ფულს, ძალაუფლებას, პრესტიჟს, აგრეთვე ამ დოვლათთა ფლობით განსაზღვრულ ცხოვრების წესს. მაგრამ, შენიშნავს მილსი, ელიტის შემადგენელი ადამიანები – უბრალოდ ისინი კი არ არიან, ვისაც ყველაზე მეტი აქვთ; „მათ არ ექნებოდათ „ყველაზე მეტი“, რომ არ ეჭირათ თავისი განსაკუთრებული პოზიციები მნიშვნელოვან სოციალურ ინსტიტუტებში, ვინაიდან ეს ინსტიტუტებია ძალაუფლების, სიმდიდრის, პრესტიჟის აუცილებელი საფუძველი და ამავე დროს, ძალაუფლების განხორციელების, სიმდიდრის მოპოვებისა და შენარჩუნების, პრესტიჟზე ყველაზე მაღალი პრეტენზიების რეალიზაციის იარაღი“ (100, გვ. 31-32).



ძლევამოსილ, ძალაუფლების მქონე ადამიანებს ჩვეულებრივ უწოდებენ იმათ, ვისაც შესაძლებლობა აქვთ აღასრულონ და გაიტანონ საკუთარი ნება იმ შემთხვევაში, როდესაც მას სხვები წინააღმდეგობას უწევენ. ამგვარი ძლევამოსილებისა თუ ძალაუფლების მრავალი წყარო და საფუძველი არსებობს, მაგრამ, მილსის აზრით, მათგან ყველაზე ძირითადია სოციალური ინსტიტუტები. მაშასადამე, ვერავინ ვერ იქნება ნამდვილად ძლიერი და ძალაუფლების მქონე, „თუ მას საქმე არ აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ინსტიტუტების მართვასთან, ვინაიდან ნამდვილად ძლიერ ადამიანთა ძალაუფლება, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ ისინი განაგებენ ძალაუფლების ამ საზოგადოებრივ იარაღებს“ (100, გვ. 32). ამ იარაღებს კი ფლობენ მაღალი თანამდებობის მქონე პოლიტიკური მოღვაწეები, მსხვილი ჩინოვნიკები, გენერლები, უმსხვილეს კორპორაციათა მთავარი აქციონერები და ხელმძღვანელები. მართალია ისიც, რომ მთელი ძალაუფლება არ ემყარება ასეთ ინსტიტუტებს, არც მათი საშუალებებით ხორციელდება იგი მთლიანად, მაგრამ მილსი კარგად აცნობიერებს, რომ მხოლოდ ამ ინსტიტუტებში და მხოლოდ მათი მეოხებით შეუძლია ძალაუფლებას ხანგრძლივი და სერიოზული მნიშვნელობის იყოს.

მილსი სოციოლოგიური თვალსაზრისით სწორად აკრიტიკებს ელიტის იმ თეორიასაც, რომელშიც მისი წევრები წარმოდგენილია, როგორც უმაღლესი სოციალური ფენის წევრები, როგორც ჯგუფები, რომლებიც იცნობენ, ხვდებიან საზოგადოებაში, დაკავშირებულნი არიან საქმიანი ურთიერთობებით და ამიტომ ანგარიშს უწევენ ერთმანეთს გადაწყვეტილებების გამოტანის დროს. ასეთი კონცეფციის თანახმად, ელიტა თავად გრძნობს და სხვების მიერაც აღიქმება, როგორც უმაღლეს სოციალურ კლასებს შიგნით წარმოქმნილი ცენტრალური ბირთვი. ამ კონცეფციის თანახმად, ელიტა შეადგენს მეტ-ნაკლებად კომპაქტურ სოციალურ და ფსიქოლოგიურ მთელს. მათთვის დამახასიათებელია ელიტარულობის ცნობიერება. იგი მეტ-ნაკლებად აცნობიერებს საკუთარ თავს, როგორც სოციალურ კლასს. ისინი ერთმანეთთან უფრო სხვაგვარად იქცევიან, ვიდრე სხვა კლასის წარმომადგენლებთან. ისინი კეთილად ეპყრობიან, უგებენ ერთმანეთს, ქორწინდებიან ერთმანეთს შორის, ესწრაფვიან იმას, რომ იმოქმედონ და იფიქრონ თუ ერთობლივად არა, მაშინ უკიდურეს შემთხვევაში, ერთნაირად მაინც.

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ დღეს არსებული ელიტებისაგან ერთეულებმა თუ შეინარჩუნეს თავიანთი არისტოკრატიულობა. მრავალი ისტორიული მიზეზი არსებობს იმისა, რომ დავასკვნათ, თუ ასეთი ელიტა არსებობს, მაშინ ის მკვეთრად განსხვავდება იმ არისტოკრატიული გვარებისაგან, რომლებიც ოდესღაც მართავდნენ მსოფლიოს ქვეყნებს. ასეთი მმართველი ფენის არსებობის შესახებ წარმოდგენა დაკავშირებულია ვარაუდთან, რომ მისი წევრების უმრავლესობა გამოირჩევა სოციალური წარმოშობით, მთელი მათი ცხოვრების მანძილზე ისინი ინარჩუნებენ არაოფიციალურ კავშირებს ერთმანეთთან და რომ არსებობს სიმდიდრის, ძალაუფლების, დიდების განმგებელ იერარქიაში საკომანდო პოსტებზე ადამიანთა ცნობილი გადაადგილებები. მილ-

სი დამაჯერებლად აკრიტიკებს ამ კონცეფციასაც და ნათლად აჩვენებს, რომ არა სოციალური წარმომავლობა, არა ნაცნობობა თუ კავშირები, არამედ მათ ელიტარულობას განსაზღვრავს იმ საკომანდო პოსტების დაკავება, რომლებიც მათ ჩვენ მიერ უკვე აღწერილ ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში უჭირავთ.

მილსი, ასევე, საფუძვლიანად აკრიტიკებს თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ელიტა არის რჩეულ პიროვნებათა გარკვეული სახე, რომ ელიტას შეადგენენ ნებისა და ენერჯის განსაკუთრებული ძალის მქონე ადამიანები. თეორიტიკოსს, რომელსაც სოციოლოგიური მოვლენები ადამიანის ბუნებისაგან გამოჰყავს, – წერს იგი, – ელიტის ქვეშ შეუძლია იგულისხმოს არა რომელიმე სოციალური ფენა ან სოციალური კატეგორია, არამედ ერთეული, ერთმანეთისაგან სრულიად ცალკე მდგომი ინდივიდუუმები, რომლებიც უფრო კეთილშობილი, ენერჯული და ვარგისიანი მასალისაგან არიან შექმნილნი, ვიდრე სხვა ადამიანები. მნიშვნელობა არ აქვს სიმდიდრეს ან სიღარიბეს – ისინი რჩეულნი არიან თავიანთი გამორჩეული პიროვნული თვისებების გამო.

ეს კონცეფცია უარყოფს ელიტის სოციალურ ბუნებას, მაგრამ მისი ნაირსახეობა: მორალური თუ ფსიქოლოგიური კონცეფციები ეხება არა ცალკეულ პიროვნებას, არამედ მთლიანად ფენას, ანუ ელიტას. მილსი პოულობს ამ თეორიის განმაპირობებელ სოციალურ მექანიზმებს. მისი აზრით, წარმოდგენა „რჩეულ ადამიანებზე“ მუდმივად წარმოიშობა იმ საზოგადოებაში, სადაც ზოგიერთი ადამიანი ფლობს გაცილებით იმაზე მეტს, ვიდრე სხვა დანარჩენი.

**„ასეთი უპირეტესობების მქონე ადამიანებს არ სურთ იფიქრონ, რომ მათ ეს უპირატესობები სავსებით შემთხვევით ერგოთ. ისინი ხალისით ასკვნიან, რომ ღირსნი არიან ფლობდნენ იმას, რასაც ფლობენ მათთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების გამო. თვლიან, რომ ისინი „თავისი ბუნების მიხედვით“ წარმოადგენენ ელიტას და ნამდვილად წარმოისახავენ, რომ მათი სიმდიდრე და პრივილეგიები მათი რჩეული პიროვნულობის ბუნებრივი გაგრძელებაა“** (100, გვ. 39). ასეთ შემთხვევაში ელიტის განმარტება, როგორც მაღალი ზნეობრივი თვისებების მქონე ადამიანების ჯგუფისა, მართლაც, რომ ხშირად არის ელიტის, როგორც პრივილეგირებული მმართველი ფენის იდეოლოგიური იარაღი, დამოუკიდებლად იმისაგან, ეს იდეოლოგია თავად ელიტისაგანაა შექმნილი თუ სხვებმა შეუქმნეს მას.

მილსი კარგად აცნობიერებს იმ გარემოებასაც, რომ წარმოდგენა ელიტაზე, როგორც გამორჩეულ პიროვნებათა ჯგუფზე, ყოველთვის არაა განსაკუთრებულად პრივილეგირებული კლასთა ხელში, მხოლოდ იდეოლოგიური ფორმულა. იგი ხშირად შეესაბამება სინამდვილეს: **„არიან საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონნი და ფლობენ განსაკუთრებულ პრივილეგიებს, საზოგადოების უმაღლესი ფენის მრავალი წარმომადგენელი დროთა განმავლობაში ნამდვილად იძენს იმ სულიერ თვისებებს, რომელიც ძალიან უახლოვდება იმათ, რომლის მატარებლადაც ისინი საკუთარ თავს აცხადებენ“** (100, გვ. 40). არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მთელი მათი ცხოვრებისეული გამოცდილება და ვარჯიში უმუშავებთ მათ სპეციფიკურ სულიერ – გონით წყობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ სანამ ელიტა ცოცხლობს და იფურჩქნება, როგორც კლასი ან როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელსაც უკავია საკომანდო პოზიციები, მანამ იგი შეარჩევს და ჩამოაყალიბებს ადამიანებს, რომლებსაც მისთვის მისაღები სულიერი ნყოფა ექნებათ, სხვა სულიერი ნყოფისა და ყაიდის პიროვნებებს კი უარყოფს.

თავად რ. მილსი ელიტის საკუთარ-ინსტიტუციურ გაგების არსს შემდეგნაირად აყალიბებს: „ჩემი კონცეფციის არსი დაიყვანება მტკიცებულებაზე, რომ ისტორიულ გარემოებათა დამთხვევამ ჩვენი განსაკუთრებული ეპოქა მიიყვანა თანამედროვე მბრძანებელი ელიტის წარმოქმნასთან, რომ ელიტის წარმომქმნელი წრეების შემადგენელი ადამიანები ჩვენს ეპოქაში იღებენ (თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად) მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს და რომ ძალაუფლების ახლა არსებული იარაღების გაძლიერებისა და ცენტრალიზაციის შედეგად, მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ან ცნობილი გადაწყვეტილებებიდან გადახვევას თან ახლავს უფრო სერიოზული შედეგები და ესებიან ადამიანთა უფრო მნიშვნელოვან მასას, ვიდრე როდესმე კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე“ (100, გვ. 58).

ელიტათა ზემოთ ჩამოთვლილ კონცეფციებს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ მილსის ინსტიტუციონალური თეორია გადაჭარბებით აფასებს ელიტის როლს თანამედროვე დემოკრატიულ და ძლიერი სამოქალაქო ინსტიტუტების მქონე საზოგადოებაში, ეს თეორია სოციალური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით, უფრო ეფექტური და ევრისტიკული მნიშვნელობისაა. ამ თეორიის ეფექტურობა ერთ პრაქტიკულ და ორ თეორიულ უპირატესობაში გამოიხატება. პრაქტიკული უპირატესობაა, რომ იგი არის ყველაზე ადვილი და რეალური გზა, რომელიც საშუალებას გვაძლევს შევადნოთ მთელი პრობლემის „თავად შუაგულში“, თუნდაც იმიტომ, რომ ასეთი წრეების შესახებ სოციოლოგიური გააზრებებისათვის არსებობს მეტნაკლებად მისაღებო მიჯნობრივი მონაცემების დიდი რაოდენობა.

უფრო მნიშვნელოვანია თეორიული უპირატესობები. ძირითადი სოციალური ინსტიტუტების პოზიციებიდან ელიტის განსაზღვრებას, უწინარეს ყოვლისა, ის უპირატესობა აქვს, რომ იგი არ გვაიძულებს წინასწარ გამოვიცნოთ თავად განსაზღვრებაში ისეთი საგნები, რომლებიც ჩვენ ვალდებული ვართ ღიად დავტოვოთ გამოკვლევისათვის. მაგალითად, შენიშნავს მილსი, ელიტის მორალურ-ფსიქოლოგიური განმარტება, როგორც განსაზღვრული სოციოლოგიურ-გონით ნყოფით გამორჩეულ ადამიანთა ჯგუფისა, არ არის საბოლოო, რადგან მას უშუალოდ მივყავართ ახალ კითხვასთან, თუ რატომ აქვთ ამ ადამიანებს ესა თუ ის ხასიათი. ამიტომ ჩვენთვის უმჯობესი იქნება ღიად დავტოვოთ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სულიერ-გონით ნყოფას ფლობენ სინამდვილეში ელიტის შემადგენელი პირები, ვიდრე განვსაზღვროთ ელიტა ამა თუ იმ სულიერ გონითი ნყოფის ნიშნის მიხედვით. მეორე თეორიული უპირატესობა ინსტიტუციონალური გაგებისა ისაა, რომ იგი საშუალებას იძლევა თანმიმდევრულად მივუჩინოთ ელიტის დანარჩენ კონცეფციებს სათანადო ადგილი:

1. „ადამიანთა მიერ მთელი ცხოვრების განმავლობაში დაკავებული უმთავრესი პოზიციები განსაზღვრავენ განსაკუთრებით ფასეულ ცხოვრებისეულ დოვლათთა შექმნისა და შენარჩუნების მათეულ შანსებს;

2. მათი ფსიქიკა მნიშვნელოვანი ზომით განისაზღვრება იმ ფასეულობებით, რომლებსაც ისინი ამის შედეგად ფლობენ და იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებენ ძირითად სოციალურ ინსტიტუტებში;

3. დაბოლოს, საკითხი იმის შესახებ, აცნობიერებენ თუ არა ისინი რჩეული საზოგადოებრივი კლასისადმი თავიანთ კუთვნილებას, მოქმედებენ თუ არა იმის შესატყვისად, რასაც ისინი ამ კლასის ინტერესებად თვლიან, რეალურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ზომით წყდება ძირითადად სოციალურ ინსტიტუტებში მათ მიერ დაკავებული ადგილით, აგრეთვე იმ რჩეული ფასეულობებით, რომლებსაც ისინი ფლობენ, იმ ადამიანთა სულიერი წყობით, რომელიც ნაჩვენებია ფაქტორების გავლენით ყალიბდება“ (100, გვ. 488).

ამგვარად, თუ გავაღრმავებთ ელიტის ინსტიტუციონალური გაგების დადებით მომენტებს პოტენციურ და მარეალიზებელ ძალაუფლებათა შორის განსხვავების, გადანყვეტილებათა მიღების მნიშვნელობის საფუძველზე, მაშინ ნებისმიერი ელიტის იდენტიფიკაციის კრიტერიუმი აღმოჩნდება ძალაუფლების რესურსთა არსებობა და მათი გამოყენება მნიშვნელოვანი და მასშტაბური შედეგების მქონე გადანყვეტილებების მისაღებად. ელიტას შეიძლება მივაკუთვნოთ უმაღლეს წრეთა ის წარმომადგენლები, რომლებიც მართავენ საზოგადოების სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სოციალურ ინსტიტუტებს და რომელთა მიერ მიღებულ გადანყვეტილებებს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. ამგვარად, ელიტას შეადგენენ ის ადამიანები, რომლებსაც სტრატეგიული მდგომარეობა უჭირავთ უმთავრეს საზოგადოებრივ თუ კერძო ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში: ეკონომიკაში, სამთავრობო სტრუქტურაში, პარტიებში, სამხედრო ადმინისტრაციაში, რელიგიურ ორგანიზაციებში, პროფკავშირებში, პარტიებში, განათლებისა და კულტურის სისტემაში, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში და სხვ. ამ სტრატეგიული პოზიციების დაკავებისას ისინი საკმაო გავლენას, ავტორიტეტსა და ძალას უნდა ფლობდნენ იმისათვის, რათა მათზე იყოს დამოკიდებული გადანყვეტილებების მიღება და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება.

ელიტათა ზემოთ განხილული თეორიები, შეიძლება ითქვას, ავსებენ ერთმანეთს და მათი პრინციპების ერთმანეთზე დამატება, ისე რომ, მადომინირებელი მნიშვნელობა ინსტიტუციონალურ კონცეფციას ექნება, შესაძლებლობას მოგვცემს ობიექტურად შევისწავლოთ და განვსაზღვროთ ელიტის სახეები და მათი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**ელიტათა სახეები.** ინსტიტუციონალური მიდგომა საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ისეთ გარდამავალ პერიოდში მყოფ საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია, შემდეგი ელიტები: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, მეცნიერულ-აკადემიური, ლიტერატურულ-მხატვრული, სპორტული და

სხვ. ამგვარად, არსებობს არა ელიტა მხოლოდით რიცხვში, არამედ ელიტები, რომელთაგან თითოეულს თავისი როლი და დანიშნულება აქვს საზოგადოებაში.

დღეს საქართველოში ყველაზე მეტად გამოკვეთილია პოლიტიკური ელიტა; ნელა, მაგრამ ნათლად იკვეთება ეკონომიკური ელიტა; ჩამოყალიბების პროცესშია სამხედრო და რელიგიური ელიტები. ძველი იდეოლოგიური ელიტა თანდათანობით კარგავს პოზიციებს და ადგილს უთმობს ინტელექტუალთა ელიტას, რომელიც ძირითადად მასმედიის, პოლიტოლოგთა და ყოფილ დისიდენტთაგან წარმოდგება.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში ერთმანეთისაგან განასხვავებენ **„პოლიტიკურ კლასს“** და **„პოლიტიკურ ელიტას“**, რათა კარგად დავინახოთ თუ ვინ მართავს საზოგადოებასა და ფუნდამენტურად გავერკვეთ ელიტისა და დემოკრატიის დამოკიდებულებაში. **„პოლიტიკურ კლასს შეადგენს ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ჯგუფები, რომელიც უშუალოდ ანგაჟირებულია (განმსჭვალულია – ა. ბ.) პოლიტიკური ლიდერებისათვის ბრძოლით...“**

**პოლიტიკური ელიტა – ესაა პოლიტიკური კლასის ის ნაწილი, რომელიც რეალურად იყენებს ძალაუფლებას მოცემულ საზოგადოებასა და მოცემული დროის მონაკვეთში“** (100, ტ. 1, გვ. 107). ასეთი გამიჯვნა გვეხმარება, რათა კარგად განვასხვაოთ ძალაუფლებრივი რესურსების პოტენციური ფლობა მისი აქტუალიზაციისაგან. დავინახოთ, რომ ზოგჯერ პოლიტიკურ კლასს უფრო მეტი საზოგადოებრივი წონა აქვს, ვიდრე პოლიტიკურ ელიტას. მაგრამ პოსტ-საბჭოური საზოგადოების სპეციფიკა ისეთია, რომ უმჯობესია, ვილაპარაკოთ უფრო **„მმართველ კლასზე“**, ვიდრე პოლიტიკურ კლასსა და ელიტაზე, რამეთუ ტრადიციულად ჩვენთან ყველაზე მეტად ერწყმოდა ერთმანეთს პოლიტიკა და მართვა, პოლიტიკოსი და ბიუროკრატი... **„მმართველი კლასის“** ცნების ქვეშ შეიძლება ვიგულისხმოთ ფართო ადმინისტრაციული – მმართველი ფენა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობის სტატუსის მქონე ჯგუფისადმი კუთვნილების ძალით მონოპოლიური უფლება აქვს პოლიტიკურ კარიერასა და საქმიანობაზე. **„მმართველი კლასის“** დამახასიათებელია: ძალაუფლებრივ უფლებამოსილებაზე განსაკუთრებული პრივილეგიების არსებობა და საკუთრებისა და ძალაუფლების შერწყმა. რაც უფრო გაიმიჯნება ერთმანეთისაგან ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, მით უფრო დამაჯერებლად შეგვეძლება ვთქვათ, რომ ყალიბდება დამოუკიდებელი პოლიტიკური ელიტა, რომელმაც დაიკავა ის სტრატეგიული ადგილი, რომელიც საშუალებას მისცემს მას გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღებაზე.

**პოლიტიკური ელიტა და დემოკრატია.** ერთი შეხედვით, ეს ორი ცნება თითქოს შეუთავსებელია და გამორიცხავს ერთმანეთს. თუ ერთისთვის დამახასიათებელია ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ საზოგადოების მართვაზე ყურადღების გამახვილება, მაშინ მეორე ხალხის როლზე აკეთებს აქცენტს. თითქოსდა ელიტარულობა ძირს უთხრის დემოკრატიის მთავარ პრინციპებს. აქ ნამდვილადაა პრობლემა და სიძნელე, მაგრამ არა დაუძლეველი. რ. არონის აზრით, მონოლითური ელიტის არსებობა ნიშნავს თავისუფლების დასასრულს,

ხოლო სუსტ და წვრილ-წვრილ ჯგუფებად დაშლილი ელიტა კი – სახელმწიფოს დასასრულს. ამგვარად, ელიტა აუცილებელია, მაგრამ ამ ორი უკიდურესობისაგან თავისუფალი. დემოკრატია თავისუფლად განვითარდება მაშინ, როდესაც ელიტათა დიფერენციაციას მივყავართ ცალკეულ ძალაუფლებრივ ცენტრთა შორის შეჯიბრსა და ელიტათა შორის სოლიდარობასთან, რომელიც პოლიტიკური თამაშის საფუძველმდებარე პრინციპებისა და წესების შესახებ კონსენსუსში გამოიხატება. უპირველესი და ყველაზე რელევანტური მოთხოვნები, რომლებიც წაყენება ელიტას დემოკრატიის პირობებში, შემდეგია: **„პლურალიზმი, ელიტათა განცალკევებულ ჯგუფთა არსებობა, ცალკეულ ელიტარულ ჯგუფთა ავტონომიურობა და ერთმანეთისაგან შედარებით დამოუკიდებლობა, დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრების ბაზისურ ღირებულებათა და ძირითად წესთა შესახებ კონსენსუსი“** (82, ტ. 1, გვ. 115). მიუხედავად ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ ელიტარული კონცეფციები არ არის ის თეორიული ბერკეტი, რომელიც საშუალებას მოგვცემდა დემოკრატიის პოტენციალი სრულად გამოგვეყენებინა.

ელიტათა ეფექტურ მოქმედებას მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ განაპირობებს სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის არსებული ნათელი დიფერენციაცია. თვით ისეთ დემოკრატიულ ქვეყანაშიც კი, როგორც აშშ-ია, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტთა და მოქალაქეთა ძირითადი მასის **„ინერტულობა“** (რ. მილსი) იწვევს **„მბრძანებელი ელიტის“** გაძლიერებასა და სოციალური და პოლიტიკური მოქმედების ერთადერთ ფაქტორად ქცევას. მაშ, რაღა უნდა ვთქვათ ჩვენ, რომლებმაც გამოვიარეთ ტოტალიტარიზმის ისეთი აღზევების გრძელი პერიოდი, რომ საზოგადოება თითქმის მთლიანად დაიკარგა სახელმწიფოს არტახებში. ახლანდელი პროცესები კარგად ავლენს **„მმართველ კლასსა“** და **„პოლიტიკურ ელიტას“**, მაგრამ ცუდად მოსჩანს საზოგადოება. დღეს **„იგი ასიმილირებული კი არაა, არამედ იგნორირებულია, გათქვეფილი კი არაა, არამედ წარმოდგენილია“** (82, ტ. 1, გვ. 117). და ისე რომ არ მოხდეს, რომ დარჩნენ მხოლოდ წარმომადგენლები, ე.ი. ელიტა, ხოლო საზოგადოება **„ინერტულ“** და აპათიურ წარმონაქმნად არ დარჩეს, აუცილებელია ელიტათა პლურალიზმთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებისა და აქტიური, პარტისიპატორული, ანუ მონაწილეობითი პოლიტიკური კულტურისა და უშუალო დემოკრატიისა და თვითმმართველობის მექანიზმთა განვითარებაც.

## ინტელექტუალური ელიტა და კალაუფლება

დღეს საქართველოში მიმდინარე ტრანსფორმაციული პროცესები მეტ-ნაკლებად ქართული სოციუმის თითქმის ყველა სეგმენტს მოიცავს. მაგრამ ეს პროცესები ნელა მიმდინარეობს. არადამაკმაყოფილებლად ვითარდება საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული დანესებულებებისა თუ ინსტიტუტების ტრანსფორმაცია ლიბერალური დემოკრატიისა

და საბაზრო ეკონომიკის განვითარების მიმართულებით. ყველაზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საზოგადოების პოლარიზაციის ანუ ძალიან მდიდარ უმცირესობად და ძალიან ღარიბ უმრავლესობად დიფერენციაციის პროცესი. ხელსაყრელი პოლიტიკური პირობების არ არსებობისა გამო ძალიან ნელი ტემპით ვითარდება საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესი, რაც თავის მხრივ დაღს ასვამს ქვეყნის დემოკრატიული მიმართულებით განვითარებას. სიტყვით დემოკრატიას ალტერნატივე არ აქვს, მაგრამ რეალურად ჯერჯერობით ძალიან სუსტია ის სოციალური თუ ინტელექტუალური ძალები, რომლებიც ძირეულად არიან დაინტერესებული საბაზრო ეკონომიკის ანუ თავისუფალი მენარმეობისა და დემოკრატიის განვითარებით. ასეთ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ყველაზე აქტიური და წარმართველი სოციალური ჯგუფის-ელიტის ცალკეული სახეების მოქმედებას და მათ შორის ჯანსაღ კონკურენციას. მონოლითური ელიტა მოასწავებს თავისუფლების დასასრულს, ხოლო არაორგანიზებული, დაქსაქსული კი – სახელმწიფოებრიობის დასასრულს (რ.არონი). ამიტომ საქართველოსთვის, რომელიც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოებრიობის შენების პროცესშია, ელიტათა სხვადასხვა ჯგუფების ფორმირებასა და შემდგომ განმტკიცებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თუ მოვიშველიებთ სოციოლოგიური თვალსაზრისით უფრო მისაღებ ელიტის ინსტიტუციონალურ განსაზღვრებას, რომელიც ელიტათა ცალკეული ჯგუფების ემპირიული იდენტიფიკაციის კარგ საშუალებას გვაძლევს, მაშინ საშუალება გვექნება წარმოვადგინოთ ელიტა როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომლის წევრებსაც სტრატეგიული მნიშვნელობის პოზიციები და პოსტები უჭირავთ საზოგადოებაში და რომლებიც საგრძნობ ზეგავლენად ახდენენ საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებების მიღების პროცესზე. თუ ამ თვალსაზრისით მივუდგებით ჩვენი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის კვლევას, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ნათლად გამოიკვეთა პოლიტიკური ელიტა, თავისი პოზიცია-ოპოზიციით, საკმაოდ მძიმედ იკვეთება ეკონომიკური ელიტა, რომელიც ძველი საბჭოური ბიუროკრატიის კაპიტალის ტრანსფორმაციასთანაა დაკავშირებული. ჯერ კიდევ ძალაუფლება რჩება საკუთრების საფუძვლად და არა პირიქით. შეინიშნება ტენდენცია, როდესაც ბიზნესმენები პოლიტიკას „აფარებენ“ თავს, ხოლო პოლიტიკოსები ბიზნესიდან ცდილობენ „წილის“ მიღებას. საკმაოდ სუსტია რელიგიური, სამხედრო და პროფკავშირული ელიტები. არც ძველი იდეოლოგიური ელიტა არ თმობს თავის პოზიციებს. ახალი ინტელექტუალური ელიტა, რომელიც უმეტეს წილად ყოფილი საბჭოური ინტელიგენციის ყველაზე ინტელექტუალური ნაწილის: მეცნიერების, ხელოვნების დარგის მუშაკების, ფილოსოფოსების, მასმედიის ყველაზე გავლენიან, ავტორიტეტულ პოლიტოლოგთა და ყოფილ დისიდენტთა წარმომადგენლებისაგან შედგება.

ინტელექტუალებიც ძალიან ნელა აღწევენ თავს პოლიტიკური ინტერესების სფეროს და რომელიმე დაჯგუფების იდეოლოგებად გვევლინებიან. უფრო მეტ-

იც აქტიურ პოლიტიკოსებადაც კი გვევლინებიან. გასაგებია, რომ ინტელექტუალებმა დიდი როლი ითამაშეს საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოქმნაში. მაგრამ თანდათანობით დგება პროფესიონალ პოლიტიკოსთა დრო და ინტელექტუალები ისევე როგორც ბიზნესმენები, სამხედროები, ძალოვნები პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ და ჩამოყალიბდნენ ელიტად უკვე თავიანთი საქმიანობის სფეროში.

სახელმწიფო თავისი ბიუროკრატიული აპარატისა და იდეოლოგიების დახმარებით ქმნის მოქალაქეთა აზროვნების და მოქმედების მოდელებსა თუ კონცეფციებს, მაგრამ ეს მისთვის არტეფაქტია, მაშინ როდესაც ყოველ ნორმალურ საზოგადოებაში არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომლისათვისაც ადამიანების აზროვნებისა და მოქმედების მოდელების თუ კონცეფციების ქმნადობა ხელოვნური ფაქტი კი არაა, არამედ მისი ძალაუფლებისა თუ ძლევამოსილების ძირითადი განზომილებაა – ესაა სწორედ ინტელექტუალური ელიტა, ადამიანურ „ფიქრთა მბრძანებელი“. იმ ზომით, რა ზომითაც მისი ყველაზე ღირსეული წარმომადგენლები წარმართავენ ადამიანთა ფიქრებსა და ოცნებებს, ეხმარებიან მათ რთული სულიერ-გონითი პრობლემების გადაჭრაში, ინტელექტუალური ელიტა იძენს დამოუკიდებლობას და ავტონომიურობას, აღიარებას და ლეგიტიმურობას.

დღესდღეისობით საქართველოში ადამიანთა აზროვნებისა და მოქმედების საკვანძო ცნებებს და მოდელებს მეტ-ნაკლები წარმატებით ქმნის თავისუფალი მასმედია. შთამბეჭდავია პოზიციათა პლურალიზმი და აქტუალობა. მასმედიის ზოგიერთი ბეჭდვითი თუ ელექტრონული საშუალება ვერ ჩამოყალიბდა თავისუფალ და დამოუკიდებელ „მეოთხე ხელისუფლებად“. შედარებით მოკრძალებულია პროფესიონალ ფილოსოფოსთა და სოციოლოგთა როლი ამგვარ საკვანძო ცნებათა წარმოების პროცესში. თითქმის არ არსებობს რეგულარული პერიოდული გამოცემები თუ არ ჩავთვლით ჟურნალ „ცხელ შოკოლადს“, რომელიც წარმატებით ასრულებს თავის ინტელექტუალურ ფუნქციას. ასევე სუსტია რელიგიურ თემებზე წარმართული ინტელექტუალური ძალისხმევები.

მაშინ როდესაც ჩვენი საზოგადოების შემადგენელ ინდივიდთა აზროვნებისა და მოქმედების ისეთ აუცილებელ საკვანძო ცნებებს, როგორებიცაა: „სტაბილურობა“, „კეთილდღეობა“, „დერეფანი“, „წავთობსადენი“, დემოკრატიზაცია „სინგაპურიზაცია – შვეიცარიზაცია“ და სხვა ჯერ კიდევ სახელმწიფო და მისი იდეოლოგიები ქმნიან და საკმაოდ წარმატებითაც. თავისუფალ, „დაუინტერესებელ“ ინტელექტუალთა რაოდენობა საქართველოში ძალიან მცირეა. რაზეც დიდ გავლენას ახდენს: აზროვნების ინერცია, ძველი წყობისადმი ნოსტალგია, შინაგანი ცენზორი, მატერიალური სიდუხჭირე, კრიტიკისადმი შეუწყნარებლობა და დევნაც კი, როდესაც კრიტიკულ გამოსვლათა ავტორები, ლამისაა ერისა და სახელმწიფოს მოღალატედ შერაცხონ.

ამის გამოა, რომ დღეს მრავალი ინტელექტუალი ვერ ინარჩუნებს „დაუინტერესებლობის“ (ის მხოლოდ „დაუინტერესებლობით“ უნდა იყოს დაინტერესე-



ბული) და ღიად დგება ხელისუფლების თუ ოპოზიციის, ან რომელიმე სოციალური ჯგუფის ინტერესების სამსახურში და გვევლინებიან იდეოლოგთა როლში.

იდეოლოგისაგან განსხვავებით ინტელექტუალის სოციალური ფუნქცია იყოს ხელისუფლების კრიტიკოსი, ინტელექტუალი შეუძლებელია ჯგუფური ინტერესების შესაბამისად აზროვნებდეს. მან „დიაგნოზი“ უნდა დაუსვას დღევანდელობას, ანმყოს. ინტელექტუალის საქმე არ არის ასწავლოს ან უკარნახოს სხვებს თუ რა უნდა აკეთონ, არც ის, რომ სხვების პოლიტიკურ ნებას ფორმა მისცეს, ამას იდეოლოგებიც კარგად აკეთებენ, არამედ ის, რომ იმ ანალიზის დახმარებით, რომელსაც ის ეწევა თავისი საქმიანობის სფეროში, ხელახლა გადახედოს, გაიზიაროს ის დაშვებები, პოსტულატები და გარკვეულობანი, რომლებიც თავისთავად ცხადი და გასაგებია გვეჩვენებიან, შეარყიოს ადამიანთა აზროვნებისა და მოქმედების გაქვავებული ჩვევები და წესები, გაფანტოს ის, რაც მიღებულია ცნობილის, აღიარებულის სახით, კვლავ და კვლავ გადააფასოს დადგენილებები და წესები. სწორედ ამ „რე-პრობლემატიზაციიდან“ ამოსვლით, როგორც ინტელექტუალმა მონაწილეობა მიიღოს რომელიმე პოლიტიკური ნების ფორმირებაში (ახლა უკვე როგორც მოქალაქემ).

ინტელექტუალის სოციალური ფუნქცია კრიტიკული აზროვნებაა, რომელიც როგორც ჰ. ჰორკჰაიმერი შენიშნავს „ნებისმიერი ინტელექტუალური და პრაქტიკული ძალისხმევის, გაბატონებული იდეების, ცხოვრების წესისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების ურეფლექსიოდ, ჩვეულების შესაბამისად მიუღებლობაში მდგომარეობს“. „ძალისხმევა მიმართული საკუთარი აზრებისა და სხვების აზრების შეცვლაზე არის კიდევ ინტელექტუალის ყოფიერების საზრისი“ (მ. ფუკო).

ამგვარად, პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, რომელიც მოქმედების კაცია, ინტელექტუალი გონის კაცია. პოლიტიკოსი რეალისტია, მაშინ როდესაც ინტელექტუალი რეალურს განიხილავს შესაძლებლობათა უფრო ფართო კონტექსტში. პოლიტიკოსი პრაგმატისტია, რომელიც მიზნის მისაღწევად ირჩევს ოპტიმალურ სტრატეგიას, მაშინ როდესაც ინტელექტუალი ამუშავებს შესაძლებელ ალტერნატივებს. პოლიტიკოსი აშენებს საზოგადოებას, ინტელექტუალს ეჭვი შეაქვს მასში, მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგი უფრო უკეთესი და ჰუმანური გამოვიდეს.

ამგვარად, ინტელექტუალთა ელიტის მისია პოსტ-კომუნისტურ სოციუმში საზოგადოებრივი აზრის სახელმწიფოს შექმნაა, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოუკიდებლად იაზროვნებს. მსგავსი სტილისა და წესის გამოუმუშავებასა და განმტკიცებაში უაღრესად მნიშვნელოვანია ინტელექტუალის როლი. მაგრამ იმისათვის, რომ ინტელექტუალურმა ელიტამ შეძლოს თავისი სოციალური ფუნქციის წარმატებით შესრულება, აუცილებელია რაღაც დონით პლურალიზმის, განსხვავებულ აზრთა შემწყნარებლობის ატმოსფეროს არსებობა საზოგადოებაში. ასევე აუცილებელია ინტელექტუალი იყოს არა მხოლოდ შინაგანად, სულიერად ავტონომიური და დამოუკიდებელი, არამედ მატერიალურად უზრუნველყოფილი, რათა თავი დააღწიოს მატერიალური ცხოვრების ცენზურას და სოციალური ჯგუფების ინტერესთა გავლენას.

**პოლიტიკური ლიდერი: რაობა და ფუნქციები**

ლიდერობა ისეთივე ძველი ცნებაა, როგორც კაცობრიობა. იგი უნივერსალური და გარდუვალია, არსებობს, ყველგან, სადაც კი რამდენიმე ადამიანი გაერთიანებულია საერთო მიზნებითა და ინტერესებით – არაფორმალურ ორგანიზაციებში, კომპანიებსა და ქუჩის ბანდაში, მასობრივ დემონსტრაციებში. იმისათვის, რათა იარსებოს ლიდერობამ, აუცილებელია ჯგუფის არსებობა და ყველგან, სადაც წარმოიქმნება ჯგუფები, ვლინდებიან კიდევ ლიდერები.

ლიდერობის მრავალი სახე და ასპექტი არსებობს, მაგრამ მათგან ყველაზე გამორჩეული და მნიშვნელოვანი პოლიტიკური ლიდერობაა. ასეთ შემთხვევაში, პოლიტიკურ ლიდერს შეუძლია დაიკავოს სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობები და თავისი გავლენა მთლიანად გაავრცელოს საზოგადოებაზე. მისი ავტორიტეტი ასევე შეიძლება გაცდეს საკუთარი ქვეყნის ფარგლებს და საერთაშორისო აღიარებაც კი მოიპოვოს.

რა არის პოლიტიკური ლიდერობა? უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იგი არსობრივად და ფორმით ძალაუფლების ფენომენია. როგორც უ. ბლონდელი წერს: **„ლიდერობა – ესაა ძალაუფლება, იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს „მწვერვალზე“ მყოფი ერთი ან რამდენიმე პირის უნარს, აიძულოს სხვები გააკეთოს ის პოზიტიური ან ნეგატიური, რასაც ისინი არ გააკეთებდნენ ან საბოლოო ჯამში, შეეძლოთ არ გაეკეთებინათ საზოგადოდ“** (33, გვ. 397). ამ განსაზღვრებაში არ ჩანს, რომ ლიდერობასთან კავშირი აქვს ძალაუფლების არა ყველა სახეს. მასთან უშუალო შეხება აქვს მხოლოდ იმ ძალაუფლებას, რომელიც ხორციელდება მთელ ერსა თუ ხალხზე. ამგვარად, პოლიტიკური ლიდერობა შეიძლება განვსაზღვროთ **„როგორც ძალაუფლება, რომელსაც ახორციელებს ერთი ან რამდენიმე ინდივიდი იმ მიზნით, რათა ერის წევრები სამოქმედოდ განაწყოს“** (33, გვ. 388).

პოლიტიკური ლიდერი – ესაა ეროვნული მასშტაბის ლიდერი და ამიტომ „მცირე ჯგუფის“ ლიდერისაგან განსხვავებით, ახასიათებს უნიკალურობა, რომელიც გამოირჩევა:

1. **დისტანციურობით**, ანუ ლიდერს და მის მიმდევრებს არა აქვთ პირდაპირი და უშუალო კონტაქტები ერთმანეთთან, მათი დამოკიდებულება გაშუალებულია მასობრივი კომუნიკაციებით, ორგანიზაციებით, მოხელეებით და ა.შ.
2. **მრავალროლოზობით**. პოლიტიკური ლიდერი ასრულებს მრავალ როლს: ორიენტირებულია მის უშუალო გარემოცვის, პოლიტიკური პარტიების, ბიუროკრატიული აღმსრულებელი აპარატისა, დაბოლოს, ფართო მასების მოლოდინებზე. მისი უმთავრესი ამოცანაა შეინარჩუნოს ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფი როლები განსაზღვრულ წონასწორობაში.

**3. კორპორაციულობით.** მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ლიდერობა ინდივიდუალურია, იგი, ამავე დროს, გამოირჩევა დიდი ან მცირე კორპორაციული ხასიათით, რამეთუ იგი მაინც არის „ორგანიზებული აქტიურობის პროდუქტი“.

გამოხატავს რა ადამიანთა დიდი ჯგუფების, მთელი ერის ინტერესებსა და განწყობილებებს, პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზემოქმედება იქონიონ ხდომილებათა მიმართულებებზე და რაც უფრო სრულად გამოხატავს იგი ხალხის ინტერესებს, მით უფრო მეტად ავლენს ლიდერი თავის პიროვნულ თვისებებს, რაც მას სოციალური პროცესის სუბიექტად აქცევს.

ამგვარად, პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს ძალაუფლების მქონე ერთი ან რამდენიმე პირის მუდმივ პრიორიტეტულ და ლეგიტიმურ გავლენას მთელ საზოგადოებაზე, სახელმწიფოზე, ორგანიზაციასა და სოციალურ ჯგუფზე. რა განაპირობებს იმას, რომ ადამიანთა ერთი ჯგუფი იკავებს ძალაუფლებრივ პოზიციებს, მეორენი კი კმაყოფილდებიან ლიდერის ნების, აღმსრულებლის როლით? რა დევს ლიდერობის საფუძველში? რა აძლევს ადამიანს ლიდერობის უნარსა და უფლებას? ლიდერობის ფენომენის ახსნას მრავალი თეორია თუ თეორეტიკოსი ცდილობს, რომელთაგან თითოეულს აქვს როგორც ღირსება ისე, ნაკლი.

**ნიშნების-თვისებების თეორია.** ამ თეორიის მიხედვით ლიდერი არის ადამიანი, რომელიც ფლობს ისეთ განსაზღვრულ თვისებათა ერთობლიობას, რაც გამოარჩევს მას ჩვეულებრივი ადამიანებისაგან. ადამიანის გამორჩეული თვისებების საფუძველზე ეს თეორია ცდილობს ლიდერობის ფენომენის ახსნას. პოლიტიკური ლიდერისათვის დამახასიათებელ თვისებად თვლიან: ინტელექტს, ყურადღების მიქცევის უნარს, კომუნიკაბელურობას, ორატორულ ნიჭს, იუმორის გრძნობას, მახვილგონიერებას, მტკიცე ნებას და მიზანსწრაფულობას, მჩქეფარე ენერგიას, ორგანიზაციულ ნიჭს, კომპენტენტურობას, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს, ფოტო და ტელეგენურობას, გარეგან მიმზიდველობას, ადამიანებში ნდობის მოპოვების უნარს და სხვ. ხშირად ეს თვისებები ერთმანეთს გამორიცხავს. მაგალითად, ერთნი თვლიან, რომ ლიდერი უნდა ფლობდეს დიდ ინტელექტს, გამჭრიახობას, ფუნდამენტური აზროვნების უნარს, ვიდრე მისი ჯგუფის წევრები. მეორენი პირიქით, ხაზს უსვამენ, რომ ბრწყინვალე გონება სრულებითაც არაა აუცილებელი, ვინაიდან მას სჩვევია დაეჭვება, დამოუკიდებლად მოაზროვნე ადამიანებს კი ძალუძთ წინ აღუდგნენ ჯგუფის ზენოლას და ამდენად, გარიყულიც კი აღმოჩნდნენ საზოგადოებიდან, ლიდერები არიან არა მოაზროვნენი, არამედ უპრინციპო კონფორმისტები.

თვისებების თეორია ვერ ითვალისწინებს იმას, რომ სხვადასხვა ეპოქა, განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური ძალები მოითხოვენ ლიდერებს, რომლებიც ამ ზოგად ნიშნებთან ერთად სპეციფიკურ თვისებებსაც უნდა ფლობდნენ. ამ თვისებათა ერთობლიობა მნიშვნელოვნად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორი ისტორიული ეპოქაა, რომელ ქვეყანასთან თუ კონკრეტულ სიტუა-

ციასთან გვაქვს საქმე. დღესაც კი ის პიროვნული თუ სოციალური თვისებები, რომელიც იძლევა პოლიტიკური წარმატების შანსს, არსებითად განსხვავდება, მაგალითად, გერმანიაში, თურქეთში, საქართველოსა და შუა აზიის ქვეყნებში. გარდა ამისა, მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში თავად იწვევს ახალი თვისებების ფორმირებასა და განმტკიცებას, რომელიც აუცილებელია ლიდერის როლის შესასრულებლად, ამასთან, ლიდერის ქცევის სტილი და მანერა გარკვეული სოციალური პირობების ზეგავლენას განიცდის.

**სიტუაციური კონცეფცია.** ამ კონცეფციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ლიდერი ყალიბდება და მოქმედებს სიტუაციის შესაბამისად, რომელიც ქმნის კიდეც მოთხოვნილებას, დაბრკოლებებსა და შესაძლებლობებს ლიდერისა და მისი მიმდევრებისათვის. სიტუაციური თეორია ამოდის ლიდერობის ფარდობითობისა და მრავალგვარობისაგან. ლიდერი განსაზღვრული სიტუაციის ფუნქციაა.

ლიდერობა სოციალურ სიტუაციაზეა დამოკიდებული, ამიტომ ადამიანი, რომელიც ერთ სიტუაციაში აღმოჩნდა ლიდერის ამპლუაში, სავალდებულო არაა, იყოს ასევე ლიდერი სხვა სიტუაციებშიც. სწორედ, კონკრეტული გარემოება და ვითარება განაპირობებს პოლიტიკურ ლიდერთა შერჩევას. ქვეყნის ეკონომიკური, კულტურული, იდეოლოგიური სიტუაცია დიდად განსაზღვრავს იმას, თუ როგორი ტიპის ლიდერებს ექნებათ უპირატესობა. სიტუაცია, რომელიც საქართველოში არსებობდა, 1987-1992 წლებში, მოითხოვდა უფრო ძველი ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ ლიდერს, რომელიც ხალხს ეროვნულ დამოუკიდებლობას მოაპოვებინებდა. ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეცვლილმა ვითარებამ მოითხოვა არა მებრძოლი, არამედ სიტუაციის მასტაბილირებელი და აღმშენებელი ლიდერები. რასაკვირველია, ყველაფერი სიტუაციას არ უნდა „გადავაბრალთ“. ეს კონცეფცია არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ არა მხოლოდ სიტუაცია ბადებს ლიდერს, არამედ ძლიერ პიროვნებასაც ძალუძს სიტუაციის შექმნა. დიდი ლიდერი „გრძნობს“ სიტუაციას და იცის, როდის შეიძლება მისი გამოყენება. მას აქვს უნარი სწორად და თავის დროზე შეაფასოს და შეცვალოს სიტუაცია, იპოვოს მწვავე პრობლემების გადაჭრის გზები და საშუალებები.

**კონსტიტუენტებისა და მიმდევართა თეორია.** იგი ლიდერობის საიდუმლოს ეძებს არა პიროვნებაში, არამედ მიმდევართა მოლოდინებსა და მოთხოვნებში, რომლებიც ამ მოლოდინების შესაბამისად მხარს უჭერენ ან უარყოფენ რეალურ ლიდერებს. ლიდერი ხდება ადამიანი, რომელიც ყველაზე უკეთ ახორციელებს ორიენტაციას სხვებზე. სწორედ, რომ ჯგუფი ირჩევს ლიდერს, რომელიც მის ინტერესებსა და ორიენტაციებს შეესატყვისება. ლიდერს ხელმძღვანელობენ და ძალას აძლევენ მისი მომხრეები და მიმდევრები. კონსტიტუენტთა ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ და ვინინასწარმეტყველოთ პოლიტიკური ლიდერის ქცევა, რომელიც ხშირად თავისი საკუთარი პოლიტიკური სიმპათიებისა და ანტიპათიების საპირისპიროდ მოქმედებს.

„კონსტიტუენტების მეშვეობით ვლინდება გაბატონებული პოლიტიკური კულტურისა და, უპირველეს ყოვლისა, ამომრჩეველთა ღირებულებითი ორიენტაციებისა და მოლოდინების ზემოქმედება პოლიტიკაზე. დემოკრატიულ სახელმწიფოში პოლიტიკური ლიდერების როლის მოსურნე პრეტენდენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ წარმატების იმედი მხოლოდ ხალხის უმრავლესობის მოლოდინებთან მათი იმიჯის დამთხვევის შემთხვევაში“ (128, გვ. 127).

ამასთან დაკავშირებით, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ლიდერის ასეთი გაგება ვერ გვიხსნის ლიდერის მიერ გამოვლენილ ინოვაციებს, დამოუკიდებლობასა და აქტიურობას. თვლიან, რომ თანამედროვე პირობებში ლიდერი ხდება მოხერხებული კონფორმისტი და შემგუებელი ტიპი, ანუ კარიერისტი, რომელიც თავის თავში აყალიბებს იმ თვისებებს, რომელიც კონიუნქტურას შეესაბამება. იგი თავის თავს ეპყრობა, როგორც საქონელს, რომელიც სარფიანად უნდა გაყიდოს. ასეთ ლიდერებს ხშირად „ფლუგერებს“ უწოდებენ. სწორედ მიმდევართა მოთხოვნილებებისა და განწყობილებათა მიმართ შემგუებლობაში, ჯგუფური ზენოლისადმი წინააღმდეგობის გაუნეწვლობაში ხედავს მრავალი მკვლევარი თანამედროვე პირობებში ლიდერობის ფაქტორის შესუსტების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს. სინთეზური თეორია მოითხოვს, გავითვალისწინოთ როგორც პიროვნების თვისებები და სპეციფიკური პირობები, რომელშიც იგი მოქმედებს, ისე ჯგუფისა და მისი წევრების ხასიათიც.

**ფსიქოლოგიური კონცეფციები.** ფსიქოლოგიური მიდგომის მომხრეები თვლიან, რომ ადამიანის ფსიქიკა პირველადია. იგი დევს საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველში და გასაზღვრავს მას. ზ. ფროიდის აზრით, ლიდერობის საფუძველია დათრგუნული ლიბიდო, როგორც უპირატესად სექსუალური ხასიათის არაცნობიერი ლტოლვა. სუბლიმაციის პროცესში იგი ვლინდება შემოქმედებისადმი და მათ შორის ლიდერობისაკენ მისწრაფებაში.

ლიდერობის სუბიექტური მიღება ჯერ კიდევ ბავშვობაში იწყება, როდესაც ბავშვს სჭირდება მფარველობა და მშობელთა ავტორიტეტი. ამ აზრით, სახელმწიფოს ხელმძღვანელის ავტორიტეტი ოჯახის მამის ავტორიტეტის მსგავსია. ფსიქოანალიტიკოსები ლიდერობას განიხილავენ, როგორც ნევროზის განსაზღვრულ სახეს. მათი აზრით, საზოგადოება იყოფა ფსიქიკურად ნორმალურ და არანორმალურ ადამიანებად. სწორედ, ამ უკანასკნელთ ჰქონიათ ლიდერობის უნარი. როგორც გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწეების ბიოგრაფიები გვამცნობს, მათი უმრავლესობა იტანჯებოდა ამა თუ იმ ფსიქიკური გადახრებით. რასაკვირველია, ასეთი მიდგომისას პიროვნების ფსიქიკური თავისებურებების არც აბსოლუტიზება და არც დაუფასებლობა ივარგებს.

ზემოთ გაანალიზებული კონცეფციებიდან ყველას აქვს არსებობის უფლება, რამეთუ ჭეშმარიტების გარკვეულ ასპექტებს ავლენენ, მაგრამ არა მთლიანად ჭეშმარიტებას. ასეთი ვითარება ბადებს სურვილს, გავაერთიანოთ ოთხივე კონცეფციის მონაცემი და შევქმნათ ერთიანი, უნივერსალური თეორია, რომელიც სრულფასოვნად აგვისხნის ლიდერობის რაობას. არის კიდევ ასეთი მცდელობა

ცნობილი ინტერაქციონური ანალიზის სახელით, მაგრამ მას ახალი არაფერი არ მოუცია, თუ არ ჩავთვლით განხილულ თეორიათა ძირითადი დებულებების მექანიკურ გაერთიანებას.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური ლიდერობა რთული და მრავალნახნაგოვანი ფენომენია. მისი გამოვლინებების შესწავლისას მხედველობაში უნდა მივიღოთ **თვითონ ლიდერის ხასიათი**, მისი მომხრეების ამომჩვევლების თვისებები, ლიდერსა და მის კონსტიტუენტებს შორის ურთიერთკავშირი, აგრეთვე ის კონკრეტული სიტუაცია, რომელშიც ლიდერობა ხორციელდება.

### პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგია

პოლიტიკურ ლიდერთა ტიპოლოგიის პრობლემის დამუშავებას მეცნიერული საფუძველი მ. ვებერმა და ვ. პარეტომ ჩაუყარა. ლეგიტიმური ბატონობის ტიპების შესაბამისად, მ. ვებერმა გამოყო პოლიტიკური ლიდერის სამი ტიპი: ტრადიციული, რაციონალურ-ლეგალური და ქარიზმული.

ტრადიციული ტიპის ლიდერის ავტორიტეტი ემყარება ტრადიციის სინდინდესა და უცვლელობას.

რაციონალურ-ლეგალური ტიპის ლიდერის ავტორიტეტი დაფუძნებულია არსებული წესრიგის ლეგიტიმურობასა და ინდივიდის საქმიან კომპეტენციაზე. ასეთ ლიდერებს დემოკრატიული გზით ირჩევენ.

ქარიზმული ლიდერის ავტორიტეტი ემყარება ღვთის მიერ ბოძებული მადლის მფლობელი პიროვნების განსაკუთრებული უნარების რწმენას.

ქარიზმა ყალიბდება ლიდერის რეალური უნარებისა და იმ თვისებებისაგან, რომლითაც აღჭურვავენ მას მისი მიმდევრები. ქარიზმულ ლიდერს მიეწერება ღვთაებრივი უნარი. ურთიერთდამოკიდებულება მას და მის მიმდევრებს შორის ემოციური და შეიძლება ითქვას მისტიკურია. მასებს მოეთხოვებათ ლიდერისადმი, იგივე ბელადისადმი სრული პირადი ერთგულება, რომელიც „ისტორიულ მისიას“ ასრულებს. ქარიზმულ ლიდერთა რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ: მოსე, იესო, კეისარი, მუჰამედი, ნაპოლეონი, ლენინი, ჰიტლერი, სტალინი, მ. განდი, ა. ჰომეინი და სხვები. მ. ვებერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქარიზმული ლიდერის საქმიანობის ანალიზს. იგი ქარიზმასა და ქარიზმულ ლიდერს დიდ გარდამქმნელ რევოლუციურ ძალად თვლიდა საზოგადოებაში, განსაკუთრებით კრიზისულ პერიოდებში. რამდენადაც იგი არ არის დაკავშირებული და დამოკიდებული წარსულზე, ამდენად, ძალუძს მასების მობილიზება საზოგადოების სოციალური განახლების მიზნით. იგი უბრალოდ თავისი არსებობითაც კი იმედსა და რწმენას უნერგავს ხალხს, რომ გარდაქმნებს წარმატებები მოჰყვება. მაგრამ, როგორც სწორად შენიშნავენ, ქარიზმული ლიდერის არსებობა ხშირად ხალხის მასაში ხელს უწყობს პატერნალისტური

ცნობიერების ჩამოყალიბებას, რომლის დროსაც ხალხი მთელი პრობლემების გადანყვეტას, ზრუნვას საკუთარ ყოფიერებაზე ქარიზმულ ლიდერს აკისრებს.

პოლიტიკურ ლიდერთა ვ. პარეტოსეული ტიპოლოგია ნ. მაკიაველის ნააზრევადან გამომდინარეობს. იგი ლიდერებს „ლომებად“ და „მელიებად“ ყოფდა.

**„მელიას“** ტიპის პოლიტიკოსი ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორცაა ლავირების, ხდომილებათა მიმართულების წინასწარ გამოცნობის, თავისი ჭეშმარიტი მიზნებისა და ზრახვების დაფარვის უნარი, ეშმაკია, ფრთხილი და შეუძლია მისთვის დაგებულ ხაფანგებს გვერდი აუაროს, აურ-დაურიოს და დაფაროს საკუთარი კვალი და ა.შ.

**„ლომის“** ტიპის პოლიტიკოსი ყველაზე ხშირად მოქმედებს ძალით, სწორხაზოვნად და ყველაზე ხშირად ებმება ხაფანგში. მისი ძირითადი პრინციპია – მონინალმდეგე დაამარცხოს გადამწყვეტ მომენტში ღია ბრძოლისას. რასაკვირველია, იდეალური ტიპი იქნებოდა პოლიტიკოსი, რომელიც ორივეს თვისებებს ორიგინალურად შეითვისებდა.

დღეს საკმაოდ ბევრს წერენ ლიდერთა ტიპოლოგიზაციის პრობლემებზე, რაც იწვევს მისი კლასიფიკაციის სიძნელეს. ჩვენ უბრალოდ შევეცდებით მათ ჩამოთვლას და მათგან ყველაზე საინტერესოს ანალიზს. ასე მაგალითად, მ. ბერნსი ლიდერებს ორ კატეგორიად, **გარდამქმნელებად** და **საქმოსნებად** ჰყოფს.

ე. ვიატრი იდეოლოგიასთან დამოკიდებულების მიხედვით ასევე გამოყოფს პოლიტიკური ლიდერის ორ ტიპს: **ლიდერი-იდეოლოგი** და **ლიდერი-პრაგმატიკოსი**.

გ. ავცინოვა ძალაუფლებასთან მიმართების მიხედვით გამოყოფს:

**ოპოზიციურ და მმართველ ლიდერს.** მმართველი ლიდერის ტიპს კი ორ ეგოცენტრულ და სოციოცენტრულ ქვეტიპებად ყოფს. დასახული მიზნების მიღწევის გზებისა და მეთოდების შესაბამისად იგი გამოყოფს: **რეფორმატორ ლიდერ-პოლიტიკოსსა და რევოლუციონერ ლიდერ-პოლიტიკოსს.**

საქმიანობის მიხედვით არჩევს ლიდერის ორ ტიპს: იდეოლოგ-პოლიტიკოსსა და ორგანიზატორ პოლიტიკოსს.

სინამდვილისადმი დამოკიდებულების მიხედვით ახასიათებს ლიდერის სამ: **რეალისტის, ფანატიკოსისა და რომანტიკოსის ტიპებს**, დაბოლოს, პოპულარული ლიდერის ტიპს. ხსენებული ტიპოლოგიებიდან ჩვენ ყურადღებას რეალისტის, ფანატიკოსის, რომანტიკოსისა და პოპულისტის ტიპის ლიდერი პოლიტიკოსები იმსახურებენ. როგორც ცნობილია, პოლიტიკა შესაძლებლის ხელოვნებაა. რეალისტი პოლიტიკოსი „**საზოგადოებრივი მოთხოვნილებების ადეკვატური მიზნებისა და ამოცანების წამოყენებისას ამოდის ობიექტური რეალობიდან, როგორი კარგი ან ცუდი არ უნდა იყოს იგი, ძალთა არსებული თანაფარდობიდან, მასების შეგნებულობის დონიდან, დასმული ამოცანების შესასრულებლად მათი მომზადებულობის ხარისხიდან**“ (18, გვ. 520).

**ფანატიკოსი-პოლიტიკოსი** ხელმძღვანელობს თავისი იდეოლოგიური მიზანსწრაფვით, ცდილობს საზოგადოებისათვის იდეების თავს მოხვევას ისე, რომ

ანგარიშს არ უწევს რეალობას. მისი ორიენტაციების საფუძველში ძვეს ძალაუფლებისადმი ზომიერად აღსაყალიბებელი სწრაფვა-მეგალოთიმია. იგი არაფერზე უკან არ იხევს, რათა მიაღწიოს თავის მიზნებს. აქედან, „სხვაგვარად აზროვნების, ნებისმიერი შეკამათების, ძალაუფლების განხორციელების წესებისა და მეთოდების მისეული გაგებისაგან, ამა თუ იმ პრობლემის გადანყვეტიისაგან განსხვავებული წარმოდგენების შეუწყნარებლობა, ყოველივე იმისადმი პათოლოგიური ეჭვი, სიფრთხილე, რაც ეწინააღმდეგება მის მიერ შექმნილ ნიმუშს, შეხედულებას“ (იქვე).

**ლიდერ-რომანტიკოსს** დასაწყისში შეუძლია შთააგონოს, გაიტაცოს ხალხთა მასები რომელიმე ნათელი და მიმზიდველი იდეით, ოცნებების ცხოვრებაში უსწრაფესი განხორციელების დაპირებებით. ასეთი ტიპის ლიდერს არა აქვს განვითარებული შეცვლილ პირობებში ადეკვატური რეაგირებისა და თავისი მოქმედებების კორექტირების უნარი. მაგრამ, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვერ ამჩნევს ცვლილებებს, თუმცა იგი ვერ აცნობიერებს იმას, რომ წამოყენებული იდეის რეალიზაციისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების მომნიჭება და არა უბრალოდ მისი დეკლარირება. ეს გარდუვალი სიძნელებები „**რომანტიკოსს აბნევს, იგი მოქმედებს გაუაზრებლად, ზერელედ. მახვილი გონება, ცვლილების დაუცხრომელი წყურვილი, გაბედულება, რისკისადმი მიდრეკილება, გულსწრაფობა, სიჩქარე, ემოციურობა, დაბნეულობა და სასონარკვეთა პირველივე დაბრკოლებების, სიძნელის შეხვედრისას – რომანტიკოსი პოლიტიკოსის დამახასიათებელი ნიშნებია**“ (18, გვ. 520).

**პოპულიზმი და პოპულისტი პოლიტიკოსები** ყოველ დროსა და ყველა ქვეყანაში არსებობენ, მაგრამ ისინი ყველაზე მეტად აქტიურდებიან საზოგადოებრივი განვითარების გარდამტეხ ეტაპებზე, როდესაც ძველი დაინგრა, ახალი კი ჯერ მყარად დამკვიდრებული არ არის, ისინი მოხერხებულად სარგებლობენ არსებული სიძნელებით და მასზე სპეკულირებენ. პოპულისტი „ბრბოს კერპია“, მის აღფრთოვანებასა და უდიდეს მხარდაჭერას იწვევს. იგი გამოხატავს ფართო მასების რეალურ მოთხოვნებს და მოლოდინებს იმ მასებისა, რომლებიც აქტიურად ებმებიან პოლიტიკურ ცხოვრებაში და ესწრაფვიან ზემოქმედება მოახდინონ ძალაუფლების უმაღლეს ეშელონებზე უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადანყვეტილებების მიღებისას, მაგრამ პოლიტიკურ ეფექტს ხშირად აღწევს იაფფასიანი საშუალებებით, უახლოესი, კერძო შედეგების მოპოვებითა და მიღებულ გადანყვეტილებათა საერთო და გრძელვადიანი შედეგების იგნორირებით. პოპულისტი მოხერხებულად იყენებს საქმის რეალურ ვითარებას ან რომელიმე პოლიტიკური ლიდერით მასების უკმაყოფილებას, არად დაგიდევთ პრობლემების გადანყვეტის ობიექტურ სიძნელებებს და სპეკულირებს რომელიმე იდეით, იქნება ეს პრივილეგიების გაუქმება, უფასო სამედიცინო მომსახურება თუ განათლება, ეროვნული სუვერენიტეტი, პასპორტიდან ეროვნულობის გრაფის ამოღება და სხვ. ხშირად ამარტივებს ურთულეს პრობლემებს და ამით კიდევ უფრო ამძაფრებს ხალხთა მასების უკმაყოფილე-



ბას, სასწაულის მოლოდინს, თითქოს შესაძლებელია მიზანთა სწრაფი მიღწევა ყველაზე მარტივი და უმოკლესი გზით. აქედან ვიღებთ „**რეალისტური, ფხიზელი შეფასებებისა და ფანტასტიკური, არარეალური პროექტების, პროგრამების უცნაურ შერევას. როგორც წესი, პოპულისტი სერიოზულად არ იაზრებს და ანგარიშობს წამოყენებულ ლოზუნგთა პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს**“ (18, გვ. 521).

პოპულიზმის ფართოდ გავრცელების უმთავრესი მიზეზი ჩვენს ქვეყანაში არის ის, რომ ჩვენი ხალხი უკიდურეს სოციალურ და ეკონომიკურ სიდუხჭირეში ჩავარდა, იგი მთელი 70 წლის მანძილზე დაეჩვიოდა სიტყვიერ დაპირებებს, ფანტასტიკურ პროექტებს, „მსოფლიოს გარდაქმნის“ გრანდიოზულ გეგმებს, ლამაზ ტყუილებს. ახლაც ადვილად წამოვეგებით ულტრასოციალურ თუ ეროვნულ დემაგოგიაზე. მაშინ, როდესაც კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ არ უნდა ვერწმუნოთ სოციალური რეფორმის სწორედ იმ პროექტს, რომელშიც ყველაზე დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი ჩვენ წინაშე მდგარი სიძნელეები.

დღეს ყველაზე მიღებულ და გავრცელებულ შეხედულებას ლიდერთა ტიპების შესახებ, მის ორ: **ავტორიტარულ** და **დემოკრატიულ** ტიპებად დაყოფა წარმოადგენს. ამგვარი ტიპოლოგიის შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჯ. მორენოს, როგორც სოციომეტრიის ფუძემდებელს. მართალია, იგი დაინტერესებული იყო სოციალური ჯგუფების მიკროსტრუქტურით და ლიდერობის პრობლემას მცირე სოციალურ ჯგუფებში იკვლევდა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, რათა დაედგინა ლიდერისა და ჯგუფის ურთიერთობის კანონზომიერება. მათი გავრცელება დასაშვებია მაკროსტრუქტურების დონეზეც, კერძოდ, მაშინ, როდესაც საქმე ეხება პოლიტიკური ლიდერისა და სოციუმის ურთიერთობას. ავტორიტარული ლიდერობა დაკავშირებულია ერთპიროვნულ მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებასთან, დაფუძნებულია ძალის გამოყენების მუქარასთან, დემოკრატიული კი გამოიხატება ლიდერის მიერ ჯგუფისა თუ ორგანიზაციის ყველა წევრის ინტერესებისა და შეხედულებების გათვალისწინებასა და კოლექტიურ მართვაში.

**ავტორიტარული ლიდერობა.** დემოკრატიული ლიდერისაგან განსხვავებით, ავტორიტარული ლიდერი ხელში იღებს ძალაუფლების მაქსიმუმს. იგი ერთპიროვნულად იმუშავებს და განსაზღვრავს ჯგუფის მოქმედების სტრატეგიასა და ტაქტიკას, ადგენს გეგმებს. მხოლოდ მან, ერთმა იცის წამოწყებულ მოქმედებათა თანმიმდევრობის შესახებ, იგი კარნახობს ამოცანებს და არეგულირებს ჯგუფის წევრთა ურთიერთდამოკიდებულებების სტრუქტურას.

მხოლოდ, „**ის ერთი არის ყველა შემთხვევებში საბოლოო ინსტანცია, უზენაესი მსაჯული, ნახალისებებისა და სასჯელის წყარო. აქედან გამომდინარეობს, რომ ჯგუფის ყოველი მონაწილის ბედი ლიდერის ხელშია**“ (67, გვ. 124). ავტორიტარული ლიდერი ყველანაირად სრულყოფს, მიზანდასახულად ავითარებს თავისი აბსოლუტური ძალაუფლების ხერხებს და აქტიურად უპირისპირდება მისი აბსოლუტიზმის ნებისმიერ ხელყოფას. ხელს უშლის ჯგუფის წევრების მონაწილეობას საბოლოო ჯგუფური ამოცანების განსაზღვრაში,

თავს ახვევს მათ შუალედურ მიზნებს – თითქოს ისინი საჭირო იყოს მთავარი მიზნების მისაღწევად, სანაცვლოდ იგი იძლევა გარანტიას, რომ ჯგუფი ხანგრძლივად იარსებებს, ოღონდ იმ პირობით, რომ მხოლოდ ის იქნება ხელმძღვანელი.

ავტორიტარული სტილით კონტროლისას ჯგუფის წევრთა საქმიანობას დაშლილ სეგმენტთა სახე აქვს, რომელთა გაერთიანება ხელეწიფება მხოლოდ ლიდერს, ხოლო საბოლოო მიზნები ჯგუფის წევრებისათვის ნათელი არ არის. ავტორიტარული ლიდერი ხელს უწყობს ჯგუფური სტრუქტურის დანაწევრება-დაცალკევებას, რაც მას საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს კონტაქტები ჯგუფის წევრებს შორის და კომუნიკაციური არხები ისე მოაწესრიგოს, რომ ყველა ისინი მის ხელში გადიოდეს ანდა აკონტროლებდეს მათ.

**დემოკრატიული ლიდერი**, პირიქით, მიისწრაფვის რაც შეიძლება ჯგუფის მეტი წევრი ჩართოს კოორდინირებულ საქმიანობასა და ჯგუფურ მიზანთა ერთობლივ განსაზღვრაში. იგი ერთ ადამიანს კი არ აკისრებს პასუხისმგებლობას, არამედ ანდობს ჯგუფის სხვა წევრებსაც. ხელს უწყობს და განამტკიცებს პიროვნებათაშორის კავშირებსა და ურთიერთობებს, ცდილობს აღმოფხვრას შიდაჯგუფური დაძაბულობა და კონფლიქტები, კრძალავს იერარქიული სტრუქტურების წარმოშობას, რომელიც ხელს უწყობს ჯგუფის დიფერენციაციასა და პრივილეგირებულ პირთა გამოყოფას.

თუ ავტორიტარულ ლიდერს ახასიათებს დიქტატორის ნიშან-თვისებები, მაშინ დემოკრატიული ლიდერი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ჯგუფის ნდობით აღჭურვილი პირი, პიროვნება, რომელიც ყველას სახელით ლაპარაკობს. ავტორიტარული ლიდერი ჯგუფის ქვაკუთხედი, რომლის გარეშეც ჯგუფის მოქმედება განხორციელდება მარცხისათვის, მაშინ, როდესაც დემოკრატიულ ლიდერს შეუძლია ილაპარაკოს მის წარმატებებზე იმის მიხედვით, თუ რამდენად შესწევს ჯგუფს უნარი იმუშაოს, იბრძოლოს მის გარეშე, როდესაც იგი დროებით ტოვებს ჯგუფს.

ავტორიტარული ლიდერი უფრო დამახასიათებელია გარდამავალი, ანომიური საზოგადოებისათვის, როდესაც ადამიანები ორჭოფულ ან კრიტიკულ სიტუაციებში აღმოჩნდებიან ხოლმე; ამ დროს საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილს უჩნდება მოთხოვნილება „მტკიცე“ ხელზე. ავტორიტარული ლიდერი, თუ იგი სამართლიანი წესრიგის განმტკიცებას უწყობს ხელს საზოგადოებაში, მაშინ ამით ქმნის საფუძველს დემოკრატიულ მმართველობაზე გადასასვლელად.

დემოკრატიულ ლიდერს სჯერა ხალხის, სწამს მათი ძალა და გულისთქმათა კეთილშობილება, ამიტომ გაუკეთა ორგანიზება თავისი ჯგუფის საქმიანობას. უპირველეს ყოვლისა, იგი ცდილობს მათზე დაყრდნობით, ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში მათი აუქტიურობისა და ინიციატივის განვითარებას, ჯგუფის თითოეული წევრის პიროვნული თვისებების გათვალისწინებით მათ შორის რაციონალური თანამშრომლობის უზრუნველყოფას. ჯგუფში დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცებისას იგი მოქმედებს უფრო

მეტად დარწმუნების, ვიდრე იძულების წესით, თავისი ხელქვეითების სისუსტესა და ზოგიერთ არამიმზიდველ თავისებურებებს მოთმინებით ეპყრობა.

მომთხოვნელობის გამოვლენისას იგი ამოდის არა საკუთარი ემოციების, სიმპათიებისაგან, არამედ საქმისა და ჯგუფის ინტერესებისაგან.

ავტორიტარული (ავტოკრატიული) ლიდერის თავისებურება მომდინარეობს მისი მსოფლმხედველობისა და პიროვნების ფსიქიკური თავისებურებებიდან. მას ღრმად სწამს, რომ სოციალური ყოფიერება არსებობისათვის ბრძოლის არენაა: „ომია ყველასი ყველას წინააღმდეგ“, ამიტომ იგი ყოველი საშუალებებით ესწრაფვის დაცვას, თავშესაფარს, უსაფრთხოებას. იგი კონფორმისტია. ყველაზე მეტად ეგუება ძალას, ავტორიტეტსა და ძალაუფლებას. ავტორიტარული ლიდერი ძალაუფლების მოყვარე და აგრესიულია, იგი აღმერთებს დისციპლინას, ხელქვეითთა დათრგუნვის მიდრეკილებებით გამოირჩევა. მას არ სჯერა მათი ჩანაფიქრისა და განზრახვის გულწრფელობა, არ ენდობა მათ და ამიტომ არც კი ესწრაფვის მათთან ორმხრივი მუდმივი კავშირითიერთობის დამყარებას, მხოლოდ განკარგულებების, ბრძანებების გაცემითა და მათი შესრულების კონტროლით შემოიფარგლება.

**პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები.** სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ სამ ძირითად ფუნქციას:

1. პოლიტიკურ დიაგნოზს, რომელიც გულისხმობს სიტუაციის ანალიზსა და შეფასებას;

2. საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრის მიზნით საქმიანობის მიმართულებებისა და პროგრამის განსაზღვრას;

3. დასახული მიზნების მისაღწევად შემსრულებელთა (მასების, თანამდებობის პირების, ბიუროკრატიის) მოზილიზაციას.

ესაა სამი ელემენტი: „დიაგნოზი“, „მოქმედების მიმართულების განსაზღვრა“ და იმათი „მოზილიზაცია“, რომელიც ჩართული იქნება მოქმედების კონკრეტულ რეალიზაციაში. ამ ელემენტებს ხშირად ლიდერობის სტადიებს თუ ფაზებსაც უწოდებენ.

„დიაგნოზი“ – მკვლევართა აზრით ესაა ის ფაზა, რომლის მთელ მანძილზე ლიდერი სწავლობს სიტუაციას და აფასებს იმას, რაც, მისი აზრით, მასში არ არის სწორი და ამიტომ ესაჭიროება გამოსწორება.

მეორე სტადიაზე ლიდერი „იმუშავებს მოქმედების მიმართულებას“, რომელიც პასუხობს პრობლემის გადაწყვეტას – ნებისმიერ შემთხვევაში იგი მიდის დასკვნასთან იმის შესახებ, თუ ხდომილებათა როგორი მიმართულება იქნებოდა ყველაზე სასურველი, მაგრამ, როგორც ჟ. ბლონდელი შენიშნავს, ეს მეორე ელემენტი არ არის საკმარისი იმისათვის, რათა განვსაზღვროთ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება, რადგან ასეთი რამ შეიძლება მიღწეულ იქნეს მხოლოდ „მოზილიზაციის“ შედეგად. ეს კი უკვე მესამე სტადია თუ ფაზაა, რომელიც უნდა განვიხილოთ ფართო აზრით – იგი გაიგება, როგორც უშუალო თუ გაშუალებულ დაქვემდებარებაში მყოფ პირთა (მაგალითად, ბიუროკრატიის მეშვეობით), ისე მთელი მოსახლეობის ან უკიდურეს შემთხვევაში იმ ნაწილის

მობილიზაციად, რომელსაც ძალუძს გავლენა იქონიოს მოქმედების მიმართულეზაზე. ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ მმართველი პარტიის რიგითი წევრები მთელი გულითა და სულით უჭერენ მხარს შემოთავაზებულ ზომებს და თავის მხრივ მოქმედებენ ისე, რომ მოსახლეობის დანარჩენი ნაწილიც იწყებს მათთვის მხარის აბმას. ეს შეიძლება ნიშნავდეს მოსახლეობისადმი მიმართვას, რათა მათ აღმოუჩინონ არსებითი და გადამწყვეტი მხარდაჭერა მმართველ ლიდერებს. ყ. ბლონდელის სწორი შენიშვნით, **„ლიდერობა – მუდამ უფრო მეტია, ვიდრე სიტუაციის ანალიზი და გადანყვეტილებათა მიღება, იგი აგრეთვე მდგომარეობს იმ ადამიანთა გონებასა და ენერგიაზე ზემოქმედებაში, რომლებსაც თავიანთი როლის შესრულება მოქმედებათა რეალიზაციის დროს მოუწევთ“** (33, გვ. 408).

ამგვარად, ლიდერი საზოგადოდ, კერძოდ კი, პოლიტიკური ლიდერი გამოხატავს სოციალური ჯგუფისა თუ მთელი ხალხის აზრს, იმედსა და მისწრაფებას. ერთი მხრივ, იგი უფრო თავისუფალია, ვიდრე მისი მიმდევრები, მაგრამ, ამავე დროს, მთლიანად დამოკიდებულია თავის მიმდევრებზე. არსებით როლს თამაშობს გარემომცველი სინამდვილის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მნიშვნელოვანი ხარისხით თვითონაა ამ სინამდვილის პირმშო. პიროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება სხვა ადამიანთა ლიდერი, თუ გამოხატავს მათ ინტერესებსა და ხელს უწყობს მათი მიზნების აღსრულებას. ნამდვილი ლიდერი, ერთი მხრივ, აკონტროლებს და მართავს გარემომცველ სამყაროს, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სამყაროს მორჩილი და მსახურია.

**სოციალური ცვლილების ცნება და სოციალური მოქრობები**

სამყაროში ყოველივე არსებული მუდმივად იცვლება. ასევეა საზოგადოებაც. თანამედროვე ცხოვრების წესი და სოციალური ინსტიტუტები რადიკალურად განსხვავდება წარსულში არსებული ინსტიტუტებისაგან. განსაკუთრებით სწრაფად იცვლება ტექნოლოგია და ტექნიკური ცივილიზაცია, დაწყებული შრომის მარტივი იარაღებიდან და დამთავრებული თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებით. შესაბამისად, ცვლილებას განიცდის ადამიანის ცხოვრების წესი, ის სოციუმი, რომელშიც ადამიანი საქმიანობს და ცხოვრობს. როდესაც ვლაპარაკობთ ცვლილებების რაობისა და მნიშვნელობის შესახებ, აუცილებელია დავადგინოთ თუ რამდენად შეიცვალა მოცემული ობიექტის ან სიტუაციის სიღრმისეული სტრუქტურა დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, თუ გვანტერესებს გავიგოთ როგორი ხარისხითა და წესით იცვლება თანამედროვე საზოგადოება, მაშინ **„აუცილებელია განვსაზღვროთ ძირითად ინსტიტუტთა მოდიფიკაციის ხარისხი განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში“** (33, გვ. 59). ასევე, აუცილებელია იმ ელემენტების გამოყოფა, რომელიც სტაბილური და უცვლელი რჩება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში თავად ცვლილებას აზრი დაეკარგება. სწორედ, სტაბილური ელემენტებია ის საფუძველი, რომლის ფონზეც შესაძლებელია ცვლილებების განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც არსებობს საზოგადოებრივი მოვლენები, რომელსაც ფესვები შორეულ წარსულში აქვთ გადგმული და ფაქტობრივად უცვლელი რჩება, მაგალითად, რელიგიები. თანამედროვე საზოგადოებაში არსებული მრავალი სოციალური ინსტიტუტი გაცილებით სწრაფად იცვლება, ვიდრე ეს ადრინდელ საზოგადოებებში ხდებოდა.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე სოციალური ცვლილებებისათვის დამახასიათებელია:

1. უნივერსალურობა;
2. კონკრეტულ გაერთიანებებზე მიმართება;
3. სოციალურ ცვლილებათა ტემპების უთანაბრობა;
4. რევოლუციურობა, პროგრესულობა ან რეგრესულობა;
5. საზოგადოებრივი დეზორგანიზაციის გამოწვევა.

სოციალური ცვლილებები გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ფასეულობების სისტემაზე, ინსტიტუტებზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკურსა და კულტურულ სისტემებზე. სოციალური ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორებია: ფიზიკური, ბიოლოგიური, დემოგრაფიული, ტექნოლოგიური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და კულტურული პროცესები.

თანამედროვე საზოგადოების განვითარებასა და მასში მიმდინარე ცვლილებებზე არსებითი გავლენა **ეკონომიკამ, პოლიტიკამ და კულტურამ** მოახდინა. ე. გიდენსის აზრით, ეკონომიკურ დონეზე განსაკუთრებული ზემოქმედება

სამრეწველო კაპიტალიზმმა შეძლო. კაპიტალიზმი პრინციპულად განსხვავდება ადრე არსებული წარმოებითი სისტემებისაგან, ვინაიდან წარმოების მუდმივ განახლებასა და სიმდიდრის უწყვეტ დაგროვებას გულისხმობს. მისი განვითარება სტიმულს აძლევს საწარმოო ტექნოლოგიების სწრაფ გარდაქმნებს, რომელშიც სულ უფრო დიდ როლს მეცნიერება ასრულებს. თანამედროვე მრეწველობაში ტექნოლოგიური განახლება გაცილებით მაღალია, ვიდრე დღემდე არსებულ ნებისმიერ ეკონომიკურ წყობაში. თუ ადრე წარმოება ძირითადად ლოკალურ ხასიათს ატარებდა, თანამედროვე წარმოება ვერავითარ საზღვრებს ვერ ეგუება და კოსმოპოლიტურ-გლობალური ხდება, ყალიბდება შრომის დანაწილების ახალი სისტემა, რომელიც მთელი მსოფლიოს მწარმოებლებსა და მომხმარებლებს აერთიანებს. **1980-იან წლებში წარმოიქმნა მზარდი წარმადობის ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკა. „ის ინფორმაციული იმიტომ, რომ სამეურნეო ერთეულების ან აგენტების წარმოებაში ჩართულობა და კონკურენტუნარიანობა (იქნება ეს ფირმები, რეგიონები ან სახელმწიფოები) ფუნდამენტურად არის დაკავშირებული მათ შესაძლებლობებზე აწარმოონ, დაამუშაონ და ეფექტურად გამოიყენონ ცოდნაზე დაფუძნებული ინფორმაცია“.** ის გლობალურია იმიტომ, რომ „ფლობს შესაძლებლობას, იფუნქციონიროს, როგორც ერთმა მთელმა, რეალურ დროში, მთელი პლანეტის მასშტაბით. პირველად ეს შესაძლებელი გახდა ახალი ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების მეშვეობით. ახალი ეკონომიკა არა მხოლოდ დაფუძნებულია ინფორმაციაზე, არამედ ინფორმაციულია, რამდენადაც მთელი სოციალური სისტემის კულტურულ-ინსტიტუციური მახასიათებლები უნდა იყოს ჩართული ახალი ტექნოლოგიური პარადიგმის გავრცელებასა და გამოყენებაში“ (ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხილეთ: 188, თავი II და III).

ეკონომიკაში მიმდინარე ასეთმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალა ადამიანთა ცხოვრების წესი. თანამედროვე საზოგადოების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქებში ცხოვრობს და არა სოფელად, მუშაობს ქარხნებსა და დაწესებულებებში და არა სოფლის მეურნეობაში. ბუნებრივია, ურბანიზაციასა და ეკონომიკურ გარემოსთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა გავლენა მოახდინა უმრავლეს სოციალურ ინსტიტუტზე, ისევე, როგორც, თავის მხრივ, სოციალურმა ინსტიტუტებმა უკუზეგავლენა იქონიეს ეკონომიკური გარემოს ცვლილებასა და განვითარებაზე.

თანამედროვე სოციალური ცხოვრების ცვლილებაზე ასევე დიდი გავლენა მოახდინა უკანასკნელი საუკუნეების პოლიტიკაში მიმდინარე იმ ცვლილებებმა, რომელთა წყარო იყო ერთა ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, გამდიდრებასა და მეტოქეებზე სამხედრო უპირატესობის მოპოვებისათვის. ე. გიდენსის მართებული შენიშვნით, „ტრადიციული საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები ეხებოდა მხოლოდ ელიტას. ერთი დინასტია ცვლიდა მეორეს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობისათვის ეს არაფერს ნიშნავდა, მისი ცხოვრება თითქმის უცვლელი რჩებოდა. თანამე-

დროვე პოლიტიკურ სისტემაში კი სავსებით სხვა ვითარებაა, რამეთუ პოლიტიკურ ლიდერთა და სამთავრობო ჩინოვნიკთა მოქმედება მუდმივად აისახება ფართო მასების ცხოვრებაზე. პოლიტიკოსთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები როგორც საშინაო, ისე საგარეო საქმეებში, გაცილებით ძლიერ სტიმულსა და მიმართულებას აძლევს ცვლილებებს სოციალურ ცხოვრებაში, ვიდრე ეს ადრე იყო“ (53, გვ. 601).

პოლიტიკური სისტემის განვითარებამ ისეთივე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც ეკონომიკამ პოლიტიკაზე. თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში მთავრობა აქტიურად ერევა ეკონომიკურ ცხოვრებაში, აძლიერებს ან ანელებს ეკონომიკური ზრდის ტემპს, სტიმულს აძლევს მას. გარდა ამისა, მთავრობისა და სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკისა და საზოგადოდ სოციალურ სისტემაში, აძლიერებს ისიც, რომ ისინი მოსახლეობის ყველაზე დიდი დამსაქმებელი არიან.

**კულტურული გავლენა.** თანამედროვე საზოგადოების განვითარებაზე გადამწყვეტი კულტურული გავლენა, ე. გიდენსის აზრით, ჰქონდა და დღესაც აქვს **მეცნიერების განვითარებასა და აზროვნების სეკულარიზაციას.** თითოეულმა მათგანმა ხელი შეუწყო „**თანამედროვე მსოფლმხედველობის კრიტიკული და ნოვატორული ხასიათის ჩამოყალიბებას**“ (იქვე). თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანები ადათებსა და წეს-ჩვეულებებს არ ღებულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უკან ტრადიციის ავტორიტეტი დგას. ისინი ავტომატურად, უკრიტიკოდ და დაუსაბუთებულად არაფერს იღებენ, პირიქით, თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესს უფრო ესაჭიროება „რაციონალური“ დასაბუთება. მისი დაცვა ან თუ აუცილებელია, შეცვლაც კი დამოკიდებულია არა შიშველ რწმენაზე, არამედ იმაზე, თუ რამდენადაა შესაძლებელი მისი დასაბუთება გონისა და სიცხადის არგუმენტებით.

ე. გიდენსის აზრით, თანამედროვე სოციალურ ცვლილებებზე ასევე, დიდად იმოქმედა თავად იდეების შინაარსის ცვლილებამ. თვითსრულყოფილების, თავისუფლების, თანასწორობისა და დემოკრატიული მონაწილეობის იდეალები იქცნენ ღრმა სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების, მათ შორის, რევოლუციების, მამობილიზებელ სანყისებად. ეს იდეალები ახლა თითქმის მთელი მსოფლიოს მიერაა ათვისებული და ზემოქმედებს მასში მიმდინარე ცვლილებებზე.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიო შედის ახალი სოციალური წყობის საზოგადოებაში. მისი მთავარი ნიშანი ისაა, რომ იგი აღარ თავსდება ინდუსტრიული საზოგადოების ფარგლებში და გადის მისგან. ახალი სოციალური წყობის მქონე საზოგადოებას ხშირად **ინფორმაციულ** საზოგადოებას, **მომსახურების** საზოგადოებასა და ცოდნის საზოგადოებას უწოდებენ, უფრო მეტად კი გავრცელებულია სახელწოდებები, რომლებიც წარმოებულია თავსართ პოსტის („შემდეგ“) დართვით, რაც უკვე მიუთითებს ახალი საზოგადოების ინდუსტრიული ჩარჩოებისაგან გასვლას. ლაპარაკია **პოსტმოდერნისტულ** და **პოსტდეფიციტურ** საზოგადოებაზე. ყველაზე უფრო სიცოცხლისუ-

ნარიანი და შედარებით ადეკვატური აღმოჩნდა ამერიკელი დენიელ ბელის, ფრანგი ალენ ტურენის, ესპანელი მანუელ კასტელსის მიერ შემოთავაზებული ტერმინი – **ინფორმაციული საზოგადოება**.

სახელწოდებათა ეს მრავალფეროვნება თავად მიუთითებს მიმდინარე სოციალური ცვლილებების ინტერპრეტაციათა სიმრავლეზე, მაგრამ თითქმის ყველა მათგანში უცვლელად ფიგურირებს ერთი თემა. ესაა, **„მომავალი საზოგადოებისათვის ინფორმაციის, ანუ ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერება. ჩვენი ცხოვრების წესს, რომელიც ადრე ემყარებოდა მატერიალურ წარმოებას და მიჯაჭვული იყო მანქანებსა და დაზგებს, ცვლის ახალი წესი, რომლის საწარმოო სისტემის საფუძველი – ინფორმაციაა“** (53, გვ. 602).

– პოსტინდუსტრიული წესრიგის განმასხვავებელი ნიშანია მომსახურების სფეროს ზრდა მატერიალური წარმოების ხარჯზე;

– ფაბრიკებსა და ქარხნებში დასაქმებული მუშა უკვე აღარ არის დაქირავებული მუშახელის ძირითადი ტიპი. მას ცვლის კლერკი და კვალიფიციური სპეციალისტი;

– იზრდება მოთხოვნილება ტექნიკური კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებსა და მომუშავე პირებზე;

– პროფესიული სფეროს უმაღლეს საფეხურებს იკავებენ ინფორმაციისა და ცოდნის წარმოებაში დასპეციალებული პიროვნებები.

მხედველობაშია კოდიფიცირებული ცოდნის (სისტემური, მონესრიგებული ინფორმაციის) წარმოება და კონტროლი. სწორედ **კოდიფიცირებული ცოდნა** ხდება დღეს ნებისმიერი საზოგადოების ძირითადი სტრატეგიული რესურსი. უმთავრესი სოციალური ცვლილება კი გამოიხატება იმით, რომ ისინი, **„ვინც ქმნიან და ავრცელებენ კოდიფიცირებულ ცოდნას – მეცნიერები, კომპიუტერის სპეციალისტები, ეკონომისტები და სხვადასხვა გვარის კვალიფიციური სპეციალისტები – წამყვან სოციალურ ჯგუფებად გარდაიქმნებიან და ამ სახით ცვლიან ძველი სისტემის მრეწველებსა და მენარმეებს“** (53, გვ. 603).

საინტერესოა ცვლილებები კულტურისა და დისციპლინის სფეროებში. **„შრომისმოყვარეობის ეთიკას“** ცვლის თავისუფალი და სიამოვნებაზე ორიენტირებული ცხოვრების სტილი.

ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შრომის მადისციპლინირებელი ფუნქცია პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში სუსტდება. ადამიანებს მეტი თავისუფლება აქვთ ინოვაციებისათვის როგორც პროფესიულ, ისე კერძო სფეროში.

დღეს უკვე თანამედროვე მსოფლიოს განვითარებაზე მძლავრ ზეგავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა:

– ტექნოლოგიური განახლების განსაკუთრებით მაღალი ტემპი;

– დასავლური ეკონომიკის ტრადიციული წარმოებით სფეროთა რღვევა და მრეწველობის ძირითად სიმძლავრეთა აღმოსავლეთში გადაადგილება;



- ინდუსტრიული საზოგადოების გლობალურ კავშირებში ჩაბმა და გაერთიანება;

- დიდი ძვრები კულტურისა და კერძო ცხოვრების სფეროში, რომელიც დაკავშირებულია გენდერულ ცვლილებებთან;

- მდიდარ, გავლენის მქონე ინდუსტრიულ ქვეყნებსა და მესამე სამყაროს ღარიბ ქვეყნებს შორის არსებითი უთანასწორობის შენარჩუნება;

- და ყოველივე ამის საფუძვლად კი - ხანგრძლივი გლობალური მშვიდობის შესაძლებლობასა და დედამიწის მოსახლეობის დიდი ნაწილის განადგურების შემძლე ბირთვულ კონფლიქტს შორის მერყევი ბალანსი.

ამგვარი ფაქტორების ზემოქმედებით გამონვეული სოციალური ცვლილებების დადებითი და უარყოფითი შედეგების შესახებ ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კაცობრიობა შეძლებს მათი ზემოქმედების ისეთი მიმართულებით წარმართვას, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადოების განვითარებას ჰუმანური ფასეულობების საფუძველზე და ქვეყნად დაამკვიდრებს პიროვნული და ეროვნული სრულყოფილების, თავისუფლებისა და აქტივობის დემოკრატიულ იდეალებს.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნულ მსჯელობას, მაშინ შეგვეძლება გავიზიაროთ სოციალური ცვლილების შინაარსი და განვსაზღვროთ მისი ცნება. **სოციალური ცვლილება არის ცნება, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივ პროცესთა, სოციალურ მოდელთა, სოციალურ ურთიერთობათა ან სოციალურ ორგანიზაციათა რომელიმე პარამეტრის ვარიაციის ან მოდიფიკაციის აღსანიშნავად.**

**პოლიტიკური ცვლილება და რევოლუცია.** საზოგადოებრივ ცვლილებათა მამოძრავებელი ძალა არსებული სოციალური წყობით უკმაყოფილებაა, რაც, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურ სისტემაზე აისახება და მის ცვლილებებს უწყობს ხელს. პოლიტიკური ინტერესებისა და პარტიების გარდა, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების მიმართულებაზე არანაკლებ ზემოქმედებს სოციალური მოძრაობანი. პოლიტიკური გაერთიანების ნევრთა შეგნებაში ღირებულების სისტემის ნებისმიერი ცვლილება დიდი გამონვევაა საზოგადოების მართვის ინსტიტუციური სისტემისათვის. ამ გამონვევის პასუხად ძველი ინსტიტუტები ან იცვლება, რამდენადაც არ შეესაბამება საზოგადოებაში უკვე ფესვგადგმულ ახალ ღირებულებებს ან იმსხვრევა გარემოსთან ადაპტაციის უუნარობის გამო. სოციალურ ინსტიტუტებსა და ღირებულებებს შორის ნებისმიერი დამორება სერიოზული საზოგადოებრივი კრიზისის მომასწავებელია, რომლებიც მიმართულია პოლიტიკური სისტემის ცვლილებისაკენ. პოლიტიკური ცვლილების შემდეგ მიზეზებს აცხადებენ:

1. ქვეყნის დაპყრობა უცხო სახელმწიფოს მიერ;
2. რევოლუცია ქვეყნის შიგნით, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგი იყოს;
3. დამოუკიდებლობის მოპოვება;
4. შინაგანი მღელვარებებით ან ომით გამონვეული პოლიტიკური კრიზისი;

5. სამხედრო გადატრიალება“ (164, ტ. 2, გვ. 101).

თავის მხრივ, პოლიტიკურ ცვლილებებს შეუძლიათ მიიღონ განსხვავებული ფორმები, რომელთაგან ძირითადია:

1. კონსტიტუციის მნიშვნელოვანი რეფორმა ან სერიოზული ცვლილებების შეტანა მასში;
2. პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის გარდაქმნა;
3. ცვლილებების გატარება ადმინისტრაციულ სისტემაში;
4. მთავრობის შეცვლა, ე.ი. ძალაუფლების მმართველი პარტიიდან ოპოზიციური პარტიის ხელში გადასვლა.

ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ცვლილებებითა და გარდაქმნებით დაინტერესებული ძალები. ამისათვის კი მთავარია შესაბამისი მისწრაფება.

პოლიტიკური ცვლილებების გატარებაზე არსებით გავლენას ახდენს იმ საზოგადოების დამოკიდებულება სიახლეებისადმი, რომელშიც ტარდება იგი. ცვლილებათა და გარდაქმნათა განხორციელების წესი შეიძლება მშვიდობიანი ან ძალისმიერი ხასიათის იყოს, ასევე წინასწარმეტყველური ან არანწინასწარმეტყველური, თანმიმდევრული ან არათანმიმდევრული და ა.შ. ცვლილებების ბუნება მნიშვნელოვნად უკავშირდება პოლიტიკური სისტემის სტაბილურობას, ხოლო მისი განხორციელების განსხვავებულ საშუალებებს განსხვავებულ შედეგებთან შეუძლია მიგვიყვანოს.

**საზოგადოებაში განხორციელებულ სრულ და თვისებრივად ახალ ცვლილებას რევოლუციას უწოდებენ. პოლიტიკურ სფეროში რევოლუცია ძალაუფლების კანონიერი მემკვიდრეობის შეცვლაა. იგი ხელისუფლებას მთლიანად და არსებითად გარდაქმნის. როდესაც ძალაუფლება ერთი ჯგუფიდან გადადის მეორის ხელში ისე, რომ ადგილი არა აქვს კონსტიტუციური ნორმებისა და პროცედურების დარღვევას, მაშინ მას რევოლუციას ვერ ვუწოდებთ. მაგრამ, როდესაც მთავრობასთან ერთად იცვლება კონსტიტუციაც, მაშინ იგი რევოლუციად ითვლება. თუ კონსტიტუციის განახლებასთან ერთად ხდება საზოგადოებრივი წყობის საფუძველთა თვისებრივი გარდაქმნა, მაშინ რევოლუციის ხასიათი ღრმავდება და შესაძლებელია უფრო სერიოზულ ცვლილებებს ველოდოთ.**

**რევოლუციის კონცეფცია.** უმრავლესი განსაზღვრების მიხედვით, რევოლუცია – ესაა მოქმედი კონსტიტუციური ნორმებით არასანქცირებული მეთოდების საშუალებით ხელისუფლების შემადგენლობის, სტრუქტურის, იდეოლოგიური საფუძველისა და ფუნქციების შეცვლა. უმეტესად, ეს მეთოდები ძალადობის ხასიათის მატარებელია და ყოველთვის მიმართულია პოლიტიკური ელიტის წინააღმდეგ. გარდა ამისა, რევოლუცია გულსხმობს შედარებით ელვისებურ და არსებით ცვლილებას დოვლათისა და სოციალური სტატუსების განაწილებაში.

**რევოლუცია, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა მასობრივი, კოლექტიური მოქმედების შედეგია და მიმართულია რადიკალური სოციალური გარდაქმ-**

**ნების ცხოვრებაში გატარებაზე.** რევოლუცია შეიძლება ეწოდოს ისეთ სოციალურ ხდომილებას, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

1. რევოლუცია წარმოუდგენელია **მასობრივი სოციალური მოძრაობის** გარეშე. რასაკვირველია, სამხედრო გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში აღება ან არჩევნების საშუალებით რომელიმე პარტიის ხელისუფლებაში მოსვლა შეუძლებელია რევოლუციად ჩაითვალოს;

2. რევოლუციურია სოციალური ცვლილება, თუ მას მივყავართ **ფართო მასშტაბის მქონე რეფორმებსა და რადიკალურ გარდაქმნებთან.** რევოლუციის შედეგად ხელისუფლებაში მოსულ ადამიანებს უკეთ უნდა შეეძლოთ საზოგადოების მართვა და ორგანიზება, ვიდრე ეს დამხობილ ხელისუფლებას შეეძლო. თუ რევოლუციურმა მოძრაობამ ვერ შეძლო საზოგადოების რეალური მართვა, მაშინ ასეთი საზოგადოება ქაოსისა და დაშლის მდგომარეობაში აღმოჩნდება და შეუძლებელია მას რევოლუციური ვუნდოთ;

3. რევოლუციურია ხდომილება, თუ იგი მასობრივი მოძრაობის მომხრეთა მხრიდან გულისხობს მუქარას ან მის გამოყენებას. რევოლუცია ისეთი პოლიტიკური ცვლილებაა, რომელიც წარმოიქმნება მმართველი წრეების მხრიდან წინააღმდეგობის დროს. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა კი მხოლოდ ძალის გამოყენებითაა შესაძლებელი. თუ ამ კრიტერიუმებს გავაერთიანებთ, მაშინ ე. გიდენსთან ერთად, შეიძლება რევოლუცია განვსაზღვროთ, როგორც **„მასობრივი მოძრაობის ლიდერთა მიერ ძალადობის გამოყენების გზით სახელმწიფო ხელისუფლების ხელში ჩაგდება, რომლის დროსაც მოპოვებული ძალაუფლება შემდეგ გამოიყენება რადიკალურ სოციალურ რეფორმათა ინიციაციის მიზნით“** (53, გვ. 568).

**სოციალური რევოლუციის მიზეზები** – რევოლუციის გამომწვევ მიზეზთა საინტერესო კლასიფიკაციას გვთავაზობს არისტოტელე, კ.მარქსი, პ. სოროკინი, ჯ. დევისი და სხვები. მარქსისტების აზრით, სოციალური რევოლუციების გამომწვევი ფუნდამენტური მიზეზია მზარდი წინააღმდეგობა საზოგადოების საწარმოო ძალების ზრდასა და მოძველებულ, კონსერვატიულ წარმოებით ურთიერთობათა შორის. ეს წინააღმდეგობა ვლინდება სოციალური ანტაგონიზმის პირობებში, სტატუს-კვოს შენარჩუნებით დაინტერესებულ გაბატონებულ და დაჩაგრულ კლასებს შორის ბრძოლის გამწვავებაში. რევოლუციის წარმატება დაკავშირებულია რევოლუციური სიტუაციის სიმწვავესა და რევოლუციური პარტიის ორგანიზებულობაზე.

რევოლუციური სიტუაციის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. „ზედაფენების კრიზისი“, როდესაც გაბატონებულ კლასებს აღარ ძალუძთ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა უცვლელი სახით. გაბატონებული კლასის პოლიტიკის კრიზისი ქმნის იმ ვითარებას, რომელშიც ვლინდება ჩაგრულ კლასთა უკმაყოფილება და აღშფოთება. მაგრამ, რევოლუციის დადგომისათვის საკმარისი არ არის ის, რომ „ქვედა ფენებს აღარ სურთ“, არამედ საჭიროა „ზედაფენებსაც აღარ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება;

2. დაჩაგრულ კლასთა უუფლებობისა და გაჭირვების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. ეს გამწვავება შეიძლება გამოწვეულ იქნას მოსახლეობას ფართო მასების ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესებით. მასების სოციალური უუფლებობითა და დაბეჩავებით, სოციალურ ანტაგონიზმთა მკვეთრი გაღრმავებით. მასობრივი უკმაყოფილების აფეთქება შეიძლება ასევე გამოიწვიოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროგრესის რეალურ შესაძლებლობასა და იმ პრაქტიკულ რეზულტატებს შორის მკვეთრმა შეუსაბამობებმა, რომლებსაც მისგან იღებენ მოსახლეობის ფართო მასები;

3. მასების პოლიტიკური აქტივობის მნიშვნელოვანი ამაღლება, საბრძოლო განწყობილებათა სწრაფი ზრდა, როდესაც მასები უშუალოდ გამოდიან ქუჩებში და პოლიტიკაში ერთვებიან.

ამგვარად, მარქსისტული გაგებით, რევოლუციის მიზეზებია: წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით უერთიერთობებს შორის, როდესაც განვითარებულ საწარმოო ძალებს აღარ აკმაყოფილებთ ძველი წარმოებითი ურთიერთობანი. შესაბამისად, დაპირისპირება და ბრძოლა ამ ორი მხარის ინტერესების დამცველ სოციალურ კლასს შორის. ეკონომიკური სიდუხჭირე და წინააღმდეგობების გამწვავების ფონზე საერთო ეროვნულ-პოლიტიკური კრიზისი.

პ. სოროკინის აზრით, ყოველი რევოლუციის უშუალო წინამძღვარი მუდამ იყო მოსახლეობის უმრავლესობის დათრგუნული ძირითადი (ბაზისური) ინსტინქტების ზრდა და გაფართოება, აგრეთვე მათი მინიმალური დაკმაყოფილების შეუძლებლობა. ბაზისური ინსტინქტები, რომელთა დათრგუნვა რევოლუციის მიზეზი ხდება, შემდეგია:

- თუ მოსახლეობს უმრავლესობის კვების ინსტინქტი „ითრგუნება“ შიმშილით, მაშინ სახეზეა რევოლუციებისა და აჯანყებების მიზეზთაგან პირველი;
- თუ დესპოტური ეგზეკუციებით, მასობრივი მკვლელობებით, სისხლიან მხეცობებით „ითრგუნება“ თვითგადარჩენის ინსტინქტი, მაშინ სახეზეა რევოლუციის მეორე მიზეზი;
- თუ „ითრგუნება“ კოლექტიური თვითგადარჩენის (მაგალითად, ოჯახის, რელიგიური სექტის, პარტიის) რეფლექსი იმით, რომ შეურაცხყოფენ მათ სინმინდებს, აბუჩად იგდებენ მათ ნევრებს დაპატიმრებების სახით, მაშინ ჩვენ უკვე გვაქვს რევოლუციის მესამე მიზეზი;
- თუ ბინის, ტანსაცმლისა და ა.შ. მოთხოვნილებები არ კმაყოფილდებიან უკიდურეს შემთხვევაში, მინიმალური მოცულობით მაინც, მაშინ სახეზეა რევოლუციის კიდევ ერთი (მეოთხე) დამატებითი მიზეზი;
- თუ მოსახლეობის უმრავლესობაში „ითრგუნება“ სქესობრივი რეფლექსი ყველა მის გამოვლინებაზე (ეჭვიანობის ან სიყვარულის საგნის დაუფლების სურვილის სახით) და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების პირობები; გავრცელებულია მოტაცებები, ცოლებისა და ქალიშვილების გაუპატიურებები, იძულებითი ქორწინებები ან განქორწინებები და ა.შ. მაშინ სახეზეა რევოლუციის მეხუთე მიზეზი;

– თუ „ითრგუნება“ მასების საკუთრებითი ინსტიქტი, ბატონობს სილარიბე და ხელმოკლეობა და განსაკუთრებით, თუ ეს ხდება სხვების კეთილდღეობის ფონზე, მაშინ ჩვენ უკვე გვაქვს რევოლუციის მეექვსე მიზეზი.

– თუ „ითრგუნება“ თვითგამოხატვის, ანუ ინდივიდუალობის ინსტინქტი, ხოლო ადამიანები ეჯახებიან, ერთი მხრივ, მათი ღირსებისა და მიღწევების პერმანენტულ და უსამართლო იგნორირებას, უგულვებელყოფას, შეურაცხყოფებს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანების ღირსებების გადაჭარბებით შეფასებას, რომლებიც მას არ იმსახურებენ, მაშინ ჩვენ გვაქვს რევოლუციის კიდევ ერთი მიზეზი“ (144, გვ. 272-273).

ჩამოთვლილ მიზეზებს პ. სოროკინი რევოლუციის პირველად და საყოველთაო მიზეზებად თვლის. მაგრამ, ისინი საკმარისად არ მიაჩნია. მისი აზრით, საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ რევოლუციური აფეთქებისათვის აუცილებელია, არსებული სოციალური წყობის დამცველ სოციალურ ჯგუფებს არ ჰქონდეთ საკმარისი საშუალებების არსენალი ქვემოდან მომდინარე დამანგრეველი ზრახვების დასათრგუნად. ამგვარად, პ. სოროკინის აზრით:

1. ბაზისურ ინსტიქტთა მზარდი დათრგუნვა;
2. მათი საყოველთაო ხასიათი;
3. წესრიგის დამცველ ჯგუფთა უძლურება;

ყველგვარი რევოლუციური აფეთქების სამი აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია.

როგორც მარქსისტები, ისე პ. სოროკინი რევოლუციის მიზეზებად მოსახლეობის უმეტესი ნაწილის უკიდურეს გაჭირვებას, ჩაგვრასა და უუფლებობას მიიჩნევენ. ამ თვალსაზრისს არ ეთნახმება ჯ. დევისი. მისი აზრით, ისტორიაში შეიძლება დაიძებნოს პერიოდი, როდესაც ადამიანები ცხოვრობდნენ სიღატაკისა და უსასტიკესი ჩაგვრის პირობებში, მაგრამ არ ჯანყდებოდნენ და პროტესტსაც კი არ აცხადებდნენ. მუდმივი სიღარიბე ან ჩაგვრა ადამიანებს რევოლუციონერებად ვერ აქცევს, ვინაიდან მიდრეკილება აქვთ მორჩილად შეეგუონ მსგავს გარემოებებს. რევოლუციები დაკავშირებულია ადამიანთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასთან. როდესაც ცხოვრების სტანდარტები მალღდება, შესაბამისად მალღდება სოციალურ მოლოდინთა და იმედთა დონეც, მაგრამ, როდესაც ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხანგრძლივი პერიოდი იცვლება მკვეთრი დაცემისა და უკანდახევის პერიოდით, დგება ხელსაყრელი მომენტი რევოლუციური გამოსვლებისათვის. ფაქტობრივი ცხოვრებისეული პირობების დაბრკოლებებისა და შენელებისას, როდესაც სოციალურ მოლოდინთა დონე მაღალი რჩება, თითქმის არც ერთი მოლოდინი არ მართლდება და რეალობად არ იქცევა, მაშინ რეალობისა და სოციალური იმედების ასეთი დაშორების ფონზე არაა გასაკვირი გაიზარდოს მოსახლეობის ფართო მასების იმედგაცრუება, შიში და აღშფოთება. პროტესტის საფუძველი არა აბსოლუტური, არამედ შეფარდებითი დეპრივაციაა. გაჭირვება და სიღატაკე არ არის ყოველთვის რევოლუციის პირველადი ფაქტორი. რევოლუციას წინ უსწრებს ძირითადი მოთხოვნილებების – დაწყებული წმინდა ყოფითი და დამთავრებუ-

ლი სამართლიანობის – დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული მოლოდინებისა და იმედების ხანგრძლივი და დინამიკური პერიოდი. ამგვარად, მზარდი წინააღმდეგობა რეალურ ცხოვრებასა და ადამიანთა მოლოდინებს შორის, იქცევა კიდევ რევოლუციის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად. დევისის მიხედვით, საკვანძო ფაქტორია ბუნდოვანი თუ ნათელი შიში იმისა, რომ ხანგრძლივი და მძიმე ძალისხმევათა ფასად მოპოვებული მიღწევები, შეიძლება სწრაფად გაქრეს და დაიკარგოს. ბუნებრივია, რომ პროგრესის იდეალებმა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებმა ხელი შეუწყონ მოსახლეობის ფართო ფენებში დიდი იმედების გაჩენას, მაგრამ შეფერხებებს რეფორმების გატარებაში, შესაბამისი მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობას არ შეიძლება არ მოჰყვეს იმედგაცრუება, ხოლო მას კი პროტესტი. პროტესტს რევოლუციამდე აძლიერებს თავისუფლების, თანასწორობისა და პოლიტიკურ ცხოვრებაში დემოკრატიული მონაწილეობის იდეების გავრცელება.

ე. გიდენსის სწორი შენიშვნით, ეს თეორია ვერ გვიხსნის თუ რატომ და როგორ მობილიზდება საზოგადოებრივი ჯგუფები რევოლუციისათვის. იგი ეთანხმება დევისს იმაში, რომ მოლოდინთა ზრდის ფონზე ხშირია პროტესტი, მაგრამ იმისათვის, რათა გავარკვიოთ, თუ როგორ ხდება პროტესტის გადაზრდა რევოლუციაში, აუცილებელია გავიგოთ თუ როგორ ყალიბდება პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებელი ჯგუფების კოლექტიური ერთიანობა. რევოლუცია, ფაქტობრივად ხომ კოლექტიური მოქმედებაა, რომლის მიზანია არსებული სოციალური წყობის დამხობა. თავისთავად კოლექტიური მოქმედება ადამიანთა ერთობლივი საქმიანობაა საკუთარ ინტერესთა დასაცავად. ამიტომ პროტესტი რომ ეფექტურ კოლექტიურ მოქმედებად, ანუ რევოლუციად იქცეს, აუცილებელია მან თანმიმდევრულად გაიაროს რევოლუციურ სოციალურ ჯგუფთა (1) ორგანიზაციის, (2) მობილიზაციის, (3) საერთო ინტერესების გაცნობიერებისა, დაბოლოს, (4) განხორციელების კონკრეტული შესაძლებლობის სტადიები.

რევოლუცია ყველაზე ტრაგიკული მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში. ამიტომ მოაზროვნეთა უმრავლესობა უარყოფითად აფასებს და იგი საზოგადოების განვითარების მიუღებულ გზად და საშუალებად მიაჩნია. ყველაზე კატეგორიული ფორმით ამ ბრალდებას პ. სოროკინი გამოთქვამს, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა რევოლუციის საშინელება. იგი სოციალური წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ ყველა რადიკალურ ძალისხმევას უგუნურებად თვლის, რომელიც საუკუნეების მანძილზე მრავალი თაობის მიერ შექმნილი ცხოვრების პირობებს ერთი ხელის დაკვრით ანგრევს. საბოლოოდ კი, ისევ ძველი სოციალური ინსტიტუტებისა და ტრადიციებისადმი დაბრუნება ადამიანებს ნორმალური არსებობის შესაძლებლობას აძლევს.

საზოგადოება, რომელმაც არ იცის როგორ იცხოვროს, უნარი არა აქვს განვითარდეს თანდათანობითი რეფორმირების გზით, ამიტომ რევოლუციას ანდობს საკუთარ თავს, იძულებულია ცოდვები თავისი წევრების საუკეთესო ნაწილის სიკვდილით გამოისყიდოს. ეს არის კონტრიბუცია, რომელსაც მუდმივად ითხოვს ყოვლისშემძლე სუვერენი. ამ ხარკის გადახდის შემდეგ „საზოგა-

დოება კვლავ იძენს ცხოვრებისა და განვითარების შესაძლებლობას, მაგრამ უკვე არა სიკვდილის მატარებელი მტრობის წყალობით, არამედ თავის სანყისებთან, წარსულში არსებულ ინსტიტუტებსა და ტრადიციებთან, შემოქმედებით შრომასთან, თანამშრომლობასთან, ყველა მისი წევრისა და სოციალური ჯგუფის ურთიერთდახმარებასა და ერთიანობასთან დაბრუნების წყალობით. თუ საზოგადოებას უნარი შესწევს მიღოს განვითარების ეს ერთადერთი შესაძლებლობა, მაშინ რევოლუცია მიდის თავის ლოგიკურ დასასრულამდე, კარგავს მნიშვნელობას და ინგრევა“ (144, გვ. 294).

თითქმის შეუძლებელია არ დაეთანხმო პ. სოროკინის რევოლუციის ამგვარ შეფასებაში, მაგრამ ყველა რევოლუცია ასეთ მიმე ბრალდებას არ იმსახურებს. განსაკუთრებით ეს არ ითქმის ამერიკულ და ფრანგულ რევოლუციებზე. ამერიკელები სწორედ რევოლუციის გზით გათავისუფლდნენ და თავისუფლება მოიპოვეს. როგორც პ. არენდტი თვლის, ცნებები „გათავისუფლება“ და „თავისუფლება“ იგივეობრივი არ არის. რამეთუ გათავისუფლება შეიძლება იქცეს თავისუფლების აუცილებელ პირობად, მაგრამ ავტომატურად არ მიგვიყვანოს მასთან. ახალი დროის რევოლუციები მუდამ დაკავშირებული იყო როგორც გათავისუფლებასთან, ისე თავისუფლებასთან. გათავისუფლების მიზანი, ე.ი. ჩაგვრისაგან გათავისუფლების სურვილი, შეიძლება განხორციელდეს მონარქიული მმართველობის დროსაც, მაშინ, როდესაც თავისუფლების მიღწევა მოითხოვს ახალ, უფრო ხშირად მმართველობის ხელახლად აღმოჩენილ წესს ანუ მისთვის აუცილებელია რესპუბლიკის დამყარება. ამ ტიპის რევოლუციებმა თან მოიტანეს თავისუფლების მოპოვებისა და შექმნის გამოცდილება, რაც თავის მხრივ ახალი გამოცდილება იყო. **„მხოლოდ იქ, – წერს პ. არენდტი, – სადაც არსებობს სიახლის ეს პათოსი, და იქ, სადაც ეს სიახლე შეერთებულია თავისუფლების იდეასთან, ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რევოლუციის შესახებ“** (ციტ: 164, ტ 2, გვ. 107). ამ ორი ფაქტორის გაერთიანებამ გამოავლინა ადამიანის ახალი შესაძლებლობები, სწორედ თავისუფლებისაკენ მისწრაფება იყო და არის იმ ენთუზიაზმის წყარო, რომელსაც მსოფლიოს დიდ რევოლუციებში აღმოვაჩინთ ხოლმე.

**სოციალური მოძრაობა, სახეები და განვითარების სტადიები**

თანამედროვე საზოგადოებაში რევოლუციური აქტივობის გარდა, არსებობს სოციალური მოძრაობის მრავალი სხვა ფორმაც. ზოგიერთ მათგანს დიდი ხნის ისტორია აქვს, ზოგი კი სულ ახლახანს გამოვლინდა. მთლიანობაში სოციალური მოძრაობა თანამედროვე მსოფლიოს ისეთივე დამახასიათებელი ნიშანია, როგორც ბიუროკრატია. სწორედ ბიუროკრატიასთან აქვს მას ყველაზე დიდი დაპირისპირება, რათა გავლენა მოახდინოს საზოგადოების განვითარებაზე. სოციალური მოძრაობის ბუნებისა და გავლენის კვლევა არსებითია პოლიტიკური სოციოლოგიისათვის, რამეთუ საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ საზოგადოების პოლიტიკურ ინსტიტუტებზე ეფექტური ზემოქმედების მექანიზმები.

სოციალური მოძრაობის მრავალი განსაზღვრება არსებობს, მათგან ჩვენ-ვის ყველაზე მნიშვნელოვანია ჰ. ბლუმერისა და ე. გიდენსის მიერ მოცემული დეფინიციები. **„სოციალური მოძრაობა, – წერს ბლუმერი, – შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცხოვრების ახალი წყობის დამყარების მიზნით წარმართული საქმიანობა, რომლის დასაწყისს ფესვები შფოთის მდგომარეობაში აქვს გადგმული“** (32, გვ. 195). მამოძრავებელი ძალა კი წარმოიქმნება ცხოვრების არსებული ფორმით დაუკმაყოფილებლობისა და ახალი წყობის დამყარების სურვილებისა და იმედებისაგან. სოციალური მოძრაობის განვითარების გზა გვიჩვენებს ცხოვრების ახალი წყობის წარმოშობას. დასაწყისში სოციალური მოძრაობა ამორფულია, ცუდად არის ორგანიზებული და არა აქვს ფორმები. განვითარების ზომის კვალობაზე იგი თანდათანობით იღებს საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, მაგალითად, იძენს ორგანიზაციასა და ფორმას, ადათებისა და ტრადიციების კორპუსს, მყარ ხელმძღვანელობას, შრომის მუდმივ დანაწილებას, სოციალურ წესებსა და სოციალურ ფასეულობებს – მოკლედ, კულტურას, სოციალურ ორგანიზაციასა და ცხოვრების ახალ წყობას.

სოციალური მოძრაობის ბლუმერისეული დეფინიცია ბევრი რამითაა საინტერესო, მაგრამ იგი მთლიანად ვერ ამონურავს მისი ცნების მოცულობას. ამ მხრივ, მეტი სიზუსტე და მომცველობა აქვს ე. გიდენსის მიერ მოცემულ განსაზღვრებას. **„სოციალური მოძრაობა, – წერს იგი, – შეიძლება განისაზღვროს, როგორც დადგენილი ინსტიტუტების ფარგლებს გარეთ კოლექტიური მოქმედების საშუალებით საერთო მიზნის მიღწევის ან საერთო ინტერესების განხორციელების მცდელობა“** (53, გვ. 584).

ამ განსაზღვრებაში ხაზგასმულია საზოგადოებრივი და სოციალური მოძრაობის არაინსტიტუციონალური და არაფორმალური ხასიათი. გარდა ამისა, მასში კარგად ჩანს, რომ არა ყოველი სოციალური მოძრაობა მიმართულია ახალი საზოგადოებრივი წყობის დასამყარებლად. თუმცა, სიძნელები მასაც აქვს, რამეთუ მის ფონზე საკმაოდ ძნელია ინტერესთა ჯგუფების გამიჯვნა. ინტერესთა ჯგუფები ხომ პოლიტიკოსებზე გავლენის მოსახდენად არიან ორ-



განიზებულნი, თანაც დადგენილი და ფორმალური ინსტიტუტების ფარგლებს გარეთ მოქმედებენ. მერყევია სოციალურ მოძრაობებსა და ფორმალურ ორგანიზაციებს შორის გამყოფი ხაზიც. ბლუმერისა არ იყოს, კარგად განვითარებული სოციალური მოძრაობები ითვისებენ ბიუროკრატიისათვის დამახასიათებელ ნიშნებს, ამიტომ სოციალური მოძრაობები შეიძლება თანდათანობით ფორმალურ ორგანიზაციად იქცეს, რაც ძალზე იშვიათად ხდება. ამის მაგალითად ე. გიდენსს ხსნის არმიის ევოლუცია მოჰყავს, რომელიც დასაწყისში წარმოიშვა როგორც ეროვნული მოძრაობა, მაგრამ დღეს მას უკვე მუდმივად მოქმედი ორგანიზაციის მრავალი ნიშანი ახასიათებს.

### სოციალური მოძრაობის კლასიფიკაცია

ჰ. ბლუმერი სოციალური მოძრაობის სამ: ზოგად, სპეციფიკურ და ექსპრესიულ სახეს ანალიზებს. ზოგადი სოციალური მოძრაობის ქვეშ იგი მუშების, ახალგაზრდულ, ქალთა და მშვიდობისათვის მოძრაობებს გულისხმობს. მათი საფუძველი ადამიანურ ფასეულობათა თანმიმდევრული, ყოველმხრივი და ყოვლისმომცველი ცვლილებებია. ესაა ცვლილებები, რომლებსაც კულტურული მიმდინარეობები შეიძლება ეწოდოს. სწორედ, კულტურული მიმდინარეობები ძევს ზოგად სოციალურ მოძრაობათა საფუძველში. კულტურული მიმდინარეობები ახდენენ ადამიანთა აზროვნებაში ზოგადი ძვრების, განსაკუთრებით კი საკუთარი მეობის, უფლებებისა და პრივილეგიების შესახებ წარმოდგენების **სიმბოლიზებას**. ამის საფუძველზე კი ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია განავითაროს იმედებსა და სურვილებზე დამყარებული ახალი თვალსაზრისი თავიანთ უფლებებსა და პრივილეგიებზე. ეს კი უკვე მოასწავებს ფასეულობათა ახალი სისტემის წარმოშობას, რომელიც უკვე ზემოქმედებს იმ წესზე, რომლის საშუალებითაც ადამიანები საკუთარ ცხოვრებას წარმოსახავენ. ამის მაგალითებად ბლუმერს მოჰყავს ჯანმრთელობის მზარდი ღირებულება, თავისუფალი განათლების რწმენა, ქალთა ემანსიპაცია, ბავშვებისადმი მზარდი ყურადღება, მეცნიერების პრესტიჟი. მსგავსი კულტურული მიმდინარეობის მიერ შექმნილი ახალი ფასეულობების განვითარება მოიცავს გარკვეულ ფსიქოლოგიურ ცვლილებას, რომელსაც ძალუძს ზოგადი სოციალური მოძრაობის მოტივაციით უზრუნველყოფა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ადამიანებს გაუჩნდათ ახალი წარმოდგენები საკუთარ თავზე, უფლებებსა და პრივილეგიებზე, რომელიც უკვე აღარ შეესაბამება ცხოვრებაში მათ მიერ დაკავებულ რეალურ ადგილს**. იძენენ რა ახალ ინტერესებს, ორიენტაციებსა თუ მიდრეკილებებს, შესაბამისად, უკვე მზად არიან ახალი მიმართულების მქონე მოძრაობაში ჩასაბმელად. კულტურული მიმდინარეობების გამონვევის პასუხად განვითარებული წარმოდგენები და სახები საკუთარ თავსა თუ უფლებებზე ბუნდოვანი,

გაურკვეველი და განუსაზღვრელია. მაშასადამე, მოქმედებაც, რომელიც ამ წარმოდგენებისა და სახეების გამოძახილია, განუსაზღვრელია და არა აქვს რამდენადმე ნათლად გამოკვეთილი მიზანი. სწორედ ეს თვისება, შენიშნავს ბლუმერი, იძლევა ზოგადი სოციალური მოძრაობის გაგების გასაღებს.

ზოგადი სოციალური მოძრაობა უფრო მოსინჯვისა და არაკოორდინირებული მცდელობის ფორმას ატარებს. მას აქვს მხოლოდ ძალიან ზოგადი მიმართულება – არ ჰყავს მყარი ხელმძღვანელობა და არც აღიარებულ წევრთა შემადგენლობა, ახასიათებს მართვისა და კონტროლის დაბალი ხარისხი; არაორგანიზებულია; ეპიზოდური ხასიათის მატარებელია; შეუძლია ძლიერი ენთუზიაზმი გამოიჩინოს ერთ საკითხში, მაგრამ უხალისობა და ინერცია – მეორეში; შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს ერთ სფეროში და ვერაფრით გამოიჩინოს თავი მეორეში; ვითარდება არათანმიმდრეკრულად, ხშირად სდევს შეფერხებები, უკან დახევები და უკვე განვლილი ეტაპებისადმი ხშირი მიბრუნება.

ზოგადი სოციალური მოძრაობა, უწინარეს ყოვლისა, პროტესტის გამოხატულებათა, რომელსაც თან ახლავს უტოპიური არსებობისა და მომავლის სურათის ბუნდოვანი აღწერა. მართალია, იგი გაურკვეველად ხაზავს ახალ წარმოდგენებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობის კონტურებს, მაგრამ მისი გავრცელება ნერგავს ახალ შეხედულებებს, ავრცელებს ახალ მონოდებებს. ამ გზით იგი შთააგონებს ადამიანებს იდეებს, აღძრავს იმედებსა და ხელს უწყობს ძველისადმი უკამყოფილების გაძლიერებას. შესაბამისად, ზოგადი სოციალური მოძრაობის ლიდერები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მოძრაობის კონტროლისა და ხელმძღვანელობის თვალსაზრისით, არამედ ტემპის გაძლიერების გზით. როგორც ბლუმერი წერს, ეს ლიდერები არიან „მლაღაღებელნი უდაბნოსა შინა“, პიონერები მიმდევართა მყარი და ორგანიზებული ჯგუფის გარეშე, რომლებიც არცთუ ნათლად ერკვევიან საკუთარ მიზნებში.

ამგვარად, ზოგადი სოციალური მოძრაობები ვითარდება შეუმჩნეველად, არაფორმალურად და არაოფიციალურად, მასში ინდივიდთა ურთიერთქმედების ძირითადი საშუალებებია: კითხვა, საუბრები, დისკუსიები, პიროვნული მაგალითებისადმი მიყოლა. თავისი ბუნებით ზოგადი სოციალური მოძრაობა ახლოს დგას მასის მოძრაობასთან, რადგან იგი საკმაოდ უფორმოა ორგანიზაციულად, ხოლო გამოთქმის თვალსაზრისით, დაუნაწევრებელი.

როგორც კულტურული მიმდინარეობა არის ზოგადი სოციალური მოძრაობის საფუძველი, ისე ზოგადი სოციალური მოძრაობა წარმოადგენს ფუნდამენტს, რომელზეც ვითარდება სპეციფიკური სოციალური მოძრაობა. იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ზოგადი სოციალური მოძრაობით გამონეული დაუკმაყოფილებლობის, იმედებისა და სურვილთა მოტივაციის კრისტალიზაცია და ამ კრისტალიზებული მოტივაციის მიმართვა რომელიმე სპეციფიკურ მიზანზე. ამის ილუსტრაციად ბლუმერი თვლის მოძრაობას მონობის გასაუქმებლად, რომელიც XIX საუკუნეში ფართოდ გავრცელებული ჰუმანისტური მოძრაობის ინდივიდუალური გამოხატულება იყო.

**სპეციფიკური სოციალური მოძრაობები.** მისი გამორჩეული მაგალითებია: რეფორმისტული და რევოლუციური მოძრაობები. „სპეციფიკური სოციალური მოძრაობა, – ბლუმერის აზრით, – ესაა მოძრაობა ნათლად განსაზღვრული მიზნით, რომლის მიღწევასაც იგი ცდილობს. ამ ძალისხმევას იგი ავითარებს თავის ორგანიზაციასა და სტრუქტურას, რაც მას არსებითად, საზოგადოებად აქცევს. იგი ავითარებს აღიარებულ და მიღებულ ხელმძღვანელობას, აგრეთვე განსაზღვრულ წევრთა შემადგენლობას, რომელც ხასიათდება „ჩვენ-ცნობიერებით“.

იგი აყალიბებს გარკვეული ტრადიციების კორპუსს, ღირებულებათა სისტემას, რაღაც ფილოსოფიას, წესების განსაზღვრულ ნაკრებსა და საერთო ექსპექტაციათა (მოლოდინთა, – ა. ბ.) ერთობლიობას“ (32, გვ. 198). სპეციფიკური სოციალური მოძრაობის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული და მეტ-ნაკლებად ერთმანეთის ერთგულები არიან. მასში ვითარდება შრომის განსაზღვრული დანაწილება, განსაკუთრებული სოციალური სტრუქტურის ფორმით, რომელშიც ინდივიდები იკავებენ განსაზღვრული სტატუსის მქონე პოზიციებს. რასაკვირველია, იგი თავიდანვე არ არის ასეთი სტრუქტურისა და ორგანიზაციის მქონე. მისი სტრუქტურა და კულტურა ყალიბდება განვითარების პროცესში. დასაწყისში, სპეციფიკური სოციალური მოძრაობაც სუსტად არის ორგანიზებული და ხასიათდება იმპულსური ქცევით. მას ჯერ კიდევ არა აქვს ნათელი მიზანი. მისი მიმდევრებისა და მომხრეების აზროვნება და მოქმედება ძირითადად შფოთისა და კოლექტიური მღელვარების გრძნობების ზემოქმედების ქვეშ იმყოფება. განვითარების კვალობაზე მისი ფუნქციონირება ხდება ორგანიზებული, მტკიცე და მუდმივი.

გ. დოუსონსა და ვ. გეტისთან ერთად ჰ. ბლუმერი სოციალური მოძრაობის განვითარების ოთხ სტადიას გამოყოფს:

1. სოციალური შფოთისა და მღელვარების სტადია;
2. საყოველთაო მღელვარების სტადია;
3. ფორმალიზაციისა და,
4. ინსტიტუციონალიზაციის სტადია.

**განვითარების პირველ სტადიაზე** ადამიანები განიცდიან შფოთის, განგაშის გრძნობებს და ძირითადად მოქმედებენ ყოველგვარი წინასწარი განჭვრეტის გარეშე. ამ სტადიაზე ისინი ადვილად ემორჩილებიან იმ მოწოდებებსა და შთაგონებებს, რომლებიც უკმაყოფილებას ასაჩივრებენ და ამართლებენ.

**მეორე სტადიაზე** ადამიანები აცნობიერებენ თავიანთი მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებს, გეგმავენ იმას რაც უნდა გაკეთდეს სოციალური ცვლილებების გზაზე, ზუსტდება მოძრაობის მიზნები. ამ სტადიაზე მოძრაობის ლიდერი გვევლინება წინასწარმეტყველის ან რეფორმატორის სახით.

**მესამე სტადიაზე** უკვე ხდება მოძრაობის მიზნებისა და საშუალებების ფორმალიზება, მოძრაობა ორგანიზდება, იგი იმუშავებს მოქმედების საკუთარ წესებს, პოლიტიკას, ტაქტიკასა და დისციპლინას. ამ სტადიაზე ლიდერი სახელმწიფო მოღვაწის ნიშან-თვისებებს იძენს.

**მეოთხე სტადიაზე** ხდება მოძრაობის ინსტიტუციონალიზაცია, იგი კრისტალდება ფიქსირებულ ორგანიზაციად, განსაზღვრული შემადგენლობითა და სტრუქტურით, რომელიც უშუალოდ მიმართულია მოძრაობის მიზნების განხორციელებაზე. ამ სტადიაზე ლიდერი ადმინისტრატორად იქცევა.

**ექსპრესიული მოძრაობები.** ექსპრესიული მოძრაობის სპეციფიკურ ნიშნად ჰ. ბლუმერი გამოყოფს იმას, რომ „ისინი არ ესწრაფვიან სოციალური წყობის ინსტიტუტების ან მათი რეალური ხასიათის შეცვლას“ (32, გვ. 209). შფოთი და დაძაბულობა, რომლისგანაც ეს მოძრაობები წარმოიშობა, არ არის მიმართული სოციალური ცვლილების რომელიმე მიზანზე, რომლის მიღწევასაც ეს მოძრაობა ეცდებოდა. ამის ნაცვლად ხდება შფოთისა და დაძაბულობის განმუხტვა, რომელიმე ექსპრესიული მოქმედების სახით; ამ მოქმედების კრისტალიზაცია და გამოკვეთა ღრმა გავლენას ახდენს ადამიანთა ინდივიდუალობასა და სოციალური წყობის ხასიათზე. ექსპრესიული მოძრაობის ძირითადი სახეებია: **რელიგიური მოძრაობა და მოღვაწე.**

სოციალური მოძრაობის უფრო ზუსტ და ამომწურავ კლასიფიკაციას, ე. გიდენსის თქმით, დ. ებერლეს მიერ დამუშავებული კლასიფიკაცია წარმოადგენს. ჰ. ბლუმერისაგან განსხვავებით, დ. ებერლე სოციალური მოძრაობის ოთხ ტიპს აღწერს. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

**1. ტრანსფორმაციული მოძრაობა** მიმართულია საზოგადოებაში შორს მიმავალ ცვლილებებსა და გარდაქმნებზე. გარდაქმნები, რომლებსაც ქადაგებენ ამ მოძრაობის წევრები, შეიძლება მოგვევლინოს კატაკლიზმად, რომელიც ხშირად ძალადობასთან არის შეუღლებული. ასეთია რევოლუციური და რადიკალური რელიგიური მოძრაობა.

**2. რეფორმისტული მოძრაობა.** მისი მიზნები უფრო მარტივია, ვინაიდან იგი არ სცილდება არსებული სოციალური წყობის მხოლოდ ზოგიერთი ასპექტის ცვლილებასა თუ გარდაქმნას. რეფორმისტული მოძრაობა დაკავშირებულია სოციალური უსამართლობისა და უთანასწორობის კონკრეტულ სახეებთან. მაგალითად, ჯგუფები, რომლებიც გამოდიან აბორტის აკრძალვის მოთხოვნით. ტრანსფორმაციული და რეფორმისტული მოძრაობა ძირითადად მიმართულია მთლიანად საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებსა და გარდაქმნებზე. მომდევნო ორი ტიპი კი მიზნად ისახავს ინდივიდთა ჩვეულებებისა და შეხედულებების შეცვლას.

**3. ინდივიდის ხელახლა აღზრდაზე მიმართული მოძრაობა.** ამ მოძრაობის მიმდევრები ესწრაფვიან ადამიანები დაიცვან, მათი აზრით, მანკიერი ცხოვრების წესისაგან. ამ კატეგორიას მიეკუთვნება მრავალი რელიგიური მოძრაობა, რამდენადაც მათი უპირველესი მიზანი ინდივიდთა სულიერი ხსნის პრობლემაა.

**4. ალტერაციული მოძრაობები.** ორიენტირებულია ინდივიდთა ცხოვრების წესის ნაწილობრივ ცვლილება-გარდაქმნაზე. მათი მიზანი არაა ადამიანთა ჩვეულებების სრული შეცვლა. მათ მხოლოდ ცალკეული სპეციფი-

კური ნიშნები აინტერესებთ. მაგალითად, ასეთია ანონიმურ ალკოჰოლიკთა საზოგადოება.

ზემოთ გაანალიზებული სოციალური მოძრაობის კლასიფიკაციები ერთმანეთს ავსებენ. ბლუმერისეული კლასიფიკაცია უფრო ზოგად მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას, მაშინ, როდესაც დ. ებერლე ინდივიდთა პირად ცხოვრებაში სოციალური მოძრაობის როლსა და დანიშნულებას იღებს ამოსავალ წერტილად.

### **სოციალურ მოძრაობათა განვითარებისა და ორგანიზების მექანიზმები.**

სოციალური მოძრაობა თავისი ბუნებით კოლექტიური ხასიათისაა და მის განვითარებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს. განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური პირობები განსხვავებულ ელფერს აძლევს მათ. მაგრამ თითოეული მათგანი წარმოშობისა და განვითარების ერთგვაროვან გზას გაივლის. რაც შეეხება მისი განვითარების სტადიებს, მის შესახებ მოკლედ უკვე ვისაუბრეთ. სოციოლოგიური თავლსაზრისით უფრო საინტერესოა იმ მექანიზმებისა და წესების ანალიზი, რომელთა მეშვეობითაც სოციალური მოძრაობები დასრულებულ და ორგანიზებულ სახეს იღებს. ჰ. ბლუმერი ამ მექანიზმებს ხუთ პუნქტად ალაგებს და თანმიმდევრულად არკვევს თითოეული მათგანის როლსა და დანიშნულებას სოციალური მოძრაობის წარმოშობასა და განვითარებაში. ეს მექანიზმებია:

1. აგიტაცია;
2. esprit de corps-ის განვითარება;
3. მორალის განვითარება;
4. იდეოლოგიის ჩამოყალიბება;
5. სამუშაო ტაქტიკის შემუშავება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

I. **აგიტაციის როლი.** მის გარეშე სოციალური მოძრაობის წარმოშობა შეუძლებელია. იგი ყველაზე სერიოზულ და მნიშვნელოვან როლს მოძრაობის საწყის სტადიებზე ასრულებს, თუმცა არანაკლები როლი შეუძლია ითამამოს მოძრაობის შემდეგ ეტაპებზეც. აგიტაცია იმით, რომ აღელვებს ადამიანებს, მათგან ქმნის მოძრაობის შესაძლო მომხრეებს. აგიტაცია თავის არსით არის, „ადამიანის აღელვებისა და მათში ახალი მისწრაფებებისა და იდეების აღძვრის წესი, რომლებიც მათ შენუხებულსა და უკმაყოფილოს ქმნიან“. მაშასადამე, იგი „მიმართულია მათი ადრინდელი შეხედულებების შესუსტებასა და აზროვნების და მოქმედების წესების შერყევაზე“ (32, გვ. 199). სოციალური მოძრაობა რომ დაიწყოს და მიიღოს განვითარების იმპულსი, აუცილებელია ადამიანებმა უარი თქვან აზროვნების ჩვეულებრივ წესებზე, რათა მათ ცნობიერებაში გაიღვიძოს ახალმა მისწრაფებებმა და სურვილებმა. სწორედ აქეთ-კენაა მიმართული აგიტაცია. წარმატების მოსაპოვებლად მან უნდა:

1. მიიპყროს ადამიანთა ყურადღება;
2. ააღელვოს ისინი და აღუძრას ემოციები და მისწრაფებები;

3. იდეების, შთაგონების, კრიტიკისა და დაპირებების მეშვეობით ამ ემოციებსა და მისწრაფებებს მისცეს მიმართულება.

ამგვარად, აგიტაციის ძირითადი ფუნქცია და დანიშნულება არის ის, რომ ააღელვოს და ძველი კალაპოტიდან ამოაგდოს ადამიანები, რათა გაათავისუფლოს ისინი ახალი მიმართულების მქონე მოძრაობის მხარდასაჭერად. ძირითადად იგი მიმართულია და მოწოდებულია, რათა ადამიანებმა შეიცვალონ საკუთარი თავის, უფლებებისა და მოვალეობების შესახებ არსებული წარმოდგენები. მსგავსი ახალი წარმოდგენები, რომლებიც ადამიანებს არწმუნებენ, რომ „**მათ კანონიერი უფლება აქვთ იმ პრივილეგიებზე, რომლებსაც ისინი მოკლებულნი არიან, უზრუნველყოფენ სოციალური მოძრაობის ძირითად მოტივაციურ ძალას**“ (32, გვ. 199). ამრიგად, აგიტაციას, როგორც ადამიანებში ახალი იდეებისა და შეხედულებების ჩანერგვის წესს, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი სოციალური მოძრაობისათვის.

II. *Esprit de corps-ის განვითარება*. ბლუმერის აზრით, სოციალურ მოძრაობას, გამძლეობას, სიმტკიცეს ანიჭებს esprit de corps-ის, ანუ კორპორაციული გონის თუ სულისკვეთების განვითარება. იგი შეიძლება გავიგოთ, როგორც ემოციების ორგანიზების, მოწესრიგების პროცესი მოძრაობის ინტერესების შესაბამისად. თავისთავად იგი არის გრძნობა იმისა, რომ რაღაც საერთო საქმეს ემსახურები და ამასთან, საერთო წარმოებაში ადამიანებს შორის თანაზიარობისა და სოლიდარობის გრძნობაც ყალიბდება. მისი საფუძველია ადამიანებს შორის კონტაქტის მდგომარეობა. თანაზიარობისა და სიახლოვის გრძნობების განვითარებისას ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ მათ აერთიანებთ რაღაც საერთო განცდა და რომელიღაც რჩეულ ჯგუფს შეადგენენ. ერთად ყოფნისას ისინი თავისუფლად იქცევიან და ამხანაგებად გრძნობენ თავს – ქრება უცხოობის, გამოცალკევებისა და გაუცხოების გრძნობები. ასეთ პირობებში ურთიერთობა ინდივიდებს შორის კოოპერაციას უახლოვდება და ცვლის პიროვნებათა შორის კონკურენციას. ურთიერთსიმპათიისა და თანაგრძნობის ასეთი პირობები, ბუნებრივია, ხელს უწყობს ინდივიდთა შეთანხმებულ მოქმედებას.

კორპორაციული სულისკვეთება მოწოდებულია განუმტკიცოს ადამიანებს სოციალურ მოძრაობაში მონაწილეობის შედეგად ჩამოყალიბებული ახალი წარმოდგენები საკუთარი თავისა და პრივილეგიების შესახებ. მოძრაობის მონაწილეებთან თანაზიარობის განცდა ინდივიდს აძლევს კოლექტიური მხარდაჭერის შეგრძნებას. ამ გზით მიმდინარეობს საკუთარი თავისა და მოძრაობის მიზნების შესახებ ინდივიდის წარმოდგენების განმტკიცება, მაშასადამე, esprit de corps-ის მთავარი ფუნქციაა გამოუმუშაოს ინდივიდებს მოძრაობის მიზნებისადმი ერთგულების გრძნობა. ხდება ინდივიდის გრძნობების წარმართვა მოძრაობის მიზნებზე. ასეთ ვითარებაში იგი განიცდის თავისი ღირსებისა და მნიშვნელობის ზრდის გრძნობებს, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მოძრაობისადმი მის ერთგულებას. ნათელია, რომ კორპორაციული გონი, ანუ სულისკვეთება არის დარაზმულობისა და ერთიანობის და გრძნობების განვი-

თარების, მაშასადამე, სოციალური მოძრაობის დარაზმულობის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება.

სოციალური მოძრაობა კორპორაციული სულისკვეთების განმტკიცებას აღწევს სამი გზით:

1. შიდაჯგუფურ – გარეჯგუფური ურთიერთობების განვითარებით;
2. არაფორმალურ ამხანაგურ ასოციაციათა ჩამოყალიბებით;
3. ფორმალურ ცერემონიალებში მონაწილეობით.

**შიდაჯგუფურ-გარეჯგუფურ დამოკიდებულებებს**, – წერს ბლუმერი, – მაშინ აქვთ ადგილი, როდესაც ორი სოციალური ჯგუფი ერთმანეთის მტრად თვლის თავს. ამგვარ სიტუაციაში თითოეულ ჯგუფს თავისი თავი სათნოებისა და სიკეთის მატარებლად მიაჩნია, შესაბამისად, ჯგუფის შიგნით მის წევრებს შორის ავითარებს ალტრუიზმის, ლოიალურობისა და ერთგულების გრძნობებს. მეორე ჯგუფი კი განიხილება, როგორც უპრინციპო და ბოროტი ზრახვების მქონე ინდივიდთა გაერთიანება, რომელიც ემუქრება და თავს ესხმის შიდაჯგუფისათვის სამკვედრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ფასეულობებს. გარეჯგუფის წევრებთან მიმართებაში შიდაჯგუფის წევრები არა მხოლოდ გრძნობენ თავიანთ სიმართლესა და უფლებამოსილებას, არამედ დარწმუნებული არიან, რომ პასუხს აგებენ საკუთარი იდეალების დაცვასა და შენარჩუნებაზე. ჯგუფის წევრების რწმენა, რომ მოძრაობას უსაფუძვლოდ და უსამართლოდ ებრძვიან, ბოროტი ზრახვების მქონე უპრინციპო ჯგუფები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საერთო მიზნებისა და ფასეულობების ირგვლივ შიდაჯგუფის წევრების დარაზმვასა და ერთიანობაში. ამ აზრით, მტრის არსებობას სერიოზული მნიშვნელობა აქვს, იგი მოძრაობის დარაზმულობასა და ერთიანობას განამტკიცებს. იგი ასევე ასრულებს „განტევეების ვაცის“ მნიშვნელოვან როლს. მტრის ხატის გამოგონება სასარგებლოა მოძრაობისათვის. ძირითადად, მტრის ხატის განვითარება, როგორც ბლუმერი შენიშნავს, სპონტანურად ხდება. სწორედ, ამ თავისი სპონტანურობით იგი ძალიან უწყობს ხელს კორპორაციული სულისკვეთების - esprit de corps-ის განვითარებას.

**არაფორმალური ამხანაგობები.** Esprit de corps განვითარებას ასევე უწყობს ხელს არაფორმალურ ასოციაციათა გზით ამხანაგური და მეგობრული ურთიერთობების განმტკიცება მოძრაობის წევრებს შორის, სწორედ არაფორმალური შეკრებისას აქვთ ადამიანებს საშუალება ერთმანეთი გაიცნონ როგორც ადამიანური არსება და არა როგორც ინსტიტუციონალური სიმბოლო. ამგვარი სიტუაცია აადვილებს ადამიანებში საკუთარ თავზე ერთმანეთის როლების მიღებას და თავისდა შეუმჩნეველად ერთმანეთის განცდებისა და გრძნობების გაზიარებას. ასეთი ურთიერთობების დროს, ადამიანები არაცნობიერად ითვისებენ და იზიარებენ ერთმანეთის ყესტებს, ორიენტირებს, ღირებულებებს და როგორც ბლუმერი სწორად შენიშნავს, ცხოვრებისეულ ფილოსოფიასაც კი. ამის უშუალო შედეგი კი ურთიერთსიმპათიისა და სიახლოვის გრძნობების განვითარებაა, რაც ძალიან უწყობს ხელს მოძრაობის წევრების დარაზმულობასა და ერთიანობას. თითქოსდა, ერთი შეხედვით, ისეთი უმნიშვნელო ღონისძიებე-

ბი, როგორცაა: არაფორმალური მეგობრული საუბრები, სიმღერები, ცეკვები, პიკნიკების მოწყობა ავითარებენ და განამტკიცებენ სოციალური მოძრაობის წევრებში ამ კორპორაციულ სულისკვეთებას. ამგვარი ღონისძიებების წყალობით, **„ინდივიდს უჩნდება საკუთარი სტატუსის, სოციალური აღიარებისა და მხარდაჭერის გრძნობები, ადრინდელი მარტოობისა და პიროვნული გაუცხოების ნაცვლად“** (32, გვ. 203).

**ფორმალურ ცერემონიალებში მონაწილეობა.** Esprit de corps-ის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ფორმალურ ცერემონიებსა და რიტუალებს. ბლუმერის აზრით, **„მასობრივი დემონსტრაციების, მიტინგების, კრებების, აღლუმებისა და საიუბილეო ცერემონიების ღირებულება ყოველთვის იყო ცხადი მათთვის, ვისაც დაკისრებული ჰქონდა რომელიმე სოციალური მოძრაობის განვითარების ამოცანა“** (32, გვ. 203). ამ ღირებულებას აქვს ფართო მხარდაჭერის გრძნობის ფორმა, რომელსაც განიცდის მასობრივ შეკრებათა მონაწილე. ასეთ სიტუაციებში ინდივიდუალურ მონაწილეს უმაღლდება საკუთარ თავზე წარმოდგენა და შეფასებაც. რის გამოც იგი განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან ფიგურად შეიგრძნობს თავს. რაც უფრო მეტად ხდება პიროვნული მნიშვნელოვნების გრძნობის იდენტიფიცირება, ანუ გაიგივება სოციალურ მოძრაობასთან, როგორც ასეთთან, მით უფრო უწყობს ხელს იგი კორპორაციულ სულისკვეთების განვითარებას. ასეთივე როლს ასრულებს რიტუალური ატრიბუტიკაც, რომელიც შედგება ისეთი ემოციური სიმბოლოებისაგან, როგორცაა: ჰიმნები, ლოზუნგები, სიმღერები, მისალმებები, ლექსები, აქტები და უნიფორმა. თავიანთი ემოციური მნიშვნელობით ისინი სიმბოლურად გამოხატავენ სოციალური მოძრაობისადმი საერთო გრძნობებს, ამიტომ მათი გამოყენება ხელს უწყობს საერთო გრძნობათა მუდმივ კვლავწარმოებასა და გაძლიერებას. ამგვარად, esprit de corps არის ჯგუფური გრძნობათა ორგანიზებისა და ჯგუფური ერთუზიანობის განსაზღვრული ფორმა. კორპორაციული სულისკვეთება არის კოლექტიური გრძნობა, რომელიც სოციალურ მოძრაობას ანიჭებს სიცოცხლეს, ერთუზიანობასა და ენერგიას.

**III. მორალის განვითარება.** მისი განვითარების გარეშე სოციალური მოძრაობა ვერ შეიძენს სიმყარესა და გარკვეულობას. იგი გვიჩვენებს შეძლებს თუ არა არახელსაყრელ პირობებში სოციალური მოძრაობა დარაზმულობისა და ერთიანობის შენარჩუნებას. ამ აზრით, **„მორალი შეიძლება გავიგოთ როგორც ჯგუფური ნება ან მყარი კოლექტიური მიზანი“** (32, გვ. 204). მის საფუძველში დევს რწმენათა განსაზღვრული ერთობლიობა, რომელთაგან როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს სოციალური მოძრაობისათვის, ბლუმერი გამოყოფს შემდეგს:

1. სოციალური მოძრაობის მიზნებისა და სამართლიანობის რწმენა;
2. სოციალური მოძრაობის მიერ თავისი მიზნების გარდუვალი და საბოლოო მიღწევის რწმენა;
3. სოციალური მოძრაობისადმი დაკისრებული რალაც წმინდა მისიის რწმენა;
4. სოციალური მოძრაობისადმი რწმენა.



ამ რწმენათა ერთობლიობა სოციალური მოძრაობის მიზნებს მყარ და უცვლელ ხასიათს ანიჭებს, მის ძალისხმევას კი – სიმტკიცეს. სოციალური მოძრაობის განვითარების გზაზე აღმოცენებული დაბრკოლებები, შეფერხებები, უკანდახევები ახალ ძალისხმევათა და არა იმედგაცრუებისა და სასონარკვეთის საბაბი ხდება, რამეთუ ისინი სერიოზულ ზიანს ვერ აყენებენ მოძრაობის სამართლიანობისა და მისი წარმატებების გარდუვალობის რწმენას.

სოციალურ მოძრაობაში მორალის განვითარების პროცესში, ბლუმერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მითებს, განსაკუთრებით კი პოლიტიკურს. აღსანიშნავია:

- რჩეული ხალხის ან ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის მითი;
- საკუთარ ოპონენტთა არაადამიანურობისა და არაჰუმანურობის მითი;
- მოძრაობის ბედისა თუ ხვედრის მითი;
- მოძრაობის შედეგად დამყარებული ათასწლოვანი მეუფების მითი და სხვ.

ასეთი მითები მოძრაობაში მონაწილე ადამიანების სურვილებისა და იმედების გამოძახილია. კოლექტიური ბუნების გამო, ისინი ადვილად იძენენ სიმტკიცეს, უცვლელობასა და თავად მოძრაობის მომხრეთა მხრიდან უსიტყვო აღიარებას. როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, სწორედ ამ მითების დახმარებით აღწევენ მოძრაობის წევრები რწმენათა და შეხედულობათა დოგმატურ სიმტკიცეს და ცდილობენ, თუ საჭირო გახდა, გაამართლონ თავიანთი მოქმედებები მთელი მსოფლიოს წინაშე.

**IV. ჯგუფური იდეოლოგიის ჩამოყალიბება.** სოციალური მოძრაობის განვითარებაში, ბლუმერი განსაკუთრებით გამოყოფს იდეოლოგიის როლსა და დანიშნულებას. რამეთუ, **„იდეოლოგიის გარეშე სოციალური მოძრაობა ივლის ბრმად და საეჭვოა გაუმკლავდეს გარე ჯგუფების მხრიდან სასტიკ ოპოზიციას“** (32, გვ. 205). გარდა ამისა, იდეოლოგიის გარეშე მოძრაობა ვერ შეინარჩუნებს სიმყარეს და ვერც განვითარდება. მისი მოვალეობაა გაამართლოს მოძრაობის მიზნები და პასუხი გასცეს გარეჯგუფების იდეოლოგთა იდეურ თავდასხმებს. მოძრაობისათვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იდეოლოგია „ყალბი ცნობიერება“ თუ ჭეშმარიტი. მას თავისი მიზნების გასამართლებლად ერთნაირად შეუძლია გამოიყენოს ერთიცა და მეორეც. შესაბამისად მის არსენალს შეადგენს: ფილოსოფიური მოძღვრების, მეცნიერული თეორიების, რწმენებისა და მითების განსაზღვრული ერთობლიობა. მოძრაობის იდეოლოგიის ძირითადი ფუნქციებია:

- მოძრაობის დანიშნულების, მიზნებისა და წანამძღვრების ნათელი ფორმულირება;
- არსებული სოციალური სისტემის კრიტიკა და მისთვის განაჩენის გამოტანა;
- მოძრაობისა და მისი მიზნების გამართლება და თავდაცვითი მოძღვრების შექმნა;
- მოძრაობის პოლიტიკის, ტაქტიკისა და პრაქტიკული საქმიანობის პრინციპების განსაზღვრა;

– მოძრაობის გამამართლებელი მითების შეთხზვა.

ამგვარად, იდეოლოგია სოციალურ მოძრაობას ამარაგებს საკუთარი ფილოსოფიითა და ფსიქოლოგიით. იგი აძლევს მას ფასეულობების, რწმენების, კრიტიკული მსჯელობების, არგუმენტების, თავისი შეხედულებების დაცვის ხერხთა და საშუალებათა მთელ სისტემას. იდეოლოგია სოციალურ მოძრაობას უზრუნველყოფს – მიმართულებით, გამართლებით, თავდაცვისა და თავდასხმის არგუმენტებით, პათოსითა და იმედებით. იდეოლოგიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც აღვნიშნავთ არა ობიექტურობასა და მეცნიერულობას, არამედ რესპექტაბელურობასა და პრესტიჟს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, თუ ბლუმერს დავვსესხებით, არის ის, რომ იგი უნდა პასუხობდეს ადამიანთა ტანჯვას, სურვილებსა და იმედებს. თუ იდეოლოგია არ შეესატყვისება ამ მოთხოვნას, მაშინ მას სოციალური მოძრაობისათვის არავითარი ღირებულება და მნიშვნელობა არ ექნება.

**V. სამუშაო ტაქტიკის შემუშავება და როლი.** ტაქტიკა, როგორც სოციალური მოძრაობის მექანიზმი, სამი მიმართულებით ვითარდება. ესენია: მიმდევრების მოპოვება, შენარჩუნებისა და საკუთარი მიზნების მიღწევა. იგი მუდამ დამოკიდებულია იმ სიტუაციაზე, რომელშიც ფუნქციონირებს სოციალური მოძრაობა და ყოველთვის ეთანადება მოძრაობის კულტურულ ფონს. შესაბამისად, ტაქტიკის ეფექტურობას განაპირობებს მისი მოქნილობა და ცვალებადობა. მას უნდა შეეძლოს არსებული სიტუაციის არსის, ვითარებათა მოთხოვნების, ადამიანთა გამომგონებლობის გათვალისწინება და შესაბამისად ფორმირების ცვლაც.

ამგვარად, ამ ხუთი მექანიზმის ეფექტურ საქმიანობაზეა დამოკიდებული სოციალური მოძრაობის წარმატება, რადგან სწორედ ეს მექანიზმები ადგენენ პროგრამას, იმუშავენ პოლიტიკას, ავითარებენ და მხარს უჭერენ დისციპლინას და განამტკიცებენ მიმდევართა ერთგულებას.

აღნიშნულმა მსჯელობამ საშუალება მოგვცა თვალი გვედევნებინა სოციალური ცვლილებების, მოძრაობების, განსაკუთრებით რევოლუციური ცვლილებების წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებისათვის. გაგვეანალიზებინა მათი როლი და დანიშნულება საზოგადოებაში. ყოველივე ეს საშუალებას გვაძლევს ჩავწვდეთ თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ საზოგადოებაში, კერძოდ კი, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების ბუნებას, თავი დავიზღვიოთ არასასურველი ცვლილებების ტრაგიკული შედეგებისაგან და გასაქანი მივცეთ იმ სოციალურ მოძრაობებს, რომლებიც ცდილობენ ჰუმანურობის, თავისუფლებისა და თანასწორობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის იდეალების რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრებას.

**პოლიტიკური პარტიები: ფუნქციები და ტიპოლოგია**

1. **პარტიების წარმოშობა და რაობა.** პარტია ყველაზე პოლიტიკური ორგანიზაციაა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის. იგი უნივერსალური მნიშვნელობის მოვლენაა. პოლიტიკური პარტიები და დემოკრატია კი ერთმანეთისაგან განუყოფელი ფენომენებია. პარტოგენეზის, ანუ პარტიების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესს ფესვები გადგმული XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში აქვს. მაგრამ პარტია, თანამედროვე გაგებით, მაინც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

პარტიების წარმოშობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს:

1) პარტიების წარმოშობის მიზეზი ადამიანის ბუნებაშია, მასში ჩადებული ბრძოლის ტენდენციის გამო. ამიტომ ცივილიზაციის ჩამოყალიბებასთან ერთად, ადამიანები ირჩევენ ამა თუ იმ პოზიციას და ქმნიდნენ პარტიებს, როგორც ამ მებრძოლ-აგრესიული ინსტინქტის გამოთქმის ორგანიზებულ ფორმას.

2) პარტიების წარმოშობის მეორე მიზეზს უკავშირებენ ადამიანის ტემპერამენტს. ერთნი უფრო წარსულზე არიან ორიენტირებულნი, ცდილობენ შეინარჩუნონ არსებული წყობა, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტები, შესაბამისად ეწინააღმდეგებიან ინოვაციებს; მეორენი კი გაბედულად მიდიან რისკზე, რამეთუ იძულებულნი არიან რეაგირება მოახდინონ სოციალური წესრიგის ცვლილებებზე. ერთნაირი შეხედულებების მქონე ადამიანები ერთიანდებიან და ერთად ამუშავებენ პოლიტიკურ მოქმედებათა პროგრამას.

3) მესამე თვალსაზრისი აქცენტს აქტიური პოლიტიკური ლიდერის პიროვნებაზე აკეთებს, რომელიც თავის მომხრეებში უსიტყვო მორჩილების გრძობას ბადებს. (164, ტ. II).

ამ მოტივთა გარდა, მრავალი არგუმენტი არსებობს პარტიის იდეის ისტორიული ევოლუციისა და მისი განვითარების განმაპირობებელი სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების სასარგებლოდ. პარტიები ყალიბდებოდა დასავლეთ ევროპასა და ამერიკის ადრეებურყოფიულ სახელმწიფოებში. ისინი მოასწავებდნენ ინდუსტრიული ტიპის კონსტიტუციური წარმომადგენლობითი ფორმის განვითარების ერთ-ერთ ეტაპს. ა. შარანის აზრით, დემოკრატიული პარტია თანამედროვე სახით – ესაა სულ მცირე ორი პოლიტიკური მოვლენის:

ა) მონარქიის ძალაუფლების შეზღუდვისა და

ბ) საარჩევნო უფლების თითქმის მთელ ზრდასრულ მოსახლეობაზე გავრცელების პროდუქტი.

ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს ის, რომ პარტიებს ისტორიულად ფესვები გადგმული აქვთ, ერთი მხრივ, კანონიერ საფუძველზე მეფის უფლებამოსილების შეზღუდვისათვის ბრძოლაში, ხოლო, მეორე მხრივ კი – ამომრჩეველთა შორის

იმ სოციალური ჯგუფების გამოვლენაში, რომლებიც ამ ბრძოლისას ემხრობიან ერთ ან მეორე მხარეს ან მოითხოვენ თავიანთი ინტერესების აღიარებას.

პარტიების წარმოშობისა და წარმატებით ფუნქციონირების არსებითი მიზეზი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველში მდებარე ინტერესების, ორიენტაციების, ღირებულებების მრავალგვარობაში დევს. სწორედ ასეთი მრავალფეროვნება განაპირობებს საზოგადოებაში პოლიტიკური ინსტიტუტების განსხვავებულ გაგებას და შესაბამისად, განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური ორიენტაციების არსებობას. ერთიანი ინტერესების, პოზიციებისა თუ შეხედულებების მქონე ადამიანები, საბოლოო ჯამში, ერთიანდებიან, რათა ერთობლივად მიაღწიონ საერთო მიზანს. როგორც კ. გაჯიევი შენიშნავს, თუ საზოგადოება აღიარებს ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ინტერესებისა და ფრაქციების არსებობის კანონიერებას, მაშინ ასევე კანონიერად უნდა ვაღიაროთ იმ პოლიტიკურ ინსტრუმენტთა კანონიერება, რომლებიც მონოდებულნი არიან წარმოადგინონ ეს ინტერესები ხელისუფლების სისტემაში. პარტიების წარმოშობასა და აქტიურობას თავიდანვე ეჭვის თვალით უყურებდნენ, როგორც საზოგადოებრივი დეზინტეგრაციისა და კონფლიქტის წყაროს. აშინებდათ ის, რომ პარტია, როგორც საზოგადოების პარტიკულარული ნაწილი, რომელიც ამ საზოგადოების რომელიმე სოციალური ფენისა თუ ჯგუფის ინტერესებს გამოთქვამს და იცავს, ხელს შეუწყობდა საზოგადოების დაშლისა და სეპარატისტული სულისკვეთების განმტკიცებას. ამ მხრივ, დამახასიათებელია ამერიკელი ხალხისადმი ჯ. ვაშინგტონის „გამოსათხოვარ მიმართვაში“ გამოთქმული მოსაზრებები: „პარტიული სულისკვეთების“ საშიში შედეგების შესახებ, იგი პარტიას ახასიათებს, როგორც ხალხის ძალაუფლების ძირგამოთხრელ და სამთავრობო ხელისუფლების უზურპაციის „მზა იარაღს“. მაგრამ, როგორც ისტორიულმა განვითარებამ გვიჩვენა, ეს ასე არ მოხდა და დღეს პოლიტიკური ცხოვრება წარმოუდგენელია პარტიების არსებობის გარეშე.

პოლიტიკური პარტიის სხვადასხვა განსაზღვრება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანს აერთიანებს აზრი იმის შესახებ, რომ იგი არის „ორგანიზაცია, რომელიც ისწრაფვის არჩევნების გზით მოიპოვოს მთავრობაზე ლეგიტიმური კონტროლი“ (52, გვ. 299).

მ. ვებერის აზრით, პარტია არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ეყრდნობა წევრთა ნებაყოფლობით მიღებას, მიზნად ისახავს თავისი ხელმძღვანელობისათვის ძალაუფლების მოპოვებას და აქტიური წევრების შესატყვისი პირობებით (მატერიალური და სულიერი) უზრუნველყოფას, მატერიალური სარგებლის ან პირადი პრივილეგიების ან ერთდროულად ორივეს მისაღებად.

მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამს კ. ფრიდრიხი. იგი პოლიტიკურ პარტიას განსაზღვრავს, როგორც ადამიანთა ჯგუფს, რომელიც ორგანიზებულია იმ მიზნით, რომ საშუალება მისცეს თავის ლიდერებს შევიდნენ მთავრობაში და გააკონტროლონ იგი, ხოლო შემდეგ კი ასეთი კონტროლის წყალობით უზრუნველყონ პარტიის წევრები მატერიალურად და პრივილეგიებით. გეტელის აზრით, პოლიტიკური პარტია შედგება მეტად თუ ნაკლებ ორგანიზებულ მოქა-

ლაქეთა ჯგუფებისაგან, რომლებიც გამოდიან როგორც პოლიტიკური ერთეული და იყენებენ რა ხმის უფლებას, მიზნად ისახავენ მთავრობაზე კონტროლს და თავიანთი გენერალური პოლიტიკური ხაზის რეალიზაციას. ო. რენეის აზრით, პოლიტიკა არსებითად არის მეტოქეობა ადამიანთა ჯგუფებს შორის მთავრობის პოლიტიკურ საქმიანობაზე გავლენის მოსახდენად. პოლიტიკური პარტია – ესაა ავტონომიური, ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც არჩევნებში იბრძვის იმ იმედით, რომ მოიპოვებს მთავრობასა და მის პოლიტიკაზე კონტროლის შესაძლებლობას.

ყველაზე სრულად პოლიტიკური პარტია დაახასიათა ს. ნოიმანმა: „მთლიანობაში, – წერს იგი, – ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ პოლიტიკური პარტია, როგორც საზოგადოებაში იმ აქტიურ პოლიტიკურ პირთა ორგანიზაცია, ვინც დაინტერესებულია სახელმწიფოებრივ ხელისუფლებაზე კონტროლით და ვინც, ხალხის მხარდაჭერის მოპოვებისას ებრძვის და ეჯიბრება სხვა შეხედულებების მქონე ჯგუფს ან ჯგუფებს. ამ სახით პარტია წარმოადგენს საზოგადოებრივ ძალებს, იდეოლოგიებსა და ოფიციალურ სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებს, აგრეთვე დიდი პოლიტიკური გაერთიანებების პოლიტიკურ ქმედებებს შორის მძლავრ შუამავალს“ (ციტ. 164, ტ. 2, გვ. 204).

ამგვარად, პოლიტიკური პარტია არის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და პოლიტიკური ძალაუფლების დაუფლების მიზნით.

პარტიები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ეფექტური ფუნქციონირების საქმეში. დემოკრატია მოითხოვს, რომ მთავრობა გაგებით ეკიდებოდეს ხალხის იმედსა და მოლოდინს, უზრუნველყოფდეს მოქალაქეების შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი ნების ფორმირებაში. პოლიტიკური პარტიები ახორციელებენ აუცილებელ კავშირს ხალხსა და მმართველობის წარმომადგენლობით მექანიზმს შორის. სწორედ პარტიის გზით შეუძლია მთავრობას მიმართოს ხალხთა მასებს მხარდასაჭერად, ხოლო მასებს კი, თავის მხრივ, შეუძლია გააკრიტიკოს ხელმძღვანელობა და წაუყენოს მას მოთხოვნები. პარტიები დემოკრატიულ სისტემებში მუდმივად მოქმედებენ, მაგრამ მათი როლი განსაკუთრებით ცხადი არჩევნების წინ ხდება. პ. შარანის მართებული შენიშვნით, პარტიები დემოკრატიული სისტემის საარსებო აუცილებლობაა, განსაკუთრებით დღეს, რამეთუ პარტიული სისტემა განვითარების თანამედროვე ეტაპის ფენომენია.

დემოკრატია, პარტიული სისტემა განაპირობებს იმას, რომ პარტიებს შეუძლიათ თავიანთი სანუკვარი მიზნის – პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვება – მხოლოდ არჩევნებში წარმატების წყალობით. მხოლოდ არჩევნებშია პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ მიმავალი გზა. ეს კი განაპირობებს პარტიათა შემდეგ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს:

1. პარტიის უპირველესი მიზანი და ამოცანაა არჩევნებში გამარჯვება, რამეთუ მხოლოდ არჩევნების გზით ვლინდება ის ჯგუფი, ვინც უნდა მართოს

დემოკრატიულ პირობებში საზოგადოება. ამ მხრივ, ძირითადი სამუშაო დაკავშირებულია პოლიტიკური კურსის განსაზღვრასა და ჩამოყალიბებასთან.

2. პარტიის მეორე, უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საზოგადოებრივი აზრის მიმხრობა.

პოლიტიკური პარტიების აქტიური და მრავალგვაროვანი მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე პარლამენტის საქმიანობა.

– ისინი მონაწილეობენ საპარლამენტო კამათებსა და დისკუსიებში: მათი მომხრეები აყენებენ, იცავენ და განმარტავენ პარტიის პოლიტიკურ კურსს, ხოლო ოპონენტები დეტალურად იხილავენ და აკრიტიკებენ წამოყენებულ წინადადებებს.

– ისინი მონაწილეობენ პარლამენტის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღებაში, რომელიც ზოგჯერ პარტიისათვის უდიდეს გამოცდას წარმოადგენს.

– მსხვილი პოლიტიკური პარტიები, როგორც წესი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არჩევნებსა და საპარლამენტო საქმიანობისას, არ ავინყდებთ თავიანთი პერსპექტივებისათვის ხაზის გასმა.

**II. პარტიის ფუნქციები.** პოლიტიკური პარტიების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს ცალკეული მოქალაქის, დაინტერესებულ ჯგუფთა და სოციალურ ფენათა მრავალი კერძო ინტერესების **არტიკულაციასა** (გამოთქმასა) და მათი ერთობლივ პოლიტიკურ ინტერესად **აგრეგირებაში** (გაერთიანებაში), ამ ინტერესების ერთიან მნიშვნელზე დაყვანის გზით.

პარტიის დახმარებით, საზოგადოება და სახელმწიფო მჭიდრო ურთიერთკავშირში არიან ერთმანეთთან, განსაკუთრებული ინტერესების მქონე ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ და ამით ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკური მართვის პროცესებზე სხვადასხვა კავშირის, გაერთიანებისა თუ პარტიის წევრთა სახით. საზოგადოების მხრიდან სახელმწიფოს საქმიანობის კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია ამ კავშირების, გაერთიანებებისა და პარტიების გარეშე.

სოციოლოგები და პოლიტიკური მეცნიერების წარმომადგენლები დემოკრატიულ საზოგადოებაში ხშირად გამოყოფენ პარტიის ექვს ფუნქციას:

1. ისინი ხელს უწყობენ სალი შეხედულებების ჩამოყალიბებისადმი ღრმა ინტერესს.

2. განსაზღვრავენ დღის პოლიტიკურ პრობლემებს და ყურადღებას ამახვილებენ მთავრობის მუშაობის ალტერნატიულ გზებზე.

3. ამომრჩევლებს წარუდგენენ და აგიტაციას უწევენ იმ კანდიდატთა არჩევას, რომლებიც იცავენ პარტიის მიერ კონკრეტულ საკითხებსა და პრობლემებზე გაცხადებულ პოზიციებს.

4. რთული სოციალური წყობის პირობებში გამარჯვებული პარტია შესაძლებლობას აძლევს მოსახლეობის ყველაზე განსხვავებულ ფენებს გაერ-

თიანდნენ კოალიციაში, რათა უზრუნველყონ მოცემულ ეტაპზე მთავრობის მხარდამჭერი უმრავლესობის არსებობა.

5. გამარჯვებული პარტია აყალიბებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შემადგენლობას და თავის თავზე იღებს დეკლარირებული პოლიტიკის რეალიზაციას ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში.

6. ამ პერიოდის განმავლობაში უმცირესობის პარტია ოპოზიციაში უდგება მთავრობის პოლიტიკას, გულდასმით მისდევს ცხოვრებაში ამ პოლიტიკის გატარების პროცედურებსა და შედეგებს. ამომრჩეველთა თვალთახედვის არეში მუდმივად ტოვებს ალტერნატიული საკანონმდებლო პოლიტიკისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის გატარების შესაძლებლობას.

რამდენადმე განსხვავებულ ჩამონათვალს იძლევა ჰ. ფაინერი, მისი აზრით:

1. პარტია გვევლინება მაორგანიზებელი შუამავლის როლში;

2. პარტია ებრძვის მოქალაქეთა პოლიტიკურ აპათიას;

3. პოლიტიკური პარტიები ხალხთა ფართო მასების გაუნათლებლობის გადალახვას ესწრაფვიან. ისინი ღრმად იჭრებიან სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების სირთულეებში, წარმოადგენენ მათ ფართო მასებისათვის გასაგები სახით; ისინი სწავლობენ და განაზოგადებენ თანამედროვე პოლიტიკურ გამოცდილებას და დაჰყავთ იგი ადგილობრივი ამომრჩევლის ყურამდე;

4. პარტიები განსაზღვრავენ ღირებულებათა პრიორიტეტულ სკალასა და წრეს ქვეყნის მოსახლეობის შემადგენელ მრავალგანსხვავებული ჯგუფის ნების გასახორციელებლად;

5. ისინი ირჩევენ დელეგატებსა და ხელმძღვანელებს;

6. ამ ხელმძღვანელობასა და მუშაობაზე პასუხისმგებლობას პარტიები თავიანთ თავზე იღებენ (ციტ. 164, ნან-2, გვ. 206).

პარტიების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაა, ამიტომ ისინი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ორგანოებია. მათ აქვთ საზოგადოებრივი აზრის კრისტალიზაციის ტენდენცია, შეუძლიათ უფორმო და ამორფული მასა სტრუქტურულად გააფორმონ; თითქოსდა მკვეთრ მინიმუმამდე დაჰყავთ უთანხმოებები, არბილებენ ადამიანთა ხასიათის მკვეთრ ნიშან-თვისებებს და სწორედ მათგან აყალიბებენ სულიერ-გონით ერთობას. ამგვარად, საზოგადოებრივი აზრი გამოიყოფა კერძო შეხედულებათა მასისაგან, პარტიები კი შემდეგ არეგულირებენ და წარმართავენ მას განსაზღვრულ კალაპოტში. შესაბამისად, პარტიები ხელს უწყობენ ცალკეული ადამიანისა და ჯგუფთა განსხვავებული შეხედულებების ჰარმონიზაციას; გვევლინებიან დამრიგებლის როლში, რადგან ინფორმაციას აწვდიან ამომრჩეველებს, პრობლემებს გადასცემენ მარტივი და გასაგები ფორმით და აღვიძებენ პოლიტიკურ ინტერესებს. მაგრამ, პარტიათა საქმიანობა მაინც დაკავშირებულია:

ა) კანდიდატების წამოყენებასთან;

ბ) არჩევნებში გამარჯვების მოპოვებასთან;

გ) მთავრობის ფორმირებასთან.

პარტიული სისტემის არსებობა დემოკრატიის პირობებში საშუალებას აძლევს უმცირესობის პარტიებს, ჩამოაყალიბონ ეფექტური პოლიტიკური ოპოზიცია, წამოაყენონ ალტერნატიული პროგრამები, დაასახელონ არჩევნებში თავიანთი კანდიდატები. ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი პარტიების სისტემის არსებობა შესაძლებლობას აძლევს ამომრჩევლებს, წაახალისონ პარტიულ ლიდერთა ერთი ჯგუფი, ხოლო მეორენი დატუქსონ სახელმწიფო მართვაში დაშვებული შეცდომებისა და თუ გადაცდომებისათვის.

მართალია, პოლიტიკური პარტიები მონოდებული არიან ემსახურონ იმ ადამიანთა ინტერესებს, რომლებიც მათ მხარს უჭერენ, მაგრამ დემოკრატიის პირობებში უმთავრესი ფუნქცია მაინც არის **ხელისუფლების კონტროლი და ძალაუფლებისათვის ბრძოლის ხელმძღვანელობა**. ასევე, ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა ის, რომ პარტიები ასრულებენ კადრების მძლავრი „მიმოდებლის“ როლს. ეს ხორციელდება არჩევნებში კანდიდატთა წამოყენების, საარჩევნო კამპანიების ჩატარებისა და თანამდებობებზე დანიშვნის დროს. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა ის, რომ ისინი უზრუნველყოფენ ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლის შესაძლებლობას. რამდენიც არ უნდა იყოს პარტიების რიცხვი (ორი ან მეტი), პარტიების პაექრობა შესაძლებლად აქცევს მთავრობის მშვიდობიან შეცვლას, გამორიცხავენ შეიარაღებული სახელმწიფოებრივი გადატრიალების შესაძლებლობას, მაშასადამე, ძალისა და ტერორის დახმარებით უზენაესი ხელისუფლების შეცვლას. ამგვარად, პარტიების არსებობა აუცილებელია დემოკრატიული პოლიტიკისათვის. ისინი ხელს უწყობენ პოლიტიკის პრაქტიკულ რეალიზაციას. აკავშირებს რა სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს, პოლიტიკურ სისტემას ერთმანეთთან, ამით იგი ხელს უწყობს მათ შორის არსებული ურთიერთობებისათვის იმანენტურად დამახასიათებელი კონფლიქტების გადალახვას ან შერბილებას. სწორედ პარტიები უზრუნველყოფენ საკანონმდებლო კრებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციონირებას. სწორად შენიშნავს კ. გაჯიევი: „შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ძლიერი პარტიები კი არ ასუსტებენ, არამედ, პირიქით, აძლიერებენ სახელმწიფოს, განამტკიცებენ რა ამ უკანასკნელის საზოგადოებასთან უკუკავშირის არხებს, პოლიტიკურ პროცესებზე მის კონტროლს. შესაბამისად, პარტიების სისუსტე გარდუვალად იქცევა სახელმწიფოს სისუსტედ“ (48, გვ. 144).

ამგვარად, პარტიები არის საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის მაინტეგრირებელ არხთა და ნერვთა სისტემა, რომლის მეშვეობითაც ისინი გვევლინებიან ერთიან და განუყოფელ მთლიანობად.

**პარტიების სოციალური შემადგენლობა და ელექტორატი.** პარტიაში სტრუქტურული თვალსაზრისით გამოყოფენ სამ დონეს:



**1. ამომრჩევლები, ანუ ელექტორატი,** რომლებიც მოცემულ პარტიას აიგივებენ საკუთარ თავთან და სისტემატურად აძლევენ მას ხმას, ესაა პარტიული იდენტიფიკაცია, რომელიც პარტიული კუთვნილებისაგან განსხვავებით აღნიშნავს, რომ მხარს უჭერს მოცემულ პარტიას, ხმას აძლევს მის კანდიდატებს, მაგრამ შეიძლება არც კი იყოს ამ პარტიის წევრი. სწორედ ისინი შეადგენენ მასობრივ ბაზას, რომელიც უზრუნველყოფს პარტიის კანდიდატების მხარდაჭერას არჩევნების დროს;

**2. ოფიციალური პარტიული ორგანიზაცია.** იგი სათავეს ამომრჩეველთა ბინადრობიდან იღებს. პარტიული ორგანიზაციის შენება იწყება ყველაზე დაბალი პირველადი უჯრედის – საარჩევნო ოლქის დონეზე. მათი ერთობლიობა შეადგენს ორგანიზაციებს რაიონულ, საოლქო, სამხარეო თუ შტატის დონეზე, ხოლო ამ უკანასკნელთა პარტიული ორგანიზაციების ერთობლიობა კი – საერთო ეროვნულ პარტიას. თითქმის ყველა თანამედროვე პარტიას აქვს პარტიული აპარატი, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა განსაკუთრებულ ჯგუფს, იგი ძირითადად დაკავებულია პარტიის პოლიტიკური საქმიანობის ორგანიზაციული საკითხებით;

**3. თანამდებობის მქონე პირები,** რომლებმაც სახელმწიფო აპარატში თავიანთი პოსტები მიიღეს პარტიის კუთვნილების გზით: პრეზიდენტები, გუბერნატორები, პარლამენტის წევრები და ა.შ. პარტიის ლიდერი, რომელიც პარტიის ყველა სტრუქტურული ქვეგანყოფილებების დამაკავშირებელი რგოლია. არსებითად, პარტიის ცენტრალური ორგანოები – აღმასრულებელი საბჭო, აღმასრულებელი კომიტეტი და ცენტრალური ბიურო – ლიდერის სათათბირო ორგანოებს წარმოადგენენ.

**III. პარტიათა ტიპოლოგია და ორგანიზაციული სტრუქტურა.** იდეური საფუძვლების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და წევრობის პარამეტრთა მიხედვით, შეიძლება განვასხვაოთ პარტიათა ტიპები ერთმანეთისაგან.

– იდეური საფუძვლების მიხედვით განასხვავებენ პარტიათა შემდეგ ტიპებს:

**ა) დოქტრინულს,** რომელიც ორიენტირებულია თავისი იდეოლოგიური სინამდის დაცვაზე;

**ბ) პრაგმატულს,** რომელიც ორიენტირებულია მოქმედებათა პრაქტიკულ მიზანშეწონილობაზე;

**გ) ქარიზმულს,** რომელშიც ადამიანები გაერთიანებული არიან პარტიის ლიდერის ქარიზმის მიხედვით.

ძალაუფლების ამ ინსტიტუტის წარმოქმნის საფუძველი შეიძლება აღმოჩნდეს **სოციალური,** მაგალითად, აგრარული პარტია, ღარიბთა პარტია; **ეთნიკური** – მაგალითად, ბასკების „ერი ბატასუნა“, **კულტუროლოგიური** – ლუდის მოყვარულთა პარტიები გერმანიასა და რუსეთში და სხვ.

ყველაზე გავრცელებულია ფრანგი პოლიტიკური სოციოლოგის მ. დი-ურვერჟეს მიერ მოცემული კლასიფიკაცია, რომლის საფუძველია ორგანიზაციული სტრუქტურა და წევრობის პირობები. ამ პარამეტრების მიხედვით გამოყოფენ **მასობრივ, საკადრო და მკაცრად ცენტრალიზებულ პარტიებს**.

**მასობრივი პარტიები** წარმოიშვნენ პარლამენტის გარეთ. მათ სოციალურ ბაზას შეადგენდა მოსახლეობის დაბალი ფენები. ამიტომ მასობრივმა პარტიებმა სოციალური მოძრაობის ხასიათი მიიღეს, რამეთუ ორიენტირებული იყვნენ მუშების, გლეხებისა და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფზე. მასობრივი პარტიები ცენტრალიზებულ და დისციპლინირებულ გაერთიანებებს წარმოადგენენ. მართალია, აქაც დიდ როლს თამაშობს პარტიის ლიდერი და აპარატი, მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება შეხედულობათა ერთიანობას, პარტიის წევრთა იდეოლოგიურ ერთიანობას. მასობრივი პარტიებისათვის დამახასიათებელია: პოლიტიკურ ორგანიზაციათა პროგრამულობა, იდეოლოგიების მაღალი ხარისხი, პარტიის წევრები არა მხოლოდ იხდიან სანევრო შენატანებს, არამედ აქტიურადაც მონაწილეობენ პარტიის საქმეებში. ასეთ პარტიებს განეკუთვნებიან: ზოგიერთი დასავლური ტიპის წარმომადგენლობითი, სოციალისტური, კომუნისტური და პოპულისტური პარტიები.

რაც შეეხება **საკადრო – კადრის პარტიებს**, ისინი ყალიბდებიან პოლიტიკური მოღვაწეების ჯგუფის ირგვლივ; მათი ორგანიზაციულობის საფუძველია ლიდერების, აქტივისტების პოლიტიკური კომიტეტი. კადრის პარტიები ყალიბდება ზემოდან საპარლამენტო ჯგუფების საფუძველზე. ისინი ორიენტირებული არიან პროფესიონალი პოლიტიკოსებისა და ელიტარული ჯგუფების მონაწილეობაზე, რაც განაპირობებს კიდევ თავისუფალ წევრობასა და პარტიული ორგანიზაციის ამორფულობას. ასეთი პარტიები აქტიურდებიან არჩევნების დროს. მათი ამოცანაა მობილიზება გაუკეთონ კონკრეტულ საარჩევნო ოლქში გავლენიან პირებს, რომელთაც უნარი შესწევთ სხვადასხვა სოციალური ფენიდან – მათი იდეოლოგიური ორიენტაციებისაგან დამოუკიდებლად – მიიზიდონ და მოიპოვონ ამომრჩეველთა მაქსიმალური რაოდენობა. იმას, რასაც მასობრივი პარტიები აღწევენ რაოდენობით, საკადრო პარტიები უზრუნველყოფენ საარჩევნო კამპანიის ეფექტური ორგანიზების უნარის მქონე შესაბამისი კადრების შერჩევით.

დაბოლოს, მ. დიურვერჟეს აზრით, არსებობს მკვეთრად **ცენტრალიზებული პარტიები**, რომლებისთვისაც დამახასიათებელია იდეოლოგიური კომპონენტის ამ ორგანიზაციის ძირითად ფუნდამენტურ დამაკავშირებელ საწყისად გადაქცევა. ასეთი პარტიებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე, იერარქიულ რგოლთა სიმრავლე, მკაცრი, თითქმის სამხედრო დისციპლინა, მოქმედებისა და საქმიანობის მაღალი ორგანიზებულობა, პოლიტიკურ ბელადთა პატივისცემა და თავყანისცემა – ამგვარ პარტიებს დიურვერჟე მიაკუთვნებდა კომუნისტურსა და ფაშისტურ პარტიებს.

მრავალი პარტია შესანიშნავად უხამებს როგორც მასობრივ, ისე საკადრო საწყისებს. რაც შეეხება პარტიის წევრობის საკითხს, იგი დიდი ხნის განმავლობაში ბუნდოვანი და ამორფული რჩებოდა. მრავალი პარტია პრაქტიკულად არ აკეთებს განსაკუთრებულ განსხვავებებს მის წევრებსა და მხარდამჭერებს შორის. დღესაც მრავალ, ლიბერალური თუ კონსერვატიული ორიენტაციის პარტიას ზუსტად არ შეუძლია დაასახელოს თავისი წევრების რაოდენობა. კ. გაჯიევის აზრით, „გარკვეულად შეიძლება ითქვას ერთი: პირები, რომლებიც პარტიის წევრებად თვლიან თავს, შეადგენენ ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს“ (48, გვ. 157).

არსებობს ორგანიზაციულად გაფორმებული პარტიები, რომლის წევრები იღებენ პარტიულ ბილეთებს და იხდიან საწევროს, და ორგანიზაციულად გაუფორმებელი პარტიები, რომლებისთვისაც სავალდებულო არაა ოფიციალური წევრობა. ამ შემთხვევაში, რათა გახდეს პარტიის წევრი, სავსებით საკმარისია ამის შესახებ საჯაროდ განცხადება.

არსებობს პარტიები **პირდაპირი და არაპირდაპირი წევრობით**. პირველ შემთხვევაში, კანდიდატი მიიღება ინდივიდუალური წესით, მეორე შემთხვევაში კი – ესა თუ ის ადამიანი რომელიმე პარტიის წევრი ხდება იმის ძალით, რომ იგი შედის ამ პარტიასთან დაკავშირებულ რომელიმე ორგანიზაციაში. ასეთია ლეიბორისტული პარტია დიდ ბრიტანეთში, სოციალ-დემოკრატიული პარტია – შვედეთში, სადაც პროფკავშირის წევრები ამ პარტიებში შედიან კოლექტიურ საწყისებზე და ამიტომ ისინი ამ პარტიათა კოლექტიურ წევრებად ითვლებიან.

პარტიული სისტემის ტიპოლოგიზაციის ერთ-ერთი პარამეტრია აგრეთვე, ამა თუ იმ ქვეყანაში არსებული პარტიების რაოდენობა: ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული სისტემები. თუმცა, დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს პოლიტიკური პაექრობა და გაბატონებულია ერთადერთი პარტია, იგი არც კი არის პოლიტიკური პარტია. ვინაიდან, თუ პარტია არის საზოგადოების „ნაწილი“, მაშინ იგი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ სხვა ნაწილებთან თუ პარტიებთან მიმართებაში, რომლებიც ერთმანეთთან კონკურენციულ ბრძოლას იწყებენ ქვეყანაში ძალაუფლებისა და გავლენის სფეროების მოსაპოვებლად.

ორპარტიული სისტემის ქვეშ გულისხმობენ სისტემას, რომელიც შედგება ორი მსხვილი და ძლიერი პარტიისაგან, რომელთაგან თითოეულს აქვს შანსი, არჩევნებში მოიპოვოს ადგილების უმრავლესობა საკანონმდებლო კრებაში ან ხელისუფლების აღმასრულებელი შტოს არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მიიღოს. ორპარტიული სისტემის არსებობა სრულებითაც არ ნიშნავს სხვა პარტიების არარსებობას. უბრალოდ, მესამე პარტიები საერთო-ეროვნულ დონეზე ვერ პოულობენ მხარდამჭერებს და ვერ აგროვებენ ხმების საჭირო მინიმუმს. ასეთი სისტემა კლასიკური სახით აშშ-ში არსებობს.

მრავალპარტიული სისტემის არსებობისას, ყოველ პარტიას მეტ-ნაკლებად ნათლად გამოხატული იდეურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პოზიცია უკა-

ვია. ამ პოზიციათა სპექტრი ვრცელდება უკიდურესი მემარჯვენეებიდან უკიდურეს მემარცხენეებამდე. დანარჩენ პარტიებს კი ამ ორ უკიდურეს პოლუსს შორის შუალედური პოზიციები უკავით. პარტიათა ასეთი დაჯგუფება პირობითია, რამეთუ იგი რეალური საქმის გამარტივებას წარმოადგენს. ამ სქემაში ყოველთვის ვერ ჩავსვამთ რელიგიურ, ეთნო-ეროვნულ, რეგიონულ, პროფესიულ და ა.შ. ინტერესებს.

კითხვაზე: თუ რომელი პარტიული სისტემაა უკეთესი? აბსტრაქტული და ერთმნიშვნელოვანი პასუხი შეუძლებელია, რამეთუ იგი დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ პირობებზე, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორებზე. ერთი კი უნდა ითქვას, რომ ისეთი მრავალპარტიულობა, როგორც დღესაა საქართველოში, საშიშია სახელმწიფოს სტაბილური არსებობისათვის. სავსებით საკმარისია სამი ან მაქსიმუმ ხუთი პარტია, რომელთაგან ორი მაინც დომინანტი იქნება.

არ არსებობს პარტიული სისტემის ეფექტურობის შეფასების ერთიანი კრიტერიუმი. მაგრამ, ამავე დროს, მათი მოღვაწეობის შეპირისპირების საფუძველი უნდა იყოს ის, თუ რამდენად უზრუნველყოფს პოლიტიკური სისტემა მოსახლეობის სოციალური მოთხოვნებისა და იმედების გამართლებას, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მოქალაქეთა ძალაუფლებრივად მნიშვნელოვანი ინტერესების, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით ჩართვის შესაძლებლობას, მოსახლეობის მიერ მმართველი ელიტის საქმიანობის დემოკრატიული კონტროლის უნარს.

**V. პარტიების განვითარების ძირითადი ტენდენციები.** XX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულიდან მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნეოდა პარტიათა როლისა და მნიშვნელობის დაცემის ტენდენცია. განსაკუთრებით ეს ტენდენცია შეეხო „მასობრივ-სახალხო პარტიებს“, რომლებიც გამოირჩეოდნენ ორგანიზაციულობით, ცენტრალიზებულობით, მყარი ელექტორატით. როგორც ცნობილია, ეს პარტიები დაკავშირებული იყვნენ ინდუსტრიალიზაციასა და მუშათა კლასის ზრდასთან, მაგრამ XX საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, განვითარებულ ქვეყნებში დიდი ეკონომიკური და სოციალური ცვლილებები მიმდინარეობს, რის შედეგადაც ამ პარტიათა თვისებრივი ცვლილება გარდუვალი გახდა.

დასავლეთელი პოლიტოლოგებისა და სოციოლოგების აზრით, მასობრივი პარტიები უკვე აღარ პასუხობენ მიმდინარე მომენტის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს. მათი სოციალური ბაზა – მუშათა კლასი – შეიცვალა როგორც რაოდენობრივად, ისე თვისებრივად. დღეს იგი აღარ არის განვითარებული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა, მას მომსახურებისა და სერვისის სფეროში დასაქმებული მომსახურეთა ფენა აღემატება. შეიძლება ითქვას, რომ „პროლეტარიატი“ „კოგნიტარიატად“ გარდაიქმნა. შესაბამისად, მუშათა კლასი შეიძლება ითქვას, გაბურჟუებას განიცდის და უფრო ზომიერ პოლიტიკურ პოზიციებს იკავებს, ე.ი. იცვლება თვისებრივადაც. ეკონომიკური განვი-

თარების თანამედროვე სტადიაზე ეკონომიკური ზრდა ფაქტობრივად შლის კლასობრივ ანტაგონიზმს. სიუხვე ძირს უთხრის წინამავალი სტადიებისათვის დამახასიათებელი იდეოლოგიური შეჯახებებისა და პოლიტიკური ბრძოლის განმაპირობებელ საფუძვლებს. სხვადასხვა სოციალურ ფენასა თუ კლასს შორის კონსენსუსი მტკიცდება. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების მკვეთრმა ზრდამ კი ხელი შეუწყო ხელისუფლების პერსონალიზაციას. შეინიშნება დეპოლიტიზაცია და დეიდეოლოგიზაცია; ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია პარტიების ხასიათზე, საჭირო გახდა მათი როლისა და დანიშნულების, უწინარეს ყოვლისა, მასობრივი სოციალური ბაზის გადაფასება. განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში პარტიათა თვისებრივი ცვლილება გარდუვალი გახდა, რათა მასობრივმა პარტიებმა არ დაკარგონ ძალა და საბოლოოდ არ დაეცნენ. თანდათანობით ხდება მათი ევოლუცია ეკონომიკური და სოციალური გარემოს ევოლუციის შესაბამისად. ამან კი, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ე.წ. „ყველაფრისმჭამელი“ (Всеядных) პარტიების წარმოშობას.

ამგვარად, იდეოლოგიის, პარტიის წევრთა როლის დაცემა, კლასობრივ საფუძველზე პარტიული კადრების მოდინების შემცირება, ელექტორატის „რეზერვუართა“ სახით ინტერესთა ჯგუფების როლის ზრდა, რამდენადაც ისინი მუდმივად იმყოფებიან პოტენციურ ამომრჩევლებთან კონტაქტში, ინვეეს იმას, რომ წარმოიქმნება **უიდეოლოგიო** ორგანიზაციები. ისინი მიმართული არიან ამომრჩევლებზე და არა საკუთარ პარტიულ მუშაკებსა და აქტივისტებზე, ხელმძღვანელობენ არა იმდენად იდეოლოგიური დოქტრინებით, რამდენადაც პრაგმატული მოსაზრებებით, რათა შეძლონ ჭრელი ელექტორატის მოთხოვნილებების ზუსტი და კონკრეტული დაკმაყოფილება. გარეთ მიმართულ, ზუსტად ფორმულირებული იდეოლოგიის უარმყოფელ, რათა უფრო სრულად „მოიხელთოს“ ყველაზე ჭრელი ელექტორატი, ასეთ ორგანიზაციებს ო. კირკპაიმერი და სხვა პოლიტოლოგები „ყველაფრისმჭამელ პარტიებს“ უწოდებენ. მათი აზრით, „როგორც უფრო მყარი კლასობრივი წინააღმდეგობების მქონე ეპოქის პროდუქტი და რელიგიურ სტრუქტურებით უფრო ნათლად გამოთქმული მასობრივი პარტიები, დღეს განიცდიან „ყველაფრისმჭამელ“ პარტიებად ტრანსფორმაციას. ისინი უარს ამბობენ შექმნან მასებისათვის მორალური და ინტელექტუალური საფუძვლები და მთელ თავის ინტერესს წარმართავენ არჩევნებზე და იმედოვნებენ, რომ „სიღრმეში მუშაობას“ შეცვლიან „სიფართეში მუშაობით“, ე.ი. ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე დაყრდნობას და არჩევნებში საგრძნობი წარმატების მოპოვებით“ (ციტ. 165, ტ. II, გვ. 200).

ამგვარად, „ყველაფრისმჭამელი პარტიებისათვის“ დამახასიათებელია: ზეკლასობრიობა, ზეიდეოლოგიურობა, მოქნილი და ამყოლ-დამყოლი სტრუქტურა, საკმაოდ ბუნდოვანი და გაურკვეველი დოქტრინა. ასეთი პარტიები არაფრით არ ჯდება მ. დიუვერჟეს მიერ მოცემულ პარტიათა ტიპოლოგიაში, რომელიც

ზემოთ განვიხილეთ. ამიტომ ხშირად „ყველაფრისმჭამელ პარტიებს“ „ამომრჩეველთა პარტიებსაც“ უწოდებენ.

სწორად შენიშნავს რ. შვარცენბერგი, რომ პარტიათა საქმიანობის ხასიათის ამგვარი ცვლილება არ შეიძლება არ აისახოს საპარლამენტო საქმიანობაზე. მისი აზრით, პარტიათა „ყველაფრისმჭამელობა“ განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკურ პარტიათა პაექრობა ნაკლებ მკვეთრი ხდება, შესაბამისად, საპარლამენტო დებატები კარგავენ თავიანთ გამოკვეთილობასა და სიმწვავეს, ყველაფერი იღებება ერთი რუხი ფერის საღებავით. „ყველაფრისმჭამელ“ პარტიებს არ ძალუძთ თავიანთი წრიდან პარლამენტარული „ტრიბუნებისა“ და მჭევრმეტყველთა წამოყენება.

ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოჰყვეს პარტიათა ასეთ თვისებრივ ცვლილებებს, ისაა, რომ პარლამენტის სხდომებზე მიმდინარე დებატები მონინალმდევის დარწმუნება-გადარწმუნების მიზნით აზრს კარგავს, ვინაიდან გადანყვეტილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მისცენ ხმა უკვე დებატებისაგან დამოუკიდებლად, წინასწარ არის მიღებული. ამით კი ისინი პრაქტიკულად უკვე ვეღარ ახერხებენ ზეგავლენა მოახდინონ ხმის მიცემის შედეგებზე.

ეს რაც შეეხება განვითარებულ პოსტინდუსტრიულ ქვეყნებს. მაგრამ პარტიების როლი და მნიშვნელობა ფრიად განსხვავებულია საქართველოს ტიპის ქვეყნებში, რომლებიც დღეს **მოდერნიზაციისა** თუ **განვითარების** პროცესში იმყოფებიან. პოლიტიკური პარტიები მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი ელემენტებია თანამედროვე მოდერნიზაციის პროცესში მყოფ საზოგადოებაში ნათლად ვლინდება პოლიტიკურ ლიდერობასთან დაკავშირებული სამი როლური ფუნქცია:

1. პროფესიულ და ტექნიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფუნქცია, რომელიც ორგანიზაციულ გამოთქმას ელიტარულ პარტიებსა და პროფესიულ ასოციაციებში პოულობს.

2. პოლიტიკურ მენარმეთა და მოღვაწეთა ფუნქცია, რომლებსაც ძალუძთ პროფესიული სოლიდარობისაგან განსხვავებულ საფუძველზე წარუძღვნენ წარმომადგენლობით პარტიებს.

3. სამხედრო – ბიუროკრატიული ფუნქცია.

პირველი და მესამე ფუნქციების შესრულებისას, ფუნქციონერები მხარდაჭერის მოსაპოვებლად უფრო მეტად იყენებენ საკუთარ უნარ-ჩვევებს, პროფესიულ მომზადებას, ვიდრე პოლიტიკური შეჯიბრის მექანიზმებს. მოდერნიზაციის პროცესში მოცემულ ფუნქციებს შორის კონფლიქტი, როგორც წესი, იწყება ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ერთი მხარე ისწრაფვის ხელი შეუშალოს მეორის ავტორიტეტის გაძლიერებას. ამიტომ ქვეყნებში, სადაც მოდერნიზაცია ხდება, პოლიტიკური პარტიების როლი არსებითად განსხვავდება განვითარებულ და ინდუსტრიულ სახელმწიფოში არსებული პარტიების როლისაგან. აქ ხშირად ინარჩუნებს თავს სტარტიფიკაციული და შესაბამისი იდეოლოგიური განსხვავებები. წარმომადგენლობის მექანიზმის შე-

საბამისად, პოლიტიკურ პარტიებს არ ძალუძთ ადეკვატურად ასახონ საზოგადოებრივი უკმაყოფილება ისე, რომ ამ დროს არ დაასუსტონ ხელისუფლების ავტორიტეტი. მაგრამ იმით, რომ ემორჩილებიან მთავრობის ავტორიტეტს, პარტიები ხელს უწყობენ ძალაუფლების განაწილებას თანამდებობის განაწილების გზით. რამდენადაც პარტიები არ არიან რომელიმე საზოგადოების „ბაზაზე“ ინდივიდთა შეხედულებების მხოლოდ პასიური მიმწოდებლები, არამედ დიდ ზემოქმედებას ახდენენ სოციალური სტარტიფიკაციის სისტემაზე იმით, რომ საზოგადოებაში არსებულ უკმაყოფილებას გამოთქმის კონკრეტულ ფორმებს მოუწახვან ხოლმე, ამდენად, ისინი არსებით როლს ასრულებენ საზოგადოების მოდერნიზაციის პროცესში. მაშასადამე, პოლიტიკური პარტიები იმით, რომ თავიანთ გარშემო ქმნიან განსაზღვრულ სისტემას, პოლიტიკური აქტორების ხელში გარდაიქმნებიან პოლიტიკური მოდერნიზაციის მძლავრ ინსტრუმენტებად.

**პოლიტიკური სისტემა და არჩევნები**

**არჩევნები: ძირითადი პროცესები და პროცედურა.**

არჩევნები და დემოკრატია განუყოფელია. თანამედროვე პირობებში არჩევნები ხალხის სუვერენიტეტის, მისი როგორც ძალაუფლების წყაროს პოლიტიკური როლის გამოვლენის მთავარი ფორმაა. იგია მოქალაქეთა პოლიტიკური ნების განსაზღვრული ფორმით გამოთქმის საფუძველზე ხელისუფლებისა და მართვის ინსტიტუტთა ჩამოყალიბების წესი. არჩევნების მეშვეობით ხდება არჩეულ კანდიდატთა ძალაუფლებრივი უფლებამოსილებებით აღჭურვა, აგრეთვე საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის შესაბამისობაში მოყვანა და ხელისუფლების ორგანოებში ძირითად სოციალურ ფენათა და ჯგუფთა წარმომადგენლობის უზრუნველყოფა.

**I. არჩევნების ფუნქციები.** მეცნიერულ ლიტერატურაში გამოყოფენ არჩევნების შემდეგ ფუნქციებს:

– **ელექტორატის მრავალსახოვან ინტერესთა არტიკულაციასა** (გამოთქმა) და აგრეგირებას (გაერთიანება). არჩევნების გზით ხდება მოქალაქეთა მიერ საკუთარ ინტერესთა გაცნობიერებისა და წამოყენების პროცესის გააქტიურება.

– **ხელისუფლების ინსტიტუტებზე კონტროლი**; არჩევნების გზით შეუძლიათ მოქალაქეებს შექმნან პარლამენტის სახით არა მხოლოდ მთავრობის მაკონტროლებელი ორგანო, არამედ თავად არჩევნებისას რეგულარულად შეცვალონ ხელისუფლების შემადგენლობა და შეასწორონ პოლიტიკური კურსი.

– **საერთო პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება და მრავალსახოვან შეხედულებათა ინტეგრაცია**. არჩევნების დახმარებით ხდება მოსახლეობის უმრავლესობის გაერთიანება განსაზღვრული პოლიტიკური პლატფორმისა და მისი წარმომადგენელი ლიდერების ირგვლივ, ყალიბდება სახელმწიფოში მადომინირებელი პოლიტიკური ნება.

– **პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმიზაცია და სტაბილიზაცია**. არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა ნიშნავს მათ მიერ მოცემულ პოლიტიკურ სისტემათა მიღებასა და აღიარებას. არჩევნები გვაძლევს საშუალებას, გადავირჩიოთ უკვე ნდობადაკარგული თანამდებობის პირები და შევცვალოთ ისინი ავტორიტეტისა და ნდობის მქონე პირებით.

– **ხელისუფლების ინსტიტუტების წარმომადგენელთა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობის – კომუნიკაციის გაფართოება**. არჩევნები მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის უკუკავშირის მნიშვნელოვანი არხია, რომელზეც დამოკიდებულია მმართველებსა და მმართველებს შორის ურთიერთმიმართების ხასიათი, ნდობა თუ უნდობლობა, მხარდაჭერა თუ დაპირისპირება და სხვ.



- **პოლიტიკურ კონფლიქტთა მშვიდობიანი მონესრიგება.** საზოგადოებრივი აზრის ავტორიტეტისა და პოლიტიკური ინსტიტუტების დახმარებით, დაპირისპირებულ მხარეთა დარწმუნება, უარი თქვან უფრო რადიკალურ მოთხოვნებსა და ბრძოლის არაკანონიერ ფორმებზე.

- **მოსახლეობის პოლიტიკური პოლარიზაცია,** მისი პოლიტიკური ცნობიერებისა და პოლიტიკური მონაწილეობის განვითარება. არჩევნების პროცესში მოქალაქენი განსაკუთრებით ინტენსიურად ითვისებენ პოლიტიკურ ფასეულობებსა და ნორმებს, იძენენ პოლიტიკურ ჩვევებსა და გამოცდილებას.

- **პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება (განვევა).** არჩევნების შედეგად ახლდება მმართველი და ოპოზიციური ელიტის შემადგენლობა, იცვლება პარტიებისა და მისი წარმომადგენლების პოლიტიკური წონა.

- **ალტერნატიულ პოლიტიკურ პროგრამათა** კონკურენციული ბრძოლის მეშვეობით, საზოგადოების განახლების გზების ძიება. სწორედ არჩევნები აძლევს სხვადასხვა პოლიტიკური ძალას შესაძლებლობას, წამოაყენონ საზოგადოებრივ პრობლემათა საკუთარი ხედვა და შეიმუშაონ მათი გადანყვევის პროგრამები.

- **ეფექტური ოპოზიციის ჩამოყალიბება და მისი მომზადება მართვის ფუნქციების დასაუფლებლად.**

ამ ფუნქციების წარმატებით შესრულება არჩევნებს შეუძლიათ მაშინ, თუ ისინი ეყრდნობიან განსაზღვრულ პრინციპებს და ორგანიზებული არიან დემოკრატიულად. უპირველეს ყოვლისა, გარანტირებული უნდა იყოს საარჩევნო უფლების ის პრინციპები, რომელიც განსაზღვრავს არჩევნებში მონაწილეობის სტატუსს. საარჩევნო უფლების დემოკრატიული პრინციპებია:

**1. საყოველთაობა** – ყოველ მოქალაქეს მიუხედავად სქესისა, რასობრივი, ეროვნული, კლასობრივი ან პროფესიული მიკუთვნების, ენის, შემოსავლის, სიმდიდრის, განათლების დონის, კონფესიისა თუ პოლიტიკური შეხედულების განსხვავებების მიუხედავად, აქვს არჩევნებში მონაწილეობის აქტიური (ამომრჩევლის სახით) და პასიური (კანდიდატის სახით) უფლება. არსებობს მცირე ცენზით შეზღუდვა, რომელიც კრძალავს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას. უწინარეს ყოვლისა, ესენია:

**ასაკობრივი** ცენზი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ იძლევა; კანდიდატების შედარებით მაღალი ასაკობრივი ცენზი; უუნარობის ცენზი, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულს ართმევს არჩევნების უფლებას; მორალური ცენზი, რომელიც საარჩევნო უფლებას ართმევს პატიმრებს, დაბოლოს, ბინადრობის ცენზი, რომელიც საარჩევნო უფლების მისაღებად ითვალისწინებს მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების განსაზღვრულ ვადას.

**2. თანასწორობა** – ყოველ ამომრჩეველს აქვს მხოლოდ ერთი ხმა. „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“. იგი ერთნაირად ფასდება, მიუხედავად იმისა, რომელ ადამიანს ეკუთვნის.

**3. დაფარულობა** – არჩევნები უნდა იყოს ფარული, ანუ კონკრეტული ამომრჩევლის გადანყვეტილება არ უნდა გახდეს ვინმესთვის ცნობილი. ეს პრინციპი უზრუნველყოფს არჩევანის თავისუფლებას.

**4. პირდაპირი (უშუალო) ხმის მიცემა** – ამომრჩეველი თავად იღებს უშუალო გადანყვეტილებას, კონკრეტული კანდიდატის ასარჩევ თანამდებობაზე არჩევის შესახებ, ხმას აძლევს რეალურ ადამიანს.

საარჩევნო კამპანიათა რეგლამენტაციის საფუძველში დევს სამი უმნიშვნელოვანესი პრინციპი:

– უნინარეს ყოვლისა, ესაა **არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და კანდიდატისათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა**. იგი გულისხმობს მატერიალური და ინფორმაციული რესურსების მიახლოებით თანაბრობას. ასეთი თანასწორობა გულისხმობს: არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და კანდიდატისათვის გასავლისა და დანახარჯების მაქსიმალური დონის დადგენას, პარტიებისა და კანდიდატების საარჩევნო ფონდებში ორგანიზაციებისა და კერძო პირთა მიერ შენატანებისა თუ შემონირულობების შეზღუდვას, სახელმწიფო ტელევიზიასა და რადიოში თანაბარი საეთერო დროის დათმობას და სხვ. ზოგიერთი ქვეყანა, რომელიც არჩევნებს „სახელმწიფოებრივი“ მნიშვნელობის საქმედ თვლის, თვითონ აფინანსებს საარჩევნო კამპანიებს.

– მეორე უმთავრესი პრინციპი, ეს არის ე.წ. **ლოიალურობის პრინციპი**, რომლის მიხედვითაც კანდიდატები ვალდებული არიან ლოიალურად ექცეოდნენ თავიანთ მეტოქეებს, არ დაუშვან, როგორც არ უნდა იყოს, ფალსიფიკაცია, მონინაალმდეგის შეურაცხყოფა და ა.შ. ყოველ პოლიტიკურ ძალას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იბრძოლოს ამომრჩეველთა ნდობის მოსაპოვებლად, გააცნოს და დაარწმუნოს ისინი მის მიერ წამოყენებულ წინასაარჩევნო პროგრამის სისწორესა და უპირატესობაში, აჩვენოს კონკურენტთა საარჩევნო პლატფორმის ნაკლოვანებები, ოღონდ ამ დროს არ უნდა არღვევდეს საყოველთაოდ მიღებულ მორალურ ნორმებს;

– მესამე უმთავრესი პრინციპია, **სახელმწიფო აპარატის ნეიტრალიტეტი**, მისი ჩაურევლობა წინასაარჩევნო ბატალიებში; უნინარეს ყოვლისა, ეს გულისხმობს ამომრჩეველებზე, კანდიდატებსა და არჩევნების ორგანიზატორებზე პოლიტიკური, ადმინისტრაციული, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური და ინფორმაციული ზეწოლის არარსებობას. არჩევნები თავისუფალი უნდა იყოს. სახელმწიფოებრივი ჩარევისა და ზეწოლის მაგალითებად შეიძლება მოგვევლინოს: „პოლიტიკურ სფეროში – მონინაალმდეგეებთან ან აქტივისტებთან ანგარიშსწორება; ადმინისტრაციულში – თანამდებობებისაგან იმ პირთა მოხსნის მუქარა, რომლებმაც ვერ შეძლეს მმართველი პარტიის გამარჯვების „ორგანიზება“, სოციალურ-ეკონომიკურში – მოსყიდვა, მუქარა ან რეალური სანქციები, მათ შორის მოსახლეობის მთელი კატეგორიებისადმი შრომის ანაზღაურების გაზრდის, გაუცემელი ხელფასების, პენსიების, სტიპენდიების გაცემის დახმარებით; ცალკეული რეგიონებისათვის პრივილეგიისა და შეღავათების დაპირება და ა.შ. ფსიქოლოგიურ სფეროში – რეპრესიებით, არჩევნებში ოპოზიციური

პარტიების გამარჯვების შემთხვევაში, ამომრჩევლების დაშინებით, მასობრივი რეპრესიებით, სამოქალაქო ომის მუქართა და საფრთხით; ინფორმაციულში – ინფორმაციის სისტემურად ცალმხრივი და დამახინჯებული მინოდებით“ (128, გვ. 409). ამგვარი დარღვევები თვით დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი შეინიშნება. ამიტომ, გასაკვირი არ უნდა იყოს მათი გაძლიერება დემოკრატიზაციის გზაზე დამდგარ, გარდამავალ პერიოდში მყოფი საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. თავისუფალი არჩევნები ასევე გულისხმობს ალტერნატიულ პროგრამათა და კანდიდატთა არსებობას, მათ შორის ღია პაექრობასა და შეჯიბრს. სხვაგვარად, ყოველგვარ არჩევნებს აზრი და მნიშვნელობა ეკარგება.

## **II. საარჩევნო სისტემის ძირითადი ტიპები.**

მრავალ ქვეყანაში საარჩევნო პროცესს არეგულირებს კონსტიტუციური ნორმები, წესები და საარჩევნო კანონი. არჩევნებში ძირითადია საარჩევნო სისტემა, რომელიც განსაზღვრავს არჩევნების ორგანიზაციის ზოგად პრინციპებს და ამომრჩეველთა ხმების მანდატებად, სახელისუფლებო თანამდებობად გადატანის წესებს. საარჩევნო სისტემის მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს ხალხის ნების წარმომადგენლობა, აგრეთვე, ძალაუფლების ეფექტური ორგანოების ჩამოყალიბება.

საარჩევნო სისტემის ორი ძირითადი ტიპი არსებობს: **მაჟორიტარული**, ანუ ალტერნატიული და **პროპორციული**, ანუ წარმომადგენლობითი. მაჟორიტარული სისტემისას, იმისათვის, რომ რომელიმე კანდიდატი ან პარტია ჩაითვალოს არჩეულად, საჭიროა მოაგროვოს ოლქის ან მთელი ქვეყნის ხმების უმრავლესობა, ნაკლები ხმების მომპოვებელნი კი საერთოდ ვერ იღებენ მანდატს. იმის მიხედვით, თუ როგორი უმრავლესობაა საჭირო, მაჟორიტარული სისტემები იყოფა **აბსოლუტური უმრავლესობის** სისტემად, რომელსაც ყველაზე ხშირად საპრეზიდენტო არჩევნებში იყენებენ და რომლის დროსაც გამარჯვებულმა უნდა მოაგროვოს ხმების ნახევარზე მეტი, ანუ აუცილებელი მინიმუმი – 50% პლუს ერთი ხმა და **შედარებითი უმრავლესობის** სისტემად, რომლის დროსაც გამარჯვების მოსაპოვებლად საკმარისია ცოტათი მანც გაუსწროს სხვა პრეტენდენტებს. ასეთ შემთხვევაში გამარჯვების მოპოვება შეიძლება თუნდაც ერთი ხმის უპირატესობით. აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპის გამოყენებისას თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ნახევარზე მეტი ხმა, ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელზეც უკვე იბრძვის ის ორი კანდიდატი, რომელმაც მოაგროვა ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა.

პროპორციული სისტემის არსი ისაა, რომ იგი მანდატებს ანაწილებს არჩევნებში პარტიების ან პარტიული გაერთიანებების, ბლოკების, ალიანსების მიერ მიღებული ხმების პროპორციულად. ამ სისტემის მთავარი ღირსებაა – არჩევით ორგანოებში პარტიათა წარმომადგენლობა განისაზღვრება ამომრჩევლებში მათი რეალური პოპულარობისა და ნდობის შესაბამისად. პროპორციული სისტემა საშუალებას იძლევა სრულად გამოიხატოს საზოგადოების ყველა ჯგუფის ინტერესები, უფრო აქტიური გახდეს მოქალაქეთა მონაწილეობა არჩევნებსა და მთლიანად პოლიტიკაში.

ხშირად იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის – მეტისმეტი პარტიული დაქუცმაცება, აგრეთვე შეზღუდონ მასში უკიდურესად რადიკალურ ან თუნდაც ექსტრემალურ ძალთა წარმომადგენლობის მოხვედრა, მრავალი ქვეყანა იყენებს აუცილებელ მინიმუმს; ჩვეულებრივ, იგი მერყეობს ორიდან ხუთ პროცენტამდე, თუმცა არც შვიდი და უფრო მეტი პროცენტის დაწესებაა ძალიან იშვიათი. პარტიები, რომლებმაც ვერ გადალახეს დაწესებული ბარიერი, თუნდაც ხმების რამოდენიმე მეთასედი დააკლდათ, ვერ იღებენ ვერც ერთ მანდატს.

ორივე სისტემას ახასიათებს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები და ნაკლოვანებები; მაგალითად, მაჟორიტარული სისტემა უმეტეს შემთხვევაში, ამახინჯებს ამომრჩეველთა უპირატესობებისა და ნების რეალურ სურათს. გარდა ამისა, სავსებით შესაძლებელია ისეთი სიტუაცია, როდესაც პარტიამ, რომელიც სარგებლობს ამომარჩეველთა ნაკლები მხარდაჭერით, გაიმარჯვოს პარტიაზე, რომელმაც მთლიანად ქვეყანაში მიიღო ხმების უმრავლესობა. მაგალითად, შეიძლება პარტიამ მინიმალური უპირატესობით მოუგოს მეორე პარტიას 51 საარჩევნო ოლქში, მაშინ, როდესაც მეორე პარტიამ დარჩენილ 49 საარჩევნო ოლქში მოუგოს პირველს საგრძნობი უპირატესობით და შესაბამისად, მთელ ქვეყანაში. გარდა ამისა, არჩევნების შედეგების უშუალო დამოკიდებულება ოლქში განაწილებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე ქმნის მანიპულირების საშიშროებას და ა.შ.

პროპორციული სისტემისათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებიდან ყველაზე უმთავრესი არის მთავრობის შედარებით ნაკლები სტაბილურობა. მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა პარტიის ფართო წარმომადგენლობა პარლამენტში, საშუალებას არ აძლევს რომელიმე ერთ პარტიას შექმნას მყარი უმრავლესობა და უბიძგებს მას კოალიციის შექმნისაკენ. ასეთი კოალიციების საფუძველზე შექმნილი მთავრობები ხშირად გამოირჩევიან დიდი ეკლექტურობითა და ნაკლები თანმიმდევრულობით, ხშირია სამთავრობო კრიზისიც. ამ ნაკლოვანებებისაგან თავის დაღწევის მიზნით, თანამედროვე მსოფლიოში იყენებენ როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული სისტემის სხვადასხვა მოდიფიკაციას. ყველაზე მეტად იყენებენ შერეულ სისტემებს, რომლებშიც გაერთიანებულია როგორც მაჟორიტარული, ისე პროპორციული საარჩევნო სისტემის ელემენტები. მაგალითად, პარლამენტის დეპუტატთა ნახევარი აირჩევა მაჟორიტარული, ხოლო მეორე ნახევარი – პროპორციული სისტემის მიხედვით. ასეთ სისტემებს იყენებს გერმანია, რუსეთი და საქართველო.

**III საარჩევნო პროცესის ძირითადი სტადიები.** საარჩევნო პროცესი, მის წინაშე მდგარი ამოცანების შესაბამისად, იყოფა რამდენიმე ეტაპად თუ სტადიად:

1. მოსამზადებელი ეტაპი, ანუ ის ატმოსფერო, გარემო, რომლიდანაც „ამოიზრდება“ არჩევნები;
2. კანდიდატთა წამოყენება, რომელიც სრულდება მათი რეგისტრაციით;
3. სააგიტაციო-პროპაგანდული კომპანია;

#### 4. ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება.

არჩევნების მოსამზადებელი ეტაპის თავისებურებაზე ძირითად გავლენას ქვეყნის ის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი ახდენს, რომელშიც ტარდება არჩევნები. მაგრამ ამ ეტაპზე ერთ-ერთ უმთავრეს და არსებით საქმიანობას არჩევნების პროცესის მართვის დამოუკიდებელი, მიუდგომელი და კომპეტენტური ორგანოების ჩამოყალიბება წარმოადგენს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ორგანოა საარჩევნო კომისია, რომლის ფუნქციებშიც შედის: საარჩევნო კანონის განმარტება, არჩევნების ჩატარების პროცედურისა და წესების განსაზღვრა, საარჩევნო უბნების ორგანიზაცია, კანდიდატთა მხარდამჭერ ხელმონერათა ნამდვილობის შემოწმება, ამომრჩეველთა და კანდიდატთა რეგისტრაცია, წინასაარჩევნო მასალების მომზადება და არჩევნების ჩატარებისათვის აუცილებელი აპარატის შექმნა, წარმოქმნილ კამათთა მონესრიგება და მორიგება, მოქალაქეთა ელექტორალური განათლების მიზნით ღონისძიებათა ჩატარება, არჩევნების შედეგების დათვლა და მათი გამოცხადება, კონტროლი არჩევნების მიმდინარეობის პროცესზე.

მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარებისა და არჩევნების ოფიციალური დანიშვნის შემდეგ იწყება საარჩევნო კამპანია, რომლის პირველი ნაბიჯია – კანდიდატების ან პარტიების (მოძრაობების) წამოყენება. არსებობს მათი წამოყენებისა და რეგისტრაციის სხვადასხვა წესი: 1. კანდიდატის ან პარტიის მხარდამჭერი ხელმონერების შეგროვება; 2. სარეგისტრაციო შესატანის ან ფულადი გირაოს, აგრეთვე დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც მოწმობს, რომ კანდიდატს აქვს მხარდაჭერა, მაგალითად, პარტიული აქტივისტების ან მხარდამჭერი ჯგუფის წევრთა ხელმონერები; 3. კანდიდატთა ავტომატური რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ მათ უკვე უჭირავთ მომავალ არჩევნებში მოსაპოვებელი პოსტები.

ყველაზე გავრცელებულია კანდიდატთა წამოყენება პარტიების, საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ორგანიზაციების მიერ, აგრეთვე მოქალაქეთა ჯგუფების მიერ, რომლებმაც შეძლეს შეეგროვებინათ მხარდასაჭერად განსაზღვრული რაოდენობის ხელმონერები. ხელმონერათა რაოდენობა დამოკიდებულია არჩევნების დონეზე: საპარლამენტოა თუ საპრეზიდენტო და აგრეთვე ქვეყნის საარჩევნო კანონზე.

კანდიდატთა წამოყენება მთავრდება მათი რეგისტრაციით, რომლის შემდეგაც იწყება **წინასაარჩევნო, ანუ სააგიტაციო კამპანია**. სწორად და ეფექტურად წარმართული სააგიტაციო კამპანია დიდ გავლენას ახდენს ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე და მრავალ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრავს პრეტენდენტთა წარმატებას თუ წარუმატებლობას. ამიტომ მის ორგანიზაციასა და ჩატარებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. არჩევნებისა და განსაკუთრებით კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად ქმნიან სპეციალურ შტაბს, რომელშიც ჩვეულებრივ შედიან: შტაბის უფროსი, ანუ მთავარი განმკარგულებელი, ფინანსური აგენტი, პრეს-მდივანი და დამხმარეები. ამავე შტაბს უერთდებიან: ნდობით აღჭურვილი პირები, კანდიდატის მხარდამჭერი ჯგუფი,

პროფესიონალი პოლიტიკოსების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების ჯგუფი, უფრო სწორად, სოციალური სამსახური და ე.წ. „ტვინური ცენტრი“; აგრეთვე, ამავე შტაბთან კავშირში იმყოფებიან კამპანიის სპონსორები, აგიტატორები და მოხალისე აქტივისტები.

სააგიტაციო-წინასაარჩევნო კამპანია სრულდება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც შესაძლებლობას აძლევს ამომრჩეველს დამოუკიდებლად, გარედან ზეწოლის გარეშე, მოიფიქროს და გააკეთოს თავისი არჩევანი, უკვე უშუალოდ არჩევნების დღეს.

**ხმის მიცემისა და მისი შედეგების დაჯამება** – საარჩევნო პროცესის კულმინაციური სტადია და მომენტი, რამეთუ ამ სტადიაზე უშუალოდ გამოითქმის მოქალაქეთა ნება და განისაზღვრება ხელისუფლების ორგანოთა შემადგენლობა.

ამიტომ ამ სტადიის კონტროლისა და დარღვევების მინიმუმამდე დაყვანას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ ხმის მიცემისა და დათვლის საერთაშორისო პრაქტიკაში, ყველაზე ხშირად გვხვდება ისეთი დარღვევები, როგორცაა: ზედმეტი საარჩევნო ბიულეტენის დამზადება და აღრიცხვა, ერთ-ერთი დეპუტატისათვის ხმების პირდაპირი მიწერა, არასასურველი კანდიდატისათვის მიცემული ბიულეტენების ამოღება და სხვ.

მსგავსი ფალსიფიკაციის თავიდან აცილებისა და შესაბამისად, არჩევნების შედეგებისადმი ამომრჩეველთა ნდობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, ამ ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპის საიმედო კონტროლი. ამ მიზნით იქმნება კომისია, რომელიც სარგებლობს კონკურენციაში მყოფი პარტიების ნდობით. მასში სხვადასხვა პროპორციით წარმოდგენილია არჩევნებში მონაწილე თითქმის ყველა გავლენიანი პარტია. ინვევენ დამოუკიდებელ, მათ შორის, საერთაშორისო დამკვირვებლებს. ზოგჯერ საზოგადოების, ეკლესიის, მასმედიისა და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელი ატარებს არჩევნების შედეგების დამოუკიდებელ დათვლას. არჩევნების მთელი პროცედურის გამჭვირვალობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციის ან გამართლების, ისე ლეგიტიმურობის ან მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ აღიარებისა და ნდობის მოპოვების საქმეშიც.

პოსტსაბჭოური ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც, ჯერ კიდევ შორსაა არჩევნების და საზოგადოდ, საარჩევნო კამპანიის სრულყოფილი ჩატარებისაგან. ეს არც არის გასაკვირი, რამეთუ მას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გამომწვევი მიზეზები. რაც მთავარია, დღეს საქართველოში თანდათანობით ყალიბდება ისეთი სოციალური ძალები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული ქვეყნის დემოკრატიული გარდაქმნებითა და არჩევნების სათანადო დონეზე და ობიექტურად ჩატარებით. ამისათვის კი მხოლოდ სურვილი არ კმარა, საჭიროა, დავუფლოთ საარჩევნო კამპანიის მეცნიერული რეკომენდაციების საფუძველზე ჩატარებას. ამის შესანიშნავი მაგალითია თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში მიმდინარე საარჩევნო კამპანიები, რომლებიც ჩვეულებრივ ტარდება მეცნიერული

რეკომენდაციებისა და შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ, შედგება ისეთი ძირითადი ელემენტებისაგან, როგორცაა: პოლიტიკური სიტუაციისა და კანდიდატის სუსტი ადგილების ანალიზი და შეფასება, კამპანიის სტრატეგია, ტაქტიკა და გრაფიკი, კამპანიის მართვის სტრუქტურა და მისი ბიუჯეტი (ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხილეთ აშშ-ის საერთაშორისო ურთიერთობების ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი სააგიტაციო კამპანიის ორგანიზაციის მეთოდური სახელმძღვანელო). იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ მაღალიდურ და მეცნიერულ დონეზე ტარდება განვითარებულ, დემოკრატიულ ქვეყნებში წინასაარჩევნო და სააგიტაციო კამპანია, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

### **1. საარჩევნო კამპანიის ინფორმაციული თანხლების საფუძვლები.**

საარჩევნო კამპანიისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანთა უმრავლესობას არ აინტერესებს პოლიტიკა. საშუალო ამომრჩეველმა იშვიათად იცის, თუ ვინ წარმოადგენს მას პარლამენტში ან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში. ამიტომ საარჩევნო კამპანიის საინფორმაციო თანხლების ჯგუფმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებს შორის კავშირის დამყარებას, რათა დაარწმუნოთ ისინი, რომ ხმა სასურველ კანდიდატებს მისცენ; ამომრჩევლებთან კავშირის დასამყარებლად, თქვენ უნდა განიხილოთ პრობლემები, რომლებიც მათ ღრმად აღელვებთ და უშუალოდ ეხებათ ემოციურ დონეზე. ყველა საკითხს აგიტატორი აუდიტორიის თვალსაზრისით უნდა მიუდგეს.

ეფექტური საინფორმაციო თანხლების ძირითადი პრინციპი ასეთია: **ადამიანები ხმას მისცემენ იმას, ვინც, მათი აზრით, შენუხებულია იმავე პრობლემებითა და საზრუნავით, რაც მათ ანუხებთ და ვისაც, მათი აზრით, შეუძლია არსებული სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლა.**

არსებობს დროით გამოცდილი ტექნიკა და წესები, რომლის მიხედვითაც სააგიტაციო კამპანიისას შესაძლებელია დამაჯერებლად ვუჩვენოთ ამომრჩევლებს, რომ ჩვენ კანდიდატს იგივე პრობლემები ანუხებს, რაც ამომრჩევლებს და იმავე დროს, მას შეუძლია მათი გადაწყვეტა და სიტუაციის შეცვლა ამომრჩევლების სასარგებლოდ. იმისათვის, რათა დაარწმუნოთ ამომრჩევლები იმაში, რომ თქვენ განუხებთ მათი პრობლემები, აუცილებელია თქვენი საინფორმაციო მასალები დამყარებული იყოს და გამოითქმებოდეს მზრუნველობის – „ზრუნვის ენაზე“. სიტყვის მომზადებისას გახსოვდეთ აუდიტორია. გამოთქვით თქვენი აზრები „ადამიანურ ენაზე“, სხვა სიტყვებით აჩვენეთ, რომ საგანი და საკითხი, რომლებსაც თქვენ განიხილავთ, უშუალო შეხებაშია თქვენს აუდიტორიასთან. აუცილებელი და საჭიროა თქვენი აზრები გამოთქვათ იმ ძირითადი ფასეულობების ტერმინებში, რომლებსაც თქვენ იზიარებთ აუდიტორიასთან ერთად.

მრავალმა გამოკვლევამ და პრაქტიკულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ადამიანები ყველაზე მნიშვნელოვნად თვლიან ათ ძირითად ფასეულობას. ამიტომ ის, რაც მათთვის განსაკუთრებით ძვირფასია, საჭიროა იქცეს ინფორმაციულ მასალათა ძირითად „სამშენებლო ბლოკად“. ინფორმაციულ მასალებ-

ში მხოლოდ ამ ფასეულობათა გამოყენებით შეუძლია კანდიდატს დაარწმუნოს ამომრჩევლები იმაში, რომ მასაც იგივე პრობლემები აღელვებს, რაც ამომრჩეველთა ზრუნვის საგანია.

ჩამოვთვალოთ ეს „ათი ძირითადი ფასეულობა“, დღეისათვის მათი მნიშვნელობის მიხედვით:

– **ჯანმრთელობა** – ანუ რწმენა იმისა, რომ თითოეული ადამიანისათვის აუცილებელია კარგი ჯანმრთელობისა და პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

– **ფინანსური კეთილდღეობა** – ანუ სურვილი იმისა, რომ იყო ფინანსურად უზრუნველყოფილი, როგორც დღეს, ისე მომავალში;

– **რწმენის თავისუფლება** – აუცილებლად გრძნობდე უსაფრთხოებას რელიგიურ რწმენათა არჩევანში, რომ შენდამი დამოკიდებულება არ არის დამოკიდებული შენს აღმსარებლობაზე;

– **ოჯახური კეთილდღეობა** – ანუ სურვილი იმისა, რომ გქონდეს მშვიდობა, სიმყუდროვე და კეთილდღეობა ოჯახში, დაიცვათ იგი გარეშე საფრთხისაგან;

– **უზრუნველყოფილი სიბერე** – აუცილებლად დარწმუნებული იყო იმაში, რომ სიბერე და მოხუცებულობა ღირსეული გექნება, რომ ძირითადი ადამიანური მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული იქნება;

– **საინტერესო თავისუფალი დრო** (მოცლილობის ჟამი) – ანუ სურვილი იმისა, რომ გქონდეს საშუალება და შესაძლებლობები იმისათვის, რათა მშვიდად გაანანილო, განკარგო საკუთარი დრო (ზრუნვა თავისუფალი დროის ხარისხსა და რაოდენობაზე);

– **სიამოვნების მომტანი სამუშაო** – ანუ სურვილი იმისა, რომ გქონდეს შესაძლებლობა მიიღო საუკეთესო, პიროვნებისათვის უფრო ადეკვატური სამუშაო;

– **კარგი განათლება შვილებისათვის** – ანუ სურვილი იმისა, რომ გქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყო შვილები კარგი განათლებით, რათა მათ შეძლონ ბევრის მიღწევა ცხოვრებაში;

– **საკუთარი სახლის ფლობა** – ანუ სურვილი იმისა, რომ გქონდეს შესაძლებლობა ფლობდე საკუთარ სახლს;

– **მოგზაურობა** – ანუ მისწრაფება იცვლიდე ადგილებს, აფართოებდე კულტურული ურთიერთობების წრეს.

რასაკვირველია, ძირეულ ადამიანურ ფასეულობათა ეს იერარქიული სია ამერიკელი ამომრჩევლების შესწავლის საფუძველზეა მიღებული. რაც იმას ნიშნავს, რომ მათი იერარქია მნიშვნელობის მიხედვით განსხვავებულ იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის გასაგებად კი უნდა დავეკითხოთ ჩვენ სოციოლოგებს. მაგრამ, ეს ვერ ამცირებს ამ ფასეულობათა ჩამონათვლის ღირებულებებს და მით უფრო იმას, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ისინი. მათავარი აქ ისაა, გავიგოთ, თუ როგორ გამოვიყენოთ ჩვენი აუდიტორიის ღირებულებითი ორიენტაციები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ისინი სინამდვილეში.



უნდა გვახსოვდეს, რომ ფასეულობა – ამომრჩეველთან კავშირის ზოგადი საფუძველია. ფასეულობა – ესაა პრინციპი, რომელსაც თქვენ იზიარებთ ამომრჩეველთან ერთად და იგი უნდა იყოს ნებისმიერი განხილვის საფუძველში. თუ თქვენ საკუთარ ინფორმაციულ მასალებს აყალიბებთ ამ ფასეულობების ტერმინებში, მაშინ მოგიხდებათ საკუთარი აზრები გამოთქვათ „ადამიანურ ტერმინებში“. ამ ფასეულობათა გამოყენება გვაძულებს შევაფასოთ ჩვენი გამოთქმები იმ თვალსაზრისით, თუ როგორ გავლენას მოახდენს ის აუდიტორიაზე. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება ცალკეული პრობლემა გადაწყდეს ათი ძირითადი ადამიანური ფასეულობის ტერმინებში:

**დამნაშავეობა:** მოწოდება ჯანმრთელობის ფასეულობებისადმი. დამნაშავეობა ჩვენს საზოგადოებას ემუქრება, როგორც ავთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ჩვენს სხეულში იზრდება.

**გადასახადების ზრდა:** მოწოდება ფინანსური კეთილდღეობის ფასეულობებისადმი. ჩვენ ვერ მივცემთ თავს უფლებას, გადავიხადოთ მაღალი გადასახადები, ეს საფრთხეს შეუქმნის ჩვენი ოჯახის ღირსეულ არსებობას.

ყოველი საგნის საფუძველში, როგორც მინიმუმი, დევს ერთ-ერთი ძირითადი ადამიანური ფასეულობა. ხშირად, რამდენიმე ფასეულობა ეხება ერთ კონცეფციას ან ერთ საგანს. ამიტომ, საჭიროა გავაანალიზოთ დისკუსიის საგანი ან კონცეფცია, რათა განვსაზღვროთ, თუ რომელი ფასეულობაა უფრო მნიშვნელოვანი ჩვენი აუდიტორიისათვის. მაგალითად, ყოველთვის განათლების პრობლემის განხილვისას, დაუკავშირეთ იგი ბავშვებს, შვილებს. თქვენ ეს შეგიძლიათ გააკეთოთ იმით, რომ აუდიტორიას შეახსენოთ ის საფრთხე, რომელიც ემუქრება მათ ჯანმრთელობას, ფინანსურ კეთილდღეობას ან გამოხატოთ მათი განათლების სურვილი და ა.შ. ამიტომ, აუცილებელია შეარჩიოთ ის ფასეულობა, რომელიც ყველაზე მეტად სარწმუნო და დამაჯერებელია თქვენი აუდიტორიისათვის.

ზემოთ მოყვანილი ათი ძირითადი ადამიანური ფასეულობა და მისი გამოყენება საარჩევნო კამპანიის ეფექტური ჩატარების საქმეში, ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ როგორ დონეზე მიმდინარეობს არჩევნები თანამედროვე განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებში, თუ როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი ამომრჩევლებთან კანდიდატების ურთიერთობას. ჩვენნაირი ქვეყნისათვის ყოველივე ეს შეიძლება ჯერ კიდევ ოცნების სფეროდ დარჩეს, მაგრამ საარჩევნო კამპანიების ეფექტური ჩატარების წესებისა და მეთოდების საფუძველიან დაუფლებას წინ არაფერი არ უნდა დაუდგეს.

**თავისუფლება, დემოკრატია, ფედერალიზმი**

სახელმწიფოებრივი სივრცის მოწყობის მრავალი ისტორიული ფორმა არსებობდა და არსებობს დღესაც. მაგრამ ისინი ორ ძირითად: უნიტარულ და ფედერალურ ფორმაზე შეიძლება დავიყვანოთ. ერთსაც და მეორესაც თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები აქვს, მაგრამ ქვეყნისათვის, რომელიც დამოკრატინაციის გზას დაადგა, ადეკვატურია და უფრო უმჯობესია ფედერალური სტრუქტურა. განსაკუთრებით კი ისეთი მრავალეროვნული და ეთნიკური ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა. უნიტარული ფორმის იდეალია ისეთი პოლიტიკური წყობა, რომლის სახელმწიფოებრივი სივრცე ერთგვაროვანი, იზოტროპული და ცენტრალიზებულია. მასში შემავალ ინდივიდებს, როგორც კერძო ერთობათა წევრებს, შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა რელიგია, კულტურა, ცხოვრების განსხვავებული წესი, მაგრამ, როგორც მოქალაქენი – ჰომოგენური, რაც შეიძლება ერთიანი და ერთმანეთის მსგავსი უნდა იყოს. იგი ანგარიშს არ უწევს ნებისმიერ სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ, რელიგიურ თუ ენობრივ განსხვავებულობას. მაშინ, როდესაც ძირითადია თანამოქალაქეთა მრავალმხრივი – ისტორიული, ენობრივი, რელიგიური, კულტურული და ა.შ. ერთგვაროვნების მიღწევა და ინდივიდთა ერთიანი ორგანიზმის შემდგენელ, შედარებით ავტონომიურ ერთეულებად გარდაქმნისადმი მისწრაფება. უნიტარულისაგან განსხვავებით, ფედერალური სტრუქტურა ეყრდნობა ჰეტეროგენულ (განსხვავებულ) ერთეულთა მრავალი დონის მქონე კავშირით ერთობებს, რასაც თან ახლავს სახელმწიფოებრივი სივრცის ანიზოტროპია და იერარქიის წარმოქმნელ ცენტრთა სიმრავლე, რომლებიც, საბოლოო ჯამში, ექვემდებარებიან საერთო ცენტრს. მხოლოდ ფედერალურ სტრუქტურას შეუძლია შეუნარჩუნოს ქვეყანას პოლიტიკური ერთიანობა ისე, რომ ამ დროს არ ხელყოს მისი შემადგენელი ერთეულების ისტორიული, კულტურული, რელიგიური, ტერიტორიული თუ ენობრივი თავისებურებანი. როგორც ფრანგი პოლიტოლოგი ჟ. ბეშლერი შენიშნავს, სახელმწიფოს სტრუქტურის არჩევანისას, უნდა ვითვალისწინებდეთ როგორც სტრუქტურული მიზნებით განსაზღვრულ კონკრეტულ მიზნებს, ისე მორფოლოგიურ, ეკონომიკურ, საერთაშორისო და ა.შ. კონტექსტს. თანამედროვე ეპოქის დამახასიათებელი და ფუნქციური სირთულეები, მიგრაციული პროცესები, კულტურული ჰეტეროგენობის ზრდა და ა.შ. ასეთ „სპეციფიკურ კონტექსტში პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: დემოკრატისათვის უმჯობესია ფედერალური სტრუქტურა“ (30, გვ. 109). მართალია, უნიტარული სისტემა საერთაშორისო არენაზე აადვილებს სამხედრო თუ საომარ რესურსთა მობილიზებას და მაქსიმალურ ეფექტურობას უზრუნველყოფს, მაგრამ, მეორე მხრივ, სამართლიანად შენიშნავს ბეშლერი, მეტისმეტ ცენტრალიზაციას ზიანი შეუძლია მიაყენოს სახელმწიფოს

მოქნილობასა და შემგუებლობას, რომელიც ასე საჭიროა მუდმივად ცვლად საგარეო-პოლიტიკური სიტუაციებში.

სახელმწიფოებრივი სივრცის ფედერალური მოწყობის უპირატესობებია:

1. უნიტარულთან შედარებით იგი უფრო ეფექტურია ეკონომიკასთან მიმართებაში. თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრება იმდენად გართულდა და დაიხლართა, რომ ერთიან ცენტრს სულ უფრო ნაკლებად ძალუძს მასში გარკვევა და მოქალაქეთა დაკმაყოფილება. რასაკვირველია, პრობლემების გადაწყვეტა უფრო ადვილი და ეფექტურია ადგილებზე, იქ სადაც ისინი წარმოიქმნება, რამეთუ ისინი უფრო გასაგებია როგორც დაინტერესებული პირების, ისე ადგილობრივი ხელმძღვანელობისათვის.

2. ფედერალური სტრუქტურა ხელს უწყობს დემოკრატიულ კონტროლს, ანუ მართულთა მხრივ მმართველთა კონტროლს, რამეთუ მაქსიმალურად აახლოებს ერთმანეთთან იმ ადამიანებს, ვინც უფლებამოსილებებს, ძალაუფლებას ფლობენ და იმათ, ვინც ამ უფლებამოსილებებს თუ ძალაუფლებას ანიჭებს ან გადასცემს.

3. ფედერალური სტრუქტურა ახალისებს მოქალაქეთა მისწრაფებას, თავი მიუძღვნან საერთო საქმესა და კეთილდღეობას, რადგან ამგვარი მისწრაფება ყველაზე მეტად წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საერთო საქმითა და კეთილდღეობით დაინტერესებულია თითოეული მოქალაქე და როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა საშუალებას არ იძლევა რომელიმე უცხო ინდივიდის თავგანწირვის იმედი ვიქონიოთ.

4. ფედერალური სტრუქტურის უპირატესობა ყველაზე მეტად ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც ქვეყნის მოსახლეობა მრავალგვარია და განსხვავებულია ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ურთიერთობების მხრივ, რაც უშუალოდ წარმოქმნის როგორც მთლიანი სახელმწიფოებრივი სივრცის ერთიანობასა და ჰარმონიას, ისე უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობას (ამის შესახებ უფრო დანვრილებით იხ. (30, გვ. 107-112)).

ფედერალური სტრუქტურა ხელს უწყობს ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემის დამკვიდრებასა და განვითარებას, მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვის საქმეში. იგი ორგანულად უხამებს ერთმანეთს საერთო-სახელმწიფოებრივ და კერძო ინტერესებს ცენტრისა და რეგიონების საქმიანობას, ცხადია, რომ დემოკრატიას ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვის საქმეში უფრო ეხმიანება ფედერალური სტრუქტურა, მაგრამ დემოკრატიისა და ფედერალიზმის შერწყმა, გვაფრთხილებს ჟ. ბემლერი, მოითხოვს ორი ძირითადი პრინციპის დაცვას:

1. **მიშველების პრინციპი**, რომელიც გვაუწყებს, რომ ნებისმიერი საერთო პრობლემა ყოველთვის უნდა გადაიჭრას უპირატესად ადგილობრივ დონეზე, რაც შეიძლება ახლოს კოლექტივებად თუ ერთობებად გაერთიანებულ მოქალაქეებთან. პრობლემები ზემდგომ ინსტანციას უნდა გადაეცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა გამოსავალი არ არსებობს.

**2. უშუალო კავშირის პრინციპი**, რომელიც გვაუწყებს, რომ თითოეული მოქალაქე უშუალოდ უნდა უკავშირდებოდეს ფედერალური სტრუქტურის თითოეულ დონეს: უნდა ირჩევდეს და გზავნიდეს იქ ხელმძღვანელებს, ავსებდეს ამ დონის ხაზინას და სხვ. რაც მთავარია, არც ერთი მაღალი ფედერალური დონე არ უნდა არსებობეს დაბალი დონის საჭიროებების უგულვებელყოფის ხარჯზე.

დღეს, XXI საუკუნის ათიანი წლების დასაწყისში, ლიბერალური დემოკრატია თითქმის მთელ მსოფლიოში მმართველობის მადომინირებელ ფორმად იქცა. იგრძნობა მისწრაფება დავუბრუნდეთ ფედერალური სტრუქტურის უპირატესობებს, ვინაიდან უნიტარული ტენდენციები, როგორც კი გადააბიჯებენ ცნობილ ზღვარს, მაშინვე მასთან კამათში სულ უფრო დამაჯერებელი ხდება ისეთი საბუთები, როგორიცაა: ეფექტურობა, კონტროლი, საერთო საქმისადმი ერთგულება და პლურალიზმი – თვისებები, რომელთა წყალობით ფედერალური სტრუქტურა წარმოადგენს დემოკრატიის, თითქოსდა, ბუნებრივ დამატებას.

ამგვარად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოკრატიისა და ფედერალიზმის თანხმობა მსოფლიოს ისტორიული ტენდენციაა, რომლის რეალურ განხორციელებას ძალუძს უზრუნველყოს როგორც პიროვნული, ისე ეროვნული თავისუფლების დაცვა. თუ კარგად ავწონ-დავწონით ფედერალიზმის პლუსებსა და მინუსებს და გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს მრავალეროვან საქართველოში, როდესაც არ არსებობს მისი ერთიანობის ძლიერი სულიერ-გონითი თუ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ფაქტორები, ერთადერთ სწორ გზად ფედერალიზმის პრინციპის საფუძველზე მისი სოციალური და პოლიტიკური წყობის აგება მიმაჩნია. მხოლოდ ამას ძალუძს ეთნიკურ კონფლიქტთა მიზეზებისა და ეთნოსთა შორის უნდობლობის აღმოფხვრა.

თუ საქართველო აშენებს თანამედროვე ღია საზოგადოებას და ესწრაფვის ლიბერალური წყობის დამკვიდრებას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე სოციალური ფილოსოფია, პიროვნების თავისუფლებასა და სოციალურ თავისუფლებაზე დაფუძნებული ლიბერალური სამართლებრივი წყობის განვითარება, მართლაც, რომ თავისთავად გულისხმობს ფედერალური პრინციპის ზედგომას ყველა სხვა პრინციპზე. თვით პიროვნების თავისუფლების პრინციპი სხვა არაფერია, თუ არა ფედერალური პრინციპის მოქალაქეობრივ, ანუ სოციალურ ასპექტში წარმოდგენა. ამიტომ ამ საკითხის გარკვევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავალი წყობის მაქსიმალურად შესატყვისი ფორმის საპოვნელად.

საქართველოში დღეს არსებული მრავალი ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი თუ კულტურული განსხვავებულობაი ხშირად ისეთ დისპროპორციებს წარმოშობს ქვეყნის შიგნით და ზოგჯერ მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობაში, რომ ვითარება კრიტიკული ხდება. ამგვარ სიტუაციაში მხოლოდ ისეთი სისტემა შეიძლება იყოს ვითარების გამანონასწორებელი, რომელიც ერთნაირად აძლევს საშუალებას ყველა მის შემადგენელ ერთეულს, „განვითარდეს თავისი საკუთარი პრინციპების მიხედვით და სხვასაც მისცეს საშუალება განავითა-

როს თავისი თავი; გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და ცივილური განვითარების ინტერესთა გათვალისწინებით, შექმნას ისეთი საერთო ხელშემწყობი პირობები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს მის გაუთქვეფავად მოთავსებას უფრო დიდ ერთობაში, თავისუფლებისა და სუვერენობის სრული შენარჩუნებით. არც ერთ დღემდე არსებულ ფირმას სოციალურ-პოლიტიკური წყობისა, არ ჰქონია ისეთი შესაძლებლობები, როგორც აღმოაჩნდა ფედერალურ წყობას, დაფუძნებულს მოქალაქეობისა და თავისუფლების, სუვერენულ, პროცესუალურ თვითმარგანიზებელ და თვითდამხვეწ პრინციპზე, რომლის საფუძველი ქრისტიანული ცივილიზაციის მატრიცაშია ფესვგადგმული“ (8, გვ. 376).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფედერალიზმი აუცილებელ კავშირშია პლურალიზმთან, მაგრამ მისგან განსხვავებულიცაა. პლურალიზმთან იგი კავშირშია იმდენად, რამდენადაც ფედერალიზმი „მრავალთ ერთობის“ იდეიდან მომდინარეობს. პლურალისტურია წყობა, თუ იგი ქმნის გარკვეული ავტონომიის მქონე ჯგუფებიდან შემდგარ ერთობას, რომელშიც ყველა ერთად დადგენილი და მუდმივი ფორმით მონაწილეობს ცენტრალური ერთობის პოლიტიკური თუ სოციალური ნების ჩამოყალიბებაში. ფედერალიზმი განსხვავდება ამგვარი პლურალიზმისაგან, რამეთუ მასში ძირითადია არა უბრალოდ ავტონომიის მქონე ჯგუფის, არამედ ტერიტორიულად განსაზღვრული ჯგუფის ცნება. სწორედ, ტერიტორიულობის ნიშანია ძირითადი, რამეთუ „ფედერალისტური წყობა ქმნის ავტონომიური ტერიტორიული ჯგუფებიდან შედგენილ ერთობას და იმგვარი ხელისუფლების ფორმაა, რომელიც ძალაუფლების განაწილებისა და განხორციელებისას ეყრდნობა ავტონომიურ ტერიტორიულ ხელისუფლებას. ეს ადგილობრივი ხელისუფლება მუდმივად და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური ერთობის დანესებულებებსა და გადანყვეტილებებში“ (იქვე).

ამგვარად, პლურალიზმისაგან განსხვავებით, ფედერალიზმი დამატებით ითხოვს ჰორიზონტალურ გაშლასაც და ავტონომიურობისა და თავისუფლების საფუძველზე წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური წყობის ორგანიზების პრინციპს. ფედერალიზმის არსს ყველაზე უკეთ მისი სამი კონსტიტუციური პრინციპის: ძალაუფლების განყოფის (დანაწილების), ავტონომიისა და თანამონაწილეობის ერთიანობა გამოხატავს. მოკლედ დავახასიათოთ თითოეული მათგანი:

**1. განყოფის პრინციპი** ხელისუფლების ორ წყობას: ცენტრალურ, ანუ ფედერალურ ხელისუფლებასა და ადგილობრივ, ანუ წევრთა ხელისუფლებას შორის საკანონმდებლო კომპეტენციათა განაწილების ზუსტ განსაზღვრაში გამოიხატება. არსებითად, ამგვარი განაწილება გამომდინარეობს ეროვნული სახელმწიფოებრივი საზოგადო ინტერესებისა და ადგილობრივი კონკრეტული ინტერესების საგანთა შეფარდებიდან. სწორედ ამგვარი შეფარდება ქმნის ყოველი ფედერალური ერთეულის დინამიკური განვითარების უაღრესად ხელსაყრელ პირობებს, რამეთუ ერთდროულად ერთი მთლიანი სახელმწიფოს

ინტერესების გათვალისწინების გვერდით, იძლევა ნაწილთა ურთიერთდაკავშირების საშუალებას თვით ამ ნაწილთა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. ფედერალური სტრუქტურა იძლევა საშუალებას ისე ჰარმონიულად შევათანხმოთ ცენტრისა და რეგიონის ძირეული ინტერესები, რომ არც ერთი მათგანი არ იქნეს შელახული.

**2. ავტონომიის პრინციპის** არსი ისაა, რომ ხელისუფლების ყოველი წყობა ავტონომიურია, ანუ „სუვერენული“, კანონისა და სამართლის აღსრულების საკუთარ სივრცეში, რომელიც უკვე წინარე პრინციპითაა განსაზღვრული. არავითარი იერარქიული კონტროლი, არავითარი საფეხუროვანი უფლებები არ შეიძლება განხორციელდეს ერთი ხელისუფლებისა მეორეზე. მხოლოდ დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს სამართლებრივი კონტროლი, გადანყვეტილებათა კონსტიტუციური და სამართლებრივი შესატყვისობის თვალსაზრისით.

**3. თანამონაწილეობის პრინციპი** ნიშნავს, რომ ფედერალური ერთეულები უნდა იყოს წარმოდგენილი და თანამონაწილეობდნენ ფედერალურ გადანყვეტილებებში. არსებითად, ამგვარი მონაწილეობა გამოხატულია ფედერალურ ორპალატიანობაში, სადაც განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი მეორე პალატა (სენატორების, უხუცესთა) მეტ-ნაკლებად თანაბრად წარმოადგენს ყველა ფედერალურ ერთეულს საერთო ჰარმონიულობის მისაღწევად.

ფედერალური სტრუქტურა იმუშავებს ისეთ საკანონმდებლო წყობას, რომელიც ერთდროულად მოსახლეობის რაოდენობრივ სხვაობასაც ასახავს და ფედერალურ ერთეულთა თანასწორობასაც. ამგვარი კი შეიძლება იყოს თავისუფალი არჩევნების გზით შექმნილი ორპალატიანი საკანონმდებლო ორგანო. იგი უნდა შედგებოდეს ორი თანაბარი საკანონმდებლო ძალაუფლების მქონე ნაწილისაგან, რომელთაგან ერთში – წარმომადგენელთა დარბაზში – დეპუტატთა რაოდენობა ფედერალური ერთეულის მოსახლეობის პროპორციულია, ხოლო მეორეში – სენატორთა ან უხუცესთა დარბაზში – ყოველი ერთეული თანაბრად არის წარმოდგენილი დადგენილი რიცხვით. ორდარბაზიანი საკანონმდებლო ორგანოს არსებობა ხელს უწყობს ერთსა და იმავე დროს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისა და თვით საკანონმდებლო ხელისუფლების შიგნით ურთიერთკონტროლს, რაც ფედერალური წყობის არსებითი პრინციპია. თუ პირველი, როგორც პარტიულ ჯგუფთა წარმომადგენლობითი ორგანო, ტენდენციას იჩენს ცენტრალიზაციის გაძლიერებისაკენ, მაშინ მეორე, ანუ უხუცესთა (სენატორთა) დარბაზი მისი გამანონასწორებელია და ამდენად, ფედერალური პრინციპის ბუნებრივი დამცველი. ამგვარად, ორი დარბაზის არსებობა უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთო-სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა განონასწორებასა და პოლიტიკურ თუ სოციალურ სტრუქტურათა შეთავსებულობას.

ფედერალური პრინციპების წარმატებით გატარების საწინდარი ეროვნული ეკონომიკის პრინციპების განუხრელი დაცვა და ცხოვრებაში გატარებაა. ეროვნული ეკონომიკა კი სწორედ იმ თვალსაზრისით არის ეროვნული, რომ ის

„უზრუნველყოფს სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას და განაპირობებს სოციალური ცხოვრების ზესვლას თავისუფალი საზოგადოებისაკენ, რომელიც ერთსა და იმავე დროს იქნება დამცველი თავისი სამოქალაქო უსაფრთხოების სივრცისაც და მოქალაქეობრივი თავისუფლებისაც ეკონომიკური მონდიალიზაციის მძლავრი შემოტევის პირობებშიც“ (8, გვ. 266). საქართველო ფლობს საკმაო რესურსებს, რათა შეძლოს მთელი მისი მოსახლეობის პირველადი მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილება. ჩვენი ქვეყანა „ბუნებრივად პოლიცენტრული და მრავალსახოვანია“. მის ყოველ მხარესა თუ რეგიონს თავისი პირველადი განვითარებისათვის აქვს საკმარისი და აუცილებელი პროდუქტის წარმოების ყველა შესაძლებლობა, რაც ქმნის საქართველოს შიდა ბაზრის განვითარების საწინდარს. რაც, თავის მხრივ, საქართველოს რეგიონთა ფედერირების, ანუ შეკავშირების მძლავრი საშუალებაა.

თუ ერთხელ კიდევ მთლიანობაში გავიზიარებთ ფედერალიზმისა და პიროვნული თავისუფლებების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემას, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ ფედერალიზმი არ არის დახშული სქემა და არც მზა ყალიბი, რომელსაც ყველამ უნდა მისდოს. იგი უნდა გავიგოთ, როგორც სახელმწიფოს ფედერალიზაციის განუწყვეტელი პროცესი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არსებობს გარკვეული საფუძველმდები პრინციპები, რომელთა გამოყენების იმდენივე შესაძლებლობა არსებობს, რამდენი სახელმწიფო, უფრო მეტიც, საზოგადოებაა ქვეყანაზე. **მაგრამ ამ მრავალფეროვნებაში ერთი საერთო და არსებითი არის ის, რომ ამ პრინციპთა განვითარებისა და რეალიზაციის შინაგანი ლოგიკა ფედერალური მრავალცენტრული ცივილიზაციისა, ანუ სრული მოქალაქეობრივი თავისუფლების გზით მიდის.**

### ბამოყენებული ლიტერატურა:

1. ამერიკული დემოკრატია. თარგმნა რ. გაჩეჩილაძემ. გამომცემლობა „ჯისიაი“, თბ., 1995.
2. არისტოტელე. პოლიტიკა ნაწილი I-II, თ. კუკავას თარგმანი, გამომცემლობა „სამშობლო“, თბ., 1995-1996.
3. ერქომაიშვილი ვ. ფილოსოფია. გამომცემლობა „ჯვარი“, თბ., 1998..
4. ვებერი მ. პოლიტიკა, როგორც მონოდება და ხელობა. თბ., 1994.
5. ვებერი მ. ხარიზმული ბატონობა. ბროშურაში „ო. შპენგლერი პოლიტიკის ფილოსოფია. მ. ვებერი ხარიზმული ბატონობა“ თბ., 1995.
6. თევზაძე გ. საქართველო: ძალაუფლების სიმულაციები. თბ., 1999.
7. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია. თბ., 1997.
8. კაშია ე. თავისუფლება და ფედერალიზმი. თბ., 1996.
9. კოდუა ე. სოციოლოგიის ისტორია, I-II ნაკვეთი, თბ., 1996.
10. კოდუა ე. სოციოლოგია, I-II ნაკვეთი, თბ., 1998.
11. კოდუა ე. იდეოლოგია „ქიმს“ მიღმა. მაცნე. ფილოსოფიის სერია 1. 1997.
12. მაკიაველი ნ. მთავარი. თბილისი 1984.
13. ნოდია გ. იდეოლოგია: ეროვნული და სხვ. ჟურნალი „აფრა“ 5, 1998.
14. საქართველოს პოლიტიკური სისტემა, თბ., 1998.
15. ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999.
16. შპენგლერი ო. პოლიტიკის ფილოსოფია. ბროშურაში „ო. შპენგლერი პოლიტიკის ფილოსოფია. მ. ვებერი ქარიზმატული ბატონობა“ თბ., 1995.
17. ჰანტინგტონი ს. ცივილიზაციათა შეხლა. წიგნი „საზოგადოება და პოლიტიკა“ II, თბ., 1999.
18. Авцинова Г.А. Политическое лидерство. Типология политического лидера. В Кн. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
19. Алмонд Г.А. Верба С. Гражданская культура и стабильная демократия. Политические исследования №4; 1992.
20. Алюшин М.В., Порус В.Н. Власть и „политический реализм“. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
21. Американская социологическая мысль: Тексты (под ред. В.И. Добренкова) – М., Изд.-во МГУ, 1994.
22. Антология мировой политической мысли. В 5 т. Т. II. Забуренная политическая мысль. XX. в. М.: Мысль, 1997.
23. Арндт Х. Начала тоталитаризма. В Кн. Антология мировой политической мысли. В 5 т. Т. 2. в. М.: Мысль, 1997.
24. Арон Р. Демократия и тоталитаризм. М.: Текст, 1993



25. Арон Р. Этапы развития социологической мысли. М., Издательская группа „Прогресс“ – „Политика“, 1992.
26. Бауман З. Философия и постмодерническая социология. Вопросы социологии, 1992, №2.
27. Бауман З. Мыслить социологически. М., 1994.
28. Бергер П. Приглашение в социологию, гуманистическая перспектива. Москва, 1996.
29. Бергер П. и Лукман Т. Социальное конструирование реальности. Издательство „Медиум“, 1995.
30. Бешлер Жан. Демократия. М., 1994.
31. Биллерберг Р. Полулизм и плебисцит. Почему народу не нравится созданное общество? Социологические исследования, №9 1992г.
32. Блумер Г. Коллективное поведение. В кн., Американская социологическая мысль. М., 1994.
33. Блондель Ж. Политическое лидерство. Типология политического лидера. В кн. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
34. Бобио Н. Интеллектуалы и власть. Вопросы философии, №8, 1992.
35. Болл Т. Власть. Политические исследования №5, 1993.
36. Ботомор Т. Политическая социология. В кн. Антология мировой политической мысли. В 5 т. Т. 2. в. М.: Мысль, 1997.
37. Бодрийяр Ж. Реквием по масс-медия. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алтейя, 1999г.
38. Брудер В. Бюрократия. М, Политические исследования. №5 1991.
39. Бурдые В. Социология и демократия. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алтейя, 1999г.
40. Бурдые П. Дух государства: генезис и структура бюрократического поля. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алтейя, 1999г.
41. Бурдые П. Ринк символической продукции. Вопросы социологии, №5, 1994.
42. Бурдые П. Социология политики. М., 1992.
43. Бутенко А.П. Социологические вопросы истории и теории тоталитаризма. Социологические исследования №6 1998.
44. Вебер М. Избранные произведения. М., Прогресс, 1990.
45. Вебер М. Избранное. Образ общества; Москва, 1994.
46. Вебер М. Основные понятия стратификации. В кн.: А.И. Кравченко. Социология Макса Вебера: Труд и экономика – М.: На Воробьевых. 1997.
47. Власть, Философско-политические аспекты. М., 1989.
48. Гаджиев К.С. Политическая наука: Учебное пособие. – 2-е Изд. М., Международные отношения, 1995.

49. Гайдено П. П. Давидов Ю. Н. История и рациональность: Социология Макса Вебера и веберовский ренессанс. М., 1991.
50. Геллбрайт Дж.К. Анатомия власти. Реферат. Политика и общество. Тбилиси „Мецниереба“ – 1994.
51. Геллнер Э. Условия свободы. Гражданское общество и его исторические соперники. Москва, „ad Marginem“, 1995.
52. Гидденс Э. Политика, – управление и государство. В альманахе „Рубеж“, №3, 1992.
53. Гидденс Э. Социология. М., Эдиторгал УРСС, 1999г.
54. Гусев В.А. Консервативные идеологии. Социологические исследования. №11, 1994.
55. Горовиц Д.Л. Различия демократий. В кн.: пределы власти, т.2-3. „Век XX и Мир“, 1994.
56. Даль Р. Полиархия, плюрализм и пространство. Вопросы философии №3 1994.
57. Дарендорф Р. Элементы теории социального конфликта. Социологические исследования №5 1994.
58. Дарендорф Р. Дорога к свободе: демократизация и её проблемы в Восточной Европе. Вопросы философии. 1990 №9.
59. Дарендорф Р. От социального государства к цивилизованному сообществу. Политические исследования №5 1993.
60. Демидов А.М. Общественное мнение на пути институционализации. Социологические исследования №2, 1992.
61. Дмитриев А.В. Политическая социология США, очерки. Л., 1971.
62. Дмитриев А.Н. Политика теории: „левое“ и „правое“ в социологической классике и современности. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алтейя, 1999г.
63. Доган М. Легитимность режимов и кризис доверия. Социологические исследования. №6, 1994.
64. Доган М., Пеласс Д. Сравнительная политическая социология. Пер. с англ. – М.: Соц.-полит. Журн., 1994.
65. Дюверже М. Политические институты и конституционное право. В кн.: Антология мировой политической мысли. В 5 т. Т. II. Зарубежная политическая мысль. XX. в. М.: Мысль, 1997.
66. Егорова Е., Шестопал Е. Имидж власти и политиков. В книге Райгородский Д. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
67. Емельянов Ю.Н. Лидерство и групповая динамика. В. кн. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.2 Издательский Дом „Бахарх“. Самара, 1999.

68. Здравомыслов А.Г. Социология конфликта – М., Аспект Пресс, 1996.
69. Зуев К.А.О. Тоффлер. Сдвиг власти. Вопросы философии №7 1993.
70. Ильин М.В., Мельвиль А.Ю. Власть. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
71. Истон Д. Категории системного анализа политики. В книге Антология мировой политической мысли. Т.П. Москва „Мысль“ 1997.
72. История теоретической социологии, т.2, М., Канон, 1997.
73. Камю А. Бунтующий человек, философия. Политика. Искусство: Политиздат, 1990.
74. Канетти Э. Элементы власти. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
75. Капитонов Э.А. Социология XX. века, Ростов-на-дону. Изд-во „Феникс“, 1996.
76. Кайзеров Н.М. Власть и авторитет. Москва – 1973.
77. Кемпински А. Экзистенциальная психиатрия. М. 1998.
78. Кермон Ж.К. О принципе легитимности. Политические исследования №5 1993.
79. Козлова О.Н. Развитие идеологий и социальные конфликты. Социологические исследования. №4 1993.
80. Кравченко А.И. Макиавели: технология лидерства. В кн. Психология и психоанализ власти. Т.2 Самара 1999.
81. Крамник В.В. Социально - психологический механизм политической власти. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
82. Крозье М. Современное государство-скромное государство. В книге Антология мировой политической мысли. Т.2. Москва „Мысль“ 1997.
83. Крестева Д. Власть и элита в обществе без гражданского общества. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
84. Лекции по политологии, том 1. Таллинн, 1991.
85. Ленуар Р. Социальная политика и власть публичного выступления. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алтейя, 1999г.
86. Линц Х. Достоинство парламентаризма. В кн.: Пределы власти., т. 2-3. М, 1994.
87. Липсет С. Политическая социология. В кн. Социология сегодня, М, 1965.
88. Липсет С. Политическая социология. В кн.: Американская социология; М., 1972.

89. Луман Н. От полицейского государство к правовому государству. В книге Антология мировой политической мысли. Т.2. Москва „Мысль“ 1997.
90. Макаренко В.П. Вера, власть и бюрократия (критика социологии М. Вебера). Изд-во Ростовского университета, 1988.
91. Макаренко В.П. Правительство и бюрократия, Социологические исследования №2 1999.
92. Манхейм К. Диагноз нашего времени. М.: Юрист, 1994.
93. Маркузе Г. Одномерный человек. – М.: „Kee1-bool“, 1994.
94. Массинг О. Господство. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.
95. Медушевский А.Н.М.Я. Острогорский и политическая социология в XX веке. Социологические исследования №8 1992, №1 1993.
96. Межуев В. О демократии на достоточном основании. Свободная мысль, №10 1993.
97. Международные отношения: социологические подходы. (Рук. Авт. Колл. Проф. П. А. Циганков). М; Гадарик. 1998.
98. Методическое пособие по организации избирательной кампании. Национальный демократический институт международных отношений США М., 1991.
99. Мизес Л. Бюрократия. М. 1993.
100. Миллс Р. Властвующая элита. Москва 1959.
101. Михельс Р. Социология политической партии в условиях демократии, „Диалог“ №1, №3, №5, №7, №9, №11, №13, №15, №17, 1990.
102. Може Ж. Социологическая ангажированность. В кн. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алетейя, 1999 г.
103. Моргентау Г. Международная политика. В кн. Антология мировой политической мысли. В 5 томах, т.2, М.: Мысль 1997.
104. Морено Дж. Социометрия. Москва, 1958.
105. Моска Г. Элементы политической науки. Социологические исследования №4 1995.
106. Моска Г. Правящий класс. Социологические исследования, №10, №12, 1994.
107. Московичи С. Век толп. Исторический трактат по психологии масс. Пер. С фр. М., 1996.
108. Московичи С. Машина творящая богов./ Пер.с фр- М.: <<Центр психологии и психотерапии>>, 1998.
109. Ницше Ф. Воля к власти. Опыт переоценки всех ценностей, полное собрание сочинений. Т.9.М. 1909.
110. Ницше Ф. Антихристианин. В кн. : Сумерки богов. М., Политиздат, 1989.
111. Ноттурно М. Открытое общество и его враги: сообщество, авторитет к бюрократия. Вопросы философии №11, 1998.

112. О'Доннел Г. Делегативная демократия. В кн.: Пределы власти, т.2-3, М., 1994.
113. Ожиганов Э.Н. Политическая теория М. Вебера. Критический анализ. Рига, 1986.
114. Осипова Е. В. Социология политической культуры Великобритании. Социологические исследования. №4 1992.
115. Панарин А.С. Философия политики. М.: Новая школа, 1996.
116. Парк Р. Конкуренция и конфликт. Вопросы социологии №5, 1994 Москва.
117. Парсонс Т. Система современных обществ. \_М., Аспект Пресс, 1998.
118. Парсонс Т. Общетеоретические проблемы социологии. В кн.: Социология сегодня. М., 1965.
119. Парсонс Т. О понятии „Политическая власть“. В кн.: Антология мировой политической мысли. В 5-томах, т. 2, М.: Мысль 1997.
120. Пилиненко В. А. Стризое А.Л. Политическая власть и общество: - контуры методологии исследования. Социологические исследования. №6, 1999.
121. Платон. Сочинения, В 3-х т. Т. 3. Ч. 2. М., „Мысль“, 1971.
122. Политика как научная дисциплина по Д. Хелду. Политические исследования. №5 1991.
123. Поппер К. Открытое общество и его враги. Т.1 М., 1992.
124. Поппер К. Открытое общество и его враги. Т.2 М., 1992.
125. Поппер К. Нищета историцизма. Вопросы философии №8-9 1992.
126. Поэтика и политика. (Сборник статей). СПб. Алетейя, 1999 г.
127. Проблемы теоретической социологии. Под редакцией А.О. Бороноева, Санкт-Петербург 1994. Изд. Петрополис.
128. Пугачев В.П. Соловьев А.И. Введение в политологию. Учебник для студентов высш. Учеб. Заведений \_3-е изд., перераб. И дон. \_М., Аспект Пресс, 1996.
129. Пулантзас Н. Политическая власть и социальные классы капиталистического государства. В кн., Антология мировой политической мысли. В 5-томах, т.2, М., Мысль 1997.
130. Радаев В. Властная стратификация в системе советского типа. В альманахе „Рубеж“, №1, 1991.
131. Разворотнева С.В. Язык власти, власть языка. В книге Райгородский Д.Я. Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.1 Издательский Дом „БАХРАХ“. Самара. 1999.
132. Райли-Младший Д. И Райли М. Массовая коммуникация и социальная система. В кн.: Социология сегодня. М., 1965.
133. Рассел Б. Власть. Социальный анализ. В кн.: Антология мировой политической мысли. Т.2., М., Мысль, 1997.
134. Рокар М. Трудиться с душой. М., Международные отношения, 1990.
135. Самсонова Т.Н. Концепция „правлящего класса“. Г. Моски. Социологические исследования №10, 1984.

136. Сартори Дж. Пересматривая теорию демократии. Политические исследования. №2 1993.
137. Сен-Мартен де М. Реконверсия и трансформация элит. В Socio-Logos. Алманах Российско-французского центра социологических исследований Института социологии Российской Академии наук. М – „Socio-Logos 50СЮ-Ш008“ 1996.
138. Смелзер Н. Социология. М., 1994.
139. Смольков В.Г. Бюрократизм, Социологические исследования. №2 1999.
140. Современная буржуазная философия. Изд-во МГУ. 1972.
141. Современная западная социология. Словарь. М., Политиздат. М., 1990.
142. Современная Социальная теория, Бурдьё, Гидденс, Хабермас\_Учебное пособие. Составление, перевод вступительная статья А.В. Леденёвой. Новосибирск, из.-во Новосибирского Университета 1995.
143. Современная политическая наука. Проблемы государства и демократии. М., 1982.
144. Сорокин П. Человек, цивилизация, общество. М., 1992.
145. Социо-логос, социология, антропология, метафизика. Выпуск 1. Общество и сферы смысла. Москва „ПРОГРЕСС“ 1991.
146. Теория и практика идеологической работы. М: Мысль, 1984.
147. Теория общества. Сборник. М., „КАНОН-пресс\_Ц“, „Кучково поле“, 1999.
148. Тернер Дж. Структура социологической теории, М., 1985.
149. Титов В.Н. Политическая элита и проблемы политики. Социологические исследования. 1998.
150. Ш. Тоффлер Э. Третья волна. М.: ООО „Фирма“ Изд. „Аст“, 1999.
151. Турен А. Возвращение человека действующего. Очерк социологии\_М., Научный мир, 1998.
152. Фролов С. Социология. – М., Наука, 1994.
153. Фуко М. Воля к истине: по ту сторону знания, власти и сексуальности. М., Касталь, 1996.
154. Фуко М. История безумия и в классическую эпоху. Санкт-Петербург, 1997.
155. Фуко М. Надзирать и наказывать. Рождение тюрьмы. Изд. „Ad.Marginem“. Москва, 1999.
156. Хабермас Ю. Философский спор вокруг идеи демократии. В кн.: Антология мировой политической мысли. Т.2. М., Мысль, 1997.
157. Хайек Ф. А. Пагубная самонадеянность. Ошибки социализма. Пер. С англ. М., Изд. „Новости“. 1992.
158. Хайек Ф. А. Дорога к рабству. Вопросы философии. №10-11 1990.
159. Хекхаузен Х. Мотив власти. В книге Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.2. Издательский Дом „БАХРАХ“. Самара, 1999.

160. Хелд Д. Интересы, знание и действие (К критической методологии Юргена Хабермаса). В кн. Современная социальная теория. Новосибирск. 1995.
161. Хейнбах С. Стремление к власти как мотив принятия решений в организационной деятельности. В книге Психология и психоанализ власти. Хрестоматия. Т.2. Издательский Дом „БАХРАХ“. Самара. 1999.
162. Хёффе О. Политика. Право. Справедливость. Основоположения критической философии права и государства. Изд-во „Гнозис“. 1994.
163. Шабо Ж., Л. Основные типы легитимности. Политические исследования. №5, 1993.
164. Шаран П. Сравнительная политология. Часть 1-2. М., 1992.
165. Шварценберг Р. Политическая социология. Часть 1-2. М., 1992.
166. Шмитт К. Понятие Политического. Вопросы социологии Т.1 №1, 1992.
167. Шумпетер И. Капитализм, социализм и демократия. М., 1995.
168. Щенкова Н.П. Р. Будон „Идеология или происхождение приобретенных идей“. (Рецензия) Вопросы социологии. №5, 1994.
169. Austeda F. Wörterbuch der Philosophie, Berlin-München, 1962.
170. Benjamin W. Zur Kritik der Gewalt und andere Aufsätze Miteinem Nachwort von Herbert Marcuse.
171. Giddens A. Ienseits von Links und Rechts. Suhrkamp Verlag. Frankfurt am Mein 1997.
172. Giddens A. Konsequenzen der Moderne. Suhrkamp Verlag. Frankfurt am Mein 1997.
173. Grundwissen Politik. Bundeszentrale für politische Bildung. Schriftenreihe Band 302. Bonn 1993.
174. Guggenberger B. Die Zukunft der Industriegesellschaft. 603630 Grundwissen Politik. Bundeszentrale für politische Bildung. Schriftenreihe Band 302. Bonn 1993.
175. Jesse E. Typologie politische Systeme der Gegenwart. 603630 Grundwissen Politik. Bundeszentrale für politische Bildung. Schriftenreihe Band 302. Bonn 1993.
176. Habermas I. Legitimationsprobleme im Spätkapitalismus. Suhrkamp Verlag. Frankfurt am Mein 1973.
177. Hennis W. Politik und praktische Philosophie. Schriften zur politischen Theorie. Klett-Cotta, 1997.
178. Luhmann N. Macht – 2., durches. Aufl. – Stuttgart: Enke, 1988.
179. Meier H. „Weltanschauung“ – Studien zu einer Geschichte und Theorie des Begriffs. Münster, 1967.
180. Meyers R. Grundbegriffe, Strukturen und theoretische Perspektiven der Internationalen Beziehungen. 603630 Grundwissen Politik. Bundeszentrale für politische Bildung. Schriftenreihe Band 302. Bonn 1993.

181. Rohe K. Politik: Begriffe und Wirklichkeiten; eine Einführung in das politische Denken. 2., völlig überarb. Und erw. Aufl.-Stuttgart; Berlin; Köln: Kohlhammer, 1994.
182. Schmitt C. Legalität und Legitimität. Zweite Auflage. Duncker & Humblom. Berlin. 1968.
183. Stammen T. Grundlagen der Politik. წიგნში Grundwissen Politik. Bundeszentrale für politische Bildung. Schriftenreihe Band 302. Bonn 1993.
184. Treibel A. Einführung in soziologische theorien der gegenwart. 4. Auflage. Opladen 1997.

დამატებითი ლიტერატურა

185. ჰანს კიუნგი კონფლიქტი ძალაუფლებასა და მორალს შორის. ჟურნალში „არჩევანი“, 4, 2007.
186. Вебер М. Типы господства. В кн.: В. Зомбарт. Социология. Изд-во «Мысль», Ленинград. 1923.
187. Гидденс Э. Ускользящий мир: как глобализация меняет нашу жизнь. / Пер. с англ. М.: Издательство «Весь мир», 2004.
188. Кастельс М. Информационная Эпоха: экономика, общество и культура. М. 2000.
189. Основы теории коммуникации: Учебник/Под ред. проф. М.А.Василика.– М.: Гардарики, 2003.



*Политическая социология*

Резюме

Цель монографии - освоение апробированных на западе достижений в области философии, политики, политологии и политической социологии, на основе анализа исследований таких авторов, как: Арон Р., Бурдьё П., Гидденс Э., Доган М., Парсонс Т., Мертон В., Хабермас Ю., Шаран П., Шварценберг Р. и обогащение этими достижениями политической элиты нашего общества.

В работе автор пытается объединить социологические и политологические подходы анализа социально-политических проблем, а также выяснить специфику политической социологии, которая подразумевает изучение политики и политических взаимоотношений в контексте социальной структуры. Автор показывает, что целью политической социологии является:

- изучение политики и политических взаимоотношений в контексте глобального общества, его социального строения или структуры;
- изучение феномена власти не только в государственно организованном обществе, но в любом объединении людей и заострение внимания на стратификацию власти;
- изучение действия элит, особенно во время политических кризисов и катаклизмов, выявление тех скрытых механизмов, которые обуславливают такие и только такие действия элит;
- изучение условий стабильности и эффективности политических режимов, а также источников согласия (консенсуса) и несогласия (конфликта);
- исследование реформаторских, экстремистских или революционных движений и их идеологических доктрин;
- исследование не только тех напряженностей, которые имеют место между политической организацией и обществом, но и внутри любой организации;
- исследование легитимности и эффективности власти, выяснение того, на сколько соответствуют идеалы и ценности политических систем собственным идеалам и ценностям населения.

В монографии власть рассматривается как средство борьбы против хаоса и неопределенности, которое расширяет и усиливает возможности упорядочивания

взаимодействия индивидов и предсказания их поступков. Автор не согласен с мнением М. Крозье, согласно которому анализ власти не продвинулся вперед после Маккиавелли и Маркса. Труды Ницше и М. Вебера способствовали углублению анализа властных взаимоотношений. Несмотря на разные определения власти, в настоящее время в социологическом плане эффективно действует только лишь дефиниция Вебера.

В работе большое внимание уделяется исследованию условий взаимоотношения между политической системой и социумом - анализу импульсов (требований и поддержек), которые переходят из общества в политическую систему и характеристике тех социальных объединений или политических партий, которые в нашем обществе осуществляют артикуляцию и агрегирование интересов.

В работе также дается анализ тех способностей (экстрактивная, регулирующая, дистрибутивная, реагирующая, символизирующая) и функций (артикуляция и агрегирование интересов, норматворчество, использование норм и правил, контроль использования норм и правил), которыми должна владеть политическая система, чтобы она действовала нормально. На фоне этого показана та реальность, которая имеет место в таком трансформирующемся обществе, как Грузия, где держащие власть прибегают, большей частью, к симуляции, вместо приведения в движение этих способностей и функций.

Для автора основным существенным признаком политической коммуникации является обмен информацией между управляющими и управляемыми с целью достижения определенного консенсуса. Показано, что характер обмена информацией зависит не только от политического режима, но и от самого характера социума, его менталитета и культуры.

Политический режим, когда он старается дать желаемое направление общественному мнению (как это и происходило в бывшем Советском Союзе и, к сожалению, в наше время происходит тоже самое в некоторых постсоветских странах), способствует доведению общественного мнения до нуля, или его раздроблению на официальные и неофициальные части, что, в конечном счете, приводит к тому, что политический режим теряет чувство реальной оценки положения в обществе.

Эффективность политической системы определяет ее постоянная готовность тщательно воспринимать потребности общества и тенденции его развития. Обмен информацией путем коммуникаций и диалога между политической системой и обществом обеспечивает демократический режим и высокую партисипативную культуру граждан.

В монографии вкратце излагается суть тоталитаризма, сравнительно больше говорится об авторитаризме, так как, по мнению автора, авторитаризм, при стремлении к свободе и существованию сильных общественных движений, является одним из условий для перехода на демократический режим. Особое внимание уделяется демократическому режиму и свойственным процессу демократизации сопротивлениям и путям.

Как установить демократическую систему власти (режима) в стране, которой почти не приходилось жить в условиях демократии, когда не существует соответствующих демократическим нормам и принципам традиций и навыков мышления и действия. Однако в переходе на демократию включено все общество, как индивиды, так и существующие между ними социальные отношения. По мнению автора, формирование действительно демократического и гражданского общества больше всего зависит от верности демократическим идеалам широких масс населения, их активного участия во всех сферах политической, социальной и культурной жизни, толерантному отношению к инокомыслящим. По этому одним из главных факторов формирования демократии и гражданского общества, вместе с другими факторами (справедливое распределение доходов, сильный средний класс, существование независимых друг от друга экономических и политических элит, влияние внешнего мира. множество автономных центров принимаемых решение) является освоение и распространение ценностей демократической культуры.

В работе также дается анализ роли и значения бюрократии при строении демократического общества. Показана разница между политикой и управлением, между политиком и чиновником. Бюрократизм рассматривается как извращение бюрократической системы, как групповая монополия властителей над средствами власти и над функциями управления.

В монографии проводится точка зрения, что сегодня в Грузии особое значение имеет проблема легитимности и эффективности политического режима, так как для страны, которая только что приобрела независимость, одним из главных проблем остается укрепление (усиление) легитимности политической системы и режима. Без признания справедливости политической системы широкими массами невозможно представить политическое управление общества в современных условиях и решение проблем стоящих перед ним.

На основе анализа воззрений М. Вебера, автор проводит различие между понятиями легитимности и легальности, т. е. законности: легитимность не выражается статьями конституции, она является верой граждан в то, что существующая в стране верховная власть вооружена правами принятия тех решений, которые должны выполняться гражданами. Только в том случае, если граждане уверены, что существующие в стране политические институты соответствуют традициям, обычаям и мировоззрениям населения, тогда они рассматриваются как легитимные.

Автор заключает, что любая политическая система только тогда сможет эффективно расширить свой кредит власти, и провести соответствующую политику, когда она соответствует представлениям и ожиданиям, обычаям и мировоззрению, моральным и политическим ценностям широких масс населения.

В связи с этим в работе дан анализ трех типов политической культуры: традиционный, подданнический (субъективистский), партисипатический (активистский). Особое внимание уделяется синтезу элементов культуры подчинения и

участия. По мнению автора, без освоения такой политической культуры, в Грузии не смогут развиваться демократические процессы.

В этой сфере решительное значение предоставляется лидеру страны и политической элите. Поэтому автор подробно анализирует концепции элиты и политического лидерства и критически оценивает их на фоне политических изменений, происходящих в Грузии. Для понимания существующих в стране реальных социальных и политических механизмов, большое значение имеет идентификация грузинской политической элиты. Несмотря на это, считает автор, что институциональная теория преувеличивает роль элиты в современном демократическом обществе, в методологическом плане она имеет более эффективное и эвристическое значение для понимания процессов происходящих в трансформационных обществах.

Автор утверждает, что путем углубления институционального понимания можно получить критерий идентификации любой элиты: существование ресурсов власти и применение их для получения решений, имеющих важные и масштабные результаты для всего общества. Таким образом, политическую элиту представляют те люди, которые имеют стратегическое положение в общественных или частных институтах и учреждениях.

Институциональный подход дает возможность, - пишет автор - в таком обществе переходящего периода, как Грузия, выделить следующие элиты: экономическая, политическая, военная, религиозная, профсоюзная, научно-академическая, интеллектуальная и др. В настоящее время в Грузии выделена политическая элита. Постепенно, но явно начинает выделяться экономическая элита. В процессе формирования находятся военная и религиозная элиты. Старая идеологическая элита постепенно теряет первенство и уступает место элите интеллектуалов.

Характеризуя значение деятельности политического лидера в трансформирующемся обществе, автор в то же время отмечает появление в стране множества популистских псевдо-лидеров, которые спекулируют характерными для переходного общества объективными трудностями.

Сегодня, полагает автор, Грузии нужен такой лидер, который выражает установки, надежды и мысли большинства социальных групп, лидер, который, с одной стороны, эффективно контролирует и управляет окружающим миром, а с другой стороны, сам является слугой этого мира.

В заключительной части монографии дана попытка показать, что в условиях Грузии самой соответствующей моделью для демократического режима, является федеративная модель построения политического пространства, так как осуществление только такой модели может обеспечить личностную и национальную свободу и единство общества.

## **Berdzenishvili Amiran**

### Political Sociology

#### Summary

The object of the monograph is to assimilate achievements of western political philosophy, politology and political sociology on the basis of the analysis of works by R. Aron, P. Bourdieu, A. Giddens, M. Dogan, T. Parsons, R. Merton, J. Habermass, P. Sharan, R. Schwarzenberg, M. Weber and others; and to provide Georgian political elite with these achievements.

The work presents an attempt of integrating politological and sociological approaches toward research problems. It highlights specific character of political sociology as implying study of politics and political relations in the context of social structure. The author argues that the purpose of political sociology is:

- Study of politics and political relations in the context of the global society, of its social order and structure;
- Study of the phenomenon of power not only in a state-organized society, but also considering stratification of power in all kinds of human community;
- Study of the behavior of elites, especially during political crises and cataclysms; displaying latent mechanisms determining a particular pattern of behavior on the part of the elite;
- Study of the social conditions of stability and efficiency of a political regime; of the sources of agreement (consensus) and disagreement (conflict);
- Investigation of reformative, extremist or revolutionary movements and their ideological doctrines;
- Investigation of tension in all kinds of organization, not only of that between political organization and society;
- Investigation of legitimacy and efficiency of authority; clarification of how far the ideals and values of political systems correspond the ideals and values of the population.

The author considers the authority as the means for fighting chaos and indeterminacy, for expanding and reinforcing possibilities of ordering interactions between individuals and predicting their behavior. The author disagrees with the view of M. Crosier that no advances have been made in the analysis of power after Machiavelli and Marx. The author argues that works of Nietzsche and Weber were contributions to understanding of

power relationships. Contributions of Weber and Parsons to establishing social character of power and politics are highlighted. In spite of multitude of various definitions of power, that by Weber still remains the sole valid one.

Significant attention is paid to the conditions of interaction of a political system and a society; to the analysis of the impulses (demands and support) being received by a political system from a society; and to characterization of social unions and political parties responsible for articulation and aggregation of interests in our society.

Capacities (extractive, regulative, distributive, reactive, symbolizing) and functions (articulation and aggregation of interests, creation of norms, utilization of norms and rules, control of this utilization, political communication) required for a political system for its proper functioning are analyzed. Against this background, the author discusses the reality of a society under transformation, like Georgia, where the government resorts to simulations rather than to real actions to realize these abilities and functions.

The author considers the essential attribute of political communication to be information interchange between governors and subordinates for achieving certain consensus. It is argued that the nature of information interchange depends not only on a political regime but also on the nature of a society itself, on its mentality and culture.

Political regime, when trying to give a desirable direction to public opinion (as it was practiced in Soviet Union, and unfortunately still is in some ex-Soviet countries), promotes annihilation of public opinion or splits it into formal and informal parts. This, in its turn, deprives the political regime of the sense of societal reality. Efficiency of a political system is conditioned by its constant readiness to apprehend attentively demands and developmental tendencies of a society. Information interchange between a political system and a society in the form of communication and dialog is secured by democratic regime and high participation culture of citizens.

The author briefly discusses the essence of totalitarianism; authoritarianism is discussed more extensively, since according to the author, under the circumstances of pursuit of freedom and strong social movements, authoritarianism is one of the conditions of transition to democracy. Special attention is paid to the democratic regime, characteristic ways and contradictions of democratization processes.

How to establish democratic government in a country, which has never lived under democratic conditions? When there are no traditions and habits of reflection and action according to democratic norms and principles? While the whole society, individuals as well as their social relationships are involved in transition to democracy. The author thinks that formation of the most democratic civil society mainly depends on the loyalty of a large part of the population to democratic ideals, on their active participation in all spheres of political, social, and cultural life, on the tolerant attitude towards diversity and alternative viewpoints. Therefore one major factor, together with others (fair distribution of incomes, strong middle class, independent economic and political elites, influence of the external world, multitude of decision making instances), for formation of democracy and civil society, is assimilation and dissemination of the values of democratic culture.

The work also includes an analysis of the place of bureaucracy and bureaucrats in construction of democratic and civil society. Distinctions between politics and governing, politician and official are highlighted; bureaucratism is considered as a degenerate state of bureaucratic system, as governors' joint monopoly on power and governing functions.

Following M. Weber, the author draws distinction between the concepts of legitimacy and legality, i.e. lawfulness. Legitimacy is not expressed by clauses of the constitution; it is an idea-view, belief of citizens, that the sovereign authority existing in a country is entitled to make decisions to be obeyed by the citizens. Only when citizens agree that the institutes existing in a country correspond to their traditions, customs and outlooks, are these institutes to be considered as legitimate. The author concludes that any political system can increase the credit of its power and carry out the appropriate policy only if it corresponds to ideas and expectations, customs and outlooks, morality and political values of the population in large.

The author depends the view that the problem of legitimacy and efficiency of a political regime is of special importance for Georgia presently. Since strengthening political system and legitimacy of a regime remains one of the main problems for a newly independent country. Under modern conditions, governing society politically and resolving problems facing it are impossible without recognition of fairness of the political system by the population.

In this connection three types of political culture are analyzed: traditional, subordination and participation. Attention is focused on the synthesis of cultural elements of subordination and participation. The author thinks that without mastering such political culture democratic processes will not evolve in Georgia. In this matter the leader of the country and its political elite have decisive importance. Therefore author rather thoroughly exposes existing conceptions of the elite and the political leader and critically estimates them against the background of current political changes in Georgia.

The identification of Georgian political elite has crucial importance for understanding actual social and political mechanisms in the country. The author thinks that in spite of the fact that the institutional theory exaggerates the role of elite in a modern democratic society with strong civil institutes, in respect of social methodology, this theory is more effective and heuristically valuable for understanding processes occurring in a transitional society. The author claims that through deepening the institutional concept it is possible to obtain the criterion of identification of any elite: availability of power resources and their deployment for making decisions with large-scale results. Thus political elite consists of persons occupying strategic positions in the most important public or private institutions and establishments.

It is the institutional approach, writes the author that enables us to allocate the following elites in a transitional society like Georgia: economic, political, military, religious, trade union, scientific-academic, institutional and others. In Georgia today the political elite is most distinctive; though slowly, the economic elite is clearly emerging; the military and religious elites are in the process of formation. The old ideological elite gradually

lose its superiority and are replaced by the intellectual elite - representatives of Media, philosophers, politologists and other dissidents.

The author characterizes the role of political leader and notices the increase of the number of populist leaders that become particularly active in the turning point of the evolution of the society – during the period when the old is destroyed, while the new is not yet established. Today Georgia needs a political leader, who expresses opinions, hopes and aspirations of the majority of social groups, leader, who on the one hand controls and governs the environment and on the other hand submits and serves to this world.

In the concluding part of the work the author suggests that the federal model of organizing political space matches democratic regime best. For only this model can ensure both personal and national independence and integrity of a society.